ვახტანგ ძაბირაძე

ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები

თბილისი
2007

რედაქტორები: ზაზა ჭილაძე,
დათო ჭელიძე
სტილისტ-კორექტორი
სალომე ზვიადაძე

ყდის დიზაინი
გია ახუაშვილი

დაიბეჭდა შპს „თბილისელებში“

ISBN 978-99940-67-71-8

რედაქტორისაგან

ვისაც გასული საუკუნის მიწურულის საქართველო ახსოვს, ვისაც საკუთარი თვალით უნახავს თბილისში, რუსთაველის გამზირზე თავისუფლების წყურვილით ანთებული ადამიანების სახეები, ალბათ ძალიან ძნელად წარმოიდგენდა, რომ ცოტა ხანში ეს ერთსულოვანი ხალხი პარტიებად, საზოგადოებებად, საძმოებად, კლანებად, სამთავრობოებად თუ არასამთავრობოებად დაქუცმაცდებოდა; ჯერ კიდევ გაურკვეველი მომავლის მქონე, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვინ იცის მერამდენედ აღმოჩენილი ქვეყნის ინტერესი ვიწრო, პირადული ინტერესების შეჯახებას შეეწირებოდა, გაჩაღდებოდა სამოქალაქო ომი და ყველაფერი უმძიმესი შედეგით — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რლვევით დასრულდებოდა.

ათასობით და ათიათასობით თანამემამულესთან ერთად, „შუქ-ჩრდილების" ავტორმაც პირადად განიცადა იმ წლების ყველა სიხარული თუ მწუხარება. თუმცა, ბევრისგან განსხვავებით, ის მოვლენების უშუალო ეპიცენტრში ტრიალებდა და გაცილებით ღრმად იცნობს მაშინდელ პოლიტიკურ-სოციალურ ანატომიას.

ვახტანგ ძაბირაძის „შუქ-ჩრდილების" დაწერა იმდროინდელი ამბების უკვე შედარებით მშვიდად გაანალიზების სურვილმა და აუცილებლობამ განაპირობა. ნათქვამია, ჭკვიანი სხვის შეცდომებზეც სწავლობს, ბრიყვი კი საკუთარზეც ვერაო. სამწუხაროდ, ჩვენ განსაკუთრებული ჭკუით თავი ვერ გამოვიჩინეთ და ბევრჯერ ჩადენილი ისტორიული შეცდომები ჯიუტად გავიმეორეთ ოთხმოციანი წლების ბოლოს და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისშიც, როცა ერთდროულად რომანტიზმით და

ტრაგიზმით ალბეჭდილი მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

ამ წიგნის წაკითხვა, რომელიც, უმნიშვნელო სარედაქციო ხასიათის შესწორებებს თუ არ გავითვალისწინებთ, ფაქტიურად იმავე სახით დაიბეჭდა, რა სახითაც გაზეთ „ახალ საქართველოში" ქვეყნდებოდა 1998—99 წლებში, ერთხელ კიდევ განგვაცდევინებს წარსული მოვლენების მთელ სიმძაფრეს და დრამატულობას.

ზოგიერთმა მკითხველმა „შუქ-ჩრდილებში" შეიძლება ამა თუ იმ პიროვნების, ამბის ან ფაქტის მისთვის უსიამოვნო, სულაც მიუღებელი ინტერპრეტაცია ამოიკითხოს, თუმცა დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ამ წიგნის უმთავრესი ღირსება მიუკერძოებლობაა, ესაა ჩვენი უახლესი ისტორიის პირუთვნელი ანალიზის ცდა, რაც არც ვინმეს აპოლოგიას ისახავს მიზნად და არც განკითხვას.

ასეთი წიგნი აუცილებლად უნდა დაწერილიყო. თუკი დღეს სათანადო ყურადღებით წავიკითხავთ პასუხისმგებლობის მძაფრი შეგნებით განმსჭვალულ და მაქსიმალური ობიექტურობით გამორჩეულ ამ ქრონიკას, წარსულის შეხსენებას და სამომავლო გაფრთხილებას, შეიძლება მოვახერხოთ და თავიდან ავიცილოთ ქვეყნისთვის საზიანო ისეთი შეცდომები, რომლებიც დროთა განმავლობაში დანაშაულის ელფერს იძენენ ხოლმე...

ზაზა ჭილაძე

ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები

1987 წლის შემოდგომაზე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნამ სათავე დაუდო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგალიზაციას.

ციხეებიდან ახალდაბრუნებულმა პოლიტპატიმრებმა და საზოგადოების გარკვეულმა, არცთუ მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა მიზნად დაისახეს ეროვნული იდეალების საჯარო პროპაგანდა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ჩვენი საზოგადოებისათვის ახალი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი ნორმების შემუშავება და დამკვიდრება.

განვლილი პერიოდი ერის ისტორიისთვის არც ისე დიდია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა სულიერი და პოლიტიკურ-ეკონომიკური კატაკლიზმები გადავიტანეთ, შესაძლოა, დროის ეს მონაკვეთი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკულიც კი იყოს, მით უმეტეს, რომ იდეალი, რომელიც დასაწყისიდანვე თან სდევდა ეროვნულ მოძრაობას, ხოლო შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა, როგორც „ერთიანი, დემოკრატიული, თავისუფალი საქართველო" (ეკონომიკურად ძლიერი თავისთავად იგულისხმებოდა) — ლოზუნგად დარჩა და მის ნაცვლად რეალურად მივიღეთ დაშლილი, დანაწევრებული, ეკონომიკურად გაპარტახებული, ღმერთმა უწყის, უკვე ვის მიერ დამონებული (მანამდე ერთი იყო და ისიც ყველასათვის ცნობილი — რუსეთი), გავერანებული ქვეყანა.

მოვლენები კატასტროფული სისწრაფით იცვლებოდა და ვითარდებოდა, რაც ჩვენგან მთელი სულიერი და ფიზიკური ენერგიის მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვდა, ამიტომ ვჩქარობდით (თუ გვაჩქარებდნენ?!), რომ არ ჩამოვრჩენოდით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ველარ ვახერხებდით, ან თითქმის ველარ ვახერხებდით, უკვე მომხდარის განსჯასა და გაანალიზებას.

ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით გატანჯულნი და დატვირთულნი, ჩვენ ახლაც ძალიან გვიან და ძნელად ვაცნობიერებთ, თუ როგორ ვუახლოვდებით იმ ზღვარს, რომლის იქითაც სიცარიელე და ქაოსია.

ვიცი და მჯერა, რომ ჩვენს ერს წარსულშიც არაერთხელ დაუღწევია თავი ანალოგიური განსაცდელისთვის და ახლაც დავაღწევთ, მაგრამ ისიც ხომ ანგარიშგასაწევია, თუ როგორ ვილეოდით და ვმცირდებოდით,

თანაც ეს თავდაღწევა თავისთავად, მხოლოდ ღვთის წყალობით, არც მაშინ მომხდარა და მით უმეტეს, ვერ მოხდება დღეს, როდესაც მსოფლიო ისე დაპატარავდა და დავიწროვდა, რომ ყველა, იქნება ეს აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, ჩრდილოეთი თუ სამხრეთი, გამოსავალს და გასაქანს, ახალ სივრცეს დაეძებს.

დღეს იმათგან, ვინც თავისი დისიდენტური თუ ეროვნული საქმიანობისათვის იქნა რეპრესირებული, ვინც თავისი მოღვაწეობით ხელოვნების თუ მეცნიერების სფეროში, ან უბრალოდ იმითაც, რომ არსებობდა, გარკვეულწილად მოამზადა საზოგადოება ეროვნული მოძრაობისათვის, ნაწილი ცოცხალი აღარ არის; ნაწილისათვის იმდენად მოულოდნელი და დამთრგუნველი აღმოჩნდა მიღებული შედეგი, რომ ყოველგვარ აქტიურ საქმიანობას ჩამოშორდა და მხოლოდ ისინი შემორჩნენ, ვინც თვლის, რომ ეროვნული მოძრაობის განადგურება შეუძლებელია, რომ ჩვენ ბრძოლაში დავმარცხდით, მაგრამ ომი არ წაგვიგია; ვისაც, ისევ და ისევ, მიუხედავად ყველაფრისა, რაც მოხდა, სჯერა: საქართველოში არსებული ეროვნული ენერგია სრულიად საკმარისია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად და ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად, ოღონდ საჭიროა ამ ენერგიის კონცენტრირება და სწორი ზნეობრივი და პოლიტიკური მიმართულებით წარმართვა.

ამდენად, ჩვენ მოვალენი ვართ, კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ განვლილი პერიოდი, კიდევ ერთხელ გავცეთ პასუხი იმ უამრავ კითხვას, რაც ამ პერიოდში დაგვიგროვდა — ან შევეცადოთ მაინც პასუხის გაცემას — და ამასთანავე ვიყოთ მაქსიმალურად ობიექტური საკუთარი თავისა და სხვების მიმართ.

არ მეგულება საქართველოში ადამიანი, ვისაც ამ საკითხებზე არ ეფიქროს. იმიტომ კი არა, რომ უცებ მთელი ერი ისტორიის კვლევის სურვილმა შეიპყრო, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ ის, რაც ხდებოდა, თითოეული ჩვენგანის წარსული, თითოეული ჩვენგანის გუშინდელი დღეა და სრულიად ბუნებრივია, ადამიანი თავისი წარსულით იყოს დაინტერესებული. დაწერითაც ბევრი დაიწერა, აზრიც მრავალი გამოითქვა, მოხდა ცალკეული ეპიზოდების თუ მონაკვეთების (ძირითადად 1991 წლის სექტემბერი — 1992 წლის იანვარი) აღწერა და ანალიზი, რაც, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო ხშირად, ყოველივე ამას მტყუან-მართლის გარჩევის

თუ დადგენის ელფერი უფრო დაჰკრავდა, ვიდრე სურვილი ამ ეპიზოდების გამომწვევი მიზეზების ობიექტური კვლევა-ძიებისა, ამიტომ, ვფიქრობ, თუ ჩვენი მიზანი მართლაც დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნის აშენებაა, თუ ჩვენ მართლა გვინდა, როგორმე გავარღვიოთ ის მოჯადოებული წრე, რომელშიც ყველანი, მთელი ერი აღმოვჩნდით, თუ გვინდა, ისე გავაღწიოთ ამ გაუსაძლისი ლაბირინთიდან, რომ ქვეყანასაც და ხალხსაც თავიდან ავაცილოთ ჩვენი ქვეყნის მტერთა მიერ უკვე დაგეგმილი და მოსალოდნელი კატასტროფები, აუცილებელია განვლილი პერიოდის მთლიანობაში აღქმა და გაანალიზება, რაც, მინიმუმ, იმის გარანტია მაინც იქნება, რომ უკვე დაშვებულ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ.

ხომ ყველამ მშვენივრად ვიცოდით, რომ აფხაზეთი და ე.წ „სამხრეთ ოსეთი" ჩვენი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩადებული ნაღმი იყო. ვიცოდით, რომ საჭირო იყო მათი განაღმვა და არა აფეთქება, რადგან იმპერიის მესვეურთ სწორედ ეს უკანასკნელი უნდოდათ და მაინც, რაღაც მაზოხისტური თავგანწირულობით, „მოვახერხეთ" ამ ნაღმებზე აფეთქება! ვიცოდით, რომ იმპერია ინგრეოდა, ვიცოდით, რომ არ უნდა მოვყოლოდით მის ნანგრევებში (აკი გვაფრთხილებდნენ კიდეც!), მაგრამ მაინც „ყველაფერი ვიღონეთ", რომ ეს ქარბორბალა დაგვტეხოდა.

პრობლემის გამარტივება იქნება მომხდარის ახსნა მხოლოდ „ქართული მენტალიტეტით", „საზოგადოების მოუმზადებლობით", „საქართველოში ძლიერი რუსული მე-5 კოლონის" არსებობით, თუმცა ყველა ეს ფაქტორი, ცალ-ცალკე თუ ერთად აღებული, რეალურად არსებობდა მაშინაც და არსებობს დღესაც. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ გავლენიანი ძალები ცდილობენ შექმნან საზოგადოებრივი აზრი და ქვეყანას დატეხილი უბედურება მთლიანად ეროვნულ მოძრაობას გადააბრალონ.

აქედან გამომდინარე, საჭიროა მთლიანობაში იმის გააზრებაც, თუ რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები მოქმედებდნენ და მოქმედებენ ქვეყნის შიგნით, რაში მდგომარეობს გარეშე ძალთა ჭეშმარიტი ინტერესები და როგორია ამ ძალთა რეალური თანაფარდობა.

***

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნა მოულოდნელი და უჩვეულო არ ყოფილა არც ქართული საზოგადოებისათვის და არც

ხელისუფლებისათვის, პირიქით: საზოგადოებაში გარკვეული მოლოდინიც კი არსებობდა, რადგან უკვე ნათლად იგრძნობოდა, რომ „პერესტროიკით" გამოწვეული და მისი არქიტექტორებისაგან ხელდასხმული კრიტიკული ტალღა ვერ ჩაეტეოდა მათთვის სასურველ ფარგლებში. საკითხავი ის იყო, თუ რა ფორმასა და მიმართულებას მიიღებდა „პერესტროიკით" დადგენილ ფარგლებს გაცილებული არაკონტროლირებადი კრიტიკული ტალღა.

მე თბილისში 1987 წლის სექტემბერში დავბრუნდი და ყოფილი პოლიტპატიმრის ჯონი (ზაქარია) ლაშქარაშვილის ოჯახში წვეულებაზე პირადად გავიცანი მერაბ კოსტავა (დაუსწრებლად ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით, — მიუხედავად კგბ-ს მცდელობისა, მაქსიმალურად აღეკვეთა ყოველგვარი ინფორმაციის გავრცელება, განსაკუთრებით პოლიტპატიმართა ირგვლივ, ციხეებში ინფორმაცია რაღაც გაურკვეველი მექანიზმით ელვის უსწრაფესად ვრცელდებოდა). ეს არ იყო საიდუმლო, კონსპირაციული შეკრება — ჩვეულებრივი ქართული წვეულება გახლდათ, მისთვის დამახასიათებელი უამრავი მომსვლელ-წამსვლელით. ამ წვეულებაზე მერაბმა, ისე, რომ არც კი უცდია, ვინმეს მორიდებოდა, ხმამაღლა განაცხადა: რადგან თითქმის ყველანი გამოვედით ციხეებიდან (თუ არ ვცდები, მხოლოდ გ. გოგბაიძე და ბ. კაკუბავა იყვნენ დარჩენილი. ვ. ძ.), არ გვაქვს მორალური უფლება, გულხელი დავიკრიფოთ და ჩუმად ვიყოთ, საჭიროა რაღაც მოვიფიქროთ, მინიმუმ რუსეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში და სხვაგან ჩვენებს (მერაბი ყოფილ პოლიტპატიმრებს გულისხმობდა. ვ. ძ.) მაინც დავუკავშირდეთ, რომ რეალური ინფორმაცია გვქონდეს იქ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზეო. ჩანდა, მერაბი მე და ტარიელ ღვინიაშვილს (ისიც ყოფილი პოლიტპატიმარია. ვ. ძ.) მოგვმართავდა. ისიც ჩანდა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა უკვე მიდიოდა და ჯონიც საქმის კურსში იყო. მე პასუხი არ გამიცია, რადგან ჩემთვის ეს სიახლეს წარმოადგენდა და არც შექმნილი სიტუაცია იყო შესაფერისი ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად, მაგრამ, როდესაც გარკვეული დროის შემდეგ მერაბმა კვლავ გაიმეორა იგივე, ვუპასუხე, რომ ამ იდეის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. რაც შეეხებოდა პირადად ჩემს მონაწილეობას, სულ რაღაც ორი თვის გათავისუფლებული ვიყავი პატიმრობიდან და მიმაჩნდა, რომ საჭირო იყო დროის გარკვეული პერიოდი, ასე ვთქვათ, „აკლიმატიზაციისათვის", რათა გარკვეული წარმოდგენა შემქმნოდა მიმდინარე პროცესებზე.

რამდენიმე დღის შემდეგ იგივე გავუმეორე ჯონი ლაშქარაშვილს, რომელმაც უფრო დანვრილებით მიამბო, თუ რა ხდებოდა, რას ფიქრობდნენ და რის გაკეთებას აპირებდნენ.

ამ ეპიზოდის გახსენებით მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ არც მერაბ კოსტავას და არც სხვებს, რომლებმაც შემდგომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება" დააფუძნეს, არც უცდიათ თავიანთი ჩანაფიქრის დაფარვა. ციხეებიდან კი გამოგვიშვეს, მაგრამ, ბუნებრივია, ყველამ ვიცოდით და ვგრძნობდით კიდეც (გარკვეული გამოცდილება უკვე გვქონდა), რომ მთლად „უყურადღებოდ" არ ვიყავით დატოვებულნი, ამიტომ ვფიქრობ, ხელისუფლებას საკმარისზე მეტი ინფორმაცია ჰქონდა იმის გასაგებად და გასაანალიზებლად, თუ როგორ მიმდინარეობდა „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნა და დაფუძნება.

მიუხედავად ამისა, პირველი აქცია, რომელიც საზოგადოებამ გამართა და თავისი შინაარსით თითქმის მთლიანად ჯდებოდა „პერესტროიკის" ფარგლებში, ხელისუფლებისათვის მოულოდნელი და მიუღებელი აღმოჩნდა. 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს, „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებამ" გადაწყვიტა დიდუბის პანთეონში ჩაეტარებინა ღონისძიება სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა მოსაგონებლად. შინაარსობრივად მიუღებელი ხელისუფლებისათვის თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო, რადგან ცენტრალურ პრესაში, განსაკუთრებით კი ჟურნალ „ოგონიოკში", არათუ სტალინური რეპრესიების, არამედ უკვე ლენინის კრიტიკა ისმოდა და სოლჟენიცინის დაბრუნებასა და „გულაგის" გამოცემაზე მიდიოდა საუბარი. მიუღებელი სხვა რამ იყო — აქციას ატარებდა არაფორმალური გაერთიანება, რომელიც ხელისუფლების მიერ არ კონტროლდებოდა. რა თქმა უნდა, ისევ და ისევ აქციის შინაარსიდან გამომდინარე, ხელისუფლებას შეეძლო ნეიტრალური პოზიცია დაეჭირა — ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ამის საშუალებას იძლეოდა, — მაგრამ იგი თავიდანვე კონფრონტაციულ გზას დაადგა: ზუსტად იმ დროისათვის, როდესაც საპროტესტო აქცია იყო დანიშნული, ხელისუფლებამ ნიკო კეცხოველის საფლავზე მეცნიერის დამსახურების აღსანიშნავი ღონისძიების ჩატარება გადაწყვიტა და ჩვეული მექანიზმებით მობილიზაცია გაუკეთა უნივერსიტეტისა და აკადემიის ინტელიგენციას.

ჭეშმარიტად ღირსეული და პატივცემული პროფესორი ხელისუფლებას მისი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოღვაწეობის გამო არ გახსენებია. საქმე ის გახლავთ, რომ ბ-ნი ნიკო დაკრძალულია

პანთეონის შესასვლელში და იქ მისულმა საზოგადოებამ მთლიანად ჩაკეტა პანთეონის კარები. ვინც ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა და საქმის რეალური არსი არ იცოდა, უთუოდ გააოცებდა იქ თავმოყრილ მილიციელთა სიმრავლე, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ როგორც წერეთლის გამზირზე, ასევე პანთეონში.

ჩვენ რომ მივედით, პანთეონში შესვლა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. თუ მაინც შევეცდებოდით შესვლას, რაც წმინდა ადამიანური თვალსაზრისით საკმაოდ უხერხული ჩანდა, გამორიცხული არ იყო პროვოკაცია, რომელსაც სასწრაფოდ „აღკვეთდა" იქვე მყოფი მილიციის გაძლიერებული რაზმი, ხოლო საზოგადოებას მიაწოდებდნენ ინფორმაციას, რომ ხულიგანთა ჯგუფმა შეურაცხყო განსვენებული აკადემიკოსის ხსოვნა და დებოში აუტეხა იქ მისულ საზოგადოებას.

ხელისუფალთა ამ ხრიკის გამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, ამიტომ ზედმეტი გართულებისა და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად პანთეონიდან იქვე, დიდუბის ეკლესიაში გადავინაცვლეთ, სადაც რეპრესიების მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადავიხადეთ, მისი დასრულების შემდეგ კი მეტრო „წერეთლისკენ" გავემართეთ. სადგურის ბაქანზე ჩასულებს შეგვატყობინეს, რომ ხელისუფლების მიერ გამართული ღონისძიება დასრულდაო (ეტყობა, იფიქრეს, დაიშალნენო!). ჩვენ უკანვე ავბრუნდით და აქცია დიდუბის პანთეონში ჩავატარეთ. აქციის მონაწილეთა რაოდენობა 50-60 კაცს არ აღემატებოდა (მართალია, მე არ ვიყავი „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" წევრი, მაგრამ როდესაც აქციის ჩატარების შესახებ გავიგე, ჩემს მორალურ ვალდებულებად ჩავთვალე მასში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, თითქმის უკვე გადაწყვეტილი მქონდა საზოგადოებაში შესვლა და მსურდა, საქმეში მენახა ის პიროვნებები, რომელთა შესახებაც გარკვეული ინფორმაცია მქონდა, მაგრამ უშუალოდ არ ვიცნობდი და რომელთა გვერდითაც მომავალში მომიწევდა საქმიანობა).

ცოტა ხნის შემდეგ ხელისუფლების ლოცვა-კურთხევით შეიქმნა „რუსთაველის საზოგადოება", როგორც „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" საპირწონე და ხალხმა, მათ შორის თავად „რუსთაველის საზოგადოების" წევრებმაც, ეს ფაქტი ზუსტად ასე აღიქვა.

აშკარად ჩანდა, რომ ხელისუფლება პოზიციების დათმობას არ აპირებდა. უფრო მეტიც, ცდილობდა ხელში აეღო ინიციატივა და რადაც უნდა დასჯდომოდა, იმთავითვე ეკონტროლებინა ეროვნული

მოძრაობა. მით უმეტეს, რომ ხელისუფლების განკარგულებაში იყო მკაცრად ცენტრალიზებული ძლიერი და მორჩილი ბიუროკრატიული აპარატი, ძალოვანი სტრუქტურები — მილიცია, პროკურატურა, სუკ-ი, მონოპოლიზებული პრესა და ტელევიზია, ეროვნულ მოძრაობას კი გააჩნდა იდეა — დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მოწყობა, — თვითგამოცემის ერთი ჟურნალი და პირველი აქციის მასშტაბებიდან გამომდინარე, საკმაოდ მცირერიცხოვანი მებრძოლი გუნდი.

როგორც აღვნიშნე, დიდუბის აქციაში დაახლოებით 50-60 კაცი მონაწილეობდა. რომც დავუშვათ, რომ საზოგადოების ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია აქციის ჩატარების შესახებ, ხოლო ნაწილმა ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო მოსვლა, მათი რიცხვი, ვინც ყოველგვარი გარეგანი ფაქტორების ზეწოლის გარეშე, უშუალოდ აცნობიერებდა ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის აუცილებლობას და მზად იყო აქტიური მონაწილეობა მიეღო, ალბათ, მთელი საქართველოს მასშტაბით 200-300 კაცზე მეტი არ იქნებოდა.

აი, ასეთი იყო ძალთა თანაფარდობა საწყის ეტაპზე.

ეს არცაა საკვირველი, რადგან ეროვნული მოძრაობა საქართველოში დისიდენტური მოძრაობის გაგრძელებას წარმოადგენდა, მისი ძირითადი ბირთვი სწორედ ყოფილი პოლიტპატიმრები იყვნენ. ამდენად, ვფიქრობ, აუცილებელია გავარკვიოთ, სად, როდის და რა ვითარებაში ჩაისახა დისიდენტური მოძრაობა და როგორი იყო მისი გამოვლენის ფაქტორები.

თავად ტერმინი „დისიდენტი", ანუ „სხვაგვარად მოაზროვნე", შედარებით გვიან, 70-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა და დამკვიდრდა. მანამდე კი...

მანამდე, სტალინის გარდაცვალებისა და მისი ამალის პოლიტიკური განადგურების შემდეგ (ფიზიკურად მხოლოდ ლ. ბერიას გაუსწორდნენ), იმპერიის ახალი მესვეურნი, ნ. ხრუშჩოვის მეთაურობით, შეეცადენ კოსმეტიკური მეთოდების საშუალებით, ისე, რომ ძირეული არსი შეუცვლელი დარჩენილიყო, იმპერიის ფასადის შელამაზებას. ამას მოჰყვა სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა და 1956 წლის ამნისტია.

ქვეყანაში სტალინის მიერ დამკვიდრებულ იდეურ-პოლიტიკურ დოგმებს შორის, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მკაცრ და უპირობო რეგლამენტირებას მოითხოვდა, გაჩნდა მცირეოდენი ბზარი — შესაძლებელი გახდა ისეთ პრობლემებზე საუბარი, რომელთა შესახებაც საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად იცოდა, მაგრამ

ქვეყანაში გამეფებული ტერორი საშუალებას არ აძლევდა ხმამაღლა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება. ბუნებრივია, ამგვარი მოთხოვნილება ინტელიგენციაში უნდა გაჩენილიყო და გაჩნდა კიდეც.

რუსეთში 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ ახალ თაობას უერთდებიან რუსული ინტელიგენციის ძველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები და თითქმის ერთდროულად იწერება ბ. პასტერნაკის „დოქტორ ჟივაგო" (თუმცა „ჟივაგო" რუსეთში მხოლოდ „პერესტროიკის" დროს დაიბეჭდა) და ა. სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე".

ამ ორმა ნაწარმოებმა კარდინალურად შეცვალა რუსულ ინტელიგენციაში დამკვიდრებული ფსიქოლოგიური კლიმატი და, ფაქტიურად, სათავე დაუდო დისიდენტურ მოძრაობას.

იმპერიის ცენტრში მიმდინარე პროცესებს არც საქართველოში და რამდენადაც ვიცი, არც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, თითქმის არავითარი რეზონანსი არ მოჰყოლია, თუმცა ამ ფაქტის ახსნა ჩვენში შემოქმედებითი ინტელექტუალური პოტენციალის ნაკლებობით, ან „გულაგგამოვლილი" პიროვნებების არარსებობით შეუძლებელია.

ჩვენში არათუ მხატვრული, მემუარული ლიტერატურაც კი არ შექმნილა „გულაგის" შესახებ, რაც არ შეიძლებოდა და არც იყო შემთხვევითი მოვლენა. რუსული ინტელიგენციის მძაფრი დაინტერესება „გულაგით" და „გულაგში" მოხვედრილ ადამიანთა ბედით იყო წუხილი არა ცალკეულ ინდივიდთა, თუნდაც ერისათვის სათაყვანო პიროვნებათა ბედზე, არამედ ერის სხეულზე არსებულ წყლულზე. „გულაგის" არსებობა მათ ლერმონტოვის „დაუბანელ რუსეთთან" აბრუნებდა, არ აძლევდა საშუალებას საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზებისა, ხოლო დაუხარჯავი ენერგია ანგრევდა როგორც პიროვნების, ასევე ერის სულიერ სხეულს, ამიტომ რუსულ ინტელიგენციაში „გულაგი" აღიქმებოდა საერთო ზოგადნაციონალურ უბედურებად, რომელიც ამუხრუჭებს ერის ნორმალურ განვითარებას და ბადებს არასრულფასოვნების კომპლექსს.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ასეთი ზოგადნაციონალური უბედურება მოხდა 1921 წლის თებერვალში, როდესაც რუსეთმა საქართველოს ანექსია განახორციელა. ჩვენ დავკარგეთ დამოუკიდებლობა და ეს ტრაგედია ყველაზე მძიმე ტვირთად დააწვა ერსაც და ბერსაც. ჩვენი მთავარი სათქმელი და სატკივარი დამოუკიდებლობის დაკარგვა იყო, მაგრამ ყველა მშვენივრად გრძნობდა, რომ პირდაპირ, ღიად

ამის თქმა 60-იან წლებშიც ისეთივე შეუძლებელი იყო, როგორც 30-იანში.

არის კიდევ ერთი, ვფიქრობ, საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ რეპრესიების სიმძაფრე საქართველოში არანაკლები იყო, ვიდრე რუსეთში, მათ მაინც სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ. საქართველოში რეპრესიებს განიხილავდნენ, როგორც დამპყრობლის მიერ გატარებულ ღონისძიებას (ჩვენს ისტორიას ახსოვს დამპყრობთა მიერ ქართველთა მასობრივი ჟლეტის ფაქტები როგორც შორეულ, ისე ახლო წარსულში). ჩვენ ვგავდით იმ მონას, რომელიც ბატონს გაექცა და დამოუკიდებელი ცხოვრება მოინდომა, მაგრამ შეიპყრეს და უკან დააბრუნეს, ამიტომ მანაც იცის, რომ უნდა დაისაჯოს და რადგან საქართველოში მოსკოვის ხელისუფლება არასოდეს აღიქმებოდა, როგორც თავისი, ამდენად მისი ქმედება მისაღები და გამართლებული თუ არა, გასაგები მაინც იყო, მაშინ, როდესაც რუსეთის ინტელიგენციას ვერაფრით აეხსნა, თუ რატომ ანადგურებდა მათივე ხელისუფლება თავისი ერის საუკეთესო ნაწილს.

ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანური ლოგიკით ყოველივე ამის ახსნა შეუძლებელი იყო. წარმოიშვა აზრი, რომ რუსეთს ეს ყოველივე თავს მოახვიეს მასონებმა, ებრაელებმა და კავკასიელებმა. 80-იან წლებში რუსულ დისიდენტურ მოძრაობაში კერძო საუბრების დროს ეს აზრი უკვე საკმაოდ დომინირებდა. პერმის პოლიტპატიმართა ბანაკში, როდესაც საუბარი „გულაგსა" და რეპრესიებს შეეხებოდა, რუსი დისიდენტები დიდი ხალისით და ენთუზიაზმით ინყებდნენ „წიაღსვლებს" ცოტად თუ ბევრად ცნობილი პირების გენეალოგიაში, როგორც კერენსკის, ასევე ლენინის ხელისუფლებაში. ასეთ შემთხვევაში ჩვენ (არარუსები) იძულებულნი ვიყავით გვეკვლია პუშკინის, ჩაიკოვსკის და სხვათა გენეალოგია ან მიამიტურად გვეკითხა, თუ რა ნაციონალური წარმომავლობის არიან სახაროვი, შარანსკი და სხვები.

როგორც აღვნიშნე, ჩვენი ზოგადნაციონალური უბედურება 1921 წლის თებერვალში მოხდა და დანარჩენს, მათ შორის სტალინის გაუგონარ რეპრესიებსაც, აღვიქვამდით, როგორც დანართს, დანამატს, მეორადს, გამომდინარეს იმ პირველიდან და, ამდენად, გარდაუვალს. ამიტომ მთავარი სათქმელისთვის საჭირო ფორმის ძიება ჩვენში ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყო და რადგან წერის მეცნიერულ-პუბლიცისტური ფორმა სრულიად მიუღებელი იყო, მოიძებნა მხატვრულ-

ისტორიულ-მითოლოგიური სტილი. შეიქმნა ერთობ საინტერესო ვითარება საიდუმლოს განდობისა — ავტორი თავის სათქმელს ისტორიულ თუ მითოლოგიურ სამოსელში ახვევდა და ისე აწვდიდა მკითხველს, დარწმუნებული, რომ იგი მიუხვდებოდა, რაზე იყო საუბარი. მკითხველი, ბუნებრივია, გრძნობდა, რომ ავტორი ანდობდა რაღაც უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ავტორსა და მკითხველს შორის მყარდებოდა ირეალურ შეთქმულებაში ერთობლივი მონაწილეობის, თანაზიარობის განცდა და მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება გამუდმებით, სხვადასხვა ხერხების გამოყენებით — ცილისმწამებლური, ღვარძლიანი კრიტიკა, ბინძური ჭორების გავრცელება, მცირე ტირაჟი, ცენზურის გამუდმებული კირკიტი, ვერშემჩნევა, „საბჭოთა სინამდვილის" ამსახავი ნაწარმოების იძულებითი შექმნა და სხვა — ცდილობდა საზოგადოების თვალში ამ პირთა დაკნინებას, სახელის გატეხას, მათ მაინც მოახერხეს ქართულ სინამდვილეში წერის ამგვარი მანერის დამკვიდრება, ამიტომ იმპერიის ცენტრში დაწყებულ კრიტიკულ ტენდენციებს პერიფერიებში რაიმე მნიშვნელოვანი გამოხმაურება არ მოჰყოლია. იყო, რა თქმა უნდა, ინტერესი, თუ რა მოხდებოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ეტყობა, ამ ინტერესის ერთგვარი გამოძახილი იყო ისიც, რომ ჟურნალ „მნათობში" დაიწყო სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღის" თარგმანის გამოქვეყნება.

70-იან წლებში რამდენიმე ბიბლიოთეკაში ვცადე ჟურნალის ამ ნომრების მოძიება, მაგრამ კგბ-ს ისინი უკვე ამოელო.

მოვლენები საკმაოდ ინტენსიურად ვითარდებოდა. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ადამიანთა წრე თანდათან ფართოვდებოდა და ინტელექტუალური მოღვაწეობის სხვა სფეროებშიც აღწევდა. პროცესები ისეთი მიმართულებით მიდიოდა, რომ მათზე კონტროლი უფრო და უფრო ძნელდებოდა. კრემლში ხრუშჩოვის ცნობილი შეხვედრა ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლებთან იყო კიდევ ერთი მცდელობა, როგორმე კალაპოტში მოექციათ კრიტიკული ნიაღვარი და რადგან „პიროვნების კულტი" უკვე დაიგმო, კრიტიკის არეალიც სტალინის (და არა პარტიის და მით უმეტეს, ლენინის), შინსახკომის (კგბ) და „გულაგის" თემებით განისაზღვრა და შემოიფარგლა. სხვა თემები — სოციალურ-ეკონომიკური, სამამულო ომი, ხელისუფლების პოლიტიკური თუ ეკონომიკური კურსი და მრავალი სხვა, — ყოველგვარი კრიტიკისაგან შეუვალად ითვლებოდა.

ამ თვალსაზრისით ყველაზე საიმედოდ ა. სოლჟენიცინი ჩაითვალა და მას არქივებში მუშაობის უფლებაც კი მისცეს.

ძველი პატიმრები ჰყვებოდნენ, რომ „გულაგებში" მყოფთათვის ეს იყო „ოქროს ხანა". მათ უფლება მიიღეს ეტარებინათ სამოქალაქო ტანსაცმელი, შეუზღუდავად ენარმოებინათ მიმოწერა, მიეღოთ ამანათი, შეხვედროდნენ ნათესავებსა და ახლობლებს, ჰქონოდათ საათი, მოეზარდათ თმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფოტოსურათიც კი გადაეღოთ და გაეგზავნათ. ჩვენს დროს ყველაფერი ეს უკვე რეგლამენტირებული იყო — პატიმარს ჰქონდა თვეში ორი წერილის გაგზავნ.ს, წელიწადში ორჯერ 1 კგ., ხოლო სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ წელიწადში ერთხელ 5 კგ. ამანათის მიღების უფლება, მაგრამ ეს ყველაფერი ქაღალდზე, სინამდვილეში ხდებოდა ისე, როგორც კოლონიის ადმინისტრაცია გადაწყვეტდა. ციხიდან დაბრუნებულს შინ მკითხეს, რატომ ვთქვი უარი ამანათის მიღებაზე. გულიანად გამეცინა — აბა, რომელი პატიმარი იტყვის უარს სახლიდან გაგზავნილი ამანათის მიღებაზე. გაირკვა, რომ ამანათი კოლონიის ადმინისტრაციამ უკან დააბრუნა იმ მოტივით, თითქოს მის მიღებაზე მე განმეცხადებინოს უარი. ასეთი სიურპრიზებით ფეხის ყოველ ნაბიჯზე გვიმასპინძლდებოდა კოლონიის ადმინისტრაცია და კგბ.

ხრუშჩოვის შეხვედრამ შემოქმედებით ინტელიგენციასთან ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მოხდა პირიქით — სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკასთან ერთად, როგორც მოსალოდნელი იყო, აქა-იქ ლენინის სახელიც ამოტივტივდა.

ლენინის კრიტიკა იმპერიის პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატისათვის მიუღებელი იყო, რადგან ეს თავისთავად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ქვეყნის როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ მოწყობას. ლენინის სახელთან იყო გაიგივებული საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, შექმნა და ჩამოყალიბება. მოკლედ რომ ვთქვათ, ლენინის კრიტიკა საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, არსებობას, — იმპერიის დანგრევა გარდაუვალი ხდებოდა, მეორეს მხრივ, „მშრალზე" ტოვებდა პარტიულ-ბიუროკრატიულ აპარატს. დღესაც კი, როდესაც საბჭოთა კავშირი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, იურიდიულად აღარ

არსებობს, ხოლო სახალხო მეურნეობის მოწყობის სოციალისტური მოდელი მთლიანად უარყოფილია, რუსული პოლიტიკური ელიტა, როგორც დემოკრატიული, ასევე არადემოკრატიული, ვერ შელევია ლენინის ნეშტს და თუ რამდენიმე წლის წინ მოსკოვში ლაპარაკი იყო მის დაკრძალვაზე, დღეს ჩამიჩუმიც აღარ ისმის. ილიჩის გვამი ისევ მავზოლეუმში განისვენებს, როგორც რუსული იმპერიის ხელახალი აღდგენის იმედი, ჩვენთვის კი მუდმივი მუქარისა და ხიფათის ნიშნად.

ამის დაშვება კი აღარ შეიძლებოდა და ქვეყანაში დამთავრდა ხრუშჩოვის ეპოქა. რა თქმა უნდა, ხრუშჩოვის გადაყენების მიზეზი არ იყო მხოლოდ შემოქმედებით ინტელიგენციასთან ურთიერთობა, მაგრამ ერთ-ერთი არგუმენტი კი ნამდვილად გახლდათ.

იმპერიის ახალ მესვეურთ არ შეეძლოთ პოლიტიკური კურსის მკვეთრი ცვლილება, გამომდინარე იქიდან, რომ ხრუშჩოვის შეცვლა იურიდიულად გაფორმდა, როგორც „გადადგომა" და არა „გადატრიალება", თუმცა შინაც და გარეთაც ყველამ მშვენივრად იცოდა, რაც მოხდა სინამდვილეში. გარდა ამისა, აუცილებლობას წარმოადგენდა შეენარჩუნებინათ ხრუშჩოვის მიერ შელამაზებული დასავლეთისათვის ცოტად თუ ბევრად მისაღები იმპერიის ფასადი (კარიბის ზღვის კრიზისმა დაარწმუნა ძალისმიერი პოლიტიკის მომხრენი, რომ დასავლეთი მზად იყო ყველანაირი საშუალებით დაეცვა საკუთარი ინტერესები) და კიდევ, ხელისუფლების ახალი წარმომადგენლები არ იყვნენ არც ორთოდოქსი მარქსისტები და არც რევოლუციონერი ინტერნაციონალისტები. მათმა ძირითადმა უმრავლესობამ თავისი პოლიტიკური კარიერა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში დაიწყო და საკუთარი გამჭრიახობისა თუ ბედის წყალობით გაიარა გრძელი იერარქიული გზა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნობიდან იმპერიის საჭეთმპყრობელამდე, ამიტომ მშვენივრად იცოდნენ, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში „კაცობრიობის ნათელი მომავალი", იცოდნენ ისიც, თვითონ რა უნდოდათ და ისიც, თუ რას მოითხოვდა მათგან პარტიულ-ბიუროკრატიული ელიტა.

ვისაც ლეონიდ ბრეჟნევის მოღვაწეობის თუნდაც ბოლო 5 წელი ახსოვს, აუცილებლად დამეთანხმება, რომ ნებისმიერ ადამიანს უკვირდა, თუ რისთვის სჭირდებოდათ ქვეყნის მეთაურად პიროვნება, რომელსაც აღარც სიარული შეეძლო და აღარც ლაპარაკი, ჭკუა-გონებით ხომ ადრეც არ ბრწყინავდა, ხოლო

შემდეგ ავადმყოფი იური ანდროპოვი და მთლად ცოცხალ-მკვდარი ჩერნენკო?!

იწყება ახალი, ნეოსტალინისტური ეტაპი საბჭოთა იმპერიის ისტორიაში — თანდათან, ფრთხილად, მაგრამ მეთოდურად ძლიერდება ცენზურა და თითქმის იბრუნებს სტალინისტური პერიოდის სახეს. პარალელურად, ოფიციოზის ჩუმი თანხმობით და ლოცვა-კურთხევით, სამამულო ომისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებსა და მემუარულ ლიტერატურაში იწყება სტალინის დოზირებული რეაბილიტაცია. დავიწყებას ეძლევა „პიროვნების კულტი" და მისი „დამლუპველი შედეგები" (ხელისუფლებას არ შეუძლია ოფიციალურად მოახდინოს სტალინის რეაბილიტაცია, რადგან თავად არის აქტიური და უშუალო მონაწილე პიროვნების კულტისადმი მიძღვნილი პარტიული ყრილობებისა, ამიტომ ეძებს შემოვლით გზებს) და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — ლ. ბერიას დახვრეტის შემდეგ მისი ხვედრი ბევრმა მისმა ხელქვეითმა გაიზიარა როგორც ცენტრში, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებში. ეს ანგარიშსწორება გამოწვეული იყო ამ უწყებისადმი პანიკური შიშით და არა ზნეობრივი თვალსაზრისით, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, ჯერ ისევ ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში, იწყება უშიშროების სისტემის რეანიმაცია (ეტყობა, მალე დარწმუნდნენ, რომ იმპერიის შენარჩუნება ამ ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა), ხოლო შემდგომ პერიოდში იგი კვლავ ძლიერი და ყოვლისშემძლე ხდება.

მიუხედავად ამისა, სხვაგვარად მოაზროვნეთა რიცხვი თანდათან იზრდება, ხოლო პროტესტანტთა პროფესიული სპექტრი უფრო ძრავალფეროვანი ხდება.

1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში დაწყებული გამოსვლები, რომელსაც შემდგომ „პრაღის გაზაფხულის" სახელით მოიხსენიებენ, საბჭოთა ჯარებმა სისხლში ჩაახშეს და პირველად საბჭოთა იმპერიის არსებობის მანძილზე, რამდენიმე ადამიანი გამოვიდა წითელ მოედანზე და პრაღაში დატრიალებული უბედურების გამო საბჭოთა ხელისუფლების მიმართ პროტესტი გამოთქვა.

პირობითად ეს აქცია შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირში დისიდენტური მოძრაობის აღმავლობის დასაწყისად, რადგან პროტესტის ინდივიდუალური ფორმა ჯგუფურმა პროტესტმა შეცვალა. შინაარსობრივად მას წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და არსებული ხელისუფლების პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ იყო მიმართული.

თითქმის 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უ. ჩერჩილმა საბჭოების შეჩერების დოქტრინა ჩამოაყალიბა, რითაც საფუძველი დაედო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ცივი ომის დაწყებას, შეიქმნა ნატო და ვარშავის ბლოკი.

ამ ხნის მანძილზე დასავლეთის სახელმწიფოებს შორის რაიმე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. იყო, რა თქმა უნდა, ეკონომიკური კრიზისები, უთანხმოებანიც, მაგრამ ყველაფერი გვარდებოდა ხელისუფალთა დიალოგისა და კომპრომისის საფუძველზე. ზოგადად დასავლეთი საკმაოდ ერთგვაროვან და უკონფლიქტო სივრცედ მოჩანდა, რასაც ვერ ვიტყვით აღმოსავლეთზე — პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ საბჭოთა ჯარების უშუალო ჩარევით გახდა შესაძლებელი.

როგორც უნდა ცდილიყო საბჭოთა ხელისუფლება, შეელამაზებინა ვარშავის ბლოკის პოლიტიკური დოქტრინა, მისი მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებისას იძულებული იყო მაინც ელიარებინა, რომ ეს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი მიმართული იყო როგორც გარეშე ძალის, ასევე ბლოკში შემავალ ქვეყნებში არსებული ან მოსალოდნელი კონტრრევოლუციური თუ ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგ და თუ ნატოში გაერთიანებულ ქვეყნებს მისი დატოვება თითქმის უმტკივნეულოდ შეეძლოთ, ვარშავის ბლოკში შემავალი რომელიმე ქვეყნის ხელისუფალთა ანალოგიური გადაწყვეტილება მომენტალურად ცხადდებოდა კონტრრევოლუციურად, ანტისოციალისტურად და იგივე შედეგით მთავრდებოდა, რაც მიიღეს დუბჩეკმა და მისმა გუნდმა „პრაღის გაზაფხულის" განადგურების შემდეგ.

და მაინც, ვფიქრობ, რომ, როგორც ჩეხოსლოვაკიაში განვითარებულმა მოვლენებმა, ასევე წითელ მოედანზე საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ გამოთქმულმა პროტესტმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა მსოფლიოს შემდგომი პოლიტიკური კურსი.

რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მაქვს ის დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებები, რაც ამ მოვლენას მისცეს მოსკოვისა და დასავლეთის პოლიტიკურმა წრეებმა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა (ეს ასეც უნდა ყოფილიყო!). ისიც ფაქტია, რომ პრაღაში განლაგებულმა დასავლეთის საელჩოებმა ფაქტობრივად

ვერ გაბედეს შეეფარებინათ „პრაღის გაზაფხულის" აქტივისტები და ვერც შემდგომ დაწყებულ რეპრესიებს შეუშალეს ხელი. ისინი მიხვდნენ, რომ კარიბის ზღვის მეთოდის გამოყენება მოცემულ მომენტში უაღრესად დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და უკან დაიხიეს (ეტყობა, იმოქმედა ვიეტნამის სინდრომმაც — ამერიკელთა ძალისმიერმა პოლიტიკამ ვიეტნამში ხომ კრახი განიცადა).

მეორე მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებამ წარმატებულად მოახდინა ძალის დემონსტრირება ევროპასა და აზიაში, რითაც კარიბის კრიზისის დროს განცდილი მარცხის გარკვეული კომპენსაცია მიიღო (განსაკუთრებით სამხედროებსა და ჩეკისტებს შორის) ქვეყნის შიგნით, ხოლო ვიეტნამში სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით სრულად აღადგინა საბჭოთა კავშირის, როგორც მსოფლიოს „ველიკაია დერჟავას" სახელი.

დასრულდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ნ. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში დამდგარი ერთგვარი დათბობის პერიოდი, თუმცა ორივე მხარე ხვდებოდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების პირველსავე წლებში (სტალინის გარდაცვალებამდე) არსებული ხისტი დაპირისპირების აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა — 70-იანი წლების მსოფლიო ძლიერ განსხვავდება 50-იანი წლებისაგან: უკვე არსებობს ატომური და ქიმიური იარაღის საკონტინენტთაშორისო და ბალისტიკური რაკეტების უდიდესი არსენალი. ატომური ომი და შესაბამისად მსოფლიო ცივილიზაციის კატასტროფა რეალური ხდება, ამ საფრთხეს აცნობიერებს ორივე მხარის ხელისუფლებაც და საზოგადოებაც. შესაბამისად, იცვლება დამოკიდებულება ხელისუფლებასა და საზოგადოებას (ან საზოგადოების გარკვეულ ნაწილს) შორის, იწყება ახალი სტრატეგიულ-პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

როგორც ჩანს, ამავე პერიოდს უკავშირდება დასავლეთში ჩერჩილისეული ცივი ომის დოქტრინის ახლებური გააზრება, პრიორიტეტული მიმართულების დადგენა და აქცენტირება. მომდევნო პერიოდში ასეთ პრიორიტეტულ მიმართულებად თანდათან გამოიკვეთა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ კი, აღადგინა რა იმპერიის გავლენა მთელს აღმოსავლეთ ევროპაში, ქვეყნის შიგნით არსებულ სხვაგვარად მოაზროვნეებსაც მიხედა — მოქალაქეობა ჩამოართვეს და ქვეყნიდან გააძევეს ა. სოლჟენიცინი (დასავლეთში უკვე გამოქვეყნებული იყო

„არქიპელაგი გულაგი"), ბევრი დააპატიმრეს, ა. სახაროვს ჩამოართვეს აკადემიკოსობა (თავისთავად უპრეცედენტო ფაქტია კაცობრიობის ისტორიაში) და ფაქტიურად შიდა პატიმრობაში აიყვანეს, შემდეგ კი მოსკოვიდან გაასახლეს. მთელი ძალით ამუშავდა კგბ-ს რეპრესიული, საინფორმაციო („დანოსჩიკების"), ანალიტიკური და პროპაგანდისტული მექანიზმი, დაწესდა უმკაცრესი ცენზურა თავისუფალი აზრის წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სწორედ ამავე პერიოდში იწყება ხელისუფლების მიერ აკრძალული ლიტერატურის არალეგალური გავრცელება; თუმცა გავრცელების გეოგრაფიული და პიროვნული არეალი საკმაოდ შეზღუდულია და ხელისუფლებისათვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

ამდენად, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ იმპერიის მესვეურთ მაინც აწუხებთ ერთი საკითხი — ესაა საზღვრები ევროპაში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპის პოლიტიკური რუკა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ძირითადად დამარცხებული გერმანიის ხარჯზე. დასავლეთის სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ დე ფაქტო ეცნოთ არსებული რეალობა, თუმცა დღის წესრიგიდან არ ხსნიდნენ საზღვრების გადასინჯვის შესაძლებლობას.

საბჭოთა ხელისუფლება იმდენადაა დაინტერესებული ამ პრობლემის მოგვარებით, მზადაა, გარკვეულ კომპრომისზე წავიდეს, თუმცა კი, როგორც ეტყობა, დარწმუნებულია, რომ ეს დათმობა რაიმე სერიოზულ პრობლემას ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ ვერ შეუქმნის. თავის მხრივ, დასავლეთის სახელმწიფოები გრძნობენ, რომ ძალისმიერი პოლიტიკით ლაპარაკი სსრკ-თან ჯერჯერობით შეუძლებელია და გაუმართლებელ რისკთანაა დაკავშირებული, ამიტომ ორივე მხარე მიდის კომპრომისზე: დასავლეთი აღიარებს ომისშემდგომი საზღვრების ხელშეუხებლობას ევროპაში (ტერიტორიული პრობლემა ომის შემდგომ წარმოიშვა სსრკ-სა და იაპონიას შორისაც. შეთანხმება დღემდე არაა მიღწეული და იურიდიულად იაპონიასა და რუსეთს შორის დღეს საომარი მდგომარეობაა!), სანაცვლოდ სსრკ უერთდება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაციას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციას და მათი განუხრელი და უთუო დაცვის ვალდებულებას კისრულობს.

ევროპის ქვეყნები, მათთან ერთად კანადა და აშშ, ჰელსინკში ხელს აწერენ შეთანხმებას, რომელიც შემდგომ ჰელსინკის ხელშეკრულების სახელით ხდება ცნობილი.

ჰელსინკის ხელშეკრულება, ბუნებრივია, სხვა პუნქტებსაც შეიცავდა — უარის თქმა ძალის გამოყენებაზე, სუვერენიტეტის პატივისცემა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთილიანობა, პრობლემათა მშვიდობიანი გზით მოგვარება და სხვა; მაგრამ, ვფიქრობ, ჩემს მიერ ზემოთ მოტანილმა ორმა პუნქტმა განსაზღვრა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შემდგომ განვითარებული პოლიტიკური პროცესები.

ჰელსინკის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა იყო საბჭოთა დიპლომატიის უდიდესი შეცდომა. ხელისუფლებამ ვერ წარმოიდგინა და ვერ განსაზღვრა, თუ რა მძლავრ იარაღად იქცეოდა დასავლეთის ხელში ადამიანის უფლებათა დაცვა. ეს იყო ნელი მოქმედების მრავალჯერადი ნაღმი, რომელიც მთელ შემდგომ პერიოდში მოსვენებას არ აძლევდა საბჭოთა პოლიტიკურ თუ ინტელექტუალურ ელიტას.

მახსოვს, პირველი პრესკონფერენცია მ. გორბაჩოვმა პარიზში გამართა. არ ვიცი, ნ. ხრუშჩოვს ჩაუტარებია თუ არა პრესკონფერენცია, მაგრამ ჩემს მახსოვრობაში მ. გორბაჩოვი იყო სკკპ პირველი გენერალური მდივანი, რომელმაც ჟურნალისტებთან პირისპირ შეხვედრა გაბედა. ეტყობა, თავად ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული საბჭოთა ხელისუფლების მიერ, რომ გამონაკლისი დაუშვეს და პატიმრებს უფლება მოგვცეს ტელევიზიით გვენახა პრესკონფერენციის რეპორტაჟი (ჩვეულებრივად, როგორც წესი, გვაყურებინებდნენ „ვრემიას" და შემდეგ, როგორც მოესურვებოდათ); როდესაც შესავალი ნაწილი მორჩა და ჟურნალისტებს კითხვების დასმის საშუალება მიეცათ, ერთ-ერთმა მათგანმა მ. გორბაჩოვს ჰკითხა: როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში 4 მილიონამდე პოლიტპატიმარია და როგორია თქვენი დამოკიდებულება მათდამიო. მ. გორბაჩოვი ძალიან ააღელვა ამ კითხვამ და დაიწყო მტკიცება, რომ არ შეიძლება საბჭოთა კავშირში 4 მილიონი პოლიტპატიმარი იყოს, მაშინ გამოდის, რომ ყოველ 50 კაცში ერთი პოლიტპატიმარია და ეს ხომ თავისთავად აბსურდია, რამდენიმე ასეული კაცი შეიძლება არის, მაგრამ 4 მილიონი ხომ წარმოუდგენელიაო. ამ პასუხმა ჩვენ დიდად გაგვამხიარულა. ლიტველმა დისიდენტმა მამა ალფონს სვარინსკასმა ხმამაღლა გამოგვიცხადა: „ია ჟე ვამ გავარილ, გასპადა, ონ პრედსედატელ კოლხოზა, ნე ბოლშე!" და, რა თქმა უნდა, ამ

განცხადების გამო „ლარიოკში" (მალაზია, სადაც პატიმრებს უფლება ჰქონდათ თვის განმავლობაში 5 მანეთამდე მათთვის საჭირო პროდუქცია შეეძინათ) ვაჭრობის უფლებაც დაკარგა. საქმე ის იყო, რომ ჟურნალისტმა აშკარად ფანდი იხმარა — მას მშვენივრად ესმოდა, რომ საბჭოთა კავშირში 4 მილიონი პოლიტპატიმარი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ისიც იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები საერთოდ უარყოფდნენ პოლიტპატიმართა არსებობას (ისევე, როგორც ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება უარყოფს საქართველოში პოლიტპატიმართა არსებობას. სხვათა შორის, იმ პრესკონფერენციას ბატონი ე. შევარდნაძეც ესწრებოდა), ამიტომ განგებ გაკეთდა აქცენტირება 4 მილიონზე, რომ მ. გორბაჩოვს 4 მილიონი პოლიტპატიმრის არსებობა კი უარეყო, მაგრამ პოლიტპატიმრების არსებობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ, თუნდაც ერთის, რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, დაედასტურებინა. ჟურნალისტმა მიზანს მიაღწია და ამ ფაქტმა გამოიწვია ჩვენი მხიარულება.

ჰელსინკში ხელმოწერილ დოკუმენტს, შეიძლება ითქვას, მელანი არც კი შეშრობოდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში, აგრეთვე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში, მოსკოვსა და ლენინგრადში შეიქმნა ჰელსინკის კავშირი. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები იმდენად ყოვლისმომცველი თემაა, რომ, როგორც ცალკეულ პიროვნებათა პრობლემებზე საუბრის, ასევე ზოგადად ეროვნული პრობლემების განხილვისა და გააზრების საშუალებას იძლევა.

70-იანი წლების ბოლოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების მიუხედავად, სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია ახალი დისიდენტური ტალღა, რომელიც თავისი გეოგრაფიული არეალითაც და რაოდენობრივადაც უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე 60-იან წლებში.

ჰელსინკის კავშირი იმპერიის ცენტრსა და განაპირა რეგიონებში როგორც ორგანიზაციული ფორმით, ასევე მუშაობის სტილით და პრობლემატიკით ერთი შეხედვით თითქოს არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ საბოლოო მიზანი აშკარად სხვადასხვა იყო.

როგორ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, ხელისუფლებისა და კგბ-ს წარმომადგენლები უფრო ზუსტად ხედავდნენ ამ განსხვავებას, ვიდრე რუსი დისიდენტები. ზონაში ერთ-

ერთი საუბრის დროს ყველასათვის მოულოდნელად გაირკვა, რომ ყველა რუსმა დისიდენტმა პატიმრობისას, ვიდრე სასამართლო პროცესი შედგებოდა, გარკვეული დრო გაატარა და შემოწმება გაიარა ავადსახსენებელ სერბსკის „ფსიხუშკაში" (ამ „ფსიხუშკაში" წლების განმავლობაში იმყოფებოდა გენერალი გრიგორენკო და ბოლოს და ბოლოს, როდესაც მისი ემიგრირება მოხდა, სწორედ მისი მოგონებები გახდა ერთ-ერთი საფუძველი საბჭოთა ფსიქიატრების მსოფლიო ფსიქიატრიული საზოგადოებიდან გარიცხვისა), ხოლო დანარჩენებიდან არცერთს არ გვქონდა გავლილი ასეთი შემოწმება. ამ ფაქტმა რუსების გაკვირვება და გაოცება გამოიწვია. აწ განსვენებულმა ზურაბ გოგიამ მისთვის ჩვეული იუმორით განუმარტა მიზეზი: ჩვენო, — უთხრა, — დაპყრობილი ერი ვართ და დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით, ეს ბუნებრივი და ნორმალური მოვლენაა და ხელისუფლებისთვისაც და კგბშნიკებისთვისაც გასაგებია, ამიტომ არავითარ ფსიქიატრიულ შემოწმებას არა ვსაჭიროებთ, მათ ის ვერ გაუგიათ, თქვენ, იმპერიული ერის წარმომადგენლები, რატომ ებრძვით საკუთარ იმპერიას და ამიტომაც გამოწმებენო.

70-იანი წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ ჰელსინკის ხელშეკრულების გაფორმებამდე, რუსულ დისიდენტურ მოძრაობას ორი შეუვალი ავტორიტეტი, ორი კორიფე ჰყავდა — ნობელის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე სოლჟენიცინი და აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი. დისიდენტურ მოძრაობაში მოსვლამდე მათ ცხოვრების სხვადასხვა გზა განვლეს — ა. სოლჟენიცინმა საბჭოთა პატიმრის ტანჯული და შეურაცხმყოფელი, დამცირებითა და საკუთარი უმწეობის შეგრძნებით სავსე გულაგებსა და გადასახლებებში, ა. სახაროვი კი მყუდრო და კომფორტაბელური კაბინეტიდან ხალიჩიანი დერეფნის გავლით შეუერთდა სხვაგვარად მოაზროვნეებს, შესაბამისად, განსხვავებული იყო მათ მიერ საბჭოთა სინამდვილის, რეალობის აღქმა.

ა. სოლჟენიცინმა საკუთარით თვალით, შელამაზებული პარტიული ისტორიისა და სახელმწიფო დოკუმენტების გარეშე „გულაგის" ერთფეროვან და ნაცრისფერ სამყაროში უშუალოდ ნახა ის ხალხი, ვინც თავისი ცხოვრებით ქმნიდა სსრკ-ს ისტორიას — თეთრგვარდიელები და წითელარმიელები, ბოლშევიკები თუ მენშევიკები, ლენინური გვარდიის წარმომადგენლები, ტროცკისტები, სტალინელები, ფაშისტები და ანტიფაშისტები, ნაციონალ-უკლონისტები და ინტერნაციონალისტები,

ჩეკისტები და ბენდეროველები — მოკლედ, ათასნაირი რჯულის, ეროვნებისა და პოლიტიკური შეხედულებების წარმომადგენლები. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთ ბანაკში იხდიდნენ სასჯელს ბრალდებულიცა და ბრალმდებელიც, ორივე უკვე „ხალხის მტრად" შერაცხულნი.

ეტყობა, იმდროინდელ სიტუაციებს ასახავს ანეკდოტი, რომლის მოყოლაც ძალიან სიამოვნებდათ ძველ „ზეკებს": კამერაში ზის სამი პატიმარი. ერთი ეკითხება მეორეს, რატომ ზიხარო? ის პასუხობს, გომულკას მონინაალმდეგე ვიყავიო! შენო? — უბრუნებს კითხვას.— მე გომულკას მომხრე ვიყავიო; შენ რატომღა ჩაგსვესო? — ჰკითხეს მესამეს. მე თავად ვარ გომულკაო! — იყო პასუხი. გომულკა პოლონეთში კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რომელსაც ხან აპატიმრებდნენ და ხანაც უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე ნიშნავდნენ.

მოკლედ, რეპრესიები არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა და, აქედან გამომდინარე, არც არავის ჰქონდა გარანტია, რომ თავადვე მათი მსხვერპლი არ გახდებოდა. ეტყობა, სწორედ ამიტომ თავიდანვე და შემდეგშიც პატიმართა ბანაკები წარმოადგენდა იმ ადგილებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელი იყო საკუთარი აზრის დაუფარავად გამოთქმა.

გავიგეთ, რომ ბანაკის უფროსის მოადგილე რეჟიმის დარგში პენსიაზე გადიოდა. ერთ-ერთმა პატიმარმა ჰკითხა, მართალია თუ არაო. კიო, — იმანაც დაუდასტურა. მაშინ იქნებ მისამართი დაგვიტოვოთ, სადაც იცხოვრებთო!

— მისამართი რად გინდათო? — გაუკვირდა რეჟიმის უფროსს.

— ჩვენ რომ მოვალთ ხელისუფლებაში, თქვენს დასაპატიმრებლად ბევრი ძებნა რომ არ დაგვჭირდესო! — უპასუხა პატიმარმა.

მოკლედ, სოლჟენიცინმა მშვენივრად იცოდა, თუ როგორ „ნებაყოფლობით" საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული სსრკ — „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური", საუკუნოდ რომ შეადუღაბა „დიდმა რუსმა ხალხმა" (საერთოდ, საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორი წერტილიდან — კრემლიდან და „გულაგიდან" ჩანდა რეალურად, შიშვლად, ყოველგვარი იდეოლოგიურ-დემაგოგიური საბურველის გარეშე საბჭოთა სისტემის „ხიბლიცა" და სიმახინჯეც).

რაც შეეხება ა. სახაროვს, საბჭოთა წყალბადის ბომბის მამას, მან

ცხოვრების დიდი ნაწილი საბჭოთა ქვეყნის სამხედრო პოტენციალის შექმნას და გაძლიერებას შესწირა. იმპერიის მესვეურთათვის ის ერთ-ერთი ყველაზე საიმედო პიროვნება იყო და სამეცნიერო-პოლიტიკურ ელიტაში შესაბამისი საზოგადოებრივი მდგომარეობაც ეჭირა.

პირველი ბზარი ა. სახაროვსა და ხელისუფლებას შორის მაშინ გაჩნდა, როდესაც ლაპარაკი დაიწყო ბირთვული იარაღის გამოცდის შეზღუდვაზე. საბჭოთა ხელისუფლება სიტყვით მომხრე იყო ბირთვული იარაღის არა მარტო შეზღუდვის, არამედ სრული განიარაღებისაც, კისრულობდა საერთაშორისო ვალდებულებებს, ხელს აწერდა ორმხრივ თუ მრავალმხრივ შეთანხმებებს, მაგრამ, როგორც წესი, არ იცავდა მათ; მეტიც, კიდევ უფრო ზრდიდა დაფინანსებას მასობრივი განადგურების იარაღის ახალ-ახალი ტიპების შექმნისათვის აუცილებელ პროგრამებზე. ყოველივე ამან და კარიბის ზღვის კრიზისმა, რომელსაც ბირთვულ შეჯახებაში გადაზრდამდე ცოტა დააკლდა, ნათლად დაანახა სახაროვს როგორც მსოფლიო ცივილიზაციის კატასტროფის რეალობა, ასევე ის წყარო, საიდანაც საფრთხე უშუალოდ მოდიოდა და თუ სოლჟენიცინი დასაშვებად მიიჩნევდა საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს დაშლას, სახაროვისათვის ეს აბსოლუტურად მიუღებელი ჩანდა, რაც აისახა კიდეც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მისეულ ვარიანტში. ასევე იყო განწყობილი რუსი დისიდენტების აბსოლუტური უმრავლესობა.

ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც 1987 წელს ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ჟურნალ „ოგონიოკში" გამოქვეყნებული მოთხრობისათვის ამ ჟურნალის პრემიის ლაურეატიც კი გახდა, პოლიტიკური დისკუსიების დროს (ასეთები ზონაში ხშირად იმართებოდა) საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო არგუმენტად სხვა უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, განაცხადა: „რა დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, საქართველოს სამხედრო გზით პუშკინს უმოგზაურიაო!"

დისიდენტები ა. სოლჟენიცინს განიხილავდნენ უფრო როგორც მწერალს, ვიდრე პოლიტიკოსს, სახაროვს კი რუსული დისიდენტური მოძრაობის და ახალი რუსული პოლიტიკის პატრიარქად მიიჩნევდნენ.

ზუსტად ანალოგიური მიდგომა გამოამჟღავნა მ. გორბაჩოვის გუნდმაც — მაშინ, როდესაც ა. სახაროვი არა მარტო დააბრუნეს გადასახლებიდან, არამედ უზენაესი საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს და საშუალება მისცეს, მთელი კავშირის და მსოფლიოს გასაგონად გამოეთქვა თავისი

შეხედულებები, ა. სოლჟენიცინს მოსკოვში დაბრუნების უფლებასაც არ აძლევდნენ (მოსკოვში ის გაცილებით გვიან ჩავიდა).

მიუხედავად ყოველივე ზემოთთქმულისა, ქართული დისიდენტური მოძრაობის მთლიანად გამოყოფა სსრკ-ში მოქმედი სხვა ანალოგიური ჯგუფებისაგან და მისი ცალკე განხილვა, განსაკუთრებით 70-იანი წლების შუა პერიოდში, ვფიქრობ, სწორი არ იქნება.

ობიექტური მიზეზების გამო, მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედი ჰელსინკის კავშირის წევრები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ საშუალებას დაკავშირებოდნენ დასავლეთის საინფორმაციო და პოლიტიკურ წრეებს. ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში აკრედიტებულ უცხოელ ჟურნალისტებს მხოლოდ მოსკოვში ჰქონდათ შედარებით თავისუფალი გადაადგილების საშუალება. კგბ-ს აგენტურის თვალთვალი არც იქ აკლდათ, მაგრამ მოსკოვს გარეთ გასვლისთვის სპეციალური ნებართვა სჭირდებოდათ. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში არალეგალური ლიტერატურის შემოტანა ძირითადად მოსკოვში ხერხდებოდა და შემდგომ ხდებოდა მისი განაწილება. ყოველივეს ისიც ემატებოდა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, დისიდენტური მოძრაობის საწყის ეტაპზე პრობლემატიკა იდენტური იყო, რაც, როგორც ქვეყნის შიგნით რუს დისიდენტებში, ასევე ქვეყნის გარეთ, დასავლეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცენტრებში, ქმნიდა დისიდენტური მოძრაობის ერთიანობის და, აქედან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი ქვეყნის აღქმის ილუზიას. გამონაკლისს მხოლოდ ბალტიისპირა ქვეყნები წარმოადგენდნენ და ისიც ნაწილობრივ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთი ბოლომდე ვერასდროს სწვდებოდა და, სამწუხაროდ, ვერც დღეს სწვდება საბჭოთა კავშირში, იგივე რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მიუხედავად ზღვა ინფორმაციისა, რომელსაც დასავლეთი ფლობდა პირდაპირი თუ არაპირდაპირი არხების საშუალებით, მიუხედავად ამ ინფორმაციის დეტალური და მეცნიერული დამუშავებისა, სოვეტოლოგიის მთელი სისტემის შექმნისა და ჩამოყალიბებისა, ეტყობა, სსრკ შორიდან გაცილებით ძლიერი, მყარი და სიცოცხლისუნარიანი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

ამიტომ, როგორც ჩანს, დასავლეთი პირველ ეტაპზე მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობლემათა გადაჭრით, ამ ქვეყნებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებით დაკმაყოფილდებოდა.

ბალტიისპირა რესპუბლიკების საკითხის წამოჭრა მათი მხრიდან საბჭოთა ქვეყნის ლიდერებთან უფრო დიპლომატიური პაექრობის პროცესში „დასათმობად" გამიზნულ პაკეტს ჰგავდა, ვიდრე პრინციპულ პოზიციას. საბჭოთა იმპერიის ასეთ სწრაფ რღვევას ისინი, ეტყობა, ყველაზე რადიკალურ თეორიულ ვერსიებშიც კი არ იხილავდნენ, ამიტომ, როცა პროცესი დაიწყო, დასავლეთი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ახლადშექმნილი პოლიტიკური რეალობის წინაშე და იმასაც კი შეეცადა, როგორმე შეეჩერებინა ეს პროცესი (გარეგნულად მაინც — გავიხსენოთ პრეზიდენტ ბუშის განცხადება კიევში, რომ საბჭოთა კავშირი ერთიანი სახელმწიფოა). სწორედ ამიტომ, თუ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შედარებით იოლად გადაიტანეს გარდამავალი პერიოდი, ხოლო დანარჩენ რესპუბლიკებში ეს პროცესი გაცილებით გაჭიანურებული და მტკივნეულია როგოც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ დასავლეთმა ამ ქვეყნებისადმი თავისი დამოკიდებულების განსაზღვრა, მათდამი პოლიტიკური კურსის შემუშავება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ ქვეყნებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამ პოლიტიკური კურსის შემუშავება, ჩამოყალიბება და ორიენტირების განსაზღვრა დღესაც გრძელდება და უფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე კონკრეტული და მიზანმიმართული. ეკონომიკური დახმარება, რასაც ამ ქვეყნებს, უფრო სწორად კი ამ ქვეყნების მმართველ ბიუროკრატიას უწევენ, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად შედეგიანია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

როდესაც სსრკ-ს დაშლაზეა ლაპარაკი, საინტერესო და საყურადღებოა თვალი გავადევნოთ რუსეთის როლსა და ბ. ელცინის პოლიტიკური ფიგურის დაცემასა და აღზევებას — საბჭოთა იმპერიის მმართველი უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელთა პრივილეგირებული მდგომარეობის კრიტიკოსიდან, რამაც მას უზარმაზარი ავტორიტეტი მოუხვეჭა რუსულ მოსახლეობაში (სოციალური სამართლიანობისთვის მებრძოლი, ხელისუფლებისაგან დევნილი და უმუშევარი ადამიანიდან — რუსეთის პრეზიდენტობამდე!), შემდეგ აგვისტოს პუტჩი მოსკოვში და „დემოკრატიისათვის წამებული რაინდები" და ბოლოს, ბელოვეჟის ხელშეკრულება, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლა კი გააფორმა, მაგრამ სათავე დაუდო ახალი თანამეგობრობის შექმნას („მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!"). ყოველივე ამაში იმდენად ნათლად ჩანს ძლიერი მაორგანიზებელი ძალა, იმდენად მკაცრად ლოგიკურია მოვლენათა

განვითარების თანმიმდევრობა, რომ ფაქტობრივად ყოველგვარ მოულოდნელობასა და სიურპრიზს გამორიცხავს. ალბათ ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, რომ მოვლენათა მთელი ეს ჯაჭვი შემთხვევითობათა ფატალურ დამთხვევად წარმოიდგინოს (გამუდმებით მიდიოდა ლაპარაკი მოლოტოვ-რიბენტროპის საიდუმლო პაქტზე, რომლის უარყოფა რუს დისიდენტებს, უბრალოდ, არ შეეძლოთ).

და მაინც, ვინ იყვნენ დისიდენტები? როგორ აღიქვამდნენ მათ საქართველოში, საბჭოთა კავშირში და ბოლოს, როგორ აღიქვამდნენ ისინი საკუთარ თავს?!

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა აღიარება არ ნიშნავდა ბრძოლას მხოლოდ სიტყვის, პრესის, მიტინგის, ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. თუ უფრო რეალურად შევხედავთ საკითხს, ეს იყო ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარება, რაც თავისთავად დასავლური ცხოვრების წესს გულისხმობდა და, აქედან ჯამომდინარე, უპირისპირდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებს. ამდენად, დასავლეთისთვის დისიდენტები წარმოადგენდნენ იდეურ ჰოკავშირეს. მეორეს მხრივ, დასავლეთის ფართო საზოგადოებისთვის, რომელსაც საბჭოთა სატუსაღოს უბრალო აღწერაც კი შოკში აგდებდა, ასეთ ურჩხულთან მებრძოლი ადამიანები ჰეროიკულ-რომანტიკული გმირის საბურველში იყვნენ გახვეულნი.

1986 წელს ზონაში ინფორმაცია მოვიდა, რომ ი. კოვალიოვის (სერგეი კოვალიოვის ვაჟი, სასჯელს იხდიდა პერმის 835-ე ზონაში) მეუღლეს, რომელიც ანტისაბჭოური საქმიანობისათვის მორდოვიის ქალთა კოლონიაში იხდიდა სასჯელს, 188 III მუხლის გამოყენებით პატიმრობის ვადა გაუგრძელეს (ეს მუხლი, თუ არ ვცდები, მიღებულ იქნა ანდროპოვის მმართველობის პერიოდში, პატიმართა ყველა ბარაკში თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული და ითვალისწინებდა სასჯელის დამატებას 2-დან 5 წლამდე. თუკი ბანაკის ან ციხის ადმინისტრაცია ჩათვლიდა, რომ პატიმარმა, მართალია, სასჯელი მოიხადა, მაგრამ არ გამოსწორებულა, ასეთ შემთხვევაში იქვე, ბანაკის კომენდატურაში იწვევდნენ სასამართლოს. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ეს მუხლი უშუალოდ დისიდენტების წინააღმდეგ შემოიღეს, რადგან ხელისუფლება, რომელსაც არ სურდა სასჯელის მოხდის შემდეგ გაეთავისუფლებინა დისიდენტები, იძულებული იყო, მათთვის

პროვოკაცია მოეწყო და ხულიგნობის ან რაღაც ამგვარი ქმედებისათვის ხელახლა გაესამართლებინა — ასე მოექცნენ მ. კოსტავას, ე. სტუსს და სხვებს. ამგვარმა სასამართლოებმა დასავლეთში საკმაოდ დიდი უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია, რადგან ყველაფერი თეთრი ძაფით იყო ნაკერი. ამ მუხლის შემოღების შემდეგ მშვიდად და უმტკივნეულოდ დაუსრულებლად შეეძლოთ პატიმრობის ვადის გაგრძელება). ალბათ, გასაგებია, რომ ამ ინფორმაციას ჩვენში დიდი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია. ვისხედით, ვსაუბრობდით და ვიხსენებდით, თუ ვინ გარდაიცვალა, ვინ თავი ჩამოიხრჩო, ვინ დახურულ ციხეში გადაიყვანეს და ვინ „ფსიხუშკაში" მოათავსეს. არ მახსოვს, ვიღაცამ თქვა: თუ სიმართლე გინდათ, მთლად ნორმალურები არც ჩვენ ვართო! ფრაზა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ გაიღო კარი და ოთახში 60 წელს გადაცილებული, ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება შემოვიდა, ერთი შეგვათვალიერა, მერე გაიღიმა, გაპრიალებული ჩექმის ქუსლები ერთმანეთს ჰუსარივით შემოჰკრა და რომაულ-ნაცისტური ხელის აწევით მოგვესალმა. სცენა იმდენად მოულოდნელი და კომიკური იყო, რომ ყველას სიცილი აგვივარდა; ა, ბატონო, შეხედეთ, ეს სერიოზული კაციც კი რა დღეშიაო, — დაასრულა იმავე პატიმარმა.

ბუნებრივია, დასავლეთს რაიმე რეალური დახმარების გაწევა არ შეეძლო. მათი შესაძლებლობები მხოლოდ მორალური მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა, მაგრამ თუ რომელიმე დისიდენტს ქვეყნიდან გააძევებდნენ, ან თავად მოახერხებდა როგორმე დაეხსნა თავი საბჭოთა კავშირის კლანჭებიდან, მას აძლევდნენ პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსს, რაც თავისთავად სინამდვილეს შეესაბამებოდა, შესაბამისი შეღავათებით.

საბჭოთა კავშირში დისიდენტებისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. უფრო სწორად, ოფიციალურად მათი მხარდაჭერა იგივე დისიდენტობას ნიშნავდა. მე არ მახსოვს და არც სხვებისგან გამიგონია, რომ ამგვარი პრეცედენტი სადმე მომხდარიყოს. ერთადერთი, რასაც ამბობდნენ, ის იყო, რომ, როდესაც აკადემიკოს სახაროვის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო და ხელისუფლებამ გადაწყვიტა მისთვის აკადემიკოსის წოდება ჩამოერთმია, აკადემიის სისტემაში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. მთელ სისტემაში, კავშირის მასშტაბით, მხოლოდ აკადემიკოს კაპიცას (მამას) ეყო გამბედაობა,

უარი ეთქვა ხელმოწერაზე და ამ სიბინძურეს არ შეერთებოდა. ხდებოდა ისიც, რომ მავანი და მავანი მხოლოდ გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ იგებდა, რომ ხელი მოუწერია განცხადებაზე, მაგრამ, როგორც წესი, პროტესტის გამოთქმას ვერ ბედავდა. ეს, რაც შეეხება პოზიციის ოფიციალურ დაფიქსირებას, ასე ვთქვათ, მედლის ერთი მხარე იყო. უფრო რეალურ პოზიციას მხოლოდ ვიწრო წრეში, ახლობლების გარემოცვაში გამოთქვამდნენ და იგი, ძალიან ხშირად, კარდინალურად განსხვავდებოდა პირველისაგან. სხვა საკითხია, ვინმეს მოსწონს ეს თუ არა, ან რამდენად ზნეობრივია ამგვარი ორმაგი მორალური ცხოვრება, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა საზოგადოება ამგვარი ორმაგი სტანდარტით ცხოვრობდა და ნაწილობრივ დღესაც ცხოვრობს.

საზოგადოების ორმაგი მორალის ასახვას წარმოადგენს ჩემი სტუდენტობის პერიოდში საკმაოდ პოპულარული ანეკდოტი თუ ამბავი: კრიტიკოს ბესო ყღენტს ოჯახურ წრეში საკმაოდ ცუდად მოუხსენებია ერთი ქართველი პოეტის შემოქმედება. რამდენიმე დღის შემდეგ პოეტი შეხვედრია ბატონ ბესოს და საყვედური უთქვამს. კრიტიკოსი ძალიან გაულიზიანებია ამ საყვედურს და უპასუხია: რა გინდა, კაცო, პრესაში გაქე, რადიოში გაქე, ტელევიზიაში გაქე, სახლში მაინც მათქმევინეთ სიმართლეო!

ამაოდ სთხოვდა ა. სოლჟენიცინი თავის კოლეგებს და არა მარტო მათ, მთელ საბჭოთა საზოგადოებას, ნუ ვიცხოვრებთ სიცრუეში, ნუ ვიტყვით ტყუილს და ყველაფერი გამოსწორდებაო. სიმართლის თქმას კი არ ითხოვდა, ტყუილს ნუ იტყვითო, ამას იხვეწებოდა; არაფერი გამოვიდა, ერთი მოწოდება რას იკმარებდა, როცა საუკუნეები უნერგავდნენ თაობებს „არა იცრუოთო" და ძნელად თუ აღწევდნენ მიზანს. მით უფრო გულუბრყვილოდ ეღერდა ეს მოწოდება საზოგადოებისთვის, რომელსაც 30-წლიანი ფიზიკური და სულიერი ტერორი, II მსოფლიო ომის საშინელებები გამოევლო და მთლად თუ ვერ გაათეისტებულიყო, ღვთის რწმენა ნამდვილად დაეკარგა და მართლაც „ყველაფერი დასაშვები გამხდარიყო". შინაგანად გაორებული, მორალურ და ზნეობრივ ნორმებშერყეული საზოგადოებისთვის, თუკი ადამიანთა ასეთ ერთობლიობას შეიძლება საზოგადოება ეწოდოს, დისიდენტთა გამოჩენას ერთგვარი შოკისმომგვრელი ეფექტი ჰქონდა — სრულიად მოულოდნელად გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არ შეუშინდნენ ამ ვეებერთელა, დაუნდობელ რეპრესიულ აპარატს და

თქვეს სიმართლე, სიმართლე უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე საკუთარი კეთილდღეობა და სიცოცხლე; ყველამ მშვენივრად იცოდა, რა მოელოდათ მათ, დისიდენტებმაც იცოდნენ, იცოდნენ და მაინც ამბობდნენ, ამხელდნენ, იბრძოდნენ.

შეუძლებელი იყო, საზოგადოებას, თუნდაც საბჭოურს, გულგრილად ედევნებინა თვალი ამ პროცესისათვის. აზრს გამოთქვამდა ყველა, მაგრამ ფრთხილად, ვიწრო წრეში, სანდო და ახლობელ ადამიანებთან. დიდი, ძალიან დიდი იყო შიში რეპრესიებისა; საკმარისი იყო შესაბამის ორგანოებში მოხვედრილიყო ინფორმაცია არა თუ მხარდაჭერისა, უბრალოდ თანაგრძნობისაც კი, რომ ასეთი პიროვნება არასაიმედოდ იყო მიეჩნიათ, რაც მისთვის უკეთეს შემთხვევაში კარიერის დასრულებას მოასწავებდა. მე იმის თქმა არ მინდა, თითქოს საზოგადოება დისიდენტების მოღვაწეობას ცალსახად დადებითად აფასებდა, მხოლოდ აღტაცებას გამოხატავდა მათ მიმართ, — რა თქმა უნდა, არა, უფრო პირიქით: ითვლებოდა, რომ ყოველივე ეს სისულელე და ტყუილი თავგანწირვა იყო, მაგრამ იგივე საზოგადოება მთლიანობაში აღიარებდა იმ პრობლემების აქტუალობას, რაზეც დისიდენტები წერდნენ და ლაპარაკობდნენ. მხოლოდ ოფიციოზი აცხადებდა მათ ამბიციურ და ხელმოცარულ ცილისმწამებლებად, უცხო ქვეყნის აგენტებად, საბჭოთა სინამდვილის დამმახინჯებლებად.

იწყებოდა ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი საზოგადოებაში ჭეშმარიტი მორალურ-ზნეობრივი ორიენტირების ძიება-აღდგენისა (დამკვიდრებამდე ჯერ კიდევ შორი იყო) და ამ პროცესში დისიდენტებს, მიუხედავად იმისა, სურდათ მათ ეს თუ არა, მნიშვნელოვანი და რთული ფუნქციის შესრულება ეკისრებოდათ.

თავად დისიდენტები სრულიადაც არ აღიქვამდნენ თავს რაღაც განსაკუთრებულ პიროვნებებად, მით უმეტეს, გმირებად. ისინი თვლიდნენ, რომ აკეთებდნენ იმას, რაც უნდა გაეკეთებინათ და რაც მათი სულიერი მოთხოვნილება იყო. რა თქმა უნდა, გრძნობდნენ, რომ საზოგადოება ერთგვარი სიმპათიით და ინტერესით ადევნებდა თვალს მათ საქმიანობას, მაგრამ როგორი იყო რეალური ზეგავლენა, არ იცოდნენ და არც შეიძლებოდა სცოდნოდათ, რადგან დისიდენტური მოღვაწეობის პირველსავე ნაბიჯებზე რეპრესიებით დაშინებული ადამიანების უდიდესი ნაწილი კეთროვანივით გაურბოდა მათთან ურთიერთობას, რაც, ფაქტიურად, მათ ირგვლივ ქმნიდა ერთგვარ

იზოლაციურ გარემოს და საზოგადოებისგან გარიყულ პიროვნებებად აქცევდა მათ.

ეს დღევანდელი გადასახედიდან ჩანს ყველაფერი ასე მარტივად და გასაგებად, მაშინ კი, 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანის დასაწყისში, ნაკლებად აინტერესებდათ საზოგადოების ცნობიერებაზე მოქმედების ხარისხი, უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ პარამეტრების განსაზღვრა, რა პარამეტრებითაც უნდა ეცხოვრათ მათ თავად ციხეში თუ ციხის გარეთ. ერთი რამ რჩებოდა უთუო და შეუვალი — პიროვნება აბსოლუტურად თავისუფალი უნდა ყოფილიყო არჩევანში, ამიტომ საუბარი უფრო იმაზე იყო, მე რას ვაკეთებ, და არა — შენ რა უნდა გააკეთო.

ასეთი მიდგომა, ერთის მხრივ, ხაზს უსვამდა და ამკვიდრებდა დისიდენტების მთავარ პრინციპს — ადამიანის თავისუფლების უზენაესობას, მეორეს მხრივ კი ფსიქოლოგიურ დისკომფორტს არ უქმნიდა მათ, ვინც საკუთარი სინდისის წინაშე თავის მისიას ვერულებულად თვლიდა და აღარ აპირებდა დისიდენტური თუ პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას, ხოლო მათთვის, ვისაც პოზიციები არ შეუცვლია, არსებობდა წელიწადში მინიმუმ ორი დღე, 30 ოქტომბერი — საბჭოთა პოლიტპატიმრის დღე და 10 დეკემბერი — ადამიანის უფლებათა დაცვის დღე, როდესაც ისინი პროტესტის ნიშნად აცხადებდნენ შიმშილს და ამის შესახებ განცხადებით აცნობებდნენ გენერალურ პროკურორს, რითაც, კვლავ და კვლავ, ადასტურებდნენ საკუთარი პრინციპებისადმი ერთგულებას, რადგან შეუვალი ავტორიტეტები პოლიტპატიმრებში არ არსებობდნენ, ამიტომ, როგორც წესი, ყოველი დისიდენტი თავს ვალდებულად თვლიდა სხვისთვისაც ეჩვენებინა განცხადების ტექსტი და შემდეგ ერთად ჩაეშვათ საფოსტო ყუთში.

რა თქმა უნდა, იყვნენ პატივცემული და ავტორიტეტული ადამიანები, რომლებმაც საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში 15 და 20 წელზე მეტი გაატარეს, რეპრესირებულები იყვნენ სტალინის, ხრუშჩოვის და ბრეჟნევის პერიოდებში, მაგრამ ამ წესს ისინიც ემორჩილებოდნენ და, რაც მთავარია, მასში შეურაცხმყოფელსა და ღირსების შემლახავს ვერაფერს ხედავდნენ. ბოლოს და ბოლოს, ყოველ მათგანს მეტ-ნაკლებად ერთნაირი გზა გამოევლო სუკ-ის იზოლატორებისა და ხანგრძლივი ეტაპირებისა, ვიდრე ბედი პერმის პოლიტპატიმართა ბანაკებში მოახვედრებდათ.

ეს, რაც შეეხებოდა დამკვიდრებულ ნორმებს, მაგრამ კგბ და საბჭოთა პროპაგანდა ახალ-ახალ ცილისმწამებლურ პასკვილებს იგონებდა დისიდენტების წინააღმდეგ, რაც მათი მხრიდან აუცილებელ რეაგირებას მოითხოვდა. 80-იან წლებში აქცენტი ძირითადად „პოლიტიკური კაპიტალის" დაგროვებაზე კეთდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ ეს იარლიყი — „პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება" — ძლიერ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, საქართველოში უკლებლივ ყველა ხელისუფალი, დღევანდელის ჩათვლით, იყენებდა და იყენებს ამ იარლიყს ოპოზიციური კრიტიკის გასანეიტრალებლად.

მოხდა ისე, რომ ამ პერიოდში კგბ-მ რამდენიმე დისიდენტს შესთავაზა, უარი ეთქვა საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე და დაითანხმა ისინი განცხადება დაეწერათ, შემდეგ კი დააკმაყოფილა მათი „თხოვნა", საბჭოთა პროპაგანდამ კი ყველაფერი ისე წარმოადგინა, თითქოს დისიდენტები სიმართლისა და ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლნი კი არ არიან, არამედ დაქირავებული აგენტები, რომლებიც განგებ აყალბებენ საბჭოთა სინამდვილეს, ცილს სწამებენ საბჭოთა ხელისუფლებას და აიძულებენ მას (საწყალს!), გამოიყენოს რეპრესიები (ესეც ლოგიკა!), ამით აგროვებენ პოლიტიკურ კაპიტალს, რომ შემდეგ ემიგრაციაში წავიდნენო.

მართალია, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, საბჭოთა კავშირის აღსასრული მოახლოებული რომ იყო, მაგრამ როდის და როგორ მოხდებოდა ეს, არავინ იცოდა, მხოლოდ ამალრიკი ამტკიცებდა 70-იანი წლების დასაწყისში, 1984 წელს ვერ გადააცილებსო (შეიძლება ითქვას, რომ ეკონომისტისათვის საოცრად ზუსტი პროგნოზია). იმაშიც დარწმუნებული ვიყავით, რომ ბრეჟნევის პოლიტიკური არენიდან წასვლის შემდეგ აუცილებლად შეიცვლებოდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური კურსი. იყო ორი გზა: შემობრუნება უკან, სტალინური რეჟიმისკენ, მთელი თავისი ატრიბუტებით, სისხლით და ტერორით, მეორე — უფრო მეტი დემოკრატიისაკენ, ვიდრე ხრუშჩოვის დროს იყო, თუმცა ხრუშჩოვის გაბრძოლება მარცხით დამთავრდა. უფრო რეალური ჩანდა პირველი ვარიანტი — იგი რუსული მენტალიტეტის და სახელმწიფოებრიობისთვისაც უფრო ბუნებრივი და მისაღები იყო. ი. ანდროპოვმა დაიწყო კიდეც ამ მიმართულებით სვლა, მაგრამ არ დასცალდა (თუ არ დააცალეს?!).

ადვილი წარმოსადგენია, ანდროპოვის პოლიტიკური კურსი რომ გაგრძელებულიყო, დისიდენტები ჭეშმარიტად მრავალწლიან „პოლიტიკურ კაპიტალს" დააგროვებდნენ.

აქვე ერთი ამბავიც მინდა გავიხსენო: მ. გორბაჩოვის გუნდის მიერ „პერესტროიკის" დაწყებისა და რეკლამირების შემდეგ, როდესაც საბჭოთა იმპერიის ახალ მესვეურთა პოლიტიკური ორიენტირი შედარებით გამოიკვეთა, უკრაინელმა დისიდენტმა სინანულით თქვა: „ალბათ, გადასახლებაში წასვლა აღარ მომიწევს. შეიძლება არც ბოლომდე სასჯელის მოხდამ მომიწიოს. ამათ (იგულისხმება ხელისუფლება) რაღაც დაიწყეს, თავადაც არ იციან, რა უნდათ, სსრკ-ს კი დაანგრევენ, მაგრამ შემდეგ რა იქნება, ეშმაკიც ვერ გაარკვევს! ჯობდა, 5-10 წელი ისევ ანდროპოვი ყოფილიყო, ბარემ ისე დაშლიდა ყველაფერს, მისი აწყობა (სსრკ-ს აღდგენა ჰქონდა მხედველობაში) აზრადაც აღარავის მოუვიდოდაო". ამას ამბობდა კაცი, რომელმაც მშვენივრად იცოდა, რომ იმდენ ხანს იქნებოდა ციხეში, რამდენ ხანსაც ანდროპოვი ქეყვნის სათავეში, მაგრამ ისიც იცოდა, რომ სსრკ მასობრივ რეპრესიებს უკვე ვეღარ გაუძლებდა. ბუნებრივია, არანაირ „პოლიტიკურ კაპიტალზე"ლაპარაკი არ შეიძლებოდა და არც იყო, მაგრამ პროპაგანდისტული მანქანა მთელი ძალით მუშაობდა და თუ მყისიერი მოქმედება არა, გარკვეული პოზიციის ჩამოყალიბების აუცილებლობა ნამდვილად იდგა დღის წესრიგში. ცნობილი იყო ა. სოლჟენიცინის პოზიცია: ის მკვეთრად ნეგატიურად აფასებდა იმ დისიდენტთა ქმედებას, რომლებმაც თავად უარყვეს საბჭოთა მოქალაქეობა და მიაჩნდა, რომ მორალური უფლება ემიგრაციაში წასვლისა დისიდენტს მაშინ აქვს, თუ ხელისუფლება თავად ჩამოართმევს მოქალაქეობას და იძულების წესით გააძევებს ქვეყნიდან. ამ პრინციპს დისიდენტთა გარკვეული ნაწილი იზიარებდა, მაგრამ ვითარება გარკვეულწილად შეცვლილი იყო — 80-იან წლებში პოლიტიკურ რეპრესიებს განიცდიდნენ ებრაელებიც, რომლებიც ივრითის პროპაგანდისა და ისრაელში თავისუფალი ემიგრირებისათვის იბრძოდნენ, ამიტომ ა. სოლჟენიცინის ეს პოზიცია საკმაოდ მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა და მას აკრიტიკებდნენ არა მხოლოდ ებრაელები, თუმცა პრინციპი გადაწყვეტილების თავისუფლად მიღებისა ისევ და ისევ ძალაში დარჩა.

აი, ასეთები იყვნენ დისიდენტები ერთმანეთთან და სხვებთან მიმართებაში, ასე უყურებდნენ დისიდენტებსა და დისიდენტურ მოძრაობას შინ და გარეთ.

ქართული დისიდენტური მოძრაობა, როგორც ზოგადი პრობლემატიკით, ასევე ობიექტური პირობების გამო, საბჭოთა კავშირში არსებული დისიდენტური მოძრაობის ნაწილს წარმოადგენდა, რაც არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი დისიდენტების ყურადღების საგანი სსრკ-ში არსებული ზოგადი პრობლემები ყოფილიყოს. უფრო ხშირად და ძირითადად ხდებოდა ქართული, ეროვნული პრობლემატიკის განზოგადება. საწყის ეტაპზე, აუცილებელი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, ისინი სსრკ-ში შემოტანილი აკრძალული ლიტერატურის გავრცელებით იყვნენ დაკავებულნი, რაც კონსპირაციისა და არალეგალური მუშაობის ცოდნას მოითხოვდა. ამის გარკვეული, თუნდაც ბავშვური გამოცდილება კი მათ 1956 წელს დაწყებული არალეგალური საქმიანობიდან „გააჩნდათ", თუმცა იმ დიდი ჯგუფიდან დისიდენტურ მოძრაობას ორი კაცი — მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია შემორჩა, დანარჩენებმა სხვა გზა და სხვა საშუალებები მოძებნეს საკუთარი პოტენციალის რეალიზებისათვის. შემდეგ გამოჩნდა თვითგამოცემის ჟურნალი „ოქროს საწმისი", რომელიც, მართალია, შინაარსობრივად უფრო ლიტერატურული იყო, ვიდრე პოლიტიკური, მაგრამ ეტაპობრივი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სინამდვილისთვის. გარდა იმისა, რომ მასში ქართველ კლასიკოსთა ფართო საზოგადოებისათვის უცნობი თხზულებები ქვეყნდებოდა, პარალელურად იბეჭდებოდა თანამედროვე ქართველ მწერალთა ის ნაწარმოებები, რომლებიც ცენზურამ ამა თუ იმ მიზეზის გამო არ გაუშვა (ზოგიერთი მათგანი შემდგომში იტყვის, რომ არ იცოდა, ზვიად გამსახურდია თვითგამოცემის ჟურნალში თუ აპირებდა მისი ნაშრომის გამოქვეყნებას, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ექნება). ნახევარსაუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ ეს იყო პირველი თავისუფალი ბეჭდვითი ორგანო. როგორიც უნდა ყოფილიყო ჟურნალის შინაარსი, ხელისუფლებას მაინც არ შეეძლო ამ პრეცედენტის დაშვება, რადგან დიდი გამჭრიახობა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ, თუ ამ ფაქტს შეურიგდებოდა, მალევე გამოვიდოდა ისეთი ჟურნალი, რომლის შინაარსიც აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდებოდა. პრინციპში ასეც მოხდა — „ოქროს საწმისი" „საქართველოს მოამბემ" შეცვალა, რასაც ლოგიკური შედეგი — დისიდენტების რეპრესირება მოჰყვა.

ვაკვირდები, ტაქტიკურად როგორ სწორად და ლოგიკურად, როგორ ზუსტად აქვთ გათვლილი ჰელსინკის ჯგუფის წევრებს (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე) ყოველი ნაბიჯი — არალეგალური ლიტერატურა, „ოქროს საწმისი", „საქართველოს მოამბე", რეპრესირება. როგორ განუხრელად, ყოველგვარი ზიგზაგებისა და მიხვევ-მოხვევის გარეშე ვითარდება აღმავალი ხაზი. არ ვიცი, წინასწარ ჰქონდათ გათვლილი, არ ვიცი, შემთხვევით გამოუვიდათ და ამას არცა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ ყველაფერი იყო ზუსტი და კარგი, იმდენად კარგი, რომ ძალაუნებურად ვადარებ 90-იან წლებს, ვადარებ და... თუმცა ამაზე შემდეგ!

დისიდენტთა მოღვაწეობა მათი რეპრესირების გამო არც თუ ისე დიდი ხნით იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარი აფორიაქებისა და აქტივობის საგანი. ისიც აღსანიშნავია, რომ ერთია საზოგადოების დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის, პროცესის მიმართ და მეორე და უფრო მნიშვნელოვანი — ის გარემო, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რომელშიც ეს პროცესი მიმდინარეობს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გააზრება, უშუალოდ წინ რომ უსწრებდა საქართველოში დისიდენტური მოძრაობის დაწყებას. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ პერიოდში დაწყებულმა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა როგორც 90-იანი წლების მოვლენები, ასევე ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობაც.

60-იან წლებში იმპერიის ცენტრში დაწყებულ პროცესებს, რასაც სიტყვის შედარებითი თავისუფლება მოჰყვა, საქართველოში მხოლოდ გარკვეული ცნობისმოყვარეობით შეხვდნენ, რადგან ამ პროცესს ჩვენში თბილისის 1956 წლის ტრაგედია უსწრებდა წინ. ვინც კი ამ მოვლენას ეხება, ძირითადად 5-9 მარტის მოვლენების ქრონოლოგიური აღწერით კმაყოფილდება, ან ზოგიერთ დეტალს აზუსტებს, როგორც იმ დარბევების უშუალო მოწმე და მონაწილე, დანარჩენი თითქოს ისედაც ყველასათვის ცნობილია: სტუდენტმა ახალგაზრდობამ ვერ მოითმინა „საყვარელი ბელადისადმი" გულგრილი დამოკიდებულება და პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდა. ესაა და ეს! სხვაგვარი ინტერპრეტაცია, ან ამ ფაქტის სხვაგვარი გააზრება მე არ შემხვედრია, არადა, ამ ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპული ჩვენი თანამემამულენი, ეტყობა, გაუცნობიერებლად, უფრო დიდ საქმეს შეეწირნენ, ვიდრე „საყვარელი ბელადისადმი" გრძნობების თუ განცდების გამოხატვა იყო.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სტიქიურად, ერთი მაორგანიზებელი ცენტრის გარეშე ქუჩაში გამოსულ სტუდენტობას სხვებიც შეუერთდნენ და სტალინის ძეგლისაკენ დაიძრნენ.

ვისაც 1978 წლის 14 აპრილის მოვლენები ახსოვს, უთუოდ დამეთანხმება, რომ ერთი ცენტრი არც მაშინ არსებობდა. დემონსტრაციის მოწყობაზე გადაწყვეტილება არავის მიულია, ანუ გადაწყვეტილება მიიღო ყველამ ერთად. დაძაბულ, კრიტიკულ სიტუაციაში ხშირად მოქმედებს მექანიზმი: ვინმე წამოისვრის იდეას, რომელიც მომენტალურად პოულობს მხარდაჭერას და ყველანი იწყებენ მის რეალიზებას ისე, რომ რეალურად აღარავის ახსოვს, ვინ იყო ავტორი. ბოლო პერიოდში, პრეზიდენტი შევარდნაძე და საზოგადოების გარკვეული ნაწილი ცდილობენ, ისტორია თავიდან, სუფთად გადაწერონ და საზოგადოებას ისე წარმოუდგინონ, თითქოს ამ მოვლენების უხილავი დირიჟორი საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ყოფილიყოს.

მოხდა უპრეცედენტო ფაქტი — საბჭოთა იმპერიის არსებობის 30 წლის მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე გადაწყვიტა, თავისი აზრი გამოეხატა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რა მოთხოვნებს წამოაყენებდნენ, ან ვის დაუჭერდნენ მხარს, რადგან თავიანთი ქმედებით ისინი დაუპირისპირდნენ ყველაზე ძირეულს, საბჭოთა სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელ დოქტრინას: ყველაფერს წყვეტს და ახორციელებს ხელისუფლება, ხოლო მოქალაქეებს სრული მორჩილების უფლება აქვთ, ამიტომ მანიფესტანტები უნდა დასჯილიყვნენ და უნდა დასჯილიყვნენ სამაგალითოდ, ისე, რომ ვინც სიკვდილს გადაურჩებოდა, სახლში თავზარდაცემული, სულიერად გატეხილი, სიცოცხლის ბოლომდე ყველაფერში ხელისუფლების მოშიში და მორჩილი ყოფილიყო. ასეც მოხდა: რახან გაბედეს და ქუჩაში გამოვიდნენ, ჯერ მიუშვეს, აცალეს, ვიდრე პროტესტის ტალღა ბოლომდე აგორდებოდა და პროტესტანტების რაოდენობა მაქსიმუმს მიაღწევდა, ხელისუფლება ვითომდა კომპრომისებზეც წავიდა (გამოდის გაზეთ „კომუნისტის" ნომერი ბელადის სურათით), რომ უფრო წაექეზებინათ, გაელიზიანებინათ, ქუჩაში გამოეტყუებინათ. აქტიურად მუშაობს მე-5 კოლონა, ჩნდება ახალ-ახალი მოთხოვნები, წინადადებები, მაგრამ ძირითადი თემის ფარგლებში (ახალი თემის ან იდეის წამოყენება ხელისუფლების ინტერესებში არ შედის), რათა პროტესტანტებს

დამშვიდებისა და მით უმეტეს, დაშლის საშუალება არ მისცენ. დარტყმისათვის უკვე ყველაფერი მზადაა: პროტესტანტთა რაოდენობამ მაქსიმუმს მიაღწია, საკმარისი დრო გავიდა იმისათვის, რომ ვისაც სურვილი ჰქონდა, არა მარტო შეეტყო დედაქალაქში მიმდინარე მოვლენების შესახებ, არამედ შეერთებოდა კიდეც მათ. სურათის საერთო სისრულისათვის საჭირო იყო კიდევ ერთი რამ — მიზეზი, თვალსაჩინო მიზეზი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას მოვლენების გაყალბებისა და სასურველი ინტერპრეტირების საშუალებას მისცემდა. ეს მიზეზიც გაჩნდა — წამოვიდა ახალი წინადადება, ტელეგრამა გაეგზავნათ მოსკოვში, კრემლში და მანიფესტანტების ნაწილი კავშირგაბმულობის სასახლისაკენ დაიძრა, სადაც უკვე ელოდებოდნენ. სასახლესთან მისულებს ცეცხლი გაუხსნეს, პარალელურად დაიწყო სანაპიროზე დარჩენილ მომიტინგეთა ლიკვიდაცია (დაახლოებით ასეთივე სცენარით განვითარდა მოვლენები 1989 წლის 9 აპრილს — მიტინგი სწორედ მაშინ დაარბიეს, როდესაც იქ გაცილებით მეტი იყო ხალხის რაოდენობა, ვიდრე სხვა დღეებში. რას იზამ, იმპერიის ხელისუფალნი ცვლებიან, იმპერიის შენარჩუნების მეთოდები კი უცვლელი რჩება). დარტყმა მართლაც გამანადგურებელი აღმოჩნდა. შემდგომი პროცესები — ხალხმრავალი გასვენებების აკრძალვა, მომიტინგეთა სუკ-ში გამოძახება, დაკითხვა და სხვა, საჭირო იყო მოსახლეობაში შიშის ფაქტორის აღდგენა-დამკვიდრებისათვის. ამასთანავე დაჟინებით ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს მომიტინგეებს კავშირგაბმულობის შენობის აღება ჰქონდათ განზრახული.

ამრიგად, 1956 წლის მარტის მოვლენები, მიუხედავად გარეგნული გაშოხატულებისა, რეალურად საბჭოთა წყობილებისა და რუსული იმპერიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

სხვათა შორის, იმპერიის ხელმძღვანელობა ამ შემთხვევაშიც ზუსტად ჩასწვდა საქმის რეალურ არსს, რაზეც მეტყველებს ხელისუფლების მიერ ამ მოვლენის შემდეგ გატარებული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ღონისძიებები: გაუქმდა ნაციონალური სამხედრო შენაერთები (მანამდე საბჭოთა არმიაში იყო ასეთი ნანილებიც), მოკავშირე რესპუბლიკებში ცკ-ს II მდივნად დაინიშნა რუსი, როგორც მეთვალყურე ერთიანი რუსული იმპერიისა (მეფისნაცვლის ინსტიტუტის აღდგენა სხვა ფორმით შეუძლებელი იყო!). ამავე პერიოდიდან იწყება ავტონომიური რესპუბლიკების მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება, რათა, საჭიროების შემთხვევაში, თუკი იმპერიის ერთიანობას საფრთხე

დაემუქრება, ისინი გამოყენებულ იქნან, როგორც რუსული სახელმწიფოს პლაცდარმი, საყრდენი მოცემულ რეგიონში. ეს, ასე ვთქვათ, ხელისუფლების ის რეაქციაა, რაც უშუალოდ მოჰყვა 1956 წლის მოვლენებს და შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს.

არსებობდა მეორე მხარეც — თუმცა ძნელია, დღეს კატეგორიულად ამტკიცო, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ იმავე წლის შემოდგომაზე ახალგაზრდათა ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეექმნათ არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს დაიცავდა, უშუალოდ მომდინარეობდა თბილისში დატრიალებული ტრაგედიიდან.

მთლიანობაში 1956 წლის რეპრესიებმა ქართულ საზოგადოებაში მკვეთრად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია, ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, არაოფიციალურ შეფასებას, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მასობრივ ცნობიერებაში სწორედ ამ დღიდან დაიწყო კომუნისტური იდეოლოგიის კრიზისი.

როგორც უკვე აღვნიშნე, სტალინის გარდაცვალების შემდეგ იმპერიის ახალი მესვეურნი შეეცადნენ იმპერიის ფასადის შელამაზებას, რომ როგორმე შეერბილებინათ დაპირისპირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მართალია, ცივი ომი ახალი დაწყებული იყო, მაგრამ საბჭოთა ქვეყანაში უკვე რეალურად იგრძნობოდა ამ ომით გამოწვეული სიძნელეები.

ჩვენში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა ნ. ხრუშჩოვმა სტალინისადმი პირადი სიძულვილის გამო დაიწყო. ეს რა თქმა უნდა, გულუბრყვილო მოსაზრებაა. შეიძლება იყო პიროვნული სიძულვილიც, მაგრამ პოლიტიკაში ზოგადად და, მით უმეტეს, დიდ პოლიტიკაში პირადი სიმპათია-ანტიპათია მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ამ თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის და ქვეყნის ინტერესია.

მაშ, რა ამოძრავებდა ხრუშჩოვს?!

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მისი უპირველესი მიზანი პოზიციების გამაგრება იყო. ამ მხრივ, მისთვისაც და პოლიტბიუროს დანარჩენი წევრებისთვისაც, ყველაზე სახიფათო ლ. ბერიას ფიგურა ჩანდა და ამიტომ ყველამ ერთად, სტალინის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე თვეში, მოიშორა იგი. ამით პირველი ეტაპი ხელისუფლების შენარჩუნებისა დასრულდა, მაგრამ ნ. ხრუშჩოვი მთლად მშვიდად

ვერ იქნებოდა — ვინ-ვინ და მან ხომ მშვენივრად იცოდა, რომ მისი ავტორიტეტი პოლიტბიუროს შიგნითაც და ქვეყანაშიც გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე პოლიტბიუროს სხვა წევრებისა, ის ხომ ერთ-ერთი ყველაზე უფერული ფიგურა იყო სტალინის გარემოცვაში. ეტყობა, ამიტომაც, ერთმანეთისაგან ურთიერთდაზღვევის მიზნით, ყველაზე უხიფათოდ დანარჩენებმა ის მიიჩნიეს ცკ-ს მდივნის პოსტზე. ამდენად, ნ. ხრუშჩოვს რომ თავი სრულფასოვან ხელისუფლად ეგრძნო, აუცილებლად უნდა გადაეჭრა ორი პრობლემა — პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა მოეშორებინა სტალინის ძველი გვარდია და მეორე — როგორმე გაერღვია დასავლეთის ქვეყნების მიერ ოფიციალურად გამოუცხადებელი, მაგრამ ფაქტობრივად არსებული ეკონომიკური ბლოკადა. ამ ორივე პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალება იყო პიროვნების კულტის კრიტიკა. ადვილი მისახვედრია, რომ სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკა თავისთავად ვრცელდებოდა მის ყოფილ გარემოცვასა და თანამებრძოლებზე, რომელთა რიცხვსაც, თავისი უფერულობის გამო, ხრუშჩოვი არაფრით მიეკუთვნებოდა საზოგადოების თვალში. ეს, ერთის მხრივ, საშუალებას აძლევდა შეელახა მათი ავტორიტეტი როგორც პარტიის შიგნით, ასევე საზოგადოებაში და შემდეგ უმტკივნეულოდ ჩამოეცილებინა გზიდან (ასეც მოხდა), ხოლო მეორეს მხრივ, ეს იყო განაცხადი დასავლეთისათვის, რომ საბჭოების ახალი ხელისუფლება, გმობს რა სტალინის პიროვნების კულტს, რაც, ფაქტიურად, სტალინის საგარეო პოლიტიკის დაგმობასაც ნიშნავს, უარს ამბობს მსოფლიოში კომუნისტური რევოლუციისა და იდეოლოგიის ძალისმიერ ექსპორტზე. აი, რეალური მიზეზი სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკისა (ლაპარაკია მხოლოდ კოსმეტიკურ და საკადრო ცვლილებებზე), მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ბერიას დახვრეტით მთავრდება პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისა და პარტიის წმენდის სტალინისტური მეთოდი, ახალი ხელისუფლება უფრო ლმობიერი და მიმტევებელია და მეტოქეთა მხოლოდ პოლიტიკური განადგურებით კმაყოფილდება.

საზოგადოებისათვის, რომელსაც მთელი 40 წლის მანძილზე ყოველდღიურად უნერგავდნენ აზრს, რომ მოწინააღმდეგესთან ანგარიშსწორების ერთადერთი სწორი მეთოდი მისი ფიზიკური მოსპობა და დედიან-ბუდიანად განადგურებაა, ხელისუფლების მოქმედება ცოტა მოულოდნელი და მიუღებელიც კი იყო, ისევე, როგორც საყვარელი და აღიარებული ბელადის კრიტიკა; თუმცა ხმამაღლა ამის გამოხატვა

მხოლოდ თბილისში გაბედეს და საკადრისადაც დაისაჯნენ, მაგრამ ხელისუფლებისათვის ნათელი გახდა, რომ ქვეყანაში დამკვიდრებული სახელმწიფო მართვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მექანიზმი იმდენად მყიფე და მოუქნელია, რომ ფასადის შეცვლის დროსაც კი ძალიან ფრთხილ და მოზომილ მოქმედებას მოითხოვს, რათა ეს ძალით შეკოწიწებული და შიშზე დამყარებული იმპერია ხუხულასავით არ დაინგრეს, ამიტომ აუცილებელი ხდება იმპერიის მართვის ტექნოლოგიის რეორგანიზაცია: სტალინის პერიოდში დამკვიდრებული მართვის უნიფიცირებული ფორმიდან, რომლის დედააზრსაც სისასტიკე და უხეში ძალის ღია და მასიური გამოყენება წარმოადგენდა, უნდა მოხდეს გადასვლა გარეგნულად უფრო ლიბერალურ და დახვეწილ ფორმებზე, მართვის დიფერენცირებულ მეთოდზე, ცხადია, შინაგანი არსის შეუცვლელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაპარაკია სისასტიკისა და უხეში ძალის შეძლებისდაგვარად კარგად შენიღბვაზე, ეს კი მოითხოვს ტოტალიტარულ და მუდმივ კონტროლს მთელი იმპერიის მასშტაბით, საზოგადოების ყველა ფენისა და ხელისუფლების იერარქიის ყველა რგოლში; ყოველგვარი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინფორმაციის მასობრივად და განუწყვეტლად შეგროვებას, კლასიფიკაციას, გადამუშავებასა და ანალიზს, ამიტომ იწყება სუკ-ის რეანიმაცია — ლ. ბერიას დახვრეტის შემდეგ მისი ბედი ბევრმა მისმა კოლეგამ გაიზიარა როგორც ცენტრში, ასევე რესპუბლიკებში, ამიტომ გარკვეული პერიოდი ეს ორგანო თითქმის პარალიზებული იყო, რამაც ხელისუფლება დაარწმუნა, რომ იმპერიის შენარჩუნება ამ ორგანოს გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია მისი გარკვეულწილად მოდერნიზება. საზოგადოებაში უნდა აღდგენილიყო ამ ორგანოსადმი სტალინის პერიოდში არსებული შიში და ძრწოლა. ამასთანავე სუკ-ს უნდა მოეხდინა ყველანაირი ინფორმაციის შეგროვება და გადამუშავება, რაც ინფორმატორთა გაცილებით ფართო ქსელის შექმნას საჭიროებდა, ვიდრე საკუთარი ინიციატივით მეზობლის დაბეზღებაა, ხოლო შეგროვილი ინფორმაციის გადამუშავება — სპეციალისტს; თუნდაც სულით ხორცამდე ერთგული, ორთოდოქსი მარქსისტი და ბრძანების უსიტყვოდ აღმსრულებელი, მაგრამ გაუნათლებელი პიროვნება ამ საქმეს ვერ შეასრულებდა. სუკ-ში იწყება საკადრო ცვლილებები, მოჰყავთ, რა თქმა უნდა, ერთგული და შემოწმებული, მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში არსებულიდან შერჩეული, შედარებით განათლებული და ნიჭიერი სპეციალისტები.

სუკ-ის რეალურ დაქვემდებარებაში გადადის ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. იწყება სრულიად ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება მართვის სახელმწიფო იერარქიულ სტრუქტურებში — სუკ-ი ხდება პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის შემადგენელი ნაწილი. ამ ურთიერთობების საბოლოო შერწყმა-ჩამოყალიბება დასრულდა ნ. ხრუშჩოვის გადაყენებით და ლ. ბრეჟნევის გახელისუფლებით (სტალინის ხელისუფლების პერიოდში ქვეყანაში არსებობდა ორი პარალელური სტრუქტურა — პარტიულ-სამთავრობო ბიუროკრატია და სუკ-ი. ეს იყო ორი ბერკეტი „დიდი ბელადის" ხელში, რომლითაც ის ახორციელებდა ქვეყნის მართვასაც და მათ ურთიერთდაბალანსებასაც. საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა სუკ-ის გააქტიურება და შედეგად ნადგურდებოდა ტროცკისტულ-ზინოვიევურ-ბუხარინული ჯგუფები, საჭიროების შემთხვევაში აქტიურდებოდა პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი და სიკვდილით ისჯებოდნენ იაგოდა, ეჟოვი და ბერია. ორივე შემთხვევაში მოქმედებაში მოდიოდა მთელი ვერტიკალი, რაც რეპრესიების მასობრიობას იწვევდა).

ხელისუფლების საყრდენად იქცა ერთიანი პარტიულ-სამეურნეო-ბიუროკრატიული აპარატი, ხოლო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა თაობა, რომლის ბავშვობა სამამულო ომის შიმშილობის პერიოდს დაემთხვა, სიჭაბუკეში კი იდეალების მსხვრევის მტკივნეული პროცესი გადაიტანა და ახლა თავად უნდა მოეპოვებინა როგორც მატერიალური, ისე სულიერი საზრდო. იგი თანდათან იკავებს ადგილებს ხელისუფლების იერარქიული ვერტიკალის დაბალ და საშუალო რგოლებში; მას, მართალია, ნაკლებად სჯერა კომუნისტური იდეალების, მაგრამ შესანიშნავად აქვს გაცნობიერებული მისი აუცილებლობა, როგორც ქვეყნის ერთიანობის, სოციალისტური ბანაკის შენარჩუნება-გაფართოების იდეოლოგიური საფუძვლისა და, საკუთრივ, მისი არსებობისა და კეთილდღეობის გარანტისა.

ეს, ასე ვთქვათ, ქვეყანაში და სოციალისტურ ბანაკში მიმდინარე ბუნებრივი და ზოგადი პროცესები. რაც შეეხება დიფერენცირებულ მიდგომას, მოსკოვი მას იყენებდა, როგორც სოციალისტურ ბანაკში შემავალი ქვეყნების, ასევე მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ და იგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდებით (მაგ., მოკავშირე რესპუბლიკებში ცკ-ს მეორე მდივნად მხოლოდ რუსი

ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნა), არამედ მოიცავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს.

ცნობილია, რომ სხვა იყო მოსკოვის დამოკიდებულება ბულგარეთ-მონღოლეთის მიმართ, რომელთაც ლამის მოკავშირე რესპუბლიკებად განიხილავდნენ და სხვა — ჩეხოსლოვაკია-უნგრეთ-პოლონეთის მიმართ. ანალოგიური მოდელი მოქმედებდა ქვეყნის შიგნითაც, მოკავშირე რესპუბლიკებთან დამოკიდებულებაში. ამ ურთიერთობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ის, თუ რამდენად უქმნიდა ესა თუ ის რესპუბლიკა საფრთხეს იმპერიის სტაბილურობასა და არსებობას.

მოსკოვი ცდილობს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენოს უხეში სამხედრო ძალა, მაგრამ 1956 წლის მოვლენები უნგრეთსა და საქართველოში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ, თუ უარს იტყვის ძალის ინტენსიურ გამოყენებაზე, საჭიროა კიდევ უფრო გააძლიეროს მისი ალტერნატივა — მე-5 კოლონა.

ვინც საბჭოთა კავშირის ისტორიას ზერელედ მაინც იცნობს, უსათუოდ დამეთანხმება, რომ აგენტურის დეფიციტი არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ ნამდვილად არ იგრძნობოდა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მაინც აუცილებელია ითქვას, რომ მე-5 კოლონა არ წარმოადგენს აგენტთა უბრალო არითმეტიკულ ჯამს, მას გაცილებით ფართო და რთული ფუნქცია აკისრია, ვიდრე ინფორმაციის, თუნდაც სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანის, მოპოვება და ცენტრისათვის გადაცემა — ეს არის საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და მართვა. სწორედ ამიტომ, კრიტიკულ სიტუაციებში ხორციელდება მე-5 კოლონის სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვისთვის ჯგუფებად დაყოფა და შემდგომ მათი ორგანიზაციული ფორმირება ამა თუ იმ სახით.

ჩვენში ბევრს ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ მე-5 კოლონის არსებობაზე და ლაპარაკობს ძირითადად ხელისუფლება — „ეროვნულიც" და „არაეროვნულიც" — და ლაპარაკობს მაშინ, როცა ქვეყანაში კრიზისი იწყება. ხელისუფლება ცალსახად ადანაშაულებს ოპოზიციას მე-5 კოლონასთან კავშირში, ოპოზიცია კი — პირიქით. არადა, ამ პაექრობის შემხედვარეს ხშირად ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ორ გუნდად გაყოფილი ერთი საფეხბურთო კლუბის წევრების მატჩს უყურებდე, სადაც თამაშის აზარტი და სიმძაფრე იმითაა გამოწვეული, თუ ვინ მოხვდება ძირითად შემადგენლობაში, ანუ ხელისუფლებაში და ვინ სათადარიგო სკამზე, ანუ ოპოზიციაში.

თუ მართლა ვინმეს მე-5 კოლონის პრობლემა აწუხებს, განა საიდუმლოებას წარმოადგენს, რომ ყველა იმ ქვეყნის ხელისუფალი, რომელთაც თუნდაც თეორიულად დასაშვებად მიაჩნია ქვეყანაში მე-5 კოლონის არსებობა, სუვერენიტეტის დეკლარირების შემდეგ, პირველ რიგში ღებულობს კანონს ლუსტრაციისა და პოლიტიკური მოტივით რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ? ასე მოხდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, ასე მოხდა ბალტიისპირეთში. ჩვენთან მხოლოდ ახლა მიიღეს კანონი პოლიტიკური მოტივით რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ (გასაგები მიზეზების გამო არც ზ. გამსახურდიას და არც ე. შევარდნაძეს ხელს არ აძლევდათ ამ კანონის მიღება). რაც შეეხება ლუსტრაციის კანონს, მასზე მხოლოდ ახლა დაიწყო მსჯელობა და კამათი, მაგრამ მისი მიღება იმ სახით, როგორც აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთში მიიღეს, ძალიან გაჭირდება და, ალბათ, ვერც მოხერხდება, რადგან ხელისუფლებაში და მის გარეთ არსებული იგივე მე-5 კოლონა და მისი პატრონი ყოველ ღონეს იხმარს ამ კანონის დასაბლოკად.

ბუნებრივია, მე-5 კოლონის შექმნა და გაძლიერება მოსკოვისათვის სასურველი იყო ყველგან, მაგრამ არსებობდა განსაკუთრებული ქვეყნები და რეგიონები, სადაც მე-5 კოლონის არსებობა და სიძლიერე, უბრალოდ, აუცილებლობას წარმოადგენდა.

ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, საქართველო იმპერიისთვის ერთ-ერთ ყველაზე არასაიმედო, სუსტ წერტილს წარმოადგენდა როგორც მეფის რუსეთის, ასევე კომუნისტების ხანაში, ამიტომ მოსკოვი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული საქართველოში რაც შეიძლება ძლიერი მე-5 კოლონის შექმნით და გაფართოებით; ამავე პერიოდში იწყება საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის ინტენსიური იდეოლოგიური დამუშავება ქართველთა წინააღმდეგ — ყველაზე წარმატებით ეს პროცესი ხორციელდება იქ, სადაც არაქართული მოსახლეობა არა მარტო კომპაქტურადაა დასახლებული, არამედ ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტრუქტურებიც გააჩნია — აფხაზეთსა და შიდა ქართლში (ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“).

შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ყოველი „ნათესავი ქართველთაგანი" ბუნებით ორგულია. მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში დატრიალებული მრავალი უბედურებისა, მე მაინც პირიქით მგონია, თუმცა ისიც კარგად მესმის, მხოლოდ სამშობლოზე და ქართველ

ხალხზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს რომ ძალუძს ასეთი ლირიული და არა პოლიტიკური კონცეფციის ჩამოყალიბება. ისიც ვიცი, მთელი ერი ვერც გმირი იქნება და ვერც წმიდანი. ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩემს გარშემო გამუდმებით ტრიალებდნენ აშკარა თუ ფარული აგენტები. რამდენად ზნეობრივია, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ყოველ მათგანს საკმაოდ რეალური და მატერიალური მოტივები ამოძრავებდა და არა „ბუნებითი ორგულობა".

ზონაში ახალი შესული ვიყავი, როდესაც მე და ერთი ჩვენი თანამემამულე, რომელსაც, როგორც შემდეგ გავიგე, საკმაოდ ცუდი რეპუტაცია ჰქონდა პატიმართა შორის, ცალკე სამუშაოზე გაგვანაწილეს. სამუშაოდ მიმავალი ზ. გოგიამ შემაჩერა, სიგარეტი მთხოვა და თან სხვათა შორის მითხრა, რომ აქაურებს ჯერ ყველას კარგად არ ვიცნობდი და ფრთხილად ვყოფილიყავი. ყველაფერი გასაგები იყო და სიცილით მივუგე, თუ ჩემზე ინფორმაციის შეგროვებაში ვინმემ ჩაი უნდა იშოვნოს (ინფორმატორებს — „სტუკაჩებს" — ადმინისტრაცია დამატებით, უფასოდ ურიგებდა ჩაის), ბარემ ჩვენებურმა იშოვნოს-მეთქი.

ვერც მოსკოვი იქნებოდა ჩვენი „ბუნებითი ორგულობის" იმედად, როდესაც საქართველოში ძლიერი მე-5 კოლონის შექმნას და ჩამოყალიბებას იწყებდა. არსებობდა გაცილებით მყარი და რეალური საფუძვლები, ზოგ შემთხვევაში ინტერესთა თანხვედრაც, რაც ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს მე-5 კოლონის შექმნისა და გაძლიერებისათვის.

რუსულ მასობრივ ცნობიერებაში კავკასია და, კერძოდ, საქართველო, ყოველთვის წარმოადგენდა რაღაც განსაკუთრებულ რომანტიულ-ეგზოტიკურ სივრცეს, ხოლო შავი ზღვა — „სამხრეთული მცხუნვარე მზის ქვეშ" დასვენება-გართობის საუცხოო ადგილს. თუ ამას ჩვენს „განთქმულ სტუმართმოყვარეობასაც" დავუმატებთ, რომელსაც უფრო ხშირად ზიანი მოჰქონდა, ვიდრე სიკეთე, ადვილი გასაგებია ის განსაკუთრებული და გამორჩეული ინტერესი, რასაც ცენტრალური ხელისუფლების ყველა რგოლისა და ფენის წარმომადგენლები იჩენდნენ საქართველოს მიმართ.

იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო გარემოება — ახალი თაობის ბიუროკრატიას როგორც ცენტრში, ასევე რეგიონებში, ნაკლებად სჯერა კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალური თანასწორობისა. იგი მშვენივრად ხედავს, რომ ეს ფართოდ

რეკლამირებული ცნება საერთო-სახალხო საკუთრების შესახებ რეალურად პროპაგანდისტულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ თეზისს წარმოადგენს, როგორც ქვეყნის გარეთ, კომუნისტური იდეალების მომხრეთა და მოკავშირეთა შემოსაკრებად, რაც საშუალებას მისცემს იმპერიას გააფართოოს მსოფლიოში საკუთარი გავლენის არეალი, ასევე ქვეყნის შიგნით, მოსახლეობის ფართო ფენების დასამშვიდებელ-დასაშოშმინებლად. სინამდვილეში, ამ სიმდიდრის ერთადერთი ნამდვილი მეპატრონე და განმკარგულებელი თავადაა და რადგან უკვე აღარ აკმაყოფილებს თავისი მატერიალური მდგომარეობა, ხელფასების მკვეთრი გაზრდა კი შეუძლებელია (ასეთი ქმედება უპირისპირდება სოციალური თანასწორობის იდეის პროპაგანდირებას), რჩება ერთი გზა — ე. წ. „მარცხენა შემოსავალი". იმპერიის მმართველი ბიუროკრატიისათვის საქართველო იქცა ასეთი შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. მოქმედებდა მარტივი მექანიზმი: ცენტრალური ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ე. წ. საკავშირო მნიშვნელობის ობიექტების პირდაპირი დაფინანსება ან გამოიყოფოდა ზელიმიტირებული სახსრები; საქართველოში ხდებოდა ამ ფულის „გაცოცხლება" ან პროდუქციის რეალიზება და მიღებული შემოსავლის ნაწილი უშუალოდ ფულის ან სხვა მატერიალური ფასეულობის სახით ბრუნდებოდა უკან, მოსკოვში (არსებობდა ფულის კეთების უამრავი სხვა მეთოდიც). შემდგომში, როგორც ცენტრში, ასევე რეგიონებში ბიუროკრატიული აპარატის მკვეთრ ზრდასთან ერთად, შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნილება „მარცხენა შემოსავალზე", ამიტომ მისი „კეთების" არეალი თანდათან გაიზარდა და ბოლოს მთელი იმპერია და საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა ამა თუ იმ ფორმით.

თავისთავად ფულის შოვნის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, რომ არა ერთი უნიკალური გარემოება — საზოგადოების მატერიალურად უზრუნველყოფილი ნაწილი მხოლოდ არსებული კანონმდებლობის დარღვევით უზრუნველყოფდა თავის მატერიალურ მდგომარეობას და ამდენად, იმავე კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის დამნაშავეთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ხოლო კანონთან პირნათლად მყოფ საზოგადოების ნაწილს მატერიალურად უჭირდა. სწორედ ასეთი ვითარება ქმნიდა საუცხოო გარემოს მე-5 კოლონის შექმნისა და გაძლიერებისათვის.

ვფიქრობ, დიდი არგუმენტირება არაა საჭირო, როდესაც დგას არჩევანი — ცხე თუ მე-5 კოლონა. საკმარისად მოიძებნებიან

ისეთები, ვინც მე-5 კოლონას არჩევს, მით უმეტეს, რომ მე-5 კოლონა მარტო ციხიდან კი არ გათავისუფლებს, საქმიანობის გაგრძელების საშუალებასაც გაძლევს და მომავალი უსაფრთხოების გარანტიც არის (დღევანდელი ჟარგონული ტერმინოლოგიით, „კრიშის" როლს ასრულებს).

მე-5 კოლონის შექმნას ცდილობდნენ ყველგან, საზოგადოების ყველა ფენაში, მაგრამ განსაკუთრებულ დაინტერესებას მაინც ინტელიგენციის მიმართ იჩენდნენ (ალბათ, აუცილებელია განვმარტოთ, რომ ინტელიგენციაში მე ვგულისხმობ ყველა მეტ-ნაკლებად წიგნიერ და მოაზროვნე ადამიანს, ყოველგვარი ჩინ-მედლებისა და პრივილეგიების მიუხედავად), რადგან იმპერიისა და მისი პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატისათვის სახიფათო იდეა სწორედ ინტელიგენციაში შეიძლებოდა გაჩენილიყო. გარდა ამისა, ინტელიგენცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ამა თუ იმ პრობლემის მიმართ, ამიტომ ხელისუფლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ინტელიგენციაზე კონტროლის შენარჩუნებას.

. ცენტრში დაწყებული სახელისუფლო ცვლილებები თანდათან რესპუბლიკებში ვრცელდება და ერთგულ, ბრძანების უსიტყვოდ აღმსრულებელ, ხანში შესულ და უინიციატივო ვასილ მჟავანაძეს ასევე ერთგული, ინიციატივიანი, ახალგაზრდა და ენერგიული ედუარდ შევარდნაძე ცვლის.

ე. შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა არ იყო არც მოულოდნელი და არც შემთხვევითი ფართო საზოგადოებისათვის. იგი მანამდე იყო ცნობილი, ვიდრე ცკ-ს პირველი მდივნის პოსტს დაიკავებდა, როგორც სოციალისტური თანასწორობისათვის მებრძოლი და უშუალო ავტორი რამდენიმე გახმაურებული სასამართლო პროცესისა. მისი პიროვნება და განვლილი კომკავშირულ-პარტიული გზა სრულად აკმაყოფილებდა ცენტრალური ხელისუფლების შეხედულებებსა და მოთხოვნილებებს, მით უმეტეს, რომ ანალოგიური ექსპერიმენტი მეზობელ აზერბაიჯანში უკვე ჩატარებული იყო.

საოცრად ერთნაირია ამ ორი პოლიტიკოსის — ჰ. ალიევისა და ე. შევარდნაძის — მიერ განვლილი გზა: ხელისუფლების სათავეში ორივენი ძალოვანი სტრუქტურებიდან მოვიდნენ, ორივენი სოციალური სამართლიანობის და კანონიერების აღდგენა-დამკვიდრების ლოზუნგით; ორივე ხდება ჯერ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ხოლო შემდეგ პოლიტბიუროს წევრი და

მნიშვნელოვან პოსტს იკავებს იმპერიის უპირველეს და უმაღლეს ეშელონში. გარკვეული პერიოდის შემდეგ ორივემ გამოსცადა და განიცადა (ეტყობა, საკმაოდ მტკივნეულადაც!) სავარძლისა და ხელისუფლების დაკარგვა; შემდგომში სამხედრო გადატრიალების წყალობით ორივე ხდება თავიანთი რესპუბლიკების (და არა ქვეყნების) პრეზიდენტი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთნაირი მეთოდებით უსწორდება გადატრიალების ხილულ ორგანიზატორებს.

საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ „უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა ნეგატიურ მოვლენებს". პარალელურად მიმდინარეობს საზოგადოების და, უპირველეს ყოვლისა, ინტელიგენციის იდეოლოგიური დამუშავება, რომლის დედააზრი ასეთია: კომუნისტური იდეოლოგია, სახელმწიფოს სტრუქტურულ-ბიუროკრატიული მოწყობა და აქედან გამომდინარე, კომუნისტური პარტიის მიერ დეკლარირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა შეუცვლელი და სამართლიანია, თუმცა საზოგადოების განვითარებას და მოსახლეობის „სოციალურ-ეკონომიკური დონის კიდევ უფრო სწრაფ ამაღლებას" ხელს უშლის „ნეგატიური მოვლენები" — მექრთამეობა, გამოძალვა, სპეკულაცია და სხვა, რასაც „მომხვეჭელობის ჟინით შეპყრობილი ბურჟუაზიული გადმონაშთები" ანუ ცალკეული პირები ახორციელებენ.

დაკვირდით, სტალინის პერიოდში კომუნისტური იდეის ცხოვრებაში სწორად გატარებას ხელს უშლიდნენ ტროცკისტები, ბუხარინელები, ნაციონალ-უკლონისტები და ათასი სხვა ჯურის „ხალხის მტრები"; ხრუშჩოვის პერიოდში მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო სტალინის პიროვნების კულტი და ამით გამოწვეული ქვეყნისა და სახალხო მეურნეობის არასწორი მართვის სტილი; ბრეჟნევისათვის ასეთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ხრუშჩოვის მიერ სახალხო მეურნეობაში და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში გატარებული ადმინისტრაციული ღონისძიებები, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის არასწორი მეთოდი — შვიდწლედის შემოღება და ა.შ.; გორბაჩოვს ბრეჟნევის პერიოდში დამკვიდრებული მართვის ვოლუნტარისტული მეთოდი, ლენინურ-კოლექტიური მართვის უარყოფით გამოწვეული ნეგატიური პროცესები არ აძლევს საშუალებას, რომ ქვეყანაში სასიკეთო ძვრები დაიწყოს. ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის, რითაც

უკლებლივ ყველა ხელისუფალი მეტ-ნაკლები დოზით აპელირებდა, არის ერთი საერთო — მსოფლიო ბურჟუაზია, კაპიტალისტური სამყარო, ნატო, — მოკლედ, ქვეყნის გარეთ არსებული მტრული ძალები. ვფიქრობ, ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ საკუთარი პოლიტიკური კურსის წარუმატებლობაში ყოველი ხელისუფალი თავის წინამორბედს და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არსებულ მტრულ ძალებს ადანაშაულებდა. სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც ზუსტად ამ ორ მოტივს იშველიებს, ამიტომ, უბრალოდ საჭიროა, ეს „არაკეთილსინდისიერი პიროვნებები" შევცვალოთ წესიერი ადამიანებით და ყველაფერი თვალის დახამხამებაში გამოსწორდება (ისევ და ისევ იწყება ძველი ლოზუნგრის — „კადრები წყვეტენ ყველაფერს" — რეანიმაცია. ძალიან სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ეს ლოზუნგი, მას დღესაც დიდი გასავალი აქვს საზოგადოებრივ ცნობიერებაში და დღევანდელი სახელისუფლო პროპაგანდაც დიდი წარმატებით იყენებს).

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მარტივმა და საკმაოდ გულუბრყვილო იდეამ დიდი მხარდაჭერა გამოიწვია როგორც მოსახლეობაში, ასევე ინტელიგენციაში. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი და დაფასებული რამდენიმე პიროვნება, რომლებიც წლების განმავლობაში თავს იკავებდნენ სკკპ-ს რიგებში შესვლისაგან, ახლა მისი ნევრები ხდებიან, რასაც ხელისუფლებამ დიდი პროპაგანდა გაუწია. პარალელურად მიმდინარეობს მეცნიერთა ახალგაზრდული ნაწილის გადაქაჩვა მეცნიერების სფეროდან პარტიულ-ბიუროკრატიულ ელიტაში.

რასაკვირველია, „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლას" რეალური შედეგი არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ყველასათვის ნათელი ხდება, ხელისუფლება კი, იმის მაგივრად, რომ უარი ეთქვა აღებულ კურსზე და სხვაგან ეძებნა გამოსავალი, თუკი არსებული სისტემის ფარგლებში იგი საერთოდ არსებობდა, პოლიტიკური თამაშის ახალ წესებს ამკვიდრებს. ეს გარკვეული პეროდულობით ცალკეული თანამდებობის პირების რეპრესირებას გულისხმობს, რაც ყოველთვის თავისუფლების აღკვეთით არ მთავრდება, მაგრამ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს საზოგადოების უკმაყოფილების ვექტორი გარკვეული დროით მათკენ მიმართოს (ამ მეთოდს დღესაც წარმატებით იყენებენ). მართალია,

ასეთი მიდგომა საფრთხეს უქმნიდა ცალკეულ პიროვნებებს, ისიც არავინ იცოდა, თუ ვინ მოჰყვებოდა „ნეგატიურ მოვლენებთან" ბრძოლის ბადეში, სამაგიეროდ პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის აბსოლუტურ უმრავლესობას საშუალებას აძლევდა მშვიდად, სტაბილურად და უზრუნველად ეცხოვრა.

ვფიქრობ, საინტერესო იქნება „ნეგატიური მოვლენების" გავრცობის დინამიკა. როდესაც ე. შევარდნაძემ ამ პროცესების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, მისი გავრცელების უმაღლესი იერარქიული ზღვარი ინსტიტუტის რექტორი იყო. „ნეგატიურ მოვლენებთან" თითქმის 15-წლიანმა „უკომპრომისო ბრძოლამ" კი ის შედეგი გამოიღო, რომ მისი გავრცელების ზედა ზღვარმა ცკ-ს მდივნის პოსტამდე მიაღწია. ვერაფერს იტყვი, მართლაც შთამბეჭდავი „პროგრესია".

თამაშის ასეთი წესი მისაღები იყო მოსკოვის სახელისუფლო წრეებისთვისაც. მათ ნაკლებად აინტერესებდათ ცალკეული პიროვნებები, მთავარი იყო, რომ ბიუროკრატიულ-სამეურნეო აქტივი მთლიანობაში ყოფილიყო სტაბილური, რათა არ დაეკარგათ ის მატერიალური დაინტერესება, რაც საქართველოში ჰქონდათ. ამ შემთხვევაში მოხდა ინტერესების დამთხვევა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებათა შორის.

მოსკოვის დიფერენცირებული მიდგომა განსაკუთრებით რელიეფურად შემოქმედებით ინტელიგენციასთან მიმართებაში გამოიკვეთა. ფაქტია, რომ ის, რაც ჩვენს ლიტერატურულ ჟურნალებში იბეჭდებოდა, ან კინოსა და თეატრში იდგმებოდა, სხვა რესპუბლიკებში, უკეთეს შემთხვევაში, დღის სინათლეს ვერ იხილავდა, უარეს შემთხვევაში კი მის ავტორს საკმაოდ ძვირად დაუჯდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ხდებოდა ქართველებისადმი განსაკუთრებული სიყვარულის ან პატივისცემის გამო — როდესაც საქმე იმპერიის არსებობას ეხება, რუსული პოლიტიკური თუ ინტელექტუალური წრეები, ურთიერთშორის მსოფლმხედველობრივი, იდეური თუ სხვა წინააღმდეგობების მიუხედავად, ქართველებისაგან განსხვავებით, საოცარ ერთსულოვნებას იჩენდნენ და დღესაც იჩენენ.

ჩვენში ფართოდაა გავრცელებული აზრი, თითქოს რუსებმა არ იციან, ან უკეთეს შემთხვევაში ზერელედ იციან იმპერიაში შემავალი ერების კულტურულ-ისტორიული წარსული და მხოლოდ იმით არიან დაკავებულნი, რომ თავიანთი კულტურა და ისტორია მოახვიონ თავს

სხვა ერებს. ზოგადად, მთელი მოსახლეობის მასშტაბით ეს ასეც არის, მაგრამ მათ, ვისაც იმპერიის ერთიანობის შენარჩუნება და ამისათვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების დამუშავება და მომზადება ევალება, მშვენივრად იციან ჩვენი რუსეთთან თანაცხოვრების ისტორიულ-დოკუმენტური ნაწილი, — ისიც, რაც ხელმისაწვდომია მეცნიერთათვის და ისიც, რისი გაცნობისთვის მხოლოდ მეცნიერული მოღვაწეობა საკმარისი არ არის (ჟანდარმერიისა და სუკ-ის მიერ მოპოვებული და საიდუმლო არქივებში დაცული ინფორმაცია). თავი რომ დავანებოთ ამ 200 წლის განმავლობაში რუსული იმპერიის წინააღმდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარ შეიარაღებულ გამოსვლებს და „ფერმკრთალ შეთქმულებებს", შეუძლებელია მათ არ გაითვალისწინონ იმპერიაში მიმდინარე პროცესებში ქართველთა განსაკუთრებულად აქტიური როლი: ერთის მხრივ, III დასი, სოც-დემოკრატები, ქართველთა წვლილი თებერვლისა თუ ოქტომბრის რევოლუციებში, მეორეს მხრივ კი — თერგდალეულები, იუნკერთა თავგანწირული წინააღმდეგობა, 1924 წლის აჯანყება და 1956 წლის გამოსვლები, ამიტომ, მშვენივრად იციან, რომ საქართველოსთან მიმართებაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, რეპრესიები და შეზღუდვები, უმეტეს შემთხვევაში, პროტესტის გრძნობას უფრო აღვივებს, ვიდრე ახშობს.

დისიდენტური მოღვაწეობისათვის 1977 წელს რეპრესირებულ იქნა სამი პიროვნება, ხოლო 1987 წელს პოლიტპატიმართა რაოდენობამ 30-ს გადააჭარბა. აი, რეპრესიების უშუალო შედეგი.

ამასთან, ისიც კარგად იციან, როგორ ჩააყენონ „ფერმკრთალი შეთქმულების" მონაწილენი იმპერიის სამსახურში, ლამის მეფისნაცვლის ტიტული უბოძონ და სინანულით გვაფიქრებინონ, რომ „ამ კარგსაც ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია".

ამ ფაქტორებს ითვალისწინებდა მოსკოვი, როდესაც ქართულ ინტელიგენციას, განსაკუთრებით შემოქმედებითს, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, აზრის გამოთქმის თავისუფლების შედარებით მეტ ხარისხს ანიჭებდა.

ხელისუფლება და მისი მომხრეები (იგულისხმება ე. შევარდნაძე და მისი გუნდი), ახლა ისე წარმოაჩენენ თავისუფლების ამ ხარისხს, როგორც საკუთარ დამსახურებას. თითქოს იმ სფეროში, რომელსაც სიტყვის და შემოქმედების თავისუფლება ჰქვია, შეეძლო დამოუკიდებლად, მოსკოვის გარეშე, რაიმე გადაწყვეტილება

მიელო (ვთქვათ, დაებლოკა ან მოეწონებინა დადგენილი საბჭოური ნორმებიდან იდეურად თუ ფორმით „ამოვარდნილი", გამორჩეული ნაწარმოები), თუმცა გაფორმებით ეს სწორედ ასე ფორმდებოდა და ესეც მოსკოვის ინტერესებში შედიოდა.

არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს ყველასათვის არსებობდა თავისუფლების რაღაც განსაზღვრული და დეკლარირებული ფარგლები და თუ ამ ფარგლებში ჩაეტეოდი, პრობლემა მოხსნილი იყო. არა, ყოველ შემოქმედს ბრძოლის, რისკის და ათასი სხვა მაქინაციის ფასად უნდა მოეპოვებინა იგი, თანაც ეს არ იყო ერთჯერადი აქტი — შემდგომი ნაწარმოების გამოქვეყნებაც კვლავ რისკს მოითხოვდა როგორც ავტორის, ასევე რედაქტორის და გამომცემლის მხრიდან. თუ მხედველობაში დისიდენტურ და ემიგრანტულ ლიტერატურას არ მივიღებთ, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ზოგადად ქართული ინტელიგენცია დასაშვების ზღვარზე მუშაობდა და გამუდმებით ცდილობდა ამ საზღვრების გაფართოებას. ამაში უთუოდ დამეთანხმება ის, ვისაც თუნდაც მოსკოვში, გახმაურებული ტაგანკის სცენაზე, ლიუბიმოვის მიერ დადგმული ასევე გახმაურებული სპექტაკლი „ოსტატი და მარგარიტა" უნახავს და საშუალება ჰქონია შეედარებინა იგი თუნდაც რ. სტურუას სპექტაკლისათვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე"

ალბათ, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება თავადაც არ იჩენდა ინიციატივას შემოქმედებითი თავისუფლების შესაზღუდად და მის მკაცრ ჩარჩოებში მოსაქცევად. იგი ძლიერ მგრძნობიარე იყო იმ იმპულსების მიმართ, რაც ცენტრალური ხელისუფლებისგან მოდიოდა და რაზეც ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა, სათქმელი სტრიქონებს შორის უნდა ამოგეცნო. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება სწორად აღიქვამდა და ზუსტად საზღვრავდა, თუ რას მოითხოვდნენ მისგან; უთუოდ გააჩნდა ვასალური ქვეყნის ხელმძღვანელისათვის აუცილებელი და იშვიათი უნარი, შეუცდომლად გაერკვია, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროა უხიფათო საკუთარი ენერგიულობისა და აქტიურობის წარმოსაჩენად, რომ არც კარიერა დააყენო კითხვის ნიშნის ქვეშ და არც ქვეყანას დაატეხო თავს რაიმე უბედურება. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიას ახლო თუ შორეულ

წარსულში ასეთ უნარს მოკლებული მრავალი მმართველი ახსოვს, რომელთაც საკუთარი თავიც დაღუპეს და ქვეყანაც.

ეს მეთოდი უფრო რთულ და ინდივიდუალურ მუშაობას მოითხოვდა, თუმცა იმპერიის მესვეურთათვის შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში გაცილებით ეფექტიანი და მისაღები იყო.

ბრეჟნევის ხელისუფლებამ პარტიული და უშიშროების სტრუქტურების შერწყმით ჩამოაყალიბა ერთიანი პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ხელისუფლების საყრდენად აქცია, ამიტომ იმპერიის შენარჩუნებისა და მის შიგნით მოჩვენებითი სტაბილურობის მისაღწევად სწორედ ინტელიგენციის მხრიდან იყო აუცილებელი სრული მხარდაჭერა თუ არა, ლოიალური დამოკიდებულების გამოხატვა მაინც კომუნისტური იდეოლოგიის და შეზღუდული რეპრესიების, ხელისუფლების პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის მიმართ.

მეორე მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნე, დისიდენტური მოძრაობა ინტელიგენციის წიაღში ჩაისახა და მისი პოპულარიზატორი და მხარდამჭერი სწორედ ინტელიგენცია უნდა ყოფილიყო, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ 70-იან წლებში მთელს იმპერიაში დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებასა და დისიდენტებს შორის ინტელიგენციის ნდობისა და გავლენის მოსაპოვებლად.

ხელისუფლებას ჰქონდა ყველანაირი საშუალება, ეკონომიკურ-ფინანსურით დაწყებული, რეპრესიულ-ტერორისტულით დამთავრებული და ისიც ნათლად ჩანდა, რომ საჭიროების შემთხვევაში არც მათ გამოყენებას მოერიდებოდა.

დისიდენტებს გააჩნდათ მხოლოდ და მხოლოდ მორალურ-ზნეობრივი პრინციპები და ამ პრინციპებისადმი თავგანწირული ერთგულება იყო ერთადერთი საშუალება როგორც ზნეობრივი ორიენტირის, ზნეობრივი გმირის შესაქმნელად და დასამკვიდრებლად, ასევე ინტელიგენციაში გავლენის მოსაპოვებლად.

ეს ბრძოლა, ბუნებრივია, საქართველოშიც მიმდინარეობდა, ოღონდ ჩვენთან დისიდენტები გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან სამოღვაწეო ასპარეზზე მათი გამოსვლამდე რამდენიმე წლით ადრე საქართველოში ხელისუფლების საკადრო ცვლილებები მოხდა.

ახალმა ხელისუფლებამ სოციალური სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში მხარდასაჭერად ინტელიგენციას მიმართა და, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ფორმალური მიმართვა. ხელისუფლებას

ნამდვილად სჭირდებოდა მხარდაჭერა არა იმდენად საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის, არამედ უფრო ამ აზრის კონტროლისა და სასურველ კალაპოტში მოსაქცევად. პარალელურად დაიწყო „კრიტიკული პათოსით" გაჯერებული და წინა ხელისუფლების მიერ ტაბუდადებული თუ „შევიწროებული" ნაწარმოებების გამომზეურება. პარტიულ თანამდებობებზე ინიშნებიან ინტელექტუალურ წრეებში ცნობილი ნიჭიერი და წესიერი ახალგაზრდები, მეცნიერებისა და შემოქმედებითი კავშირებისადმი „პარტიული მზრუნველობა" დიქტატორულ-იდეოლოგიურიდან დიდაქტიკურ-შემწყნარებლურ ფორმაზე გადადის, რაც მნიშვნელოვნად გამოიხატებოდა პრივილეგიების არეალის, რაოდენობისა და დონის ზრდაში და ამავდროულად ქართულ ინტელიგენციას თავისუფლების მეტ ხარისხს ანიჭებდა, რაც ჩვენში ახალი ხელისუფლების პირად დამსახურებად აღიქმებოდა. შეიძლება ვთქვათ, რომ ყოველივე ამან ედუარდ შევარდნაძე ჩვეულებრივი კომუნისტი ფუნქციონერიდან თავისი თაობის ლიდერად აქცია.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული არ ვრცელდება ინტელიგენციის უკლებლივ ყველა წარმომადგენელზე, იყვნენ ისეთებიც, მართალია, ცოტანი, მაგრამ მაინც, ვინც არ ჯდებოდა „ხელმწიფის ნავში" და გარკვეულ ავტონომიურობასაც ინარჩუნებდა, მაგრამ ზოგადად ეს ტენდენციას ვერ ცვლიდა და ვერც შეცვლიდა.

მიუხედავად ამისა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სწორედ ამ თაობის ღირსეულმა წარმომადგენლებმა დაიწყეს ეროვნული ღირებულებების წარმოჩინება და დამკვიდრება როგორც საკუთარ შემოქმედებაში, ასევე წინა თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებიდან (რად ღირს თუნდაც გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაციის მცდელობა, რომელიც, მართალია, მარცხით დამთავრდა, მაგრამ ის მაინც მოხერხდა, რომ ოფიციალურ პრესაში გაიელვა ფართო საზოგადოებისათვის უცნობმა ამ სახელმა და გვარმა), რითაც, ერთის მხრივ, წარმოაჩინეს ეროვნული სულის გამუდმებული სწრაფვა თავისუფლებისაკენ, მეორეს მხრივ კი, ამ თავისუფლებისათვის ბრძოლის დისკრეტული, წყვეტილი ხასიათი, განპირობებული მოდური სოციალურ-პოლიტიკური იდეოლოგიის გაბატონებით, უცხო ქვეყნის უხეში სამხედრო ძალის ჩარევით თუ ქვეყანაში გამეფებული მძვინვარე ტერორით. ეს თემა იმდენად პოპულარული გახდა და ისე მყარად გაიდგა ფესვი, რომ ყველა — ნიჭიერი თუ უნიჭო, დიდი თუ პატარა, თავს ვალდებულად თვლიდა, [illegible] მაინც შეხებოდა და გაეშუქებინა იგი,

ყოველივე ეს კი ქმნიდა თაობის ერთიანობის და გარე სამყაროს ერთნაირი მსოფლმხედველობრივი აღქმის ილუზიას, რაც, მართალია, სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მაგრამ უდიდესი როლი ითამაშა შემდგომი თაობების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

თავისუფლებისათვის ბრძოლას, საქართველოს დამოუკიდებლობას ეს თაობა რეალურ სიბრტყეში არ განიხილავდა. მისთვის დამოუკიდებლობა ოცნებათა კატეგორიას განეკუთვნებოდა (რაც პარლამენტის ტრიბუნიდან საჯაროდ ბრძანა კიდეც ერთ-ერთმა მათგანმა).

დღესაც კი, როდესაც მათ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას ვუყურებ, ვხვდები, რომ დიდი სიამოვნებით დაბრუნდებიან უკან, ოცნებათა სამყაროში, რადგან იქ ყველაფერი მშვიდად და უმტკივნეულოდ ხორციელდება — ოცნება შეიძლება შეასწორო, შეალამაზო ანდა სულაც თავიდან დაიწყო და ამით შენს საზოგადოებრივ თუ ეკონომიკურ მდგომარეობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენი ინტელიგენცია ჭავჭავაძეობაზე ოცნებობდა და ორბელიანის ცხოვრების წესით ცხოვრობდა. ასეთი იყო იგი მაშინ, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე დისიდენტები გამოვიდნენ და, სამწუხაროდ, ასეთია დღესაც, როცა ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა, უკან, ოცნებათა სამყაროში დაბრუნება შეუძლებელი გახდა და ცხოვრებაც გაუთავებელ კოშმარულ სიზმარს დაემსგავსა.

ადვილი წარმოსადგენია, ცილისწამებისა და სიცრუის რა ღვარცოფი დაატყდებოდათ თავს ახლად ჩამოყალიბებული ჰელსინკის კავშირის ჯგუფის წევრებს. ცალკე ოფიციალური პრესიდან წამოსული ლანძღვა-გინების (კრიტიკას ვერაფრით დაარქმევ!) ნიაღვარი და ცალკე მე-5 კოლონის მიერ შეთითხნილი და გავრცელებული ათასგვარი ჭორი და სიბინძურე. ჭეშმარიტად უსაზღვრო მოთმინება და რკინის ნერვები იყო საჭირო, ამგვარი ფსიქოლოგიური ტერორისათვის რომ გაგეძლო. რაც უფრო აქტიურდებოდნენ დისიდენტები, მით უფრო ძლიერდებოდა ზეწოლა. პარალელურად ნელ-ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად იზრდებოდა საზოგადოებაში და, კერძოდ, სტუდენტ ახალგაზრდობაში მათ მხარდამჭერთა რიცხვი.

მიმდინარეობდა ჭეშმარიტი ზნეობრივი ორიენტირის გამოკვეთისა და ჩამოყალიბების, ზნეობრივი გმირის წარმოშობის მძიმე და მტკივნეული პროცესი, რაც დისიდენტების მხრიდან მხოლოდ გაძლებასა და სიმტკიცეს მოითხოვდა.

სამწუხაროდ, ამავე პერიოდში გამოიკვეთა ერთი ისეთი ტენდენცია, რომელმაც გარკვეული ჩრდილი მიაყენა დისიდენტთა მაშინდელ მოღვაწეობას, ხოლო 90-იან წლებში ეროვნულ მოძრაობაში ბუნებრივად წარმოქმნილი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წინააღმდეგობები გადაულახავ დაბრკოლებად აქცია და მნიშვნელოვნად განსაზღვრა არა მარტო ეროვნული მოძრაობის ხასიათი, არამედ ქვეყანაში შემდგომ განვითარებული მოვლენები. ეს ტენდენცია დღესაც ცოცხალია და დღესაც „წარმატებით" ანგრევს და რყვნის ერის ცნობიერებას.

მხედველობაში მაქვს კგბ-ს აგენტთა გამომზეურება-მხილების კამპანია. საქმე ეხება არა კერატიშვილ-ცირეკიძის „მოღვაწეობის" შეფასებას, რაც მთლიანად თავსდებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, არამედ საზოგადოებისათვის ცნობილ პიროვნებათა მიმართ წაყენებულ ზეპირ ბრალდებებს მათი კგბ-სთან თანამშრომლობის შესახებ, რისი დამამტკიცებელი დოკუმენტიც დისიდენტებს არ გააჩნდათ.

თუ 90-იან წლებში მოწინააღმდეგეთა კგბ-ს აგენტებად და სამშობლოს მოღალატეებად გამოცხადება (სხვა საკითხია, რამდენად მისაღები და ზნეობრივი) მაინც შეიძლება აეხსნათ, როგორც მათთან ბრძოლის თუ ანგარიშსწორების ერთ-ერთი მეთოდი, სრულიად გაუგებარია იგივე ქმედება 70-იან წლებში.

> *1989 წლის შემოდგომაზე ერთ-ერთ შეკრებაზე საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილ პიროვნებას შევხვდი, გაღიზიანებული და ანერვიულებული ჩანდა. მიზეზი ვკითხე. გაირკვა, რომ ორი-სამი დღის წინ რომელილაც მიტინგზე იგი კგბ-ს აგენტად და სამშობლოს მოღალატედ გამოეცხადებინათ („ბორიოთის ტრაგედიის შემდეგ კგბ-ს აგენტთა მხილება-შეჩვენების კამპანია, რა თქმა უნდა, ყოველგვარი მამხილებელი დოკუმენტების გარეშე, ეროვნული მოძრაობის ერთი ნაწილისათვის მიტინგების ძირითად თემად იქცა და ლამის იდეოლოგიური ფუნქციები შეიძინა). „როდესაც სხვებს, ჩემს ნაცნობ-მეგობრებს და კოლეგებს აცხადებდნენ კგბ-ს აგენტებად და მოღალატეებად და ისინი ამაზე ნერვიულობდნენ, სიმართლე გითხრათ, ცოტა მიკვირდა, ვფიქრობდი, რომ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ფაქტს, მაგრამ ახლა, მეც რომ აგენტად გამომაცხადეს, ისე ვინერვიულე, ორი ღამე არ მძინებიაო".*

ხომ ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერი საქმის დაწყებისას მოკავშირეებს ეძებ და არა მოწინააღმდეგეებს. მით უმეტეს,

როდესაც ცხოვრების მიზნად ისეთ მონსტრთან დაპირისპირება გაგიხდია, რომელსაც საბჭოთა კავშირი და მისი პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი ერქვა. ისიც ხომ ფაქტია, რომ თუნდაც ეჭვმიუტანელი სამხილი გქონდეს, 5, 10 და გნებავთ, 100 და 200 აგენტის გამომზეურება-მხილებით ვერც მე-5 კოლონას შეამცირებ და ვერც კგბ-ს დატოვებ აგენტურის გარეშე.

ასეთმა განცხადებებმა საკმაოდ მკვეთრი და მძაფრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია საზოგადოების სწორედ იმ ნაწილში, რომელიც დისიდენტების ღია თუ ფარული მოკავშირე უნდა ყოფილიყო.

სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ჯერ არშემდგარმა ზნეობრივმა გმირმა ზნეობრივი მოსამართლის ფუნქცია იკისრა.

ამ კამპანიის ავტორი მაშინაც და შემდგომშიაც ზვიად გამსახურდია იყო.

> *აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ერთი გარემოება: არც რესპუბლიკური პარტიის, არც საქართველოს 1990-92 წლების უზენაეს საბჭოში ჩვენი წარმომადგენლების, და ბოლოს, არც პირადად ჩემს მიმართ ზვიად გამსახურდიას მსგავსი ბრალდებები არასოდეს წამოუყენებია, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის დაწყების პირველივე დღეებიდან ჩვენ მის პოლიტიკურ ოპონენტთა რიცხვს მივეკუთვნებოდით პარლამენტში თუ მის გარეთ. ჩვენი იშვიათი პირადი კონტაქტები არასდროს გასცილებია ზომიერებისა და კორექტულობის ფარგლებს. არსებობს 1989 წელს კ. გაწერელიას ბინაში გამართული შეხვედრის ვიდეოფირი, რომელზეც დაფიქსირებულია ზვიად გამსახურდიას ჩემდამი დამოკიდებულება (ამ ფირის ფრაგმენტი, პროპაგანდისტული თვალსაზრისით ხელისუფლებისთვის მომგებიანი, იმ პერიოდში რამდენჯერმე გადაიცა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით), მიუხედავად იმისა, რომ მე მაშინაც მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ვიმყოფებოდი.*
>
> *ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ჩემს ურთიერთობას ზ. გამსახურდიასთან და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებას პირადული მოტივები არც მაშინ განსაზღვრავდა და არც ღღეს განსაზღვრავს.*

1977 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო ჰელსინკის კავშირის წევრთა რეპრესირება. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში

რეპრესიებმა უკუშედეგი გამოიღო და, ფაქტობრივად, ბიძგი მისცა ეროვნულ მოძრაობაში ახალი ტალღის აგორებას, რომელიც უფრო მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე დისიდენტური, ხოლო მოქმედების ფორმით და, აქედან გამომდინარე, შინაარსობრივადაც უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობა.

ჰელსინკის ჯგუფის საქმიანობამ საქართველოში მნიშვნელოვნად გააფართოვა კრიტიკის დასაშვები საზღვრები, ბიძგი მისცა ეროვნული სულის გააქტიურებას, განაპირობა ახალგაზრდა თაობის ცხოველი დაინტერესება ეროვნული კულტურით, ჭეშმარიტი სულიერი და რელიგიური ფასეულობებით. ამის მკაფიო მაგალითი და შეიძლება ითქვას, ერთგვარი დემონსტრირებაც კი, იყო ბატონი აკაკი ბაქრაძის თავისუფალი საჯარო ლექციები უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში, როგორც აზროვნების მხატვრულ-ისტორიულ-მითოლოგიური სფეროდან კრიტიკულ-პუბლიცისტურ ფორმაზე გადასვლის მცდელობა. დაბალი ხმით მოსაუბრე ლექტორი და ხალხით გაჭედილი, სმენადქცეული აუდიტორია არსებული სინამდვილისადმი პროტესტის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ლექციათა თემატიკა შორს იდგა პოლიტიკისაგან, მაინც მიუღებელი ალმოჩნდა, რადგან ტოტალური სიცრუის პირობებში თავად სიმართლის თქმაა დაუშვებელი და აკრძალული, ხოლო საუბრის თემა მხოლოდ დასჯის ფორმას განსაზღვრავს — ლექციების ჩაშლა, აკრძალვა თუ დაპატიმრება.

ახალი თაობის წარმომადგენელთა ჩაბმა აქტიურ ეროვნულ მოძრაობაში ორი მიმართულებით განვითარდა — ერთნი, რომელნიც დისიდენტური მოძრაობის უშუალო გამგრძელებლებს წარმოადგენდნენ როგორც თემატიკის, ასევე მისი გამოხატვის ფორმით — ღიად და თამამად აცხადებდნენ, ვინ იყვნენ და რა უნდოდათ, თუმცა ჰელსინკის კავშირის წევრთაგან განსხვავებით, მათ არ მოუხდენიათ თავიანთი ჯგუფის ორგანიზაციული ფორმალიზება და მეორეს მხრივ — არალეგალური ჯგუფები.

ბუნებრივია, ორივე მიმართულების წარმომადგენელთა საბოლოო მიზანი, ისევე, როგორც ჰელსინკის ჯგუფის წევრებისა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, მაგრამ მოღვაწეობის ფორმა — ლეგალური და არალეგალური — განსაზღვრავდა პრობლემათა არა მარტო სპექტრსა და ხასიათს, არამედ დასმისა და გადაწყვეტის წესსაც. ყველამ მშენივრად იცოდა, რომ საბოლოო ჯამში რეპრესირებას

ვერ გადაურჩებოდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ რაც უფრო დიდხანს მოახერხებდა საქმიანობას, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას. აქედან გამომდინარე, არალეგალურ ჯგუფებს უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ ღიად და პირდაპირ ელაპარაკათ საბოლოო მიზანზე, ვიდრე დისიდენტებს. სხვაგვარად, საქმიანობის არალეგალური ფორმა, უბრალოდ, აზრს კარგავდა.

მიმართვაში ქართველი ხალხისადმი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თვითგამოცემის ჟურნალ „სამრეკლოს" პირველ ნომერში გამოქვეყნდა (1978-79), ჩვენ ვწერდით:

„საბჭოების ე. წ. „კავშირში", რუსეთის სისხლიან იმპერიაში „მოკავშირე რესპუბლიკად" წოდებულ ჩვენს დაპყრობილ სამშობლოში, საქართველოში იწყება დიდი და ნამდვილი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს ჭეშმარიტად სუვერენული სახელმწიფოს შექმნისა და აღორძინებისათვის".

... „მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელ ქვეყანას აქვს სრული ეკონომიკური და კულტურული განვითარების საშუალება".

... „სსრ კავშირი მხოლოდ და მხოლოდ იარაღის ძალითაა „კავშირი", სინამდვილეში იგი არის უამრავ ძალადობასა და დანაშაულზე, ცრუ თეორიებსა და „ბელადების" ავტორიტეტზე აგებული ვეება საპყრობილე, მსოფლიოს უკანასკნელი იმპერია. პოლიტიკურად და იდეოლოგიურად გახრწნილი, ეკონომიკურად და კულტურულად დაცემული იმპერია კომუნისტური პარტიის დიქტატურითა და იარაღის ძალითლა არსებობს; ისტორიულად მისი ბედი კარგა ხანია გადაწყვეტილია. ყველა იმპერია, არანებაყოფლობითი „კავშირი" მეტისმეტად განსხვავებულ ხალხთა — განწირულია დასალუპავად, მსოფლიოში თანაფარდობათა სწრაფი ცვლა, როგორც ჩანს, დააჩქარებს ამ პროცესს".

... „საქართველოს ბედი საქართველოშივე უნდა გადაწყდეს. ქართველი ხალხი თავისი ემიგრანტი შვილების იმედზე ვერ იქნება, დიდი სურვილის მიუხედავად, ისინი საზღვარგარეთ ვერ გადაწყვეტენ ჩვენს უდიდეს ამოცანას. ბრძოლის ასპარეზი ამჟამად საქართველო და თბილისია და არა პარიზი".

... „საჭიროა კი იმის აღნიშვნა, რომ მოვლენათა თვითდინებით ჩვენთვის მნიშვნელოვანი არცერთი პრობლემა არ გადაიჭრება?!

მხოლოდ და მხოლოდ მთელი ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხების დიდი ნაწილის გაერთიანებითა

და კონსოლიდაციით არის შესაძლებელი დიდი ბრძოლის გაგრძელება თავისუფლებისათვის".

ვფიქრობ, ამ მიმართვიდან, რომელიც კუპიურებითაა მოტანილი, ნათლად ჩანს რესპუბლიკური პარტიის მიზანიც, ამოცანაც და მოქმედების არეალიც.

ჩვენს წინაშე თავისთავად დადგა აუცილებლობა დისიდენტური მოძრაობის როლის განსაზღვრისა და საქმიანობის შეფასებისა როგორც მთლიანად კავშირის მასშტაბით, ასევე საქართველოში. აი, რას ვწერდით ჩვენ მაშინ:

„სკკპ მისი არსებობის მანძილზე არ შეხვედრია ისეთ ძლიერ ოპოზიციას, როგორიც დისიდენტებმა შექმნეს".

... „შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ დისიდენტური მოძრაობა საქართველოში წარმოადგენდა სწორედ ეროვნული თავისუფლებისაკენ ქართველი ხალხის მისწრაფების გამოხატულებას. მან გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ქართული საზოგადოების ინფორმირების საქმეში, მწვავედ დააყენა რამდენიმე საკითხი, რის შემდეგაც ხელისუფლება იძულებული გახდა, დადებითად გადაეჭრა ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, მეტი ყურადღება მიაქცია მატერიალური კულტურის ძეგლებს, მოგვარდა ქართული ეკლესიის საქმეები (უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს გაკეთდა ჯგუფის განადგურების შემდეგ და გამოცხადებულ იქნა, როგორც კომუნისტური პარტიის ზრუნვის საგანი).

... დისიდენტურმა მოძრაობამ უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე, ახალგაზრდა ინტილიგენციის პოლიტიკურ გააქტიურებაზე (ქართველ დისიდენტებს დიდი დამსახურება მიუძღვით 14 აპრილის გამოსვლაში, თუმცა საინიციატივო ჯგუფი ამ დროისათვის უკვე აღარ არსებობდა!).

მკითხველთათვის, ვფიქრობ, საინტერესო და საყურადღებო იქნება ეს შეფასება, რადგან იგი ამ მოვლენებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 1979 წლის გაზაფხულზე გაკეთდა. საინტერესოა ჩემთვისაც, რადგან დღესაც მთლიანად ვიზიარებ ამ მოსაზრებას.

ალბათ, მათ, ვინც პირველებმა გაარღვიეს პოლიციისა და შინაგანი ჯარების კორდონი და მთავრობის სახლის წინ რუსთაველის პროსპექტზე დასხდნენ (დღევანდელი ტერმინოლოგიით, მჯდომარე აქცია დაიწყეს), უნდა ახსოვდეთ, რომ ძირითადი მოთხოვნის პარალელურად წამოვიდა ზ.

გამსახურდიასა და მ. კოსტავას გათავისუფლების მოთხოვნა. არა მგონია, ყოველივე ეს ხელისუფლების ინტერესებში ყოფილიყო. კიდევ ერთ დეტალს გავიხსენებ: როდესაც ჩვენ რუსთაველის გამზირზე დავსხედით, გარკვეული დროის შემდეგ მთავრობის სახლის წინ გამოსულ ხელისუფალთა წარმომადგენლებს ცკ-ს პირველი მდივანი ე. შევარდნაძე გამოეყო და რამდენიმე პირის თანხლებით ჩვენსკენ წამოვიდა. მათ გადაკვეთეს პროსპექტი და ალექსანდროვის ბაღში, იქ, სადაც ლ. კეცხოველის ბიუსტი იდგა, ძნელაძის ქუჩის კუთხეში შეჩერდნენ. ჩვენ მათ ირგვლივ დავიკავეთ ადგილი. აქ, ბაღის კუთხეში, გვაცნობეს, რომ ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი კონსტიტუციაში დაფიქსირებულია და მოგვიწოდეს, დავშლილიყავით. ყველამ უხერხულად და შეურაცხყოფილად ვიგრძენით თავი — ჩვენი აზრით, ქართული ენა კი იმსახურებდა იმდენ პატივისცემას, რომ კონსტიტუციაში მისი სახელმწიფო ენად დაფიქსირების საკითხი ბაღის კუთხეში „საქმის გარჩევას" არ დამსგავსებოდა და მოვითხოვეთ ხელისუფლებას მთავრობის სახლთან გამოეტანა მიკროფონები და ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა. ბუნებრივია, არც ეს შედიოდა ხელისუფლების ინტერესებში, რადგან ეს საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილებას ნიშნავდა და არა ხელისუფალთა მიერ გაღებულ წყალობას. ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა.

იგივე პოზიციაზე ვიდექით ჩვენ ამ მოვლენებიდან 10 წლის შემდეგაც, როდესაც საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თვითგამოცემის გაზეთ „რესპუბლიკაში" 1990 წლის 18 თებერვალს ვწერდით:

„სრპ-ს (საქართველოს რესპუბლიკური პარტია) შექმნა უშუალოდ მოჰყვა დღეს უკვე ისტორიად ქცეულ დისიდენტურ მოძრაობას... დისიდენტური მოძრაობა შედეგი იყო საზოგადოებრივ ასპარეზზე ანტიტოტალიტარული, დემოკრატიული იდეების მატარებელი თაობების გამოსვლისა, —... დისიდენტები (საქართველოში კერძოდ — საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი) ერთ-ერთი პირველნი იყვნენ, რომელთაც მიმართეს ორგანიზაციული პოლიტიკური ბრძოლის ფორმას. მართალია, მათ არ წამოუყენებიათ პოლიტიკური მოთხოვნები, მაგრამ არც მაშინ, არც ახლა არავისათვის საიდუმლო არაა, რომ ეს იყო პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რომელსაც

მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ძვრები მოჰყვა ქართველი ხალხის ცნობიერებაში".

სასამართლო პროცესი ჰელსინკის კავშირის ჯგუფების მიმართ თითქმის ერთდროულად გაიმართა მოსკოვში, ლენინგრადში, ბალტიისპირა რესპუბლიკებში, უკრაინაში, საქართველოსა და სომხეთში. 30-წლიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ დაიწყო რეპრესიების სტალინური მოდელის აღდგენა – ჯერ ოფიციალური პრესიდან (სხვა პრესა არც არსებობდა) წამოსული ლანძღვა-გინება, შემდეგ კოლექტიური წერილები და საჯარო გაკიცხვა და ბოლოს სასამართლო პროცესი. აკად. ა. სახაროვი მოსკოვიდან გორკში გადაასახლეს.

სულ ახლახანს შევიტყვე ერთი ჩემთვის უცნობი და სასიამოვნო ფაქტი. მას შემდეგ, რაც ა. სახაროვი ხელისუფლებამ არასაიმედოდ მიიჩნია, მას აეკრძალა გასაიდუმლოებული ინფორმაციის გაცნობა, ამიტომ იძულებული გახდა მუშაობა გაეგრძელებინა მართვის სრულიად ახალ სფეროში, კოსმოლოგიაში და ამ მიმართულებით გაკეთა კიდეც რამდენიმე მოხსენება ფიზიკის ინსტიტუტის ცნობილ სემინარზე. იმავე პერიოდში ამ ინსტიტუტის პარტკომი ყოფილა ცნობილი ქართველი ფიზიკოსი ანრი რუხაძე. როდესაც ხელისუფლებამ სახაროვის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო, კრების ჩატარება მასაც დაავალეს. ინსტიტუტის პარტაქტივის კრებას უამრავი ხალხი ესწრებოდა (კრებაზე არდასწრებაც უკვე რაღაცას ნიშნავდა!). განიხილებოდა ერთადერთი, ა. სახაროვის საკითხი. გამომსვლელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მისი საქციელის გამო. ერთ-ერთმა მის ბოლოდროინდელ მეცნიერულ ნაშრომშიც კი შეიტანა ეჭვი (საბჭოთა პროპაგანდა დაბეჯითებით ცდილობდა არგუმენტად დაემკვიდრებინა აზრი, თითქოს ა. სახაროვს, როგორც მეცნიერს, ხელი მოეცარა და ამიტომაც გახდა დისიდენტი). ბატონმა ანრიმ გამოსვლა შეაწყვეტინა ორატორს და ჭკითხა, ესწრებოდა თუ არა იმ სემინარს, რომელზედაც სახაროვმა თავისი ნაშრომი წარმოადგინა. გამომსვლელი დაიბნა და გაჩუმდა. შემდეგ ა. რუხაძე სხვა გამომსვლელებს მიუბრუნდა და ჭკითხა, თუ რატომ არ ჩანდა მათი ნაშრომები ამ სემინარებზე. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ა. რუხაძემ ისაუბრა ა. სახაროვის მეცნიერულ ღვაწლზე და მისი ბოლო ნამუშევრების ღირსებებზე. დაგეგმილი სკენარი ჩაშალა, კრება იმპროვიზებულად გაგრძელდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო ა. სახაროვს

უკეთესი პირობები ჰქონოდა მეცნიერული მოღვაწეობისათვის. „სხვა წინადადება ხომ არავის აქვსო?" — უკითხავს ბატონ ანრი რუხაძეს. პასუხად დარბაზში ტაშისცემა ამტყდარა.

საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ, უცერემონიოდ, უხეშად დაარღვია ნაკისრი ვალდებულებები, ანგარიში არ გაუწია მსოფლიო საზოგადოების აზრს და მოსალოდნელ რეაქციას; დარწმუნებულმა, რომ დისიდენტთა დაპატიმრებას არც ომი მოჰყვებოდა და არც რაიმე სერიოზული გართულება — დასავლეთი ცოტა ხანს „იყაყანებდა" და გაჩუმდებოდა. ეს შეიძლება, მართლაც ასე მოხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის რეაქცია მკვეთრად უარყოფითი იყო, მაინც ჩანდა, რომ ის პირველ რიგში დასავლური საზოგადოების ინფორმირებასა და მობილიზაციას ისახავდა მიზნად, ხოლო შემდეგ სოციალისტური ბანაკის და საბჭოთა მოსახლეობის ინფორმაციულ და იდეოლოგიურ დამუშავებას. აქედან გამომდინარე, ხანგრძლივი იდეოლოგიური ბრძოლისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ამავე პერიოდში დაწყებულმა ენერგოკრიზისმა, რომელმაც მთელი დასავლეთი მოიცვა, პოლონეთში „სოლიდარობის" მოძრაობამ და საბჭოების აგრესიულმა საგარეო პოლიტიკამ, რომლის კულმინაციასაც ავღანეთის ანექსია წარმოადგენდა, აიძულა დასავლეთი უფრო მკაცრი პოლიტიკური კურსი გაეტარებინა საბჭოების მიმართ, ვიდრე პოზიციური იდეოლოგიური ბრძოლა იყო.

მთელი სიმძლავრით ამუშავდა პროპაგანდისტული მანქანა. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი იმდენად ნეგატიურად განეწყო საბჭოთა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებისადმი, რომ კრემლი იძულებული შეიქმნა რაღაც კონტრზომები მიეღო, რათა მდგომარეობა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა, ან მცირე ხნით ყურადღება სხვა საკითხზე გადაეტანა. ამის უსუსური მცდელობა იყო ჩილეს კომუნისტთა ლიდერის ლუის კორვალანის გაცვლა საბჭოთა დისიდენტ ვლადიმერ ბუკოვსკიზე, შედმეგ კი ამერიკელი მომღერლის, დინ რიდის გადმობირება.

ლუის კორვალანს იმდენი პატივი დასდეს, რომ კრემლში თავად ლ. ბრეჟნევმა გამართა მიღება (ხუნტის სატუსაღოში „ნაწამები", ხანში შესული ლუის კორვალანი უფრო მხნედ გამოიყურებოდა, ვიდრე ახალგაზრდა ვლადიმერ ბუკოვსკი). შედარებით ზომიერი იყო საბჭოთა პროპაგანდა და ხელისუფლება დინ რიდის მიმართ, რადგან ამ პროპაგანდისტულმა სვლამ ის შედეგი ვერ გამოიღო, რასაც მოელოდნენ. ლ. კორვალანიც და

დინ რიდიც მცირე ხნით მოსკოვში ცხოვრობდნენ, შემდეგ ბერლინში გადავიდნენ (მოსკოვში მათი დიდხანს გაჩერება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო არ შეიძლებოდა. სოციალისტურ ქვეყნებში ამ მხრივ ყველაზე კარგი მდგომარეობა აღმოსავლეთ გერმანიაში და, კერძოდ, ბერლინში იყო), ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ორივემ ისევ დასავლეთს მიაშურა. ლ. კორვალანი კანადაში დასახლდა და შემდგომ ერთ-ერთ ინტერვიუში სინანულით აღნიშნავდა, თავიდან ვიცოდი, თითქოს ჩემს გაცვლას სისხლის სამართლის დამნაშავეზე აპირებდნენ, სინამდვილეში კი ვ. ბუკოვსკი პოლიტიკური მოღვაწე აღმოჩნდაო.

საბჭოთა ხელისუფლება თანდათან ჰკარგავს იმ ისედაც მცირერიცხოვან მხარდამჭერებს დასავლეთის საზოგადოებაში, რომელთა საშუალებითაც ცდილობდა საზოგადოებრივი აზრის გარკვეულ კორექტირებას (საბჭოთა თვითმფრინავებით კუბის სამხედრო ძალების გადასხმამ ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი გ. მარკესიც კი აღაშფოთა; ცნობილია, რომ იგი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი კომუნისტური იდეოლოგიის და, კერძოდ, კუბის ლიდერის ფ. კასტროს მიმართ). მძიმე დღეში აღმოჩნდნენ დასავლეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიები, — 70-იანი წლების შუა პერიოდში ისინი გარკვეულ აღმავლობას განიცდიდნენ, განსაკუთრებით საფრანგეთსა და იტალიაში, როდესაც ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების არჩევნებში მოსახლეობის ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვეს, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებაში მინისტრის პორტფელის დაკავების შანსიც გაუჩნდათ, ახლა კი, მოსკოვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო, თანდათან კარგავდნენ ამ მხარდაჭერას, რაც პროტესტის გრძნობას უჩენდათ.

იყო კიდევ ერთი გარემოება — ნავთობმომპოვებელმა არაბულმა ქვეყნებმა მკვეთრად გაზარდეს ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე (თუ 1970-72 წლებში ერთი ბარელი ნავთობის ფასი 11-12 დოლარი იყო, 1978-79 წლებში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და 34-35 დოლარს მიაღწია), რამაც დასავლეთში საკმაოდ მძიმე ენერგეტიკული კრიზისი გამოიწვია. მსოფლიო საზოგადოებისათვის ცნობილი იყო საბჭოების დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტების მიმართ, კერძოდ კი არაბული სამყაროსადმი. ნავთობზე ფასების ასეთი მკვეთრი ზრდა ეკონომიკური თვალსაზრისით, რასაკვირველია, ხელს აძლევდა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს, მაგრამ საბჭოთა

კავშირისათვის ხელსაყრელი იყო როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. შექმნილ ვითარებაში მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და რენტაბელური ხდებოდა ტიუმენსა და უკიდურეს ჩრდილოეთში მოპოვებული საბჭოთა ნავთობი, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით მილიარდობით დოლარის შემოსავალი იყო, ასე ჰაერივით რომ სჭირდებოდა საბჭოთა ეკონომიკას.

პოლიტიკური თვალსაზრისით კი საბჭოთა პროპაგანდა ცდილობდა დასავლეთში არსებული ეკონომიკური კრიზისი ადამიანის უფლებებისათვის დაეკავშირებინა და აქცენტი, ვთქვათ, სიტყვის თავისუფლებიდან მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის დაცვაზე გადაეტანა, თუმცა გრძნობდა, რომ ამ მიმართულებით დიდი წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

სწორედ ამ დროიდან იწყება საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონის რეალური ამაღლება, თუმცა იგი არ უკავშირდება ოფიციალურ შემოსავალს (ოფიციალური მონაცემებით კოლმეურნეთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ საქართველოში 1978 წელს 88,5 მანეთი შეადგინა, საშუალო ხელფასმა — 135,5 მან., საკავშირო კი 150 მანეთს არ აღემატებოდა), რეალური საშუალო შემოსავალი ოფიციალურს 2-3-ჯერ მაინც აღემატებოდა და იგი ჩრდილოვანი ეკონომიკით, მანეთის ინფლაციურობით და საკავშირო ბიუჯეტის დეფიციტით იყო განპირობებული.

და მაინც, საბჭოთა ხელისუფლებასა და პროპაგანდას მთელი ძალისხმევა საგარეო პოლიტიკაზე გადააქვს, რადგან უძლურია ქვეყნის შიგნით რაიმე სერიოზული და რადიკალური ეკონომიკური ცვლილებები განახორციელოს. არც მმართველ ბიუროკრატიულ ელიტას აძლევს ხელს საშინაო პოლიტიკის კარდინალური ცვლილებები, ამიტომ წინა პლანზე გამოდის საერთაშორისო მშვიდობის, ატომური ომის თავიდან აცილების, განიარაღების თემები და, პარალელურად, მესამე სამყაროში გავლენის მოსაპოვებლად გამიზნული ქმედებები. მესამე სამყაროში გავლენის მოპოვების დასავლურ ეკონომიკურ მოდელს კრემლი რევოლუციურ-დივერსიული ჯგუფების მომზადება-დაფინანსებით უპირისპირდება (ნიკარაგუა, ანგოლა).

ამავე პერიოდში, თითქოსდა საბჭოთა პროპაგანდის ჯიბრზე, პოლონეთის ქალაქ გდანსკში იწყება მოძრაობა „სოლიდარობა", იქმნება თავისუფალი პროფკავშირები. არსებული მძიმე, ყოვლისმომცველი

ეკონომიკური კრიზისი ხელს უწყობს „სოლიდარობის" სწრაფ გავრცელებას მთელ ქვეყანაში. შექმნილი ვითარება სახიფათო ხასიათს იღებს და მთელ სოციალისტურ ბანაკს ემუქრება. მსოფლიო დიდი გულისყურით და ინტერესით ადევნებს თვალს პოლონეთში მიმდინარე პროცესებს. რას მოიმოქმედებს მოსკოვი? 10 წლის წინ ჩეხეთში შექმნილი ანალოგიური სიტუაცია საბჭოთა ჯარებმა სისხლში ჩაახშეს, ამჯერად მოსკოვი თავს იკავებს. იქნებ საბჭოთა ქვეყნის ლიდერები დაბერდნენ და გულჩვილნი გახდნენ?! რა თქმა უნდა, არა! ცოტა ხნის შემდეგ ავღანეთში დატრიალებული მოვლენები უფრო საწინააღმდეგო დასკვნისთვის გამოდგება. საქმე ისაა, რომ პოლონეთი სხვაა — პოლონეთის პარტიულ-ბიუროკრატიულ ელიტას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნის და, აქედან გამომდინარე, პრივილეგირებული მდგომარეობის ერთადერთი გარანტი საბჭოთა იარაღი, რუსული ჩექმის შიშია და თუ ეს ფაქტორი მოიხსნება, იგი ყველაფერს დაკარგავს. მეორეს მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებასაც კარგად ესმის, რომ ძალის ღიად გამოყენების შემთხვევაში იგი იძულებული იქნება, „სოლიდარობის" განადგურების შემდეგ პარტიულ-ბიუროკრატიულ აპარატსაც დაუპირისპირდეს, რათა მოსახლეობა დააჯეროს, რომ შექმნილ სიტუაციაში ორივე — „სოლიდარობაც" და ხელისუფლებაცაა დამნაშავე. ეს კი, სხვა მოულოდნელ გართულებას თავი რომც დავანებოთ, არსებული ბიუროკრატიული აპარატის მნიშვნელოვან გადახალისებას მოითხოვს, ამიტომ მოსკოვი ცდილობს პოლონურ პარტიულ-ბიუროკრატიულ აპარატზე დაყრდნობით სხვა გზა გამონახოს, ანუ მოახდინოს „სასახლის კარის გადატრიალება", მაგრამ ისე, რომ ამ ყოველივემ მოსახლეობაში სოციალური სამართლიანობის აღდგენის ილუზია შექმნას. პენსიაზე უშვებენ ე. გესეკს და მის ადგილს ვ. იარუზელსკი იკავებს — სამხედრო ფორმითა და შავი სათვალით.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ვ. იარუზელსკიმ შეძლო საკმაოდ მყარი და სტაბილური ხელისუფლების შექმნა. მან, მართალია, განახორციელა შეზღუდული რეპრესიები, დააპატიმრა „სოლიდარობის" ლიდერები, მაგრამ მოახერხა ეს ისე წარმოეჩინა, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა, იძულებითი ნაბიჯი, რომ პოლონეთი საბჭოთა ჯარების შემოსევისაგან ეხსნა, ხოლო შემდეგ, როცა საბჭოთა მუქარა მოიხსნა, შეძლო სოლიდარობის ლიდერებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა და

ხელისუფლებაზე უარის თქმა (ჰ. ალიევისა და ე. შევარდნაძის მსგავსად ისიც ძალოვანი სტრუქტურიდან მოვიდა ხელისუფლების სათავეში).

მართალია, ვ. იარუზელსკი პოლონური არმიის წარმომადგენელია, მაგრამ ყველამ, შინ თუ გარეთ, დასავლეთში თუ აღმოსავლეთში, მშვენივრად იცის, რომ მის უკან საბჭოთა ჯარი დგას და არა პოლონური არმია. შედეგად პოლონეთში იწყება შეზღუდული რეპრესიები, ხოლო ავღანეთში ხორციელდება კიდევ ერთი სახელისუფლო გადატრიალება, ამჯერად უკვე საბჭოთა ჯარების უშუალო მონაწილეობით.

ამ პერიოდს ძალიან კარგად აღწერს ერთი იმდროინდელი ანეკდოტი: საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრები დამარცხდა. „რატომ წააგო?" — კითხულობს ერთი. „წააგებდა, აბა რა იქნებოდა, დაცვა პოლონეთში ჰყავს და თავდასხმა ავღანეთშიო", — პასუხობს მეორე.

ყოველივე ამან კიდევ ერთხელ აიძულა დასავლეთი უფრო კონსოლიდირებული და ფრთხილი ყოფილიყო და საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად უფრო აქტიური საშუალებები ეძებნა. იწყება ლაპარაკი ნატოს ქვეყნების ტერიტორიაზე ფრთოსანი რაკეტების განლაგებაზე, რასაც მოსკოვის მკვეთრი ნეგატიური რეაქცია მოსდევს, კრემლი წყვეტს მონაწილეობას ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებებში.

1977-80 წლებში მოსკოვის მიერ განხორციელებულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ უკიდურესად დაძაბა მსოფლიო პოლიტიკური სიტუაცია. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დასავლეთის ქვეყნები ასეთი ერთსულოვანი და შეკავშირებული არასოდეს ყოფილან. თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი რ. რეიგანი ირწმუნებოდა, რომ შეამცირებდა გადასახადებს, დააჩოქებდა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს და მოლაპარაკების მაგიდასთან დასვამდა საბჭოთა კავშირს.

ეს იყო გარდატეხის მომენტი საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობებში. სიტყვა „თანამშრომლობა" თანდათან გაქრა პოლიტიკური ლექსიკონიდან, ხოლო დასავლეთის ახალი პოლიტიკური კონცეფცია საბჭოების მიმართ ძალიან მარტივად და ნათლად ჩამოაყალიბა იგივე რ. რეიგანმა — რუსებთან ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ ძალის პოზიციებიდან.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ, ჩემი აზრით, უ. ჩერჩილთან

ერთად რ. რეიგანი ჩვენი საუკუნის უდიდესი პოლიტიკოსია. მან შეასრულა თავისი წინასაარჩევნო დაპირებები. მისი პრეზიდენტობის პირველ წლებში საბჭოთა პრესის ქილიკი „რეიგანომიკაზე" თანდათან დავიწყებას მიეცა, ხოლო მისი განცხადებები ნერვებს უშლიდა და აცოფებდა საბჭოთა პროპაგანდას. მახსოვს, ჟენევაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება სსრკ-სა და აშშ-ს შორის (ეს მას შემდეგ, რაც სსრკ დაუბრუნდა მოლაპარაკების მაგიდას) ე. წ. ნულოვანი ვარიანტის ირგვლივ. ბუნებრივია, მსოფლიო საზოგადოება დაინტერესებული იყო ამ მოლაპარაკების მიმდინარეობით. ჟურნალისტმა ჰკითხა რეიგანს, „ხომ არაფერი ცნობაა ჟენევიდანო. „ძალიან სასიამოვნო ინფორმაცია მივიღე" — უპასუხა რეიგანმა და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა: „ჩემი ცოლისთვის საათი უკვე დაუმზადებიათ!". ერთ-ერთ დარბაზში, სადაც რეიგანი სიტყვით უნდა გამოსულიყო, მიკროფონებს ასწორებდნენ, რეიგანს სთხოვეს მიკროფონში რაიმე ეთქვა. ის მშვიდად მიუახლოვდა მიკროფონს და განაცხადა: „15 წუთში ჩვენი თვითმფრინავები დაბომბავენ მოსკოვს".

და მაინც, ავღანეთი იყო ის, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია როგორც დასავლეთის ქვეყნების კონსოლიდაციისა და ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებაზე, ასევე შემდგომში საბჭოთა კავშირს შიგნით განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე.

რატომ ავღანეთი და არა პოლონეთი?

ჩემს მიერ მოტანილი არგუმენტების მიუხედავად, განა უფრო ლოგიკური და სწორი არ იქნებოდა, ეს ოპერაცია პოლონეთში განხორციელებულიყო და არა ავღანეთში? მით უმეტეს, ავღანეთში ახლად მოსული ამინის ხელისუფლება თავისი ორიენტაციით უფრო პროსაბჭოური იყო, ვიდრე პროდასავლური. გარდა ამისა, პოლონეთი მაინც რუსეთის ვასალურ ქვეყნად აღიქმებოდა. ჯარების შეყვანას, რა თქმა უნდა, რეაქცია მოჰყვებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ისე გამოვიდოდა, რომ მეტროპოლიამ თავის კოლონიაში წესრიგი დაამყარა.

ბოლოს და ბოლოს, ვინ მიიღო გადაწყვეტილება? იმ დროს პოლიტბიუროში მყოფმა მთვლემარე ბერიკაცებმა თუ ქვეყნის შიგნით არსებულმა სხვა ძალებმა იზრუნეს იმაზე, რომ ამ მთვლემარე ბერიკაცებს სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიეღოთ?

მე უკვე აღვნიშნე, რომ ლ. ბრეჟნევის გახელისუფლებით შეიქმნა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ახალი მოდელი. პარალელურად,

საზოგადო ასპარეზზე გამოდის თაობა, რომელსაც ნაკლებ სჯერა კომუნისტური იდეოლოგიის და უფრო მატერიალური ფასეულობები აინტერესებს. თანდათან იწყება საზოგადოების დიფერენცირება, ნელ-ნელა იკვეთება ელიტარული ნაწილი. საერთოდ, ზოგადად, საზოგადოებას არ შეუძლია იყოს ერთფეროვანი, დიფერენცირება მისი ბუნებრივი თვისებაა. თვით სტალინის მმართველობის პერიოდშიც კი, როდესაც რეპრესიები პერმანენტულ ხასიათს ატარებდა, საზოგადოება ამა თუ იმ ნიშნით მაინც დიფერენცირებული იყო, მაგრამ იგივე დიქტატურისა და გამუდმებული რეპრესიების გამო, დიფერენცირების ნიშანი და შემადგენლობა მუდმივად იცვლებოდა, ამიტომ ვერ ხერხდებოდა ელიტის გამოკვეთა.

ელიტის არსებობა საზოგადოებაში აუცილებელიც კია, რადგან ნორმალურ ვითარებაში სწორედ ელიტა ქმნის და აყალიბებს ზნეობრივ ღირებულებებს და ნორმებს, წარმოადგენს მიბაძვისა და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ ორიენტირს.

ეს ნორმალურ ვითარებაში; მაგრამ საბჭოთა საზოგადოებას ნორმალურ ვითარებაში არასდროს უცხოვრია — ტერორით დაშინებული და სიყალბით გაჟღენთილი გარემო შესაბამის ფორმას იღებს. ხდება საზოგადოების არა ერთიანი ელიტის ჩამოყალიბება, არამედ იერარქიული ელიტარული ფენების შექმნა, რაც თითქმის ზუსტად შეესაბამება სახელმწიფოს მართვის იერარქიულ სტრუქტურას — დაწყებული სოფლის საბჭოს დონიდან, დამთავრებული პოლიტბიუროს დონით. საერთო ნიშანი ამ ელიტარული ფენებისა ისაა, რომ მის ყველა წევრს გააჩნია უმაღლესი განათლების დიპლომი და კომუნისტური პარტიის მანდატი (გამონაკლისები შეიძლება იყვნენ მხოლოდ პირველ, სოფლის დონეზე). თვისობრივი შემადგენლობა ყველგან ერთგვაროვანია — ხელისუფალი, ინტელიგენტი და საქმიანი. რაც უფრო მაღალია ელიტარული ფენის დონე, მით უფრო ნაკლებია მის წარმომადგენლებზე კანონის ზემოქმედების ხარისხი, ხოლო უმაღლესი ელიტარული ფენა საერთოდ კანონის მიღმა დგას და რადგან საზოგადოების მისწრაფებაა გახდეს ელიტის წევრი, ბუნებრივია, იწყება ლაშქრობა აუცილებელი კომპონენტების — დიპლომი და პარტიის მანდატი — მოსაპოვებლად. საზოგადოებას სძულს ელიტა, რადგან თვლის, რომ ელიტა მას ატყუებს და მის ხარჯზე ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, ცდილობს როგორმე მისი წევრი გახდეს. ელიტაში მოხვედრა საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით მის მაღალ ეშელონებში. სახელმწიფო ბიუროკრატიული

სტრუქტურა მთლიანად დაკავებულია, ცვლილებათა ბუნებრივი პროცესი კი ნელა მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ძალოვან სტრუქტურებში და, კერძოდ, არმიაში — ოფიცერთა დაბალი და საშუალო შემადგენლობა ბედნიერ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, ან განწირულია ლოდინისათვის. პროცესის დაჩქარება შესაძლებელია რაიმე რადიკალური გადაწყვეტილების მიღებით ქვეყნის საშინაო ან საგარეო პოლიტიკაში. ქვეყნის შიგნით რაიმე კარდინალური ცვლილებების წამონყება პარტიულ-ბიუროკრატიულ აპარატს ხელს არ აძლევს, ხოლო პოლონეთში დამსჯელი ოპერაციის ჩატარება საკმაოდ ბუნდოვან პერსპექტივებს ხატავს.

სულ სხვაა ავღანეთი!

ავღანეთში საომარი მოქმედების დაწყება თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს ძალოვან სტრუქტურებს (მარტო რუცკოისა და გრაჩოვის დასახელება კმარა!), განუსაზღვრელ ფინანსებს — სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, ხოლო პარტიულ-ბიუროკრატიულ აპარატს — იმპერიის გაფართოებისა და კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდის შანსს. რა თქმა უნდა, ომის ასეთ გაჭიანურებას არავინ ელოდა. როცა მიხვდნენ, რომ ჩიხში მოექცნენ, დაიწყო გამოსავლის ძიება და იგივე ძალებმა „პერესტროიკის" იდეა წამოაყენეს.

ასეთი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში და საბჭოთა კავშირში მაშინ, როდესაც პერესტროიკის არქიტექტორებმა დემოკრატიაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, პლურალიზმზე და ავღანეთიდან ჯარების გამოყვანაზე დაიწყეს ლაპარაკი და პირველ რიგში, მსოფლიო საზოგადოებისათვის თავიანთი განზრახვის სერიოზულობის დასამტკიცებლად, ციხეებიდან გაათავისუფლეს დისიდენტები, დარწმუნებულებმა იმაში, რომ ამით არც სოციალისტურ ბანაკს და, მით უმეტეს, არც საბჭოთა იმპერიის არსებობას საფრთხე არ ემუქრებოდა.

ვიდრე უშუალოდ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი მოვლენების აღწერაზე გადავიდოდე, ვფიქრობ, აუცილებელია ზოგიერთი ტერმინის დეფინიცია და დაზუსტება.

ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით და ვლაპარაკობთ პოლიტიკაზე, დამოუკიდებლობაზე, დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, პოლიტპატიმრებზე, საბაზრო ეკონომიკაზე და ა. შ. გვეგონა, რომ ერთმანეთის გვესმოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ტერმინებში ან ერთვადასხვა აზრს ვდებდით, ერთვადასხვაგვარად ვიაზრებდით არა მარტო

მათ მნიშვნელობას, არამედ ფუნქციასაც, როგორც მექანიზმისა, საშუალებისა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და აღმშენებლობის მისაღწევად ან, უბრალოდ, ამ ტერმინოლოგიით ვჟონგლიორობდით, როგორც დასავლეთში მიღებული და დამკვიდრებული ფრაზეოლოგიით და არც კი ვცდილობდით, თუნდაც ზედაპირულად გაგვეაზრებინა ცხოვრებაში მათი განხორციელებისა და ამოქმედების გზები და საშუალებები, რადგან ყოველივე ამას ვუყურებდით, როგორც სატყუარას, საშუალებას, რომ მხარდაჭერა მოგვეპოვებინა როგორც ქართულ საზოგადოებაში, რომელიც ასევე არ იწუხებდა თავს საქმის რეალურ არსში გარკვევისათვის და მთლიანად მიტინგებზე მიღებული ინფორმაციით კმაყოფილდებოდა, ასავე დასავლეთში.

მიუხედავად ამისა, ჩემს მიზანს არ შეადგენს დამნაშავეების ძიება, რადგან მგონია, რომ იმაში, რაც მოხდა, მეტ-ნაკლებად ყველას მიუძღვის ბრალი — ერსაც და ბერსაც, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებსაც და არაეროვნულისასაც — თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ შეგვემუშავებინა ქვეყნის დამოუკიდებლობის ისეთი კონცეფცია, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის გასაგები და მისაღები იქნებოდა. მეორეს მხრივ, საზოგადოების იმ ნაწილმა, რომლის მორალური და ზნეობრივი მოვალეობაც კი იყო, აქტიურად ჩაბმულიყო ეროვნულ მოძრაობაში, დამკვირვებლის პოზაში ყოფნა ამჯობინა. თითქოს რაც ხდებოდა, მათ არ ეხებოდა და საკუთარი ქმედების (თუ უმოქმედობის!) გასამართლებლად და სინდისის დასამშვიდებლად მოძებნა არგუმენტი, რომ „პოლიტიკა არ აინტერესებს და პოლიტიკაში არ ერევა". ეს თავისთავად უკვე დანაშაულია, რადგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა პოლიტიკა და შინაგანი მოწოდება არ არის — ეს, უბრალოდ, ყოველი მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა.

მე უფრო ჩემი თაობის წარმომადგენლებს ვგულისხმობ, მათ, ვინც მთავრობის სახლთან გამართული მიტინგების დროს ძირითადი მასიდან ოდნავ მოშორებით, მხატვრის სახლთან და ქაშვეთის ეკლესიასთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, საუბრობდნენ და თან ცალი ყურით მიტინგზე გამოსულ ორატორებს უსმენდნენ და კომენტარს უკეთებდნენ. სწორედ მათ მხრებზე გადაიარა მთელმა იმ უბედურებამ და დღესაც კისერზე აწევთ ქვეყანაში შექმნილი ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური კრიზისი. ისინი ინტელიგენციის საშუალო ფენის — ინჟინერ-ტექნიკური

პერსონალის, მეცნიერების, მედიცინის, განათლების და კულტურის წარმომადგენლები იყვნენ. მათ უარი თქვეს კომუნისტური პარტიის რიგებში პარტიული კარიერის გაკეთებაზე, მაგრამ ეროვნულ მოძრაობასაც გარკვეული ირონიით უყურებდნენ. ეს ის ხალხია, რომლებიც შემდგომში ცხოვრებამ არა მარტო უსამსახუროდ, უფუნქციოდაც კი დატოვა და აიძულა ლუკმა-პურის საშოვნელად ან ქვეყანა მიეტოვებინა, ან ისეთი საქმისათვის მოეკიდა ხელი, რაზეც მაშინ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ — ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ბაზრობებისა და მომსახურების სხვა სფეროებისთვის შეეფარებინათ თავი.

მაშინ არ უნდოდათ თუ არ ესმოდათ, რომ, თუ შენ არ გაინტერესებს პოლიტიკა, სამაგიეროდ პოლიტიკას აინტერესებს შენი საქმიანობა. ესმით კი დღეს? აცნობიერებენ თუ არა, რომ დღეს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია, უპირველესად, ისევ მათ და მათ ახალ საქმიანობას ემუქრება, რომ კიდევ ერთხელ უმუშევრად დატოვებასა და ცხოვრებიდან გარიყვას უპირებს? მგონი, ესმით! ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მინდა ესმოდეთ, რადგან მხოლოდ მათი პოლიტიკური აქტივობაა ერთადერთი გარანტი როგორც საკუთარი საქმის გადარჩენა-გაძლიერებისა, ასევე ქვეყანაში ნორმალური, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის შექმნისა. ეს ის ხალხია, რომელთა უმრავლესობამაც ხვალ ბიზნესმენთა ყველაზე ძირითადი და სტაბილური რგოლი — საშუალო ფენა უნდა შექმნას, ამის საშუალებას კი მათ არავინ მისცემს, ამის მოსაპოვებლად თავად უნდა იბრძოლონ.

სწორედ ამიტომ, მე ეროვნულ მოძრაობაში დაშვებული შეცდომების გააზრება უფრო მნიშვნელოვანი და საჭირო მგონია ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღისათვის, ვიდრე დამნაშავის ძიება და თუ რომელიმე პიროვნების დასახელება მომიწევს, არა როგორც დამნაშავის, არამედ როგორც მცდარი იდეის ან ტაქტიკური სვლის ავტორისა.

პოლიტიკა შესაძლებლობების რეალიზების ხელოვნებაა, ეს ყველასთვის გასაგებია, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკა არის ადამიანების გონებრივი მოღვაწეობის, რაციონალური აზროვნების სფეროც, რომელიც დაფუძნებულია ფაქტებზე და შედგება ვერსიათა ლოგიკურად ასხმული ჯაჭვისაგან. ამ ჯაჭვის თითოეული რგოლი მკაცრად არგუმენტირებული უნდა იყოს. მხოლოდ ცალკეულ შემთვევებში, ეპიზოდურად შეიძლება

იყოს პოლიტიკა ირაციონალურ-ინტუიტიური, ამიტომ ლაპარაკი მესიანიზმზე, მასონიზმზე, სატანიზმზე და სადღაც, რომელიღაც მოულოდნელ „N" სვლაზე, რომელმაც თითქოსდა ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ უნდა შეცვალოს, ოღონდ მანამდე საჭიროა მოცდა და ლოდინი, ჩემთვის არა მარტო მიუღებელი, აბსურდულიც კია. დღევანდელი ინფორმაციულობისა და ტექნიკური საშუალებების პირობებში არათუ პოლიტიკაში, არამედ სამყაროში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებშიც კი მოულოდნელობა თითქმის გამორიცხულია. ამას მაფიქრებინებს ეროვნული მოძრაობისა და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები, რაშიც მოულოდნელი და გასაოცარი არაფერი ყოფილა.

***

„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვაცხადებთ, რომ ამა წლის 31 ოქტომბერს შეიქმნა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება", რომელიც მიზნად ისახავს დიდი ილიას იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლას.

ჩვენი საზოგადოების წევრობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომლისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული ფასეულობანი.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობაში შედის შვიდი ადამიანი. ჩვენი საზოგადოება არის ლეგალური და ამიტომაც მოვთხოვთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მის იურიდიულ გაფორმებას, გამგეობისათვის და საზოგადოების წევრთა შეკრებებისათვის შენობის გამოყოფას და „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" „მოამბის" გამოშვებაში ხელის შეწყობას.

ჩვენი საზოგადოების პროგრამისა და წესდების შემუშავება-დამტკიცება მოხდება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც ამ წლის ბოლომდე უნდა ჩატარდეს" (დეკლარაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნის თაობაზე).

დეკლარაცია მიღებულ იქნა საზოგადოების გამგეობის სხდომაზე 1987 წლის 31 ოქტომბერს. მას ხელს აწერენ ხელმომწერები — გიორგი ჭანტურია, გიორგი ალიბეგაშვილი, ელისაბედ ქავთარაძე, ნოდარ ქერაშვილი, გურამ მამულია, მიხეილ ქურდიანი, ციალა არდაშელია" („ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" „მოამბე" №1. 1987 წლის ნოემბერი).

ამ დეკლარაციის მიღებიდან სულ რაღაც თვენახევრის თავზე, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" „მოამბე"№2 — სპეციალური გამოშვება — გვაუწყებს:

„1987 წლის 11 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში შედგა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დამფუძნებელი კრება. კრებას ესწრებოდა საზოგადოების 41 აქტივისტი (გამოქვეყნებულია დამფუძნებელი კრების მონაწილეთა სია)";

შემდეგ აღნიშნულია, რომ „დამფუძნებელ კრებას ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა გამგეობის უხუცესი წევრი ელისაბედ ქავთარაძე, საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე არ იმყოფებოდნენ ასევე ზოგიერთი სხვა წევრებიც, მათ შორის მერაბ კოსტავა და მარინა ტერზიანი, რომელნიც საზოგადოებამ მოსკოვს მიავლინა ადამიანთა უფლებების დაცვის თაობაზე სემინარში მონაწილეობის მისაღებად".

„კრება გახსნა გიორგი ჭანტურიამ. კრებას თავმჯდომარეობდა გურამ მამულია. განხილულ იქნა საზოგადოების წესდებისა და პროგრამის პროექტები. გაიმართა მძაფრი კამათი".

„პროგრამისა და წესდების მიღების შემდეგ საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ წერილობით მიმართა მოსკოვის სემინარის მონაწილეებს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს".

„დამფუძნებელ კრებაზე გადაწყდა, რომ სექციის ხელმძღვანელი აუცილებლად გამგეობის წევრიც უნდა იყოს. სექციის ორი ხელმძღვანელი არ გახლდათ გამგეობის წევრი, ამიტომ გადაწყდა მათი გამგეობაში შეყვანა და გამგეობის წევრთა რიცხვის ცხრამდე გაზრდა. გამოითქვა ის აზრიც, რომ გამგეობის წევრთა რიცხვი ცხრას არ უნდა აღემატებოდეს.

გამგეობის დღევანდელი შემადგენლობა: 1. გიორგი ჭანტურია; 2. გურამ მამულია; 3. ელისაბედ ქავთარაძე; 4. ციალა არდაშელია; 5. მიხეილ ქურდიანი; 6. ვანო ხუხუნაიშვილი; 7. ირაკლი წერეთელი; 8. მერაბ კოსტავა; 9. თამარ ჩხეიძე.

დამფუძნებელ კრებაზე ასევე გადაწყდა ლიტერატურული და საგანმანათლებლო სექციების გაერთიანება და ამ გაერთიანებული სექციისთვის ახალი სახელის წოდება, ხოლო ლიტერატურული სექციის ნაცვლად კულტურულ ურთიერთობათა სექციის ჩამოყალიბება.

სახელი გადაერქვა რამდენიმე სხვა სექციასაც და დღეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" სექციები ასე გამოიყურება:

I. საეკლესიო საქმეთა სექცია. ხელმძღვანელი გიორგი ჭანტურია;

II. მშვიდობის დაცვის სექცია. ხელმძღვანელი ვანო ხუხუნაიშვილი;

III. სოციალურ პრობლემათა სექცია. ხელ-ლი მერაბ კოსტავა,

კონსულტანტი ელისაბედ ქავთარაძე;

IV. ეროვნული უფლებების დაცვის სექცია. ხელ-ლი ირაკლი წერეთელი;

V. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სექცია. ხელ-ლი ირაკლი წერეთელი;

VI. ისტორიისა და კულტურის ძეგლებისა და ბუნების დაცვის სექცია. ხელ-ლი თამარ ჩხეიძე;

VII. კულტურულ ურთიერთობათა სექცია. ხელ-ლი მიხეილ ქურდიანი.

დამფუძნებელმა კრებამ მკაცრად განსაზღვრა ყოველი სექციის საქმიანობის ფარგლები და სფერო;

საეკლესიო საქმეთა სექცია იღვწის ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის კონსტიტუციური მუხლის დაცვისათვის და მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების ეკლესიის საქმეებში სრულ ჩაურევლობას;

ეს სექცია სასულიერო ლიტერატურას ავრცელებს ხალხში და განსაზღვრული აქვს მხარში ამოუდგეს ეკლესიას ახალი ეკლესია-მონასტრების გახსნის საშვილიშვილო საქმეში. სექცია იბრძვის საეკლესიო სასამართლოს აღდგენისათვის.

სექცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისიონერული მიზნით დიალოგს არამართლმადიდებლებთან.

***

მშვიდობის დაცვის სექცია იბრძვის მშვიდობის სახარებისეული პრინციპების დამკვიდრებისთვის და ასევე საყოველთაო, გლობალური მასშტაბის განიარაღებისთვის.

***

სოციალურ პრობლემათა სექცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებების დაცვას.

***

ეროვნული უფლებების დაცვის სექცია ატარებს ეროვნულ-პატრიოტულ ღონისძიებებს ქართველ ერში და ქართველების ღირსების დამრღვევ-შემლახავ ფაქტებს ავლენს და პასუხს სცემს.

ეს სექცია იღვწის იმისათვის, რათა მესხებსა და მონოფიზიტ ქართველებს დაუბრუნდეთ თავიანთი ეროვნება და გვარები.

***

ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სექცია შეისწავლის დიდი ილიას შემოქმედებასა და ფარდას ხდის ამ შემოქმედების ყალბ ინტერპრეტატორებს. ყურადღება ექცევა დღევანდელ ქართულ

კულტურას და შემუშავებულ იქნება ჩვენი კულტურის განვითარების დამოუკიდებელი ტაქტიკა.

სექცია მოითხოვს უმაღლესი განათლების რეფორმას, ქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, სკოლებში საქართველოს ისტორია-გეოგრაფიის ჭეშმარიტი სწავლების დაფუძნებას და ა. შ.

***

ისტორიისა და კულტურის ძეგლების და ბუნების დაცვის სექცია იბრძვის გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ. იცავს საქართველოს ბუნებას და ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს.

***

კულტურულ ურთიერთობათა სექცია აპირებს ურთიერთობის დამყარებას სხვა ერებთან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ეს ახალი სექცია ანიჭებს ჩრდილო კავკასიის ავტოქტონურ მოსახლეობასთან კავშირს.

სექციის საქმიანობის სფერო მოიცავს ქართველი მუსულმანებისა და სხვა აღმსარებლობის ქართველებთან ურთიერთობის საკითხს".

„ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" დამფუძნებელი კრების ჩატარებიდან 10 დღის შემდეგ დიდუბის პანთეონში შედგა პირველი აქცია, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვწერდი. ისიც აღვნიშნე, რომ ამავე პერიოდში ხელისუფლებამ შექმნა „რუსთაველის საზოგადოება", როგორც „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" საპირწონე, მიანიჭა ოფიციალური იურიდიული სტატუსი და გამოუყო შენობა. „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" წევრთა ყველა მცდელობა კი, როგორმე მიეღწიათ იურიდიულად გაფორმებისთვის, მარცხით დასრულდა. არადა, როგორც კი გაკეთდა დეკლარაცია „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნის თაობაზე 1987 წლის 31 ოქტომბერს, მათ განცხადებით მიმართეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სადაც აღნიშნავდნენ: „უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი საზოგადოების მიზნები არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ აღებულ კურსს, ჩვენი ამოცანები ჩვენი ერის უფლებების დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-გაფრთხილებაა" („ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" „მოამბე" №1, 1987 წ., ნოემბერი) და მოითხოვდნენ საზოგადოების იურიდიულ გაფორმებას, ე. ი. რეგისტრაციას. ასევე მოიქცნენ საზოგადოების დამფუძნებელი კრების შემდეგ, ოღონდ ამჯერად საქართველოს ცკ-ს პირველ მდივანს ჯ. პატიაშვილს მიმართეს კონკრეტული მოთხოვნებით:

I. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" იურიდიული გაფორმება.

II. საზოგადოებისთვის შენობის გამოყოფა; სასურველია ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ნაწილი.

III. საზოგადოების მიერ შედგენილი ლიტერატურის გამოცემა. გამომცემლობის დაარსება.

IV. საზოგადოების სახელზე სახელმწიფო ბანკში ანგარიშის გახსნა". („ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" „მოამბე" №2, 1987 წ., დეკემბერი).

ეს მოთხოვნაც დაუკმაყოფილებელი დარჩა. როგორც მოტანილი ციტატებიდან ჩანს, ხელისუფლებისათვის მიუღებელი თითქოს არაფერია, მაგრამ იგი მაინც უარს ამბობს საზოგადოების იურიდიულ რეგისტრაციაზე და ასე ხდება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავშირში, სადაც კი არის მცდელობა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნისა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხელისუფლებას ხელს აძლევს ასეთი საზოგადოებების კანონგარეშე, არაფორმალურ ორგანიზაციებად დატოვება. ასეთი დამოკიდებულება არაფორმალური ორგანიზაციებისადმი, განსაკუთრებით მათი შექმნის პირველ პერიოდში, ძალიან ჰგავს 1975-77 წლებში ჰელსინკის კავშირის ჯგუფებისადმი დამოკიდებულებას, მეთოდებიც, რომელსაც ხელისუფლება მათ წინააღმდეგ იყენებს, ანალოგიურია — ოფიციალური პრესიდან და ტელევიზიიდან წამოსული კრიტიკული ნიაღვარი, რომლის მიზანი არაფორმალთა დისკრედიტაციაა მოსახლეობაში. ამასთან, თუ ადრე დისიდენტთა წინააღმდეგ გაჩაღებული პროპაგანდა უფრო დასავლეთის საზოგადოებისთვის იყო გამიზნული, რომ მათი რეპრესირებისათვის სასურველი ფონი შექმნილიყო — თითქოსდა დისიდენტების საქმიანობით „აღშფოთებული" საბჭოთა საზოგადოება ხელისუფლებისაგან მათ „ალაგმვას" მოითხოვდა, ხოლო ხელისუფლება იძულებული იყო ანგარიში გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის და ამიტომ ახორციელებდა დისიდენტთა რეპრესირებას, რაც, თავისთავად, სრულ ჰარმონიაში იყო ხელისუფლების მიერ იმ პერიოდში გატარებულ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ კურსთან, — სრულიად გაუგებარია იგივე მოდელის გამოყენება არაფორმალთა მისამართით 1987 წელს, როცა ხელისუფლება „პერესტროიკასა" და „გლასნოსტზე" ლაპარაკობს, იცვლება ძველი საგარეო პოლიტიკური კურსი. ასეთ ვითარებაში არაფორმალთა რეპრესირება ხომ მკვეთრ დისონანსს გამოიწვევს ოფიციალურად აღიარებულ და დეკლარირებულ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ კურსთან? იქნებ იმის იმედი ჰქონდათ, რომ მასირებული

პროპაგანდით შეძლებდნენ ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი აზრის შექმნას? განა ასეთი რთული მისახვედრია, საზოგადოების თვალში თავად დისკრედიტებული ხელისუფლება სხვათა დისკრედიტაციას რომ ვერ შეძლებს? ამიტომ, არაფორმალთა წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა, პირიქით, ხელს უწყობდა მათ პოპულარობას და საზოგადოებისათვის ერთგვარი ორიენტირის როლსაც კი ასრულებდა. მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ სულ რაღაც ორნახევარი წლის შემდეგ, არა თუ არაფორმალური საზოგადოების, პარტიათა რეგისტრირებაც კი დაიწყეს. ნუთუ ხელისუფლებისათვის ასე ძნელი იყო ამ პროცესის განჭვრეტა?!

ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ ხელისუფლებას არაფორმალებთან ურთიერთობის არავითარი სტრატეგიული გეგმა არ გააჩნდა. როდესაც 1986 წლის ბოლოს და 1987 წლის დასაწყისში დისიდენტები ციხეებიდან გაათავისუფლეს, ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ეს ხალხი ისევ დაიწყებდა პოლიტიკურ საქმიანობას, რადგან ისინი არც სულიერად გატეხილან და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც თავს გამარჯვებულად მიიჩნევდნენ (სხვათა შორის, სრულიად სამართლიანად). მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ეს იყო იძულებითი ნაბიჯი და არა ჰუმანურობის გამომჟღავნება; ისიც კარგად იცოდნენ, მათი ხელახალი დაპატიმრება ხელისუფლებისთვის უფრო წამგებიანი რომ იქნებოდა.

საერთოდ, მ. გორბაჩოვისა და მისი გუნდის მოღვაწეობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მათ არავითარი სტრატეგიული გეგმა არ გააჩნდათ არა მარტო დისიდენტებთან და შემდგომ არაფორმალებთან მიმართებაში, არამედ არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. სიტყვა „პერესტროიკა" ისე შემოვიდა და შემდგომ ისე გაქრა პოლიტიკური ლექსიკონიდან, რომ დღემდე ხეირიანად არავინ იცის, ამ სიტყვის მიღმა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოწყობის რაიმე კონკრეტული კონცეფცია იყო თუ არა. როგორც ჩანს, არც არავითარი!

იმდროინდელ ხელისუფლებაში, არც თვით მ. გორბაჩოვის გუნდში და არც მის გარეთ, არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ამ „პერესტროიკის" გააზრებას შეეცდებოდა და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი მოდერნიზების რაიმე, თუნდაც ცუდ გეგმას შეიმუშავებდა, ამიტომ გორბაჩოვი და მისი გუნდი მიმდინარე, ცალკეული პრობლემების გადაწყვეტას უფრო მეტ დროს ანდომებდნენ, ვიდრე

გააზრებული და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას. ისინი იმ არმიის სარდლებს ჰგავდნენ, რომლის ჯარისკაცებიც ბრძოლის ველიდან უწესრიგოდ, თავქუდმოგლეჯილნი გარბიან და ხიფათს თავდაღწეულნიც ვერ ახერხებენ შეჩერებას და ორგანიზებას. სხვაგვარად წარმოუდგენელია თოფის გასროლის გარეშე ისეთი იმპერიის დაშლა და დამხობა, რომელიც მინიმუმ ნახევარი საუკუნის მანძილზე ძილს უფრთხობდა მთელ კაცობრიობას.

ძალიან კარგად მესმის და ვიცი, რომ იმ დროს, როდესაც მ. გორბაჩოვი ხელისუფლებაში მოვიდა, სახელმწიფო მანქანა მხოლოდ ინერციითლა აგრძელებდა მუშაობას, უფრო სწორად, მუშაობის იმიტაციას ქმნიდა. სახელმწიფო სტრუქტურები მთლიანად კორუმპირებული და დემორალიზებული იყო. ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასასრულს თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს კგბ-ს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ცვიგუნი. შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის შოლოკოვის თანამდებობიდან გადაყენება და თვითმკვლელობა, ხოლო მისი მოადგილის ჩურბანოვის (ლ. ბრეჟნევის სიძე) დაპატიმრება საკმაოდ მკაფიოდ ასახავს დემორალიზაციის დონეს.

როდესაც სასამართლო პროცესის შემდეგ კგბ-ს იზოლატორის საკანში მივყავდით, დერეფანში ერთი მაღალჩინოსანი კაგებეშნიკი წამოგვეწია. — როგორაა საქმეო? — მკითხა. არაფერი, მომისაჯეს-მეთქი. — ვუპასუხე. ეჰ, ამათ შენ მოერევიო? — გაღიზიანებით და სინანულით მითხრა და წავიდა. საკანში დაბრუნებული ცოტა გაკვირვებული ვფიქრობდი, ნეტა ეს „ამათ" ვინლა არიან-მეთქი. აშკარა იყო, მაღალჩინოსანი საკუთარ თავს ჩვენს მოწინააღმდეგეთა ბანაკში არ განიხილავდა, რაც ჩემთვის ერთობ სასიამოვნო მოულოდნელობას წარმოადგენდა. სხვათა შორის, ასეთივე იყო იზოლატორში მომუშავე ზედამხედველთა დამოკიდებულება იმ დროს (1983-84 წ.წ.) პატიმრობაში მყოფი სხვა პოლიტპატიმრების მიმართაც, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი გულისთვის, ან სხვა რაიმე ამაღლებული მოსაზრებების გამო ისინი რისკს გასწევდნენ, ინსტრუქციას დაარღვევდნენ, ან ბრძანებას არ შეასრულებდნენ, — ასეთი რამ გამოირიცხებოდა, — მაგრამ წმინდა ადამიანური თვალსაზრისით მაინც სასიამოვნო იყო. ეს არ გახლდათ მხოლოდ ქართული მოვლენა. მოსკოველი დისიდენტი, „ექსპრესქრონიკის" ერთ-ერთი გამომცემელი და გამავრცელებელი ჰყვებოდა: „მეტროში ჩამავალ

ესკალატორზე მდგარს გვერდით ვილაც კაცმა ჩამიარა, „ხვალ ამა და ამ ნომერ ბინას გაჩხრეკენო", — ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა და წავიდა. ეს ჩვენი კონსპირაციული ბინა იყო, სადაც არალეგალურ ლიტერატურას და სხვა მასალებს ვინახავდით. ორი საათი მეტროში ვიარე, ერთი სადგურიდან მეორეში, რათა დავრწმუნებულიყავი, „კუდი" რომ არ მომყვებოდა, შემდეგ სხვებს დავუკავშირდი და ბინა სასწრაფოდ დავცალეთ. მეორე დღეს ბინა მართლაც გაჩხრიკეს". კიდევ მრავალი ამგვარი ეპიზოდი ადასტურებდა, რომ იმპერიის ამ ძირითად საყრდენში ყველაფერი რიგზე არ იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ზედმიწევნით ზუსტად შეასრულებდა მიცემულ ბრძანებას.

ასეთივე მძიმე ვითარებაა არმიაში.

ავლანეთის სამხედრო მოქმედებებმა თანდათან დაამსხვრიეს საბჭოთა არმიის ძლევამოსილების მითი, რამაც სამხედროებში საკმაოდ მძიმე აპათია გამოიწვია. მიუხედავად ამისა, თითოეული ეს სტრუქტურა ბრძანების მორჩილი და აღმსრულებელი დარჩა, ამიტომ მგონია, რომ შესაძლებელი იყო თანდათანობით მათი წესრიგში მოყვანა. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც — თავის დროზე ლ. ბრეჟნევის ხელისუფლების სტაბილურობა იმანაც განაპირობა, რომ მისი გუნდის წევრები პარტიისა და მთავრობის ცენტრალური აპარატის წარმომადგენლები იყვნენ, მ. გორბაჩოვის გუნდის მნიშვნელოვან ნაწილს კი პერიფერიების ყოფილი ლიდერები წარმოადგენდნენ. პარტიის და სახელმწიფოს იერარქიული სტრუქტურა ისეთი იყო, რომ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე უფრო მაღლა იდგა, ვიდრე თუნდაც რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. შესაბამისი იყო მათ შორის პიროვნული ურთიერთობაც. მ. გორბაჩოვის გუნდში მოხვედრის შემდეგ ეს დამოკიდებულება 180 გრადუსით შეიცვალა, რასაც არ შეიძლება გაღიზიანება და ჩუმი პროტესტი არ გამოეწვია ხელისუფლების მეორე ეშელონში, მიუხედავად იმისა, რომ მ. გორბაჩოვის გუნდის წევრები, თავიანთი ინდივიდუალური მონაცემებით, უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე ლ. ბრეჟნევის გუნდისა (ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ შეიძლება ე. ლიგაჩოვი იყოს, თუმცა მისი ასეთი იმიჯი მისივე ფრაზის — „ბორია, ტი ნე პრავ!" — ესტრადისა და საატირის წარმომადგენელთა მიერ ყველანაირ რაკურსში ტრიალმა უფრო შექმნა).

ხელისუფლების მეორე ეშელონში ძალთა თანაფარდობა მ. გორბაჩოვის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა (ანუ რომანოვის მომხრეთა) შორის იმდენად თანაბარი იყო, რომ ი. ანდროპოვის სიკვდილის შედეგ კ. ჩერნენკოს გახელისუფლება დროის გადავადების მიზნით აუცილებელი შეიქმნა. ეტყობა, არც ჩერნენკოს გარდაცვალების შემდეგ ჰქონდათ მ. გორბაჩოვსა და მის მომხრეებს დიდი უპირატესობა, ხოლო თუ აგვისტოს პუტჩსა და მის ორგანიზატორებსაც გავითვალისწინებთ, მ. გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლა და პოლიტბიუროს დაკომპლექტება შეიძლება გარკვეული კომპრომისებისა და ურთიერთშეთანხმების შედეგიც კი ყოფილიყო.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის დასავლეთმა უკვე დაძლია ენერგოკრიზისი და მისი ეკონომიკა გარკვეულ აღმავლობას განიცდიდა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა დასავლეთის ქვეყნების კონსოლიდაცია და შესაბამისად გაამკაცრა სსრკ-ს მიმართ გატარებული პოლიტიკური კურსი. ამავე პერიოდში რ. რეიგანმა წამოაყენა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდამ „ვარსკვლავეთის ომები" უწოდა, ხოლო ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად წამოვიდა იდეა მსოფლიო კოსმოსური ტელეკომუნიკაციური სისტემის შექმნისა. როგორც იდეის ავტორები ამბობდნენ, საბჭოთა იმპერიის მესვეურთ კარდაკარ მოუწევთ სიარული, ტელევიზორები რომ გამორთონ, სხვა ტექნიკური საშუალებები ტელეტალღების ჩასახშობად, ისე, როგორც რადიოტალღებს ახშობდნენ, მათ არ ექნებათო. საბჭოთა ქვეყნებისათვის დასავლეთის მხრიდან მოწყობილი ბლოკადის გარღვევა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. ისიც ნათელი იყო, რომ რომანოვი ამას ვერ შეძლებდა, მისი პოლიტიკური კურსი ლ. ბრეჟნევის პოლიტიკური კურსის შერბილება იქნებოდა. გარდა ამისა, რომანოვს საკმაოდ კარგად იცნობდნენ დასავლეთის პოლიტიკური წრეები. დასავლეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად ყველაზე კარგი კანდიდატურა მ. გორბაჩოვი ჩანდა, ამიტომაც დაუჭირა მხარი საბჭოთა პოლიტიკურმა ელიტამ. ბუნებრივია, იმავე პოლიტიკურ ელიტას ესმოდა, რომ დასავლეთთან პრობლემის მოგვარება საბჭოთა ხელისუფლებისგან გარკვეულ კომპრომისებზე წასვლას მოითხოვდა, — უპირველეს ყოვლისა, ავღანეთისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში — იქნებ ამ კომპრომისებზე წასვლის აუცილებლობაც იყო ერთ-ერთი მოტივი,

რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი არარუსი ეროვნების წარმომადგენელს, ე. შევარდნაძეს ჩააბარეს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მ. გორბაჩოვმა და მისმა გუნდმა სრული უუნარობა გამოამჟღავნეს სახელმწიფოს მართვაში. ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამობრძმედილებმა ვერ მოახერხეს შეექმნათ თავისი მხარდამჭერი ძლიერი და მტკიცე ხელისუფლების მეორე ეშელონი (ან იქნებ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ცდილობდა საკუთარი საყრდენის შექმნას?). არა მგონია, მოიძებნოს ისეთი გულუბრყვილო ადამიანი, რომელიც თუნდაც თეორიულ ვერსიაში ჩათვლის შესაძლებლად ამ გუნდში ისეთი პიროვნების არსებობას, რომელსაც თუნდაც სულის უკიდურეს სიღრმეში ჰქონდა აზრად საბჭოთა იმპერიის დამხობა, თუ მათი სულის ხვეულებში რაიმე აზრი ღვიოდა, ეგ უსათუოდ იმპერიის პირველკაცობაზე ოცნება იქნებოდა. მაგრამ თუ მათ საერთოდ რაიმე დამსახურება მიუძღვით, ეს ისაა, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად მასობრივ რეპრესიებს და სამოქალაქო ომს არ მიმართეს. სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ამგვარი ქმედებისათვის შესაფერისი ვითარება იყო აგვისტოს პუტჩის შემდეგ, მაგრამ მათ ამის მცდელობაც კი არ ჰქონიათ.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 50-ე წლისთავზე მ. გორბაჩოვის გამოსვლა და იმ პერიოდში მიღებული ანტიალკოჰოლური და სხვა კანონები, რომლებიც თავისი სულისკვეთებით ი. ანდროპოვის პოლიტიკური კურსის გაგრძელებას წარმოადგენდა, ისე სწრაფად შეიცვალა „გლასნოსტითა" და „პერესტროიკით", რომ არსებული პრობლემების ძირფესვიანი შესწავლა კი არა, უბრალო გააზრებაც გაჭირდებოდა.

როდესაც ხელისუფლებამ „პერესტროიკაზე" დაიწყო ლაპარაკი, ზონაში დავიწყეთ ძველი ჟურნალების მოძიება ჩინეთში მიმდინარე რეფორმებში უფრო დეტალურად გარკვევის მიზნით. ვფიქრობდით, რომ „პერესტროიკა" ჩინური მოდელის ასლი თუ არა, რაღაც მიმგვანებული მაინც უნდა ყოფილიყო. ასეთი ვარაუდის საფუძველი ნამდვილად არსებობდა — სახელმწიფოს სტრუქტურული მონყობის იდენტურობა, ძლიერი პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი და ეკონომიკური კრიზისი. ეტყობა, მარტო ჩვენ არ ვფიქრობდით ასე — საბჭოთა პერიოდიკა ჩინეთში მიმდინარე პროცესებს ისედაც საკმაო ყურადღებას

აქცევდა, მაგრამ „პერესტროიკის" გამოცხადების შემდეგ ამ რეფორმებისადმი ინტერესი თითქოს გაორმაგდა. პერიოდულად გამომავალი ჟურნალები „ეკო", „პრობლემი დალნოგო ვოსტოკა" და „იუგო-ვოსტოჩნაია აზია" საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდნენ ჩინეთს და იქ მიმდინარე რეფორმებს — იბეჭდებოდა საკმაოდ ვრცელი და დეტალური ინფორმაცია და ანალიზი.

ეტყობა, ესეც იყო მიზეზი, რომ გორბაჩოვი და მისი გუნდი ყოველთვის ჩამორჩებოდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, ამიტომაც არაფორმალებთან ურთიერთობაში პოლიტიკური ინიციატივის ხელში აღებას მე-5 კოლონისა და სუკ-ის მეთოდების გამოყენება ამჯობინა.

„ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" დაფუძნების შემდეგ „მოამბეში" გამოქვეყნებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ საზოგადოების მიერ წამოწეული პრობლემატიკა და მისი გადაწყვეტის გზები, აგრეთვე საქმიანობის ფორმა ძალიან ახლოსაა დისიდენტური მოღვაწეობის სფეროსთან, მაგრამ ეს მანამ, ვიდრე საზოგადოება თავისი იდეების პროპაგანდას მხოლოდ ბეჭდვითი მასალის გავრცელებით აპირებს; როგორც კი საზოგადოება მასობრივი საპროტესტო აქციების ჩატარებას იწყებს, დისიდენტური მოძრაობა უკვე პოლიტიკურ სახეს იღებს, ამიტომ ხელისუფლებამ არაფორმალებს ან პოლიტიკური ბრძოლა უნდა გაუმართოს ან რეპრესიები მოაწყოს. სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს.

როდესაც „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" მიერ გამოცემულ ჟურნალ „მოამბის" პირველ და მეორე ნომრებს ვკითხულობდი, ჩემი ყურადღება ორმა გარემოებამ მიიპყრო: 1. „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნის თაობაზე დეკლარაცია მიღებულ იქნა გამგეობის სხდომაზე 1987 წლის 31 ოქტომბერს და ხელს აწერს 7 პირი, ეტყობა, გამგეობის წევრები. სამწუხაროდ, არ ჩანს, რამდენი კაცი ესწრებოდა საზოგადოების შექმნას და ვის მიერ იქნენ არჩეული გამგეობის წევრები. დეკლარაცია რომ საინიციატივო ჯგუფის სახელით გაკეთებულიყო, ყველაფერი გასაგები იქნებოდა, თუმცა, მაინც საინტერესოა, რატომ არ შეიძლებოდა მოცდა დამფუძნებელი კრების ჩატარებამდე და 2. „მოამბის №2"-ში გამოქვეყნებულია იმ აქტივისტთა სია, რომლებიც საზოგადოების დამფუძნებელ კრებას ესწრებოდნენ. აქვე აღნიშნულია, რომ ავადმყოფობის გამო კრებას ვერ ესწრებოდა ელისაბედ ქავთარაძე, აგრეთვე ზოგიერთი სხვა წევრიც, მათ შორის მერაბ კოსტავა და

მარინა ტერზიანი, რომლებიც საზოგადოებამ მოსკოვს მიავლინა. მე ყურადღებით გავეცანი საზოგადოების აქტივისტთა სიას, გამგეობის შემადგენლობას და სხვა ინფორმაციებს; ზვიად გამსახურდიას პიროვნება არ ფიგურირებს. იმ პერიოდში მე არ ვიყავი საზოგადოების წევრი და არც დამფუძნებელ კრებას ვესწრებოდი, ამიტომ არ ვიცი, რატომ არ მიიღო მონაწილეობა საზოგადოების დაფუძნებაში ზვიად გამსახურდიამ — არ იცოდა საზოგადოების დაფუძნების შესახებ, თავად არ ისურვა (ისევე, როგორც მე), თუ სხვა რამ მიზეზი არსებობდა (სხვათა შორის, ზ. გამსახურდია არ დასწრებია არც დიდუბის პანთეონში გამართულ აქციას); ვფიქრობ, რომ ჩვენი ერის უახლესი ისტორიისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი დეტალია. იმედი მაქვს, 1987 წლის 11 დეკემბერს „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" დამფუძნებელი კრების მონაწილენი შეავსებენ ამ ხარვეზს.

ინფორმაცია „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნის შესახებ საკმაოდ სწრაფად გავრცელდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი დაინტერესება გამოიწვია. საზოგადოების მიერ გამოცემული ჟურნალი „მოამბე" ხელიდან ხელში გადადიოდა. აღსანიშნავია ერთი გარემოება — თუ 70-იან წლებში დისიდენტების მიერ გამოცემული ჟურნალების „ოქროს საწმისისა" და „საქართველოს მოამბის" გავრცელება კონსპირაციულად ხდებოდა, ამჯერად უკვე არავინ თვლიდა აუცილებლად ვინმესთან დაემალა, ჟურნალ „მოამბეს" რომ კითხულობდა, ან სხვას რომ გადასცემდა, რაც იმაზეც მიუთითებს, რომ მოსახლეობაში ხელისუფლებისა და სუკ-ის მიერ ჩანერგილი მორჩილებისა და შიშის დაძლევის პროცესი იწყებოდა.

არაფორმალებმა პირველ რიგში წამოწიეს ის პრობლემები, რომლებზედაც საზოგადოებრივი აზრი მეტ-ნაკლებად ცნობილი და ჩამოყალიბებული იყო — დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსიდან სამხედრო პოლიგონის გადატანა, მინაძის წყალსაცავისა და ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის შეწყვეტა, ხოლო მოგვიანებით — „ხუდონჰესი".

თუ მინაძის წყალსაცავისა და ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხი ქართულ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, რაც სრულიად გასაგები იყო — რადგან ასეთი გრანდიოზული მშენებლობების დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა და სახელისუფლებო თუ სამეურნეო ბიუროკრატიას დიდი ფულის შოვნის საშუალებას აძლევდა,

მშენებლობის შეწყვეტა კი უშუალოდ უკავშირდებოდა მათ ეკონომიკურ შემოსავალს და ამიტომაც მძაფრ გაღიზიანებას იწვევდა მათი მხრიდან — დავით-გარეჯის კომპლექსიდან სამხედრო პოლიგონის გადატანის წინააღმდეგი მხოლოდ სამხედრო სტრუქტურების წარმომადგენლები და მოსკოვი იყვნენ. გარდა ამისა, გრანდიოზულ მშენებლობათა არგუმენტირება ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით გაცილებით ადვილი იყო, ხოლო სამონასტრო კომპლექსისადმი დაშენილი ჭურვების გამართლება ყველაზე „მორწმუნე" კომუნისტ-ინტერნაციონალისტსაც კი გაუჭირდებოდა.

ამიტომ, როგორც „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" ჟურნალი „მოამბე" №4-5 გვამცნობს, „1988 წლის 24 თებერვალს თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში 11 საათისთვის საკმაო რაოდენობის ადამიანმა მოიყარა თავი. მიტინგი 12 საათზე დაიწყო. სიტყვით გამოვიდა დავით ტურაშვილი. ორატორმა თავშეყრილ საზოგადოებას დაწვრილებით გააცნო დავით-გარეჯის უდაბნოში შექმნილი მძიმე ვითარება. მან ხალხს უნიკალური ძეგლის გადასარჩენად მოუწოდა. დავით ტურაშვილი და თედო ისაკაძე (თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი) ვითარების გამოსარკვევად ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახეს. მიტინგი დროებით დაიშალა და 16 საათისთვის კვლავ განახლდა. ცკ-დან დაბრუნებულმა სტუდენტებმა, რომლებიც შეხვდნენ საქართველოს კპ ცკ მდივანს გ. ენუქიძეს, აცნობეს შეკრებილთ სამხედრო პოლიგონის სამი კილომეტრის მანძილზე გადატანის დაპირების შესახებ. ამ ცნობამ შეკრებილი საზოგადოება არ დაკმაყოფილა. იქვე, სახელდახელოდ, შედგა პეტიციის ტექსტი, რომელშიც წამოყენებული იყო მოთხოვნა სამხედრო პოლიგონის დავით-გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიიდან გადატანაზე. პეტიციას ხელი მოაწერა 500-მდე ადამიანმა. მიტინგმა დაახლოებით სამ საათს გასტანა, ჩაიარა მშვიდობიან, მაგრამ მღელვარე ვითარებაში" (სტატიის ხელს აწერს ირაკლი წერეთელი, 1988 წლის 25 მარტი).

აშკარად გამოჩნდა, როგორ იღვიძებს ეროვნული სული, როგორ თანდათან ხდება რეალიზება სტუდენტი ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მოთხოვნილებისა ღიად, ყოველგვარი ცენზურის გარეშე ისაუბრონ ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებზე. იზრდება არაფორმალთა რიცხობრივი რაოდენობა და ნათელი ხდება, რომ ძალიან მალე შეიქმნება სოლიდური საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც, უნდა თუ არა, ხელისუფლებამ ანგარიში უნდა გაუწიოს,

როგორც პოლიტიკურ ძალას და არა როგორც საზოგადოებრივ აზრს ან სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს.

ანალოგიური იყო მდგომარეობა მთელი კავშირის მასშტაბით, რაც აიძულებდა ხელისუფლებას გარკვეული კონტრზომები გაეტარებინა. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, რადგან ხელისუფლება არაფორმალებს პოლიტიკურ ძალად არ აღიარებდა, მათთან ურთიერთობა ძირითადად სუკ-ის მიერ შემუშავებული მეთოდებით წარმოებდა — ცილისწამება, მუქარა, აქტივისტთა დაშინება, რეპრესიები, ეთნოკონფლიქტების გაღვივება და ყველაფერი ეს მეხუთე კოლონის გამოყენებით. რა თქმა უნდა, სუკ-ი შეეცდებოდა არაფორმალურ ორგანიზაციებში მათ ჩანერგვას; მართალია, პირველ ეტაპზე მეხუთეკოლონელები ვერ იქნებოდნენ არაფორმალური ორგანიზაციების სათავეში, რადგან ამისათვის გარკვეული ბიოგრაფიული წარსული იყო აუცილებელი — პოლიტპატიმრობა ან დისიდენტურ წრეებთან ურთიერთობა, — მაგრამ მათ, გარდა დეტალური ინფორმაციის მოპოვებისა, შეეძლოთ გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ ამ ორგანიზაციათა ლიდერებზე, რადგან მშვენივრად იცოდნენ ყოველი მათგანის ძლიერი და სუსტი მხარეები სუკ-ის მიერ შედგენილი მათი ფსიქოლოგიური პორტრეტების წყალობით.

> *მე ხშირად ვახსენებ პატიმართა ბანაკს და ალბათ მათ, ვისაც რაიმე შეხება ჰქონია პატიმართან, თვალწინ დაუდგებათ ათას ან ორიათასკაციანი კოლონიები. პოლიტპატიმართა ბანაკები სულ სხვა პრინციპით იყო აგებული — აქ პატიმართა რაოდენობა 50-60 კაცს არ აღემატებოდა. სასჯელს პატიმართა 3 კატეგორია იხდიდა — დისიდენტები, „შპიონები" — ანუ საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ (უცხოელი მოქალაქეებისთვის ცალკე კოლონია არსებობდა) და „სტარიკები" — მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანულ პოლიციაში ან არმიაში ნამსახურები მოხუცები (მათი უმრავლესობა ომის შემდგომ უკვე იყო გასამართლებული, მაგრამ 1956 წლის ამნისტიით გაათავისუფლეს. შემდეგ, როდესაც ბრეჟნევმა წამოაყენა ლოზუნგი „არავინ და არაფერია დავიწყებული", ვითომდა ახალი გარემოებების გამო, კვლავ დააპატიმრეს და მიუსაჯეს. საცოდავი სანახავი იყო 70 წელს გადაცილებული, სახელმწიფოსათვის „განსაკუთრებით საშიშ" დამწაშავეებად ცნობილ ადამიანთა ეს კატეგორია). ასე რომ,*

დისიდენტები (ჩვენს 836-ე ზონაში სულ 10-12 კაცი) მთელი 24 საათის განმავლობაში განსაკუთრებით დიდი „ყურადღებით" ვიყავით გარემოცულნი. სუკ-ისათვის მნიშვნელოვანი იყო ყოველგვარი ინფორმაცია — არ მახსოვს, 1985 თუ 1986 წელს თებერვალში დასავლეთ საქართველოში მოსული დიდთოვლობის ამსახველი კადრები აჩვენეს პროგრამა „ვრემიაში". მე შევწუხდი და ჩემს მეზობლად მჯდომს შევჩივლე, ნეტავ ჩემები როგორ უძლებენ დიდთოვლობას-მეთქი. ვერ შევამჩნიე ჩვენს უკან მჯდომი პატიმარი, უფრო სწორად, მნიშვნელობა არ მივანიჭე, გაიგონებდა თუ არა ჩემს ნათქვამს. ეტყობა, გაიგონა და კარგადაც დაიმახსოვრა! თებერვლიდან მოყოლებული, ივლისის ბოლომდე წერილი არ მიმიღია სახლიდან. ივლისში რომ თოვლი აღარ იქნებოდა, ამას წერილი აღარ სჭირდებოდა. ამგვარი, თითქოსდა უმნიშვნელო ინფორმაციის შეგროვებით და დამუშავებით ხდებოდა პატიმრის ფსიქოლოგიური პორტრეტის შედგენა. ასეთივე ფსიქოლოგიური პორტრეტები იქმნებოდა იმ ადამიანებზეც, ვინც სუკ-ის თვალთახედვის არეში მოექცეოდა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო და აქტიური პიროვნება.

1988 წლის თებერვლის ბოლოდან სუკ-ი აქტიურ ქმედებებს იწყებს ყოფილი პოლიტპატიმრებისა და არაფორმალური გაერთიანების აქტივისტთა მიმართ: სამსახურიდან ათავისუფლებენ მერაბ კოსტავას, თბილისის აეროპორტში აკავებენ ლევოვში მიმავალ ჰელსინკის უკრაინული ჯგუფისა და პოლიტპატიმართა დაცვის ეროვნებათაშორისო კომიტეტის წევრს მიხეილ გორინს, ართმევენ მასალებს და თითქმის 14 საათის განმავლობაში ჰყავთ აეროპორტის მილიციის საკანში. ხულიგნურად ესხმიან თავს ირაკლი წერეთელს, ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან დათო ტურაშვილს და რამდენიმე სტუდენტ გოგონას — პასუხად უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში სტუდენტები მართავენ მიტინგს და მოითხოვენ ამგვარი თვითნებობის შეწყვეტას. „ამავე პერიოდში დაპატიმრებულ იქნა ყოფილი სომეხი პოლიტპატიმარი პ. აირიკიანი, რომელსაც ბრალად დასდეს სსრკ-ის სახელის გამტეხი ცრუ მონაჭორის გავრცელება. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეგრეთწოდებული საჯაროობის პერიოდში ეს პოლიტიკური მიზეზით დაპატიმრების პირველი შემთხვევაა" („ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" „მოამბე", №4-5).

როგორც მახსოვს, ამ პერიოდში სომხეთში იწყება ყარაბახის

პრობლემების წამოწევა. პ. აირიკიანი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მიიჩნევდა, რომ ჯერ საჭირო იყო დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, ხოლო შემდეგ ტერიტორიული პრეტენზიების განხილვა, მოსკოვი კი ცდილობდა, სომხეთი და აზერბაიჯანი როგორმე ყარაბახის კონფლიქტში ჩაეთრია, რათა მათ დამოუკიდებლობაზე ფიქრის თავი აღარ ჰქონოდათ. პ. აირიკიანი აშკარად ხელს უშლიდა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას, ამიტომაც იგი დააპატიმრეს და დროებით ჩამოაშორეს სიტუაციას.

შექმნილი ვითარება თითქოს ცალსახად მოითხოვს არაფორმალთა კონსოლიდაციას, რომ შესაძლებელი გახდეს შეტევაზე გადმოსული ხელისუფლების მოგერიებაც და საქმის გაგრძელებაც.

მოხდა კი პირიქით!

„ი. ჭავჭავაძის საზოგადოებამ" იმ შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც 1987 წლის 11 დეკემბერს ჩამოყალიბდა და დაფუძნდა, სულ რაღაც სამიოდე თვე იარსება. 1988 წლის 8 მარტს საზოგადოების გამგეობა დატოვა ორმა წევრმა — გ. ჭანტურიამ და ი. ხუხუნაიშვილმა. მსგავსი რამ ადრეც მომხდარა, მაგრამ ამჯერად მდგომარეობა სულ სხვაგვარია — გ. ჭანტურიამ და ი. ხუხუნაიშვიმა არა მარტო საზოგადოების გამგეობა, არამედ საზოგადოებაც დატოვეს, თუმცა სახელდახელოდ შექმნეს ახალი საზოგადოება იმავე სახელწოდებით („ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნის დეკლარაციაზე ხელმომწერი შვიდი პირიდან, როგორც ჟურნალ „მოამბე" №2-ში გამოქვეყნებული ინფორმაცია გვაუწყებს, „გამგეობის ორი წევრის — გიორგი ალიბეგაშვილის და ნოდარ ქერაშვილის ნაცვლად საზოგადოების გამგეობამ მიიღო ორი ახალი წევრი — ირაკლი წერეთელი და ვანო ხუხუნაიშვილი.

გ. ალიბეგაშვილისა და ნ. ქერაშვილის გამგეობიდან გაყვანა არ ნიშნავს მათ დაყენებას საერთოდ საზოგადოების გარეთ, ისინი მუშაობას გააგრძელებენ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ლიტერატურულ სექციაში").

როგორც ჟურნალ „მოამბე" №4-5 მარტი-აპრილის ნომერში „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის მიერ გამოქვეყნებული განცხადება გვაუწყებს: „1988 წლის 18 აპრილს რადიოსადგურ „თავისუფლების" ქართული რედაქციის გადაცემაში ითქვა, რომ ა. წ. 13 მარტს თბილისიდან მათ მიიღეს შემდეგი ცნობა: 1987 წლის 11

დეკემბერს შეიქმნა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება", რომელმაც მიიღო პროგრამა და წესდება. საზოგადოების გამგეობაში შედიან: ზ. გამსახურდია, გ. ჭანტურია, მ. კოსტავა, ი. ხუხუნაიშვილი, თ. ჯანელიძე, ი. წერეთელი". დაახლოებით იმავე შინაარსის ინფორმაცია გადმოსცა უფრო ადრე „ამერიკის ხმის" ქართულმა რედაქციამაც.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ თბილისიდან მიწოდებული აღნიშნული ინფორმაცია ყალბია და რადიოსადგურები შეცდომაში არიან შეყვანილნი. სინამდვილეში 1987 წლის 11 დეკემბერს თბილისში შემდგარმა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დამფუძნებელმა კრებამ, რომელმაც მიიღო პროგრამა და წესდება, დაამტკიცა საზოგადოების გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ც. არდაშელია, მ. კოსტავა, გ. მამულია, ე. ქავთარაძე, მ. ქურდიანი, თ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, გ. ჭანტურია, ი. ხუხუნაიშვილი. 1988 წლის 8 მარტს საზოგადოების გამგეობის შემადგენლობიდან გავიდა ორი წევრი, რომელთა გასვლაც დაადასტურა 1988 წლის 13 მარტს საგანგებოდ მოწვეულმა საზოგადოების საერთო კრებამ. ამავე კრებამ დაამტკიცა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ციალა არდაშელია, ავთანდილ იმნაძე, ჯუმბერ კოპალიანი, გაიოზ კორძაძე, მერაბ კოსტავა, გურამ მამულია, მიხეილ ქურდიანი, ირაკლი შენგელაია, თამარ ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი. 1988 წლის 29 მარტს გამგეობაში შეყვანილია ზურაბ ჭავჭავაძე. ზემოაღნიშნული პირები წარმოადგენენ აგრეთვე საზოგადოების ჟურნალის „მოამბის" სარედაქციო კოლეგიას". განცხადებას ხელს აწერს ი. ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობა სრული შემადგენლობით.

მაინც რა იყო განხეთქილების მიზეზი? ხომ არ შეიძლება, ასეთი გადაწყვეტილება უბრალო გაბრაზების ან გაღიზიანების შედეგი ყოფილიყო? განა ვინმესთვის საიდუმლო ან მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ, როგორ მტკიცე და ერთიანიც უნდა იყოს თანამოაზრეთა გუნდი, პრობლემის დასმისა და მისი გადაწყვეტის ძიების პროცესში თითქმის ყოველთვის თავს იჩენს აზრთა სხვადასხვაობა?

განცხადებაში ამ მიზეზებზე არაფერია ნათქვამი, არადა, ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან საზოგადოებიდან გასული პირები კვლავ აქტიურად ებმებიან ეროვნულ მოძრაობაში და უკვე რამდენიმე დღეში ქმნიან ახალ ჯგუფს ისევ და ისევ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" სახელით.

იქმნება სრულიად აბსურდული სიტუაცია — ადამიანთა ორი ჯგუფი

ერთი და იმავე სახელწოდებით — „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება" და „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება — IV დასი", მოგვიანებით ჩნდება საკოორდინაციო ცენტრი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ასეთი ვითარება გრძელდება თითქმის მთელი წელი, ვიდრე „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება — IV დასი" არ გარდაიქმნა „წმ. ილია მართლის საზოგადოებად".

ადამიანური თვალსაზრისით ყოველივე შემიძლია გავიგო — გია ჭანტურია ხელს აწერს დეკლარაციას „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" შექმნაზე, ხსნის საზოგადოების დამფუძნებელ კრებას და უეჭველად არის იმ იდეის ავტორი თუ არა, თანაავტორი მაინც, რომ ახლადჩამოყალიბებულ ორგანიზაციას ი. ჭავჭავაძის სახელი ეწოდოს. აქედან გამომდინარე, ძალიან უჭირს, შეელიოს ი. ჭავჭავაძის სახელს. არის მეორე გარემოებაც — „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება" ამ დროისათვის უკვე გარკვეული პოპულარობისა და მიმზიდველობის მატარებელია, რაშიც საკმაოდ დიდი წვლილი სხვებთან ერთად იმავე გ. ჭანტურიასაც მიუძღვის, ახალ ორგანიზაციას კი ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს. მიუხედავად ამისა, თავი რომ დავანებოთ ზნეობრივ და იურიდიულ ნორმებს, პოლიტიკურად ორი ერთნაირი სახელწოდების მქონე ორგანიზაციის არსებობა ხომ მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს? მით უმეტეს, რომ 1989 წლის 9 აპრილამდე როგორც ხელისუფლებასთან ურთიერთობის ფორმით, ასევე პრობლემატიკითა და მოქმედების ტაქტიკით, ეს ორი ორგანიზაცია ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს.

სხვათა შორის, ანალოგიური რეციდივები ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში შემდგომშიაც იჩენს თავს. არათუ ნეიტრალური მოქალაქისათვის, ჩემთვისაც კი გაუგებარია, რამდენი „მრგვალი მაგიდა" არსებობს დღეს და რომელი პარტიები და ორგანიზაციები არიან მასში გაერთიანებული. სხვისი სახელის მთლიანი ან თუნდაც ნაწილობრივი დასაკუთრება ხომ აუცილებლად შეიცავს ელემენტს საზოგადოებაში ამ ორგანიზაციის მიერ მოპოვებული იმიჯის (ცხადია, მხოლოდ დადებითის) მიტაცება-წაგლეჯისა? უარყოფითი იმიჯის მქონე ორგანიზაციის სახელს, ცხადია, არავინ დაირქმევს! რა არის ეს, თუ არა უბრალოდ თაღლითობა? განა სხვისი სახელის დასაკუთრება-მითვისება იგივე სხვისი ნაშრომის და ნაღვაწის წაგლეჯა არ არის? ზნეობრივი თვალსაზრისით კი უფრო დამანგრეველი,

დამლუპველი, ვიდრე მატერიალური ქონების მიტაცება.

მაშ, რა იყო მიზეზი? იქნებ პიროვნული შეუთავსებლობა ან ახლადშექმნილი საზოგადოების სტრუქტურებისა და მართვის სხვადასხვაგვარი მოდელი, ან იქნებ უფრო მეტი, საკუთარი თავისა და თანამოაზრეთა ჯგუფის ადგილისა და როლის განსაზღვრა და დამკვიდრება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და, აქედან გამომდინარე, მიზნის მისაღწევ საშუალებათა სხვადასხვაგვარი ხედვა? ისიც შესაძლებელია, რომ მცირე დოზით, რაც ჩამოვთვალე, ყველაფერი ერთადაც ყოფილიყო.

აი, რას წერს გ. ჭანტურია „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასის" ჟურნალ „მოამბე" №6-ში გამოქვეყნებულ წერილში „ახალი ძალა":

„70 წლის განმავლობაში ეროვნული მოძრაობა თუკი არსებობდა, ის მხოლოდ სტიქიურ, არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ან კი როგორ შეიძლებოდა ეროვნული მოძრაობა ჩვენში ყოფილიყო, როდესაც ქართული პატრიოტიზმი პოლიტიკურ მიმდინარეობად არასოდეს ჩამოყალიბებულა...

მრავალი ქართველი პატრიოტი ჯერ მარტო იმიტომ ვერ გახდებოდა ეროვნული პოლიტიკოსი, რომ ყალბი, პლაკატური სიკეთით იყო დაბრმავებული და ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ამ უკანასკნელს აყენებდა.

ნიკოლო მაკიაველი წერს:

„როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი უნდა შევიკავოთ იმაზე მსჯელობისაგან, სამართლიანია ესა და ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ლმობიერია თუ სასტიკი, საქებარია თუ საძრახისი, ანგარიში არ უნდა გავუწიოთ არავითარ თვალსაზრისს და მივიღოთ მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობს მისი არსებობისა და თავისუფლების შენარჩუნებას".

ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ ნიშნავს მორალის უარყოფას და ეროვნული პოლიტიკის, როგორც უზნეობის აპოლოგიას. უბრალოდ, დიდს, ყველაზე მთავარს ემორჩილება შედარებით მეორეხარისხოვანი და ეს ქრისტიანულიცაა და გონივრულიც. „თეთრხელება" და ყბედ ადამიანებს არავითარი კარგი არ გაუკეთებიათ ერისათვის, ხოლო საკუთარი უნიათობით ბევრი რამ წაუხდენიათ (1918-21 წ.წ. ქართველი „პოლიტიკოსების" გახსენებაც კმარა).

... ჩვენ დავიწყებული გვქონდა, რომ საჭიროა პერმანენტული, ყოველდღიური ბრძოლა...

დღეს ასპარეზზე ახალი ძალა გამოვიდა... „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასი" – არ ელოდება მომენტსა და კონკრეტულ სიტუაციას, ის თავად იბრძვის ამ სიტუაციის შესაქმნელად, იბრძვის ყოველდღე, მთელი ძალ-ღონით და ენერგიით".

„ვის უნდა დაეყრდნოს ეს პოლიტიკური ორგანიზაცია? – გლეხს? მუშას? ინტელიგენტს? ჩვენ ვიტყვით: არც ერთს! მაშ ვის?

...ხალხმა უნდა იმოქმედოს... არა დამოუკიდებლად, არამედ ბელადთან, ანუ, როგორც ხშირად წერს მაძინი, ახალგაზრდობის ხელმძღვანელობით.

მაძინის ლექსიკონში „ახალგაზრდობა" არა იმდენად ასაკობრივი ცნებაა, რამდენადაც მორალური;

მაძინისეული ახალგაზრდა საქმისათვის ყოველნაირად შეუცვლელია. „უმჯობესია, თამამი იყო, ვიდრე ფრთხილი და წინდახედული, რადგან ბედისწერა –ქალია, და მის მოსათვინიერებლად არ უნდა იშურებდე მუჯლუგუნებსა და წიხლებს. ვინც არ იშურებს, უფრო ადვილად ურვებს მას, ვიდრე ფრთხილი და მოუხერხებელი კაცი; ამიტომ ბედისწერა, ქალისა არ იყოს, ყოველთვის სიჭაბუკეს ამჯობინებს, რადგანაც სიჭაბუკე უფრო თამამია, დაურიდალი და უფრო თავდაჯერებულად მბრძანებლობს მასზე".

„ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" გაყოფა დროთა განმავლობაში აუცილებლად მოხდებოდა, მაგრამ ეს იქნებოდა ბუნებრივი პროცესი – პირობითად, მათთვის შეიძლებოდა ზომიერები და რადიკალები გვეწოდებინა, როგორც ერთიანი ეროვნული მოძრაობის ორი ფრთისთვის, რომლებიც ერთმანეთს შეავსებდნენ, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედებდნენ ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ. სამწუხაროდ, გაყოფა მოხდა უფრო ადრე, ვიდრე ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება რეალურად დააყენებდა ამგვარი ქმედების აუცილებლობას.

„ი. ჭავჭავაძის საზოგადოება" ის-ის იყო დისიდენტური მოძრაობიდან პოლიტიკურ ბრძოლაზე გადადიოდა. პოლიტიკური საქმიანობის (ვგულისხმობ მასობრივი პოლიტიკური აქციების მომზადებას და ჩატარებას) გამოცდილება კი არც საზოგადოების ხელმძღვანელებს და არც მის დამფუძნებლებსა და წევრებს არ გააჩნდათ, არადა, მათგან სწორედ აქტიურ ქმედებას მოითხოვდნენ და ელოდნენ კიდეც. ამგვარ ვითარებაში ყველაზე სწორი ალბათ ის იქნებოდა, საზოგადოება კი არ დაყოფილიყო, არამედ ეცადა თანდათან მიეღო პოლიტიკური

ბრძოლის გამოცდილება სწორედ იმ პრობლემათა განხილვისა და გადაწყვეტის დროს, რომლებზედაც საზოგადოებრივი აზრი უკვე ჩამოყალიბებული და ცნობილი იყო, აქტუალურიც გახლდათ და ნაკლებ სახიფათო ახლადფეხადგმული ეროვნული მოძრაობისთვისაც და ქვეყნისთვისაც. ამასთან ერთად გაეაზრებინათ როგორც „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების", ასევე საკუთარი როლი და ფუნქცია დაწყებულ პოლიტიკურ ბრძოლაში.

ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ შეუშლიდა თეორიულ დისკუსიებს როგორც საზოგადოების შიგნით, ისე მის გარეთ, იმის შესახებ, თუ როგორი და რა ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო საბჭოთა სინამდვილეში წარმოქმნილი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა ან ძალები. პირიქით, ჩემი აზრით, მოხდებოდა თეორიისა და პრაქტიკის შეთავსება და შერწყმა.

როგორი დიდი სურვილიც უნდა გვქონოდა, ჩვენ მაინც ვერ შევძლებდით დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური ბრძოლისა და პარტიათა იერარქიული სტრუქტურის გააზრებას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამგვარ ინფორმაციას მოკლებულნი ვიყავით, საბჭოთა სინამდვილეში იგი არ არსებობდა — ჩვენ ვიცნობდით კომუნისტური პარტიის ისტორიას, იმასაც შელამაზებული სახით და ძველ მოაზროვნეთა თეორიებს და რადგან ბრძოლის კომუნისტურ-ბოლშევიკური თეორია და მეთოდები ჩვენთვის მიუღებელი იყო (სიტყვიერად მაინც!), ეროვნული მოძრაობის თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლების ძიება გარდასული საუკუნეების მოაზროვნეთა ნაშრომებში დაიწყო — ი. ჭავჭავაძე, მაკიაველი, მაძინი და სხვა.

ასეთმა წიაღსვლებმა, როგორც დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, წარმოშვა ორი ტიპის მიმდინარეობა და, შესაბამისად, პარტიები. პირველი ტიპის პარტიები დაფუძნებული იყო ბელადთა ავტორიტეტზე და მართვის სტრუქტურით და პარტიის შიგნით რეალურად არსებული იერარქიული დამოკიდებულებით (მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო წესდება) ძალიან ჰგავდა ე. წ. დემოკრატიულ ცენტრალიზმზე აგებულ პარტიას, მისი ლიდერი ერთდროულად იყო როგორც პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის განმსაზღვრელი, ისე მისი განმხორციელებელი. პარტიის აქტიური წევრები ასეთ ორგანიზაციებში იმავდროულად პარტიის ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებიც იყვნენ, ამიტომ ასეთი ტიპის პარტიები საკმაოდ მობილური,

მონოლითური და მკაცრად განსაზღვრული იერარქიული სტრუქტურით გამოირჩეოდნენ. ამასთანავე პარტიის ყველა წარმატება თუ წარუმატებლობა როგორც პარტიის შიგნით, ასევე მის გარეთ, აღიქმებოდა უშუალოდ ამ პარტიის ლიდერის დამსახურებად, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტაში, განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე, პარტიის მთელი აქტივი მონაწილეობდა.

პარტიათა მეორე კატეგორია, რომელსაც ადამიანთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა, ბუნებრივია, არც მონოლითურობით და არც მკაცრი იერარქიული სტრუქტურით არ გამოირჩეოდა, უფრო მეტიც, იერარქიული დაყოფა უფრო პირობითი იყო, ვიდრე რეალური. შესაბამისად, რამე სუბორდინაციაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. თუ პირველ შემთხვევაში მთელი ორგანიზაციის მოღვაწეობა ერთ პიროვნებას მიეწერებოდა, მეორე შემთხვევაში, პირიქით, ერთის მიერ გაკეთებული საქმე ყველაზე ნაწილდებოდა, ამიტომ ასეთი ტიპის ორგანიზაციები მხოლოდ განსაკუთრებულ ან კრიტიკულ სიტუაციაში ღებულობდნენ რაღაც საზოგადოებრივ-სტრუქტურულ ფორმას. შესაბამისად არ გააჩნდათ, ან თითქმის არ გააჩნდათ ბიუროკრატიული აპარატი (თავად ამის გაკეთება არ სურდათ ან ეთაკილებოდათ, უსახსრობის გამო კი ვერც ქირაობდნენ), რაც შეუძლებელს ხდიდა ყოველდღიურ მეთოდურ მუშაობას. ამდენად, ამ ტიპის ორგანიზაციათა წარმატება თუ წარუმატებლობა პირდაპირ იყო დამოკიდებული ცალკეულ პირთა ენთუზიაზმზე, ინიციატივასა და შრომისუნარიანობაზე. მიუხედავად ამისა, მე მაინც მეგონა და მგონია, რომ ამ ტიპის ორგანიზაციები უფრო ახლოს დგანან ორგანიზების დემოკრატიულ მოდელთან, უფრო სწორად, მათ შეუძლიათ დემოკრატიულ პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაქცევა. პირველ შემთხვევაში ამგვარი მოდერნიზება გამორიცხულია.

ორგანიზაციათა ამგვარი სტრუქტურული არასრულყოფილება თავის-თავშივე მოიცავს საფრთხეს დაშლისა და დანაწევრებისა — პირველ შემთხვევაში, როდესაც აღიარებული ლიდერი აღარ არის, ან რაიმე მიზეზის გამო უარს ამბობს თავისი ფუნქციის შესრულებაზე (მაგ., „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება", „სახალხო ფრონტი", „გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია"). სამწუხაროდ, საქართველოში დღეს არსებული პოლიტიკური ორგანიზაციებიდან თითქმის არც ერთი არ არის სრულფასოვანი დემოკრატიული პრინციპებისა და სტრუქტურის

მატარებელი, რაც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ დღემდე გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება პარტიათა გაერთიანებების, დაშლის და ახლის წარმოქმნის პროცესი.

გარდა იმისა, რომ, როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებისა" და „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასის" მიერ შემუშავებულ და განხორციელებულ სტრატეგიასა და ტაქტიკაში არ იყო მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები (9 აპრილამდე) და ღია პოლიტიკური ბრძოლის გამოუცდელობის თვალსაზრისითაც ჯობდა, საზოგადოებას ერთიანობა შეენარჩუნებინა, იყო კიდევ მინიმუმ ორი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ მათ, ვინც „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან გამოსვლა" და ახალი ჯგუფის შექმნა გადაწყვიტა, რადგან ეს გარემოებები საზოგადოების ერთიანობის აუცილებლობას გვისაბუთებს.

პირველი: მართალია, საზოგადოება თავის თავს პოლიტიკურ პარტიად არ თვლიდა, მაგრამ როდესაც პოლიტიკურ ბრძოლას იწყებდა, შეუძლებელია მის ხელმძღვანელობას არ ჰქონოდა გაცნობიერებული, როცა იქნებოდა, ეს ბრძოლა ან ციხით და რეპრესიებით დამთავრდებოდა, ან ხელისუფლებაში მოსვლით. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, უფრო ხელისუფლებაში მოსვლა იყო მოსალოდნელი – ასეთ შემთხვევაში კი აუცილებელი იქნებოდა საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფდა ხელისუფლების სტრუქტურების დაკომპლექტებას. ამ პოტენციალის გარეშე ხელისუფლებაში მოსვლა უთუოდ დამლუპველი იქნებოდა ქვეყნისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. არც დამფუძნებელი კრების მონაწილეთა რაოდენობიდან, არც დიდუბის პანთეონში გამართული აქციიდან და არც საზოგადოების გაყოფის მომენტში მასში გაწევრიანებულ პირთა თუნდაც მხოლოდ რიცხობრივი სიდიდიდან გამომდინარე, არ იქნებოდა იმის საშუალება, რომ საზოგადოებას სახელისუფლო სტრუქტურების აუცილებელი მინიმუმი მაინც დაეკომპლექტებინა.

მეორე: ევროპის სოციალისტურ ქვეყნებსა და ბალტიისპირა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებს თავი რომ დავანებოთ, განა დიდი მიხვედრა სჭირდებოდა იმას, რომ სუკ-ი შეეცდებოდა მე-5 კოლონის წარმომადგენლები არა მხოლოდ ჭორების გასავრცელებლად გამოეყენებინა, არამედ არაფორმალთა რიგებშიც შეეგზავნა და

ყველანაირ ლონეს იხმარდა, რომ მათ საზოგადოების რაც შეიძლება მაღალ იერარქიულ სტრუქტურებში დაემკვიდრებინათ ადგილი, რაც სუკ-ს საშუალებას მისცემდა, გარკვეული კორექტირება მაინც შეეტანა არაფორმალთა მოქმედებაში. რა თქმა უნდა, საზოგადოების დაშლისა და დაყოფის შემთხვევაში სუკ-ს გაუადვილდებოდა ამ ამოცანის შესრულება.

ჩვენდა საუბედუროდ, არც ერთი ეს საფრთხე თუ არგუმენტი არ იქნა გათვალისწინებული, პირიქით: მოხდა ყველაზე უარესი, რაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო — საზოგადოებიდან გასულებმა ზ. გამსახურდიასთან ერთად შექმნეს ახალი „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება — IV დასი" და თავისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად სწორედ „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებასთან" დაპირისპირება და მისი გამგეობის წევრთა განქიქება დაისახეს.

ინფორმაციამ ეროვნულ მოძრაობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ დასავლეთში ქართველ ემიგრანტებამდეც მიაღწია. ამას ადასტურებს მერაბ კოსტავას წერილი პარიზში გამომავალ ჟურნალ „გუშაგის" რედაქტორ ბ-ნ გიორგი წერეთლისადმი:

„ბატონო გიორგი! ვპასუხობ თქვენს წერილს, გამოგზავნილს ამა წლის 19 სექტემბერს. გულის სიღრმემდე აღწევს სამშობლოს მონატრებული, მამულის ბედ-იღბლისადმი მზერა მიგებებული თანამემამულის ხმა. ბუნებრივია, რომ განიცდით იმ ყოფისა და უთანხმოების, ლანძღვისა და ურთიერთშემკობის ამბებს, „ილია ჭავჭავავძის საზოგადოებაში" რომ მოხდა. ვისი ბრალია ეს ყოველივე? ვინ არის დამნაშავე? ჩემი აზრით, ჩვენ ყველანი: გაყოფა შეიძლებოდა მომხდარიყო, დაყოფა ერთი საზოგადოებისა ორ ფრთად, ორ ფრაქციად. ეს შეიძლება მოლაპარაკებითაც, ურთიერთის ლანძღვის გარეშე, მაღალი შედეგების მიღწევითა და დიდი ეფექტით. ამგვარი გაყოფა არ იქნებოდა დანაშაული.

განხექთილების ვაშლი მაშინ ჩამოვარდა, ცოდვას მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა ერთმა მხარემ საკუთარ ჟურნალში თავის თავს ჯანსაღი უწოდა, საკუთარი თავი ჯანსაღ ეროვნულ ძალად მიაჩნია, რომელიც თითქოსდა არაჯანსაღ ნაწილს გამოეყო. რაც გინდათ უწოდეთ ამას: ტრაბახი, შეურაცხყოფა, გინდაც ცილისწამება; ცხადია, ეს არაფრად ვარგა, ეს უკვე დანაშაულია, რადგან ცამდე მართალიც რომ იყო (ეს კი მხოლოდ ღმერთმა იცის), ამგვარი განცხადების მერე თავად ხდები მტყუანი და არაჯანსაღი, მთესველი შუღლისა, რომლის ნაყოფსაც

დღეს უკვე უხვად ვიმკით, რადგან ჭეშმარიტად ქარიშხლის აღმძვრელი ხდებოდა ქარის დამთესველი. უარესი შეიძლება ითქვას გარიცხვაზე, უკვე სხვა ჯგუფში მყოფი, შენ რიცხავ მეორე ჯგუფის გამგეობას. რა არის ეს, თუ არა კომკავშირლობა, ბოლშევიკობანა, პლუს არასერიოზულობა, უმწიფრობა გონისა (ამას მე პირში ვეუბნები ჩემს მეგობრებს), მით უმეტეს, თუ მეორე მხარე თავის უფლებაში რჩება, ოდნავადაც არ ანელებს ფუნქციონირებას. ამგვარი უგნურების სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ხმათა უმრავლესობით საკოორდინაციო ცენტრმა მაინც ჩაიდინა ეს „ბოლშევიკური", სხვას ვერაფერს დაარქმევ, ქმედება, მოახდინა „წმენდა", როგორც ამას „ქართული ქრონიკის" ერთ-ერთი ნომერი აღნიშნავს (დაუკვირდით ტერმინებს).

ყოველივე ეს გახურებული ტვინის მოქმედებაა და სხვა არაფერი, ასე რომ, მე ნუ მიგულებთ ლანძღვა-გინების იმ საქმეში, თქვენს ყურს რომ მოწვდა დასავლეთში და „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების (IV დასი)" საკოორდინაციო ცენტრი რომ ანერს ხელს.

არ ვიცი, მომავალში რა გეზით განვითარდება ეს ურთიერთობა. მე ვცდილობ და ყოველთვის ვეცდები მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას.

ახლა კი ცოტა სხვაც. ალბათ გაიგებდით, თუ რა მშფოთვარე იყო წლევანდელი შემოდგომა, ერთობ მსხმოიარე ხალხმრავალი აქციებით: მიტინგებით, დემონსტრაციებითა და მასობრივი შიმშილობით, ურთულესი პრობლემებით. ერის ცხოვრებაში აშკარად იგრძნობა აღორძინების ნიშნები, ჯერარნახული ძვრები, რისთვისაც ღაღადებენ მასშტაბები და სიმწვავე ერთკვირიანი მანიფესტაციებისა მთავრობის სასახლესთან.

ბ-ნო გიორგი! ჩემს ბარათს ერთი თხოვნით ვამთავრებ: მაცნობეთ, მართლა შემოთვალეს საქართველოდან ზაქარია ლაშქარაშვილზე, რომ ის უშიშროების კომიტეტის აგენტია და თუ შემოთვალეს, ვინ ჩაიდინა ამგვარი რამ? ღმერთმა ქნას, ეს ჭორი აღმოჩნდეს. ზაქარია ლაშქარაშვილი სუფთა, ალალი და ვაჟკაცი ბიჭია, რასაც არა მარტო საკუთარი ინტუიცია მალაპარაკებს, არამედ ის წრეც ჭეშმარიტი პოლიტპატიმრებისა, რომელშიც იგი პატიმრობის დროს ტრიალებდა.

ერთსაც დავამატებ: გთხოვთ, თუ გაგაჩნიათ, როგორმე გამომიგზავნოთ 70-იანი წლების პირველ ნახევარში საფრანგეთში რუსულიდან ქართულად ნათარგმნი და მანდ დაბეჭდილი ჩემი შრომა (რომელსაც ხელს არ ვაწერდი) „მოსკოვის დამოკიდებულება

საქართველოსადმი". შრომას ხელს არ ვაწერდი მეგობრების თხოვნით, რათა ვადაზე ადრე არ დავეპატიმრებინეთ. მოძრაობა ხომ მაშინ ახალი დაწყებული იყო და გარეთ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. თუ გაგაჩნიათ, როგორმე მომაწვდინეთ ეგ სტატია, რადგან ყველა ეგზემპლარი უშიშროებამ წაიღო 1977 წ. ჩვენი დაპატიმრებისას.

წერილს მოკითხვით ვამთავრებ მათ მიმართ, ვისაც თქვენთან, დასავლეთში გული სამშობლოსათვის უძგერს.

გისურვებთ ბედნიერებას, თანამემამულეებთან თანაზიარს, სულიერ მხნეობას და საქმეში შემართებას. დიდი პატივისცემით" მერაბ კოსტავა. 5.12. 1988. (ჟურნ; „გუშაგი" №20. პარიზი).

მართლაც მშფოთვარე იყო 1988 წლის შემოდგომა მიტინგებით, მანიფესტაციებით და მასობრივი შიმშილობით.

გაზაფხულზე, სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის ეზოში მოწყობილი საპროტესტო აქციების შემდეგ, ვითარების კიდევ უფრო გამწვავების შიშით, ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, რომელიც გაზეთ „კომუნისტის" 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა და აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. ამიტომ, როგორც „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" ჟურნალ „მოამბის" №4-5 ნომერშია აღნიშნული: „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ" აღნიშნულ ეტაპზე მიღწეული ჩათვალა გარკვეულ წარმატებად და დემონსტრაცია და მიტინგი არ წარმოადგენენ თვითმიზანს, გადაწყდა ამ ღონისძიებებისაგან დროებით თავის შეკავება იმ პირობით, თუკი ყოველივე ზემოთქმული განხორციელდება. ცნობილია, რომ ადრე გამოცხადებული დაპირებები ტრანსკავკასიის რკინიგზის სამუშაოების არგაფართოებისა და დავით-გარეჯის ტერიტორიიდან პოლიგონის გადატანის შესახებ არ აღსრულებულა. ამის გამო საზოგადოება აწესებს სათანადო კონტროლს ადგილებზე და დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში კვლავ დააყენებს საკითხს დემონსტრაციისა და მიტინგის თაობაზე".

სექტემბრის თვის ბოლოს „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებისათვის" ცნობილი გახდა, რომ დავით-გარეჯის პოლიგონი ფუნქციონირებს და ხელისუფლებამ დანაპირები არ შეასრულა.

გადაწყდა სტუდენტებთან ერთად საპროტესტო აქციის მოწყობა. ჩვენ უნდა შევკრებილიყავით ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის პირდაპირ მდებარე სკოლის ეზოში. როდესაც დათქმულ ადგილზე მივედი, შემატყობინეს, რომ თ. ჩხეიძე და ზ. ჭავჭავაძე უკვე დაეკავებინათ. გადავწყვიტეთ, უნივერსიტეტისკენ წავსულიყავით,

სადაც სტუდენტები იყვნენ შეკრებილნი და მათთვის გადაგვეცა ეს ინფორმაცია, რომ საპროტექსტო აქცია უნივერსიტეტიდან დაგვეწყო. ამ დროს გამოჩნდა მერაბ კოსტავა, რომელიც სასტუმრო „საქართველოს" მხრიდან ჩვენსკენ მოეშურებოდა. მე ვუთხარი, რაც მოხდა და რასაც ვაპირებდით. მერაბიც შემოგვიერთდა და გზა განვაგრძეთ; სასტუმრო „საქართველოსთან" მისულებმა დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი სტუდენტთა საკმაოდ დიდი კოლონა. როგორც ჩანს, მათ უკვე შეეტყოთ დაპატიმრების შესახებ. ჩვენც შევუერთდით სტუდენტებს და გადავწყვიტეთ, მთავრობის სახლისაკენ წავსულიყავით. ფილარმონიასთან არც კი ვიქნებოდით მისული, რომ ჩვენს წინ რამდენიმე მსუბუქი მანქანა გაჩერდა. იქიდან გადმოსულმა მილიციელებმა მ. კოსტავა და მე ერთ-ერთ მანქანაში ჩაგვსვეს და ძნელაძის ქუჩაზე მილიციის განყოფილებაში მიგვიყვანეს, სადაც უფრო ადრე დაკავებული „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" წევრებიც დაგვხვდნენ. აქვე იყვნენ საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლები, რომლებსაც, როგორც გადმომცეს, გაეგოთ რა ამ დაპატიმრების შესახებ, თავადვე მოსულიყვნენ მილიციის განყოფილებაში. თითქმის საღამოს 6 საათამდე გაგვაჩერეს მილიციაში და შემდეგ გამოგვიშვეს, როგორც შევიტყვეთ, სტუდენტებს ისევ უნივერსიტეტის ეზოში გაეგრძელებინათ აქცია ჩვენი გათავისუფლების მოთხოვნით. ჩვენც უნივერსიტეტისაკენ გავწიეთ; აქციის მონაწილენი დიდი აღტაცებით და სიხარულით შეგვხვდნენ; აქვე გადაწყდა, რომ დავით-გარეჯის საკითხთან დაკავშირებით აქცია მეორე დღეს გაგვეგრძელებინა. დილით სამსახურში მისული ჯერ პარტკომთან მიმიყვანეს, ხოლო იქიდან ცკ-ს პირველი მდივნის ბ-ნ პატიაშვილის კაბინეტში ამოვყავი თავი, სადაც წინა დღის აქციის თითქმის ყველა ორგანიზატორი იმყოფებოდა.

ჩემს შემდეგ, მახსოვს, ქ-ნი ირინა სარიშვილი შემოვიდა, ცოტა ხანს იჯდა, შემდეგ ჯ. პატიაშვილს ჰკითხა, მე დაპატიმრებული ვარ თუ არაო? არაო! — უპასუხა პატიაშვილმა. მაშინ მე აქ არაფერი მესაქმებაო! — განაცხადა ი. სარიშვილმა და კაბინეტი დატოვა.

საუბარი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს და ჩვენს მოთხოვნებს შეეხებოდა. ბ-ნი ჯ. პატიაშვილი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები გვიმტკიცებდნენ, რომ პოლიგონის ასე სწრაფად გადატანა ვერ მოხერხდებოდა. საჭირო იყო დრო ყველაფრის შესათანხმებლად და მოსაგვარებლად (გულისხმობდნენ მოსკოვთან

მოლაპარაკებას). რომ სიტუაცია არც ისე მარტივი იყო, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა.

გიორგი ციციშვილმა, რომელიც მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო და ამ შეკრებას ესწრებოდა, თქვა: „თქვენ მხოლოდ იმას უყურებთ, რაც მიწის ზევით ჩანს, ამიტომ ყველაფერი ადვილად გეჩვენებათ, იქ კიდევ სხვა რაღაცეებიც არის, რისი გადატანაც არც ისე ადვილიაო". მე დღესაც არ ვიცი, იქ კიდევ რა არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ადგილი რუსი სამხედროებისთვის (და არა ჩვენთვის) პოლიგონზე გაცილებით მნიშვნელოვანია, ამიტომაც ვერ ხერხდება დღემდე ამ პრობლემის მოგვარება.

ამ დროს პატიაშვილს რაღაც მოახსენეს, ის წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. მცირე ხნის შემდეგ შემობრუნდა, აშკარად დაბნეული ჩანდა, თავის ადგილზე დაჯდა, თვალი მოგვავლო და „პირველი საშუალო სკოლა სად არისო" — იკითხა. მივხვდით, რომ ქალაქში რაღაც ხდებოდა. როგორც გაირკვა, როდესაც აქციის დაწყებისთვის დანიშნულ დროს ჩვენ უნივერსიტეტში არ გამოვცხადდით, სტუდენტებს უფიქრიათ, რომ ისევ დაგვაპატიმრეს, დაუწყიათ მსვლელობა პირველი საშუალო სკოლისაკენ. მილიციას მანიფესტანტების ნაწილი დაუპატიმრებია და ძნელაძეზე, განყოფილებაში მიუყვანია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამან საქმეს ვერ უშველა, პირიქით, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მოსალოდნელი იყო კონტროლიდან გამოსულიყო, რაც მასიურ არეულობას გამოიწვევდა. ჩვენ ვუთხარით ჯ. პატიაშვილს, რომ მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის აუცილებელი იყო სწრაფად გაეთავისუფლებინათ დაკავებულები და ჩვენც მივსულიყავით უნივერსიტეტში. ის დაგვთანხმდა და დავიშალეთ.

ზურაბ ცინცაძე და მე ცკ-ს შენობიდან ერთად გამოვედით. გადავწყვიტეთ, ჯერ მილიციაში ჩავსულიყავით ძნელაძის ქუჩაზე, რომ გაგვეგო, გაათავისუფლეს თუ არა დაკავებულები. მთავრობის სახლთან მილიციელთა საკმაოდ დიდი ჯგუფი იდგა, ეტყობა, მანიფესტანტებს ელოდებოდნენ. მიწისქვეშა გადასასვლელს ვუახლოვდებოდით, რომ ერთ-ერთმა მილიციელმა ზურაბი იცნო. აგერ, ესეც იმათგანიაო, — დაიძახა. ზურაბს სასწრაფოდ ამოუბრუნეს ხელები და მანქანისაკენ წაიყვანეს. შენ მაინც ძნელაძეზე მიყავხარ, მე უნივერსიტეტში წავალ-მეთქი, — მივაძახე

ზურაბს და სასწრაფოდ ჩავედი მიწისქვეშა გადასასვლელში, რომ ქაშვეთის ეკლესიის მხარეს გადავსულიყავი. როდესაც უნივერსიტეტში მივედი, უკვე ყველანი იქ იყვნენ და მიტინგიც დაეწყოთ.

ისევ გაიმართა მიტინგი უნივერსიტეტის ეზოში, ისევ დადო ხელისუფლებამ პირობა, რომ დავით-გარეჯთან სროლები შეწყდებოდა, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ პოლიგონსაც გადაიტანდნენ.

ამავე პერიოდში, ხელისუფლება მიხვდა რა, რომ მიტინგებისა და მანიფესტაციების შეჩერება შეუძლებელი იყო, ხოლო ეროვნული მოძრაობის ლიდერთა რამდენიმე საათით დაკავება არავითარ შედეგს არ იძლეოდა, თანაც ასეთ დაკავებას იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა, შეეცადა, ამ მხრივ მაინც მოეწესრიგებინა მდგომარეობა — მიიღეს კანონი მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ. მიტინგების ჩატარების ადგილად იპოდრომი გამოიყო, აშკარად ჩანდა ხელისუფალთა სურვილი, ქალაქის ცენტრიდან მოეშორებინათ ხალხმრავალი აქციები. ეროვნულმა მოძრაობამ ეს კანონი არადემოკრატიულად და მიუღებლად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, 5 და 12 ნოემბერს სწორედ იპოდრომზე ჩაატარა ხალხმრავალი მიტინგები ჯერ „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებამ", შემდეგ საკოორდინაციო ცენტრმა. ამ მიტინგების მიზანი არ ყოფილა რაიმე კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტა, იგი ქვეყანაში არსებული ვითარების ანალიზს და ეროვნული მოძრაობის ადგილისა და როლის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას ისახავდა მიზნად. ჩემი აზრით, ეს იყო ყველაზე ნათელი დღეები ეროვნულ მოძრაობაში, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც შემდგომ აღარ განმეორებულა. ამ მიტინგებზე ეროვნული მოძრაობა იყო მოფიქრალი, პრინციპული, მშვიდი და ლაღი, ამასთანავე მებრძოლი, შეუდრეკელი და უკომპრომისო.

პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებების გამო, მოსკოვი ცდილობს მოაწესრიგოს სსრკ-ს, როგორც ერთიანი ქვეყნის, სამართლებრივი ბაზა, რაც შეიძლება სწრაფად შექმნას სსრკ-ს კონსტიტუციის ახალი მოდელი და გამომდინარე აქედან, მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუცია.

ამ საკითხების განსახილველად 23 ნოემბრისათვის მოწვეულ იქნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესია. რამოდენიმე არაფორმალურმა გაერთიანებამ გადაწყვიტა სესიის გახსნის დღისათვის მთავრობის სასახლესთან საპროტესტო მიტინგის მოწყობა, მაგრამ წინა საღამოს,

22 ნოემბერს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მოშიმშილეთა ჯგუფი დასვა მთავრობის სახლის კიბეებზე. ეს იყო პირველი მასობრივი შიმშილობა, რომელმაც უდიდესი ფსიქოლოგიური ეფექტი მოახდინა მთელ მოსახლეობაზე. აქციამ მთელი კვირა გასტანა და 29 ნოემბრის გრანდიოზული მიტინგით დამთავრდა.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო 22-29 ნოემბრის მასობრივი შიმშილობის მნიშვნელობა როგორც მასშტაბურობით, ასევე იმ ეფექტით, რომელიც მან ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მოახდინა.

გარეგნული, ვიზუალური ფაქტორებით თუ ვიმსჯელებთ, და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სწორედ ასე მსჯელობდა, ყველაფერი რიგზე იყო — ეროვნული მოძრაობა ძალას იკრებდა. საზოგადოების აქტიურ ნაწილში ჩნდებოდა მოთხოვნილება მასში მონაწილეობის მიღებისა. ამასთანავე, თანდათან ძლიერდებოდა შიში მოსალოდნელი და შესაძლო პროვოკაციის გამო, რაც სრულიად რეალური ჩანდა და ეს საფრთხე აიძულებდა როგორც შიმშილობის ორგანიზატორებს, ასევე მთელ საზოგადოებასაც მაქსიმალურად კონცენტრირებული და ყურადღებიანი ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა 29 ნოემბრის მიტინგს. რომლის მომზადებასა და ორგანიზებაში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში იმ დროს არსებული ყველა არაფორმალური ორგანიზაცია, რადგან ხიფათი და პროვოკაცია სწორედ ამ დღეს იყო მოსალოდნელი.

28 ოქტომბრის საღამოს მ. კოსტავა და მე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წავედით, სადაც სტუდენტობა იყო შეკრებილი (გეოლოგიური კორპუსის ერთ-ერთ აუდიტორიაში). იქ დაგვხვდა ბ-ნი რობერტ სტურუა. ჩვენ ვთხოვეთ სტუდენტებს, ორგანიზებულად მიეღოთ მონაწილეობა მეორე დღეს დანიშნულ მიტინგში, ამასთანავე ეუთხარით, სად მოსულიყვნენ და რომელი ადგილი დაეკავებინათ მთავრობის სასახლის წინ. ვაჩვენეთ ნაჭრის წვრილი ლენტები, რომლითაც მომიტინგეებს შორის მყოფ არაფორმალური ორგანიზაციის აქტივისტებს ექნებოდათ თავი წაკრული. საჭიროების შემთხვევაში დაეცვათ წესრიგი და აღეკვეთათ პროვოკაცია. ასე ორგანიზებულად შემდგომში არც ერთი მიტინგი აღარ ჩატარებულა.

საზოგადოების ფართო წრეებმა არ იცოდნენ იმ წყალქვეშა დინებებზე, რომელიც შიგნიდან არღვევდა და შლიდა ეროვნულ მოძრაობას. არც ის იცოდნენ, როგორ დაირღვა მიღწეული შეთანხმება იმის თაობაზე,

29 ნოემბრის მიტინგი ბ-ნ ნ. ნათაძეს რომ უნდა წაეყვანა, თუმცა მეორე ფაქტის მოწმენი, როდესაც მიტინგის მსვლელობის დროს ვილაცამ მოახერხა და მილიციითა და შინაგანი ჯარებით გაჭედილ შენობაში „შეუმჩნეველად" აძვრა მთავრობის სახლის სახურავზე დროშის შესაცვლელად, ყველანი გახდნენ.

ამ კაცის გვარი აღარ მახსოვს. ვიცი, რომ დააპატიმრეს და შემდეგ მ. კოსტავას შუამდგომლობის საფუძველზე გაათავისუფლეს.

არადა, არა მხოლოდ მ. კოსტავას აინტერესებდა, თუ ვინ გადასცა დასავლეთში ინფორმაცია ზაქარია ლაშქარაშვილზე. ამ ფაქტმა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც" გახადა იძულებული დუმილი დაერღვია. მანამდე, „ი. ჭვჭავაძის საზოგადოების" ჟურნალი „ივერია," №8 წერდა: „ქართველმა საზოგადოებრიობამ კარგად უწყის, რომ ზ. გამსახურდია სისტემატურად თავს ესხმის „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას" და, საკუთრივ, მის გამგეობას. თავის მრავალრიცხოვან ზეპირ გამოსვლებში თუ თვითგამოცემით ლიტერატურაში (იხ. „ქართული ქრონიკა" №№1 და 7 და სხვა) იგი უკვე თვეების მანძილზე ლანძღავს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრებს და ცალკეულ აქტივისტებს — აბრალებს მათ სუკ-ის აგენტობას, ცენტრალური კომიტეტის დიქტატით მოქმედებას, ოპორტუნისტობას, ეროვნული საქმის მოღალატეობას და ა. შ.

საზოგადოებრიობამ ისიც უნდა უწყოდეს, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობას წერილობით არასდროს გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება ამ უაზრო და თავხედური ცილისწამებებისადმი, რადგანაც პასუხის ღირსადაც არ მიაჩნდა ისინი. როგორც ჩანს, გამგეობის ეს პოზიცია არ იყო მართებული, რადგანაც გამსახურდიამ ირწმუნა თავისი დაუსჯელობა და უკვე საერთაშორისო მასშტაბით იწყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" განქიქების მცდელობა. მან არაერთხელ შეიყვანა შეცდომაში დასავლეთის ცნობათა გავრცელების საშუალებები და მიაწოდა მათ არასწორი ცნობები „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" და მისი გამგეობის შესახებ. ამასთანავე, ქართულ ემიგრანტულ პრესაში გამოსაქვეყნებლად პარიზში გაგზავნა საზოგადოების წევრთა შეურაცხმყოფელი წერილი...

შესაძლოა, გამგეობას არც ამ ფაქტების გაშუქება მიეჩნია საჭიროდ, თუ არა ის აღმაშფოთებელი საქციელი, რომელიც ჩვენთვის ბოლო დროს გახდა ცნობილი.

„ივერიის" წინა ნომერში მკითხველს მივაწოდეთ მცირე ინფორმაცია სეგო-ს (საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია) შესახებ. იმასაც ვიუწყებოდით, რომ სეგო-ს ლიდერი ზაქარია ლაშქარაშვილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. და აი, ალშფოთებული ქართველი ემიგრანტები პარიზიდან გვატყობინებენ, რომ გამსახურდიამ, თბილისიდან, და მისმა მეუღლემ, დასავლეთ გერმანიიდან, მათ შეუთვალეს: ზაქარია ლაშქარაშვილი სუკ-ის მიერაა საფრანგეთში შეგზავნილი და არავითარი დახმარება არ გაუწიოთო".

ეს ინფორმაცია გახდა საფუძველი იმ განცხადებისა, რომელიც ჟურნალის ამავე ნომერშია გამოქვეყნებული და რომელსაც ხელს აწერენ სეგო-ს წევრები, „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრები და ყოფილი პოლიტპატიმრები:

„განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის — 1988 წლის 20 ივლისს სსრკ-დან ემიგრაციაში გაემგზავრა ყოფილი პოლიტპატიმარი, „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის"(სეგო-ს) ლიდერი ზაქარია კონსტანტინეს ძე ლაშქარაშვილი. როგორც თავად ზ. ლაშქარაშვილისაგან, ასევე საფრანგეთის ქართული ემიგრანტული წრეებისაგან შევიტყვეთ, რომ ზ. გამსახურდიამ დასავლეთს აცნობა, თითქოს ზ. ლაშქარაშვილი არის სუკ-ის მიერ გაგზავნილი აგენტი. ამასთან დაკავშირებით თავს მოვალედ ვთვლით განვაცხადოთ შემდეგი:

ზ. ლაშქარაშვილმა 1974 წელს ჯერ კიდევ ოცი წლისამ დააარსა „საქართველოს ეროვნული პარტია", რომელსაც 1980 წლიდან სეგო ეწოდა. 1983 წ. ამ არალეგალური ორგანიზაციის არსებობის შესახებ შეიტყო სუკ-მა. შედეგად, ზ. ლაშქარაშვილმა ციხეებსა და პოლიტბანაკებში დაჰყო 1987 წლამდე. განთავისუფლების შემდგომ იგი მთელი წლის მანძილზე სამუშაოს ვერ შოულობს და საარსებო სახსრებს მოკლებულია. 1988 წ. საფრანგეთის მოსკოვის საელჩოს დახმარებით იგი ღებულობს ემიგრირების ნებართვას და ტოვებს სამშობლოს. როგორც ვხედავთ, თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, ზ. ლაშქარაშვილმა ბევრი სიმწარე იწვნია. გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენ პირადად ვიცნობთ ზაქარია ლაშქარაშვილს, როგორც უაღრესად პატიოსან პიროვნებას და მიგვაჩნია, რომ მისთვის ამგვარი ბრალდების წაყენება იმდენადვე უხამსობაა, რამდენადაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია".

ზემოთ მოტანილი განცხადების ტექსტი მ. კოსტავას გავაცანით

და ვთხოვეთ ხელი მოეწერა. მერაბმა განცხადების ტექსტი რამდენჯერმე გადაიკითხა, ცოტა ხანს დაფიქრდა და გვითხრა, რომ მეორე დღისთვის თავადვე გაამზადებდა ტექსტს და გადმოგვცემდა. მეორე დღით მერაბმა ასეთი შინაარსის ტექსტი გადმომცა: „ზაქარია ლაშქარაშვილის შესახებ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრი, ყოფილი პოლიტპატიმარი ვახტანგ ძაბირაძე ესაუბრა ყოფილ პოლიტპატიმარს, მერაბ კოსტავას, რომელმაც ზ. ლაშქარაშვილი შემდეგნაირად დაახასიათა:

ზაქარია ლაშქარაშვილს კარგად ვიცნობდი. ეს არის გამბედავი, უაღრესად პატიოსანი, მეგობრობაში ერთგული ადამიანი. ამას მალაპარაკებს როგორც საკუთარი ინტუიცია, ასევე ჩემი ნაცნობი წრე მისი პატიმრობის მეგობრებისა, რადგანაც ღრმად მჯერა ანდაზის რეალობისა: მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი (განსაკუთრებით პატიმრობაში) და გეტყვი, ვინ ხარ შენ. ხოლო საბჭოთა პოლიტსაკონცენტრაციო ბანაკებში პატიმრობა უმწიკვლოდ-გამოვლილის რეპუტაცია არცერთ სხვა, აშკარად უფრო იოლ სიტუაციაში შემოწმებას აღარ საჭიროებს. მერაბ კოსტავა" (ჟურნალი „ივერია", №8. მერაბ კოსტავას ამ ბარათის დედანი ინახებოდა „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" არქივში).

ჟურნალ „ივერიის" იმავე ნომერში გამოქვეყნებული იყო ზ. გამსახურდიას სტატია „გამოვედი თუ არა მე ცენტრალური ტელევიზიით 1978 წლის მარსში?", რომელიც მან დაბეჭდა საკუთარ თვითგამოცემის ჟურნალ „მატიანე" №3-ში, და 1978 წლის 18 ივლისის ცენტრალური ტელევიზიის ტელეგადაცემის ტექსტი რუსულ ენაზე, ამერიკელი ჟურნალისტების პაიპერისა და უიტნის სასამართლო პროცესიდან, რომელშიც ზ. გამსახურდია მოწმის სახით ღებულობდა მონაწილეობას, ორივე მასალას თან ერთვოდა კომენტარი.

„ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" სტრუქტურა ისე იყო მოწყობილი, რომ გამგეობის წევრები იმავდროულად ჟურნალ „ივერიის" რედკოლეგიის წევრებიც იყვნენ, ამიტომ წინასწარ ვეცნობოდით იმ ძირითად მასალებს, რომლებიც შემდგომ ჟურნალში უნდა გამოქვეყნებულიყო. როდესაც ამ მასალებს გავეცანი, ჩათვალე, რომ სრულიად საკმარისი იქნებოდა გამოქვეყნებულიყო განცხადება, რომელსაც ხელს აწერდნენ სეგო-ს, „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობის წევრები და ყოფილი პოლიტპატიმრები, აგრეთვე მერაბ კოსტავას მიერ გადმოცემული ტექსტი. მიმაჩნდა, რომ იმ ინციდენტის

გამოსასწორებლად, რაც ზ. ლაშქარაშვილს ეხებოდა, ეს ორი მასალა სრულიად საკმარისი იქნებოდა, დანარჩენების გამოქვეყნება კი, ჩემი აზრით, კიდევ უფრო დაძაბავდა და გაამწვავებდა ეროვნულ მოძრაობაში წარმოქმნილ ისედაც დაძაბულ სიტუაციას, რომლის გამოყენებასაც აუცილებლად შეეცდებოდა ხელისუფლება და ეს იქნებოდა მიმართული არა ეროვნული მოძრაობის რომელიმე ფრთის, არმედ მთელი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. რამდენადაც მახსოვს, ამავე პოზიციაზე იდგა ბ-ნი გურამ სხირტლაძე. სამწუხაროდ, ჩვენ უმცირესობაში აღმოვჩნდით.

ჟურნალ „ივერიის" №8 გამოსვლას მართლაც მკვეთრი უარყოფითი რეაქცია მოჰყვა საკოორდინაციო ცენტრში. დაიწყო მისვლა-მოსვლა, მოლაპარაკებები. ცოტა ხნის შემდეგ მდგომარეობა უფრო სტაბილური გახდა, მაგრამ მაინც რჩებოდა შეხვედრისა და ლაპარაკის აუცილებლობა, თუმცა არავინ იცოდა, როგორი ხასიათის უნდა ყოფილიყო ეს შეხვედრა, უფრო სწორად, ორივე მხარე სხვადასხვაგვარად ხედავდა ამ შეხვედრის არსსა და მნიშვნელობას. მე ამ შემთხვევაშიც წინააღმდეგი ვიყავი ამგვარი შეხვედრის მოწყობისა, მით უფრო, თუ ეს შეხვედრა „საქმის გარჩევას" უნდა დამსგავსებოდა, ამიტომ წინასწარ მოლაპარაკებებში არ ვმონაწილეობდი. ინფორმაციას, თუ რა ხდებოდა, ვღებულობდი ზურაბ ჭავჭავაძისგან, რომელიც უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებებს და რატომღაც დაინტერესებული იყო, რომ შეხვედრა აუცილებლად შემდგარიყო.

1989 წლის იანვარში ზურაბ ჭავჭავაძე და მე მოსკოვში წავედით, რომ შევხვედროდით ამერიკისა და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებს, მოსკოველ დისიდენტებს და ჟურნალ „გლასნოსტის" გამომცემლებს. საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრაში ჩვენი მიზანი იყო მათთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება, ასევე გვაინტერესებდა, თუ როგორ უყურებდნენ ისინი საქართველოში მიმდინარე პროცესებს და რეალურად შეეძლოთ თუ არა ჩვენთვის რაიმე მხარდაჭერისა და დახმარების გაწევა. სანამ ადამიანის უფლებებსა და ამ უფლებათა დაცვის გარანტიებზე იყო საუბარი, ორივე ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები (ჩვენ მათ ცალ-ცალკე შევხვდით) დიდ ენთუზიაზმს იჩენდნენ და ყოველგვარ დახმარებას გვპირდებოდნენ, მაგრამ როდესაც სსრკ-დან საქართველოს გამოყოფასა და მისი დამოუკიდებლობის ცნობასა და აღიარებაზე მიდგა საქმე, ამერიკელებმა საკმაოდ დიპლომატიურად გვაგრძნობინეს, რომ ამ თემაზე საუბრისათვის მზად არ არიან და რომ ეს უფრო მომავლის საქმეა. საფრანგეთის

წარმომადგენელი უფრო გულახდილი იყო და თქვა, საფრანგეთს თავად გააჩნია ანალოგიური პრობლემები, ამიტომ საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან ასეთი საკითხების წამოწევა საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობაში ჩვენთვის მიზანშეწონილი არ იქნებაო. ამასთან ორივემ ისევ და ისევ ხაზგასმით დაგვიდასტურა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისაგან ისინი ითხოვენ და კვლავაც დაბეჯითებით მოითხოვენ ადამიანის უფლებათა უპირობო დაცვას. სიმართლე რომ ვთქვა, სხვაგვარ მიდგომას ჩვენ არ ველოდით — ამერიკა ან საფრანგეთი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს რომ ვერ დასვამდა და ვერც ამისთვის იბრძოლებდა, გასაგები იყო; ჩამოყალიბდა სრულიად მარტივი, მაგრამ ჩვენთვისაც და მათთვისაც მისაღები და რეალური მექანიზმი — დამოუკიდებლობისათვის ჩვენ ვიბრძოლებდით, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვისთვის — ისინი! რაღა თქმა უნდა, გავცვალეთ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და მე და ზურაბმა ჩავთვალეთ, რომ ჩვენი დიპლომატიური საქმიანობა წარმატებით დაიწყო. ასეთივე ნორმალური შეხვედრები გვქონდა „გლასნოსტის" რედაქციაში და მოსკოველ დისიდენტებთან, რომელთა უმრავლესობა ჩემი პერმელი ნაცნობები იყვნენ.

მოსკოვიდანვე დავუკავშირდით პარიზში ზ. ლაშქარაშვილს და სხვა ქართველ ემიგრანტებს. ჩვენ ამ სატელეფონო საუბრების მაგნიტოფონზე ვიწერდით. მათ ამის შესახებ იცოდნენ, მაგრამ ჩვენ არ გვითქვამს, რომ ამ ჩანაწერს გამოვიყენებდით. არც გამოგვიყენებია, თუმცა ფირზე ბევრი საინტერესო რამ იყო ჩაწერილი... (ეს ფირიც ალბათ „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" არქივში ინახება). ერთადერთი, რაც დამამახსოვრდა, რადგან შემდგომში ხშირად ვიხსენებდი, იყო ბ-ნი მიხეილ ქავთარაძის ნათქვამი: „1918-21 წლებში საქართველო გადაჭარბებულმა ინტერნაციონალიზმმა დალუპა, ახლა გადაჭარბებული ნაციონალიზმი დაგვლუპავსო".

თბილისში ჩვენი დაბრუნების შემდეგ მოლაპარაკებები საკოორდინაციო ცენტრთან და, კერძოდ, ზ. გამსახურდიასთან კვლავ განახლდა. იყო ისეთი პერიოდიც, როდესაც ამ მოლაპარაკებებით თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ რატომღაც სიტუაცია შეიცვალა და ლაპარაკი უბრალო შეხვედრაზე კი არა, ღირსების სასამართლოს მოწყობაზე დაიწყო. დაინიშნა დრო და ადგილი.

შეხვედრა ჭავჭავაძის გამზირზე ერთ-ერთ ბინაში იყო დანიშნული

(ბინის პატრონს მე არ ვიცნობდი, მაგრამ თუ არ ვცდები, ცინცაძე იყო გვარად). ჩვენ დათქმულ დროს მივედით, თითქმის მთელი საათი ვიცადეთ და დაშლას ვაპირებდით, რომ ტელეფონზე დარეკეს და გვითხრეს, კ. გაწერელიას ბინაში ვართ და, თუ გნებავთ, მოდით, აქ ვილაპარაკოთო. ჩვენ გადავწყვიტეთ, კ. გაწერელიას ბინაში მივსულიყავით. ბ-ნმა ნ. ნათაძემ ბოდიში მოგვიხადა, თქვა, რომ გაწერელიებთან პირადი უთანხმოება ჰქონდა და ამიტომ ვერ წამოვიდოდა.

მე არ შევუდგები ამ შეხვედრის დეტალურ აღწერას, თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს ორი ვიდეოფირი (იღებდნენ გოგა ხაინდრავა და კახა ხოშტარია — ამ უკანასკნელმა გადაღებული ვიდეოკასეტა ჩვენ შეხვედრის დამთავრებისთანავე გადმოგვცა) და ალბათ მოვა დრო, როდესაც ფართო საზოგადოებას მათი ნახვის საშუალება მიეცემა; ის კი მინდა აღვნიშნო, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ იმ პერიოდში საქართველოში არსებული ყველა არაფორმალური ორგანიზაციის წარმომადგენლები მერაბ კოსტავას გარდა (მერაბმა არ ისურვა ამ შეკრებაზე დასწრება და საერთოდ წავიდა იმ დღეს თბილისიდან) და ბატონები ა. ბაქრაძე, გ. გეგეშიძე და ჯ. იოსელიანი.

შეხვედრა დაძაბულ და ნერვიულ ატმოსფეროში წარიმართა, რამდენჯერმე ცოტაღა აკლდა, ხელჩართულ ჩხუბში რომ გადაზრდილიყო. ჩემთვის მოულოდნელად ზ. გამსახურდიაზე მეტად აქტიურობდნენ გ. ჭანტურია, ი. სარიშვილი და მ. გიორგაძე. ზვიადმა უარყო ყველანაირი ბრალდება და თქვა, რომ ის ელაპარაკა გინზბურგს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და ზ. ლაშქარაშვილზეც, მაგრამ არ უთქვამს, რომ ზ. ლაშქარაშვილი სუკ-ის აგენტია. შემდეგ მე მომიბრუნდა (ჩემსა და ზვიადს შორის ცოტა უცნაური და ღიმილისმომგვრელი დიალოგი გაიმართა): აი, თქვენ ხომ იცნობთ გინზბურგსო? მე ვუპასუხე, რომ გინზბურგს არ ვიცნობდი. აბა, რისთვის იჯექითო? — გაუკვირდა. გინზბურგის გასაცნობად არ ვმჯდარვარ, მაგრამ თუ საჭიროა, შემიძლია დავურეკო და დაველაპარაკო-მეთქი. ხოდა, დაურეკეთ, ჰკითხეთ და გეტყვით, რაც მე ველაპარაკეო. მე შევთავაზე ზვიადს, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, აჯობებს თქვენ დამიწეროთ ის ტექსტი, რაც ზ. ლაშქარაშვილზე უთხარით გინზბურგს და მეც იმავეს ეკითხავ-მეთქი. ზვიადი დამთანხმდა და ჩვენ ოთახის კუთხეში გადავინაცვლეთ. ის სავარძელში ჩაჯდა, საწერად მოემზადა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ

იმ მოტივით, რომ აქედან გასულები შეიძლებოდა დავეპატიმრებინეთ ან გავეჩხრიკეთ, ან რაღაც სხვა შემთხვევის წყალობით, ეს ხელნაწერი სუკ-ის ხელში აღმოჩენილიყო, რაც თქვენც და მეც უსიამოვნების მეტს არაფერს მოგვიტანსო, გადაიფიქრა. ამასობაში სიტუაცია ზ. ჭავჭავაძესა და გ. ჭანტურიას შორის იმდენად გამწვავდა, რომ იძულებული გავხდით, შუაში ჩავმდგარიყავით, სათქმელი და სალაპარაკო უკვე აღარაფერი იყო და ჩვენ დავტოვეთ კ. გაწერელიას ბინა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ამ შეკრებას შესაძლოა საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი როლი ეთამაშა ეროვნულ მოძრაობაში, რადგან მოხდა პირისპირ შეხვედრა და ურთიერთპრეტენზიებზე ღია ლაპარაკი. კიდევ რამდენიმე შეხვედრა და ცოტა დრო იყო საჭირო, რომ ურთიერთუნდობლობისა და ეჭვის ყინული გამლღვალიყო. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეშალა ამ დაახლოებისთვის და გადაწყვიტა, ერთი ხელის დაკვრით, უფრო სწორად, ერთი ტელეგადაცემით გაენადგურებინა მთელი ეროვნული მოძრაობა — 1989 წლის 26 თებერვალს საქართველოს ტელევიზიამ გადასცა ამ შეხვედრის ამსახველი ვიდეოკადრების ტენდენციური მონტაჟი.

1988 წლის შემოდგომა მთელი კავშირის მასშტაბით ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა და მოსახლეობის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა. მოსკოვი, ბუნებრივია, გულხელდაკრეფილი ვერ იქნებოდა და მხოლოდ მეთვალყურის პოზიციით ვერ დაკმაყოფილდებოდა. ამიტომ ის ცდილობს, ხელში აიღოს პოლიტიკური ინიციატივა, შეიქმნას დემოკრატიულის თუ არა, დემოკრატიისაკენ მიმავალი ქვეყნის იმიჯი — იწყება საუბრები სსრკ-ს და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციის შექმნაზე, სსრკ-ს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნებზე, რომელიც შემდგომში მუდმივმოქმედი საკანონმდებლო ორგანო უნდა გახდეს, ხოლო მისი საქმიანობის პირდაპირი ტელეტრანსლაცია იქნება საჯაროობისა და დემოკრატიულობის გამოხატულება. ამასთან ერთად ცდილობს, იმპერიის შესანარჩუნებლად დემოკრატიულ ფასეულობებს ამოეფაროს — განხეთქილება შეიტანოს ეროვნულ მოძრაობაში, რისთვისაც იყენებს როგორც მე-5 კოლონას, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (პრესის თავისუფლება!).

გაზეთმა „ლიტერატურული საქართველო", რომელიც იმ პერიოდში საკმაოდ პოპულარული იყო, შემოიღო რუბრიკა,

რომელშიაც იბეჭდებოდა დასავლეთის რადიოსადგურების მიერ გადმოცემული მასალები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, აგრეთვე ამა თუ იმ პრობლემაზე ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა შეხედულებები და ინტერვიუები. ეს იყო თავისთავად საინტერესო და სასარგებლო საქმე, რომ არა ერთი გარემოება — „ი. ჭავჭავავის საზოგადოების" მიერ გაკეთებული განცხადებების და მისი წევრების მიერ მიცემული ინტერვიუების გამოქვეყნება, რომლებსაც ასევე დასავლეთის ხმები გადმოსცემდნენ, გაზეთს რატომღაც „ყოველთვის ავიწყდებოდა".

მოკავშირე რესპუბლიკებში მოსკოვი ეროვნულ მოძრაობას ისევ ადგილობრივ მოსახლეობას უპირისპირებს — ბალტიისპირეთსა და უკრაინაში იქმნება ინტერფრონტები, მწვავდება ყარაბახის კონფლიქტი; საქართველოშიც არის მცდელობა ინტერფრონტის შექმნისა, მაგრამ მარცხით მთავრდება და ისევ აფხაზური და ოსური კარტის გათამაშება იწყება (ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა!). როგორც ჩანს, 1989 წლისათვის მოსკოვს დაგეგმილი ჰქონდა ფართომასშტაბიანი შეტევა ეროვნული და დემოკრატიული ძალების მიმართ.

ქართველთა და აფხაზთა გაუცხოება რომ ათწლეულების განმავლობაში მზადდებოდა, საიდუმლოებას არავისთვის წარმოადგენდა; ისიც ნათელი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლებას რეალურად თითქმის არავითარი ბერკეტები არ გააჩნდა აფხაზეთის ხელისუფლებაზე ზემოქმედებისა. აფხაზური პარტიულ-ბიუროკრატიული ელიტა უშუალოდ, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით, იყო დაკავშირებული კრემლის ბიუროკრატიასთან (აფხაზეთი ხომ მოსკოვის პარტიულ-ბიუროკრატიული და სამეცნიერო-კულტურული ელიტისათვის საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა — საკავშირო დაქვემდებარების პანსიონატები, დასასვენებელი სახლები და აგარაკები — აფხაზეთის პარტიული და სამთავრობო ბიუროკრატიის დაბალი რგოლის წარმომადგენლებსაც კი საშუალება ჰქონდათ პირადი ნაცნობობა და კონტაქტები დაემყარებინათ იმპერიის მმართველი წრის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებთან). ამდენად, საქართველოს ხელისუფლებას სურვილიც რომ ჰქონოდა, აფხაზეთის და აფხაზებთან ურთიერთობის პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებდა, თუმცა მოსკოვის გარეშე რაიმეს გაკეთების სურვილი არც მაშინდელ და არც დღევანდელ ხელისუფლებას არც გასჩენია. ფორმალურად,

აფხაზეთის ყოფნას საქართველოს შემადგენლობაში აღიარებდა მოსკოვიც, თბილისიც და სოხუმიც.

ჩვენ საკმაოდ დეტალური ინფორმაცია გვქონდა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე, რადგან ამ დროს აფხაზეთში ერთადერთი არაფორმალური ორგანიზაცია „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება" არსებობდა და მისი წევრები იყვნენ ნ. მგალობლიშვილი, ბ. კაკუბავა, ვ. ვეკუა, თ. ლორთქიფანიძე, ს. ადამია, დ. ჯაიანი, ა. მიქელაძე და სხვები.

ჩვენი მიდგომა აფხაზეთისა და აფხაზებისადმი ასეთი იყო: აფხაზები წარმოადგენენ მცირერიცხოვან მოსახლეობას, ქართველებმა ისევე უნდა იზრუნონ აფხაზური ეთნოსის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად, როგორც თავად ქართულისა, ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რაც საშუალებას მისცემთ, განავითარონ აფხაზური ენა და კულტურა; რომ აფხაზებთან საერთო ენის გამონახვა და დარღვეული ნდობის აღდგენა, უპირველესად, ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად არის საჭირო, ამიტომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, როგორც ვ. ვეკუამ განაცხადა კიდეც 1988 წლის 3 დეკემბერს კელასურში, სუბტროპიკული ინსტიტუტის ტერიტორიაზე ჩატარებულ მიტინგზე, „ჩვენ უნდა მოგვეძებნა გზა აფხაზთა გულებისაკენ".

ამგვარი მიდგომა დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის ჩანაფიქრს — აფხაზები ქართველთაგან დევნილ და შევიწროებულ ერად წარმოეჩინა, რაც შემდგომში ა. სახაროვს საშუალებას მისცემდა საქართველოსათვის „მცირე იმპერია" ეწოდებინა, ხოლო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები მოენათლა ექსტრემისტებად, რომელთაც თითქოსდა აფხაზი ერის განადგურება სურდათ. ეს საშუალებას მისცემდა მოსკოვს, მსოფლიოს თვალში მცირე ერების დამცველად წარმოეჩინა საკუთარი თავი, სინამდვილეში კი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი საქართველოსა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის შეექმნა წინააღმდეგობა და თუ იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს შენარჩუნებას ვერ მოახერხებდა, აფხაზეთი (შავი ზღვის ზოლი) მაინც დაენარჩუნებინა, რასაც ჯერჯერობით დე-ფაქტო მიაღწია კიდეც.

ხელისუფლებამ, იცოდა რა ჩვენი პოზიცია, ყველაფერი იღონა, რომ მიტინგი არ ჩატარებულიყო — ალყაშემორტყმული იყო სოხუმის ყველა დიდი მოედანი, გადაკეტეს საავტომობილო გზები, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" წევრები ქალაქში არ შეეშვათ (გზაზ

დააბრკოლეს მ. კოსტავა, თ. ჩხეიძე და ჯ. კოპალიანი), მატარებელმა საღამოსღა ჩააღწია სოხუმში; მიუხედავად ამისა, მიტინგი მაინც ჩატარდა და როგორც გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი" აღნიშნავდა, მართალია, გამომსვლელთა სიტყვები ქართველთა და აფხაზთა ძმობას ეხებოდა, მაგრამ მიტინგის სულისკვეთება მაინც მიუღებელი იყო, ხოლო ორგანიზატორები ექსტრემისტებად გამოაცხადეს. მიტინგის რეზოლუციის ძირითადი მოთხოვნები იყო: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის აღდგენა, ქართული და აფხაზური ენების კონსტიტუციური სტატუსის დაცვა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პროვოკაციული პუბლიკაციების შეწყვეტა.

ხელისუფლებას, როგორც მოსალოდნელი იყო, მიღებული რეზოლუციის შესასრულებლად თითიც არ გაუნძრევია; ზურაბ ჭავჭავაძე და მე რამდენჯერმე შევხვდით პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს გ. ჩოგოვაძეს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის საკითხი რომ მაინც გადაგვეწყვიტა, მაგრამ არც ამ მოლაპარაკებებმა გამოიღო შედეგი და გადავწყვიტეთ ისევ ნაცადი ხერხისთვის — მიტინგისათვის მიგვემართა, რათა ფართო საზოგადოებას ჩვენი პოზიციაც გაეგო და საქართველოს ხელისუფლების ინერტულობაზეც გვესაუბრა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგრძნობდით, ჩვენი პოზიცია მოსკოვისათვის სრულიად მიუღებელი რომ იყო, მაგრამ წარმოდგენაც კი არ გვქონდა, არაფორმალთა მიერ თბილისში გამართულ მიტინგზე აფხაზური ენის კონსტიტუციური უფლებების დაცვის მოთხოვნა რა ეფექტს მოახდენდა დასავლეთის მასობრივ ინფორმაციაზე და როგორ არევ-დარევდა მოსკოვის მიერ ჩაფიქრებულ გეგმებს, ამიტომ 18 თებერვლის მიტინგის ასე საშინელმა დარბევამ გარკვეულწილად გამაოცა კიდეც.

მიტინგი სპი-ს ადმინისტრაციული კორპუსის წინ იყო დანიშნული. წინა საღამოს საზოგადოების გამგეობის სხდომაზე განვაცხადე, რომ სიცხე მქონდა და მიტინგს ვერ დავესწრებოდი, მაგრამ მეორე დილით მაინც ვერ მოვისვენე და პოლიტექნიკური ინსტიტუტისაკენ გავეშურე. ინსტიტუტთან მისულს მ. ქურდიანი დამხვდა და მითხრა, რომ ზ. ჭავჭავაძე და თ. ჩხეიძე დილიდანვე დაეპატიმრებინათ. ეს-ესაა ჯ. კოპალიანმა სცადა მიტინგი გაეხსნა, მაგრამ ისიც დააპატიმრესო. ამასობაში მ. კოსტავაც შემოგვიერთდა. ჩვენ ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ იქ მიტინგის ჩატარების კიდევ ერთ მცდელობას აზრი არ ჰქონდა, ჯობდა მანიფესტაცია დაგვეწყო — ჩვენ საბურთალოს ქუჩისკენ გავემართეთ, მიტინგზე მოსული საზოგადოება უკან გამოგვყვა.

მილიციის რაზმი მანიფესტაციის დაშლას ვერ ახერხებდა, დრო და დრო წინ გადაგვისწრებდნენ და გზას გვიღობავდნენ, ასეთ შემთხვევაში ან რომელიმე ქუჩაზე შევუხვევდით, ან უკან ვბრუნდებოდით; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ უმიზნოდ „დავხეტიალობდით" ქუჩებში, სინამდვილეში კი შესაფერის ადგილს ვეძებდით მიტინგის ჩასატარებლად. ასე გაგრძელდა რამდენიმე საათს. ამ „ხეტიალში" პეკინის ქუჩით გმირთა მოედნისაკენ წავედით. მილიციელებმა ისევ წინ გაგვისწრეს და სასტუმრო „აჭარასთან", შუქნიშანთან ქუჩა გადაკეტეს, ამდენ სიარულში, ეტყობა, ისინიც დაიღალნენ, ამიტომ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულად იდგნენ. კორდონის გარღვევა ადვილად შეიძლებოდა. ჩვენ გავარღვიეთ კორდონი (სიმართლე ითქვას, არც მილიციელებს გაუწევიათ დიდი წინააღმდეგობა, უფრო ვალის მოხდის მიზნით იდგნენ) და სპი-ს პირველ კორპუსთან შევიკრიბეთ. მილიციამ ჩვენს ირგვლივ დაიკავა ადგილი. მიტინგი მე გავხსენი და სიტყვა ჯერ მ. კოსტავას, შემდეგ კი მ. ქურდიანს გადავეცი. ამ დროს გაიღო პირველი კორპუსის კარი და იქიდან გამოვარდნილმა ახალგაზრდების დიდმა ჯგუფმა მიტინგის დარბევა დაიწყო. ჩვენთვის ეს ცოტა მოულოდნელი იყო, რადგან ინსტიტუტში იმ დღეს სწავლა არ იყო და, წესით, პირველი კორპუსი ცარიელი უნდა ყოფილიყო. გაიმართა ხელჩართული ჩხუბი, საქმეში მილიციაც ჩაერია და იძულებული გავხდით დოლიძის ქუჩისკენ დაგვეხია; იყალთოს ბაღთან ისევ შევგროვდით, რომ მიტინგი დაგვეწყო. ამ დროს მოიყვანეს ჯ. კოპალიანი და ნ. მგალობლიშვილი. მიტინგი განახლდა. მე ცოტა ხანს შევიცადე, მაგრამ დაღლილობისა და ავადმყოფობისაგან ფეხზე ძლივსღა ვიდექი, ამიტომ მათ გამოვემშვიდობე და სახლში წავედი. როგორც შემდგომ გავიგე, მ. კოსტავა, ჯ. კოპალიანი, მ. ქურდიანი, ნ. მგალობლიშვილი და სხვები ისევ დაეპატიმრებინათ და გვიან ღამემდე ჰყოლოდათ მილიციაში, იმავე დღეს სახლიდან გამოსვლისას პროფილაქტიკის მიზნით დაუპატიმრებიათ ი. წერეთელიც.

18 თებერვლის აქცია იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ხელისუფლებამ მომიტინგეთა წინააღმდეგ ძალა გამოიყენა და, სამწუხაროდ, ამ დარბევაში გაცილებით აქტიურად მონაწილეობდნენ კომკავშირელი აქტივისტები, ვიდრე მილიციის თანამშრომლები, რომლებიც საკმაოდ უხალისოდ ასრულებდნენ უფროსების მიერ გაცემულ ბრძანებებს.

ახლოვდებოდა 25 თებერვალი. ამ თარიღის აღსანიშნავად

ემზადებოდნენ არაფორმალური ორგანიზაციებიც და ხელისუფლებაც. მიზანი, ბუნებრივია, სრულიად სხვადასხვა იყო. 1989 წ. 25 თებერვალი ამინდით არ ჰგავდა 68 წლის წინანდელს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამ თბილსა და მზიან დღეს ჩაუვლია ძალადობის გარეშე: თბილისში ფაქტიურად სამხედრო მდგომარეობა იქნა შემოღებული. შემოიყვანეს მრავალრიცხოვანი სამხედრო შენაერთები — ხელკეტებით თუ ცეცხლმსროლელი იარაღით აღჭურვილები. ქალაქის ცენტრში იდგნენ ტანკები და ჯავშნიანი მანქანები.

დაშინებამ არ გაჭრა — სამგლოვიარო მიტინგის მონაწილეებმა ქალაქის სხვადასხვა რაიონში იწყეს თავმოყრა: „წმ. ილია მართლის საზოგადოებას" განზრახული ჰქონდა შეკრება ქაშვეთის ეკლესიის მიდამოებში დღის 12 საათზე, მთავრობის სახლთან ჰქონდათ განზრახული თავშეყრა ზოგიერთი სხვა არაფორმალური გაერთიანების წევრებსაც. „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება" აქციას იწყებდა დილის 10 საათზე დავით აღმაშენებლის გამზირზე. ბევრს შავები ემოსა ან შავი სამკლაური ეკეთა. შავი ზონრებით იყო განყობილი ეროვნული დროშებიც. ხელისუფლებამ დილიდანვე დაიწყო მონაწილეთა — განსაკუთრებით არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების დარბევა-დაპატიმრება. კინოთეატრ „ოქტომბერთან" დააპატიმრეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" გამგეობა და მისი სხვა წევრები, რომლებიც აპირებდნენ სამშობლოსათვის თავდადებულ იუნკერთა მარშის ერთი მონაკვეთის გავლას — მათი ყოფილი სასწავლებლიდან (დავით აღმაშენებლის გამზირიდან) ქაშვეთის ეკლესიამდე.

ანჩისხატთან დაარბიეს ეროვნული სამართლიანობის კავშირის წევრები. დაპატიმრებები მოხდა ქაშვეთის ეკლესიის მიდამოებშიც. განსაკუთრებით მკაცრად გაუსწორდნენ ედპ-ს წარმომადგენლებს ორჯონიკიძის ძეგლთან. ამ გზით ზეიმის მომხრე „ხელკეტიანმა დემოკრატებმა" წინასწარ 150-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს...

არაადამიანურ პროფილაქტიკას დამსჯელთათვის სასურველი შედეგები არ მოუტანია. პირიქით, მათი „ზედმეტი მონდომება" ქუჩაში გამოსული პატრიოტების კიდევ უფრო შემჭიდროების საფუძველი გახდა.

ქაშვეთიდან ხუთიათასიანი სამგლოვიარო პროცესია რესპუბლიკის მოედნისაკენ დაიძრა. მონაწილეთა რიცხვი გზადაგზა იზრდებოდა. ქუჩის რეპროდუქტორებში დამამცირებლად ყღერდა საზეიმო მუსიკა, სპეცნაწილების ხელკეტიანები კი რუსთაველზე და რესპუბლიკის

მოედანთან სცემდნენ მშვიდობიანი მსვლელობის მონაწილეებს — მათ შორის, ქალებსა და ბავშვებს. მგლოვიარეთა შავ პლაკატებზე იყო წარწერები: „25 თებერვალი საქართველოს დაპყრობის დღეა!", „ნუ ვიზეიმებთ 25 თებერვალს!" და სხვა.

ქართველი ერის ნება ასრულდა: ის ვერ დათრგუნა უხეშმა ძალამ. დემონსტრანტები უშიშრად არღვევდნენ ფარიანთა და ხელკეტიანთა კორდონებს. ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. აქ 40 ათასზე მეტმა დემონსტრანტმა მოიყარა თავი...

შებინდებისთანავე მიტინგის მონაწილეებს ხუთმაგი ალყა შემოარტყეს, მაგრამ ხელისუფლებამ ცოდნის ტაძართან ახალგაზრდობის აშკარა ცემა-ტყეპა ვერ გაბედა. ინტელიგენციამ შუამავლობა იკისრა მოზეიმეთა და მიტინგის მონაწილე მგლოვიარეთა შორის. მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, 23 საათისთვის ყველა დაკავებული გაათავისუფლეს. ხელისუფალნი ხალხს სხვა საკითხის მოგვარებასაც შეჰპირდნენ. მიტინგი დაიშალა" („ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" გაზეთი „ივერია", №2, 1989 წ. 1 მარტი. კ. კახაძე, „გლოვა და ხელხკეტები?!).

მიტინგი კი დაიშალა, მაგრამ ხელისუფლება სულაც არ აპირებდა პოზიციების დათმობას და არაფორმალურ ორგანიზაციებთან დიალოგის გამართვას. არადა, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგი შესაძლებელი ჩანდა.

მახსოვს, ცკ-ს პირველი მდივნის ბ-ნ ჯ. პატიაშვილის გამოსვლას უნივერსიტეტში, სადაც მან განაცხადა, რომ თუ ტანკები შემოვიდოდნენ, პირველად ის გადაუღობავდა გზას, როგორი კმაყოფილებით შეხვდა ქართული საზოგადოებრიობაც და არაფორმალებიც.

სამწუხაროდ, ხელისუფლებამ სხვა გზა აირჩია.

„1989 წელს ქართველმა ერმა მრავალი წლის შემდეგ პირველად აღნიშნა მასობრივი საპროტესტო აქციებით საქართველოს დაპყრობის დღე — 25 თებერვალი. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენის შემდეგ, 26 თებერვალს საქართველოს ტელევიზიამ გადასცა ჯერჯერობით დაუდგენელი გზით ხელში ჩაგდებული ფირის ტენდენციურად დამონტაჟებული ნაწყვეტები, საიდანაც შეუძლებელია საქმის არსში გარკვევა. ამ გადაცემის მიზანი უდავოდ იყო მთელი ეროვნული მოძრაობის კომპრომეტაცია ქართველი საზოგადოებრიობის თვალში. გარდა ამისა, ხელისუფლებას ჰქონდა

შორსგამიზნული ამოცანა, სახელი გაეტეხა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისთვის" მის წინააღმდეგ მიმართული დაუსაბუთებელი და უზნეო ბრალდებების ტელევიზიით გავრცელების გზით. ამასთან დაკავშირებით ზ. ჭავჭავაძემ სარჩელი აღძრა საქტელერადიოს წინააღმდეგ".

„ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში საქტელერადიოს წინააღმდეგ ერთობლივი სასარჩელო განცხადება შეიტანეს აგრეთვე თ. ჩხეიძემ, ი. ბანძელაძემ, ვ. ძაბირაძემ, ჯ. კოპალიანმა და რ. კუპრავამ" (გაზეთი „ივერია", №2, 1989 წ. 1 მარტი. „ხელისუფალთა ტელეხულიგნობა").

ხელისუფლების მხრიდან ეს იყო ბოლო მცდელობა, ერთი ხელის მოსმით გაენადგურებინა მთელი ეროვნული მოძრაობა, მაგრამ როდესაც ნახეს, რომ ეს მეთოდი სასურველ შედეგს არ იძლეოდა, სხვა გზა — „გათიშე და იბატონეს" პრინციპი აირჩიეს, ანუ დაიწყეს თამაში ეროვნულ მოძრაობაში არსებულ წინააღმდეგობებზე.

ეროვნული მოძრაობის გააქტიურების პარალელურად, პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში უფრო და უფრო იძაბებოდა.

მე იძულებული ვარ მთლიანად მოვიტანო „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი, რადგან იგი, ჯერ ერთი, მოიცავს აფხაზეთში იმ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის აღწერას და მეორე — აფხაზური პრობლემის მოგვარების მცდელობას მოჰყვა 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია.

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ოთარ ჩერქეზიას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ პავლე გილაშვილს.

აფხაზეთში შექმნილია საგანგაშო ვითარება. ათწლეულების მანძილზე წარმოებული რუსული იმპერიული პოლიტიკის შედეგად ურთიერთობა აფხაზებსა და ქართველებს შორის უაღრესად დაიძაბა. აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დღესაც აგრძელებენ გეგმაზომიერ ანტიქართულ პროპაგანდას. აფხაზეთის ტელევიზია სიამოვნებით უთმობს ეკრანს ერთაშორისი შუღლის გამღვივებლებს; გუდაუთის გაზეთ „ბზიფში" ა. წ. 7 თებერვლიდან იბეჭდება ე. წ. აფხაზური წერილი, რომელიც გაჟღენთილია დაუფარავი ანტიქართული სულისკვეთებით;

არსებითად ამ წერილის ზეგავლენით ა. წ. იანვრიდან აფხაზეთის საშუალო სკოლებში შემოღებულია „აფხაზეთის ისტორიის" სწავლება ისე, რომ ამ საგნის სახელმძღვანელო ჯერაც არაა დაწერილი; აფხაზი და ქართველი საზოგადოებრიობის სამართლიანი მოთხოვნის მიუხედავად ადგილიდან არ იძვრის სპი სოხუმის ფაკულტეტის აღდგენის საქმე; აფხაზეთის სახალხო ფრონტს თავისუფლად ეძლევა ანტიქართული სეპარატისტული გამოსვლების უფლება, მაშინ, როცა ქართველთა ყოველგვარი ცდა მდგომარეობის ნორმალიზაციისა, ექსტრემიზმად ინათლება; აფხაზეთში გრძელდება ტენდენციური ანტიქართული საკადრო პოლიტიკის გატარება; ყოველივე ზემოთქმულის გამო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ" 1989 წლის 18 თებერვალს მოაწყო მშვიდობიანი მანიფესტაცია, რომელიც მხეცურად დაარბიეს სპი-ის კომკავშირის აქტივისტებმა და შსს სპეცჯარებმა. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი რეპრესიებით აფხაზეთში არსებული ქართული ეროვნული პრობლემები ვერ მოგვარდება, არადა, მოვლენების თვითდინებაზე მიშვება დაუშვებელია. ჭირის მალვამ შესაძლოა ტრაგიკული შედეგები გამოიღოს და აფხაზეთში მდგომარეობა ისე გამწვავდეს, როგორც ეს მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში მოხდა.

ზემოაღნიშნული ვითარების გამო აუცილებლად მიგვაჩნია შედგეს საქართველოს სსრ მთავრობის, განათლების სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, თსუ, სპი, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მესვეურთა და წარმომადგენელთა შეხვედრა ფართო საზოგადოებრიობასთან, სადაც საჯაროდ იქნება განხილული აფხაზეთში შექმნილი ვითარება და დაისახება გზები ზემოჩამოთვლილი პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტისათვის. სასურველია, ამ შეხვედრას დაესწრონ აფხაზეთის მთავრობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებიც.

ჩვენი წინადადებაა, ასეთი შეხვედრა მოეწყოს ა. წ. მარტის მეორე ნახევარში დედაქალაქის რომელიმე სხდომათა დარბაზში.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დარბაზის დავალებით გამგეობის წევრები ზ. ჭავჭავაძე, ვ. ძაბირაძე. 1989 წლის 10 მარტი" (გაზეთი „ივერია", №3, 1989 წ. 10 მარტი).

18 მარტს ლიხნში გამართულ მიტინგზე აფხაზმა სეპარატისტებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელსაც სხვებთან ერთად ხელს აწერდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფალთა აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებიც და მოითხოვდნენ საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფას ცალკე მოკავშირე რესპუბლიკის სახით. ცხადი იყო, აფხაზებმა

დაამთავრეს პრობლემის პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური მომზადება და ვითარების შემდგომი ესკალაცია აუცილებლად მიგვიყვანდა სისხლისღვრამდე. ამის პირველი სიმპტომები მალე გამოჩნდა — 1 აპრილს ლესელიძეში გამართულ მიტინგზე „ხელკეტებიან ჯარისკაცთა მხრიდან ტრიბუნაზე ამოიჭრა გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი ოზგანი მხლებლებითურთ და უტიფრად დაიწყო ლანძღვა მიტინგის „სხვის მიწაზე" ჩატარებისათვის. როგორც გამოირკვა, ამ დროს ბზიფში შეკრებილნი იყვნენ აფხაზი სეპარატისტები მიტინგიდან დაბრუნებულთა დარბევის მიზნით. დარბევას უხელმძღვანელა ზემოხსენებულმა ოზგანმა. სოხუმელთა „იკარუსს" გზა გადაულობა ჯარის ნაწილებმა. შეგროვილმა ბრბომ მოზრდილი ქვებით ჩალეწა ავტობუსის მინები და ჩარჩოები. მგზავრთა უმეტესობამ სხეულის დაზიანება მიიღო, რის გამოც საავადმყოფოში მოხვდა. დარბეული იქნა აგრეთვე სოხუმელი სტუდენტების ავტობუსი, რომლებიც დაკრძალვიდან ბრუნდებოდნენ. ამ ავტობუსს ორჯერ თოფიც კი ესროლეს, მაგრამ საბედნიეროდ მსხვერპლი არ ყოფილა. ერთ-ერთი მგზავრი ნაჯახით დაჭრეს" (გაზეთი „ივერია" №4, 1989 წლის 3 აპრილი, „პროტესტების ტალღა").

ლიხნის რეზოლუციამ ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია — 23-24 მარტს უნივერსიტეტში ეწყობა მიტინგები, ხოლო შემდეგ სააქტო დარბაზში სტუდენტების, მეცნიერებისა და არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლების კრება. 25 მარტს სოხუმში ტარდება მიტინგი, 28 მარტს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში იმართება კრება, 29 მარტს ვაკის პარკში, ხოლო შემდეგ მთავრობის სახლთან, სადაც უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინარეობს, — კვლავ მიტინგი. მიუხედავად ასეთი პერმანენტული მიტინგებისა, ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებს, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებასაც კი ერიდება.

ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებას მოსკოვიდან ისეთი მკაცრი რეგლამენტაცია ჰქონდა მიღებული, თითის განძრევის საშუალებასაც რომ არ აძლევდა. აფხაზეთის პრობლემას კიდევ შევეხები, მაგრამ ახლა, როცა ვიხსენებ, რა მოხდა და როგორ, იმ აზრამდე მივდივარ, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლება — კომუნისტურიც, ეროვნულიც და დღევანდელიც, აფხაზური პრობლემის მოგვარებას მხოლოდ მოსკოვური მოდელით ცდილობდა და ცდილობს და, რა თქმა უნდა, შედეგიც შესაბამისი გვაქვს.

გამწვავებული პოლიტიკური სიტუაცია და 1 აპრილს მომხდარი

ინციდენტი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ;ქართველ საზოგადოებას ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე ტოვებს, .ამიტომ 2 აპრილს სუბტროპიკულ ინსტიტუტში გამართულ მიტინგზე, რომელზედაც სიტყვით გამოვიდნენ დ. ჯაიანი, მ. კოსტავა, ნ. მგალობლიშვილი, ბ. კაკუბავა, ზ. ჭავჭავაძე, თ. ლომაია და სხვები და რომელსაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობის ქართველი წარმომადგენლები, აგრეთვე მომხდარი ინციდენტის გამოსაძიებლად თბილისიდან ჩასული კომისიის წევრებიც ესწრებოდნენ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის ქართული მოსახლეობის საყოველთაო გაფიცვისა. 3 აპრილიდან აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ გაფიცვები დაიწყო.

ჩვენი აზრით, აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა და აფხაზური პრობლემა ორგანულად უკავშირდებოდა ზოგადქართულ პრობლემებს. გარდა ამისა, იმ კრიტიკულ სიტუაციაში, რომელიც იმჟამად აფხაზეთში შეიქმნა, მიტინგების, მანიფესტაციების და ზოგადად, ხალხმრავალი შეკრებების მოწყობა მიზანშეუწონლად მიგვაჩნდა, რადგან ძალიან ადგილად შეიძლებოდა მისი პროვოცირება, რასაც უსათუოდ სისხლისღვრა მოჰყვებოდა, ამიტომ შექმნილ სიტუაციაში პროტესტის ნიშნად გაფიცვის მოწყობა უფრო გონივრული ჩანდა. ამასთანავე, ვთვლიდით, რომ აფხაზეთის ქართველობისათვის სოლიდარობის ნიშნად გაფიცვები მთელ საქართველოში უნდა დაწყებულიყო, უპირველესად კი თბილისში, რათა პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი აფხაზეთიდან დედაქალაქში გადმოგვეტანა, სადაც პროვოცირების ნაკლები შესაძლებლობა იყო.

4 აპრილს, შუადღისას, ქაშვეთის ეკლესიასთან შევიკრიბეთ. ჩვენი მიზანი იყო საპროტესტო აქციების დაწყება და აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისათვის მხარდაჭერა. კერძოდ, გადაწყვეტილი გვქონდა მთავრობის სახლთან მჯდომარე გაფიცვის დაწყება, მაგრამ შემდეგ გეგმა ცოტათი შევცვალეთ — იმავე დღეს სამედიცინო ინსტიტუტთან ტარდებოდა მიტინგი, რომელიც ასევე აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას ეხებოდა, ამიტომ, გადაწყდა, ჯერ სამედიცინო ინსტიტუტში გამართულ მიტინში მიგველო მონაწილეობა, ხოლო შემდეგ იქიდან დავბრუნებულიყავით მთავრობის სასახლესთან. ასეც მოვიქეცით — თეატრალურ ინსტიტუტში, კონსერვატორიაში, სამხატვრო აკადემიასა და უნივერსიტეტში გავლის შემდეგ მანიფესტანტთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლონა სამედიცინო ინსტიტუტში გამართულ მიტინგს

შეუერთდა. მიტინგის დამთავრების შემდეგ მისი მონაწილენი ქალაქის ცენტრისკენ დაიძრნენ. გმირთა მოედანზე კოლონა ორად გაიყო — ჩვენ ჩვენი მხარდამჭერებით მთავრობის სახლისკენ გავემართეთ, მეორე ნაწილი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში წავიდა.

საღამოს ხუთი-ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებამ" მთავრობის სასახლესთან უვადო მჯდომარე გაფიცვა დაიწყო — საქართველოს ხელისუფლებისადმი წაყენებული იყო სრულიად კონკრეტული მოთხოვნები, კერძოდ: საქართველოს მთავრობამ შეწყვიტოს აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული კამპანიისადმი წაყრუების პოლიტიკის გატარება და დაუყოვნებლივ გასცეს ადეკვატური პასუხი ა. წ. 18 მარტს ლიხნში მიღებულ სეპარატისტულ მიმართვას, რომელშიც უგულვებელყოფილია მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობის ნება; რესპუბლიკის ქართულ და რუსულ პრესაში კომპეტენტური პასუხი გასცეს ე. წ. „აფხაზურ წერილს", რომელიც გაყალბებულად წარმოაჩენს ისტორიულ სინამდვილეს და შეურაცხმყოფელია ქართველი ერისათვის; შენყდეს აფხაზეთის პრესასა და ტელევიზიაში ანტიქართული პროვოკაციული მასალების პუბლიკაცია, რუსი შოვინისტების წამქეზებლური ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში; ბოლო მოეღოს ანტიქართულ საკადრო პოლიტიკას; განახლდეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფაკულტეტზე სტუდენტთა მიღება და სხვა, ხოლო მოსახლეობას მოვუწოდებდით სოლიდარობა გამოეცხადებინათ აფხაზეთში დაწყებული გაფიცებისათვის და თავადაც გაფიცულიყვნენ.

მართალია, ჩვენი მოთხოვნები საქართველოს ხელისუფლებისადმი იყო მიმართული, მაგრამ მათ მეორე, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი მხარეც ჰქონდა — საქართველოში დაწყებული მასობრივი გაფიცვები უთუოდ მიიქცევდნენ საკავშირო და დასავლეთის საზოგადოების ყურადღებას (ეს ის პერიოდია, როდესაც საბჭოთა კავშირში დაწყებული ნებისმიერი მოვლენა, ნაკლებმნიშვნელოვანიც კი, დასავლეთის საზოგადოების მძაფრ დაინტერესებას იწვევს), რაც, ბუნებრივია, აფხაზურ პრობლემას გამოიყვანდა ქართულ-აფხაზური „კინკლაობის" სფეროდან და საკავშირო და საერთაშორისო საზოგადოების მსჯელობის საგნად აქცევდა. ამის გაკეთება მით უფრო აუცილებელი და საშური იყო, რომ აფხაზი სეპარატისტები, რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პირდაპირი თუ ფარული არხების გამოყენებით, მსოფლიო საზოგადოებას ტენდენციურ და დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიდნენ

რეალურად არსებული ვითარების შესახებ; გარდა ამისა, აშკარად ჩანდა, რომ ლიხნის რეზოლუციით (აფხაზეთის გამოყოფა საქართველოსგან დამოუკიდებელ მოკავშირე რესპუბლიკად) აფხაზებმა სიტყვიერი მოთხოვნების მაქსიმალურ ზედა ზღვარს მიაღწიეს (იმ პერიოდისათვის უფრო რადიკალური მოთხოვნა სსრკ-დან გამოყოფა იქნებოდა, მაგრამ აფხაზები მაშინ, ბუნებრივია, ასეთ მოთხოვნას ვერ წამოაყენებდნენ და არც რუსები მისცემდნენ ამის საშუალებას); სიტუაციის შემდგომი ესკალაცია მხოლოდ ქართველთა და აფხაზთა მასობრივი შეტაკებით იყო შესაძლებელი (პრობლემის „ყარაბახიზაცია") და იმპერიულ ძალებს სწორედ აქეთკენ მიჰყავდათ პროცესი; ჩვენ მიგვაჩნდა, რომ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ამ პრობლემისადმი მანამ უნდა მიგვეპყრო, ვიდრე შეტაკება მოხდებოდა, სისხლი დაიღვრებოდა, მონასტერი აირეოდა და მტყუან-მართლის გარჩევა შეუძლებელი გახდებოდა. იმასაც ვვარაუდობდით, რომ პრობლემის აქტუალიზაცია საერთაშორისო დონეზე, თუნდაც მხოლოდ მასმედიის საშუალებით, გარკვეული მეხამრიდი იქნებოდა სისხლიანი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

აფხაზეთში შექმნილი ვითარება, რასაკვირველია, მხოლოდ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას" არ აწუხებდა — მისი მოგვარების გზებსა და საშუალებებს ეძებდა ეროვნული მოძრაობა მთლიანად და ქართველი ინტელიგენცია. სამედიცინო ინსტიტუტიდან მიტინგისა და მანიფესტაციის მონაწილენი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ და ამ პრობლემაზე იმსჯელეს. შეკრების დამთავრების შემდეგ მათი დიდი ნაწილი მთავრობის სახლთან დაწყებულ აქციას შემოუერთდა. მიუხედავად ამისა, აფხაზური პრობლემის მოგვარების ტაქტიკას არაფორმალური გაერთიანებები სხვადასხვაგვარად ხედავდნენ — ერთი ნაწილი თვლიდა, რომ აფხაზური პრობლემა, როგორც ასეთი, არ არსებობს და ყველაფერი, რაც იქ ხდება, რუსეთის მიერაა ინსპირირებული; ამიტომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ არა აფხაზური პრობლემის მოსაგვარებლად, არამედ სსრკ-დან საქართველოს გამოყოფისათვის და როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდება, აფხაზური პრობლემაც მოგვარდება.

ედპ-მ პირდაპირ განაცხადა, რომ ისინი აქციას მხარს იმ შემთხვევაში დაუჭერდნენ, თუ დადგებოდა მოთხოვნა საქართველოს სსრკ-დან გამოყოფის შესახებ.

მეორე ნაწილიც აღიარებდა, რომ აფხაზური პრობლემა რუსეთის

მიერ იყო ინსპირირებული, მაგრამ მიაჩნდა, რუსეთი ამ ეთნოკონფლიქტებს სწორედ იმიტომ აწყობდა, რომ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენთვის გადაულახავი დაბრკოლებები შეექმნა, ამიტომ საჭიროდ თვლიდა, მსოფლიო საზოგადოების თვალში რუსეთი ემხილებინა, როგორც ეთნოკონფლიქტების ინსპირატორი, ამის მიღწევას კი მასობრივი გაფიცვებითა და პერმანენტული მიტინგების საშუალებით აპირებდა.

როდესაც სოხუმი დაეცა, ე. შევარდნაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ყველაფერი რუსებმა დაგეგმეს და უშუალოდ მათვე განახორციელესო. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ყოფილა ხელისუფლების ოფიციალური განცხადება და მხოლოდ პრესკონფერენციაზე ითქვა, დასავლეთში ისეთი რეაქცია გამოიწვია, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა და ელიარებინა აფხაზთა მიერ ქართველთა გენოციდი (ერთადერთხელ მთელი ამ ხნის განმავლობაში); სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას ამ მიმართულებით შემდგომ ნაბიჯიც არ გადაუდგამს, უფრო მეტიც, რუსი ჯარი მშვიდობის დამცველთა სტატუსით, სინამდვილეში კი აფხაზეთის სასაზღვრო ჯარად ენგურზე ჩააყენა.

ჩემი აზრით, აფხაზური პრობლემის სხვადასხვაგვარი ხედვა არ იყო არც აზრთა უბრალო სხვადასხვაობა და არც არაფორმალურ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს შორის რეალურად არსებული პიროვნული შეუთავსებლობის შედეგი. იგი გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან მასში ილანდებოდა მთლიანად ეროვნული მოძრაობის შემდგომი განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა, რაც ეროვნულ მოძრაობას ბუნებრივად ყოფდა ორ ნაწილად. სხვა საქმეა, როგორი უნდა ყოფილიყო ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული მოძრაობის ამ ორ ფრთას შორის. ამ საკითხში, ალბათ, მნიშვნელოვანი როლი სწორედ პიროვნებათა შორის არსებულმა ურთიერთობებმა ითამაშა, მაგრამ მსოფლმხედველობრივი განსხვავება უკვე ფაქტობრივად არსებობდა.

5 აპრილს დილით გაიფიცნენ ტროლეიბუსის მძღოლები და შემოუერთდნენ მთავრობის სასახლესთან დაწყებულ აქციას; აშკარად ჩანდა, რომ გაფიცვების ტალღა აგორდებოდა. ამავე პერიოდში შევიტყვეთ, რომ რამდენიმენ კაცმა ვაჟა მთავრიშვილის მეთაურობით იქვე, მთავრობის სახლთან, იმპროვიზებული ტრიბუნის გვერდით,

აფხაზური მოთხოვნების პარალელურად, სხვა მოთხოვნები წამოაყენა და უვადო შიმშილობა დაიწყო. გადავწყვიტე, მათ მოთხოვნებს გავცნობოდი და დავლაპარაკებოდი. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო ვაჟა მთავრიშვილი, მაგრამ, როდესაც მათ მოთხოვნებს გავეცანი, გაოგნებული დავრჩი; ყველა მათი მოთხოვნა არ მახსოვს, მაგრამ ერთ-ერთი იმდენად აბსურდული იყო, რომ დამამახსოვრდა: მთავრიშვილი და მისი მომხრე მოშიმშილეები მოითხოვდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, გაეროს გენერალური მდივნის თბილისში ჩამოსვლას. სხვასთან, თვით მ. გორბაჩოვსაც რომ ენებებინა და თბილისში ჩამოსულიყო, ლაპარაკსაც არ აპირებდნენ. რამდენი ვეცადე, დამერწმუნებინა, რომ ამგვარი მოთხოვნების წამოყენება არარეალური და აბსურდული იყო, მაგრამ არავითარმა არგუმენტმა არ გაჭრა — შიმშილობა დაიწყო.

საერთოდ ამ პერიოდში ეროვნულ მოძრაობაში მიღებული და დამკვიდრებული იყო წესი, რომ მიტინგებსა და მანიფესტაციებში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ატარებდა, სიტყვის წარმოთქმის საშუალებას აძლევდნენ თითქმის ყველა მსურველს, ამიტომ ძალიან ხშირად გამომსვლელები ურთიერთგამომრიცხავ იდეებს ქადაგებდნენ; ასევე, ყველა ინდივიდუალურად წყვეტდა, რა მოთხოვნები წამოეყენებინა და პროტესტის გამოხატვის რა ფორმისათვის მიემართა. ამის რეგულირებას ჩვენ არ ვახდენდით, განსაკუთრებით პირველ პერიოდში. თუ რამ მიულებელი ითქმებოდა, მიტინგის ორგანიზატორები ცდილობდნენ, თავიანთი გამოსვლით გაებათილებინათ წინამორბედის არგუმენტები. ეროვნული მოძრაობის მიერ გამართული მიტინგები უფრო ხშირად თავისუფალი ტრიბუნის ფუნქციას ასრულებდა, ვიდრე მიზანმიმართული პოლიტიკური აქციისას.

ანალოგიური იყო მიტინგში მონაწილე საზოგადოების უმეტესობის განწყობილებაც — მათთვის მიულებელი იყო არსებული სინამდვილე, ამიტომ თავს ვალდებულად თვლიდნენ მიტინგში მონაწილეობით პროტესტი გამოეხატათ და ნაკლებად აინტერესებდათ, რა იყო მიტინგის კონკრეტული მიზანი.

არსებული სინამდვილისადმი ზოგადი პროტესტის გამოხატვა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა მიტინგის ორგანიზატორთა თუ მონაწილეთა შორის ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების ერთნაირ გააზრებას ან ამ პრობლემის გადაჭრის მეთოდებზე

შეხედულებათა სრულ ჰარმონიას. უფრო მეტიც, არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა და საკმაოდ რადიკალურიც, ამიტომ ერთიანობის მისაღწევად, რომლის აუცილებლობასაც ყველა გრძნობდა, საჭირო იყო ემოციური მუხტი, ემოციური ჯაჭვი, რომელიც მიტინგში მონაწილე ცალკეულ ინდივიდებს ერთმანეთს დააკავშირებდა, ერთ მუშტად შეკრავდა და ერთნაირი შეხედულებებისა და ერთნაირი აზროვნების ილუზიას შექმნიდა. ვისაც იმ პერიოდში გამართული მიტინგები ახსოვს, უთუოდ დამეთანხმება, რომ უკლებლივ ყველგან ემოციური მუხტი იყო წარმმართველი. ამ ემოციური მუხტის მოშლას მომიტინგეები არავის დაანებებდნენ, რადგან ქვეცნობიერად გრძნობდნენ, რომ მაშინ ისინი მარტოდმარტო, პირისპირ დარჩებოდნენ არსებულ სინამდვილესთან.

ამავე პერიოდში მიტინგზე მოვიდა ინფორმაცია, რომ ქუთაისში დააპატიმრეს ი. წერეთელი და ი. ბათიაშვილი. მიტინგმა მოითხოვა მათი დაუყოვნებელი გათავისუფლება. რამდენიმე საათის შემდეგ მიტინგი ოვაციებით შეხვდა მათ გამოჩენას; ჩვენ, როგორც წესი, მიკროფონი დავუთმეთ, რათა გაგვეგო, რატომ და რისთვის დააკავეს ისინი ქუთაისში.

საღამოსათვის მოშიმშილეთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, წამოვიდა ახალი მოთხოვნა — საქართველოს დამოუკიდებლობა; აფხაზურმა პრობლემამ ჯერ უკანა პლანზე გადაინაცვლა, შემდეგ კი საერთოდ მოიხსნა. შეწყდა მჯდომარე გაფიცვაც, რადგან, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მოშიმშილეთა გვერდით მჯდომარე აქციის გაგრძელება, უბრალოდ, უზნეობა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დავრჩით მიტინგზე და მონაწილეობას ვღებულობდით საყოველთაო გაფიცვის ორგანიზებაში.

6 აპრილს მიტინგი საყოველთაო გაფიცვის მოწოდებითა და დამოუკიდებლობის მოთხოვნით შეხვდა — ჩვენ დავდიოდით სხვადასხვა ორგანიზაციებში მთელი ქალაქის მასშტაბით და მოვუწოდებდით გაფიცვისაკენ. მთავრობის სასახლესთან მიმდინარე აქციაში უკვე ყველა არაფორმალური გაერთიანება იღებდა მონაწილეობას; გაფიცვების ტალღა გადაედო რაიონებსაც: თბილისს თანდათან ემატებოდა რაიონებიდან ჩამოსული დელეგაციები.

გაფიცვაში მონაწილე წარმოება-დაწესებულებათა რაოდენობა და გეოგრაფიული არეალი თანდათან ფართოვდებოდა. შესაბამისად

იზრდებოდა მომიტინგეთა რიცხვი და მოსალოდნელი პროვოკაციის საფრთხე. 7 აპრილს მხატვრის სახლში გაიმართა არაფორმალთა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრა.

ამ შეხვედრას არ ესწრებოდა მერაბ კოსტავა. 6 აპრილს იგი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში წავიდა გაფიცვების ორგანიზებისათვის. იქიდან მობრუნებული ქაშვეთის ეკლესიასთან შემხვდა და შემომჩივლა: „დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შემხვდა. სახინკლეში სვამდა, არ მომეშვა და ერთი ჭიქა ღვინო ძალით დამალევინა (ალბათ რუსთაველის პროსპექტთან ახლომდებარე რომელიმე სახინკლეზე იყო ლაპარაკი), მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გათიშული მთვრალი ვიყო, ფეხზე ძლივს ვდგევარო". მე ვურჩიე, სახლში წასულიყო და ცოტა დაესვენა. ჩავთვალე, რომ მისი ცუდად ყოფნა დაღლილობით იყო გამონვეული. იმ დღეებში ჩვენ თითქმის მთელი ქალაქი ფეხით შემოვიარეთ, მივდიოდით სხვადასხვა დაწესებულებაში და გაფიცვისაკენ მოვუწოდებდით, ამას ემატებოდა ღამისთევები და მიტინგები, რაც საკმაოდ დიდი ენერგიის ხარჯვას მოითხოვდა. მერაბს, რა თქმა უნდა, ჩვენზე მეტად უნევდა მუშაობა. მხოლოდ 8-ში ვნახე დილით, 7-ში საერთოდ ფეხზე ვერ ამდგარა და როგორც თვითონ ვარაუდობდა, უფრო მოწამლული იყო, ვიდრე დაღლილი.

შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა, რადგან არაფორმალთა მოთხოვნის დაკმაყოფილება — საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება — მათ არ შეეძლოთ, ხოლო არაფორმალებს არ შეეძლოთ მიეღოთ მთავრობის წინადადება გაფიცვების, მიტინგებისა და მანიფესტაციების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. თუმცა ჩვენი მხრიდან საკმაოდ გარკვევით ითქვა, რომ შიმშილობა შეწყდებოდა 14 აპრილს, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების დღეს. თუ შიმშილობა შეწყდებოდა, ბუნებრივია, შეწყდებოდა მიტინგებიც და გაფიცვებიც. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლება საქმის კურსში იყო, თუ რას ვაპირებდით და როგორ; ისიც კარგად იცოდა, რომ ჩვენ ისეთი გულუბრყვილოები არ ვიყავით, არ გვცოდნოდა, ერთი გაფიცვით, თუნდაც ყოვლისმომცველით, დამოუკიდებლობას რომ ვერ მივიღებდით, — მთავარი იყო საკითხის დასმა და საკითხი დაისვა, სხვა ახალი და მოულოდნელი ვერაფერი მოხდებოდა; ეიფორიამ და აჟიოტაჟმა, რომელიც ყოველთვის თან ახლავს აქციის დაწყების პირველ ეტაპს,

გაიარა და მდგომარეობა უკვე სტაბილური გახდა. გაფიცვებმაც უკვე ისეთ მასშტაბს მიაღწია, რეალურად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, კიდევ რამდენიმე საწარმო შეუერთდებოდა მას თუ არა, ყველა სათქმელიც უკვე ნათქვამი იყო და მომდევნო დღეები უკვე ნათქვამის ახალი ვარიაციები თუ იქნებოდა. მთავრობის სახლთან შეკრებილ მომიტინგეებს მშვიდი და საზეიმო განწყობილება ჰქონდათ. მაშ, საიდან იყო ხიფათი მოსალოდნელი? არსაიდან! ყოველ შემთხვევაში, არაფორმალების მხრიდან — არა! ეს ყველაფერი თვალნათლივ ჩანდა, თუ თქვენ რუსთაველის პროსპექტზე გაივლიდით, მთავრობის სასახლესთან მომიტინგეებს და ორატორებს თუნდაც ცალი ყურით მოუსმენდით, მაგრამ თუ ტელევიზორთან ისხედით და ინფორმაციას ტელევიზიით ღებულობდით, შიში აგიტანდათ, ისეთი სურათი იხატებოდა, რომ სადაცაა ქვეყანა დაინგრეოდა. ამ თავზეხელაღებულ („გიუებს" ვერ ამბობდნენ) არაფორმალებს არაფრის გაგონება და არავის დაჯერება არ სურთ, მათ ოღონდ საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილონ და ხალხი და ქვეყანა სულაც არ ენაღვლებათო.

საქართველოს ტელევიზია (პირველი არხი) და მისი „მოღვაწეობა" ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ამჯერად არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ იგი ყოველთვის შორს იდგა ეროვნული და დემოკრატიული პრინციპებიდან და მხოლოდ ხელისუფლებას ემსახურებოდა, განურჩევლად იმისა, თუ ვინ იდგა ამ ხელისუფლების სათავეში. ამის დასტურია თუნდაც 1998 წ. 14 ნოემბერს გადაცემული, კონტექსტიდან ამოგლეჯილი დოკუმენტური კადრებით ტენდენციურად, მაგრამ პროფესიულად მაღალ დონეზე და სრულიად მიზანმიმართულად დამონტაჟებული დოკუმენტური ფილმი „უკომენტაროდ", რომელიც თავისი სულისკვეთებით ძალიან წააგავს 1989 წლის 26 თებერვალს ნაჩვენებ კადრებს და მიზნად ისახავს ეროვნული მოძრაობის არა მარტო ცალკეული წარმომადგენლის, არამედ მთლიანად, მთელი ეროვნული მოძრაობის შეურაცხყოფას და ლაფში ამოსვრას. როგორც ჩანს, ჩვენ ყველანი, მთელი ერი ნელ-ნელა, მაგრამ დაბეჯითებით ვუბრუნდებით ათი წლის წინანდელ პოზიციებს.

მთავრობის სახლთან სიტუაცია მშვიდი და სტაბილურია, ტელევიზიაში კი ყველაფერი თანდათან უფრო მუქი, მკვეთრი და საშიში ხდება. ინტელიგენციასთან შეხვედრის შემდეგ ისეთი

შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლებამ რაღაც აუცილებელი რიტუალი შეასრულა, კიდევ ერთი ალიბი მოიპოვა რაღაცის (მაშინ ზუსტად ვინ იცოდა, რა მოხდებოდა) გასამართლებლად.

იმავე საღამოს საზოგადოების გამგეობის სხდომაზე, რომელიც იმ პერიოდში ყოველდღე იმართებოდა (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა არაფორმალური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოებიც სისტემატურად იკრიბებოდნენ და იხილავდნენ შექმნილ სიტუაციას), გამგეობის წევრებს მივაწოდე ინფორმაცია მხატვრის სახლში ინტელიგენციასთან გამართული შეხვედრის შესახებ. აღმოჩნდა, რომ საზოგადოების გამგეობის სხვა წევრებსაც განსაკუთრებით აწუხებდათ ტელევიზიის მიერ გადაცემული აშკარად ხელოვნურად დრამატიზებული ინფორმაცია. ჩვენ ვცდილობდით გაგვერკვია, რას ემსახურებოდა ეს გადაცემები, — არაფორმალთა დისკრედიტაციას, საზოგადოების ფსიქოლოგიურ დამუშავებას და შემზადებას ხელისუფლების მიერ არაფორმალთა წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების აუცილებლობის შესახებ თუ ორივეს ერთად?!

სხვათა შორის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობაში, რომელიც გაზეთ „კომუნისტის" 11 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა. არის კიდეც ამის მცდელობა(!): „პასუხისმგებლობა ამ უბედურებისათვის უპირველესად და უმთავრესად ეკისრებათ უკიდურესი მიმართულების არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, რომლებმაც თავიანთი მიუღებელი, აღვირახსნილი, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით უკიდურესად დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო, შექმნეს აშკარა პოლიტიკური ისტერიის ვითარება, აიყოლიეს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის სტუდენტები და მოსწავლეახალგაზრდობა, გამოიყენეს მოზარდი თაობის გულწრფელობა, ემოციები, ისარგებლეს მისი ცხოვრებისეული გამოუცდელობით და კატასტროფამდე მიიყვანეს ჩვენი საზოგადოება. მთელი ხალხი, რესპუბლიკა". ჩემი აზრით, ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე ყველა შემთხვევაში უპირველესად პასუხისმგებელია ხელისუფლება, რომელიც ან ვერ აკონტროლებს სიტუაციას, ან, უბრალოდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ სურს საკუთარი მოქალაქეების სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ასე იყო თუ ისე, ნათლად ჩანდა, რომ რაღაც მზადდებოდა;

ხელისუფლება რომ ჩვენთვის სასიკეთოს არაფერს გაკეთებდა, ამაშიც დარწმუნებული ვიყავით; ამიტომ გადავწყვიტეთ, მეორე დღეს დილით შეგვეკრიბა „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" დარბაზი, აგრეთვე საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები და ერთად გვემსჯელა შექმნილ სიტუაციაზე და ხელისუფლების მოსალოდნელ რეაქციაზე.

8 აპრილს დილით დაახლოებით 40-50 კაცი შევიკრიბეთ თ. ჩხეიძის ბინაში. ამ შეკრებას ესწრებოდნენ არა მარტო „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" წევრები, იყვნენ სხვებიც. ამ დროს შეგვატყობინეს, რომ მთავრობის სახლთან გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ხელისუფლება სამხედრო ძალის გამოყენებას აპირებდა მომიტინგეთა წინააღმდეგ. ამ ინფორმაციას მოჰყვა მოწოდება — მთავრობის სასახლის გასწვრივ ორივე მხრიდან ავტობუსებით, სატვირთო მანქანებითა და სამშენებლო „სინკარებით" გადაეკეტათ რუსთაველის გამზირი, რაც ფაქტიურადად ბარიკადების აგებას ნიშნავდა, ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ამ ფაქტს სწორედ ამგვარ ინტერპრეტაციას მისცემდა. ჩვენ ვთხოვეთ მერაბ კოსტავას, რომელიც ამ შეკრებას ესწრებოდა, ჩასულიყო მთავრობის სასახლესთან და თუ მიღებული ინფორმაცია სინამდვილეს შეეფერებოდა, არ დაეშვა ბარიკადების მოწყობა.

მთავრობის სასახლესთან მიმდინარე აქცია და შიმშილობა თითქოს არაფრით განსხვავდებოდა ნოემბრის ანალოგიური აქციისაგან, რომელმაც მთელ კვირას გასტანა, რომ არა ერთი გარემოება — ნოემბრის აქცია კონსტიტუციასა და მასში ცვლილებების შეტანას ეხებოდა, რაც მეტ-ნაკლებად ჯდებოდა „პერესტროიკის" ფარგლებში, ახლა კი შიმშილობა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის ლოზუნგით მიმდინარეობდა.

როდესაც ყარაბახის კონფლიქტი დაიწყო, იუგოსლავიაში მყოფმა მ. გორბაჩოვმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, მიუხედავად ურთიერთშორის არსებული პრობლემებისა, არც ერთი რესპუბლიკა სსრკ-დან გამოყოფას არ მოითხოვსო.

საფრთხე იმპერიის ერთიანობას ემუქრებოდა; ეს იყო პირველი შემთხვევა მთელი კავშირის მასშტაბით, როდესაც არაფორმალები ფაქტიურად სსრკ-ის დაშლას მოითხოვდნენ. ასეთი პრეცედენტის დაშვება, თუნდაც მოთხოვნის დონეზე, მოსკოვს არ შეეძლო, ამიტომ ვფიქრობდით, რადგან დაფარული გაცხადდა, ჩვენი პოზიცია და სურვილი დაფიქსირდა, რეალურად კი მეტს ვერაფერს მივაღწევდით ამ ეტაპზე, საჭირო იყო მიტინგის სხვა სიბრტყეში გადაყვანა; ჩვენი

აზრით, კარგი იქნებოდა, თუ მიტინგი ისევ აფხაზურ პრობლემატიკას დაუბრუნდებოდა, მაგრამ ვიცოდით რა მოშიმშილეთა და მიტინგში მონაწილეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ცხადად ჩანდა, ერთი ორატორის გამოსვლა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, საქმეს ვერ უშველიდა (აკი კათალიკოს-პატრიარქის გამოსვლამაც ვერ გამოიღო შედეგი!); ამიტომ გადაწყდა, მოგვეხდინა ჩვენი საზოგადოების წევრების მობილიზაცია, შეგვედგინა განცხადება-მიმართვა და გაგვევრცელებინა მოშიმშილეთა და მიტინგის მონაწილეთა შორის, დავლაპარაკებოდით სხვა არაფორმალურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომ ერთობლივად და შეთანხმებულად გვემოქმედა. მოქმედება უნდა დაგვეწყო 10-ში დილით; ჩვენი ვარაუდით, თუ დარბევა მოსალოდნელი იყო, მას განახორციელებდნენ 10-ში საღამოს ან 11-ში ადრე დილით, რადგან შაბათ-კვირას, ე. ი. 8-ში და 9-ში, მიტინგებზე ხალხმრავლობა იყო და ვფიქრობდით, ხელისუფლება მოერიდებოდა ზედმეტ გართულებებს (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თითქოს კარგად ვიცოდით, ვისთანაც გვქონდა საქმე, ჩვენი გონება მაინც ვერ ჩასწვდა ამ მართლაც „ბოროტების იმპერიის" ჯოჯოხეთურ სიღრმეს). იყო კიდევ ერთი გარემოება — იმ დღეებში ბ-ნი ა. ბაქრაძე სოხუმში იმყოფებოდა და 10-ში უნდა ჩამოსულიყო. იმედი გვქონდა, რომ მისი გამოსვლა მიტინგზე და ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში, საშუალებას მოგვცემდა შედარებით უმტკივნეულოდ დავბრუნებოდით აქციის პირვანდელ მოთხოვნებს. ამ გადაწყვეტილებით დავიშალეთ. თ. ჩხეიძეს, ზ. ჭავჭავაძესა და მე დაგვევალა განცხადების ტექსტის შედგენა. ჩვენ გავაკეთეთ განცხადების შავი ვარიანტი და სანამ საბოლოო სახეს მივცემდით, გადავწყვიტეთ, სხვებისთვისაც გაგვეცნო, ამიტომ მთავრობის სახლისაკენ გავემართეთ. უკვე კარგა შებინდებულიყო. ზურაბმა მამის, ბ-ნ ნიკო ჭავჭავაძის ბინაში შუქი შენიშნა და გვითხრა: დღეს პარტაქტივის შეკრება იყო, მოდი, ავიდეთ, გავიგოთ, რა ილაპარაკესო. იქ დაგვხვდა ბ-ნი ვახტანგ გოგუაძე.

ბ-ნი ვახტანგი მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის პრორექტორი იყო იდეურ-ალმზრდელობით დარგში, იმდენად „მყარად" იდგა ეროვნულ ნიადაგზე, რომ მისი თაოსნობით ბ-ნ ზ. გამსახურდიას უნივერსიტეტში იუბილეც კი გადაუხადეს; შემდეგ ასევე „მყარად" იდგა დემოკრატიულ პრინციპებზე ზ. გამსახურდიას ხელისუფლებასთან ოპოზიციაში ყოფნის დროს,

შემდეგ კი ასევე „მყარად" (ან ეგონა, რომ მყარად!) უკვე „იჯდა" სპიკერის სავარძელში ე. შევარდნაძის ხელისუფლებაში. ახლა არ ვიცი, რა მდგომარეობაში (დგას, ზის თუ წევს), მაგრამ მაინც „მყარად" ოცნებობს რუსეთთან დაკარგული ძმობის ანუ სსრკ-ს აღდგენაზე. ბ-ნი ვახტანგი მეცნიერი კაცია, ფილოსოფოსი (მხოლოდ ფილოსოფოსს შეუძლია შეათავსოს კომუნისტური პარტიის მანიფესტი და ბიბლია!) და ეტყობა, სჯერა ისტორიის წრიული განვითარებისა. ოღონდ, ღმერთმა ნუ ჰქნას და თუ რუსეთთან ის ძმობა აღდგა, რომელზეც ბ-ნი ვახტანგი ოცნებობს, არა მგონია, უნივერსიტეტის პრორექტორობას დასჯერდეს, თუმცა მე და ჩემნაირები, რუსული ჰუმანურობის „მადლი" და „სიკეთე" რომ ვიცით, მის აღმასვლას ნამდვილად ველარ ვიხილავთ.

ბ-ნმა ნიკომ გვითხრა, რომ პარტაქტივს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. იყო ლაპარაკი მიტინგის დაშლაზე ძალის გამოყენებით და არაფორმალთა დაპატიმრებაზე, მაგრამ ამგვარი ქმედების წინააღმდეგ ბ-ნი ჯ. ჩარკვიანი გამოვიდა და შემდეგ ეს თემა აღარავის წამოუწევიაო. ყველანი მთავრობის სახლთან ჩავედით. ღამის 12 საათი შესრულდა. 9 აპრილი დაიწყო...

„9 აპრილი. დილის 4 საათი სრულდება. რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ ათასობით ადამიანს მოუყრია თავი. დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. ჰაერში, რომ იტყვიან, დენთის სუნი ტრიალებს. ლენინის მოედნის მხრიდან გვერდი-გვერდ ოთხი ჯავშანტრანსპორტიორი მოიწევს. უკვე სრულიად ნათელი ხდება, რომ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, დაუყოვნებლივ, სამხედრო ძალის გამოყენებით დაშალოს მიტინგი. ეჭვი არაა, მანიფესტანტებს დაუნდობლად გაუსწორდებიან. „ქალებმა და ბავშვებმა უკან დაიხიეთ!", — ვყვირი და რუსთაველისა და ჭონქაძის ქუჩების კუთხიდან იმპროვიზირებული ტრიბუნისაკენ გზას მივიკვლევ. ოთხმა ჯავშნიანმა მანქანამ ნელი სვლით ჩაუარა მთავრობის სახლს და სამხატვრო გალერეასთან შედგა. მათ უკან მომავალი, ფარებითა და ხელკეტებით აღჭურვილი ჩაფხუტიანი ჯარისკაცების კოლონა რუსთაველის გამზირზე ჩიტაძის ქუჩის მიდამოებში შეჩერდა. საბრძოლო მანქანებსა და ქვეით ჯარს შორის წარმოქმნილი დერეფანი კვლავ ხალხით ივსება. ხელკეტიანთა უკან დგას სამი სპეციალური სახანძრო მანქანა, რომელთა წყლის ზარბაზნები ყველას აფიქრებინებს, რომ თავიდან ხალხის

დაშლას წყლით შეეცდებიან. ნურას უკაცრავად, თურმე ამ მანქანებს სრულიად სხვა დანიშნულება აქვთ. ხელკეტებიანები, ჩემი შეფასებით, ერთი პოლკი, რუსთაველის გამზირზე სოლისებურად ეწყობიან. მთავრობის სახლის წინ, ხალხის მასაში ცვივა ქიმიური იარაღის შემცველი ყუმბარები, ქვაფენილიდან დაახლოებით 1,5 მეტრის სიმაღლეზე დგება მტვრისმაგვარი ქიმიური ნივთიერების ბუღი, იწყება პანიკა, ორიოდე წუთიც და სპეცჯარები იერიშზე გადმოდიან. ორგანული მინისაგან დამზადებული ფარებით ერთიანი კედელი შეუქმნიათ, სოლისებურად წინ მოიწევენ და ხელკეტებს დაუზოგავად ურტყამენ გაბრუებულ დემონსტრანტებს, რომელთა უმრავლესობა ქალებია. ხელკეტიანები იერიშზე რომ წამოვიდნენ, მაშინლა მივაღწიე ამ ამაზრზენ ქანდაკებას, რომელიც მთავრობის სახლის ფასადის მარცხენა მხარეს დგას. წინსვლა შეუძლებელი ხდება. ხელკეტიანთა ბანდების მწყობრი წინ მიიწევს და ქიმიური იარაღით გაბრუებულ და გაუგონარი ცემა-ტყეპით დაზაფრულ ხალხს მოერეკება, თან გაქცევის საშუალებას არ აძლევს. ხალხი ერთმანეთს აწყდება. წუთიც და რამდენიმე ათეულ კაცთან ერთად პარაპეტიდან იმ ორმოში ვვარდები, რომელშიც მთავრობის სახლის მთელ სიგრძეზე დეკორატიული ბუჩქები იზრდება. თავზე გვაცვივა ოტებულ ადამიანთა ახალ-ახალი ტალღები. ენით აუწერელი გნიასი დგას. უმრავლესობა გოგონები და ქალებია. სპეცჯარის ერთი ასეული დემონსტრანტთა რიგებს არღვევს და ორმოში ჩაცვენილებს ალყას გვარტყამს. ისინი მიჯრით დგებიან პარაპეტზე ჩვენს გვერდით, ხელკეტებს და წიხლებს გვირტყამენ და ორმოდან ამოსვლის საშუალებას არ გვაძლევენ. ნუთუ მათში არცერთს არ აღმოაჩნდება ადამიანობა და ნაცემ-ნაგვემ, დასისხლიანებულ ქალიშვილებს მაინც არ მისცემს გაქცევის საშუალებას?! როგორ არა, აი, ერთ-ერთი ჯარისკაცი პარაპეტის ნაპირიდან უკან იხევს, ასასვლელ ადგილს ათავისუფლებს და უსიტყვოდ გვთავაზობს, ამოდით, გაიქეცითო. ოციოდე წლის ჭაბუკი სხვების დახმარებით ახერხებს პარაპეტზე ასვლას (სულ ცოტა 1,5 მეტრი სიმაღლეა), ნელში სწორდება და... „ღვთისნიერი" ჯარისკაცი ჯერ გამეტებით ჩასთხლეშს თავში ხელკეტს და შემდეგ, ჩაკეცვას არ აცლის, ფარით ისე უბიძგებს, რომ გონწასული და თავგაჩეხილი ახალგაზრდა ჰაერში კამარას ჰკრავს და ერთმანეთში აზელილ ხალხს ეცემა. განწირული ქალების კივილი ზეცას სწვდება. ხსნა არსაიდან ჩანს და აქ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება საპირისპიროს მომსწრე ვარ, განწირულთ

მხსნელად მოგვევლინა... ხუთი ქართველი მილიციელი!

ამას წინათ გაზეთ „ახალ საქართველოში" წავიკითხე ბ-ნ პანტელეიმონ გიორგაძის მოგონება 9 აპრილთან დაკავშირებით, სადაც ბ-ნი გადამდგარი გენერალი ამბობს, როდიონოვმა შ. გორგოძეს პანლური ამოარტყა, რადგან მილიციამ მომიტინგეთა დარბევაში მონაწილეობა არ მიიღოო. კომუნისტთა ლიდერი, თავისი ჭკუით, ალბათ ფიქრობს, რომ ამ მოგონებით შეურაცხყოფა მიაყენა ბ-ნ შ. გორგოძეს. სხვისი რა მოგახსენოთ და მე ძალიან კმაყოფილი და გახარებული დავრჩი, რადგან კაცმა, რომელსაც ჩვენ „პაჟალუსტა მინისტრს" ვეძახდით, როცა საქმე საქმეზე მიდგა, კარიერაზე და მინისტრის სავარძელზე მაღლა ხალხის და ერის ინტერესები დააყენა, და განა მარტო მან. მე კარგად მახსოვს, როგორი იყო დამოკიდებულება ჩვენსა და ქალაქის მილიციის უფროსს ბ-ნ რ. გვენცაძესა და მის მოადგილეს ბ-ნ ვ. გვარამიას შორის. ისინი ბრძანების შესრულებასაც ახერხებდნენ და იმასაც, რომ არც ჩვენთვის მოეყენებინათ შეურაცხყოფა და არც თავად ჩავარდნილიყვნენ უხერხულ მდგომარეობაში. ცალკეულ პიროვნებებს რომ თავი დავანებოთ, განა პოლიცია არ იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში? ზურაბისა არ იყოს, მეც კარგად ვიცი პოლიციისადმი ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ქვეყანას გაუჭირდა, დარწმუნებული ვარ, დღესაც მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კარიერაზე მაღლა კაცობას, ქვეყნისა და ერის ინტერესებს დააყენებენ. ასე იყო 1956 წელს, ასე მოხდა 1989 წელს, ასე იქნება ახლაც და მომავალშიც.

ორი მათგანი რიგითი იყო, სამნი, ვგონებ, ზემდეგები. ისინი მთავრობის სახლის მხრიდან შემოვიდნენ, სამნი ჯარისკაცებსა და ჩვენს შორის ჩადგნენ და აწიოკებული ხალხის ამოყვანა დაიწყეს. ორმა ქანდაკებასა და ჯარისკაცებს შორის დერეფანი შექმნა და ორმოდან ამოყვანილების გატარება დაიწყო უსაფრთხო ადგილისაკენ. არ იფიქროთ, რომ ეს დამრბევთა სცენარში შედიოდა, უბრალოდ, მომხდურნი დააბნია მილიციელთა ფორმამ და მათმა თავდაჯერებულმა, გაბედებულმა მოქმედებამ. ამის დასტური ისაა, რომ რამდენიმე წუთში ამ მილიციელებსაც ისევე დაერევიან, როგორც ხალხს აწიოკებდნენ, მაგრამ მანამდე სამ ქართველ მილიციელს ზედიზედ აჰყავს ზევით

განწირული ადამიანები. ერთი უცნობი მამაკაცი, მერაბ კოსტავა და მე ქვევიდან ვეხმარებით, უმრავლესობა ქალები და გოგონები არიან, თითქმის ყველანი — ნაიარევნი, აცახცახებულნი, ფეხშიშველები (იმ გოგონებიდან, ვინც მე ავსვი ზევით, მხოლოდ ერთს შერჩენოდა ცალი ფეხსაცმელი). ზევით კი ავსვამთ, მაგრამ რა — ბევრი ისეა გაბრუებული, რომ ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებს და იქვე იკეცება. მათ გასაყვანად ბიჭების ასმაც დავიწყეთ — ისინი ზურგზე იკიდებენ და ისე მიათრევენ გათიშულთ. ორმო ნელ-ნელა ცარიელდება. მე და მერაბიც ამოვდივართ პარაპეტზე. მილიციელი ისეა ქანცგაწყვეტილი, თითქმის ვეღარ გვეხმარება. ორმოში კვლავ ცვივა ხალხის ახალი ტალღა. ჩვენ მათ ამოყვანას ვიწყებთ. „წადით, თქვენ წადით, ჩვენ ამოვიყვანთ", — გვეუბნება მილიციელი, რომელსაც სახეზე ფერი აღარ ადევს, ცივი ოფლი ასხამს და ძლივსღა სუნთქავს. ჩვენ ფეხს არ ვიცვლით. ორი თუ სამი კაცის ამოყვანას კიდევ ვასწრებთ და თავს გვესხმიან რუსთაველის გამზირის მხრიდან იერიშით ამოსული სპეცჯარის გამძვინვარებული ჯარისკაცები. ამათთან შედარებით ისინი, რომლებმაც თავიდან შემოგვარტყეს ალყა, კრავებსა ჰგავდნენ. ახალმოსულები მილიციელებსაც ჩვენსავით ხელკეტებით უსწორდებიან. მე და მერაბი მთავრობის სახლის გასწვრივ, კედელ-კედელ, პირველი საშუალო სკოლის მიმართულებით მიმავალ ხალხს ვუერთდებით. ო, რა ნელა მივიწევთ წინ! წინმიმავალთ არ უწყიან, რა ხდება უკან და მეჩვენება, რომ გულისგამამწვრილებლად ნელა მოძრაობენ. ჯარისკაცებმა ჩვენი მხსნელი მილიციელები გადაჯეგეს და ახლა ჩვენსკენ მორბიან. სულ უკან მე ვარ, ჩემს წინ მერაბია, ორიოდე მეტრილა რჩება ქუჩამდე. „დაუჩქარეთ!" — ვყვირი და მერაბს მთელი ძალით ვაწვები. ჯარისკაცები გვეწევიან და ხელკეტებს მიშენენ. თავს ხელებით ვიფარავ და წინ ვიხრები. დარტყმები, ძირითადად, ზურგზე და ფერდებზე მხვდება. ორიოდე ნაბიჯიც და ქუჩაზე ვიქნებით. ამ დროს მარჯვენა გვერდში ძალიან ძლიერ დარტყმას ვღებულობ, თითქმის მაშინვე თავშიც. ვგონებ, შევყვირე. ვილაც ტრიალდება. ენერგიული მოძრაობით იგერიებს ჯარისკაცს და ქუჩაზე ჩამოხტომაში მეხმარება, რადგან იმ წუთას თითქმის ვერაფერს ვხედავ.

ჩვენმა მდევრებმა მთავრობის სახლის წინა ტერიტორია რაკილა დაიკავეს, ჩანს, ახალი ბრძანების მოლოდინში წუთით შეჩერდნენ. ჩამოხეულ-ჩამოფლეთილი და დასისხლიანებული ხალხი ზემელის მიმართულებით გარბის. ფიზიკური ტრავმებისა და განსაკუთრებით,

ქიმიური გაზების ზემოქმედების გამო გვარიანად გაბრუებული ვარ. ლაღიძის წყლებამდე როგორ მივაღწიე, არც კი ვიცი. ჰაერი მომწამლავი აირითაა გაჟღენთილი, სუნთქვა ჭირს, წყურვილი მახრჩობს. დამსჯელი რაზმების კოლონა რუსთაველის გამზირის მთელ სიგანეზე ჩვენსკენ მოიწევს. ოციოდე დემონსტრანტთან ერთად ლაღიძის წყლების ეზოში შევრბივარ" (ზურაბ ჭავჭავაძე, „სისხლიანი კვირა", გაზეთი „ივერია", №5, 1989 წ. 18 აპრილი).

ტრაგედია მოხდა... მე ადამიანთა იმ კატეგორიას ვეკუთვნი, რომელთაც ურყევად სჯერათ, რომ პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას ეკისრება, ამიტომ, როდესაც მავანი და მავანი, ძირითადად კი ხელისუფლების წარმომადგენლები ან მათი მხარდამჭერები, შექმნილ სიტუაციაში ან მომხდარი ფაქტის შემდეგ, ცდილობენ პასუხისმგებლობა სხვებს გადააბრალონ (მხედველობაში არ მაქვს სისხლის სამართლის დანაშაული), ეს უბრალოდ სიყალბე და თავის მართლების მცდელობაა.

9 აპრილის ტრაგედია თავიდან ბოლომდე ხელისუფლების სინდისზეა — საწყის ეტაპზე მათმა უმოქმედობამ თუ არასწორმა მოქმედებამ ბიძგი მისცა მიტინგებისა და გაფიცვების დაწყებას, ხოლო ბოლო ეტაპზე სისხლში ჩაახშო მის მიერ პროვოცირებული მღელვარება. მიუხედავად ამისა, მართალი არ ვიქნები, თუ არ აღვნიშნავ, რომ პროტესტის ტალღა, მართალია, საქართველოს მარიონეტულმა ხელისუფლებამ (როგორც მაშინ ვეძახდით და რაც სიმართლეს შეეფერებოდა) ააგორა, მაგრამ იგივე ტალღის ჩახშობის მომენტში საქართველოს, რეალურად, ეს „მარიონეტული ხელისუფლებაც" არ ჰყავდა (რაც მათ ზნეობრივი პასუხისმგებლობისგან სრულიადაც არ ათავისუფლებთ) და ყოველივეს უშუალოდ მოსკოვი განაგებდა.

მე არ ვიცი, ვინ იჯდა თვითმფრინავში ან იჯდა თუ არა ვინმე საერთოდ, მაგრამ ვინც საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურას ზერელედ მაინც იცნობს, შეუძლებელია არ დამეთანხმოს, რომ გადაწყვეტილებას მიტინგის დარბევის შესახებ ვერც ჩებრიკოვი, ვერც ლიგაჩოვი და ვერც სხვა მ. გორბაჩოვთან შეთანხმების გარეშე ვერ მიიღებდა. მ. გორბაჩოვმაც და პოლიტბიუროს მთელმა შემადგენლობამაც მშვენივრად იცოდა, რა მოხდებოდა თბილისში.

იმ პერიოდში მ. გორბაჩოვი და ე. შევარდნაძე ვიზიტით დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდნენ, რამაც საშუალება მისცა

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს 9 აპრილის ტრაგედია „პერესტროიკისათვის ზურგში ჩაცემულ მახვილად" მოენათლა; თითქოსდა მ. გორბაჩოვის მოსკოვში არყოფნით ისარგებლეს პერესტროიკისა და მ. გორბაჩოვის მტრებმა და მოაწყვეს ეს ტრაგედია (გაიხსენეთ „გულჩვილი" ლ. ბრეჟნევი და „ქართველთა მოძულე" სუსლოვი). ვითომ შუასაუკუნეებში ვცხოვრობდით და ლონდონში მ. გორბაჩოვთან დაკავშირებას და საქმის კურსში მის ჩაყენებას თვეები სჭირდებოდა; მ. გორბაჩოვის ინგლისში ყოფნას მიტინგის დარბევა მართლაც დაამთხვიეს, რომ შემდგომ საქმე ისე წარმოეჩინათ, ვითომდა რუსთაველზე მოწყობილი სასაკლაოს შესახებ „დემოკრატმა" და „ჰუმანურმა" მ. გორბაჩოვმა არაფერი იცოდა.

არ შემიძლია ვამტკიცო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მიტინგის დარბევის გეგმა უფრო მზაკვრული და მასშტაბური იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, როდიონოვის ჯალათებმა ვერ შეძლეს დასახული ოპერაციის ზუსტად შესრულება (დავუშვათ, მომიტინგეთა შერეკვა მთავრობის სასახლეში, სადაც მათ ტყვიით „გაუმასპინძლდებოდნენ" ან რალაც ამის მსგავსი); ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მიტინგის უმსხვერპლოდ დაშლის მცდელობაც კი არ ყოფილა და თუ სისხლისღვრაზე მიდიოდნენ, ე. ი. მათი მიზანი არა მარტო მიტინგის დაშლა, არამედ საზოგადოების დაშინება და დამორჩილება იყო, რის მიღწევასაც მხოლოდ მაშინ შეძლებდნენ, თუ მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა (რუსებს ეს ჩემგან არ ესწავლებათ!), წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებდნენ საპირისპირო შედეგს, რაც მოხდა კიდეც!

მიუხედავად ყველაფრისა, 9 აპრილი იყო ქართველი ხალხის, ქართველი ერის დიდი სულიერი გამარჯვება და ამასთანავე ეროვნული მოძრაობის დიდი პოლიტიკური მარცხი.

ეს შეფასება არ არის დღევანდელი გადასახედიდან წარსულის გააზრების შედეგი. ასე ვფიქრობდი მაშინაც, 9 აპრილის შემდგომ დღეებში, თუმცა იმ პერიოდში ამ აზრის საჯაროდ გამოთქმა მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა — ამას ვერც საზოგადოება გაიგებდა და ხელისუფლებაც შეეცდებოდა ისევ ეროვნული მოძრაობისა და მისი აქტივისტების წინააღმდეგ გამოეყენებინა.

იმავე პერიოდში ეროვნული მოძრაობის იმ ნაწილში, ვინც მხარს უჭერდა აფხაზური პრობლემის შეცვლას დამოუკიდებლობის მოთხოვნით, გაჩნდა აზრი, თითქოს თბილისში დატრიალებულმა

ტრაგედიამ თავიდან აგვაცილა მოსალოდნელი სისხლისღვრა აფხაზეთში, რაც 9 აპრილის ტრაგედიის გამართლების სურვილით უფრო იყო გამოწვეული (რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ ერთი აქციით, თუნდაც ის თვეობით გაგრძელებულიყო, დამოუკიდებლობას ვერ მოვიპოვებდით), ვიდრე არსებული სიტუაციის რეალური ანალიზით. სამწუხაროდ, სოხუმში სისხლი მაინც დაილვარა, ჩვენ კი დავკარგეთ პოლიტიკური ინიციატივის მოპოვების საშუალება და დღემდე ვერ ვახერხებთ მის დაბრუნებას.

მართალია, ეროვნული მოძრაობა, ფაქტიურად, იყო ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ამიტომ რისკის ფაქტორიც მაღალი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც მეტი სიფრთხილე და ზომიერება უნდა გამოგვეჩინა, ჩვენ კი ერთი სული გვქონდა, როდის ვიყვირებდით, რომ დამოუკიდებლობა, თავისუფლება გვინდოდა და ამიტომაც ვიბრძოდით. სხვები არ ყვიროდნენ (მაგ., ბალტიისპირა ქვეყნები), ისინი საქმეს აკეთებდნენ. 9 აპრილის ტრაგედიას უდიდესი რეზონანსი მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მთელ მოსფლიოში (თუმცა ამან ხელი ვერ შეუშალა შემდგომში ბაქოს ტრაგედიას) — ეროვნული მოძრაობით დაინტერესდნენ ისინიც კი, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობაზე მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონია. თავსდატეხილმა უბედურებამ მთლიანად დაჩრდილა ურთიერთშორის არსებული წინააღმდეგობები, ერთმანეთს შეუკავშირა ერი და ბერი; უეცრად ვიგრძენით, როგორი აუცილებელი და საჭირო ვყოფილვართ ერთმანეთისთვის; ვიგრძენით, რომ გარეშე, უცხო ძალებისათვის ჩვენ ერთნი ვართ — კომუნისტიც და არაფორმალიც, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც; თითქოს იმასაც მივხვდით, რომ მას მხოლოდ მანამ ვჭირდებით, სანამ მის მსახურობასა და მონობაზე უარს არ ვიტყვით, მაგრამ თუკი ამგვარი სურვილი გაგვიჩნდა, ერთდროულად დაუნდობელი და სასტიკი ხდება ყველას მიმართ, ყოფილ მსახურებს ორპირობასა და ღალატსაც კი დასწამებს, აქაოდა, ადამიანობა, კაცობა, თავისუფლება რად მოგნდომებიათო.

დღევანდელი ვითარება თავისი ტრაგიკულობით იმ დროისგან დიდად არ განსხვავდება და რაოდენ სავალალოა, რომ ხელისუფლება არ ცდილობს ისევ გააღვივოს, ააღორძინოს ის მუხტი, ერთად დგომის, საქმის ერთად კეთების სურვილი რომ ჰქვია და არა ერთნაირი აზროვნების (ამის დანერგვა კი უნდა). უფრო პირიქით, სხვების გაკილვით, მათი პიროვნების თუ

საქმიანობის ტენდენციურად, ნეგატიური კუთხით წარმოჩენით, ფიქრობს მოსახლეობაში საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებას.

რუსთაველზე დატრიალებულმა სასაკლაომ საზოგადოების შეშინება შეძლო, დაშინება კი ვერ მოახერხა. მართალია, დააპატიმრეს ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ი. სარიშვილი, გ. ჭანტურია, ვ. ხუხუნაიშვილი, ცოტა მოგვიანებით — ი. წერეთელი, შემოიღეს კომენდანტის საათი, მაგრამ თბილისში მღელვარება გრძელდება, სტიქიურად გაჩნდნენ მოპიკეტეთა ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობას კვლავ გაფიცვებისაკენ მოუწოდებენ. ანალოგიური მდგომარეობაა მთელ საქართველოში, უკმაყოფილებასა და პროტესტის გრძნობას აღვივებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მცდელობა, ყველაფერი არაფორმალებს გადააბრალოს და საკავშირო საინფორმაციო საშუალებათა მიერ გადაცემული აშკარად გაყალბებული ინფორმაცია. საზოგადოების ამგვარი ერთსულოვნების პირობებში, მიუხედავად იმისა, ვინ „გონიერებისაკენ" მოგვიწოდებდა და ვინ ისევ გაფიცვის გაგრძელებას ცდილობდა, მოსკოვს ან მთელ საქართველოში უნდა შემოეღო კომენდანტის საათი და საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა, რაც გამორიცხული არ იყო, რომ ახალ შეტაკებებში გადაიზრდებოდა, ან საკომენდანტო საათი თბილისშიც გაეუქმებინა და ჯოხი მეისრეზე გადაეტეხა. ასეც მოიქცა: საქართველოს ხელისუფლება შეცვალა, საკომენდანტო საათი გააუქმა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შექმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია, რომელშიც შევიდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხოლო მოგვიანებით გაათავისუფლა პატიმრობაში მყოფი არაფორმალები.

პარალელურად ცენტრალური საინფორმაციო საშუალებები აგრძელებენ 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაყალბებას, რაც ქართულ საზოგადოებაში ბადებს ბუნებრივ მოთხოვნილებას პასუხი გასცეს ცილისწამებას და როგორმე გაარღვიოს ინფორმაციული ვაკუუმი. დაპირისპირების ვექტორი ხელისუფლებიდან ნელ-ნელა ცენტრალური საინფორმაციო საშუალებებისკენ იხრება, ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ თბილისში შემოქმედებით კავშირებში და რედაქციებში მოდის უამრავი ტელეგრამა, რომელშიც სამძიმარს უცხადებენ ქართველ ხალხს და აღშფოთებას გამოთქვამენ მიტინგის დამრბევთა მისამართით, ჩამოდიან რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები, სსრკ-ს უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ჩამოდის ა. სახაროვი მეუღლითურთ, ყველანი ერთხმად უჩივიან ცენტრალური

საინფორმაციო საშუალებების ტენდენციურობას და მოითხოვენ სრული ინფორმაციის მიწოდებას.

ინფორმაციული იზოლაციის გარღვევას ისახავდა მიზნად მოსკოვში ცენტრალურ კინოს სახლში გამართული პრესკონფერენცია, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ ე. შენგელაია, ლ. ღოლობერიძე, მ. კოკოჩაშვილი, ა. ადამოვიჩი, ი. როსტი და სხვები. პრესკონფერენციას უცხოელ და საბჭოთა ჟურნალისტებს გარდა ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირისა და მოსკოვის ინტელიგენციის წარმომადგენლები (სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე იმყოფებოდა აკადემიკოსი ე. პრიმაკოვი, შემდგომში რუსეთის პრემიერ-მინისტრი, მაშინ ალბათ ისიც აღშფოთებას გამოთქვამდა მომხდარის გამო!), როგორც გაზეთებში — „ვეჩერნი ტბილისი," 1989 წ., №94 და „კომუნისტი," №95 — გამოქვეყნებული ინფორმაცია გვაუწყებს, პრესკონფერენციაზე ნაჩვენებმა ერთსაათიანმა დოკუმენტურმა ვიდეომასალამ და ი. როსტის 50 ფოტოსურათიანმა რეპორტაჟმა „ენით აუწერელი მღელვარებითა და თანაგრძნობით ჯანაწყო ყველა მხილველი".

თავისთავად ის ფაქტი, რომ მოხერხდა 9 აპრილის მოვლენების ამსახველი დოკუმენტური ვიდეომასალის მოსკოვში ჩვენება, მისი გადაცემა საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებისა და სააგენტოებისათვის, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ პირველწყაროდან გავიდა ინფორმაცია საქართველოში რეალურად მიმდინარე პროცესებზე და ჩვენს საბოლოო მიზანზე; მსოფლიო საზოგადოებრიობამ გაიგო, რომ საქართველოში არიან ძალები, რომელთაც საკმაოდ დიდი გავლენა და მხარდაჭერა აქვთ მოსახლეობაში და რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან; მაგრამ ამ ფაქტს ჰქონდა მეორე მხარეც — რუსული ინტელიგენციის ჩვენდამი თითქმის ერთსულოვანმა თანაგრძნობამ და სამხედროებისადმი გამოხატულმა პროტესტმა, ქართული ინტელიგენციისა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დაბადა აზრი, თითქოს რუსეთის ინტელიგენციას მთლად თუ არა, მის საუკეთესო, დემოკრატიულ ნაწილს ესმის და მხარს გვიჭერს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამავე პერიოდში გაჩნდა იდეა ორი რუსეთის — დემოკრატიულისა და რეაქციულის არსებობის შესახებ, რომელმაც შემდგომ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა საქართველოში დატრიალებულ პოლიტიკურ პროცესებში და რუსეთთან მიმართებაში შევარდნაძის

ხელისუფლების პოლიტიკურ დოქტრინად იქცა.

მე ადრეც აღვნიშნე და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ რუსეთში მართლაც არიან დემოკრატიული და რეაქციული ძალები, როდესაც საკითხი რუსული სახელმწიფოს მოწყობას, მის საშინაო პოლიტიკას ეხება, მაგრამ როდესაც საგარეო პოლიტიკაზეა საუბარი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებზე, რომლებიც სსრკ-ს შემადგენლობაში შედიოდნენ და რომელთაც რუსული მასმედია დღესაც „ბლიჟნოე ზარუბეჟიეთი" მოიხსენიებს, მათთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკური ძალები ერთიანია და იმაზე ფიქრობენ, როგორ აღადგინონ რუსული იმპერია. თუ მაინც და მაინც განსხვავებაზეა საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ რუსი დემოკრატები ცდილობენ იმპერიის აღსადგენად თანამედროვე მსოფლიოს საზოგადოებისათვის მისაღები ფორმა მოძებნონ, თუკი ასეთი ფორმა საერთოდ არსებობს, ხოლო რეაქციონერებს ისევ ძალისა და იარაღისკენ გაურბით თვალი. თუმცა დარწმუნებული ვარ, თუ იმედი გადაეწურათ ან შესაფერისი სიტუაცია შეიქმნა, არც დემოკრატები იტყვიან უარს ძალის გამოყენებაზე.

არადა, რეალურად, რუსული ინტელიგენციაც და მათ შორის ა. სახაროვიც 9 აპრილს სამხედროების მიერ თბილისში განხორციელებული ხოცვა-ჟლეტისადმი პროტესტის გამოხატვით, პირველ რიგში რუსული იმპერიის ერთიანობაზე ფიქრობდა (ამ პროტესტის ქვეტექსტი ასეთია — ვინც ეს მოიმოქმედა, „ცუდი რუსები" არიან, ჩვენც არ მოგვწონს და ჩვენც ვიბრძვით მათ წინააღმდეგ, ხომ ხედავთ, თქვენთან ერთად გამოვთქვამთ პროტესტს. ჩვენ კი „კარგი რუსები" ვართ, ჩვენთან ერთად ცხოვრება, ანუ ერთ სახელმწიფოში ყოფნა, შეიძლებაო"), ხოლო შემდეგ ქართველი ხალხის თანაგრძნობაზე. თუ ასე არაა, მაშინ გაუგებარია, სოხუმის დაცემისა და აფხაზეთში ქართველთა გენოციდის შემდეგ, რატომ არ მოიძებნა მთელს რუსეთში ერთი კაცი მაინც, ვინც, პროტესტს რომ თავი დავანებოთ, უბრალო თანაგრძნობას მაინც გამოთქვამდა ქართველი ლტოლვილების მისამართით.

9 აპრილის ტრაგედიამდე „აფხაზურ წერილთან" დაკავშირებით რუსთაველის საზოგადოებაში გამართულ შეკრებაზე ბატონმა რ. თაბუკაშვილმა წამოაყენა იდეა, რომ „აფხაზურ წერილზე" ქართველ ისტორიკოსებს კი არ გაეცათ პასუხი, არამედ მოეძებნათ წესიერი რუსი ისტორიკოსი, რომელიც სიმართლეს იტყოდა.

რაზედაც ქალბატონმა მ. ლორთქიფანიძემ შენიშნა: მასეთი წესიერი რუსი ისტორიკოსი ბუნებაში არ არსებობს და შენ სად გინდა მოძებნო, ჩემო რეზოო!

9 აპრილის ტრაგედიით გამოწვეული ერთიანობის ეიფორია ნელ-ნელა მინელდა, მაგრამ საზოგადოების დაინტერესება ეროვნული მოძრაობით კიდევ უფრო გაძლიერდა; ამას ხელი შეუწყო დაპატიმრებულ არაფორმალთა გათავისუფლებამაც, რადგან მათი ციხიდან გამოშვება მოსახლეობამ ერთმნიშვნელოვნად აღიქვა, როგორც ეროვნული მოძრაობის გამარჯვება. დაიწყო კომპარტიის რიგების მასიური დატოვება — პარტბილეთებს ზოგი აბარებდა, ზოგი წვავდა, ზოგიც ჩუმად ინახავდა, მაგრამ აღარ ამბობდა, რომ კომპარტიის წევრია (ისეთებიც გამოჩნდნენ, 9 აპრილის შემდეგ რომ შევიდნენ კომპარტიის რიგებში); თითქმის პროპორციულად იზრდებოდა ეროვნული მოძრაობაც. 9 აპრილმა ქართველი საზოგადოება კი შეძრა და გამოაღვიძა, მაგრამ კათარზისის ფუნქცია ვერ შეასრულა. ეროვნულ მოძრაობას შემოერთებული ახალი დიდი ნაკადი საკმაოდ მღვრიე იყო როგორც თავისი წარსულით, ასევე მომავლის ხედვით. ეროვნული მოძრაობისადმი მათ სრულიად სხვადასხვა მიზნები და აქედან გამომდინარე, სრულიად სხვადასხვა მოთხოვნები ჰქონდათ. ამ ახალი დიდი ნაკადიდან ძალიან მცირე ნაწილს თუ ჰქონდა გააზრებული ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური არსი. ძირითად უმრავლესობას ეკონომიკურ-სოციალური საკითხი ან პირადი კარიერა უფრო აინტერესებდა და ეროვნული მოძრაობის საშუალებით ცდილობდა ამ პრობლემების მოგვარებას. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ეროვნული მოძრაობა და საქართველოს დამოუკიდებლობა რომანტიკულ-ფანატიკურ ფერებში წარმოედგინათ.

ამ სიჭრელის თვალსაჩინო მაგალითია სახალხო ფრონტის (რომლის დამფუძნებელი ყრილობაც 9 აპრილის შემდგომ გაიმართა) გახლეჩა სამ ნაწილად — სახალხო ფრონტი, რადიკალური ეროვნული სახალხო ფრონტი და დემოკრატიული სახალხო ფრონტი — 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების წინა პერიოდში.

ისეთი ვითარება შეიქმნა, თითქოს ერთ ჭიქა თაფლში მთელი კასრი წყალი გადაურიეს.

გაჩნდა წინააღმდეგობა ეროვნული მოძრაობის ლიდერებსა და მათ მხარდამჭერთა შორის. მაშინ, როდესაც ეროვნული მოძრაობის

ლიდერები აქცენტს ისევ პოლიტიკურ მოთხოვნებზე აკეთებდნენ, მათი მხარდამჭერი საზოგადოების დიდი უმრავლესობა, მათ შორის ისინიც, ვინც ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩაერთო, მათგან კანონიერებისა და სოციალური სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა. ბუნებრივია, სოციალური ლოზუნგებით არავინ გამოდიოდა, არც სოციალური საკითხების წამოწევა ხდებოდა — ლაპარაკი ძირითადად მოსალოდნელ ეკონომიკურ გარდაქმნებს შეეხებოდა და ისიც საკმაოდ ზოგად ასპექტში, მაგრამ მოსახლეობაში სწორედ სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი იყო. ხალხი იმედოვნებდა, რომ თუ ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდოდნენ, ისინი აღადგენდნენ კანონიერებას, გაათავისუფლებდნენ კომუნისტური ბიუროკრატიისგან და გადაჭრიდნენ ყველა იმ პრობლემას, რომლებიც „ნეგატიური მოვლენების" სახელით იყო ცნობილი, ამიტომ ისეთ მოვლენებსაც კი, როგორიც დირექტორისა და წარმოების ხელმძღვანელთა კაბინეტის კარის აჭედვა, კოლმეურნეობებისა და სახალხო მეურნეობების დაშლა და დანანილება იყო, მოსახლეობა ერთგვარი კმაყოფილებითაც კი შეხვდა და ეს პროცესი ბუნებრივად და კანონიერად მიიჩნია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 9 აპრილის შემდეგ ეროვნულმა მოძრაობამ თვისობრივი ცვლილება განიცადა და სოციალურ მოძრაობად იქცა.

ინტენსიურად დაიწყო ახალ-ახალი პარტიების შექმნა და ჩამოყალიბება, რისი ობიექტური აუცილებლობაც ნამდვილად არ არსებობდა, რადგან პარტიათა ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდიდით და თუ ადამიანს პოლიტიკური მოღვაწეობა სურდა, მით უმეტეს, ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმა, თავისუფლად შეეძლო ნებისმიერი მიმართულების არაფორმალური ორგანიზაცია აერჩია. ამავე პერიოდში გაიმართა სახალხო ფრონტის პირველი, დამფუძნებელი ყრილობა — შეიქმნა ყველაზე მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია.

ჩემი აზრით, სახალხო ფრონტის მრავალრიცხოვნება ორმა გარემოებამ განაპირობა. პირველი: იგი იყო ერთადერთი არაფორმალური ორგანიზაცია, რომელიც ხელისუფლებამ რეგისტრაციაში გაატარა (მართალია, არსებობდა რუსთაველის საზოგადოება, ასევე რეგისტრირებული, მაგრამ იგი საზოგადოების თვალში უკვე იმდენად დისკრედიტირებული აღმოჩნდა, რომ ბატონი ა. ბაქრაძის პრეზიდენტობამ და მისმა უზარმაზარმა ავტორიტეტმაც ვერ უშველა);

მეორე: მასში გაერთიანდნენ ის პიროვნებები, რომელთაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ სურდათ ეროვნულ მოძრაობაში უკვე არსებულ ორ ფრთას შორის, მათი ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, რომელიმესთვის დაეჭირათ მხარი, ამიტომ არჩიეს სახალხო ფრონტში ყოფნა, რათა ეროვნული მოძრაობის ორივე ფრთასთან ნორმალური ურთიერთობა შეენარჩუნებინათ. ასეთი პოზიცია მისაღები და აუცილებელიც კი იყო, თუ სახალხო ფრონტი, უპირველეს ყოვლისა, თავის შიგნით მოახერხებდა მის პოპულარიზაციას და იკისრებდა ამ ურთულესი პრობლემის მოგვარებას (განსაკუთრებით მ. კოსტავას გარდაცვალების შემდეგ). სამწუხაროდ, სახალხო ფრონტმა ეს მისია ვერ შეასრულა, რისი უშუალო შედეგიც იყო 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში მისი სამ ნაწილად გაყოფა.

ზოგადად ქვეყანაში პოლიტიკურ პარტიათა მრავალრიცხოვნება არც საგანგაშოა და არც ტრაგიკული და იგი არც ამ ერის რაიმე განსაკუთრებულ ხასიათსა და თავისებურებაზე მიუთითებს. თავისთავად ეს არაფრისმთქმელი მოვლენაა — პარტიები იქმნებიან, ერთიანდებიან, იშლებიან, — განსაკუთრებული და შემაშფოთებელი არაფერი ხდება, ჩვეულებრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაა, მაგრამ სრულიად სხვა ვითარებაა, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იწყებს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ხომ იმასაც ნიშნავს, რომ ამ ხალხს, ამ ერს არ გააჩნდა სრულფასოვანი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საშუალება, შესაბამისად, არ ჰქონდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ასპარეზი და არ ჰყავდა პოლიტიკური მოღვაწეები.

ისინი, ვინც სხვა სახელმწიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ, დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკოსებად არც არასდროს გამომდგარან და ვერც გამოდგებიან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათში ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური ფაქტორი არ მისცემთ სრულფასოვანი დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას. ყველაზე დიდი, რასაც შეუძლიათ მიაღწიონ, არის ამბოხებული ან განდგომილი ვასალის არაბუნებრივი მდგომარეობა. ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა შეუძლებელია, ამიტომ ამბოხებული შინაგანად ყოველთვის მზადაა სიუზერენთან შერიგებისა და კომპრომისისათვის.

ასეთ ვითარებაში პარტიათა რაოდენობრივი ზრდა ეროვნული მოძრაობის დაქსაქსულობასა და არაორგანიზებულობას ინვევს. მით უფრო მიუღებელი იყო იგი ჩვენს მდგომარეობაში, რადგან პარტიის შექმნას, გარდა იდეისა და სურვილისა, ადამიანთა გარკვეული რესურსებიც სჭირდება. ეროვნული მოძრაობის ისედაც მწირი ინტელექტუალური რესურსი ამდენი პარტიის შექმნისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. შედეგად მივიღეთ „ერთკაციანი" პარტიები და ის, რომ ეროვნული მოძრაობის მეორე და მესამე ეშელონებში საკმაოდ მყარად დაიმკვიდრა ადგილი მე-5 კოლონამ.

საბოლოოდ, როდესაც 9 აპრილის შემდგ ,ე ეროვნულ მოძრაობაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს შემდეგი:

პირველი. 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით რუსული ინტელიგენციისა და დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა მიერ ჩვენდამი გამოხატულმა თანაგრძნობამ ქართულ ინტელიგენციასა და საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილში შექმნა ილუზია, რომ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალმა საქართველომ რუსულ ინტელიგენციასა და დემოკრატიულ წრეებში შეიძლება მოძებნოს მოკავშირე და მხარდამჭერი;

მეორე. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ეროვნული მოძრაობის მკვეთრმა რაოდენობრივმა ზრდამ ეს მოძრაობა პოლიტიკურიდან სოციალურ მოძრაობად გადააქცია;

მესამე. პარტიათა სიმრავლემ საშუალება მისცა სუკ-ს ეროვნული მოძრაობის მეორე და მესამე ეშელონებში მე-5 კოლონის წარმომადგენლები ჩაენერგა.

ეს ტენდენციები შემდგომში უფრო რელიეფურად გამოიკვეთება, მაგრამ დასაბამი, ძლიერი ბიძგი მას სწორედ 9 აპრილის მოვლენებმა მისცა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქართულ საზოგადოებას აპრილის მოვლენებმა დამატებითი პრობლემები შეუქმნა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო დაპატიმრებულთა გათავისუფლებაზე ზრუნვა, ხელმოწერების შეგროვება საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შორის; ინფორმაციული იზოლაციის გარღვევა; გამოყენებული ქიმიური ნივთიერების დადგენა (სამხედროები კატეგორიულად უარყოფდნენ ამგვარი ნივთიერების გამოყენებას). ნებისმიერი, სრულიად უმნიშვნელო პრობლემის მოგვარებაც კი დიდ

დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ჩვენ დროს ვკარგავდით, იმპერიული მანქანა კი ამ დროს თავის სასარგებლოდ იყენებდა.

18 მაისს დაპატიმრებულები გაათავისუფლეს; 26 მაისს, თითქმის 70-წლიანი შუალედის შემდეგ, თბილისში აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი. სანქციონირებული მიტინგში, რომელიც ვაკის პარკში გაიმართა, სახალხო ფრონტთან და სხვა არაფორმალურ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ხელისუფლებამაც. ჩვენ არ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, დამოუკიდებლობის დღე იმ ხელისუფლებასთან ერთად აღგვენიშნა, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, თუნდაც თავისი დუმილით, 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის ხელშემწყობი იყო, ამიტომ არასანქცირებული მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე ჩავატარეთ.

მართალია, აპრილის მოვლენების დროს აფხაზეთის საკითხი დამოუკიდებლობის მოთხოვნით შეიცვალა, მაგრამ ტრაგედიის შემდეგ, რომელმაც მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, მცირე დოზით, ზოგჯერ არც მთლად ზუსტი ინფორმაცია აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ მაინც გავიდა, ამიტომ მხოლოდ აფხაზური კოზირი მოსკოვისათვის საკმარისი აღარ იყო. უფრო მეტიც, იგი იძულებულიც კი გახდა მცირე ხნით შეეჩერებინა აპრილის პირველ რიცხვებში თითქმის შეჯახებამდე მისული სიტუაცია. ახალი რეალობები გარკვეულ გადათამაშებას, ძალთა გადაჯგუფებას მოითხოვდა. ამის მიღწევას მოსკოვი მხოლოდ მაშინ შეძლებდა, თუ მოახერხებდა ქართული ეროვნული მოძრაობის ყურადღება ნაწილობრივ მაინც სხვა საკითხზე გადაეტანა.

მესხთა პრობლემა არც ქართული საზოგადოებისთვის და არც ეროვნული მოძრაობისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. მასზე ყურადღება ჯერ კიდევ ქართველმა დისიდენტებმა, ჰელსინკის კავშირის წევრებმა გაამახვილეს და მომდევნო 10-12 წლის განმავლობაში იგი ქართული საზოგადოებრიობის ღია თუ ფარული განსჯის საგნად იქცა. თითქოს ამ პრობლემის მოგვარებისადმი ერთიანი მიდგომაც შემუშავდა — მესხები ხომ ყირიმელ თათრებთან ერთად გადასახლებულთა იმ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ 1956 წლის ამინისტიის შემდეგაც არ მისცა უკან დაბრუნების უფლება.

და აი, ივნისის დასაწყისში, როგორც შემდგომ სსრკ-ს უზენაესი საბჭოს ყრილობაზე უზბეკეთის კპ ცკ პირველმა მდივანმა ნიშანოვმა

ცინიკურად აღნიშნა, ბაზარში „მარწყვის გამო ატეხილ დავას" მესხთა მასობრივი რბევები მოჰყვა.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო „მარწყვის გამო ატეხილი დავა" მოსკოვისათვის, ამას გაზეთ „ივერიაში (№10, 1989 წ. 3 ივლისი) მოტანილი ფაქტი მოწმობს: „გაზ. „მოსკოვსკიე ნოვოსტის" 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულია ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია ქართველ წვევამდელთა საქართველოში დატოვების მხარდამჭერი მანიფესტაცია, კომენტარი კი გვამცნობს, თითქოს ეს იყო მესხთა რეპატრიაციის მოწინააღმდეგეთა გამოსვლა. ქართველი ერის მტრების ჩანაფიქრი მარტივი და ნათელია: მათ უნდათ გაალვივონ ანტიმესხური ისტერია ქართველებში და ანტიქართული — მესხებში, ძმა თუ ძმას საშვილიშვილოდ გადაეკიდა, მტერს მეტი რა უნდა?! თვითმხილველთა მოწმობით, დეფიციტური „მოსკოვსკიე ნოვოსტის" აღნიშნული ნომერი მესხთა თითქმის ყველა ოჯახს ჰქონია. ჩანს, ეს იმ მიზნით გაკეთდა, რომ ისინი თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ მათი ბედის მიმართ ქართველების გულგრილობაში. სხვათაშორის, აღნიშნული გაზეთი მსოფლიოს მრავალ ენაზე გამოდის და ბევრ ქვეყანაშიც ვრცელდება. მოტანილ ფაქტს მხოლოდ იმას დავამატებ, რომ საბჭოთა პრესაში, მით უმეტეს, ისეთ გაზეთში, როგორიც „მოსკოვსკიე ნოვოსტია", შემთხვევით და დაუდევრობით არაფერი ხდებოდა და, რა თქმა უნდა, არც ეს ფოტო და კომენტარია შემთხვევითი!

ეროვნული მოძრაობა ამ ფაქტისადმი გულგრილი ვერ დარჩებოდა. საწყის ეტაპზე პოზიციები თითქმის ერთგვაროვანი იყო, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და მესხთა პრობლემა ეროვნულ მოძრაობაში ერთ-ერთ წყალგამყოფად იქცა.

აი, როგორი იყო პოზიციები საწყის ეტაპზე:

„წმინდა ილია მართლის საზოგადოების" პროგრამაში შედის ქართული ორიენტაციის მესხების ჩამოსახლება, იმათი, რომლებიც ქართველობენ და პასპორტში აღიდგენენ ქართულ გვარსა და ეროვნებას, ხოლო ვინც თავის თავს თურქად თვლის, მათთან ვატარებთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, განვუმარტავთ განსხვავებას რელიგიასა და ეროვნებას შორის და თუ ასეთი განმარტებები შედეგს არ გვაძლევს, მაშინ მათ თურქეთში ემიგრაციას ვურჩევთ" (ზ. გამსახურდია, გაზ. „თბილისი", 7 ივნისი, 1989 წ.).

ჩვენ კი —

„მოვითხოვთ:

1. სამშობლოში თანდათანობით დაბრუნდეს 1944 წელს დეპორტირებული ყველა ქართველი;

2. სამშობლოში დაბრუნებულ მესხებს ჩამოსვლისთანავე აღუდგეთ იძულებით შეცვლილი ქართული ეროვნება და მამაპაპეული გვარები;

3. საქართველოს ეკონომიკური და დემოგრაფიული შესაძლებლობების გათვალისწინებით რეპატრირებულნი განსახლდნენ ქართულ სოფლებში (5-10 ოჯახი), რათა მათ შეექმნათ დედაენის და ქართული ადათ-წესების ხელახალი დაუფლების სათანადო პირობები" (ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზი; თბილისი, 1989 წლის 20 ივნისი, გაზ. „ივერია" №9, 1989 წლის 21 ივნისი).

თუ ადამიანს წაკითხულიდან აზრის გამოტანის და მისი ობიექტურად განსჯის მცირე უნარი მაინც გააჩნია, უთუოდ დამეთანხმება, რომ ეს პოზიციები წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, იძულებულნი გავხდით კიდევ უფრო ნათლად და მარტივად განგვემარტა ჩვენი პოზიცია: „1944 წელს საქართველოდან გაასახლეს ქართველებიც (მესხები) და არაქართველებიც (თურქები, ქურთები და სხვ.). გადასახლებულ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი, საუბედუროდ, გადაგვარდა, ქართველობა დაკარგა და თურქობა დაიწყო. მაგრამ გასახლებულთა შორის არიან ქართველები, რომელთაც შეინარჩუნეს თავიანთი ქართველობა და სამშობლოს სიყვარული. სწორედ, აი, ამ ნაწილის სამშობლოში დაბრუნება გვსურს ჩვენ, თან ეს დაბრუნება უნდა მოხდეს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, საქართველოში არსებული მძიმე ვითარების გათვალისწინებით. ჩვენი აზრით, სამშობლოში დაბრუნებული ქართველები უნდა განსახლდნენ იმ ქართულ სოფლებში (სამცხე-ჯავახეთის გარდა), სადაც არსებობს საამისო პირობები და სადაც ეს არ გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობას" (გაზ. „ივერია", №10, 1989 წლის 3 ივლისი).

ამ განმარტების აუცილებლობა წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა დიამეტრალურად შეცვალეს თავიანთი პოზიცია.

პოზიციის და შეხედულების ცვლილება ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენაა და მასში საძრახისი და სათაკილო არაფერია, მაგრამ, როდესაც საქმე გაქვს პოლიტიკასთან და ისეთ პრობლემასთან, როგორიც მესხთა საკითხია, ჩემი აზრით, პოზიციის შეცვლას გარკვეული

არგუმენტირება მაინც სჭირდება, თუნდაც იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეც და მომხრეც უფრო ნათლად გაერკვეს შექმნილ სიტუაციაში. სამწუხაროდ, საქმე მხოლოდ და მარტო შეხედულების შეცვლით არ დამთავრებულა.

1989 წლის 29 ივნისს, დაახლოებით 23 საათზე, თბილისში კინოს სახლთან ათასობით მოქალაქის წინაშე სიტყვით გამოვიდა ბატონი ზ. გამსახურდია და შეკრებილთ ამცნო, თითქოს სამტრედიის რაიონში შემოიჭრა უზბეკეთიდან ლტოლვილ თურქთა 130 ოჯახი, რომელთაც სტიქიისაგან დაზარალებული სვანებისთვის აშენებული სახლები მიიტაცეს! შემდეგ ამაში ბრალი დასდო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას", თ. ჩხეიძე და ზ. ჭავჭავაძე შეაჩვენა და ისინი — არც მეტი, არც ნაკლები — ერის მტრებად და მოღალატეებად გამოაცხადა!!!

სამტრედიაში თურქები მართლაც რომ ჩაესახლებინათ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლანძღვა რა შუაშია, განა თავად ჩვენ ამის კატეგორიულად წინააღმდეგნი არა ვართ?!

კვლავ დავუბრუნდეთ სამტრედიაში თურქების ჩასახლების „ფაქტს". 29 ივნისს საღამოს ზ. გამსახურდიამ ჩვენ ხომ შეგვაჩვენა და პატრიოტ მესხს ჩახო ჩიტაძეს (რომლის მეცადინეობითაც სამოციან წლებში შუა აზიაში შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა დაარსდა) თურქეთის აგენტი უწოდა, მეორე დილას, 30-ში, იმავე კინოს სახლთან კვლავ წარსდგა შეკრებილთა წინაშე და წინა საღამოს მიწოდებულ ინფორმაციაში „მცირედი" შესწორება შეიტანა. თურმე, ნუ იტყვით, სამტრედიაში 130 ოჯახი კი არ ჩასახლებულა, არამედ — 22; ისინი სვანებისათვის განკუთვნილ სახლებში კი არ შეჭრილან, არამედ მათი ჩამოყვანა დიდი ხნით ადრე ყოფილა დაგეგმილი და სახლებიც მათთვისვე აუშენებიათ; ამასთან — თურქები კი არ ყოფილან, არამედ ნაღდი ქართველები, თანაც, ჰოი, საოცრებავ, ჩახო ჩიტაძეც და სხვა მესხებიც, თურმე, ქრისტიანულად ინათლებიან კიდეც! სწორედ ამგვარ შემთხვევაზე ითქმის, კომენტარი ზედმეტიაო!!!

განა გასაოცარი არ არის, ამ სიტყვების ავტორი (იგულისხმება ზ. გამსახურდიას სიტყვები — „წმინდა ილია მართლის საზოგადოების პროგრამაში შედის ქართული ორიენტაციის მესხების ჩამოსახლება". ვ. ძ.) ჩვენ მტრებსა და მოღალატეებს რომ გვიწოდებს?! ციტირებული სიტყვები ხომ ზედმიწევნით კარგად გადმოსცემს ჩვენს პოზიციასაც?! თვითონ ზ. გამსახურდიაც ხომ წლების მანძილზე და სულ ბოლო

დრომდე ამ თვალსაზრისზე იდგა და მესხთა ჩამოსახლებას აქტიურად მოითხოვდა! რა ვქნათ ახლა ჩვენ, მტერი და მოღალატე ვუძახოთ ამისათვის?! დავუშვათ და, ისეთი რამ შეიტყო, რაც ადრე არ იცოდა და ჩვენთვის არც ახლაა ცნობილი, საინტერესოა, როგორ ფიქრობს, — თვითონ სამშობლოს მიმართ წლების მანძილზე მტრულ და მოღალატურ საქმიანობას ეწეოდა?! არადა, ახლა რა შეიტყო ისეთი, დიამეტრულად რომ შეიცვალა პოზიცია! ჯერ კიდევ 18 ივნისს ბორჯომში ჩატარებულ მიტინგზე იგი მესხთა ჩამოსახლების მომხრე იყო, მაგრამ 20 ივნისს კინოსტუდიაში უკვე სრულიად საპირისპირო მოთხოვნით გამოვიდა და ჩვენი საზოგადოების ლანძღვას შეუდგა! რით აიხსნება ეს, თუ არა ახირებული სურვილით, ნებისმიერ ფასად, ცილისწამებითა და ჭორებით სახელი გაუტეხოს ჩვენს საზოგადოებას (გაზ. „ივერია", №10, 1989 წლის 3 ივლისი, „ფიცი გვწამს...").

შესაძლოა, არც ღირდა ამ ვრცელი ციტატების მოტანა, რაც მომავალი ისტორიკოსისათვის თავისთავად საინტერესოა, ეს რომ ერთჯერადი ფაქტი ყოფილიყო. ჩვენდა საუბედუროდ, მომდევნო პერიოდში „სამშობლოს მოღალატე" ცალკეულ პირთა და ორგანიზაციათა რიცხვი თანდათან იზრდება. ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთ პოზიციაზე მდგომი პიროვნებები და ორგანიზაციები, იქმნება, იშლება და კვლავ იქმნება არაფორმალურ ორგანიზაციათა ახალ-ახალი გაერთიანებები ნაირ-ნაირი მყვირალა სახელებით; ცილისწამება, კინკლაობა და დაპირისპირება ეროვნული მოძრაობის შიგნით შემდგომში (ჯერ კიდევ მრგვალი მაგიდის ხელისუფლებაში მოსვლამდე) ლამის ჩვეულებრივი მოვლენა ხდება.

მესხთა პრობლემის ირგვლივ პოზიციათა დაფიქსირება ძლივს მოხერხდა, რომ მდგომარეობა მწვავდება სამაჩაბლოსა და ქვემო ქართლში; ივნისის ბოლოს მარნეულში აზერბაიჯანელი ეროვნების წარმომადგენლები ატარებენ არასანქცირებულ მიტინგს და ავტონომიური რესპუბლიკის ჩამოყალიბებას მოითხოვენ. ამის საწინააღმდეგოდ ქართული მოსახლეობა აზერბაიჯანელთა გასახლებას მოითხოვს. ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს. საქართველოს ხელისუფლებამ სამივე რაიონის თითქმის ყველა ქართულ და რიგ აზერბაიჯანულ სოფლებში შინაგანი ჯარი და მილიცია ჩააყენა.

საქართველოს ხელისუფლებას შსს ჯარი და მილიცია ქვემო ქართლში ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე არ ჩაუყენებია. უბრალოდ, იმ პერიოდში მოსკოვს აზერბაიჯანელებსა და

ქართველებს შორის კონფლიქტის დაფიქსირება სჭირდებოდა, რასაც მიაღწია კიდეც, და არა კონფლიქტის გაღვივება. ჯერ ერთი — ფართომასშტაბიანი კონფლიქტისათვის აზერბაიჯანელი მოსახლეობა მთლიანობაში მზად არ იყო; მართალია, არსებობდა ანტიქართული განწყობილება, მაგრამ კონფლიქტის გაღრმავებისთვის მარტო „განწყობილება" არ კმარა, კიდევ მრავალი სხვა ფაქტორია საჭირო, რომ მოსახლეობამ ხელში იარაღი აიღოს; და მეორე — ქვემო ქართლში აზერბაიჯანელთა და ქართველთა კონფლიქტი აუცილებლად გადაიზრდებოდა საქართველო-აზერბაიჯანის დაპირისპირებაში, რაც რადიკალურად შეცვლიდა ძალთა თანაფარდობას აზერბაიჯან-სომხეთს შორის არსებულ საომარ მდგომარეობაში და, დასასრულამდე მიიყვანდა ყარაბახის კონფლიქტს (სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანად), მოსკოვს კი ყარაბახის კონფლიქტის არსებობა აძლევდა ხელს და არა მისი გადაწყვეტა.

ივლისის პირველ რიცხვებში მდგომარეობა მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდა, თუმცა ლოკალური შეტაკებები მაინც გრძელდებოდა.

ამ მოვლენებმა თავისთავად შეანელა ყურადღება აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე. ჩვენ ვიცოდით, რომ მდგომარეობა მეტად რთული და დაძაბული იყო, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში იძულებული ვიყავით სხვა, ახლად წამოჭრილი პრობლემისთვისაც მიგვეხედა. არადა, 1989 წ. 27 ივნისს სოხუმში ჩატარებულმა აფხაზეთის მშრომელთა კრებამ „აუცილებლად მიიჩნია აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა, ძველი და ისტორიული სამშობლოს სრული და ყოველმხრივი სუვერენიტეტის მიღწევა" და მოითხოვა (სხვა მრავალ მოთხოვნასთან ერთად) „სსრკ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის გამო აფხაზეთი ჩაითვალოს გასულად საქართველოს სსრ შემადგენლობიდან". გარდა ამისა, 3 ივლისის გაზეთ „ბზიფში" გამოქვეყნდა აფხაზი ახალგაზრდების მიერ სსრკ თავდაცვის მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი: „ამჟამად საქართველოში საოცარი რამ ხდება; საქართველოს კპ ცკ ბიურომ (იხ. გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1989 წლის 21 ივნისი) თავის მორიგ სხდომაზე მოიწონა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომ საქ. სსრ კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიას განსახილველად გადაეცეს საკითხები საქართველოს რეალური სუვერენიტეტის განხორციელების, საქართველოს მოქალაქეობის

შემოღების, სსრკ კანონების საქ. სსრ ტერიტორიაზე მოქმედების პირობების, ეროვნული საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წვევამდელების მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავლის შესახებ.

ჩვენი აზრით, ნაციონალურ სამხედრო ფორმირებათა შექმნა მიგვიყვანს უფრო მეტ დაძაბულობამდე სსრკ-ს შიგნით, უფრო სწორად კი სამხედრო შეჯახებამდე, რაც დაკავშირებულია რიგ გადაუწყვეტელ სახელმწიფო პრობლემასთან: ნაციონალურთან, პოლიტიკურთან, ეკონომიკურთან და ა. შ., ასევე გამოიწვევს სამხედრო ხელისუფლების მეტისმეტად დეცენტრალიზაციას. ეს ლოგიკურად გამომდინარეობს მოცემული იდეიდან.

რა ხდება ბოლოს და ბოლოს ქვეყანაში?! ნუთუ აფხაზი ხალხის გარდა არავინ არ სცემს პატივს ჩვენს დიად სამშობლოს — სსრკ-ს?

ჩვენ, აფხაზებს, გვსურს, რომ ახალგაზრდებმა — აფხაზმა ახალწვეულებმა სამხედრო სამსახური საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე მოიხადონ, როგორც იტყვიან, „სამხრეთის მთებიდან ჩრდილოეთის ზღვამდე და ბრესტიდან კამჩატკამდე".

ჩვენ მოვითხოვთ, რომ აფხაზებმა არ გაიარონ სამხედრო სამსახური საქართველოში.

ამჟამად აფხაზეთში მდგომარეობა დაძაბულია. შეიძლება მოხდეს გამოუსწორებელი რამ, აღარ თავდება ქართველ ექსტრემისტთა უსანქციო, პროვოკაციული მიტინგები, რომლებიც შეურაცხყოფენ აფხაზ ერს და პრეტენზიას აცხადებენ ჩვენს მშობლიურ მიწაზე.

ჩვენ კატასტროფის პირას ვართ. ველით დახმარებას მოსკოვიდან, ძმური რუსი ხალხისგან.

დაბეჯითებით გთხოვთ თქვენ, ამხ. სსრკ თავდაცვის მინისტრო, განიხილოთ ჩვენი წინადადებები, დაეხმაროთ კეთილ აფხაზ ხალხს. ძალიან გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ ჩვენი წერილი გამოქვეყნდეს გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში" და, შესაძლებლობის მიხედვით, „კომსომოლსკაია პრავდაში".

ამ წერილს თან ერთვის „ბზიფის" რედაქციის მინაწერი: „ვიყოთ გულწრფელნი, აფხაზეთის რესპუბლიკაში მდგომარეობა ამჟამად მართლაც უკიდურესად დაძაბულია. ეს გამოწვეულია საქართველოს პრესისა და ტელევიზიის გამოსვლებით, რომლებიც პრაქტიკულად გამოვიდნენ საქართველოს კპ ცკ-ს კონტროლიდან. მათი გამოსვლები ძაბავენ აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობას. ისინი

აშკარად აწარმოებენ სსრკ-ს შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფის პროპაგანდას. ეს კი ნიშნავს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაც უნდა მიჰყვეს მას. ჩვენ, აფხაზებს, გვსურს დავრჩეთ დიდი ლენინური ოჯახის — საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

გთხოვთ დაგვიხსნათ ქართველთა შოვინიზმის საფრთხისაგან" (გაზ. „ივერია", №11, 1989 წ. 18 ივლისი).

ალბათ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას გ. გუმბარიძის მეთაურობით აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირება არ მოუხდენია; მიუხედავად მრავალი შემაშფოთებელი ინფორმაციისა — იყო ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზ მოსახლეობას აიარაღებდნენ, გუდაუთაში კი ქართველ მოსახლეობას შეუგდეს წერილები და აფრთხილებდნენ, რომ ქართველებმა გაყიდონ სახლ-კარი აფხაზებზე და დატოვონ აფხაზეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოხოცავენ — ხელისუფლებამ ძველი, წაყრუების პოლიტიკა გააგრძელა.

15 ივლისს აფხაზთა ორგანიზებულმა ჯგუფმა ჯერ ქართული უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი დაარბია, ხოლო შემდეგ რუსთაველის პარკში შეკრებილ ქართველებს დაესხა თავს. ნიშანდობლივია, რომ მილიციის კორდონმა დაუბრკოლებლად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაატარა აფხაზები; მოხდა შეტაკება შეიარაღებულ აფხაზებსა და ქართველებს შორის; შეტაკებას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია, დაიღვარა სისხლი (ამ შეტაკებაში სხვებთან ერთად დაიღუპა „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" სოხუმის განყოფილების გამგეობის წევრი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვოვა ვეკუა), მრავალმა ადამიანმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

სოხუმში დატრიალებული ტრაგედია ელვის უსწრაფესად მოედო მთელ საქართველოს; განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია გალისა და ზუგდიდის მოსახლეობაში; სტიქიურად დაიწყო საპროტესტო მიტინგები, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ზუგდიდისაკენ დაიძრნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ყოველი მათგანი შინაგანად მზად იყო პირველი შესაძლებლობისთანავე სოხუმში წასულიყო თანამემამულეთა დასახმარებლად; გაჩნდა კიდეც ასეთი იდეა და ხალხის გარკვეული ნაწილი სოხუმისაკენ დაიძრა, მაგრამ მათ გზა გადაუღობეს მ. კოსტავამ და ზ. გამსახურდიამ. მათ შეძლეს დაერწმუნებინათ აღელვებული ხალხი, რომ სოხუმისაკენ წასვლა კიდევ უფრო დიდ უბედურებას მოუტანდა საქართველოს.

აფხაზეთის ომი რამდენიმე წლით გადაიდო...

9 აპრილმა, ქვემო ქართლისა და განსაკუთრებით აფხაზეთის ტრაგიკულმა მოვლენებმა ეროვნულ მოძრაობაში და საზოგადოებაში წარმოშვა დაუცველობის სინდრომი. ცხადად ჩანდა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ღებულობდა არავითარ ზომებს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, უკეთეს შემთხვევაში იგი მომხდარი ფაქტის შემდეგ ახდენდა რეაგირებას და ისიც ნაწილობრივ.

ხელისუფლების უმოქმედობას პრესისა და ტელევიზიის ინერტულობაც ემატებოდა. საინფორმაციო საშუალებებს თავი ისე ეჭირათ, თითქოს ქვეყანაში არაფერი ხდებოდა; თუ მაინც იძულებული გახდებოდნენ რაიმე ინფორმაცია გაეშვათ, ამას კლასიკური საბჭოური მეთოდებით აკეთებდნენ — ან სრული დუმილი, ან ნახევრადსიმართლე, რაც კვლავ და კვლავ დეზინფორმაციის, სიყალბისა და ჭორის გავრცელებას უწყობდა ხელს.

ყოველივე ეს მოსახლეობაში მასობრივი ფსიქოზის ატმოსფეროს ქმნიდა.

თბილისში პერმანენტულად მიმდინარე მიტინგებზე მოულოდნელად, საიდანღაც ჩნდებოდა ინფორმაცია, თითქოს თურქი მესხები მოადგნენ საქართველოს საზღვრებს ხან ფსოუზე, ხან დარიალთან, ხან წითელ ხიდთან. ანდა, თითქოს ქვემო ქართლში ისევ დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები და სხვა ამგვარი, რაც მომიტინგეთა შეშფოთებას იწვევდა; იქვე ჩნდებოდნენ მოხალისენი საკუთარი მსუბუქი მანქანებით, რომლებიც მზად იყვნენ მოსული ინფორმაცია გადაემოწმებინათ და ეროვნული მოძრაობის აქტივისტებიც აქეთ-იქით აწყდებოდნენ ინფორმაციის დასაზუსტებლად, მიტინგი კი ღელავდა, იძაბებოდა და სწორ ინფორმაციას ელოდა.

ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ამ ვითარებას, ვფიქრობ, ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ზ. ჭავჭავაძის წერილი „პოტენციურ მოკავშირეებს მტრებად ნუ მოვიკიდებთ!", რომელიც გაზ. „ივერიის" 1989 წლის 12 აგვისტოს №12-ში გამოქვეყნდა:

„უმძიმესი გამოცდის წინაშე დგას ქართველი ერი. საქართველოს დაუძინებელი მტრის წაქეზებით აფხაზეთსა და ქვემო ქართლში ერთაშორისი ურთიერთობების დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია და სწორედ მაშინ, როცა აფხაზეთშიც და ქვემო ქართლშიც საგანგებო რეჟიმი იქნა შემოღებული, როცა განსაკუთრებული სიბრძნე და აუღელვებლობა გვმართებდა, სულთმობრძავმა იმპერიამ ჭორებისა

და დეზინფორმაციის გავრცელებით სცადა მდგომარეობის დესტაბილიზაცია საქართველოს სხვა რეგიონებში და ქართველების წაკიდება ოსებთან და ლეკებთან. არის შემთხვევები, როდესაც ზოგი პროვოკატორი ამ მიზნით არაფორმალურ გაერთიანებათა მიერ ჩატარებულ მიტინგებსაც კი იყენებს.

20 ივლისს, შუაღამისას, დაგვირეკეს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ქარელის რაიონული განყოფილების წევრებმა – ქარელში და გორში წმიდა ილია მართლის საზოგადოებამ მიტინგები ჩაატარა, სადაც ითქვა ოსების მოსალოდნელი თავდასხმების შესახებ, ასახელებდნენ თარიღსაც – 23 ივლისს. ხალხი ძლიერ აღელვებულია, შეიარაღდა და გზებზე გამოვიდა, გამვლელ მანქანებს აჩერებენ და ჩხრეკენ, ერთმა მანქანამ არ გააჩერა, მტერი ეგონათ, ტყვიაც დაუშინეს, ორივე უკანა საბურავი გასკდა და დაცხრილული მანქანიდან შიშისაგან გონდაკარგული სომეხი გადმოვიდა, რომელსაც თურმე, პამიდორი მიჰქონდა გასაყიდად. ერთი სიტყვით, მასობრივი ფსიქოზის მდგომარეობაში ვართ, მოგვეშველეთო. მეორე დილითვე ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები ცხინვალში ვიყავით. ჩვენი მოლოდინი გამართლდა, არავითარ თავდასხმაზე ოსებს არც უფიქრიათ, წინა დღის ამბები კი შეეტყოთ და ძალიან შეწუხებულები ჩანდნენ. ჩვენი და „ადამონ ნიხასის" ერთობლივი მიმართვა ქართველი და ოსი ხალხებისადმი რესპუბლიკის ქართულ და რუსულ პრესაშიც დაიბეჭდა და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, იმას კი ვიტყვით, რომ საქართველოში მცხოვრები ოსების აბსოლუტური უმრავლესობა დღეს სისხლისმიერი ნათესაობითაა დაკავშირებული ჩვენთან და ძალიან უნდა მოვინდომოთ, რომ ჩვენს შორის მტრობა ჩამოვაგდოთ! ვითომ ძნელი მისახვედრია, ვის სჭირდება ამგვარი რამ?!

23 ივლისს, ღამის თორმეტის ნახევარზე ყვარელში თბილისიდან ჩავიდნენ უცნობი პირები, რომელთაც თავი გამოაცხადეს „ეროვნული ხსნის კომიტეტის" და ზ. გამსახურდიას წარმომადგენლებად. ისინი მანქანით დადიოდნენ ქუჩებში და ხალხს მეგაფონით იწვევდნენ მიტინგზე. შეკრებილთ მოუწოდეს უვადო გაფიცვისაკენ და შეიარაღებისაკენ. ხანმოკლე მიტინგის დასასრულს ერთ-ერთმა დაუპატიჟებელმა სტუმარმა ყვარლელებს მოუწოდა: ნოდარ ბერიკაშვილს (ახალსოფლის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე) ჰყავს ავტომატებით შეიარაღებული 300 კაცი, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან გადამჭრელი ზომების მისაღებად, თქვენც შეიარაღდით და ჩაკეტეთ დაღესტნიდან

ჩამოსასვლელი გზები, რადგან ლეკები თქვენზე თავდასხმას აპირებენო. ამან ხალხში გამოიწვია ძლიერი მღელვარება და შეძახილები: წავიდეთ ლეკების სოფელშიო! ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ყვარლის რაიონული განყოფილების წევრებმა მოახერხეს პროვოკაციის აღკვეთა და ლეკებთან შეტაკების თავიდან აცილება, მაგრამ შეშფოთებულმა ყვარლელებმა შეიარაღებული რაზმები შექმნეს და ორი დღე-ღამის განმავლობაში დაღესტნიდან გადმოსასვლელი გზები ჰქონდათ შეკრული. რაღა თქმა უნდა, დაღესტნიდან არავითარი მტერი არ გადმოსულა, ჩამოვიდა კი კორესპონდენტი მახაჩყალიდან, რადგანაც იქ ხმა დაირხა, ქართველები ლეკებს დაერივნენო. ჩვენი საზოგადოების წევრები შეხვდნენ კორესპონდენტს და ლეკების სოფლები დაატარეს, რათა დაერწმუნებინათ, რომ არავითარ ძალმომრეობას ლეკების მიმართ ადგილი არა აქვს. რა დაწერა მახაჩყალელმა კორესპონდენტმა, ჯერჯერობით არ ვიცით.

ორიოდე დღით ადრე გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყში ღამის 3 საათზე გაბმული ხმოვანი სიგნალებით ჩაიარა უნომრო მანქანამ, რომლის მძღოლიც ყვიროდა: ხალხო, ყვარელს ლეკები დაეცნენ, ააოხრეს და ახლა აქეთ მოდიანო!

შეშფოთებულმა გურჯაანელებმა თელაველებსაც შეატყობინეს „ლეკიანობის" ამბავი, ამ დროს კი ყვარელს მშვიდად ეძინა.

საქართველოში ბევრმა არ იცის, რომ დაღესტნელები დღეს ჩვენი კეთილი მეზობლები არიან და ლეკებთან ურთიერთობაზე გასული საუკუნის მიხედვით მსჯელობს. არადა, დღევანდელ დაღესტანში ჩვენი დიდი რიდიცა აქვთ და სიყვარულიც. საკმარისია ქართველი კაცი ლეკურ სოფელში შევიდეს და მთელი სოფელი ერთმანეთს ეცილება სასურველი სტუმრის მიღება-გამასპინძლებაში. დაღესტნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ლეკები საქართველოს ხედავენ იმედად და მოკავშირედ და ამ შექმნილ ვითარებაში, თუ მიხვდები, მკითხველო, ვის აძლევს ხელს ქართველებისა და ლეკების ურთიერთწაკიდება?! ეს რა უბედურება გვჭირს, თითქოსდა მტერი გვაკლდეს, ვილაც-ვილაცეები ცდილობენ ჩვენი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმონ და ახალ-ახალი დაძაბულობის კერები შექმნან...

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დარბაზის წევრს, ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმის დირექტორს ბ-ნ ილო ბეროშვილს ყვარლის რაიონში მცხოვრებმა ლეკებმა ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე მიმართეს თხოვნით — დავხმარებოდით სამშობლოში დაბრუნებაში.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ყვარლის რაიონული განყოფილება პრაქტიკულ დახმარებას უწევს რაიონში მოსახლე ლეკებს, რომ მათ სახლ-კარის ანაზღაურება მიიღონ და დაღესტანში გაემგზავრონ. დღეისათვის სოფ. თხელის წყაროში, რომელშიც მხოლოდ ლეკები ცხოვრობდნენ, 7 ოჯახილა დარჩა. დანარჩენები მშვიდობით დაბრუნდნენ სამშობლოში. წავიდნენ, როგორც საქართველოს მოყვრები და არა როგორც მტრები, წავიდნენ ჩვენი მადლიერნი. და განა არსებობს სხვაგვარი გადაწყვეტა ამ მტკივნეული პრობლემისა?! ყველას ვთხოვთ, ნუ შეგვიშლიან ხელს ლეკების მშვიდობით გასტუმრებაში! გვაცალეთ, რათა გამოუსწორებელი რამ არ მოხდეს და ჩვენი პოტენციური მოკავშირე მტრად არ მოვიკიდოთ!

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაპირისპირება არცერთ ჩაგრულ ხალხთან არ ეგების".

მასობრივმა ფსიქოზმა, დაუცველობის სინდრომმა მოსახლეობაში ბუნებრივად გააღვივა თავდაცვის ინსტინქტი. აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის დროს ზუგდიდის იზოლატორზე განხორციელებულმა სტიქიურმა თავდასხმამ, როდესაც მილიციიდან ცეცხლსასროლი იარაღის დაიტაცეს, ახლა საქართველოს სხვა რეგიონებშიაც მოიკიდა ფეხი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზუგდიდის იზოლატორის აქციის მონაწილენი და ორგანიზატორები (დ. ანთია, ზ. ქობალია) ზუგდიდის საზოგადოებისათვის და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთათვის ცნობილი პირები იყვნენ, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში მილიციის განყოფილებებზე თავდასხმები და იარაღის გატაცება კი სტიქიურად და უკონტროლოდ ხდებოდა (უკონტროლოდ, როგორც ჩანს, ეროვნული მოძრაობისათვის, თორემ ხელისუფლებამ მშვენივრად იცოდა, ვის მიჰქონდა იარაღი). დაიწყო მოსახლეობაში იარაღის გავრცელება. ამავე პერიოდში შეიქმნა პირველი არაოფიციალური გასამხედროებული ჯგუფი „საქართველოს მხედრიონი".

დღეს მხედრიონზე აუგის თქმა ურისკოცაა და მომგებიანიც; ბევრი ალაპარაკდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი დააპატიმრეს, მაშინ კი, მხედრიონის ზეობის ჟამს, ცოტანი თუ ამჟღავნებდნენ საკუთარ პოზიციას. ცოტა მოგვიანებით შეიქმნა სხვა გასამხედროებული დაჯგუფებებიც — „მ. კოსტავას საზოგადოება", „იმედი" (სახალხო ფრონტთან), „თეთრი არწივი", „ავაზა" და სხვა; მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა პარტიამ შექმნა გასამხედროებული ჯგუფი, პარტიის ლიდერის

პირადი დაცვა. გასამხედროებული ჯგუფების შექმნა ერთგვარ მოდადაც კი იქცა ეროვნულ მოძრაობაში. რაც მთავარია, ჩვენ ყველამ შესაძლებლად ჩავთვალეთ ეროვნულ მოძრაობაში თოფიანი კაცის არსებობა და ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, რადგან თოფი გაჩნდა, ის უნდა გავარდნილიყო და გავარდა კიდეც!

მე ქედს ვიხრი მათ წინაშე, ვინც იარაღით ხელში იბრძოდა და ცდილობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაეცვა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სამხედრო დაჯგუფებებმა ვერ მოახერხეს იმ პრობლემების გადაჭრა, რისი გულისთვისაც თითქოს შეიქმნენ.

არა რომელიმე ცალკეული ფორმირების, არამედ, ზოგადად, თოფიანი კაცის არსებობა ეროვნულ მოძრაობაში იყო ეროვნული მოძრაობის ლიდერთა და, საერთოდ, მთელი ეროვნული მოძრაობის კიდევ ერთი მცდარი ნაბიჯი.

ჩვენ, რესპუბლიკელები, პარტიათა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მივეკუთვნებით, რომელთაც გასამხედროებული ფორმირება არც შეუქმნიათ და არც უცდიათ მისი შექმნა. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ არც მე და არც ჩემი მეგობრები რესპუბლიკური პარტიიდან, არაფრითა ვართ დავალებული მხედრიონისაგან. მართალია, ჩვენ არ გამოგვითქვამს პროტესტი, როდესაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა და საწყის ეტაპზე ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ არც აღფრთოვანება გამოგვიხატავს! შემდგომში ჩვენ არაერთგზის დავაფიქსირეთ ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფო სტრუქტურებს გარეთ არსებული გასამხედროებული ჯგუფების მიმართ და არა მხოლოდ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ.

ჯერ კიდევ 1991 წლის იანვრის დასაწყისში შევხვდი ბ-ნ ჯ. იოსელიანს ჭადრაკის სასახლეში (იმჟამად იქ მხედრიონის შტაბ-ბინა იყო განლაგებული). ეს არ ყოფილა კონსპირაციული შეხვედრა, მას მხედრიონის იმდროინდელი შემადგენლობის თავკაცებიც და საზოგადოებისათვის ცნობილი რამდენიმე პიროვნება ესწრებოდა, ზოგიერთ მათგანს საკმაოდ მაღალი პოსტიც ეჭირა შევარდნაძის ხელისუფლებაში.

საუბარი, რომელიც რესპუბლიკური პარტიისა და მხედრიონის შესაძლო თანამშრომლობას ეხებოდა, თითქმის ხუთი საათი გაგრძელდა. მე ვთვლიდი, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ

პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში შეიცვალა, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნდა მხედრიონს პროფილი შეეცვალა, იარაღი ჩაებარებინა და პოლიტიკურ ორგანიზაციად ქცეულიყო, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა რეალურად გვესაუბრა თანამშრომლობაზე. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ „იმელში" მომხდარი ინციდენტის შემდეგ, რასაც ზ. გამსახურდიას და მისი მომხრეების ფორუმიდან გასვლა მოჰყვა, ურგთიერთობა ზ. გამსახურდიასა და ჯ. იოსელიანს შორის უკიდურესად დაიძაბა. ჩემი აზრით, ზ. გამსახურდია ყველა ღონეს იხმარდა მხედრიონის გასანადგურებლად, რაც სამართლიანი იქნებოდა, რადგან არც ერთი ხელისუფლება არ დაუშვებს ქვეყანაში დამოუკიდებლად მოქმედი სამხედრო ფორმირების არსებობას; ყოველივე ეს ქმნიდა შეიარაღებული შეტაკების შესაძლებლობას და მე ვერ ვხედავდი ასეთ კონფლიქტში რუსეთის ჩაურევლობის გარანტიას.

ბ-ნი ჯ. იოსელიანი შესაძლებლად მიიჩნევდა მხედრიონის პროფილის შეცვლას, მაგრამ არა პოლიტიკურ ორგანიზაციად, არამედ, საზოგადოებრივ ორგანიზაციად — მაშველთა კორპუსად გარდაქმნას. რაც შეეხება იარაღის ჩაბარებას, თვლიდა, რომ ზ. გამსახურდია ეჭვიანი კაცია და არათუ ცეცხლსასროლი იარაღი, სახლებიდან დანებიც რომ მოვიტანოთ და ჩავაბაროთ, მაინც არ დაიჯერებს, იფიქრებს, იარაღის ნაწილს აუცილებლად გადამალავდნენო, ამიტომ, იარაღის ჩაბარებას აზრი არა აქვს, თუმცა ჩვენ ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღს არ გამოვიყენებთ, რუსეთის ჩაურევლობის გარანტია რომ მქონდეს, მაგათ (ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას, ვ. ძ.) ორ საათში გავრეკავდიო, — დაასკვნა ბოლოს.

ასე დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. იმავე წლის თებერვალში ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ რუსული ჯარის გამოყენებით შავნაბადაზე დაარბია მხედრიონი. წინააღმდეგობის გაწევა, მით უმეტეს, იარაღის გამოყენება მხედრიონელებს არც უცდიათ. თავად ჯ. იოსელიანმა, მიუხედავად იმისა, დარწმუნებული იყო, დააპატიმრებდნენ, ისიც კი არ ჩათვალა საჭიროდ, დროებით მაინც მიმალულიყო, მისი ბიოგრაფიის კაცს ეს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა.

არ ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ პირადად მე დარწმუნებული ვარ, სანამ რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში

არ შეცვლილა, რუსული ჯარის გამოყენება ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, მიუხედავად იმისა, „ოკუპანტის" სტატუსი ექნება თუ „სამშვიდობო ძალების" მანდატი, შეუძლებელია.

საოცარი ის არის, რომ ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ უკვე თავად ჯ. იოსელიანი იყო თავგადაკლული მომხრე ენგურზე რუსული ჯარის ჩაყენების და მათთვის „სამშვიდობო ძალების" მანდატის მინიჭებისა. ვისაც პარლამენტის ეს სხდომა უნახავს (მიმდინარეობდა მისი პირდაპირი ტრანსლაცია) გაიხსენებს, როგორ „გვავარჯიშებდა" რუსულში ბ-ნი ჯ. იოსელიანი და „გვიხსნიდა", რას ნიშნავდა „ოტსუდა" და „ოტტუდა", „ოტ ინგური" და „დო ინგური". ჩვენ კი თავგამოდებით ვამტკიცებდით, რომ რუსული ჯარი ენგურზე, უკეთეს შემთხვევაში, სასაზღვრო ჯარის ფუნქციას შეასრულებდა. როდესაც მივხვდით, რომ ვერაფერს გავხდებოდით, ბ-ნმა ივლიანე ხაინდრავამ გააფრთხილა კიდეც: „დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა ისეთია, რომ იგი იყენებს ადამიანებს და შემდეგ ნახმარი ცხვირსახოცივით მოისვრისო".

არც ამ გაფრთხილებამ გასჭრა და რუსული ჯარი ენგურზე მაინც ჩააყენეს!

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მხედრიონი ანგელოზებით იყო დაკომპლექტებული. ისიც ცხადია, რომ ბოროტმოქმედების გამართლება შეუძლებელია და დამნაშავე უნდა დაისაჯოს. რა თქმა უნდა, იყო ყაჩაღობები, ფვლელობები, მანქანების წართმევა და „ვაზვრატი", სამოქალაქო ომი და სამეგრელოს ამბები, მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ იყო სამაჩაბლო და იყო აფხაზეთი. ვერავინ დამარწმუნებს, გამოსროლილ ტყვიას იმის გარჩევა შეეძლოს, ვინ საომრადაა ჩამოსული და ვინ საყაჩაღოდ — ბევრი დაიჭრა, ბევრი დასახიჩრდა და ბევრი დაიღუპა — ამის ვერშემჩნევა, ამის დაუნახაობა შეუძლებელია!

ჩვენ, პირველ რიგში, ხელისუფლებამ და შემდეგ საზოგადოებამ, ისიც ვერ შევძელით, ომში დაღუპულთათვის ცალკე სამარხი შეგვერჩია; იუნკერთა საფლავებზე მთავრობის სასახლე წამოვჭიმეთ (მაშინ ჩვენ, მართალია, არაფერს გვეკითხებოდნენ), ხოლო საბურთალოს სასაფლაოზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დაკრძალულ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაღუპულ მეომართა საფლავების ირგვლივ იმდენი ახალი საფლავი გაჩნდა, რომ,

ჩემი აზრით, ჩვენი ერისთვის და ხალხისთვის ეს წმიდა ადგილი ჩვეულებრივ სასაფლაოდ ვაქციეთ.

გვერდით მდგომი თანამებრძოლისა და მეგობრის დაღუპვა არავის აძლევს ბოროტმოქმედების ჩადენის უფლებას და არც პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს ვინმეს, ისევე, როგორც არ ათავისუფლებს ხელისუფლებას და სახელმწიფოს მოვალეობისაგან, იზრუნოს იმ ადამიანთა ბედზე, ვინც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის იბრძოდა; მით უფრო, როდესაც საქმე დამარცხებულ ხალხთან გვაქვს („ვიეტნამის" სინდრომი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა ამერიკული საზოგადოებისთვისაც კი).

ხელისუფლებას, სურვილის შემთხვევაში, თავიდანვე შეეძლო მათი კალაპოტში მოქცევა, თუკი მათთან კონსტრუქციულ დიალოგს გამართავდა (ვგულისხმობ არა მარტო მხედრიონს, არამედ გვარდიელების იმ ნაწილსაც, ვინც თ. კიტოვანის ექსპედიციაში ღებულობდა მონაწილეობას), მხოლოდ იმის განცხადება, რომ „ჯაბა ჩემი მეგობარია" (ე. შევარდნაძე), რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველიდა, ისევე, როგორც ვერ უშველა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას იმის დეკლარირებამ, „თუ ისინი ტყვიებს გვესვრიან, ჩვენ ვარდები ვესროლოთო". სინამდვილეში ორივე პრეზიდენტი ცდილობდა მათ განადგურებას (ამ შემთხვევაში ხელისუფალთა მოქმედების სამართლებრივ მხარეს არ ვეხები, ვ. ძ.); ზ. გამსახურდიამ ვერ შეძლო, ე. შევარდნაძემ დროებით მოახერხა, თუმცა, არავინ იცის, დესტაბილიზაციის რა ხარისხს გამოიწვევდა, თუ „შემთხვევით" მოხერხდებოდა კოლონიებიდან მათი ერთდროული გაქცევა!

ხელისუფლებას შეეძლო მხედრიონის კალაპოტში მოქცევაო, რომ ვამბობ, ამგვარი განცხადების საფუძველს მაძლევს ერთი ფაქტი: მხედრიონის ზეობის ჟამს ჩვენ გაზეთ „საქართველოში" გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ხელს უშლიდა მხედრიონის არსებობა და მისი საქმიანობა. ამ ინფორმაციამ მხედრიონელთა პროტესტი გამოიწვია, მათ მოგვთხოვეს იმ წყაროს დასახელება, რომელმაც ასეთი ინფორმაცია მიაწოდა გაზეთს. დავთქვით შეხვედრა; ჩვენი მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბ-ნები ნ. ნათაძე, თ. პაატაშვილი და მე, მხედრიონიდან — თბილისის მხედრიონის

უფროსი (გვარი არ მახსოვს) და რამდენიმე პირი. საქმის კურსში, როგორც გვითხრეს, იყო გ. გელაშვილი. რადგან ჩვენ უარი განვაცხადეთ ინფორმაციის წყაროს დასახელებაზე, მოგვთხოვეს, ჩვენვე გაგვეკეთებინა ამ ინფორმაციის უარყოფა იმავე გაზეთის საშუალებით. ჩვენთვის არც ეს წინადადება აღმოჩნდა მისაღები და შევთავაზეთ, მათ თავად გაეკეთებინათ განცხადება, ჩვენ კი აუცილებლად დავბეჭდავდით გაზეთ „საქართველოს" შემდეგ ნომერში, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ საჭიროდ ჩავთვლიდით, ჩვენი კომენტარიც იქნებოდა. ამაზე შევთანხმდით, მათ მოიტანეს განცხადება და გაზეთის შემდეგ ნომერში დაიბეჭდა მხედრიონის განცხადება ჩვენი კომენტარით.

ვინ ვიყავით ჩვენ?! ოპოზიციური ორგანიზაცია, „სამი ნეგატიური ძალის გაერთიანება", როგორც ე. შევარდნაძემ გვიწოდა (პირდაპირ სანქციაა გაცემული!) და ჩვენ შევძელით მათი დარნმუნება, მათზე ზემოქმედების სხვა მექანიზმი ჩვენ არ გაგვაჩნდა; მაშ, რატომ ვერ შეძლებდა ამის გაკეთებას ხელისუფლება? რა თქმა უნდა, შეძლებდა! მაგრამ მას ისეთი მხედრიონი სჭირდებოდა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში განტევების ვაცად აქცევდა (აქ ლაპარაკია ხელისუფლების უმაღლეს ბიუროკრატიულ ელიტაზე და არა მარტო ერთ პიროვნებაზე). მხედრიონისნაირი ასი ორგანიზაციაც რომ ყოფილიყო, ისიც ვერ დამართებდა ქვეყანას და თითოეულ მოქალაქეს იმას, რაც ე. წ. ლიბერალურმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ მოუტანა, რითაც ხელისუფლებამ და ბიუროკრატიამ მოსახლეობის ტოტალური გაქურდვა მოაწყვეს. თავისი საქმეების საკეთებლად ბიუროკრატიას ყოველთვის სჭირდება მტრის ხატი, რომლისკენაც მიმართავს საზოგადოების გულისწყრომას.

საქართველოს ისტორიას მრავალი ტრაგიკული თარიღი ახსოვს; ერთ-ერთი ასეთია 1989 წლის 13 ოქტომბერი, სოფ. ბორითთან მომხდარი ავტოავარია, რის შედეგადაც ადგილზევე დაიღუპა მერაბ კოსტავა, სხეულის უმძიმესი დაზიანება მიიღო ზურაბ ჭავჭავაძემ, შედარებით მსუბუქად დაშავდა თამარ ჩხეიძე, რომელიც იმავე დღეს გადაიყვანეს თბილისის ნერვოლოგიურ საავადმყოფოში; ორი დღის შემდეგ შესაძლებელი გახდა ზურაბ ჭავჭავაძის გადაყვანა იმავე საავადმყოფოში; მანამდე მან ორჯერ გადაიტანა კლინიკური სიკვდილი.

ავარიის შესახებ შუადღისას შევიტყე და გ. გაბიძაშვილის მანქანით

დაუყოვნებლივ გავეშურეთ ბორითისაკენ. იქ დაგვხვდა ბ-ნი ნ. ნათაძე, რომელიც თურმე ბათუმში მიემგზავრებოდა და ავარიიდან ერთი საათის შემდეგ ჩასულა ბორითში, ცხადია, ბათუმისკენ გზა აღარ გაუგრძელებია. ბ-ნი ნოდარი და მე იმ ადგილისაკენ გავეშურეთ, სადაც ავარია მოხდა (ჩვენი ჩასვლის დროს დაშავებულები უკვე ბორითის საავადმყოფო-ამბულატორიაში ჰყავდათ გადაყვანილი), ადგილს ვათვალიერებდით, თან ერთმანეთს მოსაზრებებს ვუზიარებდით; ბ-ნი ნოდარი ფიქრობდა, რომ ავარია სუკ-ის მიერ იყო ორგანიზებული, მე ამგვარ ვერსიას საკმაოდ სკეპტიკურად ვუყურებდი და, სიმართლე ითქვას, უფრო დარწმუნებული ვიყავი, რომ ავტოკატასტროფა შემთხვევით მოხდა.

პირველი ბზარი ჩემს პოზიციაში მაშინ გაჩნდა, როდესაც ავტოკატასტროფიდან 69-ე დღეს ზურაბ ჭავჭავაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მოულოდნელადო, ვამბობ იმიტომ, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი ავტოკატასტროფის შედეგად მიღებული ტრავმა არ ყოფილა — ზურაბს ფუძის მოტეხილობა ჰქონდა, თავიდან ექიმები საკმაოდ ეჭვით უყურებდნენ მის გამოჯანმრთელებას და თვლიდნენ, რომ თუ სასწაული მოხდებოდა და გადარჩებოდა, ფეხზე წამოდგომას მაინც ვერ შეძლებდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მოსკოველმა სპეციალისტებმა, რომლებიც პერიოდულად ჩამოდიოდნენ თბილისში და თვალყურს ადევნებდნენ ზურაბის ჯანმრთელობას, განაცხადეს, „ზურაბი არა მარტო გადარჩება, არამედ გაივლის კიდეკო!". სწორედ ამ განცხადების შემდეგ, ზურაბს მოულოდნელად შეეყარა ბოტკინის დაავადება და გარდაიცვალა. ზურაბი ცალკე პალატაში იწვა და მასთან მხოლოდ მედპერსონალი შედიოდა, რა იყო ბოტკინის გამომწვევი მიზეზი, ამის დადგენა ვერც მაშინ მოხერხდა და ვერც შემდგომ.

ცნობილია, რომ ავტოკატასტროფის შემდეგ დასახმარებლად მისულ ხალხს მერაბი სთხოვდა ზურაბისა და თამარისათვის მიეხედათ, ისიც ცნობილია, რომ მას ნემსი გაუკეთეს, ხოლო თბილისის №1 საავადმყოფოში გადმოსვენებულ მის ცხედარს სამედიცინო ექსპერტული გაკვეთა არ ჩაუტარდა. გაურკვეველი დარჩა, კონკრეტულად რამ გამოიწვია მისი გარდაცვალება.

ეს ფაქტები და შემდგომში ეროვნული მოძრაობის შიგნით წარმოქმნილი გაუთავებელი კონფლიქტები მაფიქრებინებს, მიუხედავად იმისა, სოფ. ბორითთან მომხდარი ავტოკატასტროფა მოწყობილი

იყო თუ არა, მისი შედეგები სუკ-მა ბრწყინვალედ გამოიყენა სწორედ ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგოდ.

მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე — ორი ნათელი პიროვნებაა ეროვნულ მოძრაობაში.

ზურაბ ჭავჭავაძეს, როგორც პოლიტიკოსსა და მოაზროვნეს, ცუდად იცნობს ფართო საზოგადოება. მისი შეხედულებები და პოლიტიკური ანალიზი თვითგამოცემის ჟურნალებსა და გაზეთებში იბეჭდებოდა; შეზღუდული ტირაჟის გამო ეს გამოცემები მიუწვდომელი იყო ფართო საზოგადოებისათვის, მხოლოდ რამდენიმე ინტერვიუ გამოქვეყნდა ოფიციალურ პრესაში. არადა, დღეს, როდესაც იმ პერიოდის პოლიტიკური სიტუაციის ანალიზს ეცნობი, ნათლად ჩანს, რა ზუსტად და სწორად ხდება პრობლემის წამოწევა, მისი გადაჭრის გზების მოძიებაც და მოსალოდნელი საფრთხის გააზრებაც ზურაბის ნაწერებში.

ორი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს თბილისში თუ თბილისს გარეთ; ზურაბი მინახავს დალლილიც, დალონებულიც, მაგრამ მოშვებული და ხელჩაქნეული — არასოდეს; პირიქით, შინაგანად ყოველთვის მთლიანი, მიზანმიმართული და საპაექროდ გამზადებული იყო, საქმის კეთებაც გულიანად იცოდა და მოლხენაც, თუკი ამის საშუალება მიეცემოდა, — ამ თვისებებით ზურაბი და მერაბი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. 9 აპრილის შემდეგ მათ შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუმჯობესდა. მოხარული ვარ, რომ ამ საქმეში ტ. ღვინიაშვილთან ერთად მცირე წვლილი მეც მიმიძღვის. რბილად რომ ვთქვათ, ძალიან კარგად მუშაობდა „გაფუჭებული ტელეფონი" და აქეთ-იქით დაატარებდა „ინფორმაციას"; დარწმუნებული ვარ, გ. ჭანტურიასა და ზურაბს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობაც და მრავალი სხვაც სწორედ ამ „გაფუჭებული ტელეფონის" შედეგი იყო. ბორითის ავტოკატასტროფა რომ არა, ალბათ, მოხერხდებოდა ამ „ტელეფონის" გათიშვა. საერთოდ, 9 აპრილიდან ბორითის ტრაგედიამდე არაფორმალურ ორგანიზაციათა შორის ურთიერთობა თითქმის ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ზურაბი ამით ძალიან კმაყოფილი იყო.

9 აპრილის ამბების გახსენებისას ხუმრობით ამბობდა, „იმ ღამით დავრწმუნდი, რომ ნამდვილი კახელი ვარ, რაც მე

თავში „დუბინკები" მირტყეს, კახელის მეტი ამას ვერავინ გაუძლებდაო". თუ რაიმე პრობლემა წამოიჭრებოდა, ჩქარობდა, მთელი არსებით ცდილობდა მის დროულ მოგვარებას. მე ვაჩერებდი, ვფრთხილობდი, მოვითხოვდი, კიდევ ერთხელ გაგვეანალიზებინა ყველაფერი; ასეთ დროს ღიმილით მეუბნებოდა, „ვერ გავიგე, კახელი მე ვარ თუ შენაო".

ხომ ასეთი მტკიცე და პრინციპული იყო ხელისუფლებასთან და სხვებთან ურთიერთობაში, მიუხედავად ამისა, ბევრი ყოყმანისა და ორჭოფობის შემდეგ ბ. კაკუბავასა და ნ. მგალობლიშვილს უარი მაინც ვერ უთხრა და ორი დღით სოხუმში რამდენიმე კაცისათვის საჩვენებლად გადასცა კ. ხოშტარიას მიერ გადაღებული „ღირსების სასამართლოს" ვიდეოფირი, რომლის ფრაგმენტებიც შემდეგ ტელევიზიით აჩვენეს.

აფხაზეთსა და ქვემო ქართლში მდგომარეობა მეტ-ნაკლებად რომ დასტაბილურდა და სულის მოთქმის ცოტაოდენი საშუალება მოგვეცა, სექტემბრის დასაწყისიდან ინტენსიურად ვხვდებოდით ერთმანეთს ჩემთან სამსახურში, ვგრძნობდით, რომ ძალთა თანაფარდობა იცვლებოდა და იმპერიის მესვეურნი რაღაც ახალ პოლიტიკურ თამაშს იწყებდნენ; ვცდილობდით, გაგვეაზრებინა, რა სიახლეს შეიცავდა ახალი პოლიტიკური მიმართულება და შესაბამისად მოგვეხდინა ჩვენი ძალების რეორგანიზაცია და გადაჯგუფება, სქემატურად თითქმის მოვხაზეთ კიდეც სამოქმედო გეგმა და რომ არა ბორიოის ტრაგედია, ნოემბერ-დეკემბერში დავიწყებდით, ალბათ, მის განხორციელებას, სამწუხაროდ, არ დაგვცალდა — 21 დეკემბერს ზურაბ ჭავჭავაძე გარდაიცვალა.

არადა, როგორ გვეიმედებოდა და როგორ სხვაგვარად წარმოგვედგინა მომდევნო ათწლეული, ყველაფერი ხომ ხელისგულივით, ძალზე ნათლად და გამჭვირვალედ ჩანდა, მთავარი იყო, არ დავყრუებულიყავით, არ დავბრმავებულიყავით და ერთმანეთისთვის თავ-პირი არ დაგველეწა.

ჩვენ კი სწორედ ასე მოვიქეცით!

იქნებ შემთხვევით მოგვივიდა ან იქნებ განგების ნება იყო? — არ ვიცი! (ის კი ვიცი, რომ ამ ეპიზოდის აღწერა, დაბეჭდვა და შენი გარდაცვალების დღისადმი დამთხვევა, ნამდვილად არ დამიგეგმავს და შემთხვევით მოხდა. ან იქნებ, არც ეს მოხდა შემთხვევით და ესეც განგების ნება იყო? არც ეს ვიცი!).

მერაბი და ზურა მაშინ დაილუპნენ, როდესაც ეროვნული მოძრაობა ალმავლობას განიცდიდა, 9 აპრილისა და სოხუმის ტრაგედიის მიუხედავად, საბოლოო მიზანი — საქართველოს დამოუკიდებლობა — რეალური და მოახლოებული ჩანდა; მათ სულებს არ ამძიმებს შემდგომ პერიოდში საქართველოში დატრიალებული ცოდვა, რომელიც ყოველ ჩვენგანს მძიმე ტვირთად აწევს და რომლის თავიდან აცილებაც ვერ შევძელით.

ეროვნული მოძრაობა რომც არ დაწყებულიყო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მეისტორიე მაინც ვერ აუვლიდა გვერდს მერაბ კოსტავას პიროვნებას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ვაუკაცურად გაუძლო თავს დატეხილ მრავალ უბედურებას, უმწიკვლოდ გაიარა საბჭოთა გულაგების ათწლიანი ლაბირინთი — ეს ერთი მხარეა, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ არის მეორეც: ქართველმა დისიდენტებმა დასაწყისში, ხოლო შემდეგ მარტო მერაბ კოსტავამ, ციხეებში მყოფ ქართველ პოლიტპატიმრებთან ერთად, რომლებიც, რეალურად, მხოლოდ ფონს ქმნიდნენ, შეძლო ქართული პრობლემატიკისათვის არა მხოლოდ ვიწრო ეროვნული, არამედ საერთაშორისო ფუნქციაც მიენიჭებინა ალმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ დაპირისპირებაში. ამიტომაცაა, რომ ბოლო ორი ათეული წელია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს დასავლეთის საზოგადოება ინტერესით ადევნებს თვალს და მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური დისონანსებისა, რაც დასავლური ღირებულებებისადმი ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებით იყო გამოწვეული, დღემდე ინარჩუნებს საქართველოსადმი კეთილგანწყობილ ურთიერთობას.

მერაბი უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა დისიდენტურ წრეებში, ხოლო ქართულ ეროვნულ მოძრაობაში იგი იყო ერთადერთი პიროვნება, რომლის ღვაწლსა და დამსახურებას ყველანი აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ. ამასვე ადასტურებს სიონის საკათედრო ტაძარში გამართულ პანაშვიდებზე მისული ხალხის რაოდენობაც, რომლებიც რამდენიმე საათი იდგნენ რიგში,რომ უკანასკნელი პატივი მიეგოთ მერაბ კოსტავას პიროვნებისა და ღვაწლისადმი.

პანაშვიდზე მისული მეც რიგში ჩავდექი. ირგვლივ ყველაფერი ისე იყო, როგორც ასეთ მომენტს შეეფერის — დაღვრემილი, მწუხარე სახეები, ხმადაბალი საუბარი, შავსამკლაურიანი ახალგაზრდები, რომლებიც გადი-გამოდიოდნენ, ფაკი-ფუცობდნენ,

რიგს აწესრიგებდნენ, თუმცა, რიგის დარღვევას არც არავინ ცდილობდა. მიუხედავად ამისა, თავიდანვე რაღაც მაწუხებდა, რაღაც არ მასვენებდა. არ ვიცი, რას ველოდი, სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო ყველაფერი ეს მოწყობილი და ორგანიზებული, მაგრამ მომეჩვენა, რომ ირგვლივ მთელი გარემო ყალბი ტრაგიზმით იყო გაჟღენთილი, ამდენი მგლოვიარის მიუხედავად, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, გულით განიცდიდნენ მის დაღუპვას, მერაბი მაინც უჭირისუფლოდ დარჩენილიყო და ვილაცას, არა კონკრეტულ პიროვნებასა და ადამიანს, არამედ ზოგადად „ვილაცას" გულის სიღრმეში ძალიან უხაროდა მისი გარდაცვალება და თითქოს მეც ამ სიყალბისა და სიხარულის მონაწილე ვიყავი; ამ გრძნობამ ისე დამრია ხელი, ისე ამიტანა, ტაძრის კართან მისულმა, ტაძარში შესვლა ველარ მოვახერხე, რიგი მივატოვე და ჩქარი ნაბიჯით მეტეხისაკენ წავედი.

ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ერთ-ერთ პრობლემაზე სალაპარაკოდ რუსთაველის მეტროსთან შევხვდით. იქვე სკვერში ავედით, რუსთაველის ძეგლის უკან, გამვლელ-გამომვლელს მოვერიდეთ. მე ვლაპარაკობდი, ვუხსნიდი, ვუმტკიცებდი, არგუმენტებს ვიშველიებდი, ვანამუსებდი კიდეც, რომ მას სხვაგვარად მოქცევის უფლება არ ჰქონდა, რომ საქმე, რომელიც ჩვენ ვიტვირთეთ, ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა და ათასი სხვა. აზარტში შესულს უცებ მომესმა, „იქ უფრო კარგად ვიყავიო!". შევხედე, წარბშეჭმუხნული და სახენაღვლიანი რუსთაველის პროსპექტს გაჰყურებდა; სიტყვა გამინყდა, დავიბენი; მერე გამილიმა და „მართალს არ ვამბობო?" — მკითხა. „კი-მეთქი" — მექანიკურად ცალყბად დავეთანხმე. ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ, უფრო იმიტომ, ვგრძნობდით, საუბრის ასე დამთავრება რომ არ ივარგებდა. იმ თემაზე მერაბთან სხვა დროს აღარ მილაპარაკია, ან რა აზრი ჰქონდა, მას ხომ არავითარი კონტრარგუმენტი არ მოუტანია, მხოლოდ ისა თქვა: „იქ უკეთესად ვიყავიო!" — ციხეს გულისხმობდა, თუმცა, სხვა რაღა უნდა ეთქვა? განა ძნელი მისახვედრი იყო, როგორ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, პერმის საკონცენტრაციო ბანაკი რომ სანატრელი გახდომოდა? შემდეგ, როდესაც იგივე თემაზე სხვები დაუწყებდნენ ხოლმე ლაპარაკს, ყოველთვის ღიმილით იმეორებდა: „ნუ გეშინიათ,

კაცო, მე აქ არა ვარ, ყველაფერი კარგად იქნებაო!"

და აი, ის დღეც დადგა, როცა შენ აქ აღარ იყავი!

ვინ იცის, რამდენჯერ გამხსენებია ჩვენი მაშინდელი საუბარი, რამდენჯერ გაღიზიანებულსა და გაბრაზებულს საყვედურებიც მითქვამს, აღარ მოვრიდებივარ იმას, რომ „იქ უკეთესად იყავი" (ნეტავ, არც მაშინ მოვრიდებოდი), ნიშნიც მომიგია (შენთვის თუ საკუთარი თავისთვის?) — „აი, ხომ ხედავ, ხომ ხედავ-მეთქი!". მერე, როცა ცოტა დავმშვიდებულვარ, დავწყნარებულვარ, საკუთარი თავისთვისაც მიკითხავს — მე კი შევძლებდი იმის გაკეთებას, რასაც შენგან ვითხოვდი? ალბათ, ვერა! ალბათ კი არა, ნამდვილად ვერ შევძლებდი! მტერთან ბრძოლა ადვილია, არც თავგანწირვაა მაინცდამაინც ძნელი, მით უმეტეს, როდესაც საუბარი შენნაირ პიროვნებას ეხება, მაგრამ, ეტყობა, ისეთი რამეებიც არსებობს, რაც საკუთარი ნებით, ან თითქმის საკუთარი ნებით, იმას გაგაკეთებინებს, რასაც ვერანაირი ციხე, კატორღა და ტანჯვა ვერ გაიძულებდა. თანაც, როცა დარწმუნებული ხარ, რომ „აქა ვარ და ყველაფერი კარგად იქნებაო." მაინც რა გულუბრყვილოები ვიყავით მაშინ! უბედურება ისაა, რომ, მიუხედავად გადატანილისა, დღესაც თითქმის ისეთივე გულუბრყვილოებად დავრჩით. სწორედ ამიტომ, ისევ და ისევ მაწუხებს კითხვა: გქონდა კი შენ თუნდაც ამგვარი, უბოროტო და კეთილშობილური სისუსტის უფლება? და საერთოდ, გვაქვს ჩვენ ამგვარი სისუსტის უფლება?

პირნათელი და სუფთა ნახვედი ამ ქვეყნიდან და თან წაიყოლე საიდუმლო, რომელიც დროთა განმავლობაში ცნობილი გახდება და კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს შენს კეთილშობილურ და რაინდულ ბუნებას.

მერაბ კოსტავას გარდაცვალების შემდეგ, ურთიერთდამოკიდებულება არაფორმალურ ორგანიზაციათა შორის კიდევ უფრო დაიძაბა, წინააღმდეგობები გაჩნდა ეროვნული მოძრაობის ე. წ. რადიკალურ ნაწილში. 26 ოქტომბერს სამხატვრო გალერეის წინ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების წარმომადგენელთა მჯდომარე გაფიცვას, რომლებიც მოითხოვდნენ რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრას, 15-16 ივლისს სოხუმში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის მომწყობთა დასჯას, ანტიქართული ტერორისტული ელემენტებისაგან იარაღის ამოღებას და სხვა — წარმართავდა ეროვნულ-დემოკრატიული

პარტია; ხოლო ჰელსინკის კავშირი და დამოუკიდებლობის პარტია ცდილობდნენ საქართველოში მასობრივი გაფიცვების დაწყებას დამოუკიდებლობის დაუყოვნებელი მოთხოვნით, მაგრამ გაფიცვათა ტალღის აგორება იმ პერიოდში მათ ვერ შეძლეს.

4 აპრილს, როდესაც „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებამ" მთავრობის სასახლესთან მჯდომარე საპროტესტო აქცია დაიწყო აფხაზური პრობლემის მოგვარების მიზნით, ეროვნულ-დემოკრატები თვლიდნენ, რომ ასეთი პრობლემა არ არსებობს და უშუალოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნას აყენებდნენ.

29 ოქტომბერს სახალხო ფრონტმა კინოს სახლთან ჩაატარა მიტინგი უმაღლესი საბჭოს სესიის მონწვევის დაყოვნების საპროტესტოდ. მიტინგის დასასრულს ჰელსინკის კავშირისა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხელმძღვანელთა ინიციატივით მომიტინგეები გაემართნენ მთავრობის სასახლისკენ და მის კიბეებზე, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ შემოლობილი იყო რეკონსტრუქციის საბაბით, დაიწყეს მჯდომარე გაფიცვა. შეიქმნა აბსურდული, ლამის კომიკური სიტუაცია — რუსთაველის გამზირზე, თითქმის გვერდი-გვერდ, მთავრობის სასახლესთან და სამხატვრო გალერეასთან პარალელურად მიმდინარეობდა ორი მჯდომარე საპროტესტო გაფიცვა. მიტინგში მონაწილე საზოგადოება საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, დაიწყო აქეთ-იქით მიმოსვლა და გაჩნდა შერიგების იდეა, რომელიც მომენტალურად აიტაცეს ორივე აქციის მონაწილეებმა. მცირე ყოყმანის შემდეგ, მოხდა შერიგება ზ. გამსახურდიასა და გ. ჭანტურიას შორის, რასაც ორივე აქციის მონაწილენი დიდი აღტაცებითა და მოწონებით შეხვდნენ. ამის შემდეგ აქციის მონაწილენი გაერთიანდნენ, მათვე შეუერთდნენ სპორტის სასახლის წინ დაწყებული წვევამდელთა მჯდომარე გაფიცვის მონაწილენიც. აქვე მოხდა რიგი ოპოზიციური ორგანიზაციების გაერთიანება „ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" და საჯაროდ გაცხადდა, რომ ნებისმიერ ოპოზიციურ ორგანიზაციას შეუძლია მასში გაერთიანება. ამ განცხადების საფუძველზე „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებამ", რესპუბლიკურმა პარტიამ და სეგო-მ გადაწყვიტეს „ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" გაერთიანება (სხდომას ესწრებოდნენ ჯ. კოპალიანი, ტ. ღვინიაშვილი და ვ. ძაბირაძე), მაგრამ უარი მიიღეს, იგივე განმეორდა მეორე დღესაც — 31 ოქტომბერს. უარის თქმის მოტივი იყო ის, რომ არსებობდა პოზიციათა სხვაობა

ზოგიერთ მიმდინარე საკითხზე, როგორიც იყო, მაგალითად, არჩევნების ბოიკოტი.

უნდა ითქვას, რომ იყო შემოთავაზება ცალკე დასმულიყო „ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" რესპუბლიკური პარტიის განევრიანების საკითხი, მაგრამ ეს წინადადება მე არ მივიღე: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენც მომხრენი ვიყავით არჩევნებში მონაწილეობისა და მეორე, კომიტეტში განევრიანება უნდა მომხდარიყო იმ ნიშნით, თუ რას წარმოადგენდა ორგანიზაციის საბოლოო მიზანი. თუ საბოლოო მიზანი საქართველოს სრული დამოუკიდებლობა იყო, მაშინ ასეთი ორგანიზაციის განევრიანება დაუბრკოლებლივ უნდა მომხდარიყო, რაც შეეხება მიზნის მისაღწევად ორგანიზაციათა შორის არსებულ ტაქტიკურ განსხვავებას, ეს სწორედ საწინააღმდეგო არგუმენტად უფრო გამოდგება, რადგან ტაქტიკური თვალსაზრისით განსხვავებულად მოქმედ ორგანიზაციებს უფრო მეტად სჭირდებათ კოორდინირებული მოქმედება.

გაერთიანებული საპროტესტო აქციის მონაწილენი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან. 5 ნოემბერს მთავრობის სახლის წინ მიმდინარე გაერთიანებული აქცია შეწყდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა საერთაშორისო მისიების ჩამოსვლასა და რეფერენდუმის ჩატარებაზე, რომელსაც უნდა გაერკვია, სურს თუ არა საქართველოს მოსახლეობას საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის დაყენება საერთაშორისო სამართლის დონეზე.

აქციის შეწყვეტის შემდეგ წვევამდელებმა კვლავ სპორტის სასახლესთან გადაინაცვლეს, ხოლო აფხაზეთის ქართველობის წარმომადგენლებმა, რომელთა მოთხოვნები გაერთიანებული აქციის მიმდინარეობისას თითქმის არ დაკმაყოფილებულა, ისევ სამხატვრო გალერეის წინ განაგრძეს მჯდომარე გაფიცვა. 9 ნოემბრის საღამოს, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსალოდნელი იყო სოხუმში ვითარების გამწვავება, აქციის მონაწილეებმა გადაწყვიტეს მისი შეცვლა პროტესტის სხვა ფორმით.

სოხუმში მოხერხდა სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება, სამაგიეროდ ვითარება გაუარესდა ცხინვალში.

„ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" განევრიანებას ვინ ჩივის, ბოლოს და ბოლოს არსებობს ფორმალური მიზეზი მაინც, ეგეც რომ

არ იყოს, ხომ შეიძლება ადამიანთა გარკვეულ ერთობას სრულიადაც არ მიაჩნდეს საჭიროდ შენთან ერთად საქმის კეთება და რა უფლება გაქვს, დააძალო ან მოსთხოვო, გინდა თუ არა, ჩემთან ერთად იყავიო! ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ადამიანური თვალსაზრისით მისაღები და გასაგებია, მაგრამ იმას რა ვუყოთ, როდესაც 3 ნოემბერს, მთავრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე ზ. გამსახურდია აცხადებს: „მათ აქვთ სეპარატისტული მოლაპარაკება, საიდუმლო მოლაპარაკება ოსურ ტერორისტულ ანტიქართულ ორგანიზაციასთან „ადამონ ნიხასთან," რომელსაც ჩვენგან დამოუკიდებლად ფარულად აწარმოებდა ზურაბ ჭავჭავაძე იქ; ამჟამად განაგრძობენ ისინი რაღაც სეპარატისტულ მოლაპარაკებას, ჰპირდებიან, რომ ეს არის ოსური მიწა, რომ თქვენ უნდა შექმნათ რესპუბლიკაო და ასე შემდეგ" (გაზეთი „ივერია", №17; 1989 წლის 15 ნოემბერი). მერე ისევ მესხების საკითხს უბრუნდება და ისევ ძველ ბრალდებებს იმეორებს, იმპროვიზებულად, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ, ისე, თითქოს ჩვენს მიერ ათასგზის გამოქვეყნებული განმარტებები არც არსებობდეს. იქნებ ბ-ნი ზ. გამსახურდია არ ეცნობოდა ჩვენი თვითგამოცემის გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, ვერც დააძალებ (თუმცა, ვიდრე მსგავს ბრალდებას ვინმეს წაუყენებ, ჩემი აზრით, ის მაინც უნდა გააკეთო, რომ შეძლებისდაგვარად საფუძვლიანად გაეცნო მის პოზიციას), მაგრამ როდესაც პოლიტიკაში მოღვაწეობ, თანაც საქმე ისეთ პრობლემატურ საკითხს ეხება, როგორიც ქართულ-ოსური ურთიერთობებია, ოფიციალურ პრესას ხომ მაინც უნდა გაეცნო?

არადა, 26 სექტემბერს გაზ. „მოლოდიოჟ გრუზიაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში ზ. ჭავჭავაძე წერდა:

„ოსების გადმოსახლება საქართველოში მრავალი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ ამას არასოდეს მიუღია ოსების მიერ საქართველოს მიწების დაპყრობის ხასიათი. რატომ ვუსვამ ხაზს ამას? იმიტომ, რომ არა კმარა მარტო იმის თქმა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ძირძველი ქართული მიწაა, — აქ ხომ ოდითგანვე ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს მკვიდრი ქართველი მოსახლეობა... არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ საქართველოს ეს ნაწილი აღარაა საქართველო და ის ოსეთად გადაიქცა? მსოფლიო ისტორიამ არაერთი შემთხვევა იცის, რომ ამა თუ იმ მკვიდრმა მოსახლეობამ დაკარგა უფლება საკუთარ მიწაზე, მაგრამ ეს ყოველთვის ხდებოდა მხოლოდ

მათი დაპყრობის შედეგად. როგორაა საქმე ჩვენს შემთხვევაში? როგორც უკვე აღვნიშნე, სხვადასხვა ძნელბედობის გამო თავისი სამშობლოდან გამოქცეული ოსები სახლდებოდნენ ქართულ სოფლებში ქართველთა გვერდით და ცალკეულ სოფლებსაც კი აარსებდნენ მთიან ადგილებში ქართველ ხელისუფალთა ნებართვით. მაგრამ მთელი ისტორიის განმავლობაში, თვით 1922 წლის 22 აპრილამდე, კავკასიონის სამხრეთით არ არსებობდა თუნდაც უმნიშვნელო ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ჩასახვის სტადიაშიც კი, ამიტომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ოსური სახელმწიფო, როგორც ასეთი, საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება იმ ოსებს, ვინც ისტორიული კატაკლიზმების შედეგად აღმოჩნდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და აქ მეორე სამშობლო ჰპოვეს, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ მათ ჰქონდეთ ფართო კულტურული ავტონომია, რათა სრულფასოვნად განავითარონ თავიანთი ოსური ენა, მეცნიერება, კულტურა, ტრადიციები და ეროვნული თვითშეგნება. ეს ჩვენ მიგვაჩნია ამ საკითხის ერთადერთ სწორ გადაწყვეტად".

იგივე ბრალდებები გაიმეორა ბ-ნმა გამსახურდიამ 12 ნოემბერს კინოს სახლთან ჩატარებულ მიტინგზე. ეთიკურ და ზნეობრივ პრინციპებს თავი რომ დავანებოთ, იმ პერიოდში სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფ ზ. ჭავჭავაძეს მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღების კი არა, სიტყვის თქმის თავიც არ ჰქონდა.

ოსურ-ქართული ურთიერთობები თანდათან მძიმდებოდა. ამას ხელს უწყობდა ოფიციალური პრესა და ტელევიზია, სხვადასხვა არხებით გავრცელებული ათასგვარი ჭორი და დეზინფორმაცია. ქართულ-ოსური დაპირისპირების გადაზრდა კონფლიქტში გაცილებით რთული იყო, ვიდრე ქართულ-აფხაზურისა. ოსი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და არა მხოლოდ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე (თავად სახელმწიფოებრივი სტატუსიც მათ უფრო დაბალი ჰქონდათ, ვიდრე აფხაზებს), გაცილებით მჭიდროდ იყვნენ ინტეგრირებული ქართულ სინამდვილესთან და ქართველებთან, არც ავტონომიური ოლქის ბიუროკრატია იყო განებივრებული მოსკოველ დიდჩინოსანთა ყურადღებით. გარდა ამისა, არსებობდა სტატუსით უფრო მაღალი ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში, სადაც ოსური ენა და კულტურა გაცილებით ძლიერ შევიწროებას განიცდიდა, ვიდრე საქართველოში, ამიტომ ქართველთა მიერ ოსთა შევიწროება დაპირისპირების

იდეოლოგიურ საფუძვლად ვერ გამოდგებოდა. აქედან გამომდინარე, რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო, რასაც დაპირისპირების მაქსიმალური ეფექტი ექნებოდა.

არ ვიცი, პირველად ვის გაუჩნდა იდეა ცხინვალში ქართველთა „მშვიდობიანი ლაშქრობისა", ვიცი, რომ ამ იდეამ მომენტალურად ჰპოვა მხარდაჭერა ქართულ პროპაგანდისტულ საშუალებებში, განსაკუთრებით კი ტელევიზიაში.

აქციის წინა დღეებში საქართველოს ტელევიზიამ გადასცა ოსთა ინტერვიუ, რომლებიც გვარწმუნებდნენ, რომ არავითარი სეპარატისტული მოძრაობა ქართველთა წინააღმდეგ ოსეთში არ მიმდინარეობდა: ისინი, თუმცა სასურველად არ თვლიდნენ ცხინვალში ქართველთა „მშვიდობიან ლაშქრობას", მაგრამ თუ ჩამოხვალთ, ძმურად და კაცურად გაგიმასპინძლდებითო, იფიცებოდნენ.

ხელისუფლებამ გამოყო ავტობუსები, თუმცა „ლაშქრობის" მსურველები არც ისე ბევრნი აღმოჩნდნენ და სპორტის სასახლის წინ გაჩერებული მანქანები წინასწარ დაგეგმილი და გამოცხადებული დროის მაგივრად ორი საათით გვიან გავიდნენ.

23-24 ნოემბერს ცხინვალთან ჩატარებული აქციის შემდეგ ჩვენ გვქონდა შეხვედრა საქართველოს ცკ-ს მდივანთან გ. გუმბარიძესთან და განვუცხადეთ, რომ ეს იყო ხელისუფლების პროვოცირებული აქცია, რომ ხელისუფლებამ პროპაგანდა გაუწია მის ჩატარებას და სპეციალურად ავტობუსებიც კი გამოყო. ამაზე გ. გუმბარიძემ გვიპასუხა, ავტობუსები რომ არ გამოგვეყო, აქციის ორგანიზატორები თავად მოხსნიდნენ მარშრუტებიდან, რაც მოქალაქეთა უკმაყოფილებას გამოიწვევდა და მათ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ განანყობდაო. გამოდიოდა, რომ როდესაც აქციის მონაწილეებს ავტობუსებით უზრუნველყოფდა, ეროვნული მოძრაობის ავტორიტეტზე ფიქრობდა!

მე არ ვიცი, რა საქმიანობას ეწევა ახლა ეს ძალზე ნიჭიერი, გამჭრიახი, ციინიზმითა და იუმორით დაჯილდოებული პიროვნება, რომელმაც უაღრესად დიდი სამსახური გაუწია იმპერიის მესვეურთ; მან შეძლო ყველა დავალება ზედმიწევნით ზუსტად შეესრულებინა და იმპერია რომ არ დანგრეულიყო, დამსახურებულ ჯილდოსაც მიიღებდა, თუმცა მასზე ნაკლები დამსახურების მქონენი პირდაპირ თუ ფარულად დღესაც

ინარჩუნებენ საქართველოს ხელისუფლებაში საკმაოდ ძლიერ გავლენას. იქნებ იმპერიის რღვევის პერიოდში მისმა მფარველმა ძალებმა მეორე პლანზე გადაინაცვლეს? ან, იქნებ, თავად აღარ ინდომა მათთან სამსახური? — გულწრფელად მინდა, ასე იყოს.

23-24 ნოემბრის აქციის დამთავრების შემდეგ ნათლად ჩანდა, რომ მას გაგრძელება მოჰყვებოდა. სიტუაციის დესტაბილიზაციისა და მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ გავაკეთეთ განცხადება და შევეცადეთ, შეგვექმნა საზოგადოებრივი აზრი:

„დაპყრობილ ერებზე ბატონობის შენარჩუნების მიზნით, საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმი და მისი ხელშემწყობი ძალები ხშირად მიმართავენ ეროვნებათაშორისი კრიზისისა და დაძაბულობის გამწვავების მეთოდს. მიმდინარე წელს ამ მეთოდის გამოყენების პოლიგონად იქცა საქართველოს ცალკეული რეგიონები, ხოლო ბოლო ხანებში — შიდა ქართლი.

ეთნიკური კონფლიქტების მოსამზადებლად და მის განსახორციელებლად მრავალნაირ საშუალებას მიმართავენ: ავრცელებენ დეზინფორმაციას, ერთის მხრივ, არაქართველი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ხელოვნურად ქმნიან კონფლიქტურ სიტუაციებს და აღვივებენ ანტიქართულ განწყობილებებს, ცდილობენ ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი განმათავისუფლებელი გზიდან აცდენას. ამ მხრივ განსაკუთრებით შემაშფოთებელია 23-24 ნოემბერს ქ. ცხინვალთან მომხდარი ინციდენტი, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ, როგორც ხელისუფლების მიერ წინასწარ გამიზნულ პროვოკაციას სისხლისღვრისა და ქართული ეროვნული მოძრაობის, მთელი ქართველი ერის დისკრედიტაციის მიზნით.

აღნიშნული აქციის ჩატარების და მისი მომზადების ინიციატორად გამოვიდა ხსნის კომიტეტში შემავალი ზოგიერთი ორგანიზაცია. ამ აქციას, მისი გარდაუვალი უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, მიზანშეუწონლად მიიჩნევდა საქართველოში არსებული ოპოზიციური ძალების დიდი ნაწილი.

მთავრობის როლი თავიდანვე ნათელი იყო: მიტინგი სანქცირებული იყო, მთავრობა ფართო პროპაგანდას უწევდა და დიდი რაოდენობის ტრანსპორტით უზრუნველყო. ამას ადასტურებს „ეროვნული თავდაცვის შტაბის" სახელით ზ. გამსახურდიას, ი. ბათიაშვილის, ი. წერეთლის და თ. სუმბათაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ აქციას „ხელმძღვანელობას უწევდა ეროვნული ხსნის

მთავარ კომიტეტში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან დაკომპლექტებული ეროვნული თავდაცვის შტაბი და რომლის ჩატარებასაც ხელი შეუწყო საქართველოს ე. წ. ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული აქციის ტელევიზიითა და პრესით ფართო რეკლამირებითა და ტრანსპორტის დიდი რაოდენობით უზრუნველყოფით"

ჩვენი აზრით, ე. წ. მთავრობასთან ამგვარი ერთობლივი მოქმედება სახიფათო და მცდარია, რამეთუ მას საქართველოში ბატონობის 68 წლის მანძილზე ასეთი ნდობა არაფრით დაუმსახურებია. აქციას შესაძლოა მოჰყოლოდა ან ეროვნული ღირსების შელახვა (რაც მოხდა კიდეც), ან იმპერიისათვის კიდევ უფრო სასურველი სისხლიანი ტრაგედია. მართლაც, ცხინვალის მისადგომებთან ქართველებს გზა გადაუღობეს ოსებმა და შემდეგ სპეცჯარებმა, რითაც შეიქმნა კრიზისული სიტუაცია.

ეთნოკრიზისების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს ინსპირატორთა გეგმის საწინააღმდეგო ქმედება, ამ ბოროტების ჩანასახშივე მოსპობა და არა მისი ხელშეწყობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ 23 ნოემბერს დაწყებული აქცია ჯერ არ დამთავრებულა, ჩვენ გამოვთქვამთ პროტესტს და ვაცხადებთ, რომ აქციის უკვე მომხდარი და მოსალოდნელი მძიმე შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე ეკისრებათ მის ორგანიზატორებს და უპირველეს ყოვლისა — ხელისუფალთ" („ილია ჭავჭავაძის საზოგადოება", საქართველოს რესპუბლიკური პარტია (სრპ), საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია (სეგო); თბილისი, 1989 წლის 25 ნოემბერი; გაზ. „ივერია", №18, 1989 წლის 20 დეკემბერი).

ვერც მაშინ და ვერც მერე, ვერ გამიგია, რა მიზანს ისახავდა იგი, რისი მიღწევა სურდათ აქციის ორგანიზატორებს? ეტყობა, სწორედ ეს გაურკვევლობა იყო მიზეზი, რომ ჩვენს გარდა მას მხარი არ დაუჭირა „ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში" შემავალმა ზოგიერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, ხოლო ედპ-მ თავიდანვე დააფიქსირა თავისი უარყოფითი პოზიცია.

ვფიქრობ, საინტერესო იქნება ანალიზი, რომელიც უშუალოდ აქციის შემდგომ გაკეთდა:

„ა. წ. ივლისის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქართველი ერის წინააღმდეგ უკვე განხორციელებული იყო 9 აპრილის, ქვემო ქართლისა

და აფხაზეთის ბოროტმოქმედებანი, როგორც ჩანს, უნდა მომხდარიყო ოსური „ნალმის" აფეთქებაც. დღეს არმიითა და სპეცსამსახურებით ზურგგამაგრებული ეთნოყაჩაღი უშიშრად უზის ეთნოკრიზისების მომწყობ და სამართავ პულტს და იცავს საბჭოთა იმპერიის მთლიანობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისაგან. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ამფეთქებელ-„დეტონატორად" ივლისშივე გამოჩხრიკეს „ადამონ ნიხასად" წოდებული ორგანიზაცია, რომელმაც ქართველთა „ძალმომრეობისაგან" ოსების დაცვის ახლადშეკერილი დროშა ააფრიალა. მთავარმა ეთნოყაჩაღმა დიდი სამუშაოები ჩაატარა: ავრცელებდა ჭორებს ქართველებსა და ოსურ მოსახლეობას შორის ურთიერთთავდასხმის შესახებ, ახდენდა ანტიქართული და ანტიოსური გამოსვლების პროვოცირებას, თესავდა შუღლსა და ბოროტებას. ყოველივე ამან თავისი შედეგები გამოიღო — ვითარება შიდა ქართლში უკიდურესად დაიძაბა.

როდესაც ხმამაღლა გავიძახით, იმპერიალისტები ეთნოკრიზისებში ,ჩვენს ჩათრევას ცდილობენო და თან 23 ნოემბრის აქციით აქტიურად ვმონაწილეობთ ცენტრიდან დადგმულ სპექტაკლში, რა შეიძლება ამას ეწოდოს? — გულუბრყვილობა, წინდაუხედაობა თუ პოლიტიკური რომანტიზმი? ჩვენ ქედს ვიხრით იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც სამართლიანი, გულწრფელი და მშვიდობიანი მიზნებით ჩასხდნენ მთავრობის მიერ მორთმეულ ავტობუსებში, ისე, რომ ცხინვალს სამიტინგოდ მიმავალთ, არანაირი ეჭვი არ გასჩენიათ. მაგრამ ამ ადამიანებს, როგორც ჩანს, პატივი არა სცეს ამ აქციის მომწყობებმა. სხვაგვარად, მათ წინასწარ უნდა გაერკვიათ ყოველი — მოსალოდნელი ხიფათიც და წარმატებაც. საინტერესოა, რა გარანტია ჰქონდათ ორგანიზატორებს, რომ ათიათასობით ადამიანს უვნებლად შეიყვანდნენ და გამოიყვანდნენ ცხინვალიდან? პირიქით, როგორც ირკვევა, მათ იცოდნენ, რომ „არსებობდა რეალური საფრთხე პროვოკაციისა მრავალათასიანი მშვიდობიანი ქართული მანიფესტაციის ცხინვალში შესვლისას", — ამას აცხადებს აქციის ერთ-ერთი აქტივისტი ბ-ნი თედო პაატაშვილი (გაზ. „თბილისი", 9.12.89). უფრო მეტიც, მანამდე მათ არაერთი მოლაპარაკება-დიალოგი გამართეს ხელისუფლების „უმაღლეს წარმომადგენლებთან", — წინასწარ შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. თ. პაატაშვილი განაგრძობს: „გამოიკვეთა აქციის მიმდინარეობის დინამიკა: თუ დემონსტრანტებს ცხინვალიდან არა უმეტეს 2-3 კილომეტრისა გზას გადაუღობავდა ქართული მილიცია, მიტინგი იქვე

გაიმართებოდა ხელისუფალთაგან შემდეგ პირობათა შესრულების შემთხვევაში: უნდა მოეყვანათ ცხინვალის ქართული და ოსი საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც დემონსტრანტებს სთხოვდნენ ექსცესთა თავიდან აცილების მიზნით მიტინგის კორდონთან ჩატარებას. ამასთან ოსი ეროვნების მოქალაქეები დემონსტრანტებს ალუთქვამდნენ, რომ ცხინვალში შეწყდებოდა ანტიქართული პროცესები". — აი, ასეთი იყო წინასწარი მოლაპარაკება და სცენარი, რომლიდანაც ჩვენ ბევრი ვერაფერი გავარკვიეთ. გაუგებარია, ვისთვის აწყობდნენ ამ მანევრებს მიტინგის ორგანიზატორები — ქართველებისთვის, ოსებისთვის, მილიციის, რუსის ჯარისა თუ უმაღლეს ხელისუფალთათვის? მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა და ეთნოკრიზისების მომწყობი იცინოდაო. მოკლედ, ცხინვალის გზაზე კორდონები ისე გაიხსნა-ჩაიკეტა, რომ მშვიდობიანი დემონსტრაცია კბილებამდე შეიარაღებული რუსის ჯარის პირისპირ აღმოჩნდა. „მშვიდობისმოყვარე და კეთილი" წითელი არმია ოს ბავშვებსა და ქალებს იცავდა ქართველი იმპერიალისტებისაგან — შესანიშნავი კადრებია სამხედრო პროკურატურის კინომოყვარულთათვის. ცხინვალის მისადგომებთან დიდი სისხლისღვრის საშიშროება შეიქმნა. სწორედ აქ „აღმოაჩინეს" აქციის ორგანიზატორებმა, რომ საქართველო ოკუპირებული ქვეყანაა და რომ მთელი რეალური ძალაუფლება დღესაც რუსის ჯარის ხელთაა. თუმცა არა, — მათ სცოდნიათ, რომ „მოსკოველი ემისრები 23-ში ჩვენს იქ ჩასვლამდეც კარგა ხნით ადრე იყვნენ ცხინვალში მოკალათებულნი"-ო. საკვირველია პირდაპირ, — პოლიტიკოსმა, ეროვნული მოძრაობის ლიდერმა წინასწარ რატომ არ გაითვალისწინა მოსკოველი ემისრის, „განსაკუთრებული დანიშნულების პოლკოვნიკის" ცხინვალში სტუმრობის ჭეშმარიტი მიზეზი და რატომ არ განახორციელეს მათ უსაფრთხოების რაიმე ზომები? თუ ეგონათ, რომ მოსკოველი პოლკოვნიკი ოსური ხაბიზგინებისა და ლუდისთვის იყო ჩასული ცხინვალში, ანდა მას რუსის ჯარზე არავითარი ზეგავლენა არ ექნებოდა? რა გარანტია ჰქონდათ აქციის მომწყობთ, რომ აფხაზეთზე მეტი სისხლი აქ არ დაიღვრებოდა? იმავე თ. პაატაშვილის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თურმე ამ დროისათვის „როკის გვირაბთან საქართველოში შემოსაჭრელად მზადყოფნაში იყვნენ საბჭოთა არმიის სხვა ნაწილებიც". ცნობილია, რომ მიტინგის დროს ხშირად აზრი სიტყვას ეწირება. ალბათ, ამიტომ ულერს სხვაგვარად ზემოთმოყვანილი ფრაზა გაზეთში, თორემ განა არ უნდა ვიცოდეთ, რომ წითელმა

არმიამ როკიცა და სხვა უღელტეხილებიც ჯერ კიდევ 1921 წელს გადმოლახა და მას შემდეგ აქ დგას? — აი, სნორედ ამ პოლიტიკური რეალიზმის გაუთვალისწინებლობამ და მალემრწმენობამ მიგვიყვანა 23 ნოემბრის უხერხულ მდგომარეობამდე, რამაც კიდევ უფრო დაძაბა და გაართულა ვითარება. სხვათა შორის, ეს დაძაბულობა შიდა ქართლში დღესაც არ მოხსნილა. განა გიორგობა დღეს ქართველმა ერმა თავის პოლიტიკურ შესაძლებლობათა რეალიზება მოახდინა? ჩვენის აზრით, პირიქით, — მან ხელი შეუშალა პრობლემათა გადაჭრის რეალური გზის ძიებას. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ რადიკალური ბრძოლაც კონსტრუქციული უნდა იყოს, სხვაგვარად იგი ყოველგვარ აზრს ჰკარგავს. ყველაზე შემაშფოთებელი მაინც ისაა, რომ მონანიების მაგივრად ამ სამარცხვინო აქციის ორგანიზატორებმა წარუმატებლობა დიდ გამარჯვებად მონათლეს. ასე ცდილობდნენ, მიეცათ გასაქანი ტყუილისათვის, რომელიც მართალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არაფერში არგია" („პროვოკაციული აქცია გიორგობადღეს", გაზ. „ივერია", №18, 1989 წ., 20.12).

ასე გასრულდა 1989 წელი, რომელმაც ქართველ ხალხს მხოლოდ უბედურება და ტკივილი მოუტანა.

1990 წელი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც საბჭოთა სისტემის, საბჭოთა იმპერიის არსებობის პირობებში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების წელი, მაგრამ ეს ცოტა გვიან, შემოდგომაზე მოხდება; მანამდე კი ეროვნულ მოძრაობაში მისი განვითარების ტაქტიკასთან დაკავშირებით ისევ აზრთა სხვადასხვაობაა — სახალხო ფრონტი, „რუსთაველის საზოგადოება", „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება", რესპუბლიკური პარტია, სეგო, დასი და სხვები თვლიან, რომ აუცილებელია მონაწილეობა მივიღოთ 1990 წლის 25 მარტისათვის დანიშნულ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში, ხოლო ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციები არჩევნებში მონაწილეობას ლამის სამშობლოს ღალატად მიიჩნევენ. მიუხედავად ამისა, არც ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალ ორგანიზაციებს შორის არსებობს სრული ჰარმონია. 1989 წლის 23-24 ნოემბერს ცხინვალთან ჩატარებული აქციის აუცილებლობასა და შედეგებზე ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები იკვეთება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს აქცია ქართულ-ოსური კონფლიქტის უშუალო დეტონატორი აღმოჩნდა, არამედ იმიტომაც, რომ აქციის ორგანიზატორთა სურვილში, რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი

მსვლელობა მოეწყოთ, აშკარად ილანდებოდა მიზანი, დაეშინებინათ მეორე მხარე. ფაქტიურად, ამ აქციამ ეროვნულ მოძრაობაში სათავე დაუდო მიტინგებისა და მანიფესტაციების, როგორც საშუალების, გამოყენებას მოწინააღმდეგეებთან ანგარიშსწორებისათვის, რაც სხვა არაფერია, თუ არა ოხლოკრატია!

მიტინგები იქცა მსჯავრდების, განაჩენის გამოტანის და აღსრულების ადგილად, ეგზალტირებული მომიტინგენი ლამის ლინჩის წესის აღდგენამდე მივიდნენ; ტერორს მიჩვეული და ტერორით დაშინებული საზოგადოება გაფაციცდა, ისევ მოზომილ სიტყვას და სიფრთხილეს მოუხმო, სიტუაციის გარკვევას დაელოდა; წონასწორობიდან გამოსულ ეროვნულ მოძრაობაში კი დაპირისპირების ახალ-ახალი კერები ჩნდებოდა, არავინ ჩანდა ისეთი, ვინც ამ დაპირისპირების შერბილებას მაინც შეძლებდა და რადგან საზოგადოება გვერდზე გამდგარიყო და აღარ არსებობდა, გონებაში ისევ და ისევ დალუპული მერაბ კოსტავას ფიგურა ჩნდებოდა, — კაცისა, რომელსაც შეეძლო და ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა ქვეყნისათვის თავსდატეხილი უბედურება. არადა, ისეთი ვითარება შეიქმნა, ყველა ჯურის მოღალატეს, აგენტს და მე-5 კოლონის წარმომადგენელს თავისუფალი მოქმედების საშუალებას რომ აძლევდა; შედეგმაც, რაღა თქმა უნდა, არ დააყოვნა — მიმართვაში, რომელსაც ათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი აწერს ხელს, ნათქვამია: „ეროვნული და სამართალდაცვითი ბრძოლის წინააღმდეგ სუკ-ს დღესაც არ შეუცვლია თავისი მეთოდები. როგორც ჩანს, იგი კვლავ ერთგულია 70 წლის მანძილზე დანერგილი ტრადიციებისა. ყველაზე საშინელი და სამარცხვინო კი ისაა, რომ იგი მრავალფეროვან იმპერიაში ზოგჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ აფარებს თავს. სუკ-ის მრავალფეროვან მეთოდთაგან აღსანიშნავია ეროვნული და სამართალდაცვითი მოძრაობის აქტიურ წევრთა მიმართ საერთო-სახალხო სიძულვილისა და აღშფოთების ინსცენირება. ყოველთვის შეიძლება ნაძირალათა ბრბოს დაქირავება, რომლებიც გამოსვლებსა და მიტინგებს აწყობენ ისეთი პიროვნებების წინააღმდეგ, როგორიცაა — სახაროვი, სოლჟენიცინი, ორლოვი და სხვები. ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი რამ განხორციელდა ჩვენშიც. ა. წ. 2 თებერვალს თამარ ჩხეიძის სახლის წინ შეიკრიბა ბრბო, ისინი მოითხოვდნენ თ. ჩხეიძის დაპატიმრებას, დასჯას, აცხადებდნენ მას მოღალატედ და ა. შ. იქ მისულნი რომ სპეცსამსახურების მიერ იყვნენ შეკრებილნი, ეს ეჭვს

არ იწვევს, ვინაიდან აქციაში არ მონაწილეობდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები და დღემდე პასუხისმგებლობა მის ჩატარებაზე არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ აუღია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არათუ ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციისათვის, არამედ უბრალო ქართველი კაცის ბუნებისთვის სრულიად მიუღებელია ის ფაქტი, რომ სუკ-ს სთხოვო ადამიანის რეპრესირება" (გაზ. „ივერია", №21, 1990წ. 1 მარტი).

მახსოვს, ამ ფაქტთან დაკავშირებით გვინდოდა ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც გაეკეთებინათ განცხადება, მივმართეთ კიდეც რამდენიმე მათგანს, მაგრამ თავაზიანი უარი მივიღეთ. მე ყოველთვის მოკვებდა და ახლაც მოკვებს ამ ადამიანთა მიამიტური სურვილი შეძლონ შეუძლებელი — შეინარჩუნონ კეთილი და მოწყალე დამოკიდებულება „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" და თანაც ხალხმა ისინი პროფესიული მოღვაწეობის გარდა, საზოგადო მოღვაწეებადაც აღიაროს!

2 თებერვლის ღამის აქციის მონაწილენი თ. ჩხეიძის დასჯას ბორითთან მომხდარი ავტოკატასტროფის გამო მოითხოვდნენ, მაგრამ გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ მათ ტრაგედიიდან 5 თვის შემდეგ მოულოდნელად „გაახსენდათ" ავტოკატასტროფა, აქცია წარსულის გამო კი არა, მომავლისთვის იყო გათვალისწინებული. ეს მომავალი 1990 წლის 25 მარტს დანიშნული საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები და მასში მონაწილეობა იყო და აქედან გამომდინარე, თუ თ. ჩხეიძისა და მისნაირების დაშინება ვერ მოხერხდებოდა (უარი რომ ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე), საჭირო იყო საზოგადოებაში მათთვის უარყოფითი იმიჯის შექმნა. ვფიქრობ, სწორედ ეს იყო აქციის მოწყობის ნამდვილი მიზეზი, თორემ ჩვენი პოზიცია არჩევნებთან მიმართებაში დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. ჯერ კიდევ 1989 წლის 23 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში გამართულ შეხვედრაზე ზ. ჭავჭავაძემ განაცხადა: „ერთ-ერთი ჩვენი საზრუნავი, ასე თვლის ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (და გუშინწინ დარბაზის სხდომაზე იყო ამის შესახებ საუბარი), არის არჩევნების საკითხი. აქ ირაკლი შენგელაიამ თქვა, ხსნის კომიტეტი ბოიკოტს უცხადებს არჩევნებსო. მე მგონია, ეს არ წარმოადგენს ყველა არაფორმალური გაერთიანების თვალსაზრისს, იმიტომ, რომ ბატონ მერაბ კოსტავას აზრი ვიცი მე, — აქ ბრძანდება და თავად უკეთ მოგახსენებთ, — ჩვენ ვთვლით, რომ ხელში უნდა ავიღოთ,

მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ხელში ავიღოთ მომავალი არჩევნების ბერკეტები, რათა ეს პლურალიზმი და ის დემოკრატია, რომელიც ჩვენი, ყველას საერთო ოცნებაა, ვაქციოთ რეალობად უფრო ჩქარა. ჩვენი ხალხი, — ბატონ ნოდარ ნათაძისნაირი შეიძლება ბევრი არ იყოს, მაგრამ ასეთი კარგი ხალხი, პოლიტიკური მოღვაწეები უნდა შევიყვანოთ უმაღლეს საბჭოში, რომლის გაჯანსაღების გარეშე კიდევ უფრო გადაიწევს მთელი რიგი ეროვნული პრობლემების მოგვარება, ამიტომ ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (მე ნება არ მაქვს სხვა საზოგადოების სახელით ვისაუბრო, მაგრამ მე მოგახსენებთ, რომ მარტო ჩვენ არ ვდგავართ ამ პოზიციაზე) თვლის საარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას და რეალურად მართლაც ხალხის მიერ წამოყენებული კანდიდატების გაყვანას..." იმავე შეკრებაზე მერაბ კოსტავა ამბობს: „ჩვენი მოქმედება დამოუკიდებლობის მისაღწევად უნდა იყოს ასევე კომპლექსური, აქ უნდა იყოს ისეთი რადიკალური ძალა, რომელიც კიდევაც დაუპირისპირდება არჩევნებს და უნდა იყოს ისეთი ძალა, რომელიც ეცდება არჩევნებში მიიყვანოს თავისი ხალხი, ხელში ჩაიგდოს არჩევნების მთელი მექანიზმი და იქ გაატაროს თავისი პოლიტიკა.

მეგობრებო, მე თავად ვარ ჰელსინკის ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი და ამავე დროს ვარ წმიდა ილია მართლის საზოგადოების წევრი, ასევე ვარ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრიც. მე მიმაჩნია, მეგობრებო, რომ საქართველოში ინტრიგები, რომლებიც ოდესღაც სხვადასხვა კუთხეებსა და სამთავროებს შორის მიმდინარეობდა, დღეს გაგრძელდა არაფორმალურ ორგანიზაციათა შორის, ე. წ. ორგანიზაციული პატრიოტიზმის დონეზე. აი, ეს არის, რამაც ჩვენ მიგვიყვანა სისხლისღვრამდე (იგულისხმება 9 აპრილი, ვ. ძ.) და კიდევ მიგვიყვანს აგრეთვე სისხლისღვრამდე. ჩვენ ისეთ დღეში ჩავვარდებით, რომ ერთმანეთს ვეძებდეთ იქნება, ოღონდ ერთმა ქართველმა მეორე ნახოს და ხელი ჩასჭიდოს. აი, ასეთ დღეში ჩავვარდებით, თუ ინტრიგებს თავს არ დავანებებთ და თუ არ მოხდება ნამდვილი და სრული კონსოლიდაცია" (გაზ. „ივერია", №23, 1990 წლის 6 ივნისი).

არჩევნებამდე თითქმის ერთი წლით ადრე ჩამოყალიბებული პოზიციები არ შეცვლილა, ოღონდ კომპლექსური მიდგომის ნაცვლად, როგორც მ. კოსტავა უწოდებს, „ინტრიგები" ამუშავდა და „სრული კონსოლიდაციის" ნაცვლად მოხდა უაღრესად მკვეთრი და ხისტი

დაპირისპირება. არადა, იმპერიის ცენტრში უკვე ფიქრობენ მის მოდერნიზაციაზე, ამ მოდერნიზაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სწორედ არჩევნების ჩატარებაა მოკავშირე რესპუბლიკებში, ოღონდ იმგვარად, რომ არჩეული უზენაესი საბჭოს შემადგენლობამ მხარი დაუჭიროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, პირველი ეტაპი კი სსრკ-ს პრეზიდენტიხ არჩევაა და მ. გორბაჩოვი ხდება კიდეც ქვეყნის პრეზიდენტი. მდგომარეობა საკმაოდ რთულია, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ რეგისტირებულ ორგანიზაციებს აქვთ, საქართველოში ასეთებია კომპარტია, რუსთაველის საზოგადოება და სახალხო ფრონტი. ჩვენი არჩევანი სახალხო ფრონტზე შეჩერდა — არაფორმალური ორგანიზაციის წარმომადგენლები სახალხო ფრონტის სიით იყრიან კენჭს. არჩევნებში ფაქტიურად ორი მხარე — კომპარტია და სახალხო ფრონტი მონაწილეობს. საარჩევნო კამპანია დაიწყო და ალბათ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩამთავრდებოდა, რომ არა 11 მარტი. ამ დღეს არჩევნებში გამარჯვებულმა „საიულისმა" ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენის· შესახებ და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ვ. ლანდსბერგისი აირჩია. ეტყობა, ეს იმდენად მოულოდნელი იყო მოსკოვისათვის, რომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გადაწყდა სხვა რესპუბლიკებში, სადაც სიტუაცია მთლად მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი, არჩევნები ჩაეშალათ. იცოდა რა ეროვნული ხსნის კომიტეტში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების დამოკიდებულება არჩევნებისადმი, ხელისუფლებამ მათ დაუთმო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი საგანგებო ეროვნული კონფერენციის ჩასატარებლად 13-15 მარტს, ხოლო საქართველოს ტელევიზია სამი დღის განმავლობაში დილიდან სალამომდე აწარმოებდა კონფერენციის ტრანსლაციას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გულდასმით აშუქებდნენ ყოველ დეტალს და, რაღა თქმა უნდა, აფიქსირებდნენ არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადების აუცილებლობას. ამ სამდღიანი ტელე და ინფორმაციული მარათონით, აგრეთვე ხელისუფლების ხელთ არსებული ყველანაირი უხილავი თუ ხილული მექანიზმის გამოყენებით, შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი აზრის შეცვლა და არჩევნების ჩაშლა. არადა, სრულ კონსოლიდაციას ვინ ჩივის, უბრალოდ, ელემენტარული კოორდინაციის საშუალება რომ ყოფილიყო, 25 მარტის არჩევნები ჩატარდებოდა. დარწმუნებული ვარ, იმ პერიოდში საზოგადოებაში არსებული განწყობილებიდან

გამომდინარე, ისევე, როგორც ლიტვაში, ჩვენთანაც სახალხო ფრონტის კანდიდატები მოიპოვებდნენ უმრავლესობას. ასეც რომ არ მომხდარიყო, გარეთ დარჩენილი რადიკალური ოპოზიციისა და საპარლამენტო ოპოზიციის ერთობლივი მოქმედებით შესაძლებელი იქნებოდა ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს მართვა, ჩვენ ბუნებრივად აღმოვჩნდებოდით მიბმული ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი იძულებული იქნებოდა ისევე დაეცვა ჩვენი დამოუკიდებლობა, როგორც ბალტიისპირა ქვეყნებისას იცავდა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარლენ ფიცუოტერმა განაცხადა, რომ იგი მიესალმება ამ მნიშვნელოვან ფაქტს ლიტველი ხალხის ცხოვრებაში, ხოლო პრეზიდენტმა ბუშმა პირადი წერილი გაუგზავნა მ. გორბაჩოვს, სადაც დაადასტურა აშშ-ს პოზიცია — ლიტვის თვითგამორკვევის უფლებისა და შექმნილი ვითარების უშუალო დიალოგის გზით მოწესრიგების შესახებ. ასეთივე იყო დამოკიდებულება ლატვიისა და ესტონეთის მიმართაც, ამავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით ჩვენც. მახსენდება, შემდგომში, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, როგორი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა, ვინ გვაღიარა და ვინ არა. ყოველი აღიარება, თუნდაც უმნიშვნელო და ფორმალური, ლამის მიტინგის ჩატარების საგნად იყო ქცეული.

ჩვენ დრო დავკარგეთ, იმპერიამ ისევ მოახერხა ჩვენი უთანხმოების გამოყენება.

13-15 მარტს ფილარმონიაში ჩატარებულმა „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ" მუშაობა იმით დაასრულა, რომ „ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის" უფლებამოსილებანი ახლადშექმნილ „ეროვნულ ფორუმს" გადასცა. ეროვნულმა ფორუმმა ლიტვის დამოუკიდებლობა ფიქციად გამოაცხადა და სპეციალური რეზოლუციით დაგმო ქართული ემიგრაცია, რადგან ისინი არჩევნებში მონაწილეობის მიღების მომხრენი იყვნენ, ხოლო 25 მარტის არჩევნების ჩაშლა საქართველოს გადარჩენად მონათლა. 25 მარტს მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე ბ-ნმა ზ. გამსახურდიამ ბრძანა: „მეგობრებო, წამოყო თავი ცრუ მოძრაობამაც საქართველოში. ეს არის ის მოძრაობა, რომელიც შეიქმნა ცკ-ს ხალიჩებიან კაბინეტებში, იქ დაიგეგმა ეს, იქ დამუშავდა ეს გეგმა, და კიდევ უფრო ჩრდილოეთით დამუშავდა, იქ, მეგობრებო, სპეციალური

შეთქმულება რომ არსებობს ქართველი ერის წინააღმდეგ და ჩვენი თანამემამულე რომ უდგას ამას სათავეში, აი, იმან დაგეგმა. პირდაპირ გეტყვით, არ დაგიმალავთ, ჩემს წინააღმდეგ შეაქმნევინეს ორგანიზაციები, ტერორისტულიც, სხვათაშორის, რომ მე როგორმე მომსპონ და ჩვენი მოძრაობა მოსპონ და შეაქმნევინეს იდეოლოგიური ცენტრები იმისა, რომელთაგან ერთ-ერთი არის ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომელიც ცენტრალური კომიტეტის აგენტებმა შექმნეს. დიახ, აგენტებმა შექმნეს, გამოგლიჯეს ის ინიციატივა ჩვენს მეგობრებს, ირაკლი წერეთელს, მერაბ კოსტავას და შექმნეს კოლაბორაციონისტული, ცკ-ს ეგიდით შექმნეს, ცკ-ს საიდუმლო ინსტრუქციებით შექმნეს ეს დაჯგუფება, რომელიც თავის თავს ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას უწოდებს და ამ წმიდა სახელს ამ ბინძური გეგმისათვის იყენებს და ეს საზოგადოება ბლოკირებული არის დღეს ე. წ. რესპუბლიკურ პარტიასთან და ვითომდაც სეგო-სთან. რა სეგოა ის სეგო, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა არჩევნებისათვის იბრძვის, მოუწოდებს, რომ მიიღეთ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობაო. აი, ასეთი ხალხი გაერთიანდნენ ჩვენს წინააღმდეგ და სახალხო ფრონტის კორუმპირებული ელემენტები მიიმხრეს და შექმნეს ახლა ბლოკი და უნდათ, რომ ჩვენი მოძრაობა ჩაახშონ, ჩვენ იზოლაციაში მოგვაქციონ, ფორუმი კანონგარეშე გამოაცხადონ და კრემლის ხაზი გაატარონ ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ ეს მათ არ ეღირსებათ, მეგობრებო!

... და ეს კოლაბორაციონისტული, ეს მოღალატური საზოგადოება კიდევ იმაღლებს ხმას ჩვენი მოძრაობის წინააღმდეგ, ფორუმის წინააღმდეგ და თურმე ფორუმი ეროვნული მოძრაობის გამომხატველი არ ყოფილა. აი, როგორ მოგწონთ ეს?! მაგრამ ეს ყოველივე ჩვენი ბრალია, მეგობრებო, ჩვენი ზედმეტი ჰუმანიზმის ბრალია და ზედმეტი დემოკრატიზმის. დემოკრატიასაც უნდა თავისი საზღვრები, ეს არაერთხელ მითქვამს.

... მე ვუსაყვედურე, დასამალი რა მაქვს, ჩვენს პატრიარქს ილია მეორეს, თქვენ ნუ უქმნით მათ რეკლამას, თქვენით უნდათ აღიდგინონ ავტორიტეტი, დაფარონ თავიანთი დანაშაულები. პირდაპირ განვუცხადე, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნე ვარ და პატრიარქის წინაშე ძალიან დიდი მორიდებაც მაქვს და ყველაფერი, მაგრამ პირუთვნელად მე ყველას ვეტყვი სიმართლეს. აი, ესაა, მეგობრებო. გააქტიურდნენ ეს ძალები და არც ბატონ ნოდარ ნათაძეს არ უნდა ზედმეტი დათმობები, არ უნდა გამოვავლინოთ ჩვენ ლოიალობა ბატონი ნოდარ ნათაძის

კურსის წინაშე. მე არ ვიცი, ნებსით თუ უნებლიეთ მან გააერთიანა მტრული ძალები თავის სახალხო ფრონტის გამგეობაში, რომელთანაც ბლოკირებულია ეს ჩემს მიერ ხსენებული ჯაშუშური ორგანიზაციები, საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი აგენტები.

... მთელს ემიგრაციას გადაუბრუნეს ტვინი... და ჩვენ დაგვგმო ზოგმა უტვინო ემიგრანტმა და გამოაცხადა, რომ ეს მჩხავანა კატებიაო, ასე დაწერა ჩვენზე და ისაო, 9 აპრილი ეს სისულელე იყო, ეს ციხის კედელზე თავის რახუნი იყოო. აი, ეს ჩვენი ვითომდა გამოჩენილი და ვითომდაც სახელოვანი მოღვაწეები დადიან იმ მიზნით საფრანგეთში, რომ ჩვენი ემიგრაცია მტრულად განაწყონ ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ და ბევრს გადაუბრუნეს სხვათა შორის ტვინი. ასე რომ, ქართველმა ერმა მათ ანათემა უნდა გამოუცხადოს, ანათემა უნდა გამოუცხადოს ამ მტრებს ჩვენი ეროვნული მოძრაობისას" (გაზ. „ივერია", №22, 1990 წლის 24 აპრილი).

ამ გამოსვლიდან ზუსტად ერთი თვის თავზე ზ. გამსახურდიამ და მასთან ერთად „ჰელსინკის კავშირმა", „მონარქისტულმა პარტიამ", „მერაბ კოსტავას საზოგადოებამ" და „წმ. ილია მართლის საზოგადოების" ერთმა ნაწილმა დიდი ხმაურით დატოვა „ეროვნული მოძრაობის გამომხატველი ფორუმი".

24 აპრილს რუსთაველზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ ეროვნული ფორუმი ფაქტიურად დაიშალა. ფორუმიდან გასულმა ორგანიზაციებმა ზ. გამსახურდიას მეთაურობით ჩამოაყალიბეს ახალი გაერთიანება „მრგვალი მაგიდა". გამოქვეყნდა „მრგვალი მაგიდის" წესდება და პოლიტიკური კონცეფცია. წესდებიდან ვგებულობთ, რომ „მრგვალი მაგიდის ოთხი ორგანიზაცია („ჰელსინკის კავშირი", „წმიდა ილია მართლის საზოგადოება", „მერაბ კოსტავას საზოგადოება" და „მონარქისტული პარტია") აბსოლუტურად თავისუფალია თავისი ნების გამოხატვისას", ამასთანავე, „მრგვალი მაგიდის" შემქმნელ ორგანიზაციებს დასაშვებად მიაჩნიათ თანამშრომლობა ყველა იმპერიალისტური სტრუქტურების უარმყოფელ არაკოლაბორაციონისტულ, მშვიდობიან, ძალადობის დამგმობ ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან, ამავე დროს გამორიცხული არ არის დიალოგი ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ან ცალკეულ პიროვნებებთან".

ბუნებრივია, „კოლაბორაციონისტულ" ორგანიზაციებში ისინი იგულისხმებიან, ვინც არჩევნების გზით აპირებს ხელისუფლების ცვლილებას და ლიტვის გზა მისაღებად და გამართლებულად მიაჩნია,

ამიტომ წესდებაში ასახული დამოკიდებულება, რომ მათთან „გამორიცხული არ არის დიალოგი" — გასაგებია, მაგრამ რა ურთიერთობაა „არაკოლაბორაციონისტულ" ორგანიზაციებთან?

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „მრგვალი მაგიდის" მუდმივ წევრებს (დამფუძნებლებს) აქვთ ორგანიზაციული ვეტოს უფლება (გადამწყვეტი ხმის უფლებასთან ერთად), მოწვეული სტუმრის აზრი, თუნდაც უმრავლესობამ გაიზიაროს, მაინც მიუღებელი იქნება, თუ ერთ-ერთ მუდმივ წევრს არ მოეწონა. თუმცა „სტუმრის" უფლება შეიძლება გაიზარდოს და მაგიდის წევრი გახდეს, თუკი ის სრულ თანხმობაში იქნება მუდმივ წევრებთან.

ვფიქრობ, ნათლად ჩანს, თუკი რომელიმე ორგანიზაციას, მიუხედავად იმისა, „კოლაბორაციონისტული" იქნებოდა თუ „არაკოლაბორაციონისტული", სურვილი გაუჩნდებოდა „მრგვალი მაგიდის" წევრი გამხდარიყო, წინასწარვე უნდა შეგუებოდა იმ აზრს, რომ მის სიტყვას ფასი არ ექნებოდა და თუ იმსაც გავითვალისწინებთ, რომ „მრგვალი მაგიდის" სპიკერი და დამფუძნებელი ოთხი ორგანიზაციიდან ორის (ჰელსინკის კავშირი და „წმ. ილია მართლის საზოგადოება" — ეს უკანასკნელი ორად გაიყო, ნაწილი ფორუმში დარჩა, მეორე ნახევარი კი „მრგვალი მაგიდის" წევრი გახდა) უშუალო ხელმძღვანელი ზ. გამსახურდია იყო, მაშინ, რეალურად, ამ ორგანიზაციას დამოუკიდებელი არსებობა უნდა შეეწყვიტა და ფაქტიურად ზ. გამსახურდიას დაქვემდებარებაში გადასულიყო.

ეს, რაც შეეხება წესდებას; მაგრამ, მოდით, ახლა საკითხი ცოტა სხვაგვარად დავსვათ: განა არ ჰქონდა უფლება ზ. გამსახურდიას პირდაპირ და ღიად განეცხადებინა, რომ ქმნიდა „მრგვალ მაგიდას", პოლიტიკურ ორგანიზაციას თუ გაერთიანებას, ამას მნიშვნელობა არა აქვს და მისი წევრები იქნებოდნენ ისინი, ვისაც ის თავად მიიჩნევდა საჭიროდ?! (ფაქტიურად, ეს აზრია ჩადებული წესდებაში, ოღონდ შელამაზებული სახით); რა თქმა უნდა, ჰქონდა! არათუ ზ. გამსახურდიას, ნებისმიერ პიროვნებას სრული მორალური და ზნეობრივი უფლება აქვს შექმნას და ჩამოაყალიბოს ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორსაც თავად თვლის მისაღებად. მაშ, რა საჭირო იყო ასეთი კამუფლაჟი?!

თუ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა, უნდა თქმულიყო, რომ ეროვნულ ფორუმს გამოეყო ზ. გამსახურდია თავის მომხრეებთან ერთად — ასეთი განცხადების შემდეგ, ლაპარაკი ეროვნული ფორუმის და მით უმეტეს ეროვნული მოძრაობის ორად გახლეჩაზე, რბილად

რომ ვთქვათ, ცოტა უხერხული იქნებოდა. არადა, ზ. გამსახურდიასა და მისი მომხრეებისათვის გაცილებით მომგებიანი და მისაღები იყო მათი ფორუმიდან გასვლა საზოგადოების თვალში სწორედ ეროვნული მოძრაობის ორად გაყოფად დაფიქსირებულიყო; თუმცა რეალურად 1988 წლის მარტიდან, როცა ი. ჭავჭავაძის საზოგადოებიდან გასულმა გ. ჭანტურიამ და ვ. ხუხუნაიშვილმა ზ. გამსახურდიასთან ერთად შექმნეს „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება – IV დასი", ეროვნული მოძრაობა ერთიანი არასოდეს ყოფილა. ერთიანობის ილუზიას ქმნიდა საბჭოთა პროპაგანდა, რომელიც ეროვნულ მოძრაობად საზოგადოების თვალში მხოლოდ მის რადიკალურ ნაწილს წარმოაჩენდა. რაც შეეხება წესდებაში შემუშავებულ მექანიზმს „მრგვალ მაგიდაში" ახალი ორგანიზაციის სტატუსის განსაზღვრისა და მიღება-გაწევრიანების შესახებ (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვით, არმიღების მექანიზმს), იგი ახალ გაერთიანებას დემოკრატიულობის ანტურაჟს უქმნიდა.

კაცმა რომ თქვას, საქმე ამით რომ დაშთავრებულიყო, არც ამ პატარა პოლიტიკურ ეშმაკობაშია რაიმე გამაოგნებელი და შემაძრწუნებელი. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკას უზნეობად მიიჩნევს, ხოლო დიპლომატიას – მოტყუების ხელოვნებად, მაგრამ ფორუმიდან გამოსული გამსახურდია 1990 წლის 28 მაისს გლდანის კულტურის სახლში გამართულ შეხვედრაზე სვამს რიტორიკულ კითხვას: „როდის მოხდება ამ ანტიეროვნული ძალების გამოაშკარავება, რომლებმაც თავი მოიყარეს ეროვნულ ფორუმში? – ჩვენ ვამხელთ მათ საკმაოდ ინტენსიურად, ვამხილოთ გაზეთებშიც, ყოველნაირად". ხოლო რას გულისხმობს მხილებაში, ამას უკვე აზუსტებს 1990 წლის 1 ივნისს ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში ჩატარებულ მიტინგზე: „აი, რას აკეთებს ეს მთავრობა, დაინახა, რომ სახელი გაუტყდა, ხალხი მას აღარ უჯერებს და ახლა შექმნა თავისი აგენტები ჩვენს მოძრაობაში, გესმით? ეს ვითომდაც ეროვნული ფორუმი, ეს ცრუ ფორუმი, სადაც შეიყარა მოღალატეები, გესმით, გამყიდველები, საქართველოს მოღალატეები შეერთდნენ და დაგვიპირისპირდნენ ჩვენ, ეროვნულ მოძრაობას... აი, რა ხდება, მეგობრებო. გაახილეთ თვალი, გაახილეთ თვალი, რამეთუ მოვიდა მტერი უკვე შენიღბული სხვა ფორმით, სხვა სახით და უნდა გავცეთ საკადრისი პასუხი. უნდა მოიკვეთონ, ამოიწვან ცხელი შანთით ქართველი ერისაგან ეს მოღალატეები და გამყიდველები". მართალია, ამბობს: „პიროვნებებს

ჩვენ არც ვეხებით და არაფერი, უბრალოდ, პოლიტიკური ხაზი, მათი მოქმედება, მათი პოზიცია არის დაგმობილი ჩვენს მიერ"-ო, მაგრამ მაინც ვერ ძლებს, რომ არ დაახასიათოს „გუშინდელი ძმები" (ზ. გამსახურდიას ტერმინია): „სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, სამწუხაროდ, ჩვენს გულისსატკივარად, რომ აი, ეს ჩვენი ყოფილი მეგობრები — ჭანტურია, წერეთელი, მაფიის მხარეზე აღმოჩნდნენ, რა ვქნათ, ესე იგი, სიმართლე უნდა ითქვას, და მაფიასთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ მოაწერეს ხელი გარკვეულ დოკუმენტებს... აი, იოსელიანიც ამ მაფიასთან არის დაკავშირებული".

ფორუმის დატოვების შემდეგ ზ. გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა ჯ. იოსელიანის და „მხედრიონის" წინააღმდეგ ისეთი კამპანია გააჩაღეს, საქმეში ჩაუხედავ კაცს ეგონებოდა, ზ. გამსახურდია დაარსების დღიდანვე ებრძვის მხედრიონსო, რაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება.

შიდა ქართლში მომხდარ გარემოებათა გამო, „საქართველოს მხედრიონის" მემორანდუმში (გაზ. „ივერია", №24, 1990 წლის 1 ივლისი) ნათქვამია: „როცა შეიქმნა „ეროვნული ხსნის კომიტეტი", სადაც თითქოსდა უნდა გაერთიანებულიყო ეროვნული მოძრაობის ყველა მიმდინარეობა, „საქართველოს მხედრიონმა" უარი თქვა გაწევრიანებულიყო ამ კომიტეტში და თავის წარმომადგენლებს, რომლებიც ხანგამოშვებით ესწრებოდნენ კრებებს, მხოლოდ მეთვალყურის როლი შემოუფარგლა. მხედრიონს მიაჩნდა, რომ აბრა — „ეროვნული ხსნის კომიტეტი" — არ შეესატყვისებოდა ნამდვილ ვითარებას და პრეტენზიულად ეღერდა. პირველივე საქმიანი კონტაქტი, პირველივე გადაწყვეტილება, რომელიც ამ კომიტეტმა მიიღო „საქართველოს მხედრიონის" აფხაზეთის აქციასთან დაკავშირებით, უპირო გამოდგა. შეთანხმება, რომ „საქართველოს მხედრიონი" გაემგზავრება აფხაზეთში და წინ აღუდგება სეპარატისტების განზრახვებს, თავის მხრივ კი „მთავარი კომიტეტი" გაფიცვებსა და მიტინგებს მოაწყობდა თბილისსა და მთელ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ რუსის ჯარის აფხაზეთიდან გაყვანის მოთხოვნით, არ შესრულდა. მხედრიონი გაემგზავრა, მთავარი კომიტეტი კი იმით დაკმაყოფილდა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ პირველი მდივნის გ. გუმბარიძის სიტყვიერი თანხმობა მიიღო სულ სხვა საკითხზე — რეფერენდუმის

ჩატარების თაობაზე.

„ერთხელ ბრძენიც შეცდებაო", არის ნათქვამი და მხედრიონმა კვლავ მხარი დაუჭირა „მთავარი კომიტეტის" აქციას, რომელიც თავადაც მიზანშეწონილად მიაჩნდა. საქმე ეხება 23 ნოემბრის ქ. ცხინვალის მისადგომებთან ჩატარებულ დემონსტრაციას (აღსანიშნავია, რომ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" გაემიჯნა ამ გადაწყვეტილებას. მიტინგი ასევე არ სურდა „დემოკრატიულ პარტიას"). თავდაპირველად მიტინგის ჩატარება ცხინვალის სადგურის დიდ მოედანზე იყო განსაზღვრული. მიტინგი იქნებოდა მშვიდობიანი, სადაც გამოვიდოდნენ როგორც ქართველი, ასევე ოსი მოქალაქეები და აქტივისტები. უნდა შემდგარიყო დიალოგი, არჩეულიყო დელეგატები, გაერკვიათ პოზიციები და დაერწმუნებინათ შიდა ქართლის მოსახლეობა, რომ ქართველი ხალხი არავის მისცემს უფლებას, გამოიყენოს მომენტი მთლიანი საქართველოს დასაქუცმაცებლად, ან მისი მიწების მისატაცებლად. საქართველოს მთავრობამ უარი თქვა ამ დემონსტრაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. „საქართველოს მხედრიონმა" კი, საკითხის წინასწარი შესწავლისა და სათანადო მომზადების შემდეგ, იკისრა ეს მისია და თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. დემონსტრაციის წინა დღეს გაირკვა, რომ „მთავარი კომიტეტის" ლიდერებმა ცკ-ს მდივან გივი გუმბარიძესთან, ასე ვთქვათ, ჯენტლმენური შეთანხმება მოახდინეს, რომ მიტინგი გაიმართებოდა ცხინვალის მისადგომებთან. ასეთ ვითარებაში „მხედრიონი" უფუნქციოდ რჩებოდა, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, მას მაინც სთხოვეს, დემონსტრაციისთვის ებადრაგა. ამას მხარს უჭერდა „სახალხო ფრონტიც" და ნაწილობრივ „რუსთაველის საზოგადოების" გამგეობა. ე. ი. „საქართველოს მხედრიონს" თითქმის მთელი ქართველი ხალხის სახელით შეეძლო მოქმედება.

საუბედუროდ, მთავრობა და დემონსტრაციის ორგანიზატორები არ გამოდგნენ ჯენტლმენები. დანიშნულ ადგილას კორდონი მოიხსნა, რამაც გამოიწვია ის, რომ დემონსტრანტები ცხინვალს მიუახლოვდნენ, მაგრამ ზედ ქალაქის შესასვლელთან ოთხი „ბეტეერითა" და ჯარისკაცებით გატენილი ავტობუსებით გზა ჩაიხერგა და ვიდრე ვითარება გაირკვეოდა, უკვე ცხინვალიდან კორდონს ოსი მოსახლეობა მოადგა. შეიქმნა წინააღმდეგობის, გაწევ-გამოწევის, მთავრობასთან შელაპარაკების,

ურთიერთგადაბრალების ანარქიული სიტუაცია. ამასობაში დაღამდა და მთელი ღამე საბჭოთა ჯარისკაცების პიკეტით გაყოფილ ორივე მხრიდან მტრობაში გადაზრდილი ღრიანცელი გაისმოდა". — ასე რომ, ზ. გამსახურდიასა და მხედრიონის თანამშრომლობა საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა და არ იყო ერთჯერადი აქტი. ზ. გამსახურდია მხედრიონს მაშინ გაემიჯნა, როდესაც შეიქმნა მისი მხარდამჭერი ასევე ნახევრად გასამხედროებული ფორმირება „მ. კოსტავას საზოგადოება". „მხედრიონი", თავისი ამბიციებით და ლიდერით, მისთვის უკვე ზედმეტი იყო!

...გუდავები აღმოჩნდნენ თვითმარქვიები და ესე იგი საქმოსნები პოლიტიკაში, ისინი გ. ჭანტურიას პარტიის წევრებად იქცნენ და აშუქებენ საქართველოს მოვლენებს ჭანტურიას პარტიის კუთხით და ძალზე ეწევიან დეზინფორმაციას უცხოეთის საზოგადოებრიობისას" (გაზ. „ივერია", №23, 1990 წ. 6 ივნისი. „ფრაგმენტები ზ. გამსახურდიას გამოსვლებიდან");

იმავე გამოსვლებში, როდესაც საქმე ზოგადად ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას ეხება, ზ. გამსახურდია ბრძანებს: „... დღეს უკვე უჭირს იმპერიას, ველარ ახერხებს თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას საქართველოში, მაგრამ ახლა დაინახა, რომ კარგავს საქართველოს და ახალ გზებს ეძებს. როგორმე უნდა, რომ დაანგრიოს ეროვნული მოძრაობა, გათიშოს ეროვნული მოძრაობა და შემდეგ ისევ ჩაიგდოს ხელში საქართველო. ამას ცდილობს ყოველნაირად და აი ამიტომ შექმნა ცრუ პარტიები, ცრუ ჯგუფები, ცრუ საზოგადოებები და დაუპირისპირა ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას" (გაზ. „ივერია", №23).

„ნამდვილ ეროვნულ მოძრაობაში", ცხადია, „მრგვალ მაგიდაში" შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები იგულისხმება, ხოლო მის გარეთ არსებული — „ცრუ პარტიები, ცრუ ჯგუფები, ცრუ საზოგადოებებია". თუ თავს დავანებებთ იმის განსჯას, რამდენად ობიექტურია ეროვნული მოძრაობის ამგვარი დაყოფა და ზემოთ მოტანილ ამონარიდს, ასე ვთქვათ, „ნეიტრალური თვალით" გადავხედავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შეფასება საკმაოდ ზუსტია — იმპერია მართლაც ინგრევა (ბალტიისპირა ქვეყნებმა უკვე განაცხადეს სსრკ-დან გამოყოფის შესახებ), ცენტრი ყოველ ღონეს მიმართავს მოკავშირე რესპუბლიკების შესანარჩუნებლად, რეალურად ცდილობს გათიშოს ეროვნული მოძრაობა და ჩვენ, თავადაც

რომ ვერ მივმხვდარიყავით, აღმოსავლეთ ევროპის ქეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან მაინც შევიტყობდით, რომ მოსკოვი მე-5 კოლონის წარმომადგენლებს ნერგავს ეროვნულ მოძრაობაში და ცალკეულ შემთხვევებში მათგან პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და პარტიებსაც კი ქმნის. ასეთ ვითარებაში რა დასაძრახია, რომ ადამიანმა თუნდაც ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინოს და ახლადშექმნილი ორგანიზაციის წესდებაში ჩადოს ისეთი მექანიზმი, რომელიც ერთგვარი ფილტრის როლს შეასრულებს და გამორიცხავს მასში არასაიმედო პოლიტიკური ორგანიზაციების თუ ცალკეული პიროვნებების შეღწევას. მართლაც, იმ ამოცანის გადასაჭრელად, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ჰქვია, საჭირო იყო ერთიანი, სუფთა და ძლიერი ორგანიზაციის შექმნა. როგორც ჩანს, ასეთ ორგანიზაციად ან ორგანიზაციათა ასეთ გაერთიანებად მიაჩნდა ზ. გამსახურდიას „მრგვალი მაგიდა".

„მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური კონცეფციის მიხედვით, მიზნის მისაღწევად არსებობდა ორი გზა: 1. საყოველთაო და ეროვნული დაუმორჩილებლობა და 2. საყოველთაო არასაბჭოური ოფიციალური არჩევნები.

კონცეფციის ავტორები თავადვე აღნიშნავდნენ, რომ ეროვნული დაუმორჩილებლობის მიღწევა მარტოოდენ მოწოდებების საფუძველზე „უახლოეს ხანებში ნაკლებ სავარაუდოა", თუმცა არ გამორიცხავდნენ იმგვარი სიტუაციის შექმნას, რაც „უკიდურესი გაჭირვების, დიდი რისკისა და იქნებ სისხლის ფასადაც ერს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე მიიყვანს".

რაც შეეხება არჩევნებს, ზ. გამსახურდია ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც ლომის წილი მიუძღვის 25 მარტის არჩევნების ჩაშლაში. იგი მოღალატედ და ერის მტრად აცხადებდა ყველას, ვინც არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა ან მხარს უჭერდა მის ჩატარებას, ეროვნულ ფორუმში ყოფნისას კი აქტიურად ემხრობოდა კონგრესის არაოფიციალური არჩევნების იდეას. მხოლოდ ფორუმიდან გასვლის შემდეგ, „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ კონცეფციაში გაჩნდა მოსაზრება არასაბჭოური ოფიციალური არჩევნების შესახებ, რომლის ჩატარების წინაპირობად რესპუბლიკისათვის სახელის გადარქმევა იყო აუცილებელი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, არჩევნები არასაბჭოური იქნებოდა, თუ რესპუბლიკას ჯერ სახელს გადავარქმევდით, ხოლო შემდეგ არჩევნებს ჩავატარებდით. ჭეშმარიტად, ნეტარ არიან

მორწმუნენი, რომელთაც სჯერათ, რომ სახელის გადარქმევით შესაძლებელია საგნის არსი და ბუნება შეიცვალოს და ხელისუფლების შეუცვლელად, საბჭოთა ჯარითა და აგენტურით სავსე ქვეყანაში, შესაძლებელი გახდეს არასაბჭოური არჩევნების ჩატარება.

მას შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, არა ერთი არჩევნები ჩატარდა, მაგრამ თუ გულწრფელი ვიქნებით, უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი ეს არჩევნები არ ყოფილა თავისუფალი და დემოკრატიული, ყველგან ძალუმად იგრძნობოდა რუსული, იგივე საბჭოური, ზეწოლა და შედეგსაც შესაბამისს ვღებულობდით. იგივე დაადასტურა სულ ახლახანს (1998 წელი) ჩატარებულმა ადგილობრივმა არჩევნებმა. ალბათ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რუსული ლობი, ფული და აგენტურა კიდევ უფრო მძლავრად და ღიად იმოქმედებს — ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაციიდან და ცალკეულ პოლიტიკოსთა განცხადებებიდან გამომდინარე, ასეთი პროგნოზის გაკეთების ყველანაირი საფუძველი არსებობს.

გარდა პოლიტიკური კონცეფციისა და თეორიული წიაღსვლებისა, ახლადშექმნილმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალმა მაგიდამ" გამართა აქციათა მთელი კასკადი, რომელთაგან უმეტესის აზრი, მნიშვნელობა და საჭიროება ჩემთვის, მაშინაც და დღესაც, ისევე გაუგებარი და აბსურდულია, როგორც საბჭოთა პირობებში არასაბჭოური არჩევნების ჩატარება.

მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობაგამოცხადებული ბალტიისპირა ქვეყნების დამორჩილებას და იძულებას მოსკოვი „ლიტვური მორატორიუმითა" და ეკონომიკური ბლოკადის გამოცხადებით ცდილობდა და ამის შესახებ ოფიციალური განცხადებების გაკეთებასაც არ ერიდებოდა, რაც მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში მისთვის საკმაოდ წამგებიანი იყო, დამოუკიდებლობისკენ მიმავალი საქართველოს „ნამდვილი ეროვნული მოძრაობა" სამტრედიაში პიკეტირებას უკეთებს რკინიგზას და მით თავად „უცხადებს ბლოკადას მოსკოვს!".

1990 წლის მაისში ჯ. კოპალიანი, გ. აფაქიძე, ნ. ჩიგოგიძე, ტ. ღვინიაშვილი, ე. შენგელაია და მე ლიტვაში ვიმყოფებოდით იქაური ერთ-ერთი რადიკალური ოპოზიციური პარტიის — „ლიტვის თავისუფლების ლიგის" მიწვევით, რომელსაც ყოფილი პოლიტპატიმარი ანტანას ტერლიაცკასი ხელმძღვანელობდა. ეს ორგანიზაცია თვლიდა, რომ არჩევნების გზით დამოუკიდებლობას

ვერ მოიპოვებდნენ, ამიტომ თავად არჩევნებში არ მონაწილეობდა, მაგრამ ჩვენი რადიკალებისაგან განსხვავებით, აქტიურ ანტისაარჩევნო პროპაგანდას არ ეწეოდა და მოსახლეობას ბოიკოტისაკენ არ მოუწოდებდა. ამგვარი პოზიციისა და პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა აუცილებლობასაც კი წარმოადგენდა, რადგან ყველამ მშვენივრად ვიცოდით, თუ რა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული არჩევნებში მონაწილეობა. თუ, დავუშვათ და, დამოუკიდებლობის მიღწევის საპარლამენტო გზა კრახით დამთავრდებოდა, ქვეყანაში უნდა ყოფილიყო ისეთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც მორალური და ზნეობრივი უფლება ექნებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გაეგრძელებინა.

ჩვენ გვაინტერესებდა, რა ხდებოდა ლიტვაში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ერი თვის შემდეგ. ა. ტერლიაკკასის დახმარებით შევხვდით დეპუტატებს, კომისიის თავმჯდომარეებს და თავად ვ. ლანდსბერგისს (წარმოგიდგენიათ, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ზ. გამსახურდიასთან ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელს დელეგაცია რომ მიეყვანა, რა მოხდებოდა და როგორ მიიღებდნენ?!). საუბარი ბ-ნ გ. აფაქიძეს მიჰყავდა და შემდეგ გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიის" №23-ში. მრავალ სხვა საინტერესო კითხვასთან ერთად, მე ვკითხე ლიტვის პრეზიდენტს: „ვახტანგ ძაბირაძე: ემზადებოდით თუ არა ეკონომიკური ბლოკადისათვის, ხომ იცოდით, რომ მოსკოვი რაიმე ხრიკს მიმართავდა?

ვიტაუტას ლანდსბერგისი: დიახ, დიახ, როგორ გითხრათ — ვემზადებოდით, მაგრამ არა ისე ორგანიზებულად, როგორც შეიძლებოდა. იყო გაფრთხილებები, ინსტრუქციები. წარმოების ზოგიერთი ხელმძღვანელი მოემზადა, ზოგიერთი — არა. ზოგს ერთი წლის მარაგი აქვს, მაგრამ ბევრი კარგად ვერ მოემზადა. ლიტვამ ვერ გამოიყენა სრულად შესაძლებლობა, მომზადებულიყო ასეთი ხანგრძლივი თავდაცვისათვის — ჩვენ არ ველოდით მოსკოვის ასეთ თავგანწირულ პოზიციას, რადგანაც ეს ძალიან მავნეა მათთვისაც. ამჟამად სამხედრო მშენებლობა არ იღებს ცემენტს, შეიძლება შევწყვიტოთ ავტოკომპრესორების, სხვადასხვა სისტემების, მათ შორის კომპიუტერულის, მიწოდება, რომელიც მათ არ აქვთ. მათ სურთ შეინარჩუნონ ის საწარმოები, რომლებიც

უნიკალურ პროდუქციას უშვებენ. ჩვენ ვმსჯელობდით, შეგვეწყვიტა თუ არა მიწოდება, რადგან იყო რისკი, ეს საწარმოები სამხედროებს ჩაეგდოთ ხელში... მშვიდობიანი პოლიტიკაა თითქოს. მათ შეიძლება იმედი ჰქონდეთ ჩვენი გაჟლეტისა... მაგრამ ალბათ ვერ შეძლებენ ამ პროპაგანდით წინააღმდეგობებისა და სიძნელეების გამწვავებას".

განა ძნელი წარმოსადგენია, ჩემნაირი პოზიციის ადამიანში რა რეაქციას გამოიწვევდა სამტრედიის აქცია?! მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, თუ მოსკოვი სამხედრო ძალის გამოყენებაზე უარს იტყოდა, აუცილებლად შეეცდებოდა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით იგივე ეკეთებინა? სწორედ ამიტომაც ვკითხე ვ. ლანდსბერგისს, ემზადებოდნენ თუ არა ამისთვის. შემდეგ, როდესაც ბალტიისპირეთის ეკონომიკურ ბლოკადაზე ლამის მთელი მსოფლიო ალაპარაკდა, უეცრად, საქართველოს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები იქით უცხადებენ ბლოკადას რუსეთს! ანუ აკეთებენ იმას, რასაც რუსეთი მოიმოქმედებდა, თუ ჩვენ დამოუკიდებლობას გამოვაცხადებდით! როგორ უნდა ამეხსნა და გამეგო ეს? ვერ გავიგე და ჩავთვალე, რომ ეს იყო დიდი შეცდომა.

შემდგომში სამტრედიის აქციაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, ზოგიერთი იქამდეც კი მივიდა, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად ამ აქციას გადააბრალა. რა თქმა უნდა, ამ აქციამ ეკონომიკური და, სხვათა შორის, პოლიტიკური ზარალიც მოგვიტანა, ეს ფაქტია, მაგრამ ამ აქციას ქვეყანა ეკონომიკურად ნამდვილად არ დაუნგრევია, ქვეყნის ეკონომიკურ გაჩანაგებაში სულ სხვა ფაქტორი და სხვა პიროვნებები მონაწილეობდნენ!

31 მაისს, სრულიად მოულოდნელად, ხუთმა ახალგაზრდამ უნივერსიტეტში უვადო შიმშილობა გამოაცხადა. შიმშილობის აქცია იმ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მოშიმშილეებმა საკმაოდ გაურკვეველი და ბუნდოვანი მოთხოვნები წამოაყენეს, თუმცა ეს მოთხოვნები საკმაოდ ინტენსიურად იცვლებოდა, რაც საზოგადოებაში გარკვეულ ეჭვსა და გაუგებრობას ბადებდა. აბა, განა ნორმალური ადამიანისათვის გასაგებია, უვადო შიმშილი გამოაცხადო, სიკვდილზე წახვიდე და არ იცოდე, რა გინდა? ასეთი გაურკვევლობის მიუხედავად, აქცია საზოგადოების ყურადღების ცენტრში

მოექცა და, როგორც იქნა, 2 ივნისს „ახალგაზრდა ევერიელში" შიმშილობის საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა: „უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა გამოაცხადა უვადო, არაპერმანენტული შიმშილობა უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით (მოშიმშილეებმა მომდევნო ხანებში მოხსნეს ეს მოთხოვნა. ვ. ძ.). მოშიმშილეთა მხარდამჭერი ჯგუფი მოგმართავთ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, საქართველოს ყველა მცხოვრებს, მხარი დაუჭიროთ სტუდენტთა მიერ წამოწყებულ აქციას..." ამ მოწოდებას მყისვე გამოეხმაურა „მრგვალი მაგიდა" და მთავრობის სახლის წინ გაშლილ კარვებში დაიწყო შიმშილობა, ასევე მოიქცა სახალხო ფრონტიც — მათ კინოს სახლის წინ წამოაწვინეს თავიანთი მოშიმშილეები და 5 ივნისის „ახალგაზრდა ევერიელში" საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დადგენილების პროექტიც გამოაქვეყნეს. ოფიციალურ პრესაში დაიწყო კოლექტიური წერილებისა და განცხადებების გამოქვეყნება მოთხოვნით „მხარი დავუჭიროთ აქციას". აშკარად ჩანდა, რომ გარკვეული ძალები და მათ შორის ხელისუფლებაც აქციის აგორებით იყო დაინტერესებული. დაინიშნა სესიის დღეც — 20 ივნისი, მაგრამ აქციას მხარი არ დაუჭირეს მთელმა რიგმა პოლიტიკურმა ძალებმა. რატომ? ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ მოსკოვში უკვე ლაპარაკი იყო არა ფედერაციის განახლებაზე, არამედ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე — „სუვერენულ სახელმწიფოთა თანასწორუფლებიან კავშირზე". ასეთი „კავშირის" შექმნა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოკავშირე რესპუბლიკები, და მათ შორის რუსეთი, სუვერენული გახდებოდა, ამიტომ, კრემლის ჩუმი თანხმობით, ინყებოდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ სახელმწიფოებად გარდაქმნის პირველი ეტაპი (შუა აზიის რესპუბლიკების მოსახლეობამ, ისე, რომ თითიც არ გაუნძრევია, თავიანთი დამოუკიდებლობის შესახებ ტელევიზიით შეიტყო). როდესაც ეს მარტივი მექანიზმი საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი (საკოორდინაციო ცენტრმა გამოაქვეყნა განცხადება გაზ. „თბილისში" 9 ივნისს), შიმშილობის აქცია ნელ-ნელა მინელდა. 20 ივნისისათვის დანიშნული სესია მაინც შედგა და მიიღო „მეტად მნიშვნელოვანი" გადაწყვეტილება დროის ერთი საათით უკან გადაწევის შესახებ!

არ შევუდგები „მრგვალი მაგიდის" მიერ ივნის-სექტემბერში ჩატარებული ყველა აქციის დეტალურ აღწერას, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ 1 ივნისს ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში ჩატარებულმა

მათმა მიტინგმა კინაღამ ქართველთა და ლეკთა შეჯახება გამოიწვია (ზ. გამსახურდია დაემუქრა ადგილობრივ ხელმძღვანელობას, რომ თუ დაუყოვნებლივ არ დაიწყებდა ლეკების ძალად გასახლებას, მოუწყობდა აქციებს და აუჭედავდა კარებს. „დაშინებულმა" ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება ლეკების სახლების დანგრევის შესახებ და მის განხორციელებას შეეცადა. პარადოქსი ის არის, რომ ლეკები ისედაც მიდიოდნენ, მათი დაღესტანში დაბრუნების პროცესი დაწყებული იყო და ასეთი ძალდატანების აცუილებლობა ელემენტარულად არ არსებობდა!). ეწყობა სუკ-ის შენობის პიკეტირება და რბევა თბილისში, იგივე ხდება რაიონებში. ხორციელდება აეროპორტის ბლოკირება, თითქოსდა თურქი-მესხები აპირებენ შემოჭრას. აღარაფერს ვამბობ პერმანენტულ მიტინგებზე რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ. პრესა, რადიო და ტელევიზია მთლად „მრგვალი მაგიდის" განკარგულებაშია. საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქართველოში ხელისუფლება უკვე აღარ არსებობს და ყველაფერს „მრგვალი მაგიდა" აკონტროლებს. იქნებ მოსკოვი შეეგუა საქართველოში ეროვნული ძალების გამარჯვებას? სხვა რესპუბლიკებთან, მათ შორის ბალტიისპირელებთან, მიმართებაში ეს არ იგრძნობა. ან იქნებ ჩვენთან ყველაფერი ისე მიდის, როგორც მას სურს?

ფორუმის დაშლიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ, 23-25 მაისს სპორტის სასახლეში ჩატარდა პირველი ეროვნული ყრილობა. მიუხედავად იმისა, რომ მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა 50-მდე პოლიტიკური პარტია და საზოგადოება, იგი მაინც არ იყო მთლიანი ეროვნული მოძრაობის გამომხატველი თუნდაც იმიტომ, რომ მის მუშაობაში არ მონაწილეობდა „მრგვალი მაგიდა". და მაინც, ამ ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველად მოხერხდა, რომ ეროვნული მოძრაობის ორი ფრთა — ზომიერი და რადიკალური — შეეცადა დიალოგის გზით ურთიერთმისაღები, კომპრომისული ვარიანტის მოძებნას. როგორც ცნობილია, ფორუმში დარჩენილი პოლიტიკური ორგანიზაციები კვლავინდებურად უარყოფდნენ პარლამენტურ გზას და მხარს უჭერდნენ კონგრესის არჩევნებს. ზომიერები თვლიდნენ, რომ აუცილებელი იყო საპარლამენტო გზის გამოყენება. ყრილობის მუშაობის შედეგად გამოიძებნა კომპრომისული ვარიანტი — უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე ჩატარებულიყო კონგრესის არჩევნები, ხოლო შემდეგ ის ორგანიზაციები, რომლებიც საპარლამენტო გზის მომხრენი იყვნენ, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა

კონგრესის არჩევნებში, მონაწილეობას მიიღებდნენ უზენაესი საბჭოს არჩევნებშიც. სამაგიეროდ, რადიკალური ოპოზიცია უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი დაიკავებდა პასიური ბოიკოტის პოზიციას. მიღწეულ იქნა აგრეთვე შეთანხმება მომავალში უზენაეს საბჭოში ეროვნული მოძრაობიდან არჩეულ დეპუტატებსა და კონგრესს შორის თანამშრომლობის შესახებ (ანალოგიური მოდელი მოქმედებდა ესტონეთში). ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისა და ურთიერთხელშეწყობის მიზნით, ყრილობამ შექმნა საკოორდინაციო ცენტრი.

ლიტვაში ვიზიტმა და ვ. ლანდსბერგისთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა საპარლამენტო გზის სისწორეში და თუ მარტის არჩევნებში მონაწილეობისას გულის სიღრმეში მცირე ეჭვი მაინც მქონდა, ისიც სრულიად გამიფანტა, ამიტომ ყოველნაირად ვცდილობდი, საქართველოში ისეთი სიტუაცია შექმნილიყო, რომელიც არჩევნების ჩატარების საშუალებას მოგვცემდა და მარტის პრეცედენტს გამორიცხავდა. ასეთ დაბრკოლებად სწორედ ფორუმში დარჩენილ ორგანიზაციათა დამოკიდებულება — უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი აქტიური ბოიკოტის გამოცხადება — მიმაჩნდა, რადგან „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური კონცეფციიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდნენ. პირადად ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამ არჩევნებს „საბჭოური" დაერქმეოდა თუ „არასაბჭოური", მთავარი იყო მისი ჩატარების უზრუნველყოფა და სპორტის სასახლეში გამართული ყრილობა ამ უკანასკნელ დაბრკოლებასაც ხსნიდა.

შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ მთლიანობაში ეროვნულ მოძრაობაში ურთიერთდაპირისპირების რეალური საფუძველი თითქოს აღარ არსებობდა და ორწლიანი გათიშულობის შემდეგ თითქოსდა ერთმანეთისაკენ შემობრუნება და დაახლოება უნდა დაწყებულიყო...

ეროვნულ მოძრაობაში ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ სუკ-ისა და გრუ-ს აგენტებზე, მე-5 კოლონაზე, კორუმპირებულ ინტელიგენციაზე, მაფიაზე და ა. შ., ხოლო საბჭოთა პროპაგანდის უმძლავრეს იარაღს — ინფორმაციის საშუალებებს დეზინფორმაციის საშუალებებს უწოდებდნენ. არადა, საბჭოთა ინფორმაციის საშუალებებში შემუშავებული და დამკვიდრებული ინფორმაციის მიწოდების სტილი ძალიან საინტერესო, ორიგინალური და საკმაოდ დახვეწილი იყო. ამ მეთოდს ნათლად და ხატოვნად ასახავს ერთი ძველი ანეკდოტი: 100

მეტრზე სირბილში ერთმანეთს შეეჯიბრნენ ამერიკის პრეზიდენტი ჯ. კარტერი და სკკპ გენერალური მდივანი ლ. ბრეჟნევი. რა თქმა უნდა, გაიმარჯვა ჯ. კარტერმა (ლ. ბრეჟნევს სირბილი კი არა, სიარულიც ძლივს შეეძლო). აი, ასეთია ინფორმაცია. ახლა ვნახოთ, როგორ გადმოსცემენ მას საბჭოთა საინფორმაციო საშუალებები: „როგორც ცნობილია, გაიმართა შეჯიბრი 100 მეტრზე სირბილში სახელმწიფოს მეთაურთა შორის. გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი, ხოლო ამერიკის პრეზიდენტი ჯ. კარტერი ბოლოსწინა ადგილს დასჯერდა". თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ინფორმატორს შეჯიბრებაში მონაწილე სახელმწიფოს მეთაურთა რაოდენობის აღნიშვნა „გამორჩა", სხვა მხრივ ინფორმაცია ობიექტურადაა მოწოდებული. სწორედ ის „გამორჩენილი" „უმნიშვნელო" დეტალი აფიქრებინებს ადამიანს, ვინც სიმართლე არ იცის, რომ ლ. ბრეჟნევმა გაუსწრო ჯ. კარტერს, რაც ობიექტურად არსებულ რეალობას თავდაყირა აყენებს. ამ მეთოდებით მუშაობდნენ საქართველოს საინფორმაციო საშუალებები — პრესა, რადიო და ტელევიზია. სამწუხაროდ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, ერთადერთი, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს, დღესაც ამ მეთოდით მუშაობს, რაც კიდევ უფრო საწყენია, რადგან, ეს მართლაც ნიჭიერი კოლექტივი ზედმიწევნით მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებს დაკისრებულ სამუშაოს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ოფიციალურმა საინფორმაციო საშუალებებმა ერთ-ერთი წამყვანი როლი ითამაშეს ბოლო პერიოდში დატრიალებულ მოვლენებში. ისინი არასდროს ყოფილან ერისა და ქვეყნის ინტერესების გამომხატველი და ყოველთვის დაკვეთის შემსრულებლად რჩებოდნენ, დაკვეთას კი, ბუნებრივია, მოსკოვი იძლეოდა.

ძალიან კარგად მესმის, რაოდენ საპასუხისმგებლოა ასეთი განცხადების გაკეთება, თუ მას ფაქტები არ ახლავს!

ეროვნული მოძრაობის საწყის პერიოდში არაფორმალური ორგანიზაციები სრულ იგნორირებას უკეთებდნენ ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებებს, მათთან თანამშრომლობა აბსოლუტურად მიუღებლად ითვლებოდა.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობამ ერთხმად გარიცხა საზოგადოებიდან გურამ მამულია, ამავე საზოგადოების გამგეობის წევრი, მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაზეთ „კომუნისტში" გამოაქვეყნა სტატია — „მიმოხილვა ეროვნული მოძრაობის შესახებ".

მდგომარეობა შეიცვალა 9 აპრილის შემდეგ. ჩვენ ყველამ ჩავთვალეთ, რომ ეს იყო საერთო-ეროვნული უბედურება — მიმართული ზოგადად ქართველთა წინააღმდეგ, განურჩევლად იმისა, ვინ ვისი მომხრე და მხარდამჭერია და მივიჩნიეთ, რომ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება უკვე ყველასათვის ნათელი და გასაგები გახდა — ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა ხომ ისედაც მუდამ მზად იყო წარსული დაევიწყა, ოღონდ ერთად გვებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ეს მდგომარეობა ერთი თვე, თვენახევარი გრძელდებოდა, აღარ ისმოდა ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა, აგენტთა მხილება და მრავალი სხვა, რაც მღვრიე ნაკადად მოსდევდა ეროვნულ მოძრაობას. შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება ოფიციალური საინფორმაციო საშუალებებისადმი — ოფიციალურ პრესაში დაიწყო არაფორმალური ორგანიზაციების პოზიციებისა და განცხადებების გამოქვეყნება, შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დალაგდა, საინფორმაციო საშუალებებს ძველმა პატრონმა ისევ მოაკითხა, თუმცა ვიზუალურად ახლადდამკვიდრებული ურთიერთობა შენარჩუნებულ იქნა.

მაინც, რა ფუნქციის შესრულება დაეკისრა საინფორმაციო საშუალებებს?!

იმის თქმა, რომ ისინი დეზინფორმაციას ავრცელებდნენ, როგორც იმ პერიოდში ჩვენ აღვნიშნავდით, სიმართლეს კი შეეფერება, მაგრამ საზოგადოებისათვის მაინც არაფრისმთქმელია. ჩვენს მიერ მოტანილ ფაქტებს საზოგადოება ცალკეულ, კონკრეტულ ეპიზოდებად აღიქვამდა და, შესაბამისად, კონკრეტულ დამნაშავეს ეძებდა, რაც ხელს უშლიდა დაენახა და გაეაზრებინა გამუდმებული, მასიური დეზინფორმაციული ზეწოლა ეროვნულ მოძრაობაზე 1987 წლიდან, როდესაც პირველი არაფორმალური ორგანიზაცია შეიქმნა.

დეზინფორმაციული ზეწოლა ორი მიმართულებით ხორციელდებოდა. პირველი: მოეხდინათ მთლიანად ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში და მეორე: განხეთქილება შეეტანათ ეროვნულ მოძრაობაში და შემდგომ არ დაეშვათ მისი გაერთიანება.

ცხადია, ამ ამოცანის შესრულებას მხოლოდ საინფორმაციო საშუალებები ვერ შეძლებდნენ, ამიტომ მასში „ჩართული" იყო მთელი მე-5 კოლონა, ათასგვარი ჭორის მოყვარული და გამავრცელებელი.

როგორც კი ეროვნული მოძრაობა ორად გაიყო, და ეს პირველი არაფორმალური ორგანიზაციის ჩამოყალიბებიდან რამდენიმე თვეში

მოხდა, საინფორმაციო საშუალებებმა მაშინვე დაუჭირეს მხარი „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან" გასულთ და დაიწყეს მათი წარმოჩენა, როგორც ერთადერთი ეროვნული მოძრაობისა, თითქოს მეორე ფრთა საერთოდ არ არსებობდა და ეს მოხდა არა იმიტომ, რომ საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები სიმპატიით იყვნენ განწყობილი მათ მიმართ ან მათ შეხედულებებს იზიარებდნენ. რა თქმა უნდა, არა! პატრონის, დამკვეთის მიერ ყველაფერი ლამის მეცნიერული სიზუსტით იყო გათვლილი — მან მშვენიერად იცოდა, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისათვის, თვით ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი, რადიკალიზმი ნაკლებად მისაღებია. ამდენად, მხოლოდ რადიკალური ოპოზიციის წარმოჩენით საზოგადოებას მისთვის „მიუღებელს" სთავაზობდნენ, თუმცა ახალგაზრდობისათვის სწორედ რადიკალიზმია ბუნებრივი (საწყის ეტაპზე ასეთი დაყოფა საკმაოდ პირობითი იყო და მხოლოდ ფრაზეოლოგიით — „ჭეშმარიტი" და „არაჭეშმარიტი" ეროვნული მოძრაობა, ასეთი ტერმინოლოგია შემოიღეს „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებიდან" გასულებმა, უფრო იმიტომ, საზოგადოებიდან გასვლა რომ გაემართლებინათ — შემოიფარგლებოდა); გარდა ამისა, რადიკალიზმი ხელისუფლებას პროვოკაციის და შანტაჟის მოწყობის მეტ საშუალებას აძლევდა, ხოლო რადიკალური განცხადებები საზოგადოებაში ირონიას იწვევდა.

როდესაც ი. წერეთელმა ამ ათიოდე წლის წინ საქართველოსა და ნატოს ურთიერთობაზე დაიწყო ლაპარაკი, მხოლოდ რამდენიმე გულუბრყვილომ იკითხა, თუ როდის შემოვიდოდნენ ნატოს ჯარები საქართველოში, საზოგადოების უმრავლესობაში კი საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობის შესაძლებლობამ, და ი. წერეთელი სწორედ ამაზე ლაპარაკობდა, რბილად რომ ვთქვათ, ირონიული ღიმილი გამოიწვია. საზოგადოებისათვის ამგვარი განცხადებები მაშინ არარეალური და რადიკალიზმს გაცილებულიც კი იყო, დღეს — ფაქტია!

ეროვნული მოძრაობის ასახვა საინფორმაციო საშუალებებში მეიძლება ორ ნაწილად გავყოთ — 9 აპრილამდე და 9 აპრილის შემდეგ. ბუნებრივია, საუბარია ეროვნული მოძრაობის იმ ნაწილზე, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ზ. გამსახურდია, გ. ჭანტურია, ი. წერეთელი და სხვები. „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" და, ასე ვთქვათ, ეროვნული მოძრაობის ზომიერი ნაწილის მოღვაწეობით, არც 9 აპრილამდე და

არც მის შემდეგ, ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები არ დაინტერესებულან.

პირველ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ „რეკლამირება ლანძღვით", რადგან ეროვნული მოძრაობის „დუმილით იგნორირება" შეუძლებელი ხდება, ჭორმა და მითქმა-მოთქმამ კი შესაძლოა არასასურველი მიმართულება მიიღოს, ხელისუფლება იძულებულია მოსახლეობას მინიმალური ინფორმაცია მაინც მიაწოდოს. მისი მიზანი ცხადზე უცხადესია — მოახდინოს ეროვნული მოძრაობის მთლიანი კომპრომეტირება, მაგრამ, რადგან ამისათვის შესაფერისი სიტუაცია ჯერ არ შექმნილა, იგი აქცენტს ეროვნული მოძრაობის იმ ნაწილზე აკეთებს, რომლის კომპრომეტაცია შემდგომში, მისი აზრით, უფრო ადვილად იქნება შესაძლებელი. თანაც, უნდა მოხდეს მოძრაობის კომპრომეტაცია და არა ცალკეული პირების, რადგან ცალკეულ პირთა, თუნდაც ლიდერთა კომპრომეტაცია საქმეს ვერ უშველის, მოძრაობა დაწყებულია და კომპრომეტირებულ ლიდერთა ნაცვლად ის აუცილებლად წარმოქმნის ახალ ლიდერს, მოძრაობის კომპრომეტირება კი შესაძლებელია მხოლოდ პროვოცირების საშუალებით, რომლის შედეგად თავსდატეხილი უბედურება გავრცელდება არა მარტო ეროვნულ მოძრაობასა და მის ლიდერებზე, არამედ საზოგადოების გაცილებით ფართო სპექტრსაც ჩაითრევს.

ასეთი პროვოცირების მცდელობა იყო 9 აპრილს — სისხლისღვრა, რეპრესიები, საკომენდანტო საათი თბილისში — მაგრამ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მისი ბოლომდე მიყვანა, რადგან პროვოცირების აქტი ბოლომდე ვერ განახორციელა (ამის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნე), ამიტომ 9 აპრილის შემდეგ ეროვნული მოძრაობა უფრო მასობრივი გახდა. ასეთივე პროვოცირება განხორციელდა 1991-93 წლებში — გადატრიალება, აფხაზეთის დაკარგვა, სამოქალაქო ომი — პროვოკაციათა მთელი კასკადი, რამაც ეროვნული მოძრაობა თითქმის ნულამდე დაიყვანა.

ამგვარი პროვოცირების საშუალებას რადიკალიზმი იძლეოდა, რადგან რადიკალიზმი თავადაა პროვოცირების ელემენტების მატარებელი. როგორც ჩანს, ამიტომაც გაკეთდა არჩევანი რადიკალებზე და დაიწყო მათი „რეკლამირება ლანძღვით" — იცოდა რა მოსახლეობის განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, სოციალიზმისადმი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი, ოფიციალურმა ინფორმაციის საშუალებებმა დაიწყეს რადიკალების ლანძღვა-გინება,

ათასგვარი უხამსი ეპითეტებით შემკობა. ლანძღვის ძირითადი მოტივი იყო, რომ თურმე ამ „ნაძირალებს", „გადმონაშთებს" და ა. შ., არ მოსწონთ საბჭოთა ხელისუფლება, სოციალიზმი, კომუნისტური იდეოლოგია და რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის დაშლაზე ოცნებობენ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა სურთ, — ამიტომაც ებრძვიან ხელისუფლებას! მოსახლეობა, რომელიც თავადაც ანალოგიური შეხედულების მატარებელი იყო, მაგრამ რეპრესიების შიშით ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, ბუნებრივია, მათი მოკავშირე და თანამგრძნობი ხდებოდა. თავისთავად იბადება კითხვა: თუ ხელისუფლებამ იცოდა, რომ რადიკალთა ლანძღვა-გინებით მათ რეკლამირებას ახდენდა, რატომ არ მოიქცა პირიქით — ანუ ექო რადიკალები და ამით გამოეწვია დისკრედიტაცია? ხელისუფლების მხრიდან რადიკალთა ქება მათ ოპოზიციურ ძალად ცნობას და აღიარებას ნიშნავდა, რასაც მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა მოჰყოლოდა, ეს კი ხელისუფლების დაკარგვას უდრიდა. ამგვარი ვარიანტის გათამაშება 9 აპრილის შემდეგ დაიწყო, როცა პროვოკაციამ არ გაამართლა და კულმინაციას ფორუმის გახლეჩის, უფრო სწორად, „მრგვალი მაგიდის" შექმნის შემდეგ მიაღწია.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ეროვნული მოძრაობის მეორე ზომიერი ნაწილი თითქმის სრულიად იგნორირებული იყო. ჩვენ ვერა და ვერ მოვახერხეთ თუნდაც ერთი განცხადება — ჩვენი პოზიცია მესხებთან დაკავშირებით — გადაგვეცა საქართველოს ტელევიზიით, რომ მოსახლეობას უშუალოდ ჩვენგან გაეგო, თუ რას მოვითხოვდით ან რის გაკეთებას ვაპირებდით. ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა ოფიციალურ პრესასაც. მოვიტან ერთ ფაქტს: 1990 წლის 16 თებერვალს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა წინა წლის 18 თებერვალს ამავე ადგილზე გამართული მიტინგის დარბევის წლისთავს. 3 დღის შემდეგ „წმინდა ილია მართლის საზოგადოების" თაოსნობით, იმავე ადგილზე ჩატარდა მიტინგი. „წმ. ილია მართლის საზოგადოების" მიერ ჩატარებულ მიტინგზე საქინფორმმა მშვენიერი ინფორმაცია გამოაქვეყნა „ახალგაზრდა კომუნისტში" (22.02.90), ხოლო ინფორმაცია ჩვენს მიერ ჩატარებულ მიტინგზე, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელს სწორედ ჩვენს მიერ ორგანიზებული მიტინგი დაარბიეს, სისხლის სამართლის დანაშაულთა ნუსხაში მოხვდა (იხ. გაზ. „თბილისი", 22.02.90);

ეროვნული ფორუმიდან გასულმა ორგანიზაციებმა რომ „მრგვალი მაგიდა" ჩამოაყალიბეს, ხოლო ეროვნულმა ყრილობამ პარტიათა

საკოორდინაციო ცენტრი შექმნა, საინფორმაციო საშუალებებმა ახლა საკოორდინაციო ცენტრისა და მასში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების ბლოკირება დაიწყეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა საქართველოს ტელევიზია. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებამ" ღია წერილით მიმართა სახელმწიფო ტელე-რადიოკომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ არჩილ გოგელიას:

„ზედმეტია იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ დიდი როლი აკისრია ტელევიზიას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში. ცხადია, შესაბამისად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობაც უნდა გააჩნდეს ტელევიზიის ხელმძღვანელობას.

დღეს საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. ამასთან დაკავშირებით ტელევიზიის ხელმძღვანელობამ არაერთგზის განაცხადა, რომ ისეთი მასალები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ამ დაძაბულობის ზრდას, არ იქნებოდა გადაცემული. ეს, რა თქმა უნდა, კეთილშობილური განზრახვაა, მაგრამ საკითხავია, ასრულებს თუ არა ამას ტელევიზიის ხელმძღვანელობა? მთელი რიგი ფაქტები მოწმობს, რომ არ ასრულებს, ან ასრულებს აშკარად ტენდენციურად.

საქმე ეხება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი დაპირისპირებული მხარის — საკოორდინაციო ცენტრისა და „მრგვალი მაგიდის" განცხადებების გადაცემას.

საქმე ის გახლავთ, რომ თქვენი უშუალო ჩარევით არ გადაიცა საკოორდინაციო ცენტრის რამდენიმე განცხადება, რომელთაგან ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს შეეხებოდა.

პირველ განცხადებაში მხილებული იყო ყვარლის რაიონში ლეკებთან (და ფაქტიურად, დაღესტანთან) ეთნოკონფლიქტის გაღვივების მიზეზი — „ჰელსინკის კავშირის" თავმჯდომარის მიერ ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში ჩატარებული ანტილეკური ფსიქოზის გამომწვევი მიტინგი (ზვიად გამსახურდიას გამოსვლის ტექსტი დაბეჭდილია გაზეთ „ივერიას" 23-ე ნომერში), ხოლო მეორე განცხადება შეეხებოდა ჭეშმარიტად ბარბაროსულ საქციელს, რომელიც „ჰელსინკის კავშირისა" და „წმიდა ილია მართლის საზოგადოების" ხელმძღვანელობით განხორციელდა ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში, სადაც 24 ივლისს გამძვინვარებული ბრბო თავს დაესხა საკოორდინაციო ცენტრის კომისიის წევრებს და ინტელიგენციის წარმომადგენლებს (7 ადამიანს) მათი

სიცოცხლის ხელყოფის მიზნით და ცეცხლი გაუხსნა დვალიძეების სახლს, სადაც, სხვათა შორის, 25 ბავშვიც იმყოფებოდა. 25 ივლისს კი ამავე ბრბომ დაარბია დვალიძეები, რომლებიც დაზიანებულ ბარგთან ერთად შეჰყარეს საბარგო მანქანებში და ამ უმწეო ადამიანების გაძევება მოინდომეს საქართველოს ფარგლებს გარეთ. მხოლოდ საზოგადოებრიობის აქტიური ჩარევით მოხდა მათი დროებით დაბინავება გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში. გაგახსენებთ, რომ დვალიძეები — ეს ის მაჰმადიანი მესხებია, რომლებიც შარშან ჩამოასახლეს მერაბ კოსტავას აქტიური ხელშეწყობით ფერგანას ტრაგიკული ამბების შემდეგ და რომლებმაც გადასახლების საკატორღო რეჟიმის პირობებშიც კი შეძლეს ქართული გვარის, ეროვნებისა და თვითშეგნების შენარჩუნება. ვის, ვის და განა სწორედ ამ ადამიანებს არ უნდა მოვპყრობოდით ყველაზე მეტი სიყვარულითა და გულისხმიერებით? მაგრამ რაღაა გასაკვირი, როცა საქართველოში ამ გაუკულმართებული აზროვნების, ამ ანტიმესხური ფსიქოზის „შემოქმედი" გახლავთ ადამიანის უფლებათა „დამცველი" საქართველოს „ჰელსინკის კავშირის" თავმჯდომარე!

ნიშანდობლივია, რომ ტელევიზიამ არათუ არ გადასცა ხსენებული განცხადებები, არამედ ამ სამარცხვინო ფაქტების შესახებ სამარისებურად დადუმდა.

ბ-ნო არჩილ, როგორ გგონიათ, — ჭირთა მალვა, სიმართლის მიჩუმათება, ან, უკეთეს (?) შემთხვევაში, ნახევარსიმართლის თქმა ეროვნულ მოძრაობას რაიმე ხეირს დააყრის? დაძაბულობა ეროვნულ მოძრაობაში ხომ სწორედ იმის მიზეზით არსებობს, რომ გეგმაზომიერად ხდებოდა და ხდება ფაქტების მიჩქმალვა, გაყალბება და ხალხის დეზინფორმირება.

თქვენვე განსაჯეთ: ტელევიზია ყოველნაირად აქებ-ადიდებს და რეკლამას უკეთებს ზვიად გამსახურდიას (გავიხსენოთ თუნდაც ა. წ. 26 მაისი, მერაბ კოსტავას დაბადების დღე ზვიად გამსახურდიას ბენეფისად რომ აქციეთ!), ხოლო მის მიერ ჩადენილ აშკარა დანაშაულობებზე (გინდაც შეცდომებზე!) სამარისებურად დუმს! — აქაოდა, ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება არ გავაღრმავოთო! მეორეს მხრივ კი, ხან ვითომდაც შემთხვევით, ხან ვითომდაც ვისიმე იძულებით, გადასცემს საკოორდინაციო ცენტრში შემავალი ორგანიზაციებისა თუ პირების სალანძღავ, ცილისმწამებლურ მასალებს. რა განწყობილება უნდა შეუქმნას ყოველივე ამან საქმეში ჩაუხედავ ხალხს? სწორედ ეს ტენდენციურობა (დანაშაულებრივი

ტენდენციურობა!) გახლავთ ეროვნულ მოძრაობაში ასეთი უკიდურესი დაძაბულობის მიზეზი.

საილუსტრაციოდ ორიოდე ნიშანდობლივ ფაქტს გაგახსენებთ:

ტელევიზიამ ამას წინათ გადასცა სრულიად შეუმოწმებელი, დაინტერესებული მხრიდან მომდინარე ინფორმაცია. ვითომდაც იმ ქუჩაზე, სადაც ზვიად გამსახურდიას მანქანას უნდა გაევლო, დადგეს ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე რძის ბალონი... ხელოვნურად შექმნილი მასიური ფსიქოზის საფუძველზე ეს ყველამ აღიქვა, როგორც ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა საკოორდინაციო ცენტრში შეყრილი „ტერორისტების" მიერ. საკითხავია, რა საფუძველი არსებობდა იმის სათქმელად, რომ ეს ზვიად გამსახურდიას წინაალმდეგ იყო მოწყობილი? განა იმ ქუჩაზე სხვისი მანქანები არ დადიან? ასეთ ბრალდებას ხომ კვალიფიციური გამოძიება სჭირდებოდა! განა ტელევიზიის ამ უპასუხისმგებლო გადაცემამ, ამ ხელოვნურად შექმნილმა აჟიოტაჟმა და ფსიქოზმა უარესად არ დაძაბა ვითარება ეროვნულ მოძრაობაში? აქ რატომ არ გამოიჩინეთ ის „სიფრთხილე", რომელიც მხოლოდ ჩვენს განცხადებებთან დაკავშირებით გახსენდებათ? განა ხსენებული გადაცემა ამ თვალსაზრისით ათასგზის უარესი არ იყო ჩვენს განცხადებებთან შედარებით, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, დოკუმენტური მასალების (და არა გამოუძიებელი ვარაუდების) საფუძველზე იყო გაკეთებული? აქვე ბარემ ერთ კითხვასაც დაგისვამთ: თუკი ხელისუფლება მართლა ასე „ებრძვის" ზვ. გამსახურდიას (როგორც თვითონ აცხადებს) და მისი მოკვლა უნდა, რა ისეთი მოუხელთებელი ფანტომასია ზვიად გამსახურდია? სუკ-ს, რომლისთვისაც მკვლელობა და ყოველგვარი ბნელი საქმიანობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით უბრალო ანაბანაა, რა გაუხდა ერთი ხეირიანი ბომბის პოვნა, ან იმაზე ძლიერი მომწამვლელი გაზისა, რომელიც მხოლოდ ქათამსა და ძაღლზე მოქმედებს??? პასუხი თქვენთვის მოგვინდვია...

ახლა მეორე შემთხვევას გაგახსენებთ:

იმის ნაცვლად, რომ ტელევიზიით ობიექტურად გაგეშუქებინათ ყვარლის რაიონში ლეკებთან ეთნოკონფლიქტის წარმოშობის მიზეზი, პირიქით, ამ კონფლიქტის გამჩაღებლები გამოიყვანეთ ტელეეკრანზე.

პირდაპირ გასაკვირველი ამბავია!

დაუკვირდით: როდესაც „მრგვალი მაგიდის" მამხილებელ (არა მხოლოდ მამხილებელ, არამედ საერთო საქმისთვის საჭირო), დოკუმენტურად დადასტურებულ რაიმე განცხადებას მოვიტანთ,

აუცილებლად თქვენ გითანხმებენ (თუ ადგილზე არა ხართ, გელოდებიან), ხოლო როდესაც „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლები საკოორდინაციო ცენტრის სალანძღავ, ცილისმწამებლურ განცხადებას მოიტანენ, მაშინ აღარ გითანხმებენ! რატომ?! აქედან ერთადერთი ლოგიკური დასკვნა ისაა, რომ, როგორც ჩანს, ტელევიზიის მუშაკები ასეთ შემთხვევაში თქვენთან შეთანხმებას საჭიროდ არ თვლიან, რადგან გამოცდილებით იციან, თქვენ თანახმა იქნებით!..

დასასრულ, კიდევ ერთხელ გაგახსენებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ რაც უბედურება გვჭირდა 70 წლის განმავლობაში, პირდაპირი შედეგი იყო სიცრუისა, სიყალბისა, სიმართლის მიჩქმალვისა, ნახევარსიმართლისა... გვეყოფა სიმართლის მალვა, საშიშარ ჭირზე თვალის არიდება, რადგან დაფარული ჭირი სწორედ კრიტიკულ მომენტში იჩენს ხოლმე თავს, რამაც, შესაძლოა, საერთოდ დაღუპვამდე მიგვიყვანოს. არ იქნებოდა ურიგო, ყოველთვის გვახსოვდეს დავით გურამიშვილის მწარე ამოკვნესა: „მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს!.." (გაზ. „ივერია", №25. 1990 წ. 25 სექტემბერი).

1990 წლის ივლისში გაზეთ „მამულის" №13-ში ნიშანდობლივი და სხვადასხვაგვარი ასოციაციების აღმძვრელი სათაურით „ლიტერატურული მონანიება", გამოქვეყნდა მწერალ ნოდარ წულეიკირის წერილი, თუმცა, ჩემი აზრით, არც ბატონ ნოდარს და არც ქართული ინტელიგენციის დიდ უმრავლესობას, მათ შორის ქართულ მწერლობას, მოსანანიებელი ბევრი არაფერი ჰქონდა, რადგან ჭირისუფლები ხანდახან მართლაც „ჩურჩულებენ ოთახში შემოფრენილ ბუზზე", მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ ესმით ან ვერ აცნობიერებენ თავსდატეხილ უბედურებას, უბრალოდ, ასეთ ვითარებაში „ბუზზე ჩურჩული" კიდევ უფრო აძლიერებს ტრაგიკულობის განცდას და, რაც მთავარია, საშუალებას აძლევთ ჭირისუფალთაც და მათ ირგვლივ მყოფთაც სასონარკვეთას და უილაჯობას კი არ მიეცნენ, არამედ მომავლისაკენ იყურონ და მომავლის იმედით იცხოვრონ.

როგორც ბ-ნი ნ. წულეიკირი წერს, „ზვიად გამსახურდიამ მაშინ (იგულისხმება ალბათ 1977 წელს გამართული მწერალთა კავშირის სხდომა, რომელზედაც ზ. გამსახურდია მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. ვ. ძ.) ჩვენ, მწერლები, შეგვადარა მკვდრის ჭირისუფლებს, როდესაც წინ მკვდარი უსვენიათ, ოთახში შემოფრინდება ბუზი და ჭირისუფლები იმ ბუზზე ჩურჩულებენო".

ეს წერილი მრავალმხრივაა საინტერესო, მაგრამ მის ანალიზს არ ვაპირებ, ჩემი ყურადღება სხვა რამემ მიიპყრო: ეროვნულ მოძრაობაში დაპირისპირების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ბატონი ნოდარი იძულებულია აღნიშნოს: „ზვიად გამსახურდიას ჩემი ხოტბა არ სჭირდება, არც ჩემი დაცვა, მას მისი გუშინდელი მეგობრები, დღეს, ოპოზიციონერები, ტყვიას არ ესვრიან, ეს ნათელია, ამას მტკიცება არ სჭირდება. ისინი ისევე შერიგდებიან, როგორც წაიკიდნენ. კალამი ავიღე სხვა რამის გამო. წიწამურის ტყვია ვაი და მაინც გავარდეს, ისვრის მეოთხე, მეხუთე ძალა და დაბრალდება „ოხრანკვას", ან თუ გნებავთ, ბრუტოსს და გვიან იქნება თითზე კბენანი. ამიტომ დღეს ჩემი აზრით, საჭიროა არ ვიკადროთ ის (თუნდაც ჩვენდა უნებურად!), რაც არ არის საკადრისი".

ბ-ნი ნოდარი მწერლური ალღოთი გრძნობს, რომ რაღაც რიგზე ვერ არის, უბედურება გვიახლოვდება და შესაძლოა, ტრაგედია დატრიალდეს, გვაფრთხილებს და გემოძღვრავს კიდეც, თითქოს გამოსავალსაც გვთავაზობს, მაგრამ ლიტერატურულს და არა პოლიტიკურს, პერსონიფიცირებულს და არა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარეს.

პოლიტიკური პროცესები კი თავისი გზით მიედინებიან. როგორც საკოორდინაციო ცენტრის მიერ გავრცელებული განცხადება გვაუწყებს, „ა. წ. 18 ივნისს საქართველოს პროფსაბჭოს შენობაში უნდა გამართულიყო „მერაბ კოსტავას ფონდის" კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა ფონდის მუშაობაში არსებული დარღვევების საკითხი.

შენობის შემოსასვლელში თავიდანვე შეინიშნებოდა დაძაბული სიტუაცია. სხდომაზე დასასწრებად არ უშვებდნენ ფონდის მონაწილე იმ მოქალაქეებსა და საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რომელთაც დიდი თანხა ჰქონდათ შეტანილი ფონდში, აგრეთვე მოწვეულ მონმეებს. შენობასთან იდგა თელავის ავტობუსი, რომელშიც ისხდნენ ხაკისფერტანსაცმლიანი მოქალაქეები. მათ განაცხადეს, რომ გეოლოგები იყვნენ. ამასობაში იქ მყოფმა ხალხმა ავტობუსში იარაღი შენიშნა. „საქართველოს მხედრიონის" წევრებმა და სხვა პირებმა შეძლეს ავტობუსში მყოფთა განიარაღება. ავტობუსში აღმოჩნდა გარკვეული რაოდენობის იარაღი.

იმავე დღეს მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ შეიარაღებული თელაველები, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლობაში იდგნენ პროფსაბჭოს შენობასთან, ყვარლელ მოპიკეტეებად დასახა, რომლებიც

ვითომდაც მასთან საკონსულტაციოდ ჩამოვიდნენ... „ლეკიანობის" საკითხებთან დაკავშირებით" (გაზ. „ივერია", №24, 1990 წ. 1 ივლისი). ამ განცხადებასთან ერთად გამოქვეყნებულია ავტობუსში მყოფი ერთ-ერთი თელაველის ახსნა-განმარტებითი ბარათი.

მომხდარი ფაქტიდან 3 თვის შემდეგ, უკვე „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება" აცხადებს, რომ გაზ. „თბილისში" გამოცხადებული იყო, რომ ა. წ. 18 სექტემბერს შედგებოდა მერაბ კოსტავას ფონდის სხდომა ფონდში სახსრების შემტანთა მონაწილეობით. სხდომას უნდა განეხილა ფონდის მუშაობაში არსებული სერიოზული დარღვევები. სხდომაზე, როგორც სხვა დროს, ამჯერადაც არ გამოცხადდა ფონდის თავმჯდომარე ვაჟა ადამია, ამიტომ სხდომის მონაწილეთა ერთი ჯგუფი იძულებული გახდა მისულიყო რესტორანში მყოფ ვაჟა ადამიასთან და მიეწვია იგი სხდომაზე. ვაჟა ადამიამ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რასაც მოჰყვა ფიზიკური შეტაკება. ამ ინციდენტის გარშემო ტელევიზიამ დაუყოვნებლივ ატეხა განგაში, ოლონდ ინციდენტის მიზეზზე სიტყვაც არ ყოფილა დაძრული.

19 სექტემბერს დილის 5 საათზე ვაჟა ადამიას მეთაურობით ტყვიები და ყუმბარები დაუშინეს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინებს. ბარბაროსული რბევის დროს მატერიალური ზარალის მიყენებასთან ერთად სადისტურად სცემეს და აწამეს ედპ-ს მორიგეები" (გაზ. „ივერია", 1990 წ. 29 სექტემბერი, №20).

ტყვია გავარდა!

საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლები „მერაბ კოსტავას საზოგადოებასა" და „მრგვალ მაგიდას" ადანაშაულებდნენ, ისინი — პირიქით, საკოორდინაციო ცენტრს, საზოგადოება მტყუან-მართლის ძიებაში იყო და მოვლენებს იმის მიხედვით აფასებდა, თუ ვინ უფრო ესიმპათიურებოდა — „მრგვალი მაგიდა" თუ „საკოორდინაციო ცენტრი". ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში არ აღმოჩნდა ერთი კაციც კი, რომელიც მიმდინარე პროცესებზე მაღლა დადგომას თუ ვერ შეძლებდა, იმას მაინც მოახერხებდა, გვერდიდან, ნეიტრალური პოზიციიდან შეეფასებინა მომხდარი, მტყუან-მართალი კი არ ერჩია, ეროვნულ მოძრაობაში უთანხმოებათა გადასაწყვეტად ძალის გამოყენების მეთოდი დაეგმო!

რა მიამიტურად და გულუბრყვილოდ ეღერს „საქართველოს მხედრიონის" განცხადება: „ჩვენ, ალბათ, მეათასედ ვიმეორებთ: პარტიები,

ორგანიზაციები — რამდენიც გინდათ, სამხედრო საქმე — ერთი! წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავცდებით უაზრო სამოქალაქო ომს, რომლის შედეგი საბოლოოდ დამლუპველი იქნება" (გაზ. „ივერია", №24, 1990 წ. 1 ივლისი).

განა რა დიდი მიხვედრა უნდოდა იმას, რომ, თუ ჩვენ ეროვნულ მოძრაობაში ერთი გასამხედროებული ფორმირების არსებობას დავუშვებდით, აუცილებლად შეიქმნებოდა სხვა გასამხედროებული ფორმირებებიც? ჩვენ ეს დავუშვით, და არა მარტო დავუშვით, ურთიერთშორის არსებულ უთანხმოებათა მოსაგვარებლადაც, უფრო სწორად, მეორე მხარის გასანადგურებლადაც გამოვიყენეთ. ისე რომ, პროტესტი და სინანული ასეთი ქმედების მიმართ არ გამოგვიხატავს და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, არ გაგვჩენია!

იმავე წერილში ბ-ნი ნ. წულეისკირი აღნიშნავს: „ეროვნული მოძრაობის ახალი, დღევანდელი ეტაპი მისგან (ზ. გამსახურდიასგან. ვ. ძ.) დაიწყო, მან შექმნა ის, რაც დღეს ხელთა გვაქვს, შეუძლებელია, ვერც კი წარმომიდგენია ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდიას გარეშე, არამცთუ ეროვნული მოძრაობა, საერთოდ, თავისუფალი აზრი, სიტყვათშეთანხმება „თავისუფალი მოაზროვნე" იქედან, კოლხური კოშკიდან მოედო მთელ საქართველოს".

ყოფილი პოლიტპატიმრები კი იმავე პერიოდში აცხადებენ: „ფრიად სამწუხარო და შემაშფოთებელი ფაქტი მოხდა ამა წლის 17 ივლისს თბილისში: მოქალაქეთა ჯგუფი შეიჭრა სტამბაში და საშინლად დაარბია გაზეთ „ქართული ფილმის" აწყობილი ნომრები.

გაზეთის დარბევის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მასში იბეჭდებოდა პრაღაში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციის ტექსტი. აღსანიშნავია, რომ ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრები, ისე ემიგრაციაში მყოფი მსოფლიოში ცნობილი დისიდენტები და ყოფილი პოლიტპატიმრები, და მით უფრო „საოცარია", რომ ამ აქციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარის, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მეუღლე, ქ-ნი მანანა არჩვაძე-გამსახურდია!

ვის, ვის და ბატონ ზვიად გამსახურდიას კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამგვარი „აქციები", მიუხედავად იმისა, თუ რას ბეჭდავს გაზეთი, ყოვლად მიუღებელია ცივილიზებული კაცობრიობისათვის და ვერაფრით ვერ ჩაითვლება დემოკრატიის

გამოვლინებად. ამ „აქციის" გამართლება თამამად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში დიქტატურის დამყარების მცდელობად, რადგან ამგვარი გააფთრებით ბეჭდვით სიტყვას მხოლოდ ფაშისტური და კომუნისტური რეჟიმები ებრძვიან. გვინდა შევახსენოთ ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, რომ თავის დროზე (1977 წელს) მისი რეპრესირება, ისევე, როგორც სხვებისა, ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის გავრცელების გამო, მოახდინა კომუნისტურმა რეჟიმმა. თუ ბ-ნ ზვიად გამსახურდიას გამოსვლებსა და განცხადებებს ვირწმუნებთ, ის დღესაც თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის იბრძვის. მაშინ მით უფრო გაუგებარი ხდება მისი მეუღლის (და არა „კერძო პირის" — როგორც ქ-ნი მანანა არჩვაძე-გამსახურდია თავის თავზე აცხადებს ხოლმე!) პოლიტიკური „აქტივობა".

ვაცხადებთ რა პროტესტს მომხდარი ფაქტის გამო, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არათუ გაზეთის რედაქციას, არამედ ყოველ პიროვნებას აქვს უფლება ნებისმიერი საშუალებით მოიძიოს, მოიპოვოს და გაავრცელოს ინფორმაცია, აგრეთვე თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულება (ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია, პუნქტი 19)".

გაზეთის დარბევას საკმაოდ მძაფრი რეაქცია მოჰყვა საზოგადოებაში, ხოლო ეროვნულ მოძრაობაში დაპირისპირების ახალი ტალღა ააგორა. „17 ივლისს ჰელსინკის კავშირის თაოსნობით დარბეულ იქნა გაზ. „ქართული ფილმი", რომელიც ამ ორგანიზაციის ლიდერისათვის არასასურველ ინფორმაციას სტამბავდა... ვანდალური დარბევის შემდეგ, მშრომელთა იმ კოლექტიური წერილის შედგენას და მასზე ხელმოწერებს, რომლითაც ისინი უარს აცხადებენ „მავნებლური გაზეთის" დასტამბვაზე, ადგილობრივი პარტკომი ხელმძღვანელობდა. ერთდროულად, როგორც ჩანს, სპეციალური ცირკულარი დაიგზავნა ყველა სტამბა-გამომცემლობაშიც; „ქართული ფილმის" დარბევის შემდეგ, ის ნომერი არალეგალურად, სრულიად სხვა სტამბაში მაინც დაიბეჭდა. ამით შეშინებულმა საქ. კპ ცკ-ს გამომცემლობის დირექტორმა ვ. ესვანჯიამ გაზ. „კომუნისტის" საშუალებით „აუცილებელი განმარტება" გააკეთა, რომელშიც იფიცება, რომ არასასურველი გაზეთის ნომერი მის სტამბაში არ დაბეჭდილა, აი, სადამდე მიდის საქმე! პატივცემული დირექტორი ბოდიშობს იმის გამო, რომ მისი გასაკეთებელი საქმე სხვამ გააკეთა და გაზეთი საერთოდ დაისტამბა.

სწორედ ასეთი არაადამიანური მოქმედების გამო გამოცხადდა პიკეტი კპ ცკ-ს სტამბა-გამომცემლობაზე... ცკ-ს გამომცემლობის შენობაში

საბჭოთა ჟურნალისტებმა მიტინგიც კი გამართეს, რომელზეც სასწრაფოდ შექმნეს „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უფლებების დაცვის წარმომადგენლობითი კომიტეტის საორგანიზაციო ჯგუფი". ისინი მოითხოვდნენ ძალადობის აღკვეთას და პრესის თავისუფლებას. აქედან ირკვევა, რომ ორკვირიანმა პიკეტმა მაინც გარკვეული დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან ისინი, ვინც ნებსით თუ უნებლიედ ხელს უწყობენ სიტყვის თავისუფლების მოგუდვას, ჭეშმარიტ დემოკრატიასთან ძალადობის შეუთავსებლობას აღიარებენ. თუმცა, იმავე ჟურნალისტებს ამის შემდეგ არ უთქვამთ გარკვევით, თუ ვინ დაარღვია პირველად ადამიანის უფლებები და ვინ დაარბია გაზ. „ქართული ფილმი". სიმართლის აღიარების გარეშე კი შეუძლებელია ადამიანის რაიმე უფლებებზე საუბარი. როგორც ჩანს, ჩვენ უნდა შევქმნათ საბჭოთა ჟურნალისტებისაგან თავისუფალი პრესის დაცვის კომიტეტი" (გაზ. „ივერია", №25).

გაზეთი „ქართული ფილმი" იმ პერიოდში იყო ერთადერთი ოფიციალური გამოცემა, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა დემოკრატიული პრესის პრინციპებთან, აქედან გამომდინარე, მის ფურცლებზე ისეთი მასალები იბეჭდებოდა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, მთლად მისაღები არც ხელისუფლებისთვის იყო და არც „მრგვალი მაგიდისათვის". წამყვანმა გაზეთებმა და რადიო-ტელევიზიის მშრომელთა კოლექტივმა ურთიერთმსგავსი დადგენილება მიიღეს; ისინი საჯაროდ აცხადებდნენ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები „არ უნდა იქცეს სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უთანხმოების, ქიშპობისა და განხეთქილების, აგრეთვე ეთნოკრიზისების გამწვავების წყაროდ... ჩვენი ვალია, სრული პირუთვნელი ინფორმაცია მივაწოდოთ ერს, ვემსახუროთ მის იდეალებს..." ამ თეზისის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, რომ არა ერთი გარემოება — ვის უნდა განესაზღვრა, ესა თუ ის განცხადება ან გამოსვლა რა შედეგს გამოიღებდა, ქიშპობასა და განხეთქილებას ჩამოაგდებდა ეროვნულ მოძრაობაში თუ პირიქით, კონსოლიდაციას შეუწყობდა ხელს? რა თქმა უნდა, ამის განმსაზღვრელად ამ გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის ხელმძღვანელები გვევლინებოდნენ; თავი რომ დავანებოთ ასეთ საკითხებში მათ კომპეტენტურობას, ეჭვს აღძრავდა ის ფაქტი, რომ მათ სწორედ ის ხელისუფლება აფინანსებდა, რომელსაც ჩვენ ვებრძოდით!

ივლის-აგვისტოს მოვლენების დამაგვირგვინებელი აკორდი იყო

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია, რომელზედაც საბჭოთა „არაკანონიერმა" (არჩეული არ ყოფილა!) უზენაესმა საბჭომ არასაბჭოური არჩევნების ჩატარება გადაწყვიტა და საარჩევნო კანონიც მიიღო.

ამ სესიის ტელეტრანსლაცია მთელმა საქართველომ ნახა, მაგრამ იგი იმდენად კომიკურ სიტუაციაში მიმდინარეობდა, თანაც მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა და ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, რომ, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მისი აღწერა: „შესანიშნავი რეჟისურა, ბრწყინვალე მსახიობები, დიდებული სპექტაკლი — ასე შეიძლება დავახასიათოთ 17-18 აგვისტოს თბილისში მიმდინარე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია. იყო აყალ-მაყალი, შეხლა-შემოხლა, გაწევ-გამოწევა, გაქცევ-გამოქცევა, ქვისა და ტალახის სროლა. მოკლედ, ხალხმა უდიდესი სიამოვნება მიიღო და, რაც მთავარია, „ნამდვილი გამარჯვებაც" იზეიმა. რის ფასად დაუჯდათ კომპარტიასა და „მრგვალ მაგიდას" ეს გამარჯვება? როგორც ბატონმა ნ. ნათაძემ ბრძანა, ერთ უმთავრეს კაბინეტში შობილი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მოგვარებულა ყოველივე. 18 აგვისტოს სესიაზე სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ქვეყანას ამცნო ანბანზე დაწყობილი სია იმ პირებისა, რომლებიც საქართველოს მომავალი „დემოკრატიის შობას" დაესწრნენ (ჩაუშვა?)! ერთდროულად აღნიშნული გამოსვლა, როგორც ჩანს, არ იყო მთლად ორდინალური, სწორედ ამიტომ დაიტუქსა ორატორი და ამიტომ მოხდა დაზუსტება იმისა, რომ ეს თანასწორთა მოლაპარაკება კი არ ყოფილა, არამედ მოაჯეთა და მთხოვნელთა როლში „ოპოზიციონერები" ყოფილან თურმე, სწორედ ისინი ეახლნენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და შეთანხმებაც გაიჩარხა. მაშასადამე, კანონპროექტის შეჯერებული მე-4 ვარიანტი თავიდანვე ყველას აკმაყოფილებდა, დადგინდა საკრალური რიცხვი — 251-იც. მაგრამ ასეთი უხმაურო გარიგება მოუტანდა კი სახელსა და დიდებას ვინმეს, ამ ჩვენს ტემპერამენტით აფეთქებულ ქვეყანაში? ალბათ ექსპერტებმა გაითვალისწინეს, რომ საქმის ამგვარი დასრულება არ ივარგებდა. მაშ, რისთვის ჩამოიყვანეს ამდენი ხალხი რაიონებიდან, რისთვის მოაცილეს ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, თუ მგზნებარე ცეცხლი და მწვავე ვნებათაღელვა არ დაშანთავდა ამ ისედაც ნაგვემ მოედანს? განა ყველამ არ უნდა შეიგრძნოს, რომ „დემოკრატია" ასე ადვილად არ მოიპოვება?! მიდი და იმოქმედე!..

სესიის მიმდინარეობისას დეპუტატმა ნ. მგალობლიშვილმა სიტყვა

ითხოვა, — არა, თავისთვის არა! თვით მისთვის (იგულისხმება ზ. გამსახურდია. ვ. ძ.) ითხოვა სიტყვა! მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! უარი უთხრეს... ეს გახდა ნიშანი მასობრივი სცენების აბობოქრებისა... სესია დატოვა მან და, ცხადია, ნ. მგალობლიშვილმაც, ზოგიერთ სხვა დეპუტატთან ერთად. ტელეეკრანებიდან შემოგვესმა ნაცნობი ტემბრით წარმოთქმული — „მოღალატეებო!" კი, მაგრამ, ბ-ნმა ნ. ნათაძემ ხომ დაგვამშვიდა, ყველაფერი რიგზეაო? მაგრამ ვის აწყობდა სიმშვიდე?

ატყდა, მაგრამ რა ატყდა!.. მთავრობის სახლის წინ აკივლდნენ ქალბატონები, მძლავრ მიკროფონებში ჩახლეჩილი ხმებით ან ხმის ჩახლეჩამდე კაკანებდნენ ორატორები. წყევლეს და კრულეს უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მისი თავმჯდომარე და ნომენკლატურა. 201, 201! — გალურჯებამდე გაჰკიოდნენ; მეორე! მეორე! (მაშასადამე, პროექტის მეორე ვარიანტიო); შიგ უნდა ამოვაღრჩოთ ეგ მოღალატე-მავნებლები, ნაძირალა ხალხის მტრები! — გაისმოდა „დამამშვიდებელი" შეძახილები...

... მაგრამ ახლა კვლავ დავუბრუნდეთ სესიას, რომელმაც საბოლოოდ „დიდი დაწოლის" შედეგად მე-4 ვარიანტი, ანუ არჩევნების ის კანონპროექტი მიიღო, რომელზედაც ორგანიზატორები წინასწარვე დეტალურად იყვნენ შეთანხმებულები. სესია კი ასეთ ბრწყინვალე სახალხო წარმოდგენაში და შემდეგ სახალხო ზეიმში და ტაშ-ფანდურაში გადაიზარდა. აი, ჭეშმარიტი ზეიმი დემოკრატიისა, აი, „არასაბჭოური" საბჭოურობა!" (გაზ. „ივერია" №25, 1990 წ. 29 სექტემბერი, „ყოველივე მზეზე გამოეფინება").

არჩევნების დღე გამოცხადდა, ბ-ნმა აკაკი ბაქრაძემ მოუწოდა ეროვნული მოძრაობის იმ პარტიებს, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებდნენ, შეექმნათ ერთი საარჩევნო ბლოკი და დაპირისპირებოდნენ კომუნისტურ პარტიას. ამ მოწოდებას უკლებლივ ყველა ორგანიზაცია გამოეხმაურა. „რუსთაველის საზოგადოების" ოფისში გაიმართა კონსულტაციები. პირველ შეხვედრაში ყველა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყვნენ „მრგვალი მაგიდის" წარმომდაგენლებიც, მაგრამ მეორე შეხვედრაზე „მრგვალი მაგიდა" აღარ გამოცხადებულა. ამან ხელი შეუწყო მოლაპარაკებების შეწყვეტას. რადგან ერთიანი ბლოკის შექმნის იდეა ჩაიშალა, დანარჩენმა ორგანიზაციებმა აღარ ისურვეს „მრგვალი მაგიდის" გარეშე შეექმნათ ბლოკი და გადაწყვიტეს, ყველას დამოუკიდებლად მიეღო არჩევნებში მონაწილეობა.

ფაქტიურად, ეს იყო ბოლო მცდელობა ეროვნული ძალების გაერთიანებისა. ჩვენ ვერ შევძელით შეგვექმნა ერთიანი ბლოკი მაშინ, რადგან ცუდად ვიცნობდით ერთმანეთს და ვერ მოვახერხებთ მის შექმნას ვერც დღეს, რადგან დღეს უკვე ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. ეს არის ჩვენი გუშინდელი და დღევანდელი დღის სამწუხარო რეალობა!

1990 წლის შემოდგომაზე საქართველოში ზედიზედ ჩატარდა ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს არჩევნები, თუმცა იმთავითვე ცხადი იყო, რომ რეალური ბერკეტები ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წარმართვისა უზენაესი საბჭოს ხელში აღმოჩნდებოდა (იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებმაც 1990 წლის მარტის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, როგორც ჩანს, ოქტომბერში უფრო ინერციით შეინარჩუნეს ძველი პოზიცია. ამას მაფიქრებინებს ისიც, რომ შემდგომში იგივე ძალები აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო საბჭოს მუშაობაში, ასევე 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში, თუმცა რეალურად არც 11 ოქტომბერს არჩეული პარლამენტი იყო თავისუფალი გარეშე ძალების უხეში დაწოლისაგან. ახლა ძნელია გადაჭრით რაიმე ამტკიცო, მაგრამ როდესაც 11 ოქტომბერს არჩეული პარლამენტის პერსონალურ შემადგენლობას ვადარებ ზ. გამსახურდიას პარლამენტისას, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ზ. გამსახურდიას პარლამენტი არ დაუჭერდა მხარს „სნგ"-ში შესვლას), ამიტომ, უნდოდათ თუ არა, კონგრესში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები უნდა შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ პოლიტიკურ პროცესებში ისინი აქტიურ მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ და გარკვეული ხნით „ჩრდილში" მოუწევდათ ყოფნა, თუმცა ეს არ იყო მიზეზი იმისა, რომ კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის აუცილებლად კონფრონტაციული ურთიერთობა ჩამოყალიბებულიყო; თუ ორივე მხრიდან იქნებოდა სურვილი, თანამშრომლობის გზები აუცილებლად გამოიძებნებოდა, რადგან ასეთი მაგალითი ესტონეთში უკვე აპრობირებული იყო. გარკვეულ იმედს იძლეოდა ბ-ნი ზ. გამსახურდიას განცხადება პირველ სესიაზე: „მიუხედავად იმისა, რაც მოხდა ეროვნულ მოძრაობაში, ჩვენი ლტოლვა — ჩვენი უპირველესი ლტოლვაა ისევ გამთლიანება, ისევ აღდგენა ერთიანობისა ყველა პოლიტიკურ პარტიასთან. ამასთან ჩვენი უმთავრესი მიზანია ეროვნული შემწყნარებლობა, შერიგება, სიყვარული, ურთიერთგაგება". მაშინ მართლაც გაჩნდა გარკვეული იმედი, რომ ურთიერთდაპირისპირებას, ლანძღვა-გინებას, ცილისწამებასა

და შეურაცხყოფას ეროვნულ მოძრაობაში ბოლო მოეღო, თითქოს წინა პერიოდში შექმნილ ვითარებასაც მოეძებნა ახსნა — ასე იმიტომ იქცეოდა, რომ არჩევნებში შესაძლო კონკურენტები ჩამოეცილებინა გზიდანო — სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია ამგვარი მეთოდების გამოყენება, მაგრამ ამგვარი ახსნა, ვფიქრობ, მაინც შესაძლებელია. იგივე აზრს ზ. გამსახურდია ერთი წლის შემდეგაც არაერთგზის გაიმეორებს, თუმცა მას უკვე აღარავინ მოუსმენს და დაუჯერებს. ეგ კი არა, ამ სიტყვების წარმოთქმიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, როდესაც უზენაესი საბჭოს კომისიების დაკომპლექტება დაიწყო და საქმე „მრგვალი მაგიდისათვის" არასასურველი დეპუტატების არჩევას შეეხო, არათუ რაიმე თანამდებობაზე, კომისიის რიგით წევრებსაც კი (გავიხსენოთ დავით ბერძენიშვილისა და თამაზ დიასამიძის შემთხვევა) აბსურდული მიზეზებით ეუბნებოდნენ უარს! როდესაც კომისიაში ერთი ასეთი არასასურველი დეპუტატი „გაძვრა" (კერძოდ, აკაკი ბობოხიძე, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან"), ამან, როგორც ჩანს, პრეზიდიუმში დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია, მაგრამ ბატონმა თავმჯდომარემ ისინი ასე დააშოშმინა: „ერთი, არა უშავს!", ეს ნუგეშის სიტყვები, ცხადია, ფართო აუდიტორიისთვის არ იყო გამიზნული, — იმ მავნებელმა მიკროფონმა უმუხთლა თავის ბატონს! თავმჯდომარე საკმაოდ ჭკვიანია და ასეთ რამეს საქვეყნოდ როგორ იტყოდა! აი, ერთ-ერთი რიგითი დეპუტატი ქალი კი ვერ მოერია თავის გრძნობებს (იმიტომაცაა რიგითი!) და სახალხოდ გამოამზეურა თავისი გულისნადები „მრგვალი მაგიდის" არაწევრ დეპუტატ რომან გოცირიძის ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის წინააღმდეგ. მან თავისი არგუმენტები ასე „დაამრგვალა": რომან გოცირიძე არ გვინდა კომისიის თავმჯდომარედო. რატომ? „იმიტომ, რომ იმიტომ!" — დაარტყა ბეჭედი მან. აქაოდა, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკიო" (გაზ. „ივერია" №267,1991 წ. 18 იანვარი).

მიუხედავად ამისა, „ეროვნული კონგრესი მიმართავს წინადადებით საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელობას, რომ ყოველდღიურად, საინფორმაციო პროგრამა „მოამბის" შემდეგ, ეროვნული კონგრესის განცხადებებისა და ინფორმაციისათვის გამოიყოს 10-15 წუთი ყოველგვარი ცენზურის გარეშე" (გაზ. „საქართველო", 1990 წ. 23 ნოემბერი); სულ რაღაც 10-15 წუთი ტელევიზიაში, დანარჩენი საეთერო დრო ხელისუფლებისაა! ტელევიზიის ხელმძღვანელობამ ეს წინადადება, რაღა თქმა უნდა, არ მიიღო, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ სწორედ

ტელევიზიის თანამშრომლები აღმოჩნდნენ პირველი, ვინც წინ აღუდგა ზ. გამსახურდიას მიერ დანიშნულ ახალ ხელმძღვანელს. გაზეთ „საქართველოს" 27 დეკემბრის ნომერში ქვეყნდება ტელევიზიის მუშაკთა ორი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება და ეს ხდება მას შემდეგ, რაც 24 დეკემბერს ბ-ნი ზ. გამსახურდია თავად ხვდება ტელევიზიის მუშაკებს და ცდილობს დაუსაბუთოს მათ კვანტალიანის დანიშვნის აუცილებლობა. არადა, ეს ის ტელევიზიაა, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა ზ. გამსახურდიას და მნიშვნელოვანნილად განაპირობა არჩევნებში „მრგვალი მაგიდის" გამარჯვება. მაშ რა მოხდა? ნუთუ კვანტალიანის პიროვნება იმდენად მიუღებელი იყო, რომ ტელევიზიის მუშაკები იძულებულნი გახდნენ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას დაპირისპირებოდნენ? აკი უზენაესი საბჭოს სესიაზე ოპოზიციის წარმომადგენელმა ე. შენგელაიამ კვანტალიანს ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა უწოდა და დეპუტატებს სთხოვა მხარი დაეჭირათ მისი კანდიდატურისათვის? ტელევიზიის მუშაკები ადრე, სანამ ზ. გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდოდა, იმდენად დამჯერი და მორჩილნი იყვნენ მისი, რომ ჩვენთან საუბრებში ისიც კი უთქვამთ (მაგ., ა. გოგელიას!), თუ არ დავემორჩილებით, პიკეტს მოგვიწყობსო. როდესაც ჩვენ განვუცხადეთ, პიკეტს ჩვენც მოგიწყობთო, გვიპასუხეს, თქვენი პიკეტის არ გვეშინიაო! რა გამოდის? ზ. გამსახურდიასი ეშინოდათ მაშინ, როდესაც პიკეტის მოწყობის გარდა სხვა არაფრის გაკეთება შეეძლო და ამიტომაც ემორჩილებოდნენ და ახლა ეწინააღმდეგებიან უზენაესი ხელისუფლების პირველ პირს, რომელსაც უამრავი სახელისუფლებო ბერკეტი გააჩნია და შეუძლია ტელევიზია სულ დახუროს? იმავე შეხვედრაზე ხომ ზ. გამსახურდია ღიად აცხადებდა, თუ არ დაგვემორჩილებით, იძულებული ვიქნებით, ტელევიზია დავხუროთო? არადა, ისეთი რა უნდა გაეკეთებინა ერთი თვის დანიშნულ კაცს, რომ ტელევიზიის მუშაკთა ასეთი რისხვა გამოეწვია?! იქნებ ძველი ხელმძღვანელობის სიყვარულმა გადაადგმევინათ ამგვარი ნაბიჯი, ანდა ახალი ხელისუფლების უმადურობამ, მათ მიერ განეული საშსახურის დაუნახაობამ გამოიყვანა ისინი წონასწორობიდან?!

მე რამდენჯერმე გულდასმით გადავიკითხე ამ შეხვედრის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც გაზეთ „ივერიის" 1991 წლის №26-შია გამოქვეყნებული. ვცდილობდი, გამეგო კონფლიქტის რეალური მიზეზი; როგორც ჩანს, იგივეს ცდილობდა ზ. გამსახურდია, ჩვენ სულ ერთად ვიყავით და ახლა რა მოხდა ასეთიო, გაკვირვებული კითხულობს;

პასუხი, რომ კვანტალიანი უტაქტო და არაკომპეტენტურია, თანაც ბოლომდე დამუშავებული პროგრამა არა აქვს, ზოგადი არგუმენტების ფარგლებს არ სცილდება; ამიტომ, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ტელევიიის მუშაკთა ერთი ნაწილის ქმედებას მაშინაც, როცა ისინი მხარს უჭერდნენ ზ. გამსახურდიას და მაშინაც, როცა ისინი ზ. გამსახურდიას დაუპირისპირდნენ, უხილავი დირიჟორის ხელი წარმართავდა და არა „პროგრამის უქონლობა" თუ „არაკომპეტენტურობა!" მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ახალი ხელისუფლების მიერ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნულ პირთა დიდი უმრავლესობა არაკომპეტენტურია, რასაც ხელს უწყობდა კადრების ხშირი ცვლილებები და ეს აზრი ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას ბოლომდე თან სდევდა.

პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში მეტისმეტად დრამატული იყო — საომარი მდგომარეობა ცხინვალის რეგიონში, დაპირისპირება კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის, საინფორმაციო საშუალებებით „მხედრიონის" გამუდმებული ლანძღვა-გინება, საბჭოთა არმიის ნაწილებზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმები და სხვა. ამ დრამატიზმს აძლიერებს მოსკოვში მიმდინარე პროცესები — მოახლოებული დიქტატურისადმი პროტესტის ნიშნად საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს ტოვებს ე. შევარდნაძე; თანამდებობიდან გადადგა სსრკ-ს შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ბაკატინი და მის, ადგილს იკავებს ლატვიის სუკ-ის თავმჯდომარე ბ. პუგო.

ასეთ ვითარებაში თითქოსდა უფრო ლოგიკურია ხელისუფლება შეეცადოს ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციას, წავიდეს გარკვეულ კომპრომისზე და თანამშრომლობაზე, ხდება კი პირიქით — საინფორმაციო საშუალებებით დაწყებული პროპაგანდის საპასუხოდ „მხედრიონი" იწყებს შიმშილობას ოპერის ბაღში, 4 დეკემბერს კი მთავრობის სახლთან „წმ. ილია მართლის საზოგადოების" 5 წევრი იწყებს შიმშილობას „მხედრიონის" შიმშილობის საპროტესტოდ! 5 დეკემბერს მთავრობის სახლთან იმართება მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოდიან ზ. გამსახურდია, ა. ასათიანი და სხვები. სხვათა შორის, მიტინგები მთავრობის სახლთან ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით გრძელდება ზ. გამსახურდიას მმართველობის მთელი ხნის განმავლობაში. ახლაც არ მესმის, როდესაც გაგაჩნია ფაქტიურად მონოპოლიური პრესა და ტელევიზია, რა საჭიროა მიტინგების გამართვა? მიტინგი, ისევე

როგორც ნებისმიერი თავყრილობა, პროვოცირების საკმაოდ დიდ ელემენტს შეიცავს! ასეთ ვითარებაში მიტინგების მოწყობას შეიძლება ჰქონდეს ერთადერთი მიზანი — მოპირდაპირე მხარესთან დაპირისპირება, რაც შემდგომ პერიოდში არაერთხელ განახორციელა ხელისუფლებამ.

მდგომარეობის განსამუხტად 4 დეკემბრის კონგრესის სხდომამ გამოყო დეპუტაცია — გ. ხაინდრავა და მ. გიორგაძე (კონგრესის პრეზიდიუმის წევრები), რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან მომავალი შესაძლო შეხვედრის თაობაზე.

იმავე დროს სოხუმში ჩატარდა ორივე მხარის წარმომადგენელთა ინტენსიური კონსულტაციები კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად, ქართველ-აფხაზთა ისტორიული ურთიერთპატივისცემისა და თანხმობის აღსადგენად.

უნდა ითქვას, რომ ამ კონსულტაციებმა დადებითი შედეგები გამოიღო. ამაზე მეტყველებს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომა, რომელიც 4 დეკემბერს გაიმართა. სესიას ესწრებოდა უზენაესი საბჭოს თითქმის ყველა დეპუტატი — ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. განიხილეს რამდენიმე საკითხი: საორგანიზაციო, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარების კანონპროექტის და აფხაზეთის უზენაეს საბჭოში ერთაშორისი კონფლიქტების მოწესრიგების კომისიის შექმნის შესახებ.

სესიამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ვლადისლავ არძინბა, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — ვახტანგ ყოლბაია (გაზ. „საქართველო", 1990 წ., 6 დეკემბერი).

8 დეკემბერს მწერალთა კავშირში შედგა ეროვნული კონგრესისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა. გადაწყდა პარიტეტული კომისიის შექმნა ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან, დაინიშნა შეხვედრის დრო — 13 დეკემბრის 12 საათი.

თითქოს ყინული დაიძრა, ისევ გაჩნდა იმედი, რომ კონფრონტაცია დაიძლეოდა და ეროვნულ კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის დაიწყებოდა თანამშრომლობა. რეალურად შექმნილი გარემო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მთლიანად კავშირის მასშტაბით, ამგვარი ურთიერთობის აუცილებლობას მოითხოვდა. შეიძლება ითქვას, რომ

ეს იყო ბოლო მცდელობა, დაძლეულიყო კონფრონტაცია, რომელმაც ჯამში ქვეყანა საბოლოოდ სამოქალაქო ომამდე მიიყვანა და ძირითადად განსაზღვრა ჩვენი დღევანდელი მდგომარეობაც.

მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. 9 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარდა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" არჩევნები, საპასუხოდ უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წლის 11 დეკემბერს საერთოდ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია.

დეპუტატთა წინაშე გამოდის სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი გენრიხ მალიუშკინი.

ქვეყნდება კანონი საგანგებო წესების შესახებ, რომლის რამდენიმე დებულება პროტესტს იწვევს ოპოზიციურ წრეებში, რადგან ამ წესებით ხელისუფლებას უფლება აქვს „შეაჩერონ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების" და ა. შ. საქმიანობა; აგრეთვე, ის ფაქტი, რომ სხვა ძალოვან სტრუქტურებთან ერთად „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საგანგებო ვითარების შედეგების ლიკვიდაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნან სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილები".

თუ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ" ოპოზიცია გაგებით მოეკიდა, თუმცა არსებობდა აზრი, რომ უზენაეს საბჭოს უნდა გაეუქმებინა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა" და არა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", საგანგებო წესებში არსებულმა ზემოთ მოტანილმა მუხლებმა მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია — ოპოზიცია ამაში ხედავდა საფრთხეს, რომ ხელისუფლებას ნებისმიერ მომენტში შეეძლო გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა და ამით აეკრძალა პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობა. მეორე მხრივ, თავისთავად ულოგიკო ჩანდა გადაწყვეტილება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების გამოყენების შესახებ, რადგან კონსტიტუციაში შესული შესწორებებით რუსულ ჯარს საქართველოში განესაზღვრა სტატუსი „საოკუპაციო ჯარისა", შედეგად, აბსურდული ჩანდა ხელისუფლების გადაწყვეტილება „საოკუპაციო ჯარის" გამოყენებისა საგანგებო მდგომარეობის დროს; განა მთელი ჩვენი წარსული ურთიერთობა რუსეთთან იმის დამადასტურებელი არ იყო, რომ რუსული ჯარი, გნებავთ „საოკუპაციო" და გნებავთ „მშვიდობის

დამცველი", ქართული სახელმწიფოს საქმეს არ გააკეთებდა; კიდევ უფრო აღმაშფოთებელი იყო უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, რომლის მიხედვითაც ცხინვალისა და ჯავის რაიონის კომენდანტად დაინიშნა შინაგანი ჯარების დივიზიის მეთაურის მოადგილე, პოლკოვნიკი ვ. ი. პუზირნი, ხოლო საგანგებო წესების განხორციელება სხვებთან ერთად დაევალათ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებს (გაზ. „საქართველო", 1990 წლის 13 დეკემბერი). ამ გადაწყვეტილებას თან სდევდა მოქალაქეთა მხარდამჭერი წერილები, მაგრამ პროტესტი იმდენად მძლავრი იყო, რომ 14 დეკემბერს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში შეიტანეს შესწორებები; აღინიშნა, რომ კომენდანტს ნიშნავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო საგანგებო წესებს სხვებთან ერთად იცავს „ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები". 15 დეკემბრის ტელეგამოსვლაში ზ. გამსახურდია იძულებულია აღიაროს, „რომ ძალზე სასიხარულოა ცალკეული, ჩვენთან ოპოზიციაში მყოფი პარტიების წარმომადგენელთა სასიკეთო შემობრუნება და გარკვეული გაგება ამ მოვლენებისა, დადებითი შეფასება, მაგრამ ვთხოვთ მათ ბოლომდე გაერკვნენ სიტუაციაში და ზოგიერთი უარყოფითი შეფასება ამის შემდეგ გააკეთონ..." ითქვა, „თითქოს ჩვენ იქ შევიყვანეთ შინაგანი ჯარები, დავნიშნეთ რუსი კომენდანტი და ა. შ. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ჯარები სამაჩაბლოში იყო, ოდნავ გაიზარდა მხოლოდ კონტინგენტი და რუსი კომენდანტი არავის დაუნიშნავს". ეს, რა თქმა უნდა, მას ხელს არ უშლის განაცხადოს, რომ არ ცნობს კონგრესს და არც მასში შემავალ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, უზენაესი საბჭოს პრესცენტრი კი აცხადებს: „გ. ჭანტურიამ პირდაპირ განაცხადა ერევნის გაზეთ „რესპუბლიკა არმენიაში" ა. წ. 22 ნოემბერს გამოქვეყნებულ ინტერვიუში: „მოსალოდნელია მკვეთრი კონფრონტაცია კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის. კონგრესი, ალბათ, მიმართავს უკიდურეს რადიკალურ პოლიტიკურ (და არა სამხედრო) ზომებს უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ. ჩვენ გვსურს შეძლებისდაგვარად უზენაესი საბჭოს კომპრომეტირება და მისი, ასე ვთქვათ, საქართველოს გარეშე დატოვება". იქვე მან განაცხადა: „კონსესუსი ჩვენს შორის შეუძლებელია, თუ ჩვენ კომპრომისზე წავალთ, უნდა დავუთმოთ მტერს, რაც არ მოხდება, ეს შეუძლებელია. ჩვენ

არ წავალთ ასეთ ნაბიჯზე" (გაზ. „ახალი საქართველო", 1990 წ., 20 დეკემბერი).

ამ ინტერვიუს შესახებ ხელისუფლებამ ადრეც იცოდა, როცა 8 დეკემბერს შეხვდა კონგრესის წარმომადგენლებს და მათთან ერთობლივი კომისიების შექმნაზე დათანხმდა, მაგრამ შემდგომ იმიტომ „გაიხსენა", რომ კონგრესთან მოლაპარაკება ჩაეშალა და ეს მათთვისვე დაებრალებინა. ამიტომაც იყო, რომ 21 დეკემბერს ი. წერეთელი აცხადებს შიმშილობას უზანაესი საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის მოთხოვნით.

ბუნებრივია, ამ შიმშილობას შედეგი არ მოჰყოლია, უზენაესი საბჭო და კონგრესი ბარიკადების სხვადასხვა მხარეს დარჩნენ.

მიუხედავად იმისა, რამდენად სარწმუნოდ და არგუმენტირებულად მიგვაჩნია ბატონი ე. შევარდნაძის განცხადება, რომ საბჭოთა კავშირში გაძლიერდნენ რეაქციული ძალები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან „პერესტროიკასა" და დემოკრატიას, მისი გადადგომა ძალიან მრავლისმეტყველი იყო არა მარტო მსოფლიო საზოგადოებისთვის, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრის ცვლილება, როგორც წესი, აუცილებლად იწვევს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გარკვეულ კორექტირებას. მით უმეტეს მაშინ, როდესაც პოსტის დატოვება არის პროტესტის ფორმა და არა პენსიაზე გასვლა ან პოლიტიკური საქმიანობისთვის თავის დანებება. გადადგომა მრავლისმეტყველი იყო ჩვენთვისაც, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციისთვის და მთლიანად, მთელი ქართული საზოგადოებისთვისაც, რადგან ეს, მინიმუმ, იმას მაინც ნიშნავდა, რომ კრემლში მთლად მშვიდი და საქმიანი ატმოსფერო სრულიადაც არ იყო და თუ რაიმე შეიცვლებოდა, ეს ცვლილება ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის დარეგულირებისაკენ იქნებოდა მიმართული, დარეგულირება კი უფრო სსრკ-ს შიგნით მიმდინარე პროცესებზე აისახებოდა, ვიდრე საგარეო პოლიტიკაზე.

ამ მოსაზრებას ადასტურებს 1991 წლის იანვრის შუა რიცხვებში ბალტიის ქვეყნებში საბჭოთა არმიის თვითნებური და თავხედური მოქმედებები, აგრეთვე გორბაჩოვის ბრძანებულება სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, რომლის მე-3 პუნქტში ულტიმატუმის ფორმით მოითხოვს „სამი დღის ვადაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნას შეიარაღებული ფორმირებები, გარდა სსრკ-ს შინაგანი ჯარისა".

მართალია, 10 იანვარს გამართულმა საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ გორბაჩოვის ეს ბრძანებულება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად მიიჩნია და სწორადაც მოიქცა, მაგრამ, ცხადია, საკითხი ამით ვერ ამოიწურებოდა და მას აუცილებლად ექნებოდა ჩვენთვის არასასურველი რაღაც გაგრძელება.

შექმნილ სიტუაციას თითქოსდა ბუნებრივად უნდა ეიძულებინა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც აქტიურად ეძებნათ თანამშრომლობის გზები, მოხდა კი პირიქით: გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა" ჩნდება ახალი რუბრიკა — „არქივიდან"; როგორც გაზეთი იტყობინება, „1990 წლის 25 დეკემბერს (მიტინგზე!) საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გ. ჭანტურიამ ოფიციალურად მიმართა გაზეთის რედაქტორებს გამოქვეყნებულიყო მასალები სუკ-ის არქივიდან საქართველოს ეროვნული კონგრესისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყველა წევრზე (გაზ. „საქ. რესპუბლიკა". 9 თებერვალი, 1991 წ.). გაზეთი აქვეყნებს სუკ-ის იზოლატორის უფროსისადმი გ. ჭანტურიას განცხადების ქსეროასლებს; რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე რუბრიკაში ჩნდება თ. ჩხეიძის განცხადების ქსეროასლი და სხვა მასალები, რომელსაც წინ უძღვის რედაქციის მიერ მსხვილი შრიფტით აწყობილი „განმარტება": „ვინც კარგად იცნობს საბჭოთა დამსჯელი ორგანოების პრაქტიკას, მისთვის ცნობილია, რომ როდესაც პატიმარი ციხის სამეურნეო ნაწილში ან სხვა თანამდებობაზე იწყებს მუშაობას, იგი ყოველნაირად სანდოა და „გამოსწორებული".

ეს განსაკუთრებით პოლიტპატიმრებს ეხებათ, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მერაბ კოსტავამ ანგარსკის ბანაკში წელიწადნახევარი შიმშილობა გამოაცხადა ბანაკის ადმინისტრაციის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა სამეურნეო ნაწილში მუშაობა მოეხვია მისთვის თავს (და მაინც ვერ მიაღწია მიზანს).

ზოგიერთ პიროვნებას უყვარს ტრაბახი, რომ იგი სასჯელს პოლიტიკური ბრალდებით იხდიდა, მაგრამ როგორ იხდიდა?

ამ კითხვაზე პასუხს ქვემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტები გაგვცემს".

მართალია, გ. ჭანტურიამ და თ. ჩხეიძემ გასცეს პასუხი გამოქვეყნებულ განცხადებებზე და გაზეთმა „დემოკრატიული პრესის" პრინციპებიდან გამომდინარე თავის ფურცლებზე დაბეჭდა ეს პასუხები, მაგრამ, ბუნებრივია, ისინი ვერ შეძლებდნენ შექმნილი არასასურველი ფონის რამდენადმე შეცვლას, მით უფრო, პირდაპირი თუ ირიბი

თავდასხმები მათზე და, ზოგადად, ოპოზიციის წარმომადგენლებზე გრძელდებოდა და ძლიერდებოდა; გაჩნდა ახალი რუბრიკები „წერილები რედაქციას" და „კრემლის აგენტები საქართველოში". თუმცა შინაურ ოპოზიციას ვინ ჩივის, როდესაც 26 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე ზ. გამსახურდია აცხადებს, რომ „რადიო „თავისუფლების" ქართულ განყოფილებას ვუცხადებ ბოიკოტს, ვინაიდან ის მოღალატურ საქმიანობას ეწევაო", ინგლისელი ჟურნალისტის კითხვაზე კი, „დააპატიმრებთ თუ არა გ. ჭანტურიასო", პასუხობს: „რაც შეეხება გ. ჭანტურიას, მისი შემოქმედება პოლიტიკოსის მოქმედებას აღარ ჰგავს, იგი დაკავშირებულია მხედრიონის ბანდებს, მისი პარტია თავით ფეხებამდე შეიარაღებულია, სჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 26 თებერვალი).

ამ დროისათვის „მხედრიონი" უკვე განადგურებულია, როგორც ჩანს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვიდან სსრკ-ს პრეზიდენტ მ. გორბაჩოვისა და სსრკ-ს თავდაცვის მინისტრ დ. იაზოვისადმი: „1991 წლის 18 თებერვალს, გამთენიისას, ქ. თბილისის გარეუბან შავნაბადაში მოხდა შეტაკება არაოფიციალურ გასამხედროებულ ფორმირება „მხედრიონის" წევრებსა და საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფს შორის, რის შემდეგაც სამხედროებმა დაიკავეს დაბა შავნაბადას მიდამო. ორივე მხრიდან არიან დაჭრილები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს პროტესტს საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფის მოქმედებასთან დაკავშირებით, რითაც შეილახა სუვერენული რესპუბლიკის უფლებები" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 20.II).

ამ განცხადების გულწრფელობა მაშინვე დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, როდესაც გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობიდან შეიტყობ, რომ დაპატიმრებული არიან „მხედრიონის" ლიდერები, 19-ში კი დააპატიმრეს „მხედრიონის" ხელმძღვანელი ჯ. იოსელიანი, რომელსაც „აღმოაჩნდა მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, საბრძოლო ვაზნებით".

ჩემი დამოკიდებულების შესახებ „მხედრიონის" და, საერთოდ, არაფორმალური სამხედრო გაერთიანებებისადმი უკვე ვწერდი, თუმცა, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ დაუშვებლად მიმაჩნდა და მიმაჩნია სახელმწიფო სტრუქტურებს გარეთ შეიარაღებული ჯგუფების არსებობა, რა ფორმითაც უნდა იყოს

იგი და რა კეთილშობილურ მიზნებსაც უნდა ისახავდეს. ამდენად, ხელისუფლების გადაწყვეტილება, აღკვეთოს ასეთი ფორმირებების არსებობა, სამართლიანად მიმაჩნია. ამიტომ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა საზოგადოების პროპაგანდისტული დამუშავება, რომლის დროსაც „მხედრიონს" ხელალებით „აჭიდეს" ყველა ჩადენილი თუ ჩაუდენილი დანაშაული. მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, „მხედრიონის" წინააღმდეგ იმ ძალის გამოყენება, რომლისგანაც თავის დაღწევას მიეძღვნა ფაქტიურად ეროვნული მოძრაობა, მთლად ზნეობრივი და კორექტული არ იყო (ამას, ეტყობა, ხელისუფლების წარმომადგენლებიც გრძნობდნენ, ამიტომაც დაიწერა პროტესტი მ. გორბაჩოვისა და დ. იაზოვისადმი), უფრო მეტიც, ეს იყო უდიდესი შეცდომა, რადგან ამ მოქმედებით ხელისუფლებამ საზოგადოებრივ ცნობიერებაში დაამკვიდრა აზრი, რომ „კარგი საქმის კეთების" დროს დასაშვებია უცხო, თუნდაც მტრულად განწყობილი ძალის გამოყენება, რაც შემდგომში ბუმერანგივით შეუბრუნდა იგივე ხელისუფლებას.

რაც შეეხება ჯ. იოსელიანის დაპატიმრების მოტივს: „აღმოაჩნდა მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, საბრძოლო ვაზნებით", იგი 1995 წელსაც ამავე მოტივით დააპატიმრეს... რაც მკრთალად იმასაც მიანიშნებს, რომ საქართველოში პოლიტიკური რეჟიმი თითქმის არ შეცვლილა. ჯ. იოსელიანს არაერთხელ განუცხადებია ხმამაღლა, რომ ბავშვობიდან მოყოლებული ყოველთვის ატარებდა იარაღს, ამიტომ, თუ ხელისუფლება მოისურვებდა, მისი დაპატიმრების მოტივებზე თავისტეხა საჭირო არ იქნებოდა.

დაპირისპირება ეროვნულ კონგრესსა და ხელისუფლებას შორის მკვეთრად იზრდებოდა. მასირებული პროპაგანდა, რომელსაც ხელისუფლება აწარმოებდა, თითქოს აღწევდა კიდეც მიზანს; „მხედრიონის" განადგურების შემდეგ, როგორც ჩანდა იგივე ზ. გამსახურდიას ინტერვიუდან, ეროვნულ-დემოკრატების რიგი უნდა მოსულიყო. საქმეს ვერც იმან უშველა, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებას, საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩატარებულიყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი და მის ნაცვლად 31 მარტს საქართველოს მოსახლეობას გამოეხატა თავისი აზრი საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის

აღდგენის შესახებ, ოპოზიცია აქტიური მხარდაჭერით შეხვდა და როგორც შეეძლო, მხარი დაუჭირა ხელისუფლების გადაწყვეტილებას.

საერთოდ, ჩემი აზრით, იდეა, 31 მარტს ჩატარებულიყო რეფერენდუმი და შემდეგ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიას განეხორციელებინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, არის მწვერვალი ზ. გამსახურდიას ხელისუფლების პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა; ეს იყო ჭეშმარიტად ისტორიული გადაწყვეტილება და ასედაც შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ისიც მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია, რომ რეფერენდუმის ჩატარების დღეებში საქართველოში იმყოფებოდა აშშ ექსპრეზიდენტი რ. ნიქსონი, რაც ჩატარებულ რეფერენდუმს გარკვეულ საერთაშორისო რეზონანსს აძლევდა და არ შეიძლება შემთხვევითი მოვლენა ყოფილიყო.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კარდინალურ საკითხებში სრული თანხვედრა, 31 მარტის შედეგები და 9 აპრილს უზენაესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი თითქოს ქმნიდა იმის გარანტიებს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები სტაბილურად განვითარებულიყო.

ასეთ ვითარებაში სრულიად გაუგებარი და ალოგიკურია იმავე 9 აპრილს „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება, რომელშიც მოუწოდებენ ქართველ ერს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას „საყოველთაო ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ, ყოველგვარი საპროტესტო აქციებისა და გაფიცვების გაძლიერებისაკენ". ერთის მხრივ, ხელისუფლება აცხადებს დამოუკიდებლობას, მეორეს მხრივ კი საკუთარ მოსახლეობას დაუმორჩილებლობისა და გაფიცვისაკენ მოუწოდებს. განა ეს პარადოქსი არ არის? გაფიცვა და დაუმორჩილებლობა ხომ უპირველეს ყოვლისა საქართველოს ეკონომიკურ სტაგნაციას იწვევდა, რაც პირდაპირ იმოქმედებდა მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, რაზე ზრუნვაც ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი უნდა ყოფილიყო და ეს არ იყო ერთჯერადი აქცია, — გაფიცვებისა და დაუმორჩილებლობისაკენ მოწოდება და ამგვარი საპროტესტო აქციები საქართველოში პერმანენტულად მიმდინარეობდა თითქმის მთელი გაზაფხულის განმავლობაში, გრძელდებოდა „სამტრედიის რკინიგზის გადაკეტვის აქციის" რეციდივი!

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი ხეირიანად არც კი იყო გააზრებული მტერ-მოყვრის მიერ, რომ ხელისუფლებამ ახალი პოლიტიკური სიურპრიზი შემოგვთავაზა: 14 აპრილს გამართულმა სესიამ შესწორებები შეიტანა კონსტიტუციაში — შემოილო პრეზიდენტის თანამდებობა, 26 მაისისათვის დანიშნა პრეზიდენტის საყოველთაო პირდაპირი არჩევნები, მაგრამ იმავე სესიაზე ქვეყნის პრეზიდენტად თავადვე აირჩია ზ. გამსახურდია!

ამ ფაქტმა ახალი იმპულსი მისცა დაპირისპირებას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ძირითადად განსაზღვრა საქართველოში შემდგომში განვითარებული პოლიტიკური პროცესები.

რადგან არ იყო არგუმენტირებულად დასაბუთებული პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა (ხელისუფლებას ამისათვის თავი არ შეუწუხებია!), აგრეთვე არ იყო მოტივირებული და გასაგები, თუ რატომ აირჩია პარლამენტმა ზ. გამსახურდია პრეზიდენტად, თუ ერთ თვეში პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები უნდა გამართულიყო, ოპოზიციასა და საზოგადოებაში წარმოიშვა აზრი, რომ ზ. გამსახურდია მიისწრაფვის ერთპიროვნული მმართველობისკენ; ამ აზრს აძლიერებდა 18 აპრილს მიღებული კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტობის კანდიდატს ბოლო 5 წელი საქართველოში უნდა ეცხოვრა; ცხადი იყო, რომ ეს შეზღუდვა შემოღებულ იქნა მხოლოდ ერთი მიზნით — პრეზიდენტის პოსტზე კენჭი არ ეყარა ე. შევარდნაძეს, ხოლო როდესაც გაჩნდა აზრი, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად დაესახელებინათ ჯ. იოსელიანი, კანონში სასწრაფოდ შეიტანეს შესწორება — არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ იმ პირებს, „რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება — დაპატიმრება".

ხელისუფალთა ამგვარი ფაცი-ფუცი გაკვირვებასა და მიმტევებლურ ღიმილს იწვევდა საზოგადოებაში, რადგან იმ პერიოდში პრეზიდენტის პოსტზე ზ. გამსახურდიას რეალური მეტოქე ვერც ე. შევარდნაძე იქნებოდა და ვერც ჯ. იოსელიანი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოპოზიციის დანარჩენ წარმომადგენლებზე. ეს ყველასთვის ნათელი იყო და ილუზიები არავის გასჩენია; მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ მაინც გადაწყვიტა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მოტივი არჩევნებში მონაწილეობისა საკმაოდ მარტივი იყო — ოპოზიციას საშუალება მიეცემოდა საარჩევნო პერიოდში ტელევიზიით სარგებლობისა, ეს

მეთოდი უკვე აპრობირებული იყო საკრებულოების არჩევნების დროს.

ოპოზიციიდან პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ტელე-საეთერო დროს ყველანი მაქსიმალურად გამოიყენებდნენ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ხოლო ბოლო მომენტში მოხსნიდნენ თავიანთ კანდიდატურებს. ტელევიზიით უკვე ოპოზიციის გამოსვლები კი არა, უზენაესი საბჭოს სესიების ტრანსლაციაც კი არ ხორციელდებოდა. სამწუხაროდ, ვერც ოპოზიციამ შეასრულა მიღწეული შეთანხმება და 26 მაისს, როგორც მოსალოდნელი იყო, საპრეზიდენტო არჩევნებში ზ. გამსახურდიამ ტრიუმფალური გამარჯვება იზეიმა.

საპრეზიდენტო არჩევნებში მიღწეული წარმატება იყო პირადად ზ. გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის ზენიტი და, როგორ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მისი, როგორც პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის კრახი.

ვგულისხმობ შემდეგს:

მასირებული პროპაგანდის საშუალებით, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ უწევდა ერთი-ორი ოპოზიციური გაზეთი, ხელისუფლებამ ფაქტიურად მოახერხა პარლამენტს გარეთ არსებული ოპოზიციური ძალების, ეროვნული კონგრესის თუ სრული დისკრედიტირება ვერა, ნეიტრალიზება მაინც. დაპატიმრებული არიან „მხედრიონის" ლიდერები და ეს ორგანიზაცია უკვე აღარ არის ხიფათის მატარებელი; რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციას, რომელიც „დემოკრატიული ცენტრის" სახელით ფუნქციონირებს, მცირერიცხოვნების გამო, არ შეუძლია რეალური წინააღმდეგობა გაუწიოს უმრავლესობას და რადგან პრესა და ტელევიზია ფაქტიურად მონოპოლიზებულია, ხოლო სესიის ტრანსლაცია არ მიმდინარეობს, ისინი ფაქტობრივად იმავე დღეში არიან, როგორშიც არასაპარლამენტო ოპოზიცია; ასე რომ, რეალური საფრთხე ხელისუფლებას თითქოს არსაიდან ემუქრება (საკრებულოების არჩევნებში „მრგვალი მაგიდის" წარუმატებლობა ხელისუფლების მიერ რაიონებში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შედეგი უფროა, ვიდრე ზოგადად პოლიტიკური ორიენტირების ცვლილებისა!).

მაგრამ ყოველივე ეს განხორციელდა მანამ, სანამ საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი იქნებოდა შემოღებული. ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ რეალური ხელისუფლება ფაქტიურად პრეზიდენტის ხელში გადავიდა. მორჩილი და გარანტირებული საპარლამენტო უმრავლესობა ზ. გამსახურდიას საშუალებას აძლევდა საკუთარ ხელში

მოექცია განუსაზღვრელი ძალაუფლება, რაც მას უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა და ამასთანავე უდიდეს ხიფათსაც უქმნიდა. თითქმის აბსოლუტური ძალაუფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია უკვე აღარ წარმოადგენდა „მრგვალ მაგიდაში" შემავალი ორგანიზაციების ლიდერს, იგი „მრგვალი მაგიდის" გარეთ და მაღლა იდგა, რაც არღვევდა „მრგვალი მაგიდის" წესდებას (წევრი ორგანიზაციების უფლებას ვეტოს გამოყენებაზე) და პოლიტიკურ კონცეფციას და საფრთხეს უქმნიდა ამ მმართველი ბლოკის ერთიანობას.

უკვე 2 აგვისტოს გამართულ უზენაეს საბჭოს სხდომაზე „სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებისგან" დეპუტატთა ჯგუფის სახელით ვ. ადამია აკეთებს განცხადებას: „წინა სესიაზე „სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების" დეპუტატთა ჯგუფმა პროტესტი გამოთქვა დეპუტატ არჩილ მაჭავარიანის ღირსების შელახვის მცდელობის გამო. ამ საკითხზე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ, მაგრამ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ აკაკი ასათიანის უპრინციპობის გამო ეს კომისია არ ფუნქციონირებს, რითაც ირღვევა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 116-ე მუხლი.

„სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების" დეპუტატთა ჯგუფი აღნიშნავს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ა. ასათიანის უნიათობას მთელი რიგი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, რაც გამოიხატება უპირატესად არასწორი საკადრო პოლიტიკის გატარებაში. დღემდე უზენაესი საბჭოს წევრებს არა აქვთ ელემენტარული სამუშაო პირობები, ანგარიში არ ეწევა კომისიების გადაწყვეტილებებს, უზენაეს საბჭოს თითქმის ჩამოერთვა კანონის აღსრულებაზე კონტროლის უფლება, რის გამოც, სამწუხაროდ, სამინისტროებსა და უწყებებში სუფევს ანარქია, ხდება უხეში დარღვევები, თვით კორუფციაც კი. მეტიც, ბატონმა ა. ასათიანმა წინა სესიის შემდეგ გამართულ „მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა შეკრებაზე ამ ბლოკის დეპუტატებს მონური მორჩილება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაწვევით დაემუქრა, და „მრგვალი მაგიდის" ტრადიციული, მეტად ნაყოფიერი შეხვედრების კვლავ ჩატარება შეუძლებლად მიიჩნია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების" დეპუტატთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი

აკაკი ასათიანი ვალდებულია გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვუწოდებთ ყველა დეპუტატს, ვისაც აღელვებს საქართველოს ბედი, მხარი დაუჭიროს „სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების" დეპუტატთა ჯგუფის მოთხოვნას, რათა საკითხი დაყენებულ იქნას კენჭისყრაზე" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10 აგვისტო, 1991 წ.).

ამ განცხადების შემდეგ დეპუტატთა ჯგუფი გაემიჯნა მის შინაარსს და მიმართა საზოგადოების თავმჯდომარეს ვ. ადამიას, „დღეიდან აღარ ჩაგვთვალოთ ამ საზოგადოების წევრებადო".

ამავე სესიაზე უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყდა თენგიზ კიტოვანს, რადგან იგი დანიშნულ იქნა შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდლად.

ჩემთვის თ. კიტოვანის დანიშვნა ეროვნული გვარდიის სარდლად საკმაოდ მოულოდნელი იყო; მართალია, მე არ ვიცნობდი „მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა შემადგენლობას, მხოლოდ მათზე მქონდა გარკვეული წარმოდგენა, ვინც მიტინგებსა და პრესაში აქტიურობდა, ამიტომ არ შემეძლო ობიექტურად შემეფასებინა ისინი, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ეროვნული გვარდიის სარდლად ვ. ადამიას დანიშნავდნენ, გამომდინარე იქიდან, რომ ვ. ადამიამ და „მერაბ კოსტავას საზოგადოებამ" გარკვეული გამოცდილება მიიღო სამაჩაბლოში მიმდინარე კონფლიქტებში უშუალო მონაწილეობით.

10 აგვისტოს გამართულ სხდომაზე ძირითად საკითხებთან ერთად ორი დამატებითი საკითხი შემოვიდა. პირველი იყო ა. ასათიანის წინადადება მისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და ამ საკითხზე ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ, მაგრამ ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირეს არც პრეზიდენტმა და არც დეპუტატებმა. მეორე წინადადება ეკუთვნოდა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას, მან ურჩია უზენაეს საბჭოს, ორი მუდმივი კომისია — თავდაცვის, ეროვნული უშიშროების და მართლწესრიგისა და კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიები გაეერთიანებინათ ერთ იურიდიულ კომისიად, რადგან ეს კომისიები ფაქტიურად ურთიერთდუბლირებას ახდენდნენ. ცხარე კამათის შემდეგ დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს პრეზიდენტის წინადადებას.

საერთოდ, 1991 წლის აგვისტო მძიმე და საბედისწერო აღმოჩნდა

ხელისუფლებისათვის და საქართველოსთვის მთლიანად. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 21 აგვისტოს ნომრიდან (17 აგვისტოდან 21-მდე გაზეთი არ გამოსულა!), ვგებულობთ, რომ საკუთარი განცხადების საფუძველზე 17 აგვისტოს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს თ. სიგუა. გათავისუფლებულია აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ხოშტარია და ამ თანამდებობაზე დაინიშნა მ. ომანიძე.

მ. ომანიძე ერთ-ერთი საინტერესო და კოლორიტული ფიგურაა ქართულ პოლიტიკაში. მას შემდეგ, რაც ის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა, ან ხელისუფლებაშია, ან ძებნაში, სხვა, საშუალო მდგომარეობა მისთვის არ არსებობს.

მანამდე კი იყო 19 აგვისტოს მოსკოვის პუტჩი. როგორ შეხვდნენ „გკჩპ"-ს გადაწყვეტილებებს საქართველოში?

საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ გორბაჩოვი ვერ შეასრულებდა სსრკ პრეზიდენტის მოვალეობას. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 1991 წლის 19 აგვისტოდან სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად შეუდგა სსრკ-ს ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა საბჭოთა კავშირის ცალკეულ ადგილებში 6 თვის ვადით 1991 წლის 19 აგვისტოს 04 საათიდან მოსკოვის დროით. საგანგებო მდგომარეობის კონკრეტული რეგიონები მითითებული არ ყოფილა. შეიქმნა სსრ კავშირის საგანგებო მდგომარეობის საგანგებო კომიტეტი.

ეს განცხადებები საქართველოს ხელისუფლებისათვის მოულოდნელი იყო. „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.

მოგმართავთ საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს გაითვალისწინოთ შექმნილი ვითარება, ერთიანი შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა.

მოგიწოდებთ, ყველანი ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურებრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება, დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ამგვარად შეეძლებთ ჩვენს

რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

იმედია, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა გამოიჩენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებულობასა და პასუხისმგებლობას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

თბილისი, 1991 წლის 19 აგვისტო".

„მოსკოვი — 19 აგვისტოს შუადღისას რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა მოაწყო პრესკონფერენცია. ამავე დროს მან მიიღო ორი ბრძანებულება. პირველში საგანგებო მდგომარეობის კომიტეტის მოქმედებას მიანიჭა სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაცია და ამ კომიტეტის გადაწყვეტილებები რუსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ გამოაცხადა. მეორეში იმ თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, ვინც ასრულებენ კომიტეტის განკარგულებებს, მიიჩნიეს სისხლის სამართლის დანაშაულად.

ანტიკონსტიტუციური უწოდეს კომიტეტის საქმიანობას სანკტ-პეტერბურგში".

„ლატვია — 19 აგვისტო — დღეს დილით 11 საათზე ლატვიის რადიოთი გამოვიდა ლატვიის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თამჯდომარე ანატოლი გორბუნოვი. „სსრ კავშირში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, — თქვა მან. — სსრ კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი გადაყენებულია თანამდებობიდან, ძალაუფლება ხელში აიღო არაკონსტიტუციურად შექმნილმა სახელმწიფო კომიტეტმა".

„ესტონეთი — არნოლდ რუიტელი, 19 აგვისტო — ესტონეთის რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ორგანოები და მთავრობა შექმნილ სიტუაციაშიც განაგრძობენ ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მშვიდობიანი აღდგენის კურსს, რომელსაც მხარი დაუჭირა ჩვენი ხალხის დიდმა უმრავლესობამ 3 მარტს გამართულ რეფერენდუმზე.

20 აგვისტოს ესტონეთის რადიოთი გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ედგარ სავისაარი, რომელმაც მოუწოდა ესტონეთის მოსახლეობას არ შეასრულონ გადატრიალების ორგანიზატორთა და მათ დამქაშთა არავითარი გადაწყვეტილება და არ ითანამშრომლონ მათთან".

„ლიტვა — ლიტვის რადიოთი გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვიტაუტას ლანდსბერგისი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, თუ რესპუბლიკაში სამხედრო კომენდანტის ძალაუფლება შემოიღეს,

მსხვერპლი თავიდან უნდა ავიცილოთ, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და თანამშრომლობაზე უარის თქმა — ასეთია ჩვენი პოზიცია".

ეს ვრცელი ამონაწერი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 21 აგვისტოს ნომრიდან მხოლოდ იმიტომ მოვიტანე, რომ მეჩვენებინა, თუ როგორი იყო სხვადასხვა რესპუბლიკის ხელისუფალთა დამოკიდებულება მოსკოვში მიმდინარე პროცესებისადმი უშუალოდ „გ კ ჩ პ"-ს შექმნის მომენტში, და კიდევ, საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება ამ პროცესებისადმი, მხედველობაში მაქვს ზემოთ მოტანილი მიმართვა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა შემდგომში განვითარებული შიდა პოლიტიკური პროცესები.

მართალია, 20 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრიობის და სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, რომელშიც იგი დასავლეთის სახელმწიფოს მეთაურთა ყურადღებას მიაპყრობდა მოსკოვში მიმდინარე არადემოკრატიული და არაკონსტიტუციური ქმედებებისადმი და მოუწოდებდა მათ, მხარი დაეჭირათ რუსეთის დემოკრატიული ძალებისათვის და დაეცვათ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიერ გამოცხადებული სუვერენიტეტი, მაგრამ ეს უფრო უკან მიდევნებულ ლამპრად დარჩა, რადგან მსოფლიომ თავისი დამოკიდებულება მოსკოვის პუტჩისადმი იმავე დღეს, ე. ი. 19 აგვისტოს გამოხატა. მოსკოვში თეთრ სახლთან უკვე მიმდინარეობდა მიტინგები და ნათლად ჩანდა, რომ „გკჩპ" უკანასკნელ საათებს ითვლიდა. გარდა ამისა, 19 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ.

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებს — ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი.

2. გაუქმდეს თავდაცვის სამთავრობო კომისია.

3. გაუქმდეს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის ხელმძღვანელობა დაეკისროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის ძირითად ამოცანებად განისაზღვროს:

ორგანიზებულ და განსაკუთრებულ საშიშ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლა:

საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევების, მასობრივი არეულობების აღკვეთა.

მასობრივი (სპორტული, სანახაობითი და სხვა) ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა;

თავისუფლების აღკვეთის ადგილების დაცვა;

სათადარიგო სამსახურის შესრულება.

6. შინაგანმა ჯარებმა ისარგებლონ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტაბელური იარაღით.

თბილისი, 1991 წლის 19 აგვისტო.

ზ. გამსახურდია".

ამ ბრძანებულების საპროტესტოდ ეროვნული გვარდიის ნაწილებმა დატოვეს თავიანთი დისლოკაციის ადგილები და საბრძოლო აღჭურვილობით რკონში დაბანაკდნენ, ხოლო ოპოზიციამ ეს ბრძანებულება, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისადმი მიმართვასთან ერთად, ხელისუფლების უკან დახევად და „გკჩპ"-სადმი დამორჩილებად მიიჩნია, რადგან „გკჩპ"-ს ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ ეროვნული საჯარისო ფორმირებების გაუქმება იყო. მიუხედავად ამისა, ეროვნული გვარდიის ქმედებაში გადამწყვეტი როლი ემოციურმა ფაქტორმა უფრო შეასრულა, ვიდრე პოლიტიკურმა; გვარდიელებმა პირად შეურაცხყოფად მიიჩნიეს ხელისუფლების გადაწყვეტილება მათთვის „განსაკუთრებული დანიშნულების შილიციის ქვეყანყოფილების სტატუსის" მინიჭების შესახებ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან გვარდია ძირითადად დაკომპლექტებული იყო მოხალისეებით, რომლებსაც მილიცია და მილიციაში სამსახური არა მარტო ეჩოთირებოდათ, შეუძლებლადაც კი მიაჩნდათ. გვარდიის პოლიტიზირება შედარებით გვიან მოხდა, როდესაც მან საზოგადოების, ოპოზიციის დამცველის ფუნქცია შეიძინა, რასაც ისევ და ისევ ხელისუფლების მხრიდან გადადგმულმა არასწორმა ნაბიჯებმა შეუწყო ხელი.

უკვე 23 აგვისტოს ვრცელდება პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას განცხადება:

„ამ დღეებში ეროვნული გვარდიის სახელით თბილისში გავრცელდა პროკლამაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ხელისუფლების დისკრედიტაციას: კერძოდ, პროკლამაციის ავტორები ამტკიცებენ, თითქოს ხელისუფლებამ გვარდია

„დაშალა", რაც უხეში ცილისწამება და პროვოკაციაა. სინამდვილეში გვარდია კი არ დაიშალა, მას მიეცა ახალი სტატუსი განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფისა, რაც შექმნილი მწვავე მდგომარეობის გამო აუცილებელი იყო გვარდიის დასაცავად საბჭოთა იმპერიული ჯარების მხრივ თავდასხმისაგან, რასაც არაორაზროვნად იმუქრებოდნენ სამხედროები იმ დღეებში, გარდა ამისა, ამგვარი რეორგანიზაცია გვარდიისა დაგეგმილი იყო გაცილებით ადრე.

ბრძანებულებაში გვარდიის დაშლა-გაუქმებაზე არაფერია ნათქვამი, ოლონდ გვარდიას სჭირდება ხელმძღვანელად პროფესიონალი სამხედრო გენერალი, წინაალმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას, მაშინ არ იქნება წესრიგი და დისციპლინა, რითაც იგი შესაძლოა გადაიქცეს საზოგადოებისათვის საშიშ ძალად.

რამდენადაც გვარდია ექვემდებარება უშუალოდ პრეზიდენტს, მე მოვუწოდებ ჭეშმარიტ გვარდიელებს, გატარდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც შინაგანი ჯარის წარმომადგენლები. მიიღონ ტაბელური იარაღი, დაემორჩილონ ხელმძღვანელობას და ემსახურონ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს და არა ცალკეულ პირთა გაუმართლებელ ამბიციებს" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 24 აგვისტო).

იქვე ქვეყნდება პრეზიდენტის ბრძანება: „გათავისუფლდეს თენგიზ კიტოვანი შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობიდან, ხოლო ეს თანამდებობა გაუქმდეს. გვარდიის ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს".

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტის განცხადება და ბრძანება აზრობრივად ბევრად არ განსხვავდება 19 აგვისტოს ბრძანებულებისაგან და შედეგიც მხოლოდ ის გამოიწვია, რომ თ. კიტოვანი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში, 19-დან 23 აგვისტომდე, რკონსა და თბილისს შორის მიმოდიოდა, საბოლოდ გადაბარგდა რკონში.

ზოგადად, რაღა თქმა უნდა, არსებობს ის არგუმენტი, და ამას ჩვენს მიერ მოტანილი მასალებიც ადასტურებენ, რომ გვარდიის გაუქმებაზე მართლაც არაა საუბარი, საქმე მისი პროფილის შეცვლას ეხება მხოლოდ, მაგრამ მათთვის, ვინც გვარდიაში მსახურობდა, ეს გვარდიის გაუქმების ტოლფასი გადაწყვეტილება იყო, რადგან ისინი მილიციაში სამსახურს, როგორც უკვე ვთქვი, სხვადასხვა მიზეზთა გამო არ ისურვებდნენ; გარდა ამისა, გვარდიელებისათვის მიუღებელი

და შეურაცხმყოფელიც კი იყო პრეზიდენტის განცხადებაში მოტანილი განმარტება, თითქოს ამგვარი რეორგანიზაცია „აუცილებელი იყო გვარდიის დასაცავად საბჭოთა იმპერიული ჯარების მხრივ თავდასხმისაგან", რადგან გვარდიელები თავიანთ თავს და გვარდიის ფუნქციასაც სწორედ ასე განიხილავდნენ, თავიანთი ქვეყნის და ხალხის დამცველებად, ამიტომ თუ რეალური საფრთხე არსებობდა, პირველები ისინი უნდა დამდგარიყვნენ ამ საფრთხის პირისპირ და პირველი დარტყმაც მათ უნდა მიეღოთ, მათ უნდა დაეცვათ საქართველოც და პრეზიდენტიც და არა პირიქით!

ასეთ ვითარებაში, ჩემი აზრით, შეცდომა იყო თ. კიტოვანის გათავისუფლება გვარდიის სარდლის თანამდებობიდან და გვარდიასთან განცხადებითა და ბრძანებულებებით ლაპარაკი; ვფიქრობ, უფრო შედეგიანი იქნებოდა, პრეზიდენტს მოეხერხებინა და უშუალოდ, პირადად შეხვედროდა გვარდიის ხელმძღვანელობას. განა ნათელი არ იყო, რომ ბრძანებები და განცხადებები შედეგს არ იძლეოდა?!

მიუხედავად ამისა, 26 აგვისტოს ქვეყნდება პრეზიდენტის ახალი ბრძანება:

„ვინაიდან შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი პრეზიდენტის დაქვემდებარებაში, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება ეროვნული გვარდია, ვბრძანებ:

1. მოეხსნას გვარდიას განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი;

2. დღეიდან ყველა გვარდიელი, რომელიც განლაგებულია რკონის ხეობაში, დაუბრუნდეს ყაზარმებს თავისი რაიონებისა და ქალაქების მიხედვით".

ბრძანებასთან ერთად ისევ მიმართვა ეროვნული გვარდიისადმი, ოლონდ ამჯერად მიმართვის ავტორია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია:

„ყოველმა ჩვენგანმა კარგად უწყის, რაოდენ დიდი საფრთხე დაემუქრა საქართველოს მიმდინარე წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში მოწყობილი კომუნისტური პუტჩის გამო. თბილისში საგანგებო მისიით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჟურავლიოვი, რომელმაც პირდაპირ გამოაცხადა, რომ საბჭოთა ჯარების ნაწილებს მიცემული აქვთ ბრძანება საქართველოს ეროვნული გვარდიის განადგურების შესახებ.

გვარდიის გადარჩენისა და საერთოდ მოსალოდნელი საფრთხის

თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა სასწრაფოდ მიგვეღო გადაწყვეტილება ეროვნული გვარდიის სტატუსის დროებითი შეცვლის თაობაზე. ეს გახლდათ ტაქტიკური ნაბიჯი, რომლის წყალობითაც შენარჩუნებულ იქნა მშვიდობა და სტაბილურობა საქართველოში.

ამჟამად, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა, ეროვნულ გვარდიას უბრუნდება სამშობლოს დაცვის უმთავრესი ფუნქცია. ამასთანავე, უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე საკანონმდებლო აქტით დამტკიცდა თავდაცვის დეპარტამენტის შექმნა, რაც თავისთავად კიდევ უფრო განამტკიცებს ეროვნული გვარდიის მაღალ სტატუსს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ დაბრუნდეთ ყაზარმებში და კეთილსინდისიერად აღასრულოთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე. ღრმად გვწამს, თითოეული თქვენგანი გულისხმიერებით მოეკიდება რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს მოწოდებას. ამასთან გაცნობებთ, რომ გარანტირებულია ყოველი თქვენგანის ხელშეუხებლობა, არავის დაედება დისციპლინარული სასჯელი.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი".

ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და არა თუ აღადგინა გვარდიის ძველი სტატუსი, არამედ თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტიც კი შექმნა, მაგრამ ეს ისევ დაგვიანებული ქმედება იყო; მართალია, ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელად პროფესიონალი სამხედრო (ჯ. ფირცხალაიშვილი) დაინიშნა, მაგრამ ეროვნული გვარდიის უშუალო ხელმძღვანელი ვ. ქობალია გახდა, რომელსაც ისევე არ გააჩნდა პროფესიული განათლება, როგორც თ. კიტოვანს, ამიტომ, რკონში ჩასული თ. კიტოვანი გვარდიამ მიიღო არა როგორც თანამდებობადაკარგული, განაწყენებული ადამიანი, არამედ როგორც პიროვნება, რომელიც მათდამი თანადგომის გამო გაათავისუფლეს სარდლის მოვალეობისაგან

რა თქმა უნდა, ნებისმიერ ნორმალურ და ჩამოყალიბებულ ქვეყანაში სამხედრო ფორმირება, რომელიც არ ასრულებს უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებას, იურიდიულად ამბოხებულად ითვლება და რაიმე მოტივით მისი გამართლება შეუძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეროვნული გვარდია და მისი ხელმძღვანელობა ისევე კანონიერ და ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებად განიხილავდნენ საკუთარ თავს, როგორც პარლამენტი და პრეზიდენტი, ისინი თვლიდნენ ზ. გამსახურდიას თავიანთ თანამებრძოლად, რომელმაც 19 აგვისტოს ბრძანებულებით მათ უღალატა და „გკჩპ"-ს მხარეზე დადგა, ამიტომ

თავის ქმედებას იურიდიულად თუ არა, მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისით გამართლებულად მიიჩნევდნენ (იმ პერიოდში საკმაოდ ინტენსიურად ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ ზ. გამსახურდია „გკჩპ"-სთან თანამშრომლობდა; ცოტა მოგვიანებით, 1 ოქტომბერს პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტის ქსეროასლი და ექსპერტიზის დასკვნა; ამ დოკუმენტში, რომელიც თითქოს ზ. გამსახურდიამ გაუგზავნა გ. იანაევს, დასახვრეტ პიროვნებათა გვარები იყო ჩამოთვლილი!).

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული გვარდია ორად გაიყო და რკონში დაბანაკებული ნაწილები თ. კიტოვანის მეთაურობით არ ემორჩილებოდნენ ხელისუფლების ბრძანებებს, არც „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციებში იყო ჰარმონიული დამოკიდებულება. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება მაინც სტაბილური ჩანდა და ალბათ კარგა ხანს გაგრძელდებოდა ასე, რომ არა 2 სექტემბრის ინციდენტი!

ამ დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ კინოს სახლთან არასანქცირებული მიტინგი გამართა, რომელსაც ალბათ 500 კაცამდე ესწრებოდა; მიტინგი ფაქტიურად დამთავრებული იყო (პარტიის თავმჯდომარე გ. ჭანტურია უკვე ოფისში იმყოფებოდა!), როდესაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომდაგენლებმა სასტიკად დაარბიეს, გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი! ამბავი მიტინგის დარბევის შესახებ ელვის უსწრაფესად მოედო მთელ ქალაქს. უნდა აღინიშნოს, რომ 9 აპრილის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა მიტინგის დარბევისა, ამიტომ ამ ფაქტმა მძაფრი უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაშიც და პოლიტიკურ წრეებშიც. მიტინგის დარბევა და იარაღის გამოყენება, ისიც ეროვნული ხელისუფლების მიერ, ბარბაროსობად და დემოკრატიული იდეალების ღალატად იქნა მიჩნეული; ამას დაემატა პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადება გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" 4 სექტემბრის ნომერში, რომელიც გვამცნობს, რომ „საქართველოში ჯერ კიდევ არიან შეიარაღებული ოპოზიციის დესტრუქციული ძალები და მათ შორის დაჯგუფება, რომელიც თავის თავს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უწოდებს და ამ ბოლო ხანს არაერთხელ მიუმართავს ანტიკონსტიტუციური მოქმედებისათვის, რომლის მაგალითად გამოდგება მასობრივი უწესრიგობანი და შეიარაღებული ექსცესები, რომლებიც საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოხდა 2 სექტემბერს მისი ინიციატივით, რასაც მოქალაქეთა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა

დაშავება და დაჭრა მოჰყვა.

გამოდის რა ცრუდემოკრატიული და ცრუპატრიოტული ლოზუნგებით, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტანციების არჩევნებს, გაფიცვებისა და საბჭოთა არმიასთან კონფრონტაციისათვის, მოქალაქეობრივი ურჩობისათვის და ხალხის მიერ არჩეული საქართველოს მთავრობის ძალადობრივად დამხობისათვის მოუწოდებდა ხალხს, რითაც რესპუბლიკის მოსახლეობას ძმათამკვლელი ომისათვის აქეზებდა.

ეროვნული დამოუკიდებლობის მშვიდობიანი კონსტიტუციური გზით მიღწევის გზა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკამ აირჩია, ხელს არ აძლევთ საქართველოს გარკვეულ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და სისხლის სამართლებრივად დასასჯელ მოქმედებას მიმართავენ, რითაც მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში სახელს უტეხენ არა მარტო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, არამედ მთელ დემოკრატიულ საქართველოსაც და მდგომარეობის დესტაბილიზაციის მეშვეობით, ნებსით თუ უნებლიეთ, გვაშორებენ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის მიღწევის დღეს.

საქართველოს ხელმძღვანელობა, რომელიც რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტად გვევლინება და გაბედულად აღკვეთავს არაკონსტიტუციურ მოქმედებას, კვლავაც გაუძღვება ქვეყანას ეროვნული აღორძინების საერთაშორისო გაერთიანების მიერ აღიარებული სამართლიანი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების გზით".

ოპოზიციურ პარტიათა დამოკიდებულება მიტინგის დარბევისადმი, ვფიქრობ, განმარტებას არ საჭიროებს, უფრო საინტერესოა „მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა ჯგუფის (თ. პაატაშვილი, მ. კვანჭილაშვილი, ი. მელაშვილი, გ. კობერიძე) განცხადება: „ამა წლის 2 სექტემბერს თბილისში, კინოს სახლთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, თავს ვალდებულად ვრაცხთ განვაცხადოთ შემდეგი: ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს 26 აგვისტოს საგანგებო სხდომაზე, რომელიც ჩვენი ინიციატივით იქნა მოწვეული, ბატონი თედო პაატაშვილის მოხსენებაში და გამართულ კამათში დაფიქსირდა ჩვენი საერთო პოზიცია და გამოითქვა რწმენა იმისა, რომ უნდა შეიცვალოს დღევანდელი „მკაცრი" პოლიტიკური კურსი, რომელიც ნაკლებად ითვალისწინებს გლობალური პროცესების ძირითად კანონზომიერებებს და ართულებს მსოფლიო პოლიტიკის

გაბატონებული მიმართულებებისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაახლოების უნიკალური შანსის გამოყენებას. შევთავაზეთ რა სხდომას დადგენილების ტექსტი, რომელიც შეიცავდა 19-21 აგვისტოს მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას, ჩვენ დავაყენეთ წინადადება უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პოზიციისა და მოქმედების უარყოფითად შეფასების შესახებ.

ჩვენი აზრით, სწორედ არსებულმა პოლიტიკურმა კურსმა გარკვეულად მოამზადა 2 სექტემბრის მოვლენები, განსაზღვრა მათი დრამატული ვითარება.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოში და საბჭოთა კავშირში შექმნილი სიტუაციის ფონზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ აქციის ჩატარების ფორმა და დრო პროვოკაციულად იქნა შერჩეული. მაშინ, როცა ცხადი გახდა ამ პარტიის იდეოლოგიური კრახი და პოლიტიკური პროგნოზების უსუსურობა (მხედველობაში გვაქვს მათი პოზიცია ე. წ. ბალტიის გზასთან დაკავშირებით). მიუხედავად ამისა, უყოყმანოდ უნდა განვაცხადოთ, რომ არავითარი გამართლება არა აქვს მომიტინგეთა დასაშლელად შეიარაღებული ფორმირებების გამოყენებას და ჩვენ მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ამგვარი გადაწყვეტილებების გამო. მსგავსი პოლიტიკური კურსის გაგრძელების მცდელობა საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და დემოკრატიული პროცესების განვითარებას საქართველოში".

საპროტესტო განცხადება გამოაქვეყნა „მერაბ კოსტავას საზოგადოებამაც". მეორე დღეს, 5 სექტემბერს უკვე „მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა უმრავლესობა აქვეყნებს საპასუხო განცხადებას, რომელშიც 19-21 აგვისტოს მოვლენების შეფასების არგუმენტაცია და ხელისუფლების მოქმედება უზენაესი საბჭოს მიერ გაკეთებული განცხადების ანალოგიურია; კერძოდ, უმრავლესობის წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ „საქართველოს მოსახლეობას დიდი საფრთხე" დაემუქრა, ამიტომ „პრეზიდიუმმა თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნია მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილება; სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას ის სიფრთხილე და თავდაჭერა, რითაც გამსჭვალული იყო პრეზიდიუმის მოქმედება".

საინტერესოა, რომ უმრავლესობის წარმომადგენლები კატეგორიულნი ვერ არიან თავიანთ არგუმენტაციაში. თუნდაც მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ მათ უფრო სურვილი ამოძრავებთ პრეზიდიუმის პოზიციის დაცვა-გამართლებისა, ვიდრე რეალურად არსებული არგუმენტები

იძლევა ამის საშუალებას.

„მრგვალი მაგიდის" დეპუტატთა შორის დაპირისპირება თითქმის განხეთქილებამდეა მისული, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ოპოზიციის არგუმენტებს და ძალას მატებს მათ მოქმედებას. პოლიტიკური დაპირისპირება მმართველ ბლოკში უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ველარ ეტევა და პრესის ფურცლებზე იკიდებს ფეხს, ცოტა ხნის შემდეგ იგი პრესიდან ქუჩაში გადაინაცვლებს!

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება თითქმის არ ცდილობს ამ განხეთქილების აღმოფხვრას, არ ცდილობს საერთო ენის გამონახვას ყოფილ მომხრეებთანაც კი, რომ არაფერი ვთქვათ პარლამენტში არსებულ ოპოზიციურ ფრაქცია „დემოკრატიულ ცენტრზე" და მით უმეტეს პარლამენტს გარეთ არსებულ ოპოზიციაზე, რომელსაც „ქუჩის ოპოზიციად" მოიხსენიებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მისთვის უფრო სასურველი და მისაღებია ამ ოპოზიციის განადგურება (საერთოდ ოპოზიციის მოსპობა!), ვიდრე მასთან რაიმე შეთანხმების მიღწევა. 7 სექტემბერს საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონცეფციის საკითხთა კომისიის დელეგაცია. ისინი შეხვდნენ როგორც პრეზიდენტსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე ოპოზიციას.

პრეზიდენტის აზრით, 2 სექტემბერს თბილისში მიტინგის მოწყობა იმ დღეს წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო, რომელიც დაამთხვიეს რესპუბლიკაში ამერიკელ კონგრესმენთა ჩამოსვლას. იგი მიზნად ისახავდა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას, ამავე დროს მან შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ სამართალდამცავ ორგანოებში არ არის სათანადო წესრიგი და აღუთქვა კონგრესმენებს, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართება.

თავის მხრივ ამერიკელმა კონგრესმენებმა აღნიშნეს, რომ მათი ქვეყანა მუდამ უჭერდა მხარს ხალხთა მისწრაფებას თვითგამორკვევისაკენ და რომ შეერთებულ შტატებში დიდი სიმპათიით ეკიდებიან ქართველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისთვის, მაგრამ საერთაშორისო ცნობისთვის არსებობს სათანადო პირობები, რომელთა თანახმად „დაცული უნდა იყოს ცივილიზებული საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, მათ შორის ადამიანის და ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სრული თავისუფლება, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობა და სხვა".

ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებული ამ ძუნწი ინფორმაციიდანაც კი ჩანს პრეზიდენტის დამოკიდებულება ოპოზიციისადმი, მაგრამ ასევე ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური კურსის რადიკალური შემობრუნება; თუ პრეზიდენტ ჯ. ბუშის კიევში გაკეთებულ განცხადებას — საბჭოთა კავშირის ერთიან სახელმწიფოდ აღიარებას, — გავიხსენებთ. ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ 31 მარტის რეფერენდუმს ექსპრეზიდენტი ნიქსონი ესწრებოდა! მაშასადამე, მსოფლიო პოლიტიკური აზრი იცვლებოდა და იცვლებოდა სწორედ ჩვენს სასარგებლოდ. საჭირო იყო მხოლოდ, რომ ხელისუფლებას ოპოზიციასთან მიმართებაში ოდნავ ლიბერალური პოზიცია დაეჭირა, გარეგნულად მაინც მისაღები და დამაიმედებელი ამერიკელი კონგრესმენებისათვის.

აბა, რას იფიქრებდნენ ამერიკელი კონგრესმენები, რომლებიც ოპოზიციის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ, იმავე 7 სექტემბერს მთავრობის სახლთან ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გამართული მიტინგის შესახებ რომ გაიგებდნენ? ხელისუფლება, რომლის განკარგულებაშია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მართავს მიტინგს, რომელზედაც ოპოზიციის მოქმედებას პროვოკაციულს და ანტიკონსტიტუციურს უწოდებს და თანაც მიაჩნია, რომ ამგვარი მიტინგები რეგულარულად უნდა იმართებოდეს! იქვე მთავრობის სახლის წინ ჰელსინკის კავშირის რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლები შიმშილობენ და „დესტაბილიზაციის ორგანიზატორთა დასჯასა და საქართველოს ხელისუფლების მიმართ პროვოკაციების შეწყვეტას მოითხოვენ".

რუსთაველის პროსპექტი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა აქციების მოსაწყობ არენად იქცა!

9 სექტემბერს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებაში ვკითხულობთ:

„ეროვნული გვარდიის ყოფილმა სარდალმა თ. კიტოვანმა შავნაბადას ტერიტორიაზე უკანონოდ შეკრიბა გვარდიის ნაწილები, რათა ისინი ჩაითრიოს ანტისახელმწიფოებრივ პუტჩში. აქედან გამომდინარე, ვბრძანებ: გვარდიის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა დატოვონ შავნაბადა, დაუბრუნდნენ ქალაქის ყაზარმებს და დაელოდონ ჩემს ბრძანებას შემდგომი მოქმედებისათვის".

ეროვნული გვარდიისა და საერთოდ ოპოზიციის მისამართით ოფიციალურად პირველად გაიჟღერა სიტყვა „პუტჩმა"; ნუთუ იმდენად

გულუბრყვილო იყო პრეზიდენტი, რომ ამ ბრძანებით ფიქრობდა შავნაბადაზე დაბანაკებული გვარდიის დაშლას? თანაც იმ პერიოდში, როდესაც მთელი ქალაქი მღელვარებას მოეცვა და, ნებსით თუ უნებლიეთ, უნდოდა თუ არ უნდოდა, თავისი გამოსვლებით პრესაში, ტელევიზიით თუ მთავრობის სახლთან გამართულ სამთავრობო მიტინგებზე, თავადაც ხელს უწყობდა ამ მღელვარების გაძლიერებასა და გაღვივებას!

ქვა-ლორლით, სამშენებლო მასალების ნარჩენებით, ავტობუსებითა და კარვებით ჩახერგილ-გადაკეტილ რუსთაველის პროსპექტზე შეუწყვეტლივ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა აქციები: ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა — „იმელთან", ეროვნულ-დემოკრატიულის — პირველ საშუალო სკოლასთან, ხელისუფლების თუ „მრგვალი მაგიდის" — მთავრობის სახლის წინ; გარდა ამისა, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია ქალაქის სხვა რაიონებშიც მართავს მიტინგებს, ძირითადად უნივერსიტეტის ეზოში. ამ, ასე ვთქვათ, ჩამოყალიბებულ, სტატიკურ სიტუაციაში დისონანსი შეაქვთ ტელევიზიის მუშაკებს; ტელეჟურნალისტთა ერთი ჯგუფი ტელევიზიასთან იწყებს მჯდომარე აქციას, რომლის ძირითადი მოთხოვნაა შეწყდეს დიქტატი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და, კერძოდ, ტელევიზიაზე. ამის საპასუხოდ ტელე-რადიო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აკეთებს განცხადებას, რომ ტელეეკრანი დაეთმობათ ნებისმიერი პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

2 სექტემბრის ინციდენტის შემდეგ ოპოზიციის მიერ გამართულ საპროტესტო აქციებზე პირველი და ძირითადი მოთხოვნა ხელისუფლებისადმი სწორედ ალტერნატიული ტელესაეთერო დროის გამოყოფა იყო, ოპოზიცია ითხოვდა კვირაში ერთ საათს ტელევიზიით, მაგრამ ხელისუფლებამ უარი განაცხადა, უფრო სწორად, ამ მოთხოვნას დუმილით უპასუხა, ამიტომ დეპარტამენტის ხელმძღვანელთა ამ განცხადებას ოპოზიცია უნდობლად შეხვდა და სწორადაც მოიქცა, რადგან რეალურად ტელეეკრანი არავის დათმობია.

არა თუ ოპოზიციისთვის ეთერის დათმობა, ხელისუფლება იმაზეც კი არ დათანხმდა, რომ 15 სექტემბრის პარლამენტის სხდომა პირდაპირი ეთერით ყოფილიყო ტრანსლირებული. ამ სხდომაზე 2 სექტემბრის ინციდენტი უნდა განხილულიყო. უმრავლესობამ ექვსხმიანი უპირატესობით უარი თქვა პირდაპირ ტრანსლაციაზე, თუმცა დიდი კამათი გამოიწვია ქვორუმის საკითხმა — წინა სხდომაზე უფლებამოსილება

შეუჩერეს კომუნისტური პარტიის სიით არჩეულ დეპუტატთა ჯგუფს, ამიტომ 236 წევრის ნაცვლად კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა 176; რადგან კომუნისტთა წარმომადგენლებს უფლებამოსილება ჰქონდათ შეჩერებული და არა შეწყვეტილი, სადაო გახდა, საიდან უნდა ყოფილიყო ათვლილი კვორუმი — 236-დან თუ 176-დან. რადგან უმრავლესობამ უარი თქვა სესიის პირდაპირ ტელეტრანსლაციაზე, ოპოზიციამ დატოვა სესიის სხდომა, პირველები იყვნენ დეპუტატები „მ. კოსტავას საზოგადოებიდან", შემდეგ ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი" და ზოგიერთი სხვა დეპუტატი.

ვფიქრობ, ძალიან ყურადსაღები და საინტერესოა ამ სესიაზე პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას გამოსვლა: „ეს ხომ ჩვენს მიმართ იყო ნასროლი ტყვია, მეგობრებო, ჩვენი პრესტიჟის ასაფეთქებლად. ამის მიხვედრა განა ძნელია? მე, მაგალითად, იმ დღეს, იმავე დღეს ძალიან ტენდენციური ინფორმაცია მომაწოდეს ყოველივე მომხდარზე და მართალი გითხრათ, იმ საღამოს გამოვედი ტელევიზიით და მე თვითონ არ მომწონს ის გამოსვლა იმიტომ, რომ არ მქონდა სრული ინფორმაცია. ვერ მივეცი ამას ჯეროვანი შეფასება მაშინ, მაგრამ ახლა ვხედავ, მეგობრებო, რაც მოხდა, ამ ანალიზის შემდეგ. მაქვს კიდევ ფაქტები, რომელსაც აქ ჯერ ვერ გამოვამზეურებ, თავის დროზე ეს გამომზეურდება და გაირკვევა, რომ ეს იყო შეგნებული პროვოკაცია ჩემს წინააღმდეგ ორივე მხრიდან, როგორც მილიციის მხრიდან, ასევე მომიტინგეების მხრიდან, რომლებიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერთი ცენტრიდან იმართებოდნენ და ერთი ავტორი ჰყავს ყოველივე ამას. აი, ასეთი არის ჩემი შეფასება, მეგობრებო" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 17 სექტემბერი).

საკვირველია, თუ პრეზიდენტი ამგვარად გამოსვლას და, მით უმეტეს, თუნდაც ჩვენს მიერ მოტანილი ფრაგმენტის ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებას აპირებდა, რატომღა დაუპირისპირდა საპარლამენტო ოპოზიციას და რატომ არ დათანხმდა სესიის პირდაპირ ტრანსლაციას? განა შეიძლებოდა, ვინმეს იმის საწინააღმდეგო არგუმენტი ჰქონოდა, რომ „ნასროლი ტყვია" ხელისუფლების „პრესტიჟის ასაფეთქებლად" იყო გამიზნული? ოპოზიციას სადავო შეიძლებოდა გაეხადა პრეზიდენტის ტელეგამოსვლა 2 სექტემბრის საღამოს, მაგრამ ახლა ხომ თავადაც აღნიშნავდა, „იმ საღამოს გამოვედი ტელევიზიით და მე თვითონ არ მომწონს ის გამოსვლა იმიტომ, რომ არ მქონდა სრული ინფორმაცია. ვერ მივეცი ამას ჯეროვანი შეფასება მაშინ"-ო!

სადაო შეიძლება ის ყოფილიყო, მართლაც „ორივე მხრიდან" იყო პროვოკაცია მოწყობილი და მართლაც „ერთი ცენტრიდან იმართებოდა" თუ არა, მაგრამ ამას ვერც პრეზიდენტი, ვერც პარლამენტი და ვერც ოპოზიცია, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო, ვერ გაარკვევდა, ამისათვის პროფესიული საგამოძიებო სამუშაოები იყო ჩასატარებელი და იგი შესაბამის ორგანოებს უნდა ეწარმოებინათ. მოსალოდნელი იყო, რომ ძიების ობიექტურობას ოპოზიცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იძულებული იქნებოდა დათანხმებოდა პრეზიდენტის შეფასებას, რომ ტყვიის გასროლა პროვოკაცია იყო!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მჯერა, პრეზიდენტის ეს გამოსვლა საზოგადოებას 15 სექტემბრის სესიის პირდაპირი ტელეტრანსლაციით რომ მოესმინა, უდიდესი ზეგავლენა ექნებოდა და შესაძლოა, ერთგვარი შემობრუნების დასაწყისიც გამხდარიყო ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაში, მაგრამ იგივე გამოსვლის ტექსტი, გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 17 სექტემბრის ნომერში, ქარს გატანებული სიტყვები იყო, რადგან 16 სექტემბერს დააპატიმრეს მოსკოვს მიმავალი გ. ჭანტურია, თანაც დაპატიმრების ფაქტმა (აფრენილი თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც 270 კაცი იმყოფებოდა, უკანვე დასვეს, რაც ტექნიკური თვალსაზრისით გარკვეულ რისკს შეიცავდა, რადგან თვითმფრინავის აეზები საწვავით იყო სავსე და დაჯდომის დროს შესაძლოა ხანძარი გასჩენოდა!) საზოგადოებაში სკანდალური ვითარება შექმნა და უკვე აღარავის აინტერესებდა, რა ილაპარაკა პრეზიდენტმა ან რა შეფასება მისცა 2 სექტემბრის მოვლენებს. ვინმეს რომც გაეხსენებინა, არგუმენტად მაინც აღარ ივარგებდა და უფრო პრეზიდენტის ფარისევლობად იქნებოდა აღქმული, ვიდრე მოვლენების ობიექტური შეფასების გულწრფელ სურვილად. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პრეზიდენტის გამოსვლა საზოგადოებას „დაუმალეს" იმ მომენტში, როცა მას მაქსიმალური ეფექტის მოხდენა შეეძლო.

ანდა, რა არგუმენტებით შეიძლება აიხსნას გ. ჭანტურიასა და ი. სარიშვილის დაპატიმრება (ეს უკანასკნელი რამდენიმე დღის შემდეგ გაათავისუფლეს!)?! თავი დავანებოთ იმას, რომ მათი დაპატიმრება შეიძლებოდა ყველგან და ყოველთვის, თუნდაც აეროპორტში და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა აფრენილი თვითმფრინავის

უკან მობრუნება, მაგრამ რადგან ეს ასე მოხდა, ე. ი. ვიღაცას სჭირდებოდა, გ. ჭანტურიას დაპატიმრება სწორედ ასეთ სკანდალურ ვითარებაში მომხდარიყო; არა მგონია, ეს „ვიღაცა" პრეზიდენტი ყოფილიყო; გარდა ამისა, დავუშვათ, რომ გ. ჭანტურია მართლაც იყო მოსკოვის აგენტი, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებდა, ასეთ შემთხვევაში გასაგები იქნებოდა მისი პატიმრობაში აყვანა მაშინ, როცა იგი მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდებოდა; ახლა, როცა მოწინააღმდეგე თუ მტერი თავისი ნება-სურვილით ტოვებდა ქვეყანას, რა აუცილებელი იყო მისი პატიმრობაში აყვანა? პრეზიდენტმა ხომ მშვენივრად იცოდა, რომ ყოველი ხელისუფლება, დიქტატორულიც და დემოკრატიულიც, ყველა ხერხს ხმარობს, რათა მისთვის არასასურველმა, არასანდო პიროვნებებმა ქვეყანა დატოვონ და ემიგრაციაში წავიდნენ და ამას აკეთებს არა ჰუმანური მოსაზრებებით, არამედ იმიტომ, რომ თავიდან აიცილოს ზედმეტი გართულებები, რაც ამ პიროვნებების დაპატიმრებას მოჰყვება ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ და მაინც, გ. ჭანტურია სწორედ მაშინ დააპატიმრეს, როცა იგი ქვეყნის დატოვებას აპირებდა!

2 სექტემბრის მიტინგზე ნასროლი ტყვია, 15 სექტემბრის სესიის ტელეტრანსლაციაზე უარის თქმა და ამ სესიაზე პრეზიდენტის გამოსვლის დაგვიანებული გამოქვეყნება (17 სექტემბერს გამოქვეყნდა!), 16 სექტემბერს მოსკოვში მიმავალი გ. ჭანტურიას სკანდალური დაპატიმრება — აი, ზოგადად ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, რომელთაც ოპოზიცია იგივე ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართავდა. ორი კვირის განმავლობაში ამდენი შეცდომის დაშვება მეტისმეტი ხომ არ არის?! განა ლოგიკური არ იქნება, ვიკითხოთ, ვინ გასცემდა ამგვარ ბრძანებებს, ან, უფრო სწორად — ვინ მართავდა ქვეყანას?!

18 სექტემბერს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ზ. გამსახურდია. „მან აღნიშნა, რომ არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ხალხს მოუწოდა დაიცვას ერის მიერ არჩეული პარლამენტი".

მთელი ამ ხნის მანძილზე ოპოზიციის მიერ გამართული აქციები, მართალია, მიტინგზე, მაგრამ პრეზიდენტის მიერ მაინც ოფიციალურად შეფასდა, როგორც „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა", მიუხედავად იმისა, რომ ამ აქციებში ჯერჯერობით გვარდია არ მონაწილეობს, იგი შავნაბადას მთაზეა დაბანაკებული და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერევა, არც რაიმე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს;

პრეზიდენტი კი სახელმწიფო გადატრიალებაზე ლაპარაკობს და მოსახლეობას „ერის მიერ არჩეული პარლამენტის" დაცვისაკენ მოუწოდებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ დღიდან საქართველოში მკვიდრდება (ცალკეული სიმპტომები ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის დროსაც შეიმჩნეოდა) საპრეზიდენტო ოხლოკრატიული მმართველობა და მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის პრესმდივანმა გ. ჭანტურიას დაპატიმრებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე უარყო ხმები სხვა პარტიების ოპოზიციონერი ლიდერების დაკავების შესახებ, რაც ჭეშმარიტებას შეეფერებოდა, უნდობლობამ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კულმინაციურ წერტილს მიაღწია; საზოგადოების შეშფოთებას მოახლოებული რეპრესიების გამო აძლიერებდა ის ფაქტი, რომ 19 სექტემბერს დააპატიმრეს კინოოპერატორი გიორგი ხაინდრავა.

მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ „მრგვალი მაგიდის" კიდევ ერთი მუდმივი წევრის, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის" საბჭო იძულებული შეიქნა განცხადება გაეკეთებინა: „სამწუხაროდ, საქართველოში ასეთ უაღრესად მნიშვნელოვან დროს მეტად გამწვავდა პოლიტიკური ვითარება, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: 1. არ მოქმედებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა გამიჯვნისა და მათი ურთიერთგაწონასწორების სავალდებულო მექანიზმი. 2. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიუღებელია არსებული ურთიერთობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის: ერთის მხრივ, ოპოზიციას არა აქვს პოლიტიკურად ღირებული ლეგალური ძალაუფლება, თითქმის არ მონაწილეობს სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრუქტურებში, მისი მოქმედება, მიმართული ოფიციალური პოლიტიკის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, იმავდროულად მიმართულია საერთოდ ლეგიტიმური პოლიტიკური სტრუქტურების წინააღმდეგ, რაც დაუშვებელია.

მეორე მხრივ, ხელისუფლება არ უზრუნველყოფს ოპოზიციის კანონიერ უფლებათა რეალურ დაცვას, უაღრესად რთულდება პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის პროცესი.

3. პოლიტიზირებულია და ორ ბანაკადაა გაყოფილი ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული გვარდია.

4. ყოველივე ამასთან დაკავშირებით თავს უფლებას ვაძლევთ განვაცხადოთ, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისია...

... ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უზენაესმა საბჭომ:

ა) დანიშნოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები;
ბ) შეიმუშაოს და მიიღოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 18 სექტემბერი).

როგორც ჩანს, „მრგვალ მაგიდაში" შემავალ პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის თანდათან იკვეთება აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა ეს ვერ ამსუბუქებს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას; ისევ განუწყვეტლივ მიმდინარეობს ოპოზიციის აქციები და მიტინგები მთავრობის სახლთან, რომელიც უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებს. „პრეზიდენტმა რაიონებიდან მოტყუებით, იძულებით, შეშინებით და... დეფიციტური პროდუქტების დარიგებით (!) ჩამოიყვანა და რუსთაველის პროსპექტზე შემოიკრიბა მხარდამჭერები, რომელნიც უკვე მერამდენედ დაუპირისპირა დედაქალაქის მოსახლეობას, შეიარაღებისა და ოპოზიციის ფიზიკური განადგურებისაკენ მოუწოდა მათ (გამსახურდია, ჩვეულებისამებრ, თავის გამონათქვამებს შემდეგ უარყოფს ხოლმე, მაგრამ ეს გამოსვლები გადაიცემოდა ტელევიზიით და არსებობს ვიდეოჩანაწერები).

22 სექტემბერს, ღამით, მრავალგზისი მოწოდებების შემდეგ გამსახურდიამ შეძლო რამდენიმე ათასი მოტყუებული და აღგზნებული ადამიანის შესევა აქციის მონაწილეებისათვის და სისხლისმღვრელი შეტაკების გამოწვევა. ამას მოჰყვა რუსთაველზე დარბეული აქციების მონაწილეთა თავმოყრა ტელევიზიასთან, სადაც ტელეჟურნალისტების გაფიცვა მიმდინარეობდა. ამ დღიდან ტელევიზიასთან გამოჩნდნენ ეროვნული გვარდიის ნაწილებიც სამხედრო ტექნიკით" (გაზ. „ივერია", №31, 11 ნოემბერი, 1991 წ.).

იმავე სექტემბერს ტელევიზიით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, რომელმაც აღნიშნა: „მძიმე, უძინარი, მშფოთვარე ღამე ჰქონდა თბილისს.

პრეზიდენტის და ხელისუფლების თხოვნის შესაბამისად მთავრობის სახლთან თავი მოიყარეს ათიათასობით თბილისელმა, რაიონებიდან ჩამოსულმა პატრიოტებმა.

ღამის 3 საათისათვის მომიტინგეები, სულ ყველანი— სამოქალაქო პირები, გაემართნენ რუსთაველის პროსპექტზე ექსტრემისტული ოპოზიციის ბარიკადების ასაღებად" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 22 სექტემბერი).

„რუსთაველის პროსპექტზე ექსტრემისტული ოპოზიციის ბარიკადების

აღება" მთლად „მშვიდობიანი" მეთოდებით, ბუნებრივია, არ განხორციელებულა; პროსპექტი კი გათავისუფლდა, მაგრამ ოპოზიციურმა პარტიებმა ტელევიზიასთან გადაინაცვლეს, რომელთაც მეორე დღეს გვარდიის ნაწილები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ; თბილისში მთავრობის სასახლესთან და ტელევიზიასთან შეიქმნა ორი დაჯგუფება — მთავრობის სახლთან ხელისუფლება თავისი მხარდამჭერი მოქალაქეებით და შეიარაღებული გვარდიის ნაწილებით, ტელევიზიასთან — ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და ეროვნული გვარდია თ. კიტოვანის ხელმძღვანელობით. ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს დაშორდნენ და დაშორდნენ არა მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით!

25 სექტემბერს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო აქვეყნებს მიმართვას ქართველი ერისადმი, მსოფლიო სახელმწიფოებისა და მთავრობებისადმი: „საქართველოში გრძელდება სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დამხობას. პუტჩს ხელმძღვანელობს ხუნტა, რომელიც შედგება შემდეგი პირებისაგან: თენგიზ სიგუა (საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე), თენგიზ კიტოვანი (გვარდიის ყოფილი სარდალი), გიორგი ხოშტარია (საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი) და სხვები".

საქართველოს ხელისუფლება მოვლენების კვალიფიკაციით („სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი") არ კმაყოფილდება, იგი შესაბამის ღონისძიებებსაც ახორციელებს და თბილისში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს. ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1 ოქტომბრის ნომერში აქვეყნებს განცხადებას: „საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიონ უზენაესი საბჭოს სხდომა, რომელზეც საბოლოოდ გადაწყდება საგანგებო მდგომარეობის შემოღების აუცილებლობის საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი უკვე მერამდენედ არღვევს კანონს და ჯიუტად განაგრძობს თავის სწორხაზოვან პოლიტიკას.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, კატეგორიულად მოვითხოვთ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ნორმების სრულ დაცვას

და უზენაესი საბჭოს სხდომების დაუყოვნებლივ მოწვევას, რათა სრული საჯაროობის პირობებში მოგვარდეს ყველა მტკივნეული საკითხი".

საგანგებო მდგომარეობის შემოღებამ სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა, მოხდა შეტაკებები თელასთან, ცირკის შენობასთან, დაიღვარა სისხლი. ოპოზიციონერ დეპუტატთა ამ მოწოდებას, რა თქმა უნდა, შედეგი არ მოჰყოლია, მდგომარეობა კი უფრო და უფრო კრიტიკულ ხასიათს იღებს და არავინ იცის, როდის გამოვა კონტროლიდან;

შექმნილ ატმოსფეროს ზედმიწევნით კარგად გადმოსცემს ბ-ნ ნ. ნათაძის ღია წერილი ზ. გამსახურდიასა და თ. კიტოვანისადმი:

„ბატონო პრეზიდენტო! თქვენი რეპრესიული პოლიტიკის შედეგად, რომელიც მოიცავს მიტინგებისთვის ცეცხლის გახსნას, პოლიტიკურ ორგანიზაციათა დარბევას შეიარაღებული ძალით და, რაც ყველაზე უარესია, მოქალაქეთა ერთი ნაწილისათვის მოწოდებას, რომ ძალადობა იხმარონ მოქალაქეთა მეორე ნაწილის (სახელდობრ, ოპოზიციის) წინააღმდეგ, თბილისში შეიკრიბა აგრესიულად განწყობილ და საკუთარი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ ადამიანთა სახიფათო მასა, რომელმაც უკვე მოახდინა მთელი რიგი ძალადობანი და ახალი ძალადობისათვის ემზადება. თქვენ არ დაერიდეთ მილიციისათვის და სხვა შეიარაღებული ფორმირებისათვის ბრძანების მიცემას ეროვნული გვარდიის მებრძოლთა დაკავების შესახებ, რასაც უკვე მოჰყვა ძმათა სისხლისმღვრელი სროლა და მსხვერპლი. დღეს თქვენ განაგრძობთ რადიოთი და ტელევიზიით პანიკურ მოწოდებებს რაიონების მოსახლეობისადმი, რათა თბილისში წამოვიდეს და თქვენი პერსონა დაიცვას. მიუხედავად საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების, აგრეთვე უზენაესი საბჭოს დეპუტატთა დიდი ჯგუფის მოთხოვნისა, თქვენ დღემდე არ მიგიმართავთ საქართველოს მოსახლეობისათვის სიმშვიდის მოწოდებით და დღემდე არ შეგიწყვეტიათ ზემოხსენებული პანიკური მოწოდებები ტელევიზიით და რადიოთი, რომლებიც თქვენდამი ნდობით განწყობილ მსმენელში მასობრივი ფსიქოზის მდგომარეობას ქმნიან.

ბატონო თენგიზ კიტოვანო! თქვენ გაკეთებული გაქვთ ოფიციალური განცხადება, რომ საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილები, რომელთაც თქვენ მეთაურობთ, არ ერევიან პოლიტიკაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდებიან ქ. თბილისში, თუ გაჩნდა ხელისუფლების მხრიდან სისხლიანი მასობრივი რეპრესიის ხიფათი მოსახლეობის

მშვიდობიანი პოლიტიკური აქციის მიმართ, თქვენ ამ პოზიციას დღემდე ადგახართ.

ეს განცხადება გაკეთდა მაშინ, როცა ზემოხსენებული ნაწილები შავნაბადაზე იდგნენ, თბილისის მახლობლად. რამდენიმე დღის წინ ეს ნაწილები თითქმის მთელი შემადგენლობით ჩამოვიდნენ თბილისში და დაბანაკდნენ ტელე-რადიოკომიტეტის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს ტელევიზიისა და რადიოს მუშაკთა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დემოკრატიული პარტიების მხარდაჭერით. ალბათ, გახსოვთ, რომ ამ ნაწილების ჩამოსვლის წინადღით მე გინახულეთ შავნაბადაზე, რათა მეთხოვა, რომ ამ ადგილმონაცვლებისაგან თავი შეგეკავებინათ. ჩვენი ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ შავნაბადის ბაზაზე იერიში მიიტანეს და დაიკავეს (თუ არ ვცდები, მილიციამ და „ომონმა"). ამჟამად გვარდიის ზემოხსენებული ნაწილები ტელევიზიის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე არიან, სადაც ზემოხსენებული მშვიდობიანი აქცია მიმდინარეობს, და ყოველ ღამე მოელიან იერიშს ხელისუფლების განკარგულებაში მყოფ შეიარაღებულ ფორმირებათა მხრიდან.

ჩემს მოვალეობად ვრაცხ, საჯაროდ მოგახსენოთ (თუმცა თქვენთვის ამის პირად საუბარში თქმის საშუალება ყოველთვის მაქვს), რომ, ჩემი აზრით, ტელევიზიასთან გვარდიის დგომის ფაქტს მის კეთილშობილურ დემოკრატიულ ფუნქციასთან ერთად წამგებიანი მხარეც აქვს, ვინაიდან იგი საშუალებას აძლევს დიქტატორული სულისკვეთებით მოქმედ ხელისუფლებას მოსახლეობის თვალში იტვირთოს მშვიდობიანობის დამცველის როლი, რომელსაც სინამდვილეში არ ასრულებს (პირიქით, როგორც ზემოთ ვთქვით, იგი სწორედ საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს), მიჩქმალოს თავისი აქამდე განხორციელებული დანაშაულებრივი რეპრესიები ხალხის მიმართ და გაამართლოს ახალი რეპრესიები. ამასთან ერთად ხელისუფლებას საშუალება ეძლევა, რომ ეკონომიკური გაჭირვება, რომელიც მისი არაკვალიფიციური და უუნარო პოლიტიკის შედეგიცაა (და არა მხოლოდ ობიექტური სირთულეებისა), ოპოზიციას გადააბრალოს, ამიტომ დამეთანხმებით, უმჯობესია, გვარდია იქ იდგეს, სადაც ამას საქართველოს საერთო სტრატეგიული და ტაქტიკური ინტერესები მოითხოვს, ხოლო თბილისში და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების რეგულირება დიქტატორული რეპრესიებისაგან თავდაცვის ჩათვლით ისევ თბილისის და საქართველოს პოლიტიკურ ძალებს

მიენდოს. გთხოვთ, კიდევ ერთხელ აწონ-დაწონოთ ეს ვითარება. დამერწმუნეთ, რომ დიქტატურა საქართველოში ყველა შემთხვევაში განწირულია და პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ იგი შეძლებს რეპრესიის მეტ-ნაკლებად ქმედითი აპარატის შექმნას.

ბატონო პრეზიდენტო და ბატონო თენგიზ კიტოვანო!

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საქმისათვის უმჯობესია, ყველა ძალამ (პირველ ყოვლისა, ხელისუფლების ხელთ მყოფმა ნაწილებმა) გადაიბანაკოს იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს (უწინარესად — საქართველოსთვის მძიმე ზონაში), ხოლო პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ ხელი აიღონ იმის ცდებზე, რომ ძალით დააბრკოლონ გვარდიის გადაადგილება და თავისი მხრიდან ხიფათი არ შეუქმნან მას ახალი დისლოცირების ადგილას" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ოქტომბერი).

ვფიქრობ, მოტანილი მასალიდან, არგუმენტაციის დამაჯერებლობას თავიც რომ დავანებოთ, ნათლად ჩანს პოზიცია — მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგებზე შეწყდეს მოსახლეობისადმი მიმართვა და მოწოდება ეროვნული ხელისუფლების დასაცავად მთავრობის სახლთან მოსვლის შესახებ და მეორე — ეროვნულმა გვარდიამ უნდა დატოვოს თბილისი და გადაინაცვლოს ქალაქს გარეთ, უფრო ზუსტად, ცხინვალის რეგიონში, ხოლო ხელისუფლებამ ამ გადაადგილებას ხელი არ უნდა შეუშალოს!

28-29 სექტემბერს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა შეხვედრა ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა შორის. ოპოზიციის მხრიდან მოლაპარაკებაში მონაწილეობდენ გენერალი ა. ცქიტიშვილი — ეროვნული გვარდიის წარმომადგენელი, კონორეუისორი გ. შენგელაია — საზოგადოების წარმომადგენელი და მე — პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენელი; ხელისუფლების მხრიდან — ბ-ნი მ. ომანიძე — ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი და ბ-ნი ნ. ბურჭულაძე — უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; იყვნენ სხვებიც, რომელთა გვარები უბრალოდ აღარ მახსოვს, რადგან მათ მოლაპარაკებაში ფაქტიურად მონაწილეობა არ მიუღიათ და უფრო სტატისტის ფუნქციას ასრულებდნენ. მოლაპარაკებაში მასპინძლის სტატუსით მონაწილეობდა იუსტიციის მინისტრი ბ-ნი ჯ. ხეცურიანი.

სამწუხაროდ, არათუ მოლაპარაკება, უბრალო საუბარიც კი არ შედგა. რამდენი არ ეცადა ბ-ნი ჯ. ხეცურიანი რაიმე მიმართულება მაინც მიეცა ამ დიალოგისთვის, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

დასაწყისში ხელისუფლების წარმომადგენლები და განსაკუთრებით ბ-ნი მ. ომანიძე (როგორც ჩანს, ის იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა დელეგაციის ხელმძღვანელი!), თავგამოდებით ცდილობდა ტელევიზიასთან მყოფი ოპოზიცია ერთ მთლიან, სტრუქტურულ და ორგანიზებულ ძალად წარმოეჩინა, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა — გვარდია, ჩვენი მოთხოვნით, თუ გნებავთ, თხოვნით, არ ჩამოსულა შავნაბადადან და არც გავიდოდა! პოლიტიკურ ორგანიზაციებს არავითარი რეალური ბერკეტები არ გააჩნდათ არც ბ-ნ თ. სიგუასა და არც ბ-ნ თ. კიტოვანზე ზემოქმედებისა, — ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვეძლო, ეს იყო მოგვეწოდებინა მათთვის ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმისაკენ; შეუძლებელია, ხელისუფლების წარმომადგენლებს ეს არ სცოდნოდათ, ხოლო თუ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ, არც იმის გაანალიზებას სჭირდებოდა დიდი ჭკუა-გონება, რომ ადამიანი, რომელიც პრეზიდენტის მოთხოვნებს არ ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ იცის, ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა მას ასევე ძალისმიერი სტრუქტურები დაუპირისპიროს, რატომ დაემორჩილება თუნდაც ოცდაათ ოპოზიციურ პარტიას? თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მისწრაფება, როგორც ჩვენთვის, ასევე საზოგადოებისათვის თავს მოეხვიათ „ერთიანი ოპოზიციის" არსებობა, სრულიად გასაგები იყო — აქედან მომდინარეობდა „შეიარაღებული ოპოზიცია", „სახელმწიფო გადატრიალება", „პუტჩი" და რაც გნებავთ.

ჩვენ კატეგორიულად უარვყავით ერთიანი ოპოზიციის არსებობა და განვმარტეთ, რომ ტელევიზიასთან, მართალია, გეოგრაფიულად ერთად დგას ოპოზიცია, მაგრამ იგი სულაც არ არის ერთგვაროვანი და ძირითადად სამ კატეგორიად ნაწილდება, რომ თითოეული ჩვენგანი სწორედ ამ მიმართულებას წარმოადგენს და ხელისუფლებისადმი მათი პრეტენზიები და, შესაბამისად, მოთხოვნებიც სხვადასხვაგვარია.

ფართო საზოგადოება ჩვენში ოპოზიციას დღესაც ერთიან და უფორმო წარმონაქმნად აღიქვამს, რაც ხელს უშლის მისადმი სწორი პოზიციის შერჩევაში. არადა, ოპოზიცია არასოდეს და არსად ერთგვაროვანი არ არის, სწორედ ამაშია ოპოზიციის სისუსტე და ხელისუფლების სიძლიერე, ამიტომაც ახერხებს ხელისუფლება მართვის სადავეების შენარჩუნებას, თუ დიპლომატიურ უნარს მოლაპარაკებისა მთლად მოკლებული არ არის.

ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩვენ თავად შევთავაზეთ ის, რაც მათ უნდა გაეკეთებინათ, ანუ ცალ-ცალკე ეწარმოებინათ მოლაპარაკება გვარდიის, საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. მართალია, რეალურ შეთანხმებამდე ვერ მივედით, მაგრამ მე პირადად ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მეორე დღეს შეხვედრა სწორედ ამგვარი სცენარით წარიმართებოდა, რადგან მეგონა, რომ მეორე მხარე დიალოგის ამგვარად გაგრძელებისათვის მზად იყო.

ჩემთვის მოულოდნელად, 29 სექტემბერს მოლაპარაკება წინადღის სცენარით დაიწყო; საუბარი ისევ ერთიან და შეიარაღებულ ოპოზიციას შეეხო, თუმცა ეს საკითხი მალევე ამოიწურა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბ-ნი გ. შენგელაიასა და ჩემდამი ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს და მთელი ყურადღება ბ-ნ ა. ცქიტიშვილზე გადაიტანეს; ნათლად ჩანდა, რომ ხელისუფლებას რეალურად მხოლოდ გვარდიის საკითხი აინტერესებდა, უფრო სწორად, გვარდიის განიარაღება სურდა. რასაკვირველია, ბატონი ა. ცქიტიშვილი ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა, ეს ბატონმა მ. ომანიძემაც კარგად იცოდა, ამიტომ მისი საუბარი და არგუმენტები უფრო ა. ცქიტიშვილის გადაბირებისკენ იყო მიმართული, ვიდრე გვარდიასთან შესაძლო კომპრომისის ძიებისაკენ.

მოლაპარაკება ჩაიშალა და პირველად მაშინ გამიჩნდა ეჭვი — გადასცეს კი პრეზიდენტს სწორი და ზუსტი ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა მოლაპარაკებაზე?! ეს ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც წავიკითხე პრეზიდენტის პრესცენტრის განცხადება:

„მოლაპარაკების საგანი იყო საკითხები, რომლებიც საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს რესპუბლიკურ გაზეთებში, და ამასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით გაკეთებულ განცხადებაში ჩამოყალიბებული დებულებები.

მოლაპარაკების დროს ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ დასვეს საკითხი, რომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადაწყვეტილიყო იმ შეიარაღებულ ფორმირებათა საკითხი, რომელთა დედაქალაქში ყოფნა და მოქმედება დაძაბულობის მთავარი წყაროა. კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ საჭიროა შეთანხმების მიღწევა მათი განიარაღების პირობების, ფორმისა და ვადების თაობაზე, რაც საშუალებას მოგვცემდა გაგრძელებულიყო დიალოგი სხვა პოლიტიკური საკითხების გადაჭრის

ურთიერთმისაღები და კანონიერი გზების განსასაზღვრად. საყურადღებოა, რომ მოლაპარაკების პირველ დღეს მოწინააღმდეგე მხარე გაგებით მოეკიდა საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის ამგვარ წინადადებას, რამაც მოლაპარაკების შედეგიანად დამთავრების იმედი გააჩინა.

მაგრამ მოლაპარაკების მეორე დღეს მთავრობისადმი დაპირისპირებული ძალების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს „ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება", რომელშიც ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოთხოვნები სცილდებოდა მოლაპარაკების საგანს, სახელდობრ, საკითხი ეხებოდა პრეზიდენტის გადადგომას, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას და სხვა. ამასთანავე მათ კატეგორიული უარი თქვეს განიარაღების საკითხის პირველ რიგში განხილვაზე, ხოლო შემდეგ დამატებით განაცხადეს, რომ საერთოდ არ აპირებენ განიარაღებას და მოლაპარაკების გაგრძელებას (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 1 ოქტომბერი).

პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებაში მოლაპარაკების მიმდინარეობა და ჩაშლის მიზეზები იმდენად არაობიექტურად იყო გაშუქებული, რომ ოპოზიცია იძულებული შეიქმნა საპასუხო განცხადება გაეკეთებინა:

„როგორც ცნობილია, 28-29 სექტემბერს მიმდინარეობდა ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლაპარაკება, რომელიც მიზნად ისახავდა თბილისში ვითარების მოგვარების გზების ძიებას. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არაკონსტრუქციული პოზიცია დაიკავა და ისევ, უკვე მერამდენედ, ჩაშალა მოლაპარაკება. ხელისუფლების ულტიმატუმური მოთხოვნა ეროვნული გვარდიის უპირობო განიარაღების შესახებ შექმნილ მდგომარეობაში მიულებელი იყო. ამავე დროს ოფიციოზის პრესსამსახურის განცხადებაში ნათქვამია, თითქოს ოპოზიციური ორგანიზაციები მოითხოვენ მხოლოდ პოლიტიკური პრობლემების გადაჭრას და არ სურთ შეიარაღებულ რაზმებს შორის სამხედრო დაპირისპირების განმუხტვა.

იძულებული ვართ მოვიყვანოთ ციტატა ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადებიდან, რომელიც 27 სექტემბერს მიიღეს და დროულად გადაეცათ ხელისუფლების წარმომადგენლებს:

„მოსალოდნელი მასობრივი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით მიგვაჩნია, რომ საჭიროა გადაიდგას რეალური ნაბიჯები დაპირისპირებული შეიარაღებული ძალების დაშორიშორებისათვის.

ამისათვის აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა და ეროვნული გვარდიისათვის მისი ძირითადი ბაზის დაბრუნება. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება ყველა შეიარაღებული რაზმის ქალაქიდან გაყვანა და ჩვენ მოვუწოდებთ ეროვნულ გვარდიას, პირველმა გადადგას კეთილი ნების ნაბიჯი".

ამავე განცხადების თანახმად, პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნების თაობაზე მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო დედაქალაქში მშვიდობიანობის აღდგენისთანავე" (ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა პრესცენტრის განცხადება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 1 ოქტომბერი).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ოპოზიციონერ დეპუტატთა ჯგუფის საკმაოდ ვრცელი მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, რომლის საპასუხოდაც დეპუტატთა უმრავლესობამ იმავე გაზეთის 4 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „სიცრუის პასუხად". ალბათ, საინტერესო იქნებოდა ორივე წერილის მთლიანად მოტანა, რადგან უფრო ნათლად გვეჩვენებინა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების აღქმა და შეფასება, მაგრამ მათი მოცულობა ამის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ, ვფიქრობ, „მიმართვიდან" ის ადგილები მოვიტანო, რომელზეც დეპუტატთა უმრავლესობა აკეთებს აქცენტს წერილში „სიცრუის პასუხად":

„ჩვენც სწორედ ობიექტური სურათის აღდგენის მიზნით საჭიროდ ჩავთვალეთ თქვენი ზოგიერთი გაუგონარი დეზინფორმაციის მხილება"- ო, აცხადებენ დეპუტატთა უმრავლესობის წარმომადგენლები და... „მაშ ასე, მივყვეთ „მიმართვის" ტექსტს. დაე, პირუთვნელმა მკითხველმა განსაჯოს მტყუან-მართალი და მიუდგომლად გამოიტანოს შესაფერისი დასკვნები.

„მიმართვის" ავტორები მოსახლეობის გასაგონად აცხადებენ: „ცალმხრივი ინფორმაცია თქვენ არ გაძლევთ საშუალებას, გააკეთოთ სწორი დასკვნები და სწორედ ამიტომ საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავს ოპოზიციის მიმართ". ნება გვიბოძეთ, შეგეკითხოთ: თუკი მოსახლეობის „ერთი ნაწილის" უკმაყოფილება ოპოზიციის მიმართ მხოლოდ „ცალმხრივი ინფორმაციით" არის გამონვეული, რატომ არ იქცა „მეორე ნაწილი" ამავე ცალმხრიობის მსხვერპლად? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ „მეორე ნაწილი" სულ სხვა „ცალმხრივ ინფორმაციაზე" დაყრდნობით დადგა ოპოზიციის

გვერდით და დაუპირისპირდა ხელისუფლებას? იქნებ ისიც უარყოთ, რომ ჩვენში უამრავი ოპოზიციური გაზეთი გამოდის („მიმართვის" ავტორები კი წერენ, რომ „ოფიციალური პრესა, ტელევიზია და რადიო მონოპოლიზირებულია ხელისუფლების მიერ, რესპუბლიკაში არ შემოდის საკავშირო და საზღვარგარეთული პრესა, რამდენიმე თავისუფალი გაზეთი დაპატიმრებულია, ზოგიერთი არალეგალურად გამოდის").

დღემდე საქართველომ კარგად არ იცის, თუ რა მოხდა 2 სექტემბერს თბილისში კინოს სახლთან და ეს მაშინ, როცა მიტინგის დარბევის ვიდეოჩანაწერი აჩვენა მსოფლიოს თითქმის ყველა საინფორმაციო სააგენტომ (ვიდეოჩანაწერის ავტორი, კინორეჟისორი გიორგი ხაინდრავა დაპატიმრებულია". ვ. ძ.), სადაც მხოლოდ არაჩვეულებრივი „ცალმხრიობით" აღბეჭდილი მასალები ქვეყნდება და ვრცელდება მთელ საქართველოში. ბოლოს და ბოლოს, უზენაესი საბჭოს გაზეთში თქვენი „მიმართვის" დაბეჭდვა არაფერზე მეტყველებს?" (ამ „მიმართვის" გამოქვეყნებიდან ზუსტად 6 დღის შემდეგ გაზეთის მთავარი რედაქტორი, ბატონი მამუკა ფაჩუაშვილი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ვ. ძ.)

მოტანილი ციტატის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ დეპუტატთა „მიმართვა" თითქოს „ცალმხრივი ინფორმაციის" ფილოსოფიური გააზრების მცდელობა იყოს და „გაუგონარი დეზინფორმაციაც" ამაში მდგომარეობდეს, არადა, „მიმართვაში" სნორედ კონკრეტული ფაქტებია მოტანილი: „20 სექტემბერს, სალამოს, როდესაც უზენაესი საბჭოს სესია იხილავდა თბილისში 2 სექტემბერს მომხდარ ინციდენტს, მაშინ, როცა ტრიბუნასთან იდგა რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, რომელიც, სხვათაგან განსხვავებით, შედარებით ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდა დეპუტატებს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გააკეთა განცხადება, რომ რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი ხალხი მოემართება მთავრობის სახლის ასაღებად და ციხეებიდან ხალხის გასათავისუფლებლად. მან მოითხოვა, სესიას შეეწყვიტა მუშაობა და დეპუტატებს მოგვიწოდა, წავსულიყავით რესპუბლიკის მოედნისაკენ მათ შესაჩერებლად. ტრადიციისამებრ, აღინიშნა ის ფაქტიც, რომ ყოველგვარი ინციდენტის შემთხვევაში იგი იხსნიდა პასუხისმგებლობას და მას აკისრებდა ოპოზიციას.

ჩვენ ყველანი გავემართეთ რესპუბლიკის მოედნისაკენ, სადაც

მშვიდობიანად მიმდინარეობდა ხალხმრავალი მიტინგი. ინფორმაცია, რომელიც პრეზიდენტმა მიაწოდა სესიას, აბსოლუტურად მცდარი აღმოჩნდა. ასე გადაიდო განუსაზღვრელი ვადით 2 სექტემბრის სისხლიანი დარბევის ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და, რაც განსაკუთრებულად დამაფიქრებელია, გადაიდო ამ ფაქტის შემსწავლელი კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შესულიყვნენ დეპუტატთა ოპოზიციური ჯგუფებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ჩვენი აზრით, დანაშაულია, რომ ეს კომისია დღესაც, ფაქტობრივად, თითქმის ერთი თვის თავზე, არ არის შექმნილი (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი).

ციტატა წერილიდან „სიცრუის პასუხად" (დეპუტატთა უმრავლესობა): „ის, რომ „მიმართვის" ავტორებს წესად გაუხდიათ სიცრუის ქადაგება, შემდეგი სიტყვებიდანაც კარგად ჩანს: „21 სექტემბერს, დღის 5 საათზე რესპუბლიკის მოედნიდან მთავრობის სასახლისაკენ გაემართა მშვიდობიანი ხალხმრავალი მანიფესტაცია. მიზანი იყო ერთი — შეერთებულიყო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგომი საქართველო, გამართულიყო საერთო მიტინგი" — თურმე ნუ იტყვით და „ბარიკადების მეორე მხარეს" არ მდგარან შეიარაღებული ადამიანები, არ გაისმოდა ხელისუფლების ძალით დამხობის მოწოდებები, არ „აურჩევიათ" პრეზიდენტი და სხვა „თანამდებობის პირები" — თურმე ამ „მშვიდობიან მანიფესტაციას" წინ არ მოუძღოდა მძიმეწონიანი ავტომანქანა, რომელიც ხალხის ნაკადში შეიჭრა და ლამის გადათელა მთავრობის მხარდამჭერი მომიტინგენი. „მშვიდობიანი მანიფესტანტები" თურმე მშვიდობიანად გაჰყვიროდნენ შეურაცხმყოფელ გამოთქმებს და ასევე „მშვიდობიანად" იტაცებდნენ ავტობუსებს. კი მაგრამ, ღმერთი აღარაა? ნუთუ მუდამ ამგვარი „სიმართლით" ირჯებიან „მიმართვის" პატივცემული ავტორები? ნუთუ შეიძლება, თვალებში ნაცარი შეაყარო ათიათასობით ადამიანს და განაცხადო, „მთავრობის სასახლესთან მისულ დემონსტრანტთა მხრივ არავითარ ექსცესებს ადგილი არ ჰქონიაო".

იგივე ეპიზოდებზე, რომლის კრიტიკასაც ზემოთ მოტანილი ციტატა წარმოადგენს, „მიმართვაში" ნათქვამია: „21 სექტემბერს, დღის 5 საათზე, რესპუბლიკის მოედნიდან მთავრობის სასახლისკენ გაემართა მშვიდობიანი ხალხმრავალი მანიფესტაცია (40 ათასამდე კაცი და არა 3-4 ათასი, როგორც ამას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გადასცემდნენ). მიზანი კი იყო ერთი — შეერთებულიყო ბარიკადების

სხვადასხვა მხარეს მდგომი საქართველო, გამართულიყო საერთო მიტინგი, გამოსვლის საშუალება მისცემოდათ ბატონ ზვიად გამსახურდიას და ბატონ თენგიზ სიგუას. პასუხისმგებლობას მის მშვიდობიან დამთავრებაზე იღებდა ოპოზიცია, ვინაიდან რესპუბლიკის მოედნიდან გამოემართა თბილისის მოსახლეობა, ქართველი ხალხი და არა შეიარაღებული ბანდა, როგორც ამას ხელისუფლება გაიძახის.

საერთო მიტინგის გამართვაზე უარის მიღების შემდეგ ხელისუფლებას მიეცა წინადადება — ტელევიზიით გამოსულიყვნენ ბატონი ზვიად გამსახურდია და ბატონი თენგიზ სიგუა. ეს მოთხოვნაც უარყვეს გაუგებარი მიზეზების გამო. გულდასაწყვეტია, რომ ტელევიზიით გამოსვლაზე უარს ეუბნებიან მთავრობის ყოფილ თავმჯდომარეს, ამჟამად „რუსთაველის საზოგადოების" პრეზიდენტს, პიროვნებას, რომლის შესახებაც 10 აგვისტოს, მის გადადგომამდე 5-6 დღით ადრე, უზენაესი საბჭოს სესიაზე ითქვა, რომ იგი — უბრწყინვალესი პიროვნება, ერთადერთია, ვინც თავისი მომზადებით, განათლებით, ინტელექტით შეიძლებოდა ყოფილიყო თავისუფალი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. ბატონ აკაკი ასათიანის ამ განცხადებას მთელი სესია მქუხარე ტაშით შეხვდა, დღეს კი მას საჯარო სიტყვის უფლებასაც არ აძლევენ. დამაფიქრებელია.

მიუხედავად უარყოფითი პასუხისა, მთავრობის სახლთან მისულ დემონსტრანტთა მხრივ არავითარ ექსცესს ადგილი არ ჰქონია".

და კიდევ ერთი თარიღი — 22 სექტემბერი. „სიცრუის პასუხად" (უმრავლესობა): „22 სექტემბერს მთავრობის სახლიდან მართლაც დაიძრა მრავალრიცხოვანი მასა ადამიანებისა. მათი მსვლელობა იყო ნამდვილად მშვიდობიანი. ისინი მიემართებოდნენ შეურაცხმყოფელი შეძახილების გარეშე. ისმოდა მხოლოდ „საქართველო! საქართველო!" ეს იყო მშვიდობიანი, შემრიგებლური მანიფესტაცია. მაგრამ უიარაღო დემონსტრანტებს ბარიკადებიდან მოულოდნელად დაუშინეს ქვები, რკინის ნივთები და მომწამლავი გაზის ბალონები. სამწუხაროდ, ეს ჩაიდინეს ბარიკადებზე მყოფმა ახალგაზრდებმა". „მიმართვის" ავტორებმაც სწორედ ამიტომ აუარეს გვერდი „ბარიკადებს" და საქმე ისე წარმოაჩინეს, თითქოს შეიარაღებული ხალხი თავს დაესხა რუსთაველის გამზირზე მჯდომარე აქციის „მოკრძალებულ მონაწილეებს".

ვისაც იმდროინდელი რუსთაველის პროსპექტი ახსოვს, დამეთანხმება, რომ „ბარიკადები" იმელის შენობასთან იყო და ისიც მანქანების სავალ ნაწილზე. ეს „ბარიკადები" ძალიან

განსხვავდებოდა იმ „ბარიკადებისაგან", რომლის შესახებაც წაგვიკითხავს ან გაგვიგონია, მისი გადალახვა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა და მასზე ვერც ვერავინ დაიკავებდა რაიმე პოზიციას; ფეხით მოსიარულე ადამიანისათვის, ფაქტობრივად, იგი არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა — იყო ერთი რკინის მილი და რამდენიმე სამშენებლო ბლოკი!

იმავე თარიღთან დაკავშირებით „მიმართვაში" ნათქვამია: „ღვთისმშობლობის ღამეს, დაახლოებით სამ საათზე, რუსთაველის გამზირზე მჯდომარე აქციის მონაწილე ახალგაზრდებთან ხელისუფლების მოწოდებით მთავრობის სასახლიდან მოვიდა ხუთი ათასამდე კაცი. მათ წინ მოუძღოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, დეპუტატები, პრეფექტები. მასში იყო სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული შეიარაღებული ნაწილი. ყოველივე ეს კარგად ჩანს იმ ღამეს გადაღებულ ფირზე".

ფაქტი ერთია, რომ 22 სექტემბრის ამ აქციის შემდეგ რუსთაველის პროსპექტი ხელისუფლებამ დაიკავა, აქციის მონაწილენი იძულებულნი გახდნენ ტელევიზიასთან მიმდინარე საპროტესტო აქციას შეერთებოდნენ და სწორედ ეს დარბევა გახდა მიზეზი დედაქალაქში ეროვნული გვარდიის ჩამოსვლისა.

ავტორები სტატიისა „სიცრუის პასუხად", რაღა თქმა უნდა, არაფერს ამბობენ იმ მოთხოვნებზე, რომელიც მიმართვის ტექსტშია მოყვანილი.

კერძოდ: „ვიზიარებთ რა ჟურნალისტთა პოზიციას, მოვითხოვთ, ტელევიზიით გადაიცეს:

1. 2 სექტემბრის მიტინგის სისხლიანი დარბევის სრული ვიდეოჩანაწერი;

2. 16 სექტემბერს რესპუბლიკის მოედანზე ჩატარებული მიტინგის ვიდეოჩანაწერი;

3. 22 სექტემბრის მჯდომარე აქციის დარბევის ვიდეოჩანაწერი;

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის ბოლო 2 სხდომის სრული ვიდეოჩანაწერი, ტრადიციული ყოველგვარი მონტაჟის გარეშე".

„მიმართვაში" წამოყენებული ოპოზიციის მოთხოვნები, რაღა თქმა უნდა, ხელისუფლებას არ შეუსრულებია. მიუხედავად ამისა, ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მოთხოვნითა და შექმნილი უაღრესად კრიტიკული სიტუაციის განმუხტვის მიზნით ეროვნული გვარდია და „მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან" არსებული მოხალისეთა შეიარაღებული ჯგუფი

ილებს გადაწყვეტილებას, დატოვონ თბილისი. 3 ოქტომბერს ეროვნული გვარდია და სხვა შეიარაღებული ფორმირებები ტოვებენ ქალაქს. იმავე დღეს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგზე გამოსვლისას პრეზიდენტმა გამსახურდიამ განაცხადა, „რომ ოპოზიცია დამარცხდა და დაიწყო მისი შეიარაღებული ფორმირებების გაყვანა თბილისიდან". მან მოუწოდა ერს — დაირაზმონ იმისათვის, რომ მოხდეს ამ ფორმირებების მშვიდობიანი განიარაღება, რათა არც ერთი ქართველის სიცოცხლე არ მოისპოს. უახლოეს დღეებში გაიმართება უზენაესი საბჭოს სესია, რომელიც საკადრის პასუხს გასცემს იმ დეპუტატების საქციელს, ვინც პუტჩს ამოუდგა მხარში. ბუნებრივია, პუტჩის საქმიანობის კრახით დამთავრება, ეს იმიტომ, რომ კანონიერი ხელისუფლების საქმე არის მართალი, ჩვენ ხალხმა აგვირჩია და კვლავაც მხარს გვიჭერს იგი, მაშ გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას საქართველოს გადასარჩენადო" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 4 ოქტომბერი).

როგორც ვხედავთ, ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობს და უკვე ოპოზიციონერი დეპუტატების საქციელის შეფასებას აპირებს, თუმცა ჯერ არც პოლიტიკური საპროტესტო აქციები შეწყვეტილა და არც ეროვნული გვარდია დაშლილა; მაგრამ მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებზე ან კომპრომისებზე პრეზიდენტი უკვე აღარ ლაპარაკობს.

2 ოქტომბერს ეროვნული გვარდია ტელევიზიიდან გავიდა და თბილისის ზღვაზე დაბანაკდა; გვარდიის გასვლას წინ უძღოდა მიტინგი და ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებული შეთანხმება, რომელსაც ოპოზიციური მოძრაობის, კერძოდ, „ქარტია-91"-ის წევრები და სამღვდელოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დაძაბული სიტუაცია ერთგვარად განიმუხტა, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით მოიხსნა შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროება. ტელევიზიის შენობასთან დარჩნენ მხოლოდ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც საპროტესტო აქციების გაგრძელებას აპირებდნენ, მაგრამ რამდენად მოხერხდებოდა ამ გადაწყვეტილების შესრულება, არავინ იცოდა, რადგან თითქმის ერთთვიანმა აქციებმა და განსაკუთრებით 22 სექტემბერს შექმნილმა რთულმა ფსიქოლოგიურმა გარემომ საკმაოდ მოქანცა როგორც აქციის ორგანიზატორები, ისე მათი მხარდამჭერები. ჯერ კიდევ გვარდიის გასვლამდე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა შეკრებაზე, რომელიც საკმაოდ ხშირად იმართებოდა ტელევიზიის შენობაში, უამრავ

იდეათა შორის იყო ასეთი მოსაზრებაც — ოპოზიციურ პარტიებს დროებით თავადვე გამოეცხადებინათ მორატორიუმი გარკვეული ვადით პოლიტიკურ საქმიანობაზე, რათა ხელისუფლებისთვის მიეცათ საშუალება, განეხორციელებინა თავისი გეგმები (ხელისუფლება აცხადებდა, რომ ოპოზიციის მიერ მოწყობილი აქციები არ აძლევდა საშუალებას ქვეყანაში რეალური გარდაქმნები დაეწყო) და მოსახლეობა თავად დარწმუნდებოდა, რისი გაკეთების უნარი და შესაძლებლობა ჰქონდა ხელისუფლებას. მართალია, ეს აზრი უარყოფილ იქნა, მაგრამ საკითხის ამგვარად დასმა ნამდვილად მიანიშნებს იმას, რომ ოპოზიცია საპროტესტო აქციების გაგრძელებას დიდი ხნით უკვე ვეღარ მოახერხებდა (არსებობს გარკვეული ანალოგიაც: როდესაც მხედრიონი დაარბიეს და შემდეგ დააპატიმრეს, საპროტესტო აქციებმა მაშინაც იფეთქა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ თავისთავად შეწყდა). გარდა ამისა, არსებობს ჩვეულებრივი ადამიანური განზომილებაც — დიდი დაძაბულობის შემდეგ (და სწორედ ასეთი იყო მთელი სექტემბერი და განსაკუთრებით ბოლო ორი კვირა), როდესაც ამ დაძაბულობის გამომწვევი ფაქტორი იხსნება, ადამიანს ბუნებრივად უჩნდება მოთხოვნილება ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდეს. სწორედ ასეთი ფსიქოლოგიური განწყობილება იყო ოპოზიციურ პარტიებშიც და საზოგადოებაშიც. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ოპოზიციონერთა აქცია ტელევიზიასთან შესაძლოა კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელებულიყო, მაგრამ აუცილებლად დასრულდებოდა იმისდა მიუხედავად, ხელისუფლება დაკმაყოფილებდა თუ არა რომელიმე მოთხოვნას.

4 ოქტომბერს, დილით, სპორტის სასახლის მხრიდან მივედი ტელევიზიასთან და თვალი მოვკარი დემონსტრანტებს, რომლებმაც გმირთა მოედნიდან ვარაზისხევით უნივერსიტეტისაკენ აუხვიეს. წინა დღით არავითარ მანიფესტაციაზე საუბარი არ ყოფილა, დილაადრიან ვინმეს ამგვარი მსვლელობის იდეა რომც გაჩენოდა, ხალხის შეკრებას და ორგანიზებას ასე სწრაფად ვერ მოახერხებდა. მივხვდი, რომ რაღაც მოხდა; დემონსტრანტებს სირბილით გამოვედევნე და უნივერსიტეტთან დავეწიე. კოლონას ი. სარიშვილი და მ. გიორგაძე მიუძღოდნენ. მათგან შევიტყვე, რომ თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ გვარდიას მილიციისა და ხელისუფლების მხარდამჭერი გვარდიის ნაწილები დასხმიან თავს და შეტაკება მომხდარა, უფრო სწორად, ბრძოლები ახლაც მიმდინარეობსო. ამ ინფორმაციამ ჩემზე ძალიან

მძიმედ იმოქმედა, ვერაფრით მივხვდი, რა სარგებლობას მოუტანდა ხელისუფლებას თბილისის ზღვაზე გამართული შეტაკება, თუნდაც იგი გვარდიის განადგურებით დამთავრებულიყო. უნივერსიტეტთან დემონსტრანტთა კოლონას სხვებიც შემოუერთდნენ და მთავრობის სასახლისაკენ გავემართეთ.

როგორც ჩანს, ხელისუფლება ამგვარ მანიფესტაციას არ ელოდა, რადგან მთავრობის სახლამდე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მივედით, და რაც კიდევ უფრო საკვირველია, ზუსტად არც ის იცოდა, თუ რა ხდებოდა თბილისის ზღვაზე. ამას მაფიქრებინებს ის, რომ ჩვენთან შეხვედრაზე გამოსულმა ბატონმა ა. ასათიანმა თითქმის ვერაფერი გვიპასუხა და ბოლოს გადაწყდა, რომ ის და მ. გიორგაძე ავიდოდნენ თბილისის ზღვაზე და უშუალოდ გაარკვევდნენ, რა ხდებოდა. ჩვენ რუსთაველზე დავრჩით.

ინფორმაცია ქალაქში ელვის უსწრაფესად გავრცელდა, ხალხის ნაწილმა თბილისის ზღვას მიაშურა, ნაწილმა — რუსთაველის პროსპექტს, როგორც ხელისუფლების მომხრეებმა, ისე მოწინააღმდეგეებმა. ორი საათისთვის ხელისუფლებამ ავტობუსებით გადაკეტა რუსთაველის გამზირი კავშირგაბმულობის სახლთან, რუსთაველზე შეკრებილი ხალხი ორად გაიყო; დაიწყო სპონტანური მიტინგები მთავრობის და კავშირგაბმულობის სახლთან, მთელი ქალაქი ფსიქოზმა მოიცვა; აი, რა მდგომარეობა იყო 21 საათსა და 30 წუთზე:

„დღეს დილით თბილისის ზღვაზე დატრიალებულმა ტრაგედიამ დეტონატორის როლი შეასრულა და დაძაბულობის ისედაც გაძაგრული სიმი უკიდურესობამდე, ბოლო წერტილამდე დაძაბა.

ამ წუთებში რუსთაველის გამზირი კონტროლიდან გამოსულ, თავაწყვეტილ, ავად ადიდებულ მდინარესა ჰგავს, ყოველ წუთს რომ შეიძლება წალეკოს ყველაფერი. მთავრობის სახლის წინ მოედანი და პროსპექტი რესპუბლიკის მოედნის მიმართულებით თითქმის ფსიქოზამდე მისული ხალხითაა სავსე.

ისმის განუწყვეტელი სკანდირება „საქართველო", „საქართველო".

ერთმანეთთან პოლიტიკურად დაპირისპირებული ხალხი ახლა ფიზიკურადაც პირისპირ დგას. უზენაესი საბჭოს მხრიდან განუწყვეტლივ ისმის „ზვიადი", „ზვიადი".

ყველა წამს შეიძლება რაღაც მოხდეს.

ხალხის ნაკადი განუწყვეტლივ იმატებს ორივე მხრიდან.

დაძაბულობა კულმინაციისაკენ და საბედისწერო აფეთქებამდე მიიწევს.

საქართველოს ტელევიზიამ გადმოსცა თბილისის სამხედრო კომენდანტის განცხადება, რომ იგი 8 საათისთვის მოხსნიდა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიის პიკეტირებას.

საქართველოს რადიო თბილისელებს პრეზიდენტისა და პარლამენტის დასაცავად მოუნოდებს და იხმობს მოსახლეობას მთავრობის სახლისაკენ თავისუფლების მოედნის მხრიდან.

ოპოზიცია მეგაფონებით დაჰქრის ქალაქში და ხმას ავრცელებს, პრეზიდენტი გადადგაო.

საქართველოს რადიო სისტემატურად აქარწყლებს ამ ხმებს.

საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ ხულიგნური მოქმედებისათვის დაკავებულნი არიან კომუნისტური პუტჩის წარმომადგენლები ჯიმი მიქელაძე და ნიკოლოზ ნეფედოვი.

საავადმყოფოში გარდაცვლილა პრეზიდენტის ერთგული გვარდიელი მიხეილ ბუზალაძე.

არავინ უწყის, რა მოხდება.

თუნდაც ნახევარი საათის შემდეგ" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 5 ოქტომბერი).

ეს ინფორმაცია რომ მკითხველამდე მივა, რუსთაველის პროსპექტზე მოსახდენი უკვე მომხდარი იქნება და გაზეთის შემდეგი ნომერიც უჩვეულო ფორმით გამოვა — პირველი გვერდის შუაგულში, სუფთა ფურცელზე მსხვილი შრიფტით აწყობილი რედაქციის ეს მიმართვა თუ მონოლოგი იქნება მხოლოდ დაბეჭდილი:

„სამარცხვინო ფურცელი ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. მაშინ, როდესაც თითქოს ერთიანი ძალით, ერთად შეკრულნი, ერთი საერთო მიზნითა და აზრით შეპყრობილნი მივიწევდით სანუკვარი თავისუფლებისაკენ, სატანამ დაისადგურა ჩვენში...

მრავალჭირნახულმა, ამ ბოლო დროს ყველა ჩვენი უბედურების, გაუტანლობის, ღალატის, შურის, ურთიერთქიშპობის მომსწრე და მნახველმა რუსთაველის გამზირმა კიდევ ერთი ბაზალეთი იხილა — ძმათამკვლელი, დაუნდობელი, ბოროტი შეტაკება, ჯერ კიდევ არ დამცხრალა ვნებათაღელვა, ვეძებთ დამნაშავეს, მტერს, მოღალატეს, ერისგან მოსაკვეთ და ჩასაქოლ პირებს... მოსახდენი კი მოხდა. ეს სირცხვილი დიდხანს გაჰყვება საქართველოს, ჩვენ შეგვაჩვენებს შთამომავლობა.

მოსახდენი მოხდა, მაგრამ რა გველის მომავალში, ესეც გაურკვეველია. ვის მოვკითხოთ ამდენი დალუპული, რით ვანუგეშოთ გაუბედურებული

ოჯახები, დაობლებული ბავშვები... ეტყობა, რაღაც დიდი ცოდვისთვის ვისჯებით...

შეხედეთ ერთმანეთს — როგორი დაუნდობელი გავხდით, ინდიფერენტულებიც. თითქოს აღარაფერი გვაწუხებს, თითქოს შევეგუეთ ამდენ უბედურებას. ან, იქნებ დავიღალეთ, ყველაფრისგან დავიღალეთ და აღარაფერი გვიკვირს, იქნებ, შიშმაც დაისადგურა ჩვენში? ღმერთმა დაგვიფაროს!

შეხედეთ ერთმანეთს, თამამად შეხედეთ ერთმანეთს — ამ წუთებში ეკლესიის ზარები რეკდნენ რუსთაველზე...

შეხედეთ ერთმანეთს, თვალი გაუსწორეთ ერთმანეთს — ჩვენ უნდა დავამარცხოთ ბოროტება, საქართველო გაიმარჯვებს!" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 8 ოქტომბერი).

სამწუხაროდ, ჩვენ ბოროტება ვერ დავამარცხეთ, რადგან ბოროტება მხოლოდ სიკეთით შეიძლება დაამარცხო, სიკეთის საკეთებლად კი არავის ეცალა, არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას.

მაინც რა მოხდა რუსთაველის გამზირზე?

საღამოს 10 საათისთვის დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, მიტინგები ჩამთავრდა და ოპოზიციისა და ხელისუფლების მომხრეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, დაიწყო გაწევ-გამოწევა, კამათი, ძიძგილაობა, მაგრამ ორივე მხარე ცდილობდა ზღვარს არ გადასულიყო; შემდეგ მდგომარეობა თანდათან სტაბილური გახდა, ხიფათმა თითქოს გადაიარა და ხალხმა ნელ-ნელა დაშლა დაიწყო. სადღაც 12 საათი იქნებოდა, რომ მითხრეს, იქითა მხარეს სახანძრო მანქანები მოიყვანეს და ეტყობა, რაღაცას აპირებენო. მე სასტუმრო „თბილისთან" ვიდექი, სასწრაფოდ გავეშურე მთავრობის სახლისაკენ იმ იმედით, რომ ვინმეს ვნახავდი და გავიგებდი, რა ხდებოდა; კავშირგაბმულობის შენობას გავცდი თუ არა, დავინახე, რომ სახანძრო მანქანები მთელი სისწრაფით დაიძრნენ რუსთაველის გამზირისაკენ (დღესაც მიკვირს, როგორ მოხდა, რომ ხალხმა გაასწრო და მანქანა არავის დაეჯახა), მთავრობის სასახლისკენ წასვლას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან სახანძრო მანქანებს უკან გამძვინვარებული ხალხი მოსდევდა. მე უკან დავბრუნდი და იქვე, კავშირგაბმულობის შენობაში საყვავილეს კართან შეკუჭულ ხალხს შევუერთდი. აქ ჩემს გვერდით აღმოჩნდა დეპუტატი სახალხო ფრონტიდან ბ-ნი ა. სიჭინავა. ანზორმა ხალხი მისწი-მოსწია და სილრმეში გადამიყვანა, თავად წინ ჩამომეფარა და მითხრა: „მე მაინც დეპუტატი ვარ და არაფერი მიჭირს, შენ რომ გიცნონ, შავი დღე

დაგადგებაო". ასე რომ, მშვენივრად ვხედავდი, რა ხდებოდა პროსპექტზე: სახანძრო მანქანებმა ჩაიარეს, მათ უკან ხელისუფლების მხარდამჭერები მიჰყებოდნენ; ზუსტად საყვავილეს პირდაპირ ოპოზიციას სახელდახელო ტრიბუნა ჰქონდა მოწყობილი მიტინგის ჩასატარებლად; ხელისუფლების მომხრეებმა ტრიბუნა (მაგიდა და ერთმანეთზე დაწყობილი ხის ყუთები — ეს იყო მთელი ტრიბუნა) დაანგრიეს. ამ დროს გავიგონე სროლის ხმა, ისროდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც შავი ტყავის პიჯაკი ეცვა, ისროდა ჰაერში, პისტოლეტიდან, ერთმანეთის მიყოლებით. მისი სახე იმდენად კარგად დამამახსოვრდა, მგონია, ახლაც ვიცნობ, სადმე რომ შემხვდეს; ასე რომ, ჩემთვის სრულიად ნათელი იყო, ვინ ისროლა პირველმა; ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ კი ხელისუფლება მთელი ძალით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სროლა ოპოზიციამ დაიწყო.

ამ მოვლენებს ეხება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 8 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული რ. ნიკურაძის წერილი „ჩვენ „ყვავილები" უკვე გვესროლეს", სადაც იგი აღწერს, რომ 5 ოქტომბრის დილის 6 საათიდან იმყოფებოდა რუსთაველის პროსპექტზე და შემდგომ უზენაესი საბჭოს შენობაში მისული შემთხვევით შეხვდა პრეზიდენტს. „მე ძალიან მინდოდა მესარგებლა ამ შემთხვევით და მეუწყებინა მისთვის, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მდგომ უიარაღო ადამიანებს დილის ექვსი საათიდან ყვავილების ნაცვლად ტყვიებს უშენდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მომეცა". აქვეა დაბეჭდილი თ. კიტოვანის ინტერვიუ „დისლოკაციის ადგილიდან არ გამოვსულვართ". გაზეთის შემდეგ ნომერში კი გამოქვეყნებულია ბრძანებულება „მ. ფაჩუაშვილის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან განთავისუფლების" და ამ თანამდებობაზე მ. აბაიშვილის დანიშვნის შესახებ. შესაბამისად იცვლება 4 ოქტომბრის ღამით რუსთაველზე მომხდარი მოვლენების ინტერპრეტაცია; საინტერესოა ერთი დეტალი — ამ მოვლენების თვითმხილველი, ხელისუფლების მხარდამჭერი ვინმე ავთანდილ მეტრეველი 9 ოქტომბრის ნომერში წერს: „ამ დროს გაისმა სროლის ხმა, მაგრამ რომელი მხრიდან იყო, ვერ გავარკვიე". იგივე ა. მეტრეველი 12 ოქტომბრის ნომერში „გაზეთ „თავისუფალი საქართველოს" კორესპონდენტს" (გაზეთის დასახელება შეეშალა) „აღშფოთებული" წერს, „რომ პუბლიკაციაში დამახინჯებულია ჩემი საუბრის შინაარსი, გამოტოვებულია მნიშვნელოვანი ფაქტები: 1. სიცრუეა იმის გამოქვეყნება, თითქოს

მე ვერ გავიგე, საიდან მოხდა პირველი გასროლა. მე ჩაგაწერინეთ, რომ პირველი გასროლა მოხდა ოპოზიციის მხრიდან". ადვილი მისახვედრია, რომ ამგვარი მაქინაციებით ხელისუფლება ცდილობს მხარდაჭერა მოიპოვოს მოსახლეობაში და შეიძლება გარკვეულწილად აღწევდეს კიდეც მიზანს, მაგრამ ისიც ხომ უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ამგვარი მეთოდები კიდევ უფრო გაამძაფრებდა უნდობლობას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის?!

ისევ ბუნებრივად იბადება კითხვა: ვინ მიიღო გადაწყვეტილება, თავს დასხმოდნენ თბილისის ზღვარზე დაბანაკებულ ეროვნულ გვარდიას, ხომ ფაქტია, რომ ამ თავდასხმამ ისევ გამოაცოცხლა ოპოზიციის დალმავალი აქტიურობა? თ. კიტოვანს რომ ტელევიზიიდან, დავუშვათ, ფილარმონიასთან გადაენაცვლა და ხელისუფლება თავს დასხმოდა, გასაგები იქნებოდა ჩემთვისაც და სხვისთვისაც, რადგან ამ შემთხვევაში რეალური ჩანდა საფრთხე, რომ იგი მთავრობის სახლზე შეტევას განახორციელებდა, მაგრამ მან ხომ პირიქით გააკეთა — ტელევიზიიდან თბილისის ზღვაზე გადაინაცვლა. მაშ, სადაა ლოგიკა? დავანებოთ ყველაფერს თავი და ვთქვათ, რომ ხელისუფლებას ეროვნული გვარდიის განადგურება უნდოდა! კი, მაგრამ, თბილისის ზღვაზე განხორციელებული ოპერაცია რომ არ იძლევა ამგვარი ვარაუდის საშუალებას? იქ ხომ ხელისუფლების მხრიდან არც იმდენი სამხედრო ძალა და საომარი ტექნიკა იყო თავმოყრილი, რომ შეტევითი ოპერაცია განხორციელებულიყო და მისი წარმატების იმედი ვინმეს ჰქონოდა? ისე ჩანს, რომ ყველაფერი, რაც თბილისის ზღვაზე მოხდა, მხოლოდ იმიტომ გაკეთდა, რომ ოპოზიცია გააქტიურებულიყო, მაგრამ ოპოზიციის გააქტიურება რატომღა უნდა სდომოდა ხელისუფლებას? ამგვარი ალოგიკური ქმედებანი ბადებს ეჭვს, რომ ხელისუფლებაში რეალურად არსებობდნენ ძალები, რომლებიც ცდილობდნენ, ოპოზიცია მუდმივი აქტიურობის მდგომარეობაში ყოფილიყო. ცხადია, რომ არ ყოფილიყო თბილისის ზღვის ინციდენტი, არ იქნებოდა 5 ოქტომბრის ღამე.

ტრაგედია მოხდა, ოპოზიცია დაარბიეს, სისხლიც დაიღვარა. ისევ დაიწყო გამოსავლის ძებნა ხელისუფლებამ და ისევ ყველაფერი — შეფასება, პრესა და ტელევიზია — იმ სცენარით მუშაობდა, როგორითაც 2 სექტემბრის შემდეგ. ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ოპოზიციაც და ისევ გაჩნდა მოთხოვნა დაუყოვნებლივ მოწვეულიყო უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია; ისევ მცდელობა იმისა, რომ პრობლემა პარლამენტში მოგვარებულიყო. უზენაესი საბჭოს მიმართვამ

საქართველოს მოსახლეობისადმი თითქოს რაღაც იმედებიც გააჩინა:

„მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის საგანგებო სხდომამ. მასში მონაწილეობს უზენაეს საბჭოში არსებული ყველა ფრაქცია.

მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, გამოიკვეთა კეთილი ნება, რომელიც შეიძლება გახდეს ურთიერთშეთანხმებისა და მდგომარეობის პოლიტიკური საშუალებებით განმუხტვის საფუძველი.

უზენაესი საბჭო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობის გრძნობა და თავი შეიკავონ ყოველგვარი ძალისმიერი მოქმედებისაგან. იგი მიმართავს საქართველოს მთელ მოსახლეობას, განიმსჭვალოს ერთიანობისა და მშვიდობის ინტერესებით. ეროვნული თანხმობის მიღწევა დღეს მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყველა ფრაქცია, ყოველი დეპუტატი გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, ყველაფერი ილონოს საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგებისა და ეროვნული შერიგებისათვის, სამშობლოში მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად.

უზენაესი საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს საქართველოში შექმნილ რთულ ვითარებაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობაზე, პატიმართა თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა მუშაობას განაგრძობს.

მიმართვა მიღებულია ერთხმად“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”, 1991 წ., 8 ოქტომბერი).

როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, ეს იყო ბოლო შანსი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებული პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის და ურთიერთნდობის აღდგენისა, შანსი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ხელისუფლებამ დაკარგა და მასთან ერთად დაიკარგა რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების შედარებით უმტკივნეულოდ გატარებისა და საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შესაძლებლობაც.

1991 წლის 8 ოქტომბერს გამართულმა უზენაესი საბჭოს სესიამ,

რომელზეც სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი ზ. გამსახურდია, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი როლი ითამაშა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებულ დაპირისპირებაში და ფაქტიურად მოსპო მშვიდობიანი თანაარსებობის ყოველგვარი რეალური შანსი.

4-5 ოქტომბრის ღამის შეტაკების დროს გვარდია ქალაქში არ ჩამოსულა; ეს ფაქტი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ეტყობა, თავისებურად ახსნეს და გადაწყვიტეს, რომ საბოლოო შეტევის დრო დადგა; სხვაგვარად რითიმე მოტივირება ამ სესიის მუშაობისა თითქმის შეუძლებელია.

ჯერ იყო და, სესიაზე გამოსულმა პრეზიდენტმა, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას აანალიზებდა, განაცხადა, რომ უთანხმოება მასა და პრემიერ-მინისტრს შორის აგვისტოს პუტჩამდე დაიწყო და რომ თ. კიტოვანმა მაშინ განაცხადა: „თუ ტელევიზია იმ გზით არ წარმართავს მუშაობას, როგორც ეს ჩვენ გვაწყობს და თუ ის ბატონი თენგიზ სიგუას მიმართვას უარყოფს (მას უკვე ჰქონდა მომზადებული ასეთი მიმართვა, ჩემი საწინააღმდეგო მიმართვა), მაშინ ჩვენ ტელევიზიას სულაც ავიღებთო. ასე რომ, ტელევიზიის აღების განზრახვა ჯერ კიდევ იმჟამად მწიფდებოდა... თენგიზ სიგუამ წაიკითხა პრეზიდიუმის სხდომაზე, შეიძლება ითქვას, ჩემი საბრალდებო დასკვნა, სადაც წამოაყენა ყოვლად დაუსაბუთებელი და უხამსი ბრალდებები და მოითხოვა მთელი რიგი თანამდებობის პირების და მინისტრების გათავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმუქრებოდა რაღაც შედეგებით, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო მისი გადადგომა. მე, რასაკვირველია, ეს არ მივიღე, არ დავეთანხმე. იმ პრეზიდიუმზე დამსწრე პირები აქ ბრძანდებიან და მოეხსენებათ, თუ რა ხასიათის იყო მისი მიმართვა, რომლის წაკითხვას იგი ტელევიზიით აპირებდა. ეს ყოველივე უარყოფილ და დაგმობილ იქნა და მივიღე, ასე ვთქვათ, მისი განცხადება განთავისუფლების შესახებ და გადადგომის შესახებ" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 12 ოქტომბერი, 1991 წ.).

დღეს შეიძლება ბევრს აღარც ახსოვდეს, ტელევიზიის რა აღებაზეა საუბარი — ეროვნულმა გვარდიამ ტელე-რადიო-დეპარტამენტის შენობა დაიკავა, რაც რეალურად, სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ოპოზიციამ, თუნდაც იმავე თ. კიტოვანმა და თ. სიგუამ, ტელევიზიით გამოსვლის საშუალება მოიპოვა, რადგან ტელეანძას და შესაბამისად ტელეეთერსაც ხელისუფლება

აკონტროლებდა; მთავრობის სახლში მუშაობდა მოძრავი ტელერადიოსადგური და ეთერშიც მხოლოდ ხელისუფლება გადიოდა და არა ოპოზიცია; ამ პერიოდში ოპოზიციას გააჩნდა მხოლოდ მცირე სიმძლავრის რადიოსადგური, რომელიც თბილისსაც კი ვერ სწვდებოდა; ეროვნული გვარდიის თბილისის ზღვაზე დაბანაკების შემდეგ იყო მცდელობა ტელეგადაცემების მოწყობისა, რალაც თითქოს გაკეთდა კიდეც, მაგრამ გადაცემების ხარისხი და დიაპაზონი იმდენად უხეირო და უმნიშვნელო იყო, რომ ძალიან მალე აიღეს ხელი ამ წამოწყებაზე.

ახლაც ვერ გამიგია, ისეთი რა უნდა დაეწერა ან ეთქვა თ. სიგუას, რომ ამდენი დავიდარაბის ტოლფასი ყოფილიყო? შემდგომში, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, იგი თავისი ოპოზიციური საქმიანობის გამართლებას სწორედ იმ მოტივით ცდილობდა, რომ მას არ მიეცა საშუალება დეპუტატების წინაშე ან ტელევიზიით გამოსულიყო.

პრეზიდენტის გამოსვლის ძირითადი ნაწილი 4-5 ოქტომბერს თბილისში მომხდარ დაპირისპირებას შეეხო; მთელი არსი და მიზანი ამ გამოსვლისა იყო ის, რომ დეპუტატებს ეს მოვლენები შეეფასებინათ, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. პრეზიდენტი ცდილობდა, რომ როგორმე ოპოზიციის მხარდაჭერა მოეპოვებინა და ამისთვის არც შეფარულ მუქარას ერიდებოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა უზენაესმა საბჭომ მიიღო ორი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეკლარაცია და რეზოლუცია. ორივე ეს დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მივიჩნიე მათი სრულად მოტანა:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეკლარაცია:

ერთი წლის წინათ საქართველოს მოსახლეობამ დემოკრატიული წესით აირჩია ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო — უზენაესი საბჭო. თავისი ფუნქციონირების ხანმოკლე პერიოდში რესპუბლიკის პარლამენტს განუწყვეტელი წინააღმდეგობებისა და კრიზისული მოვლენების პირობებში უხდებოდა მუშაობა. ცენტრის მიერ მოწყობილი ბლოკადა და სტიქიური უბედურებები, ძველი სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურების რღვევა, ამასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პრობლემები და ცალკეული ხარვეზები სისტემატურად აფერხებდნენ ცხოვრების ნორმალურ მაჯისცემას. ყოველივე ამან სადღეისოდ მეტად მძიმე ხასიათი მიიღო. ჯეროვნად აფასებს რა საქართველოში ამჟამად

შექმნილ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას, გრძნობს რა თავის მაღალ პასუხისმგებლობას ერისა და ისტორიის წინაშე, ქვეყნის მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი და მისი ნების გამომხატველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ:

1. სრულად განახორციელებს თავის უფლებამოსილებას — ყოველმხრივ დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პრესისა და სიტყვის თავისუფლების დამკვიდრება;

2. უზრუნველყოფს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებასა და კერძო საკუთრების დამკვიდრებას;

3. დააჩქარებს აგრარული რეფორმის გატარების და მატერიალური ფასეულობების პრივატიზების პროცესს, რაც, თავის მხრივ, ცხოვრების თავისუფალი წესის დამკვიდრების საფუძველი გახდება. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ნიადაგ იზრუნებს სამოქალაქო მშვიდობის დამყარების, შექმნილი დაძაბულობის განმუხტვისათვის და ამ საქმეში უპირატესობას პოლიტიკური დიალოგის ფორმას მიანიჭებს. ამიტომ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მუდამ მზად იქნება ფართოდ გაუხსნას კარი ოპოზიციურ აზრს და მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება მასთან შეჯერების საფუძველზე.

4. მხარს უჭერს რა რესპუბლიკის პრეზიდენტს, მასთან ერთად განუხრელად დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობასა და მის უზენაესობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აღიარებს რა თავის რიგებში ფრაქციული პრინციპით გაერთიანებული ჯგუფების უფლებებს, აცხადებს, რომ გაგებით მოეკიდება უმცირესობის თვალსაზრისს და არ დაუშვებს დემოკრატიის პრინციპთა ხელყოფას.

უზენაესი საბჭო მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესი ქვეყნის ცხოვრების გლობალურ დემოკრატიზაციას უნდა დაეფუძნოს.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ეროვნული თანხმობის დამკვიდრება და სამოქალაქო მშვიდობის აღდგენა, რასაც პარლამენტი რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას დაბეჯითებით მოუწოდებს" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ., 10 ოქტომბერი).

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რეზოლუცია:

განიხილა რა ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, საქართველოს

რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს:

ვინაიდან საქართველოში ადგილი აქვს კანონიერი ხელისუფლების ძალადობით დამხობის მცდელობას, რომელიც გამოიხატა სიტყვიერი მოწოდებებით, საზოგადოების წაქეზებით, სახელმწიფო დაწესებულებებზე შეიარაღებული თავდასხმებით, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი; ვინაიდან 1991 წლის 4-5 ოქტომბერს განხორციელდა რამდენიმე შეიარაღებული თავდასხმა პარლამენტის შენობაზე, რაც წარმოადგენდა ზემოაღნიშნული მიზნის პრაქტიკული განხორციელებისათვის გადადგმულ ნაბიჯს, — ამ ფაქტებსა და მოვლენებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აფასებს, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ამასთანავე, მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგების, სამოქალაქო მშვიდობისა და მართლწესრიგის აღდგენის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მხარს უჭერს რა პრეზიდენტის 1991 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით დადასტურებულ გარანტიებს, კეთილი ნების საფუძველზე მიიჩნევს, რომ კანონიერი ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციების ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიმართ, თუ ისინი ხელს აიღებენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაზე და გააკეთებენ პოლიტიკური ლოიალობის გამომხატველ განცხადებას, არ იქნეს გამოყენებული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ზომები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კატეგორიულად გმობს არსებული კანონიერი ხელისუფლების ძალადობით დამხობის თუ შეცვლის ყოველგვარ გამოვლენას და პოლიტიკურ მიზანდასახულობათა პრაქტიკული რეალიზაციის ერთადერთ დემოკრატიულ საშუალებად მიიჩნევს მხოლოდ კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების გამოყენებას.

უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ უნდა შეიქმნას საპარლამენტო კომისია, რომელიც გამოიკვლევს აღნიშნულ მოვლენებს და მშვიდობიანად მოაგვარებს წარმოქმნილ კონფლიქტს" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 10 ოქტომბერი).

ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ მართლაც ძალიან გულუბრყვილო ან ხელისუფლების ბრმად მორწმუნე და დამჯერი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ მის გულწრფელობაში ეჭვი არ შეეტანა!

ჯერ ერთი, ოპოზიციონერ დეპუტატთა დიდი ნაწილი თავად იყო მონაწილე და თვითმხილველი იმისა, თუ რა მოხდა რუსთაველის

პროსპექტზე იმ ღამით, ვინ ვის დაესხა თავს და როგორ; მეორე, ოპოზიციას რომ მართლაც ხელისუფლებაზე თავდასხმა განეზრახა, ეროვნულ გვარდიას აუცილებლად ჩააყენებდა საქმის კურსში და თუ მათი მხრიდან დახმარების გარანტიებს ვერ მიიღებდა, მაშინ ამგვარი მცდელობისაგან თავს შეიკავებდა, რადგან არც ისე გულუბრყვილო იყო, ეფიქრა, რომ თუნდაც რამდენიმე შეიარაღებული კაცით, როგორც ხელისუფლება აცხადებდა, მთავრობის სახლის აღების იმედი გასჩენოდა; თუ ადამიანი ლოგიკასთან მთლად მწყრალად არ იყო, ისიც ცხადად ჩანდა, რომ 4 ოქტომბრის მანიფესტაცია და შემდგომ მიტინგი თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ ეროვნულ გვარდიაზე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგი იყო და რომ არა ეს სამხედრო ოპერაცია, არც მიტინგი იქნებოდა და არც მანიფესტაცია. გარდა ამისა, არსებობდა ოფიციალურ პრესაში (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა") გამოქვეყნებული მასალა, სადაც საკმაოდ ობიექტურად იყო აღწერილი, რა ხდებოდა რუსთაველის გამზირზე 5 ოქტომბრის დილით (ამ მასალის გამოქვეყნებას გაზეთის რედაქტორი გადაჰყვა); იმ პერიოდში თბილისში გავრცელდა სი-ენ-ენის მიერ გადაცემული ვიდეოფირი, რომლის ნახვაც დაინტერესებული ადამიანისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ეს ყოველივე საკმაოდ მყარ არგუმენტაციას წარმოადგენდა იმისათვის, რომ ადამიანს სერიოზული ეჭვი შეეტანა ფაქტების სისწორეში; როგორც ჩანს, ამ „უხერხულობას" რეზოლუციის მიმღებებიც გრძნობდნენ. სხვაგვარად გაუგებარია, ერთგვერდიან ტექსტში მიმდინარე მოვლენები ჯერ „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად" შეაფასო, ხოლო შემდეგ „საჭიროდ მიიჩნიო" საპარლამენტო კომისიის შექმნა, „რომელიც გამოიკვლევს აღნიშნულ მოვლენებს და მშვიდობიანად მოაგვარებს წარმოქმნილ კონფლიქტს". განა უფრო ლოგიკური და ყველასათვის მისაღები არ იქნებოდა, ჯერ საპარლამენტო კომისიას გამოეკვლია აღნიშნული მოვლენები და შემდგომ მიეცათ შეფასება? ამის შემდეგ განა გასაკვირია ოპოზიციის („ქარტია-91") მიერ გვრცელებული განცხადება?

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის 8 ოქტომბრის სხდომაზე განიხილებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებისათვის სახელმწიფო გადატრიალების ცდის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი. სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად ჩვენც შეძლებისდაგვარად ვიბრძოლეთ ამგვარი კვალიფიკაციის წინააღმდეგ, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი არ შეესაბამება სიმართლეს და ზრდის რეპრესიების საფრთხეს.

9 ოქტომბერს, როცა უზენაესი საბჭოს სესიას უნდა განეხილა არსებული კანონმდებლობის ცვლილებანი, რომლებიც მიმართულია „ურჩი" დეპუტატების გაწვევის და შემდგომში მათი პასუხისმგებლობის საკითხის აღძვრის გასაიოლებლად, ჩვენ მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ ამ სხდომაზე დასწრება, რადგან დეპუტატის ღირსებისა და თავისუფლებისათვის თავისთავად აუცილებელი ბრძოლა შექმნილ ვითარებაში შესაძლოა აღქმული ყოფილიყო „საკუთარი ტყავის" გადარჩენის ცდად. რამდენადაც ვიცით, ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს საპარლამენტო უმცირესობის სხვა წარმომადგენლებმაც" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 12 ოქტომბერი).

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ საქართველოს კომპარტიის „გკჩპ"-სადმი მხარდაჭერა გამოიყენა საბაბად და კომპარტიის სიით გასულ დეპუტატებს უფლებამოსილება შეუწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად არც ერთ მათგანს ამ მიმართულებით არც რაიმე ქმედება ჩაუდენია და არც სიტყვიერი მხარდაჭერა გამოუთქვამს, უფრო პირიქით, ჯერი ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებზე მიდგა, ამიტომ გახდა აუცილებელი კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა, რაც საშუალებას მისცემდა ხელისუფლებას მათზე ზეწოლა განეხორციელებინა, თუმცა ამგვარი ზეწოლა ხორციელდებოდა ყოველგვარი კანონის დარღვევითა და ხელისუფალთა ჩუმი თანხმობით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრი" სპეციალურ მიმართვას აქვეყნებს:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომები მიმდინარეობს არასამუშაო, ყოვლად აუტანელ, ადამიანისათვის შეურაცხმყოფელ პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს სესიის მუშაობის ვიდეოჩანაწერს უჩვენებენ საქართველოს ტელევიზიით, მოსახლეობამ არ იცის სრული სიმართლე იმის თაობაზე, თუ როგორ პირობებში უხდებათ მუშაობა დეპუტატებს ოპოზიციური ფრაქციებიდან. სესიის ვიდეოჩანაწერი სრულ წარმოდგენას რომ ვერ გვიქმნის შექმნილ ვითარებაზე, ამის დამადასტურებლად 30 ოქტომბრის სხდომის ტელეჩვენებაც კმარა, საიდანაც ამოიჭრა ის ადგილები, რომლებიც ნათლად ახასიათებენ არა მარტო შექმნილ ატმოსფეროს, არამედ ხელისუფლების პოლიტიკის რეალურ კურსსაც. მაგალითად, არ აჩვენეს იმ დეპუტატთა გამოსვლები, რომლებმაც პროტესტი გამოთქვეს იმ შეურაცხმყოფელი მოქმედების გამო, რომელსაც სჩადის ხელისუფლების მიერ შეგულიანებული ეგზალტირებულ ადამიანთა ჯგუფი. არ აჩვენეს

ის ადგილიც, სადაც ერთ-ერთი დეპუტატი სხდომის წინაშე ტანსაცმელშემოხეული წარსდგა.

მიუხედავად ჩვენი მრავალგზისი პროტესტისა, ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს ამგვარ მოვლენებს და კვლავინდებურად მფარველობს და ორგანიზებას უწევს მთავრობის სახლის ირგვლივ დაბანაკებული „სწრაფი რეაგირების ქალთა კორპუსის" საქმიანობას.

აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საეჭვო ფუნქციამინიჭებული, ქუჩიდან მოსული ადამიანები, რომლებიც არაფრად აგდებენ წესრიგის დამცველთა შენიშვნებს, ფაქტობრივად აკონტროლებენ უზენაესი საბჭოს შენობაში შესასვლელ ადგილებს და სესიის სხდომაზეც კი არ უშვებენ დეპუტატებს.

თვით ზემოაღნიშნული მოვლენაც კი საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ხელისუფლება კვლავინდებურად განაგრძობს კონფრონტაციას განსხვავებული პოზიციის მქონე პოლიტიკურ ძალთა მიმართ, ხელოვნურად ამწვავებს მდგომარეობას, უმალავს ხალხს სიმართლეს, არღვევს კონსტიტუციის ნორმებს.

სანამ არ შეიქმნება პარლამენტში მუშაობის ელემენტარული პირობები, არ იქნება დაცული დეპუტატთა ადამიანური ღირსებები, არ შეწყდება შანტაჟი და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა, დეპუტატებს შეუძლებლად მიგვაჩნია სესიის ამგვარ სხდომებში მონაწილეობა. ამასთანავე მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესების ერთ-ერთ პირობად მიგვაჩნია სესიის სხდომების პირდაპირი ტელეჩვენება, რაც ერთგვარი საზოგადოებრივი და მორალური ზემოქმედების ქვეშ დააყენებს აგრესიულად განწყობილ დეპუტატებს.

დღეს, როცა საქართველოს უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური განსაცდელი ელის, ხელისუფლებას განსაკუთრებით ჰმართებს პარლამენტისათვის მუშაობის პირობების შექმნა" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 5 ნოემბერი, 1991).

დაპირისპირებამ ქუჩიდან პარლამენტში გადაინაცვლა, უფრო სწორად, უზენაესი საბჭოც მოიცვა; ეს არ იყო ჩვეულებრივი დაპირისპირება საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, ყველა გრძნობდა, რომ ხელისუფლება გამალებული ამზადებდა ნიადაგს როგორც საკანონმდებლო, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უმცირესობის გასანადგურებლად, უზენაესი საბჭოს სხდომებზე უკვე აღარ მოიძებნებოდა ისეთი საკითხი, რომლის გადასაწყვეტად ოპოზიცია და უმრავლესობა კონსესუსს მიაღწევდა.

სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენების პუტჩად შეფასებას ზედ დაერთო უზენაესი საბჭოს მიერ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიების) შესახებ" კანონის დროებით (განუსაზღვრელი ვადით) შეჩერება. გაჩნდა ათასგვარი ჭორი და მითქმა-მოთქმა, რომლებიც ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა მოსახლეობაში (ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ე. წ. სიების თემა — თითქოსდა პრეზიდენტმა შეადგინა დასაპატიმრებელ პირთა სია და გადასცა გენერალურ პროკურორს, რომელმაც უარი განაცხადა ამ პირთა დაპატიმრებაზე; სულ მალე გენერალური პროკურორი ვ. რაზმაძეც გაათავისუფლეს, რაც ამგვარი სიების არსებობის ვერსიას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდიდა). მოკლედ, ისეთი ფსიქოლოგიური ატმოსფერო შეიქმნა, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებული გათიშულობა დაპირისპირებაში გადავიდა; ამ დაპირისპირებამ მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო და ხელისუფლების მთელი ვერტიკალი — ქვეყანაში, ფაქტიურად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა! ორი მთავრობა, ორი ეროვნული გვარდია, ორი პარლამენტი, ორი ტელევიზია და ა. შ. ასეთ მდგომარეობაში მოულოდნელი ის კი არ იყო, რაც ცოტა მოგვიანებით, დეკემბერ-იანვარში მოხდა, არამედ ის, რომ ეს მოვლენები უფრო ადრე არ განვითარდა, მით უმეტეს, რომ ორივე მხარე საკუთარი ძალაუფლების განხორციელებას მიტინგების საშუალებით ცდილობდა; თუ ოპოზიციის მხრიდან ამგვარი ქმედება მისაღები თუ არა, გასაგები მაინც იყო, რადგან ოპოზიციას სხვა მექანიზმი (ძალოვანი სტრუქტურები) არ გააჩნდა, ხელისუფლების მიერ მთავრობის სახლთან თუ ქალაქის სხვა ადგილებზე თავისი მხარდამჭერი მიტინგების ორგანიზება, პირველ ყოვლისა, მის სისუსტესა და უსუსურობას უსვამდა ხაზს, თუმცა, შესაძლებელია, მიტინგური დაპირისპირება ეროვნული მოძრაობიდან მემკვიდრეობით მიღებული ბრძოლის ფორმის ინერციული გაგრძელებაც იყო ახალ გარემოში.

და მაინც, ვფიქრობ, ხელისუფლებას საკმაოდ დიდი დრო (8 ოქტომბრიდან — 22 დეკემბრამდე) ჰქონდა იმისათვის, რომ დაპირისპირებულ ძალთა ბალანსი თავის სასარგებლოდ შეეცვალა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხისტი დაპირისპირება როგორმე შეერბილებინა და მოსალოდნელი პირდაპირი კონფლიქტი თავიდან აეცილებინა. ნოემბრის ბოლოს კვლავ გაჩნდა ამის რეალური შესაძლებლობა: „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, პარლამენტს, მთელ ქართველ ერს! საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის

თბილისის ზღვაზე დაბანაკებულ გვარდიელთა მიმართვა! ჩვენ, თბილისის ზღვაზე დაბანაკებული ეროვნული გვარდიის, სპეცდანიშნულების ბატალიონის „თეთრი არწივის" და ქუთაისის ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ, დავიფიცეთ რა ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს, საქართველოს ინტერესებს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იარაღით ხელში, მზად ვართ საქართველოს ხელისუფლების და მისი პრეზიდენტის გადაწყვეტილებითა და შეთანხმებით დავიცვათ შიდა ქართლში მცხოვრები ქართველების სიცოცხლე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. — სპეცდანიშნულების ბატალიონი „თეთრი არწივი" და ქუთაისის გარნიზონის გვარდიელთა პირადი შემადგენლობა. სპეცდანიშნულების ბატალიონის „თეთრი არწივის" მეთაური — გ. ყარყარაშვილი; ქუთაისის გარნიზონის მეთაური — რ. ჩაკვეტაძე; 28 ნოემბერი, 1991 წ." (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 4 დეკემბერი, 1991 წელი).

უკვე 29 ნოემბრის სესიაზე, ვიდრე ზემოთ მოტანილი განცხადება გამოქვეყნდებოდა, „პრეზიდენტმა დეპუტატებს აცნობა, რომ სპეცდანიშნულების ბატალიონმა „თეთრი არწივი" და ქუთაისის ბატალიონმა, რომლებიც უკანასკნელ დრომდე დაბანაკებულნი იყვნენ თბილისის ზღვის რაიონში, ერთგულება გამოუცხადეს პრეზიდენტს, ისინი განლაგდნენ ოფიციალური ხელისუფლების მიერ მითითებულ დისლოკაციის ადგილზე. შემდეგ „პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სხდომაზე უნდა გადაწყდეს ზღვაზე დაბანაკებული შეიარაღებული შენაერთების დარჩენილი ნაწილის საკითხიც, კერძოდ, მას უნდა მიენიჭოს სპეცდანიშნულების ბატალიონის სტატუსი, ბატალიონი, როგორც ყველა სხვა სამხედრო შენაერთი, უნდა დაექვემდებაროს კანონიერ ხელისუფლებას. მხოლოდ ამ გზით გადაიჭრება არსებული პრობლემა". შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტის მიმართ იყო არაკორექტული გამოსვლები, რამაც დაძაბა სიტუაცია, გამოცხადდა შესვენება. გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა ვერ მიიღო ბატონმა ა. ასათიანმა, რომელიც ნერვიულობის ნიადაგზე ავად გახდა. სხდომა, იმ მოტივით, რომ იგი ა. ასათიანმა მოამზადა, გადაიდო" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 30 ნოემბერი).

სესია გადაიდო, თუმცა ამ გადადებას არც პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება გამოუწვევია და 3 დეკემბრამდე არც რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტი მომხდარა. 3 დეკემბერს სესიამ მუშაობა განაახლა და მიიღო

დადგენილება უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ, რომლის დადგენილებით ნაწილში ნათქვამია: „1. ეროვნული გვარდიის ის ნაწილები, რომლებიც დაბანაკებულნი არიან თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, დაემორჩილონ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს; 2. ეროვნული გვარდიის ის ნაწილები, რომლებიც არ დაემორჩილებიან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, გამოცხადდნენ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებად; 3. წინადადება მიეცეს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების მონაწილეებს, მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე თავდაცვის სამინისტროს ნებაყოფლობით ჩააბარონ იარაღი, საბრძოლო მასალა, ტექნიკა და დატოვონ დისლოკაციის თვითნებურად დაკავებული ადგილი; 4. უკანონო შეიარაღებული ფორმირების მონაწილენი, რომლებიც შეასრულებენ ამ დადგენილების მესამე პუნქტის მოთხოვნებს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებიან; 5. ამ დადგენილების მესამე პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მიმართ გატარდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები" (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 4 დეკემბერი, 1991 წ.).

ბუნებრივად იბადება კითხვა: ამგვარი შინაარსის დადგენილებები უზენაესმა საბჭომ ხომ ადრეც მიიღო, მაშ რა საჭირო იყო კიდევ ერთი დადგენილების მიღება?

უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტის დადგენილებითი ნაწილი ჩვენ მთლიანად მოვიტანეთ მხოლოდ ერთი მიზეზის გამო, — გვინდოდა თვალნათლივ გვეჩვენებინა სხვაობა 29 ნოემბრის სესიაზე პრეზიდენტის გამოსვლასა და უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტს შორის. ზ. გამსახურდიას იდეა — თბილისის ზღვაზე დარჩენილი ეროვნული გვარდიის შენაერთებისათვის სპეცდანიშნულების სტატუსი მიენიჭებინათ, დადგენილებიდან სადღაც „გაქრა", ჩაიშალა პრეზიდენტის კიდევ ერთი მცდელობა იზოლაციის გარღვევისა. იქნებ ამიტომაც შეწყდა 29 ნოემბრის სესია? დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ისევ ჩნდება კითხვა: ვინ ღებულობდა გადაწყვეტილებას და ვინ მართავდა ქვეყანას?

იმ შეფასების მიუხედავად, რაც 8 ოქტომბერს გამართულმა უზენაესი საბჭოს სესიამ მისცა 4-5 ოქტომბერს რუსთაველის გამზირზე მომხდარ მოვლენებს, ხელისუფლება მაინც აგრძელებდა დიალოგს ოპოზიციასთან, უფრო სწორად, ტელევიზიის მუშაკებთან, რომლებიც ჟურნალისტთა უფლებების დაცვას მოითხოვდნენ და თბილისის ზღვაზე

დაბანაკებულ ეროვნულ გვარდიასთან; მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მოლაპარაკებები ხელისუფლებას საპარლამენტო უმრავლესობის შესანარჩუნებლად უფრო სჭირდებოდა, ვიდრე იმ პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, რაც თუნდაც ჟურნალისტებს გააჩნდათ, რადგან მიღწეულ შეთანხმებებს შემდგომში აღარ ასრულებდა. ეტყობა, ამგვარი მიდგომის ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენდა საქართველოს უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებებისადმი:

„საბჭოთა იმპერიის რღვევის მეორე ეტაპზე საქართველო დამოუკიდებელი გახდება, თუ ჩვენ, ქართველები, შევძლებთ ეროვნული ენერგიისა და შესაძლებლობების იმ მიმართულებით წარმართვას, რომელიც ავირჩიეთ 28 ოქტომბრის არჩევნების დროს.

31 მარტის რეფერენდუმმა და 26 მაისის პრეზიდენტის არჩევნებმა ცხადყო, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ შეძლო საქართველოს მთელი მოსახლეობის გაერთიანება დამოუკიდებლობის იდეის გარშემო, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა სხვადასხვა პარტიის მომხრე შეიარაღებულ დაჯგუფებათა გაერთიანება ერთიან ქართულ შეიარაღებულ ფორმირებად; ეს დიდად უშლის ხელს საქართველოში ვითარების სტაბილიზაციას, დესტაბილიზაცია კი მხოლოდ იმპერიულ ძალებს აძლევს ხელს. სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის შეიარაღებულ ფორმირებათა არსებობამ უფრო დიდი უბედურება შეიძლება მოუტანოს ჩვენს მამულს, ვიდრე თავაშვებულ ფეოდალთა განდგომას მოჰქონდა წარსულ საუკუნეში. ამდენად, თუ ჩვენი ერი მზად არის ცივილიზებული სამყაროსათვის მისაღებ ნორმებს დაუქვემდებაროს თავისი ყოფა-ცხოვრება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაემიჯნოს შინაპოლიტიკური საკითხების (თუ პრობლემების) იარაღით, ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის პრაქტიკას. ყველამ უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენმა ერმა, საერთოდ საქართველოს მთელმა მოსახლეობამ თავისი შეხედულებისამებრ აირჩიოს ესა თუ ის პოლიტიკური გზა (როგორც ეს მოხდა 28 ოქტომბრის არჩევნებში) და არა ძალდატანებით...

ჩვენ ახალი სახელმწიფოს ფორმირების პროცესში ვართ. თუ დასაწყისშივე დავუშვებთ კანონიერი ხელისუფლების იარაღით შეცვლის პრეცედენტს (ან თუნდაც მცდელობას), მამულის წინაშე გამოუსწორებელ დანაშაულს ჩავიდენთ, ვინაიდან მომავალში ყოველთვის იქნებიან

ხელისუფლების კურსის მოწინააღმდეგე ძალები და მათ ჩვენი თაობის ნამოქმედარი ექნებათ „მისაბაძ" მაგალითად...

ისტორიამ მრავალგზის დაადასტურა (თუნდაც აიღეთ სსრკ-ს მაგალითი), რომ სისხლისღვრით, შეიარაღებული აჯანყების გზით მოსული ხელისუფლება არ შეიძლება უკეთესობის მომტანი იყოს; პირიქით, ძალმომრეობით ხელისუფლების აღება საფუძველს უყრის ერის დალუპვას, მის გადაგვარებას, ვინაიდან ძმათამკვლელი ომი ყველაზე დიდი უბნეობაა, უბნეო გზით კი სამართლებრივი საქმე არასოდეს კეთდება...

მივმართავთ საქართველოში არსებულ ყველა შეიარაღებულ ფორმირებას: სულმნათი წინაპრებისა და შთამომავლობის წინაშე ვიყოთ მართლები, ნუ ქმნით კანონიერი ხელისუფლებისადმი შეიარაღებული დაპირისპირების პრეცედენტს. თუ საქართველოსთვის სიკეთე გინდათ, გაერთიანდით ოფიციალური ხელისუფლების მიერ დაკანონებულ შეიარაღებულ შენაერთებში და დაექვემდებარეთ კანონიერ ხელისუფლებას. თუ პოლიტიკური (ან სხვა) მოსაზრების გამო არ შეგიძლიათ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, მაშინ იარაღი ჩააბარეთ შინაგან საქმეთა ორგანოებს და თქვენი მიზნის მისაღწევად პოლიტიკური ხერხებით განაგრძეთ ბრძოლა.

ჩვენი მხრივ, პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე დავსვამთ საკითხს, რომ ყველა პირს, ვინც დღემდე უკანონოდ ატარებს იარაღს და მას ჩააბარებს, ვინც მონაწილეობა მიიღო სექტემბერ-ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ცდაში, მოეხსნას იურიდიული პასუხისმგებლობა, თუ უარს იტყვის პოლიტიკურ ბრძოლაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაზე.

მხოლოდ ურთიერთობითა და გაგებით შეიძლება არსებული წინააღმდეგობების გადალახვა, დამოუკიდებლობის მოპოვება და დემოკრატიული სისტემის შექმნა.

ძალა ერთობაშია!" (გაზ. საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 16 ნოემბერი).

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამგვარი მიმართვა რაიმე რეალურ შედეგს გამოიღებდა, უბრალოდ, საჭირო იყო ამ კომისიის გააქტიურება, რადგან ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ თანდათან უფრო აქტუალური ხდებოდა: „გულსაკლავია რუსეთის თუ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების გაზეთებში დაბეჭდილი დამსმენური წერილების ტონი და შხამი,

ჩვენი თანამემამულეთა გვარები რომ „ამშვენებს"; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჟურნალისტთა ერთი ნაწილი თავად გვევლინება ქართველი ერის უფლებების შემლახავად („არ მოიშალა ქართულმა გენმა დამპყრობლის კარზე ხეტიალი")" — წერენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 23 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართველ ჟურნალისტებს" ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები ზ. ქობალია და ტ. ფუტკარაძე.

(ჩვენს საზოგადოებაში მაშინაც და დღესაც ბატონობს აზრი, რომ, თუ ჩუმად ვიქნებით და ხმას არ ამოვილებთ, არაფერს ვიტყვით, ვერავინ გაიგებს, ჩვენში რაც ხდება. ამგვარი მიდგომა აბსოლუტური გულუბრყვილობაა. თავი რომ დავანებოთ ადამიანის უფლებას ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების თავისუფლების შესახებ, განა ჩვენმა წარსულმა არ გვიჩვენა, რომ ყველაზე დესპოტურ სახელმწიფოშიც კი ვერ ხერხდება ინფორმაციის დამალვა? ნუთუ ვინმესთვის ისიც საიდუმლოებას წარმოადგენს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შეფასება მხოლოდ ინტერვიუებით და საგაზეთო პუბლიკაციებით არ ხდება?!)

19 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაკვირვებასა და შეშფოთებას გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის ამა წლის 12 დეკემბერს პრინსტონის უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვის გამო.

იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სუფთა კონიუნქტურული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეერთებული შტატების ადმინისტრაცია საქართველოს მიმართ იყენებს ეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენის მეთოდებს, რომლებიც იმპერიული ცენტრის ცნობილ პოლიტიკას იმეორებს. ძნელია, სხვაგვარად შეაფასო ბატონი ბეიკერის მოხსენების ის ნაწილი, სადაც საქართველო მოხსენიებულია, როგორც ავტორიტარული მმართველობის ქვეყანა და ეს იმ დროს, როდესაც საქართველოში ჩატარებული უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტს ზედმეტად ლიბერალურად მიაჩნია ხელისუფლება და მოითხოვს კანონიერების მკაცრ და განუხრელ გატარებას". გაზეთის იმავე ნომერში კი „ქარტია-91" წერს: „უკანასკნელ ხანს თბილისში კვლავ დაიძაბა სიტუაცია. ქალაქში კვლავ გამოჩნდა

მონუმენტური ბარიკადები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც უალრესად მძიმე ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. ვითარებას ართულებს მოსახლეობაში იარაღის დიდი კონცენტრაციაც.

თავს ვალდებულად ვთვლით, კიდევ ერთხელ განვაცხადოთ, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური პრობლემები უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი მეთოდებით, იარაღის გამოყენების გარეშე".

საოცარია, თითქოს ახალი არაფერი მომხდარა, ოპოზიცია ჟამიდან ჟამზე რესპუბლიკის მოედანზე ატარებდა მიტინგებს, ხოლო მთავრობის სახლთან აღმართულ ბარიკადებს იქით ხელისუფლების მიტინგები იმართებოდა და ყოველივე ეს ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული, მიუხედავად ამისა, ქალაქში დაძაბულობა იზრდებოდა და ავისმომასწავებელი მოლოდინი იდგა. ოპოზიციის მორიგი მიტინგი 20 დეკემბრისათვის იყო დანიშნული; როგორც წესი, მიტინგის ორგანიზატორები კინოს სახლში ვიკრიბებოდით და წინასწარ ვგეგმავდით მიტინგის მსვლელობას, რომ რაიმე მოულოდნელობას ადგილი არ ჰქონოდა. მე დილით მივედი კინოს სახლში; შინაგანად საკმაოდ აფორიაქებულს, რაღაც ცუდი წინათგრძნობა არ მასვენებდა. მიტინგი ოთხი საათისთვის იყო დანიშნული და ჩვენ კიდევ ერთხელ ვაპირებდით მიტინგის მსვლელობის დაზუსტებას. მალე გამოჩნდა ბ-ნი ნოდარ ნათაძე, რომელიც გორში აპირებდა წასვლას; როგორც მითხრა, უნდოდა რომან გოცირიძე ენახა, რომელიც მიტინგზე გამომსვლელთა სიაში იყო შეყვანილი, რათა მისთვის ეთხოვა, რომ მხოლოდ ეკონომიკურ პრობლემებზე ესაუბრა. როგორც ჩანდა, ბატონი ნოდარიც საკმაოდ აფორიაქებული იყო; ჩვენ ორივემ კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი წინა დღით დაგეგმილი მიტინგის მსვლელობას და გამომსვლელთა სიას. მიტინგი 4 საათზე უნდა დაწყებულიყო და ორ საათში დამთავრებულიყო. ასეთი იყო გრაფიკი. ბ-ნი ნოდარი წავიდა, მე დავრჩი. ის-ის იყო საორგანიზაციო სხდომა უნდა დაწყებულიყო, რომ მამის გარდაცვალების ამბავი შემატყობინეს. მე საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს ბოდიში მოვუხადე და სხდომა დავტოვე; ჩემი უსიამოვნო წინათგრძნობაც ამ ცუდი ამბის გაგების მოლოდინს მივაწერე...

მხოლოდ შემდგომში გავიგე, რომ მიტინგის მსვლელობა და ფინალი (მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე უნდა დაშლილიყო!), რატომღაც შეეცვალათ!

1991 წლის 22 დეკემბრის დილას საქართველოში სამოქალაქო ომი

დაიწყო. ომი, რომელიც არც ხელისუფლებას უნდოდა და არც ოპოზიციას, მაგრამ ორივე მხარე ქვეცნობიერად სწორედ იმისთვის ემზადებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, აგვისტოდან მოყოლებული დეკემბრის ჩათვლით, რომ არსებული დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდილიყო (რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, ორივე მხარეს იქნებოდნენ მე-5 კოლონის წარმომადგენლები, მაგრამ ისინი არ იყვნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ უმრავლესობა, ამიტომ მათ რეალურად მხოლოდ სიტუაციის პროვოცირება, ანუ დეტონატორის ფუნქციის შესრულება შეეძლოთ).

დღეს, როდესაც დეკემბერ-იანვრის მოვლენების პოლიტიკურ შეფასებაზეა საუბარი, ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ ოპოზიციურ პარტიათა საკმაოდ დიდმა ჯგუფმა ამგვარი შეფასება იმთავითვე გააკეთა, ნაწილმა მოახერხა საკუთარი პოზიცია საჯაროდ, პრესის საშუალებით დაეფიქსირებინა (იხ. „რა ხდებოდა თბილისში... 2.12.91-6.01.92"), ნაწილმა ეს ვერ შეძლო, მაგრამ ფაქტია, პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა განზე გადგა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდა, თუ ხელისუფლება გაიმარჯვებდა, რეპრესიებს ვერ ასცდებოდა. რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მესმის, რა დიდი განსხვავებაა ცალკეულ პირთა თუ პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიერ გაკეთებულ შეფასებასა და ხელისუფლების მიერ მოცემულ შეფასებას შორის (ამიტომაც მოითხოვენ ხელისუფლებისგან ამ მოვლენების შეფასებას!), და, ალბათ, ხელისუფლება გააკეთებს ამგვარ შეფასებას, მაგრამ ღიად რჩება ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელსაც ვერანაირი შეფასება ვერ გასცემს პასუხს და რომელიც ყოველ ჩვენგანშია, იმისდა მიუხედავად, თუ რა დოზით ვღებულობდით მონაწილეობას ამ პროცესებში, ხელისუფლებაში ვიყავით თუ ოპოზიციაში ან ვის ვუჭერდით მხარს და ვის არა, — ანუ, ვინ არის დამნაშავე? უფრო სწორად, როგორ შევაფასებდით ჩვენსავე მოქმედებას იმ პერიოდში (1987-92 წ.წ.) და საშუალება რომ მოგვცემოდა, რას შევცვლიდით?

სხვისი არ ვიცი და, პირადად მე, მგონია, როდესაც ეროვნულმა გვარდიამ ტელევიზიის შენობა დაიკავა, იქიდან უნდა წამოვსულიყავი და მეორე, როდესაც იუსტიციის სამინისტროში ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ოპოზიციას შორის გამართული მოლაპარაკების შედეგებზე ხელისუფლების მიერ ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია წავიკითხე, აუცილებლად უნდა შევხვედროდი ზ.

გამსახურდიას, რადგან პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. არა მაქვს ილუზია, რომ ეს შეხვედრა რაიმე ნაყოფს გამოიღებდა, მაგრამ ის რომ შემდგარიყო, ყოველგვარი მორალური პასუხისმგებლობა მექნებოდა მოხსნილი. სხვა მხრივ ყველაფერს ისე გავაკეთებდი, როგორც გავაკეთე; რადგან მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ერთადერთი, რაც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ქვეყნის დამოუკიდებლობა, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა და ავაღორძინოთ ჩვენი დაქცეული ეკონომიკა, არის სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში იყო ყველანაირი მმართველობა — კომუნისტური, ავტორიტარული, ოხლოკრატიული, სამხედრო, ანარქია, ტოტალიტარული და ა. შ., — მაგრამ ერთი წუთითაც არ ყოფილა დემოკრატია. დღეს სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობის საფუძველი — კერძო საკუთრება, — უფრო მეტია, ვიდრე მაშინ იყო, ოღონდ ეს სულაც არაა დღევანდელი ხელისუფლების დამსახურება, უფრო ბოლო ათწლეულში მომხდარი პროცესების შედეგია; მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, და ამის გამოცდილება ბალტიისპირეთის ქვეყნებში იმ პერიოდში უკვე იყო, ხელისუფლების სათავეში მოსულ „მრგვალ მაგიდას" შეეძლო დემოკრატიული ნორმების დამკვიდრება და რადგან საზოგადოებაში ამის საფუძველი არ არსებობდა, დემოკრატიის დანერგვა „ზემოდან", ხელისუფლებისგან უნდა მომხდარიყო, ამასვე ითხოვდა ოპოზიციის დიდი ნაწილი და ეს მოთხოვნა უპირველესად პრესისა და ტელევიზიის, საბოლოო ჯამში კი, სიტყვის თავისუფლებას შეეხებოდა.

ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო კონცეფცია — ჯერ დამოუკიდებლობა და შემდეგ დემოკრატია, — რომელიც 1991 წლის შემოდგომაზე ჯერ ხელისუფლების კულუარებში გავრცელდა, ხოლო შემდეგ მათი მხარდამჭერების მეშვეობით და მთავრობის სახლთან გამართული მიტინგებით მთელ საქართველოს მოედო და წამყვან იდეოლოგიად იქცა უპირველეს ყოვლისა ოპოზიციონერთა წინაალმდეგ, რადგან მჯეროდა, ამგვარი მიდგომით ვერც დამოუკიდებლობას მივაღწევდით (ლაპარაკია რეალურ დამოუკიდებლობაზე და არა დამოუკიდებლობის დეკლარირებაზე; აკი ვერც მივაღწიეთ!) და ვერც დემოკრატიას ავაშენებდით. იმ პერიოდში მეგონა, რომ ეს ლოზუნგი — ჯერ დამოუკიდებლობა და შემდეგ დემოკრატია, — ხელისუფლებამ თავისი მოღვაწეობის გასამართლებლად მოიგონა და ხელისუფლების

შენარჩუნებისათვის სჭირდებოდა; ამ ლოზუნგის მხარდამჭერთა შორის, რა თქმა უნდა, ასეთებიც იყვნენ, მაგრამ, როგორც შემდგომ დავრწმუნდი, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც რეალურად სჯეროდათ ამგვარი მიდგომის სისწორე და ისინი საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენდნენ. ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ და ამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხერხები და მეთოდები საქართველოს ისტორიიდან და ისტორიული რომანებიდან ჰქონდათ შეთვისებული; როცა საშუალება მიეცათ, მათ ამ შეძენილი ცოდნის რეალიზება დაიწყეს; შეიძლება, ფიგურალურად ითქვას, რომ ეროვნულ მოძრაობაში ჩვენს გვერდით იბრძოდნენ წინა საუკუნეებიდან მოსული ადამიანები; ჩვენ ერთად ვიდექით, ერთნაირად გვეცვა, ერთნაირად ვლაპარაკობდით, მაგრამ შინაგანად ერთმანეთს საუკუნეები გვაშორებდა (სხვათა შორის, ამ ფაქტორის გამოძახილია ისიც, რომ ზ. გამსახურდიას მესიას უწოდებდნენ და ათასგვარი ეპითეტებით ამკობდნენ. ბუნებრივია, ვიღაც მლიქვნელობდა, მაგრამ უმრავლესობისთვის ზ. გამსახურდია მაშინაც მესია იყო და დღესაც მესიად დარჩა!).

ამ ფაქტორებს, ოღონდ განსხვავებული კუთხით, ყურადღება მიაქცია ბ-ნმა გ. ნოდიამ ჟურნალ „ცისკრის" 1995 წ. №5-6-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „ეროვნულ მოძრაობათა თავისებურება კომუნისტური სისტემის ნგრევის ფონზე".

ცნობიერების ამგვარმა დაყოფამ, ისტორიული პარალელების გამუდმებულმა ძიებამ, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო მოდელის წარსულის ანალოგიებზე შექმნის სურვილმა, საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი გაუცხოების ტენდენცია წარმოშვა, თუმცა დამოუკიდებლობის იდეა მოსახლეობაში ისევ მხარდაჭერით სარგებლობდა. ამის დასტურია 31 მარტს გამართული რეფერენდუმი, რომელიც „მრგვალი მაგიდის" და პირადად ზ. გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობის მწვერვალია. პრეზიდენტად არჩევა უკვე, ფაქტიურად, ინერციით მოხდა და მოსახლეობა, ასე ვთქვათ, „ლოდინის რეჟიმზე" გადავიდა. საკრებულოების არჩევნებში „მრგვალი მაგიდა" უკვე აღარ წარმოადგენდა ერთადერთ ძალას, ხოლო პრეფექტების ინსტიტუტის შემოღებამ (რაიკომის მდივანი, პრეფექტი და გამგებელი ერთმანეთისგან თითქმის არაფრით განსხვავდება) და, განსაკუთრებით, ამ თანამდებობაზე პერსონალიების განუწყვეტელმა ცვლილებებმა (მგონი, საქართველოში არ დარჩენილა რაიონი, ერთი წლის განმავლობაში

პრეფექტი რომ არ შეეცვალათ), შესამჩნევად შეარყია „მრგვალი მაგიდის" ავტორიტეტი. 1991 წლის მაისიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხელისუფლებამ თითქოს უკვე აღარ იცის, რა აკეთოს და „მრგვალ მაგიდაში" იწყება კრიზისი...

კიდევ ერთხელ მოკლე ისტორიული ქრონოლოგია: 1987 წლის მარტში „ი. ჭავჭავაძის საზოგადოებიდან" გადიან გ. ჭანტურია და რამდენიმე პირი, ისინი ზ. გამსახურდიასთან ერთად ქმნიან „ი. ჭავჭავაძის საზოგადოება — IV დასს"; შემდეგ მათ უერთდებიან ი. წერეთელი, ი. შენგელაია, იქმნება ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთა; ეს ერთობა უპრობლემოდ თანაარსებობს წლინახევრის განმავლობაში; უკვე 1989 წლის შემოდგომაზე მოხდა პირველი განხეთქილება ზ. გამსახურდიასა და გ. ჭანტურიას შორის, მაგრამ ხერხდება მათი შერიგება და იქმნება „ეროვნული ხსნის კომიტეტი", რომელიც 1990 წლის მარტში გარდაიქმნება ეროვნულ ფორუმად; ერთი თვის შემდეგ ეროვნულ ფორუმს ტოვებენ ზ. გამსახურდია და მისი მომხრეები, საბოლოო გათიშვა ეროვნული ფორუმის დანარჩენ წევრებთან. ყალიბდება „მრგვალი მაგიდა", რომელიც იმარჯვებს არჩევნებში და მოდის ხელისუფლებაში; „მრგვალი მაგიდის" შექმნიდან ერთი წლის თავზე, 1991 წლის აგვისტოში, იწყება მისი დაშლა და მას ტოვებს საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი თითქმის ყველა პიროვნება (ვგულისხმობ ეროვნული მოძრაობიდან მოსულ პოლიტიკურ ფიგურებს და არა ინტელიგენციის წარმომადგენლებს), ზ. გამსახურდია პარლამენტში ინარჩუნებს უმრავლესობას; თუმცა მისი გუნდი პოლიტიკურად საკმაოდ დასუსტებულია, მაგრამ „სიბრმავემდე ერთგულია" (ნ. წულეიკირის ტერმინია) და აი, აქ იწყება ტრაგედია — ოპოზიცია პრეზიდენტს „ჩაუშესკუდ" და „პატარა ცახესად" მოიხსენიებს, „სიბრმავემდე მისული ერთგულები" კი — მესიად!

დღეს ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრები, ისინი, ვინც „შერისხულები" არ არიან, მთელი ძალ-ღონით ცდილობენ ყველაფერი ოპოზიციას გადააბრალონ, ამიტომ ისმება საკითხი, განხილულ იქნას მხოლოდ დეკემბერ-იანვრის მოვლენები, რომელიც კვალიფიცირდება მხოლოდ როგორც სამხედრო გადატრიალება, მაგრამ თუ მოვლენებს მთლიანობაში, აგვისტო-იანვრის პერიოდში განვიხილავთ, მაშინ სურათი ცოტა სხვაგვარ სახეს იღებს და ჩანს, რომ ამ გადატრიალებას თითქმის ერთნაირად ამზადებდა როგორც ხელისუფლება, ასევე

ოპოზიცია. ისიც ჩანს, თუ როგორ ცდილობდა პრეზიდენტი „სიბრმავემდე მისულ ერთგულთა" მიერ შექმნილი იზოლაციის გარღვევას, მაგრამ მისი გამოსვლა ხან დაგვიანებით იბეჭდებოდა, ხან სესია წყვეტდა მუშაობას, ხან ისეთი ულოგიკო და უცნაური რამ ხდებოდა, რომ გამუდმებით ისმებოდა კითხვა, თუ ვინ მართავდა ქვეყანას! დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტს რომ ჰყოლოდა უბრალოდ ერთგული უმრავლესობა, რომელიც პასუხისმგებლობას მთლიანად პრეზიდენტს კი არ აჭიდებდა, არამედ თავადაც გაინაწილებდა, მაშინ არ დადგებოდა საკითხი, იყვნენ თუ არა პოლიტპატიმრები და არც ის ჟურნალისტები თუ ცალკეული პიროვნებები მოინათლებოდნენ „ხალხის მტრებად", ვინც საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებს მასალას აწვდიდა, ტელეჟურნალისტებთან მიღწეული შეთანხმებაც შესრულდებოდა და ოპოზიციის მიტინგები და მანიფესტაციები მთლად თუ არ შეწყდებოდა, დესტაბილიზაციის წყარო მაინც აღარ იქნებოდა.

არავითარი ილუზია არა მაქვს, ჩემი ძველი ნაცნობები ზ. ქობალია და ვ. შურღაია (სანამ „მრგვალი მაგიდის" წევრები გახდებოდნენ, ისინი „ი. ჭავჭავაძის საზოგადოების" წევრები იყვნენ) გათავისუფლების შემდეგ ჩემს პოლიტიკურ შეხედულებებს რომ გაიზიარებენ, მაგრამ მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ისინი პოლიტპატიმრები არიან (არა მარტო ისინი!), სადაც ხმა მიმიწვდებოდა, ყველგან მითქვამს და არც ვინმეს მოვრიდებივარ. ისიც მახსოვს, რა დღეში ჩავარდა პროკურატურის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ წიკლაურმა (ჯ. იოსელიანზე მოწყობილი ტერაქტის გამო იმყოფებოდა ძიებაში) ჩაი გადაისხა ზურგზე და დამწვრობა ამით მიიღოო; ამ სხდომას თვით ჯ. იოსელიანიც ესწრებოდა და ვკითხე, თუ რამდენჯერ ყოფილა მის პრაქტიკაში, რომ ციხეში ისეთი ცხელი ჩაი მიეტანოთ, რომ მისგან დამწვრობის მიღება ყოფილიყო შესაძლებელი. ჩემთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს, პიროვნულად მე ვიქნები ციხეში თუ სხვა, მაგრამ ზოგადად ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის სულ ერთია, მთავარია, ქვეყანაში პოლიტპატიმრები არ იყვნენ. სანამ პოლიტპატიმრები იქნებიან, ქვეყანა ვერც დემოკრატიული იქნება და ვერც სამართლებრივი, მე კი ძალიან მინდა, რომ საქართველო სწორედ ასეთი ქვეყანა იყოს!

სამწუხაროდ, სწორედ „სიბრმავემდე მისულ ერთგულთა" და ოპოზიციის რადიკალური ნაწილის ურთიერთუკომპრომისო დამოკიდებულებამ გამოიწვია დეკემბერ-იანვრის მოვლენები.

საქართველოში ბაზალეთის ტრაგედია განმეორდა!

1998-99 წ.წ.

ჩალით დახურული ქვეყანა

ქვეყანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენი ქვეყანაა. ამ ელემენტარული ჭეშმარიტების ხმამაღლა განცხადება უხერხულიც კი იქნებოდა, ერთი კითხვა რომ არა, ჩვენს კეთილისმყოფელს, შინაური იქნება თუ გარედან მოსული, ჩვენი ყოფის შემხედვარეს აუცილებლად რომ გაუჩნდება: რატომ ვექცევით საკუთარ ქვეყანას ისე, თითქოს შემოსეული დამპყრობლები ვიყოთ?

დამპყრობელი, ურჯულო და გადამთიელი ამ მიწა-წყალს უამრავი უნახავს, მაგრამ ალბათ არ მოიძებნება რომელიმე მათგანი, ცალკე აღებული, რომელსაც იმდენი უბედურება დაეტრიალებინოს, რამდენიც ჩვენს თავს ჩვენვე დავატეხეთ! განა რომელი პირსისხლიანი შაჰ-აბასი შეძლებდა აეძულებინა მილიონზე მეტი ქართველი საკუთარი ქვეყნიდან უცხოეთში გადახვეწილიყო ლუკმა-პურის საშოვრად, ანდა რა მასშტაბისა და სიხშირის შემოსევები უნდა განეხორციელებინა თემურ-ლენგს, რომ ქვეყნის ეკონომიკა ასე გაეჩანაგებინა? რომელი მონღოლი ყაენი გაბედავდა ჩვენთვის იმდენი ხარკი დაეკისრებინა, რამდენსაც ჩვენ — ჩვენს მიერვე აღებული საგარეო ვალების მომსახურებასა და პროცენტებში — ვიხდით და ვალს ჩვენსავე მომავალს ვუტოვებთ გადასახდელად? — ალბათ ვერც ერთი! ამის მოხერხება მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო და ჩვენ ეს მოვახერხეთ!

დიახ, ჩვენ, ყველამ ერთად, დიდმა და პატარამ, ერმა და ბერმა (პოზიციამ და ოპოზიციამ), მივეცით ნება, რომ რაც მოხდა და ხდება, ჩვენი სახელით, ხალხის სახელით მომხდარიყო; ჩვენ მივეცით უფლება, როგორც მონებს, ისე მოგვპყრობოდნენ და ახლა რატომღა გვიკვირს, ასე რომ გვექცევიან?

განა ჩვენ ის ხალხი არა ვართ, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ლამის 100 %-ით რომ დავუჭირეთ მხარი, ხოლო სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ იგივე პროცენტით უკვე შევარდნაძე ავირჩიეთ? განა ჩვენ არ ვიყავით, რუსთაველის გამზირზე კარვებში წამოწოლილნი აღფრთოვანებით რომ ვხვდებოდით გამსახურდიას ნებისმიერ განცხადებას და არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ იმავე რუსთაველის გამზირზე ახლა უკვე მუხლებზე დაცემულნი ე. შევარდნაძეს ვევედრებოდით, არ გადამდგარიყო და არ დაელუპა საქართველო? უბედურება კი ისაა, მშვენივრად ვგრძნობდით, — ყველანი თუ არა, დიდი უმრავლესობა მაინც, — რომ არც ზ. გამსახურდიას განცხადებები

შეიცავდა ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას და არც ე. შევარდნაძე იყო სადმე წამსვლელი, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წასასვლელი აღარსად ჰქონდა!

განა ჩვენ არ ვიყავით, კულუარებში, — რადგან საჯაროდ თქმას ვერ ბედავდით, — მაზოხისტური სიამოვნებით რომ ვლაპარაკობდით ზ. გამსახურდიასა და ე. შევარდნაძის პოლიტიკურ თუ სამხედრო კრახზე სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, თითქოს სამაჩაბლოსა და აფხაზეთს ზ. გამსახურდია და ე. შევარდნაძე კარგავდნენ და არა ჩვენ, ყველანი, მთელი საქართველო?!

ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ძალიან იოლად რომ გავიმეტეთ ერთმანეთი ტყვიის სასროლად, თანაც არა ერთხელ და შემდეგ, ვითომდა შეწუხებულნი, სინამდვილეში კი თავის მართლების სურვილით შეპყრობილნი, იმის განსჯაში ვიყავით და დღესაცა ვართ, თუ ვინ, რომელმა მხარემ ისროლა პირველმა?! იმას კი ვეღარ მივმხვდარვართ, რომ თუ ეს გასროლა ქვეყანას ანგრევს, სროლის უფლება საერთოდ არ გვაქვს, არც პირველს და არც მეორეს! ვერ გაგვიაზრებია, რომ პოლიტიკური დაპირისპირება და ქუჩაში საქმის გარჩევა დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ პოლიტიკური ოპონენტი მოსისხლე მტერი არ არის და რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება საკუთარი, — ჩვენთვის შესაძლოა მცდარი და მიუღებელი, მაგრამ მაინც საკუთარი, — შეხედულება ჰქონდეს, რომ ნებისმიერ არგუმენტს კონტრარგუმენტი უნდა დაუპირისპირო, მოპაექრის აზრებს და შეხედულებებს უნდა ებრძოლო და არა თავად მოპაექრეს, ხოლო როდესაც კონტრარგუმენტი არ გაგაჩნია, უბრალოდ უზნეობაა მოპირდაპირეს აგენტის, მოღალატის და ა.შ. იარლიყი მიაკერო, თანაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე!

ზოგადად, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ამგვარად მოქცევა არ შეიძლება, არც თეორიული მსჯელობის დროს მოგვდის შეცდომები, მაგრამ ვიცით მანამ, სანამ პირადად ჩვენ, ჩვენს იდეას ან იდეალს შეეხებიან, ოღონდ, როგორც კი ეს მოხდება, თეორიულ ცოდნას და ზნეობას მაშინვე ვივიწყებთ და მზად ვართ ნებისმიერი ხერხით და მეთოდით გავანადგუროთ მონინააღმდეგე.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ბოლო 10-12 წლის განმავლობაში ჩვენ იმდენი ჭუჭყი და სიბინძურე შევაფრქვიეთ ერთმანეთს, რომ დღეს საქართველოში არ მოიძებნება პიროვნება, რომლის ზნეობა და ცხოვრების წესი მისაბაძი მაგალითი იქნებოდა მოსახლეობის უდიდესი

ნაწილისთვის და რომლის ნათქვამი სიტყვაც საზოგადოების ნდობას მოიპოვებდა.

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ღვარძლის და ბოღმის ღვარცოფი დღესაც მძვინვარებს, უფრო და უფრო მეტ პიროვნებას ითრევს თავის მორევში და შესაბამისად მრავალფეროვანი ხდება იარლიყებიც — „კაგებეს" აგენტობიდან „ცისფერობამდე" ისე მივედით, პროტესტის გრძნობა არც გაგვჩენია; ეგ კი არა, გულის სიღრმეში თითქოს გვსიამოვნებს კიდეც, იმგვარი აზარტით ვიმეორებთ სხვათა განმაქიქებელ ეპითეტებს და ვერც ვგრძნობთ, რომ ამით ჩვენც იმავე ჭაობში ვეშვებით და მისი ნაწილი ვხდებით.

ასეთია დღეს ჩვენი საბედისწერო რეალობა, ასეთები ვართ დღეს ჩვენ, რადგან დაგვავიწყდა თუ დაგვავიწყეს, რომ ჩვენ ის ხალხიც ვართ, ვისაც შეუძლია გაუგონარ რისკზე წავიდეს — განა ჩვენ არ დავარღვიეთ საბჭოური ცხოვრებისა და წყობის იდილია და ქართული ენის სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად გამოვედით ქუჩაში? განა ჩვენ არ ვიყავით პირველები, მთელი მსოფლიოს გასაგონად საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა და დამოუკიდებლობა რომ მოვითხოვეთ და ამით წერტილი დავუსვით „გლასტნოსტისა" და „პერესტროიკის" უსაზღვრო ხოტბას? განა ჩვენ არ გავიღეთ მსხვერპლი, დამოუკიდებლობა რომ მოგვეპოვებინა და მოვიპოვეთ კიდეც?! ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ჯოხით ხელში ტანკს რომ შეუძლია ებრძოლოს, იარაღი აისხას და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მოხალისედ წავიდეს, თანაც იცოდეს, აფხაზებთან და ოსებთან კი არ მოუწევს ომი, არამედ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული რუსული სპეცრაზმები იქნებიან მისი მონინააღმდეგენი?

დიახ, ეს ხალხიც ჩვენ ვართ; ჩვენ ასეთებიც ვიყავით და არც თუ ისე დიდი ხნის წინათ!

იქნებ დადგა დრო, გავიხსენოთ, რომ ეს ქვეყანა ჩვენია და რომ დამოუკიდებლობა ვინმეს ახირების დასაკმაყოფილებლად კი არ გვინდოდა, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი შესაფერი ადგილი დაგვეკავებინა მსოფლიოს ხალხთა შორის; იმისათვის გვინდოდა, რომ ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას ღირსეულად ეცხოვრა და ელვაწა, რომ შესაძლებლობა ჰქონოდა, სრულად გამოეხატა საკუთარი პოტენციალი და თვითრეალიზება ისე მოეხდინა, ვინმეს გუნება-განწყობილებაზე არ ყოფილიყო დამოკიდებული; ჩვენ ხომ გვჯეროდა

— და, იმედია, დღესაც გვჯერა, — რომ უდიდესი კულტურის ერი ვართ და გვინდოდა ეს კულტურა, ჩვენი წინაპრების შექმნილი და დღემდე მოტანილი, ჩვენვე, ყოველგვარი კეთილი თუ უკეთური შუამავლის გარეშე, ჩვენივე სახელით წარგვედგინა ცივილიზებული სამყაროსათვის; ჩვენ ხომ ის გვინდოდა, რომ, რაც ჩვენია, უბრალოდ ჩვენი სახელი დარქმეოდა!

ჩვენ ხომ გვჯეროდა — და, იმედია, გულის სიღრმეში, ჩვენი დღევანდელი გაუსაძლისი ყოფის მიუხედავად, ისევ გვჯერა, — რომ საქართველოს ნამდვილად გააჩნია ბუნებრივი, ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, ქვეყანა რომ ქვეყანას დავამგვანოთ, სამათხოვროდ ხელგაწვდილებმა მსოფლიოში კარდაკარ არ ვიაროთ, ვინმეს ტვირთად და სარჩენად არ დავაწვეთ?!

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჩვენმა მტრებმა, სხვებმა, გაცილებით უკეთ იცოდნენ ჩვენი შესაძლებლობები, ვიდრე თავად ჩვენ, ამიტომაც უძნელდებოდათ და უძნელდებათ საქართველოს დაკარგვა, ამიტომაც ეჯახებოდნენ და ეჯახებიან იმპერიათა ინტერესები ერთმანეთს ამ ერთი ნაგლეჯი მიწის გულისათვის; ან იქნებ რეალობას იმდენად მოვწყდით, იმდენად გულუბრყვილოები გავხდით, გვგონია, რომ ათასი ჯურის გადამთიელი ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენს გადასარჩენად ან დასახმარებლად მოდიოდა და მოდის? აკი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაჩნდა კიდეც აზრი, „რად გვინდოდა ეს დამოუკიდებლობა, მშვენივრად ვცხოვრობდითო", ან კიდევ უარესი, — „რუსეთს რა, თურქეთი და ამერიკა (ზოგადად დასავლეთი) რით ჯობიაო!" — თითქოსდა დამოუკიდებლობა ახალი ბატონის საძებრად გვინდოდა და სხვად არაფრად! ჩვენ კი ერთხელაც არ მოგვსვლია აზრად, ხმამაღლა გვეკითხა, ვინაა ეს ხალხი: კუჭს დამონებული, საკუთარ კეთილდღეობას ჩაბღაუჭებული მონები, ვისთვისაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებამდეა დასული, თუ უფუნქციოდ დარჩენილი რენეგატები? ან იქნებ ინტერნაციონალური მოძღვრებიდან კოსმოპოლიტობამდე ამაღლებული უნაყოფო და გულცივი ინტელექტუალები! იქნებ ყველანი ერთად ან იქნებ არც ერთი?! შესაძლოა, პრობლემა გაცილებით მარტივი იყოს და ჩვენვე ვართულებდეთ — იქნებ ეს ის ხალხია, ვინც დამოუკიდებლობის სიმძიმეს და პასუხისმგებლობას ვერ გაუძლო, მარტო დარჩენილმა თავი მიუსაფრად იგრძნო და ახლა, შეშინებული და დაბნეული, ყოველი მხრიდან არსებული თუ არარსებული ხიფათის

მოლოდინში თავშესაფარსა და მყუდრო ადგილს სასოწარკვეთილი დაეძებს, აქეთ-იქით აწყდება და აღარც კი ფიქრობს, რომ ამ გაუთავებელ ხეტიალში შეიძლება მგელს პირში თავადვე ჩაუვარდეს!

ასეთები არიან თუ ისეთები, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან საბოლოოდ შედეგი მაინც ერთი იქნება და მას დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვება; თუმცა, ალბათ, ჯობია, ეს ხალხი შიშისა და დაბნეულობის გამო ეძებდეს თავშესაფარს, რადგან, თუ ჩვენ მარჯვედ ვიქნებით, ცოტა ხანში შიშიც გაივლის და დაბნეულიც ბოლოს და ბოლოს გონს მოეგება, ოღონდ ნამდვილად უნდა გვჯეროდეს, რომ ვინც უნდა იყვნენ ისინი, „უძლები შვილები" თუ „ძე შეცთომილნი", მაინც ჩვენი სისხლი და ხორცია, მაინც ჩვენი ჯიშისა და ჯილაგისა არიან და ჩვენც, როგორც მოყვასს, ისე უნდა მოვექცეთ, რადგან, პოეტისა არ იყოს, „საქართველო არ უყვარდეთ, ყოვლად შეუძლებელია!"

ცხადია, უამრავი და თანაც კატეგორიული მოწინააღმდეგე გამოუჩნდება ამ აზრს ჩვენს დაძაბულ და ურთიერთდაპირისპირებულ საზოგადოებაში; ყველაზე „ლმობიერნი" მას უბრალოდ პოეტურ ფრაზად მონათლავენ, რადგან ქვეყანაში არსებული რეალობაა თავად ყველაზე ძლიერი და წონადი არგუმენტი საპირისპირო მოსაზრების დასამტკიცებლად; სიტუაციის მთელი დრამატიზმიც სწორედ ესაა — პარადოქსია, მაგრამ საქართველო მართლაც ყველას უყვარს და როდესაც მავანი და მავანი ამის შესახებ საჯარო განცხადებას აკეთებს, ნამდვილად გულწრფელია, თუმცა ჩვენ მისი გულწრფელობისა არ გვჯერა, — უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ მავანი ცრუობს, — ოღონდ ამ მომენტში თუ ვინმე გამოჩნდა და გვკითხა, ანდა ჩვენ თავადვე ვკითხეთ საკუთარ თავს, ვინ არ ცრუობსო, იძულებულნი ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ცრუობს ყველა და ამ „ყველაში" თავადაც ვართ, ან იხტიბარი არ გავიტეხოთ და განვაცხადოთ, რომ „ჩვენ არ ვცრუობთ," მაგრამ, თუ კარგად ჩავეძიებით, ყველაზე უკეთეს ვარიანტში ეს „ჩვენ" სულ რამდენიმე კაცი აღმოჩნდება, რაც თავისთავად აბსურდია, რადგან არ შეიძლება, რომ იმ ერს, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე უამრავი უბედურება გადაიტანა და დღემდე მოაღწია, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სტალინური რეპრესიების პერიოდშიც არ შეუწყვეტია და თუნდაც ახლო წარსულში ეროვნული მოძრაობა ააზვირთა, თითზე ჩამოსათვლელი პატრიოტი მამულიშვილი ჰყავდეს!

პატრიოტები და მამულიშვილები ჩვენ არ გვაკლია, არც წესიერი, პატიოსანი და განათლებული ადამიანები, ოღონდ ეგაა, მე ჩემი

საქართველო მაბადია, შენ — შენი, სხვას — თავისი და თითოეულ ჩვენგანს „თავისი საქართველო" უყვარს, მის გადარჩენას ცდილობს და როგორც შეუძლია, ისე პატრონობს, მაგრამ, რადგან თვლის, რომ ეს „მისი საქართველოა," ამიტომ გამართლებულად და ზნეობრივად მიაჩნია, მისი ბედი ისე გადაწყვიტოს, როგორც მოესურვება: გაყიდის, გაასხვისებს, გაძარცვავს, თუ შუქი და გაზი შეუწყდა, მზადაა, რუსეთს შეუერთდეს და როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, — ყოველ შემთხვევაში, ის ამას პატრიოტიზმს ეძახის! — „საკუთარი საქართველოსთვის" ილვწის, ჩვენი უბედურება კი ისაა, რომ ვერ მოვახერხეთ „ჩვენი საქართველოების" გაერთიანება, ყველასი თუ არა, უდიდესი ნაწილის მაინც.

ცალ-ცალკე, ან, უკეთეს შემთხვევაში, მცირე ჯგუფებად დაყოფილნი, საკუთარი თავის წინაშე მართლებიც ვართ და პატრიოტებიც, მაგრამ მთლიანობაში გვიჭირს, მთლიანობაში ვტყუივართ ყველა, ვტყუივართ ჩვენი დღევანდელობისა და მომავლის წინაშე. ვტყუივართ, რადგან ქვეყანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ის ურთიერთობები, რომელიც ამ ქვეყანაშია დამკვიდრებული, ურთიერთშეურაცხყოფაზე, სიცრუესა და სიყალბეზეა აგებული. შედეგად მივიღეთ ულირსებო და უზნეო საზოგადოება, რომელშიც ურწმუნოებაა გამეფებული და რომელიც, ეკლესიაში მომრავლებული მრევლის მიუხედავად, დღეს უფრო შორს დგას ჭეშმარიტი რწმენისაგან, ვიდრე კომუნისტურ-ათეისტურ პერიოდში, რადგან ფარისეველთა სიმრავლემ შთანთქა ჭეშმარიტი რწმენაცა და მორწმუნეც.

თავად სიტყვა „საზოგადოებაც" ჩვენს რეალობაში ცალკეულ ინდივიდთა უბრალო არითმეტიკულ ჯამს უფრო აღნიშნავს, ვიდრე ადამიანთა იმგვარ ერთობას, რომელთაც ცხოვრების საერთო მორალური და ზნეობრივი ნორმები აქვთ, ამიტომ ჩვენი საზოგადოებაც და ჩვენი ერიც არსებულ (თუ დარჩენილ?) ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა არითმეტიკული ჯამია, რომელთაც არც საერთო მიზნები ამოძრავებთ, არც საერთო ფუნქცია გააჩნიათ და დღეს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 10 წლის შემდეგ, იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ ჩვენ ვერ შევძელით დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, რადგან ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას დაუპირისპირდა სწორედ ის ძალა, რომელსაც თავად უნდა ეტვირთა დემოკრატიული სახელმწიფოს შენების მთელი სიმძიმე — ესაა საქართველოს ხელისუფლება!

სახელმწიფოს შექმნას და ჩამოყალიბებას მაშინ აქვს აზრი და გამართლება, თავად სახელმწიფოს არსებობას კი მყარი საფუძველი, თუ ის გამოხატავს და იცავს იმ ადამიანთა უმრავლესობის ინტერესებს, რომლებიც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან; უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო არსებობას და საქმიანობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ; იცავს ტერიტორიულ მთლიანობას, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას, ქმნის სამართლებრივ გარემოს, იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. თუ სახელმწიფო ამ ფუნქციას ვერ ასრულებს, მაშინ იგი ზედმეტ ტვირთად აწვება მოსახლეობას და ხშირ შემთხვევაში ხელისშემშლელ ფაქტორადაც კი იქცევა ხოლმე.

ეს პრინციპი თანაბრად მოქმედებს ყველა ქვეყანაში, განვითარების რა დონეზეც უნდა იმყოფებოდეს იგი. მიუხედავად ამისა, ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების უფრო სრულყოფილი მექანიზმი კაცობრიობას არ შეუქმნია, სწორედ ამიტომ არც სახელმწიფოებრიობაზე უთქვამს უარი ვინმეს, რადგან ყველასთვის ცხადია: თუ სახელმწიფო თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, ამაში დამნაშავეა არა დამოუკიდებლობის ან სახელმწიფოებრიობის არსი, არამედ ის მექანიზმი, რომელმაც სახელმწიფოს ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოს.

იმ ქვეყნებში, სადაც დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი არსებობის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ, ამგვარ მოვლენებს სახელისუფლებო კრიზისს უწოდებენ და მისი მშვიდობიანი ხერხებით დაძლევის შესაბამის მექანიზმებსაც ფლობენ, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ამგვარი მექანიზმი და ტრადიციები არ არსებობს, კრიზისის დაძლევა ხშირად სახელმწიფო გადატრიალებით, რევოლუციითა და სამოქალაქო ომით სრულდება, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებმაც, რომლებიც დღეს სახელისუფლებო კრიზისის დაძლევის მშვიდობიანი მეთოდებით ამაყობენ, ამ მექანიზმების შექმნასა და ამუშავებამდე საკმაოდ ხანგრძლივი მშფოთვარე რევოლუციური პერიოდი გაიარეს და ბრძოლით მოიპოვეს დღევანდელობა, მაგრამ ამ ისტორიული და ხანგრძლივი პერიოდის არც ერთ ეტაპზე არც სახელმწიფოებრიობაზე უთქვამთ უარი და არც ბრძოლა შეუწყვეტიათ.

ასეთია ისტორიული გამოცდილების მკაცრი რეალობა. ამ გამოცდილების კრიტიკული ანალიზი და მისი შედეგების გათვალისწინება

ჰაერივით სჭირდება დღეს ჩვენს დამოუკიდებლობას და სახელმწიფოებრიობას, რომ რაც შეიძლება მცირე დანაკარგებით დავძლიოთ ის სახელისუფლებო კრიზისი, რომელმაც ქვეყანა მოიცვა, — მით უმეტეს, ჩვენ არც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის ხანგრძლივი ტრადიცია გაგვაჩნია და არც საკუთარ ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილება გვაქვს. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ ვებრძოლოთ უცხო იმპერიებს, როგორ შევინარჩუნოთ კოლონიურ პირობებში ეროვნული თვითმყოფადობა და სარწმუნოება, როგორ მოვარგოთ ჩვენი ეკონომიკა მეტროპოლიას, მაგრამ არაფერი გაგვეგება იმისა, როგორ მოვახერხოთ ყოველივე ეს საკუთარი ხელისუფლების პირობებში, რადგან საკუთარ ხელისუფლებასთან ბრძოლის ჩვენთვის მისაღები (და არა ისეთი, როგორიც იყო 1991-92 წლებში) არც ფორმები და მეთოდები გაგვაჩნია და არც გამოცდილება.

არადა, ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაუცხოებამ მიაღწია იმ ზღვარს, რომლის იქით ამ პროცესის მშვიდობიანი გაგრძელება თითქმის შეუძლებელია. ხელისუფლებისადმი ნდობის ფაქტორი ნულზე დგას და მისი მომატების არანაირი პერსპექტივა არ არსებობს. ქვეყანა „კრიტიკული ლოდინის" პირობებში ცხოვრობს და შესაძლოა, ნებისმიერი მცირეოდენი „შეშფოთებაც" საკმარისი აღმოჩნდეს სისტემის მდგრადობის დასარღვევად. როგორი იქნება ეს „შეშფოთება" ან რამ შეიძლება ითამაშოს დეტონატორის როლი, ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია განსაზღვრო „კრიტიკული ლოდინის" ხანგრძლივობა — იგი შეიძლება დამთავრდეს „ხვალ" და შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში! აქედან გამომდინარე, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა დრო დაგვრჩა მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

და რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია: გვაქვს კი რაიმე შანსი, თუნდაც თეორიულად, რომ ამ სიტუაციას თავი დავაღწიოთ, თუ იმ ხომალდის მგზავრები ვართ, რომელიც, მართვის უნარს მოკლებული და ორიენტაციადაკარგული, აქეთ-იქით აწყდება მსოფლიო პოლიტიკურ ოკეანეში და გარდაუვალი კატასტროფა ემუქრება?!

ხელისუფლებისადმი გაუცხოების პრობლემა ჩვენთვის სიახლეს არ წარმოადგენს, უფრო პირიქით: მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი, ანუ მთელი კომუნისტური პერიოდი, სწორედ ამგვარ ვითარებაში გაატარა და შეიძლება ითქვას, არსებობისათვის საჭირო იმუნური თვისებებიც კი

გამოიმუშავა; ოღონდ, როგორც კი არაფორმალური გაერთიანებები შეიქმნა და საკუთარი ნების ღიად გამოხატვის საშუალება მიეცა, არჩევანის გაკეთება არ გასჭირვებია, უყოყმანოდ დადგა მათ გვერდით, რამაც არაფორმალური მოძრაობა საერთო-სახალხო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად აქცია.

ეროვნული მოძრაობის ასეთი მძლავრი და მასშტაბური ხასიათის მიუხედავად გაუცხოების ფაქტორის დაძლევა უმსხვერპლოდ მაინც ვერ მოხერხდა — 9 აპრილის ტრაგედიამ, ერთის მხრივ, დაასრულა გაუცხოების პროცესი და მოხსნა საზოგადოების შიგნით არსებული მკვეთრი დაპირისპირება, მეორეს მხრივ, ეროვნული მოძრაობა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველ ძალად, ანუ „დე-ფაქტო" ხელისუფლებად აქცია; 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ამ ფაქტის მხოლოდ „დე-იურე" გაფორმება იყო.

სამწუხაროდ, ეს იდილია არც თუ ისე დიდხანს გაგრძელდა: ოპოზიციასთან (როგორც საპარლამენტო, ასევე „ქუჩის", როგორც მაშინ უწოდებდნენ) მკვეთრი დაპირისპირებისა და მრგვალი მაგიდის დაშლის პარალელურად, გაუცხოების პროცესი კვლავ განახლდა და 1991-92 წლების ცნობილი მოვლენებით დასრულდა.

ვერც პირველად და ვერც მეორედ ჩვენ ვერ შევძელით გაუცხოების პროცესი უმტკივნეულოდ, ტრაგედიების გარეშე დაგვეძლია, ოღონდ პირველ შემთხვევაში მსხვერპლი გაცილებით მცირე იყო, — რაც სრულიად ლოგიკურია, — რადგან ის პირობები, რომლებიც წინ უძღოდა გაუცხოების პროცესის დაძლევას, სხვადასხვაგვარი იყო: პირველ შემთხვევაში, გაუცხოების პროცესის დაძლევას, ხელისუფლებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას და მის უარყოფას თან სდევდა დამოუკიდებლობის მოპოვების პოზიტიური სანყისი, ანუ საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ იცოდა არა მარტო ის, რა არ უნდა, არამედ ისიც, რა უნდა. მიზანი იმდენად გამოკვეთილი, ნათელი და სასურველი იყო, დამატებითი არგუმენტირება არ სჭირდებოდა, უფრო მეტიც: ხელისუფლებაში მყოფთა საკმაოდ დიდი ნანილისთვისაც დამოუკიდებლობის იდეა მთლიანად მისაღები იყო და ისინი აშკარად თუ ფარულად თანაუგრძნობდნენ ეროვნულ მოძრაობას, თუმცაღა ცდილობდნენ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებას მათი კარიერის დასასრული არ მოჰყოლოდა. შესაბამისი იყო ეროვნული მოძრაობის მხრიდან მათდამი დამოკიდებულებაც: საზოგადოება მათ აღიქვამდა არა როგორც უცხოებს, არამედ როგორც შემსრულებლებს,

მარიონეტებს უცხო ძალის ხელში და არა გადაწყვეტილების მიმღებთ, რაც თავისთავად რეალობას წარმოადგენდა, ამიტომ გაუცხოების დაძლევის ფაქტორი მეტროპოლიისკენ იყო მიმართული. ამგვარი დამოკიდებულების, მიდგომის შედეგი იყო ის, რომ 9 აპრილის ტრაგედიამ ერის გახლეჩა კი არ გამოიწვია, როგორც ალბათ ჩაფიქრებული იყო, არამედ გამთლიანება.

მეორე შემთხვევაში გაუცხოების პროცესი იმდენად სწრაფად გადაიზარდა შეიარაღებულ დაპირისპირებაში, რომ ვერ მოასწრო მოეცვა მოსახლეობის უმეტესობა; უფრო ზუსტი თუ ვიქნებით, უნდა აღინიშნოს, რომ გაუცხოების პროცესი მხოლოდ საწყის სტადიაში იყო, რეალურად საზოგადოების ფართო ფენებში ჯერ მხოლოდ „მრგვალი მაგიდის" არასწორი საკადრო პოლიტიკით გამოწვეული იმედგაცრუება იდგამდა ფესვს. ამას თან ერთვოდა ის ფაქტორიც, რომ ვერ მოხერხდა სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაცია (ცვლილებები მხოლოდ სახელისუფლებო სტრუქტურების სახელწოდებებს შეეხო) და ცხოვრების წესის შეცვლა. მეორე მხრივ, „მრგვალი მაგიდა" აღიქმებოდა იმ ძალად, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლო, — იდეალი აღასრულა. გარდა ამისა, მრგვალი მაგიდა მოსახლეობის თვალში არ აღიქმებოდა უცხო ძალის მარიონეტად და არც ოპოზიციის მიერ მისთვის წაყენებული პრეტენზიებისადმი — დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება — ჰქონდა ერთგვაროვანი და გამოკვეთილი დამოკიდებულება. ამის შედეგი იყო ის, რომ 1991-92 წლების მოვლენებმა ქვეყანა ორად გახლიჩა და მართალია, ლოკალური, მაგრამ მაინც სამოქალაქო ომით დასრულდა. ძნელია დღეს დაბეჯითებით ამტკიცო, რა მოხდებოდა, დეკემბერ-იანვრის მოვლენები თუნდაც ნახევარი წლით რომ გადაწეულიყო; უფრო სავარაუდოა, რომ მოხდებოდა რეჟიმის შეცვლა უმტკივნეულოდ, ისევ არჩევნების გზით (მით უმეტეს, უკვე დაწყებული იყო დებატები ვადამდელი არჩევნების აუცილებლობაზე) ან მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს ძალიან ეჩქარებოდათ ან უბრალოდ ხელს არ აძლევდათ მშვიდობიანი ფორმით რაიმე ცვლილების განხორციელება.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში ხელისუფლებასთან გაუცხოების, გნებავთ, დაპირისპირების საფუძველი წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო. შესაძლოა, იყო სოციალური მოტივიც, ოღონდ ის წინა პლანზე არ წამოწეულა — ეს აქვს საერთო

წინა ორ დაპირისპირებას და სწორედ ამით განსხვავდებიან ისინი დღევანდელობისაგან.

გაუცხოების კვანძის გახსნამ ამჯერად შესაძლოა სოციალური აფეთქების ფორმა მიიღოს. თუ ასე მოხდა, ეს იქნება საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა თავისი გამანადგურებელი ხასიათით. ჩვენ, მართალია, სოციალური კატაკლიზმების უშუალო გამოცდილება არ გაგვაჩნია, მაგრამ არსებობს სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილება, რომლის ანალოგიით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ განვითარდება მოვლენები (თუნდაც დღევანდელი არგენტინის მაგალითზე): სოციალური აფეთქება, როგორც წესი, ელვის უსწრაფესად ედება მთელ ქვეყანას და სტიქიური კატასტროფის შედეგები მოაქვს, ქვეყანა მყისიერად იძირება ქაოსისა და ანარქიის მორევში... დიდი ქვეყნები მძიმე დანაკარგებით, მაგრამ მაინც ახერხებენ ქაოსიდან თავის დაღწევას, პატარა ქვეყნები კი, გარედან კეთილი და გულწრფელი დახმარების გარეშე, — რისი იმედიც ჩვენ ნაკლებად უნდა გვქონდეს, უფრო პირიქით, — ხანგრძლივი და გამანადგურებელი ქაოსისთვის არიან განწირულნი, ანუ ჩვენ სწორედ ის საფრთხე გვემუქრება, რასაც აწ განსვენებულმა ბატონმა აკაკი ბაქრაძემ „საქართველოს ლიბანიზაცია" უწოდა.

აქვს კი გაცნობიერებული საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მთელი ტრაგიკულობა? თუ მათი, განსაკუთრებით პრეზიდენტის, გამოსვლებით და განცხადებებით ვიმსჯელებთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ისინი სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, ჩვენ — სხვაში. რეალურად ასეცაა: იმ ქვეყანაში, რომელშიც ხელისუფლება ცხოვრობს ანუ „ხელისუფლების საქართველოში" სოციალური, კომუნალური და ფინანსური პრობლემები ნამდვილად არ აწუხებთ, ამ პრობლემებზე იქ მხოლოდ მსჯელობენ და გადმოცემით იციან მათ შესახებ; ეს პრობლემები აწუხებთ მათ, ვინც მეორე საქართველოში, „ხალხის საქართველოში" ცხოვრობს, ამიტომ ქვეყანა შინაგანად ორ, ერთმანეთს დაპირისპირებულ ნაწილადაა გაყოფილი. თუ მათი გამთლიანება არ მოხერხდა, შეჯახება გარდაუვალია, დაპირისპირება კი თანდათან იზრდება და სულ უფრო მწვავე ფორმას იღებს. ამის დასტურია გასული წლის შემოდგომაზე ხელისუფლებასა და საზოგადოებაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები.

ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ძალებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად მაინც აცნობიერებენ შექმნილ სიტუაციას,

არა მგონია, მოიძებნოს ისეთი, „ქუჩის აგორება" თვითმიზნად რომ ჰქონდეს ქცეული, მაგრამ არსებული სოციალური გარემო თავად აიძულებს მოსახლეობას მიმართონ სპონტანურ საპროტესტო აქციებს, იქნება ეს ქუჩის გადაკეტვა, შიმშილობა, გაფიცვები თუ მუქარა უმართავი სიტუაციის შექმნისა. ჯერჯერობით ეს აქციები ერთმანეთისგან დამოუკიდებელ და ლოკალურ ხასიათს ატარებენ, მაგრამ იმის ალბათობა, რომ საპროტესტო აქციებმა ქვეყნის რამდენიმე ნაწილში ერთდროულად იფეთქოს და უმართავ და ქაოტურ პროცესებში გადაიზარდოს, ძალიან მაღალია. ეს საფრთხე მოკლე დროში იმდენად რეალური და ხელშესახები იქნება, რომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც ჯერჯერობით მაინც ნეიტრალურ პოზიციაში ყოფნას ამჯობინებენ, იძულებულნი გახდებიან იკისრონ საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება, რათა თავიდან აიცილონ ანარქია და ქაოსი. მითუმეტეს, რომ დღეს აუცილებელი და მთავარია არა მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფ პერსონათა ცვლილებები, — თუმცა პრეზიდენტი და პარლამენტი არც ამისათვის აღმოჩნდნენ მზად, — არამედ მართვის იმ სტილისა და რეჟიმის შეცვლა, რომელიც ქვეყანაშია დამკვიდრებული.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მრავალი პოლიტიკოსი თუ პოლიტოლოგი შეეცადა გაერკვია, როგორი ტიპის სახელმწიფოსა და სახელისუფლებო მმართველობის პირობებში ვცხოვრობთ; იყო უამრავი ვერსია: ტოტალიტარული, ავტორიტარული, პოლიტიკური და სხვა (ნიშანდობლივია, რომ „დემოკრატიული" არავის, თვით ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კი არ უხსენებიათ); თითოეულ ამ განსაზღვრებაში სიმართლის მარცვალი, რაღა თქმა უნდა, არსებობდა, მაგრამ რეჟიმის ხასიათს სრულფასოვნად ვერც ერთი მათგანი ვერ გამოხატავდა; შესაძლოა იმიტომ, რომ მმართველობის ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებული და ფორმირებული არ იყო. ახლა, შეიძლება ითქვას, ფორმირების პროცესი თითქმის დასრულებულია; უფრო მეტიც, 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებით იურიდიულადაც კი გაფორმდა და ჩვენ მივიღეთ მმართველობის კორუფციული რეჟიმი.

ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, კორუფციაზეა დაფუძნებული. კორუფცია წარმართავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თვით იმ სტაბილურობასაც კი, რომლითაც ხელისუფლება თავს იწონებს,

კორუფცია განაპირობებს.

ამ რეჟიმის იდეოლოგი და შემქმნელი არის საქართველოს პრეზიდენტი

ბ-ნი ე. შევარდნაძე.

მომავლის ისტორიკოსი, რომელიც ჩვენს პერიოდს შეეხება, გვერდს ვერ აუვლის ე. შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებას. იგი გაცილებით მკაცრი და ობიექტური იქნება, მაგრამ ლოიალურიც რომ იყოს, მაინც იძულებული იქნება, ეს პერიოდი გამოუყენებელ შესაძლებლობათა ათწლეულად აღიაროს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია: როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია, ასევე ე. შევარდნაძეც, საკუთარი გარემოცვის ტყვეობაში აღმოჩნდნენ; იმ გარემოცვისა, რომელიც მათ თავადვე შექმნეს და რომელიც მათ გარეშე არც არაფერს წარმოადგენს. ეს გარემოცვა ყველაფერს გააკეთებს, რომ სასურველი „ტყვე" ხელიდან არ დაუსხლტეს, შეეცდება, მაქსიმალურად ისარგებლოს მისით და იმავდროულად ყველაფერი მას გადააბრალოს. ამგვარი სიმპტომები უკვე ჩანს — გემი იძირება და გამოჩნდნენ „გმირები", რომლებმაც ამ გემის დატოვება ხმაურითა და საბრძოლო ყიჟინით გადაწყვიტეს (რამაც გემზე დარჩენილთა წყრომა და რისხვა გამოიწვია); ოღონდ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, როდესაც მიხვდნენ, რომ საკომანდო პუნქტებს არავინ დაანებებდა — ისინი გემზე იუნგად იყვნენ აყვანილი და იუნგად დარჩნენ. ღმერთმა ქნას, ყველამ მშვიდობიანად გააღწიოს ნაპირს, თუ სამშვიდობოს გასულები არ მოინდომებენ სხვა სახელწოდებით იმავე ტიპის გემის კონსტრუირებას, ან გემზე დარჩენილები არ შეეცდებიან გემის გადარჩენას კაპიტნის გაწირვის ხარჯზე.

ამგვარი ვარიანტები იკვეთება და სწორედ ეს არის სახიფათო. პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრი თანდათან ფოკუსირდება ერთ პიროვნებაზე, რაც თავისთავად სრულიად ლოგიკური და სწორია, მაგრამ არავინ ან თითქმის არავინ ლაპარაკობს სახელისუფლო სისტემაზე და მის კარდინალურ ცვლილებებზე; სისტემაზე, რომელიც ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც პრეზიდენტის სავარძელს დაიკავებს, საშუალებას აძლევს ისე მოიქცეს, როგორც მოესურვება.

ამ სისტემის შექმნა და ჩამოყალიბება ჩვენს თვალწინ მოხდა და ამ პროცესში პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა მიიღო ყველამ, მთელმა პოლიტიკურმა თუ საზოგადოებრივმა სპექტრმა შევარდნაძის

უმორჩილესი მომხრეებიდან დაწყებული, ულტრარადიკალი ზვიადისტებით დამთავრებული. ე. შევარდნაძემ მაქსიმალურად გამოიყენა ყველა ბერკეტი, ყველა პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაცია, თვით აფხაზეთის დაკარგვითა და სამოქალაქო ომის ჩათვლით, რათა შეექმნა საბჭოური ტიპის კორუფციული მმართველობა. ის ტაქტიკა და ტექნიკა, რომლითაც იგი მოქმედებდა და მოქმედებს, იმდენად ბრწყინვალე და დახვეწილია, ნებისმიერ ადამიანს მოიყვანს აღფრთოვანებაში, თუ, რა თქმა უნდა, იმ ქვეყანაში არ ცხოვრობს, რომლის პრეზიდენტიც ე. შევარდნაძეა.

არადა, უფრო რეალური შანსი, მინიმალური დანაკარგებით შექმნილიყო მმართველობის დემოკრატიული ფორმა, ქვეყანაში იმ დროს არსებული არასტაბილურობის, ურთიერთდაპირისპირებულობისა და ქაოსის მიუხედავად, თვით ზ. გამსახურდიასაც კი არ ჰქონია. ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ, ის ძალა და ენერგია, ადამიანებთან ურთიერთობის, მათი ფსიქოლოგიისა და შესაძლებლობების წვდომის, რთულ პოლიტიკურ სიტუაციებში გამოსავლის მოძებნის, პოლიტიკური მანევრირებისა და კომპრომისების უნარი, რაც ე. შევარდნაძეს, როგორც პიროვნებას, უდავოდ გააჩნია, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ წარმართულიყო და არა პრეზიდენტის სავარძლის შენარჩუნებისაკენ, დღეს სულ სხვაგვარი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იქნებოდა. საუბედუროდ, ამ თვისებებმა სწორედ დემოკრატიული მმართველობის საწინააღმდეგოდ და კორუფციული რეჟიმის სასარგებლოდ იმუშავა. შედეგად შევარდნაძემ დაკარგა შანსი ჩაეწერა ბრწყინვალე ფურცელი საქართველოს ისტორიაში, ჩვენ კი ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა გვეცხოვრა ნორმალურ, სამართლებრივ სახელმწიფოში.

არსებული რეჟიმის შეცვლა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ პრეზიდენტსა და მთავრობის წევრებს, არამედ მთელ ვერტიკალურ სახელმწიფო ბიუროკრატიულ სისტემას, ამიტომ ძალიან საეჭვოა მათ თავისი ნებით, ასე ვთქვათ, „კეთილი სურვილებით", გარედან ზეწოლის გარეშე, უარი თქვან იმ სისტემაზე, რომელიც უზრუნველი ცხოვრებისა და ფუფუნების საშუალებას აძლევთ. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა გასული ნოემბრის მოვლენები, როდესაც პრეზიდენტი და მთლიანად სახელისუფლებო-ბიუროკრატიული აპარატი არა თუ რადიკალური ცვლილებების, არამედ მინისტრთა შემადგენლობის სერიოზული პერსონალური გადაფასებისთვისაც კი არ აღმოჩნდა

მზად. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ან ჩვენ შევძლებთ საზოგადოების მობილიზებას და ხელისუფლებაზე გამუდმებული ზეწოლით, რომელიც თავის თავში მშვიდობიან საპროტესტო ქუჩის აქციებსაც მოიცავს, ვაიძულებთ ხელისუფლებას დათმოს პოზიციები, ან არადა თავის ნებაზე მიშვებული, უკონტროლო და სპონტანური საპროტესტო აქციები გადაიზრდება ძალისმიერ დაპირისპირებაში.

ხელისუფლებაზე გამუდმებული ზეწოლის განხორციელება მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით არის შესაძლებელი, იმ სამოქალაქო საზოგადოებისა, რომელიც პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ხელისუფლების, — ახლანდელის თუ მომავლის — ოპონენტი იქნება და იმ დანაპირების შესრულებას მოსთხოვს, ასე უხვად რომ არიგებენ პოლიტიკური პარტიები თუ ცალკეული პირები წინასაარჩევნო პერიოდში.

P.S. ეს სტატია 2000-01 წლებში დაიწერა, მაგრამ იმ პერიოდში მისი გამოქვეყნება სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოვიყენე, როგორც ჩემი პოლიტიკური პლატფორმა; მხოლოდ 2003 წლის ნოემბერში, როდესაც საპროტესტო ტალღა აგორდა, გახდა შესაძლებელი მისი დაბეჭდვა გაზეთ „24 საათში“.

ამერიკული მარკეტინგი, რუსული დიპლომატია და ქართული ყვავილოვანი რევოლუცია

ახლა, როცა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩამთავრდა, პოლიტიკური პროცესები კონსტიტუციურ ფარგლებში მოექცა, ემოციები ჩაცხრა და საზოგადოებრივი ცხოვრება ბუნებრივ რიტმს დაუბრუნდა, ვფიქრობ, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გავიაზროთ, თუ რა, როგორ და რატომ მოხდა; შევეცადოთ, გავაანალიზოთ და შევაფასოთ განვლილი პერიოდი, რადგან ჩვენს ქვეყანაში უახლოეს მომავალში პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები სწორედ იმ ნიშნით წარიმართება, რომელსაც დასაბამი 2003 წლის ნოემბრის მოვლენებმა მისცა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნოემბრის რევოლუცია, რომელმაც ე. შევარდნაძე და მისი გუნდი ხელისუფლებას ჩამოაშორა, თუნდაც უკვე ამიტომაა პროგრესული მოვლენა და მომავლისაგან გადაფასებას არ ექვემდებარება.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ პოლიტიკური ელიტა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს საპრეზიდენტო სავარძლისათვის ბრძოლის წინაპირობად განიხილავდა; არც იმის გააზრება წარმოადგენდა დიდ სირთულეს, რომ ხსენებულ ბრძოლაში გამარჯვების რეალური შანსი ექნებოდა სწორედ იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც შეძლებდა საპარლამენტო უმრავლესობა მოეპოვებინა 2 ნოემბრის არჩევნებში, ამიტომ, გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი ან იმის არგუმენტირება, 22 ნოემბრის პარლამენტის სხდომა რომ შემდგარიყო, ახლადარჩეული პარლამენტი რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავდა (რომელ პოლიტიკურ ძალასაც უნდა ჰქონოდა უმრავლესობა), უფრო პირიქით — ახლადარჩეული საპარლამენტო უმრავლესობა, როგორც კი ოდნავ გაიმყარებდა პოზიციებს, შეეცდებოდა „კარის გადატრიალების" მოწყობას, როგორც ეს რუსეთში მოხდა, გამოიყენებდა 45-დღიან კონსტიტუციურ ვადას, რომელიც ფაქტიურად უალტერნატივოს ხდის ხელისუფლების მიერ წამოყენებულ კანდიდატს და „ლეგიტიმურად" აიღებდა ხელში ძალაუფლებას, ოღონდ ამ შემთხვევაში ე. შევარდნაძის გადადგომას მოსახლეობა ერთ მშვენიერ საღამოს ტელეეკრანიდან შეიტყობდა და გადადგომის მიზეზიც ჯანმრთელობის გაუარესება იქნებოდა და არა არჩევნების გაყალბება, ჩვენ კი მივიღებდით შევარდნაძის მმართველობის

მემკვიდრეობის სრულ კომპლექტს, სხვათა შესრულებით, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, გაცილებით უხეიროდ გააგრძელებდნენ ამ მემკვიდრეობას და მისი ფინალიც ისევ ქუჩით დამთავრდებოდა, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში პროცესები ისე მშვიდობიანად არ განვითარდებოდა, როგორც ნოემბერში მოხდა.

ნოემბრის მოვლენები თუნდაც იმიტომაცაა პროგრესული, რომ ქუჩაში გამოსულებიც და მათი მხარდამჭერებიც, შეიძლება ითქვას, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა და არა ვინმეს მხარდასაჭერად, და კიდევ: ნოემბრის მოვლენებმა დაამსხვრია მითი ე. შევარდნაძის მსოფლიო დონის პოლიტიკოსობისა და მისი უძლეველობის შესახებ, ასე გულმოდგინედ რომ უნერგავდნენ მოსახლეობას ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ამასთან, უნდა ითქვას, რომ მათ შორის, ვინც ე. შევარდნაძის პენსიაზე ვარდებით გაცილების ორგანიზება მოახდინა, საკმაოდ მრავლად იყვნენ ის ადამიანები, ვინც მის ჩამოსვლასაც ვარდებით შეეგება და შემდგომ, წლების განმავლობაში, არა მხოლოდ გუნდრუკს უკმევდა მის მოლვაწეობას, არამედ აქტიურად უჭერდა მხარს სახელმწიფო მმართველობის იმ სისტემისა და სტილის ჩამოყალიბებას, რომელთან ბრძოლაც ქუჩიდან გაცილებით ადვილია, ვიდრე პრეზიდენტის სავარძლიდან.

დაიმსხვრა კიდევ ერთი მითი — ზურაბ ჟვანიას, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსისა და კარგი ორგანიზატორისა; „ბურჯანაძე-დემოკრატებმა" მიუხედავად იმისა, რომ არ აკლდათ ფული, არც მასმედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარული თუ ღია მხარდაჭერა, სახელისუფლებო ბერკეტების გარეშე ზ. ჟვანიას ხელმძღვანელობით რეალურად ძლივს გადალახეს 7%-იანი ბარიერი.

მითების მსხვრევა უდავოდ დადებითი მოვლენაა; სხვა თუ არაფერი, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება მითიური სამყაროდან რეალურ სამყაროს უბრუნდება, თუმცა მოსალოდნელია ხიფათიც— დამსხვრეული მითების ნაცვლად არ დაიწყოს ახალი, ,,საკაშვილს მითის" ჩამოყალიბება, რაც საზოგადოებას დააბრუნებს კვლავ მითოსურ სამყაროში. საიდან თავის დაღწევასაც ისევ წლები და რევოლუციები დასჭირდება. სამწუხაროდ, რაც თავი მახსოვს, ჩვენი საზოგადოება სულ ირეალურ, მითოსურ სამყაროში ცხოვრობდა — იქნებოდა ეს ტრაგიკულ-კომუნისტური თუ ეროვნულ-ჰეროიკული — და ამ ირეალობიდან თავის დაღწევას მხოლოდ კრიტიკულ რევოლუცი-

ურ სიტუაციებში თუ ახერხებდა, ისიც მცირე ხნით, შემდგომ კი კვლავ თავის ირეალურ სამყაროს უბრუნდებოდა. რას მოვიმოქმედებთ ჩვენ ნოემბრის შემდგომ, დავრჩებით რეალურ სამყაროში თუ დავუბრუნდებით ირეალურს, სწორედ ეს განსაზღვრავს, იქცევა თუ არა 2003 წლის ნოემბერი საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქის ათვლის წერტილად.

იმედი, რომელიც ნოემბრის მოვლენებმა გააჩინა მოსახლეობაში, სიახლეს არ წარმოადგენს; ამგვარი იმედები იყო 1990 წელს, ამგვარივე მოლოდინი გაჩნდა 1991-92 წლების მოვლენების შემდგომ. სამწუხაროდ, ვერც ერთი და ვერც მეორე მოვლენა ვერ იქცა ახალი ისტორიის ათვლის წერტილად — ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა, — უმთავრესი კი ისაა, რომ 1990 წლის პოლიტიკური პროცესები სუფთა რუსული სცენარით წარიმართა, — საქართველოში არ აღმოჩნდა არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია თუ ლიდერი, რომელიც შეძლებდა ამ სცენარში ცვლილებები შეეტანა; 1991-92 წლების მოვლენები ისევ რუსული სცენარითა და დასავლეთის უსიტყვო თანხმობით განხორციელდა, ქართული პოლიტიკური სპექტრი კი ამ შემთხვევაშიც კვლავ მხოლოდ აქტიორის (შემსრულებლის) ფუნქციით შემოიფარგლა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე შემთხვევაში სცენარის რეალიზებას ხელს უწყობდა მასმედია. ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი სპექტრის უმწიფრობამ (რბილად რომ ვთქვათ), შესაძლებელი გახადა ამ სცენარების განხორციელება.

როგორი მდგომარეობაა დღეს?

ნოემბრის მოვლენები, წინა ორისგან განსხვავებით, ამერიკული სცენარითა და რუსული თანხმობით წარიმართა, ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ შემსრულებელი იყო. არის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი — თუ რუსეთი თავისი სცენარების რეალიზაციას ფარდის უკნიდან ახორციელებდა და სცენარის ავტორზე მხოლოდ ვარაუდებით შეიძლებოდა საუბარი, ამჯერად ყველაფერი საკმაოდ გახსნილად და შეუნიღბავად მოხდა. რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას, ძალიან მალე გამოჩნდება, თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ამერიკელები ღიად მონაწილეობდნენ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და მათი პარტნიორი ნებსით თუ უნებლიეთ იყო რუსეთი, გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს ორივე ქვეყანას და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ქვეყნების

დამოკიდებულება საქართველოსადმი შეიცვალა და მათ რაღაც შეთ-ანხმებას მიაღწიეს, თუმცა რამდენად ხანგრძლივი და სტაბილურია ეს შეთანხმება, ამას დრო გვიჩვენებს.

პოლიტიკურ სცენარსა და მის რეალიზებაზე საუბრისას, სულაც არ მინდა ეჭვი შევიტანო იმ ადამიანთა გულწრფელობაში, ქარსა და წვიმაში ფეხმოუცვლელად რომ იდგნენ პარლამენტის შენობის წინ და მათთვის და მთელი ქვეყნისათვის დამლუპველი რეჟიმის შეცვლას მოითხოვდნენ; არც ვინმეს ღვაწლი და ღირსება მინდა დავაკნინო, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, თავადაც რომ ვიყავი ამ აქციათა ერთ-ერთი რიგითი წევრი და მშვენივრად ვიცი, რომ არა ამ ადამიანების თავდადება, ვერავითარი სამასიოდე კმარელი, ვინც სულაც არ არის 300 არაგველი, ვერ შეძლებდა 22-23 ნოემბრის მოვლენების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება გაერკვეს იმაში, თუ რა, როგორ და რატომ მოხდა, რადგან, როგორც აღვნიშნე, პროცესი ჯერ არ დამთავრებულა და ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია სწორედ ამ ნიშნით წარიმართება.

დავიწყოთ იმით, რომ რაიმე ახალი და განსაკუთრებული 2 ნოემბრის არჩევნებში არ მომხდარა — არჩევნები გაყალბდა 1995-შიც, რომ აღარაფერი ვთქვათ 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე; შესაძლოა, ამჯერად ყველაფერი უფრო ტლანქად და არაპროფესიონალურად გაკეთდა, ვიდრე ადრე, მაგრამ ფაქტი არჩევნების გაყალბებისა მოსახლეობისათვის (ამომრჩევლისათვის) მაშინაც ცნობილი იყო და ახლაც; პრინციპში, საზოგადოება ადრეც მზად იყო გამოხმაურებოდა ამ ფაქტებს, მაგრამ არ გამოჩნდა პოლიტიკური ძალა, რომელიც წამყვან ფუნქციას იკისრებდა; 1999 წელს ამ ფუნქციის შესრულება შეეძლო ლეიბორისტულ პარტიას, მაგრამ მან ქუჩის აქციებს სტრასბური და სამართლებრივი ბრძოლა არჩია, თუმცა მაშინ მისი მხარდაჭერით არც არასამთავრობო ორგანიზაციები შეწუხებულან, არც მასმედია, არც პოლიტიკური სპექტრი და არც დასავლეთს გამოუჩენია განსაკუთრებული დაინტერესება — ლეიბორისტების დაცვა მათ ინტერესებში არ შედიოდა. ლეიბორისტებს რომ თავისი ამომრჩევლისათვის ქუჩაში გამოსვლისაკენ მოეწოდებინათ, რაც იმ პერიოდში გაცილებით დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ვიდრე გასული წლის ნოემბერში, მათ ალბათ 7%-იანი ბარიერის დაძლევის საშუალებას მისცემდნენ, რადგან მაშინ როგორც

ხელისუფლებას, ისე დასავლეთს ერჩია დაეთმო 12-ოდე მანდატი, მაგრამ შეენარჩუნებინა პარლამენტში მოქალაქეთა კავშირის უმრავლესობა, ვინაიდან ეს უმრავლესობა განსაზღვრავდა შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებში ე. შევარდნაძის უთუო გამარჯვებას.

ე. შევარდნაძის ხელმეორე გაპრეზიდენტება დასავლეთს სჭირდებოდა ორი მიზეზის გამო: პირველი. შევარდნაძის რეიტინგი 1999 წლისთვის უკვე იმდენად დაბალი იყო, რომ მას მოსახლეობის ფაქტიური მხარდაჭერა თითქმის აღარ ჰქონდა, რაც 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა დაადასტურა კიდეც, და, აქედან გამომდინარე, თუ საჭირო გახდებოდა, მისი დროზე ადრე მოშორება დიდ სირთულეებთან არ იქნებოდა დაკავშირებული. თანაც შევარდნაძე არ იყო ის პიროვნება, რომელიც წინ ალუდგებოდა დასავლეთის ნებისმიერ ინტერესს და მეორე და მთავარი: იმ პერიოდისათვის (2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მაქვს მხედველობაში) ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არ მოიძებნებოდა ისეთი პიროვნება, პოლიტიკური ლიდერი, რომელიც მისაღები იქნებოდა დასავლეთისათვის და თან გარანტირებული ექნებოდა საპრეზიდენტო არჩევნებში გაუყალბებლად გამარჯვება. სწორედ ამგვარი ლიდერის „გამოსაყვანად" იყო საჭირო დრო და იმგვარი ტიპის პარლამენტი, როგორიც 1999 წელს შეიქმნა (სხვათა შორის, ქართული პოლიტიკური სპექტრის „დაწმენდა" არსებული თუ პოტენციური ლიდერებისაგან დაიწყო 1995 წლიდან და 1999 წლისათვის ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ დამოუკიდებლად ბრძოლას საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ იდეალისტები თუ მოისურვებდნენ); რეალურად, არსებობდა მხოლოდ ორი გარანტირებული საპარლამენტო ძალა — მოქალაქეთა კავშირი და აღორძინება, ამიტომ თუ ვინმეს პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩენის სურვილი ჰქონდა, ან ერთ ძალას უნდა შეერთებოდა, ან მეორეს, რაც მის დამოუკიდებლობას, რბილად რომ ვთქვათ, გარკვეულ ჩარჩოში ათავსებდა და პარლამენტში მოხვედრის შემდეგ მისი სურვილის შემთხვევაშიც კი რეალურ ლიდერად ჩამოყალიბება დამოუკიდებლად შეუძლებელი იქნებოდა — ანუ შეიქმნა გარემო, რომლის გაკონტროლება გაცილებით ადვილად იქნებოდა შესაძლებელი და რომელშიც ადამიანთა მხოლოდ სასურველი და შეზღუდული ჯგუფიდან მოხდებოდა ლიდერის გამოყვანა. ისიც ცხადი იყო, რომ ახალი პოლიტიკური ლიდერი მხოლოდ ე. შევარდნაძის ოპოზიციიდან უნდა შექმნილიყო და მას აუცილებლად დასჭირდებოდა ტრიბუნა და გარკვეული საზ-

ოგადოებრივი მხარდაჭერა. ქართული მასმედია და არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ფუნქციის შესასრულებლად იმ პერიოდში მზად არ იყვნენ.

აი, ამიტომ არ მოახდინა დასავლეთმა რეაგირება 1999 წლის პარლამენტის არჩევნებზე და ჩვენმა საზოგადოებამ და მასმედიამ მხოლოდ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ დაიწყო თანდათან საუბარი გაყალბებულ არჩევნებზე; პარალელურად იცვლება პოლიტიკური კონიუქტურა ხელისუფლების შიგნით — უმრავლესობის ლიდერობიდან იუსტიციის სამინისტროში გადაბარგებული მ. სააკაშვილი მშენებარე ციხითა და მთავრობის სხდომებზე გაკეთებული სკანდალური განცხადებებით ტოვებს მინისტრის სავარძელს და ამჯერად უკვე როგორც ოპოზიციონერი, განმეორებით უბრუნდება ჯერ ვაკის ამომრჩეველს, ხოლო შემდგომ პარლამენტს. ვაკეში მოგებული ოპოზიციური არჩევნებით მ. სააკაშვილი ემიჯნება საკუთარ მოქკავშირულ-შევარდნაძისეულ პოლიტიკურ წარსულს, რაც გარკვეული პოლიტიკური რეაბილიტაციაც იყო. ზურაბ ჟვანია ღია წერილით მიმართავს პრეზიდენტს და მისი გარემოცვიდან დისტანცირებას იწყებს, რაც სულაც არ უშლის ხელს მიიღოს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ისეთი წესი, საჭიროების შემთხვევაში არჩევნების შედეგების რეგულირების საშუალებას რომ მისცემს; მასმედია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უკვე მზად არიან და მხოლოდ შესაფერის საბაბს ელოდებიან აქტიური ფუნქციის შესასრულებლად...

ეს საბაბიც მალე გამოჩნდა — „რუსთავი-2"-ზე უშიშროების სამინისტროს მიერ განხორციელებული ოპერაცია აღქმული იქნა სიტყვის თავისუფლებაზე შეტევად, რაც თავისთავად არც თუ ისე შორს იყო ჭეშმარიტებისაგან, რადგან „რუსთავი-2"-ის გადაცემები, განსაკუთრებით კი „60 წუთი", მართლაც ძლიერ აღიზიანებდა სახელისუფლებო ბიუროკრატიას და აყალიბებდა ანტისახელისუფლებო საზოგადოებრივ აზრს. რეაქცია სრულიად ბუნებრივი იყო და მოსახლეობა სასწრაფოდ იკრიბება „რუსთავი-2"-ის ოფისთან. ხელისუფლება ასევე სასწრაფოდ ათავისუფლებს თანამდებობიდან რამდენიმე მაღალჩინოსანს, ალბათ იმ იმედით, რომ მღელვარება ჩააქროს, მაგრამ ეს ქმედება საწინააღმდეგოდ მუშაობს და პროვოცირებას უკეთებს ქუჩაში გამოსულებს, რომლებიც უკვე პარლამენტის შენობის წინ გადადიან და სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელთა

შეცვლას მოითხოვენ; ძირითადი აქცენტი, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა მინისტრზე კეთდება. ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ამ პროცესების მიმდინარეობის პერიოდში, რომელსაც ფორმალურად სტუდენტები წარმართავენ, უფრო სწორად, ვიზირებას უკეთებენ იმას, ვის მიეცეს მიკროფონთან მისვლისა და შეკრებილი მომიტინგეებისადმი მიმართვის საშუალება, მიხეილ სააკაშვილი თბილისში არ იმყოფება, ასე რომ, ქუჩაში პროცესების მართვის ყველა ბერკეტი ერთპიროვნულად უჭირავს ზურაბ ჟვანიას, რომელსაც ძალიან კარგად იცნობს ედუარდ შევარდნაძე და შესაბამის სვლასაც აკეთებს — საპარლამენტო და სამთავრობო კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს შევარდნაძემ განაცხადა, რომ არ გადააყენებს თარგამაძეს და თუ ამას მოსთხოვენ, თავადაც გადადგება, პასუხისმგებლობა კი ზურაბ ჟვანიას დაეკისრება; ე. შევარდნაძე დარწმუნებულია, რომ ზ. ჟვანია ასეთ რისკზე არ წავა, მაგრამ ისიც იცის, რომ საჯაროდ ამგვარი განცხადების გაკეთება არ შეიძლება, რადგან ქუჩა მომენტალურად აიტაცებს მისი გადადგომის იდეას და მანამ არ გაჩერდება, ვიდრე საწადელს არ მიაღწევს, ე. შევარდნაძის გეგმებში კი იმ პერიოდში, რა თქმა უნდა, გადადგომა სულაც არ შედიოდა. გათვლა ზუსტი აღმოჩნდა, — ზ. ჟვანიამ, რბილად რომ ვთქვათ, რისკზე წასვლას გადადგომა არჩია, თუკი სანაცვლოდ სამართალდამცავი უწყებების პირველი პირებიც გადადგებოდნენ.

ძნელია დაბეჯითებით ამტკიცო, რა მოხდებოდა, ზ. ჟვანიას რომ გაერისკა, ე. შევარდნაძისგან წამოსული კულუარული ინფორმაცია საჯაროდ განეცხადებინა და სიტუაცია კიდევ უფრო გაემწვავებინა, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური ბლიცკრიგი ზ. ჟვანიას გამარჯვებით, და შესაბამისად, გაპრეზიდენტებით დასრულდებოდა, მან კი ვერ გარისკა, ამიტომ შერკინების პირველი რაუნდი ე. შევარდნაძის სრული გამარჯვებითა და ზ. ჟვანიას და დასავლეთის მარცხით დამთავრდა. ე. შევარდნაძემ თავიდან მოიშორა მადაგაზრდილი პარლამენტის თავმჯდომარე და საზოგადოებაში სახელგატეხილი მინისტრები.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ 2001 წლის ნოემბრის აქცია მოულოდნელი აღმოჩნდა შევარდნაძისა და მისი ხელისუფლებისათვის. მათ, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ მოსახლეობაში არსებობდა მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება, მაგრამ თუ საზოგადოება

პროტესტის ღიად გამოხატვას გაბედავდა, არ ეგონათ. მართალია, მოხერხდა სიტუაციის განმუხტვა და ხისტი დაპირისპირება პოზიციური ბრძოლით შეიცვალა, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ თუ ქუჩა კვლავ აგორდებოდა, ხელისუფლების შენარჩუნება მხოლოდ ძალის გამოყენებით გახდებოდა შესაძლებელი. ამ აქციებმა, როგორც ჩანს, ე. შევარდნაძე დაარწმუნა იმაშიც, რომ 2005 წლის შემდეგ ის ვერანაირი საკონსტიტუციო ცვლილებებით ვეღარ შეძლებდა ხელისუფლებაში დარჩენას, ხოლო როგორ ეპყრობა მის მიერვე რეანიმირებული ნეოსაბჭოური სახელმწიფო მართვის სისტემა თანამდებობადაკარგულ პირებს და მათ ოჯახებს, განურჩევლად იმისა, ცკ-ს მდივანი იქნები, გენერალური მდივანი თუ პრეზიდენტი, ვინ-ვინ და მან მშვენივრად იცოდა; ამიტომ თანამდებობიდან წასვლის შემთხვევაში თავისი და თავისი ოჯახისათვის უსაფრთხოების გარანტიებზე ზრუნვა სასწრაფოდ უნდა დაეწყო. დარწმუნებული ვარ, ის არც დაიჯერებდა და არც დასჯერდებოდა საქართველოში მიღებულ გარანტიებს, არც თავისი მხარდამჭერებისა და, მით უფრო, არც ოპოზიციისაგან (გულწრფელად ვიტყვი, რამდენადაც მე ვიცნობ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, მათ მიერ მიცემულ გარანტიებს არც მე ვირწმუნებდი), ამიტომ გარანტიები მას საქართველოს ფარგლებს გარეთ უნდა ეძებნა. მან უკვე მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მის მიმართ საზოგადოების ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც ახერხებდა სიტუაციის კონტროლს. ახლა საჭირო იყო ახალი ფუნქციის მოძებნა; ამგვარი ფუნქციის მოპოვება მას, როგორ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, მხოლოდ ხელისუფლებასა და ახლად ჩამოყალიბებულ ოპოზიციას შორის არსებულ დაპირისპირებაში შეეძლო მოეპოვებინა და მან სწორედ ამ მიმართულებით გადადგა პირველი ნაბიჯები: პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ფაქტიურად მხარი დაუჭირა ნ. ბურჯანაძეს და არა ვ. ლორთქიფანიძეს და უარი თქვა მოქალაქეთა კავშირის ლიდერობაზე.

ოპოზიცია და შინ და გარეთ მისი მხარდამჭერები დარწმუნდნენ, რომ ხელისუფლებასთან პოზიციური ბრძოლა საკმაოდ რთული და დროში გაწელილი პროცესი იქნებოდა. ცხადად ჩანდა, მოქმედების სტრატეგიის აგება შემთხვევითობაზე, როგორც ეს 2001 წლის ნოემბერში „რუსთავი-2"-თან დაკავშირებით მოხდა, შედეგს ვერ მოიტანდა და არც „დამოუკიდებელი" სტუდენტების მიერ მართული აქცია იქნ-

ებოდა ეფექტიანი. საჭირო იყო, ერთის მხრივ, ხელისუფლებაზე გამუდმებული ზეწოლა და, მეორეს მხრივ, მოკავშირეთა და პარტნიორთა ძებნა იმავე ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში; რა თქმა უნდა, ამ მხრივ საუცხოო ვარიანტი იქნებოდა, თუ მოხერხდებოდა თავად ე. შევარდნაძის ჩართვა ამ პროცესებში.

ხელისუფლებაზე ზეწოლას რაც შეეხება, ამ ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელი იყო ისეთი ორგანიზებული ძალის შექმნა, რომელიც გაღიზიანებულ ხელისუფალთა რეაქციებს კი არ უპასუხებდა, არამედ თავად იქნებოდა მაპროვოცირებელი როგორც ზოგადად ხელისუფლებისადმი, ასევე მის უმაღლეს ეშელონებში მყოფი საზოგადოებაში სახელგატეხილი პირების მიმართ. უკვე არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ ფუნქციის შესრულება საკმაოდ გაუჭირდებოდათ, ამიტომ შეიქმნა ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „კმარას" სახით.

მოქმედების ამგვარი სტრატეგია, როგორც ჩანს, გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც უკვე გაოპოზიციონერებულმა ზ. ჟვანიამ ჯერ საკუთარ პარტიაში (მოქალაქეთა კავშირში) დაკარგა მართვის სადავეები და იძულებული გახდა პარტიიდან წასულიყო (ბუნებრივია, მისთვის მოქკავშირი არ წარმოადგენდა დიდ ღირებულებას, მას საარჩევნო კომისიებში მოქკავშირის კვოტა სჭირდებოდა), ხოლო შემდგომ საკმაოდ მოკრძალებული შედეგები აჩვენა 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში. არადა, დაწყებულ პოლიტიკურ პროცესებში დასავლეთი სწორედ ზ. ჟვანიას განიხილავდა ე. შევარდნაძის მემკვიდრედ.

„კმარას" ორგანიზებისათვის გარკვეული ადამიანური რესურსები 2001 წლის ნოემბრის აქციების დროს მოიძებნა და მან საკმაოდ ეფექტიანად და მიზანმიმართულად დაიწყო საქმიანობა. რაც შეეხება ე. შევარდნაძეს, შეიძლება ვერსიად ჩავთვალოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როდესაც ის კვლავ მიუბრუნდა მოქკავშირს, როგორც საპატიო ლიდერი თუ თავმჯდომარე, უკვე მიღებული ჰქონდა გარკვეული გარანტია და შესაბამისი ფუნქციაც ეკისრებოდა.

ხელისუფლებასა და ხალხს შორის რეალურად არსებული დაპირისპირება თავად განსაზღვრავდა მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკას, რაც საკმაოდ მარტივი და ზუსტი იყო — ერთის მხრივ, ხელისუფლება ე. შევარდნაძის ხელმძღვანელობით და მის ირგვლივ შეკრებილი პოლიტიკური ძალები და, მეორეს მხრივ, ოპოზიცია ჟვანია-საკაშვილის ლიდერობით.

ამგვარი პერსონიფიცირების აუცილებლობა ადგილობრივი არჩევნების შემდგომ წარმოიშვა. არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ ზ. ჟვანიას და მისი გუნდის რეიტინგი არ აღმოჩნდა იმდენად მაღალი, თავის გარშემო ოპოზიციის კონსოლიდაცია მოეხდინა, ამიტომ გაძლიერებას საჭიროებდა, რათა ლიდერის ფუნქცია ეკისრა, ხოლო ნაციონალების ლოზუნგმა „თბილისი შევარდნაძის გარეშე" არა მხოლოდ მ. სააკაშვილის რეიტინგი აამაღლა და ნაციონალების გამარჯვება უზრუნველყო, არამედ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რამდენად ნეგატიური იყო მოსახლეობის დამოკიდებულება ე. შევარდნაძის მიმართ და აქედან გამომდინარე, რამდენად აუცილებელი სახელისუფლებო ბლოკის სწორედ მასთან ასოცირება.

როგორი ზუსტი და დახვეწილიც უნდა იყოს პოლიტიკური სცენარი, პოლიტიკური პროცესი მაინც ცოცხალი ორგანიზმია და გამუდმებულ კორექტირებას საჭიროებს. პარლამენტის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ ძალიან სწრაფად მოძებნა თავისი ადგილი პოლიტიკურ სპექტრში და წარმატებით მოირგო ზომიერი ოპოზიციონერის მანტია. რამდენიმე უცხოური ვოიაჟის შემდეგ ნ. ბურჯანაძის რეიტინგმა სწრაფად იწყო ზრდა. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ე. შევარდნაძისადმი მკვეთრ დაპირისპირებას ვერ ბედავდა, ნ. ბურჯანაძისკენ გადაიხარა, ვფიქრობ, ჩათვალა, რომ ბურჯანაძის მხარდაჭერა არ გააღიზიანებდა ე. შევარდნაძეს (ალბათ ითვალისწინებდნენ მამამისისა და ე. შევარდნაძის მეგობრობის ფაქტორს). ასეა თუ ისე, შედეგად მივიღეთ ნ. ბურჯანაძის რეიტინგის ზრდა ზ. ჟვანიას რეიტინგის დაცემის ხარჯზე. სწორედ ამან აიძულა შემდგომში ზ. ჟვანია დროებით ფარდას ამოფარებოდა და საარჩევნო ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატების" სახელით გამოსულიყო. თუმცა, ეჭვი მაქვს, და, ვფიქრობ, საკმაოდ საფუძვლიანიც, დამოუკიდებელ ფიგურად ბურჯანაძის ჩამოყალიბება ჟვანიას გეგმებში არც მაშინ შედიოდა, როცა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე მის კანდიდატურას უჭერდა მხარს, არც მაშინ, როცა მის კანდიდატურას პირველ ნომრად სთავაზობდა ოპოზიციას გაერთიანების შემთხვევაში და, ვშიშობ, არც დღეს შედის; ზ. ჟვანია ნ. ბურჯანაძეს ყოველთვის განიხილავდა და განიხილავს, როგორც დეკორატიულ პოლიტიკურ ფიგურას, რომლის შეცვლა საჭიროების შემთხვევაში უმტკივნეულოდ, საზოგადოებისათვის თითქმის შეუმჩნევლად უნდა მოხდეს.

სტრატეგია განსაზღვრული იყო, მოქმედების ტაქტიკა კი ჩამოყა-

ლიბებული; დაიწყო დასახული გეგმის რეალიზება და მასში ჩაერთო ყველა რესურსი — პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი (ე.წ. „ენჯეოები"), მასმედია, საერთაშორისო ფონდები და ინსტიტუტები.

პირველი კომპონენტის, სახელისუფლებო ბლოკის ჩამოყალიბება ე. შევარდნაძის ლიდერობით დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან, ბუნებრივია, თუ შევარდნაძე ამგვარ სურვილს გამოთქვამდა, მას არა თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, არამედ დიდი სიხარულითაც დათანხმდებოდნენ. გაცილებით რთული იყო მეორე კომპონენტის — ერთიანი ოპოზიციური ფრონტის ფორმირება. შუამავლის როლი ამ საქმეში ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა იკისრა და სწორედ ამ ფრონტის შექმნისათვის იქნა გამოყენებული მთელი ის რესურსი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ; ოპოზიციურ ფრონტში, რომლის ლიდერად ჟვანია-საკაშვილის ტანდემი მოიაზრებოდა (სწორედ ამ მიმდევრობით და არა სხვაგვარად), უნდა გაერთიანებულიყვნენ ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც უარს ამბობდნენ ამგვარ ოპოზიციურ ბლოკში მონაწილეობაზე, მყისვე ექცეოდნენ პროპაგანდისტულ-ფსიქოლოგიური პრესის ქვეშ, თუმცა, სიმართლე ითქვას, ძალიან ხშირად ამ პარტიათა მიერ გადადგმული მცდარი პოლიტიკური ნაბიჯებიც ხდებოდა მათზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის საბაბი.

პირველივე კონსულტაციებიდან აშკარა გახდა, რომ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნა შეუძლებელი იყო; ეგ კი არა, ჟვანია—საკაშვილის ტანდემის ლიდერობით, თითქოსდა ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მდგომი ნაციონალები და დემოკრატებიც ვერ ახერხებენ ბლოკად ჩამოყალიბებას; როგორც ჩანს, ამგვარი ტანდემი, თავად ჟვანიას გარდა, არავისთვისაა მისაღები, ამიტომ ზ. ჟვანია გამოდის პოპულისტურ-თავმდაბლური ინიციატივით — ის თავად ამბობს უარს იყოს ბლოკის პირველი ნომერი, ამას მოუწოდებს სხვა ლიდერებსაც და ამ ადგილზე ნ. ბურჯანაძის კანდიდატურას სთავაზობს. ყველაზე მძიმე დღეში ნაციონალები აღმოჩნდნენ, რადგან მათგან რეალურად მოითხოვდნენ არა სიის პირველ ნომრობაზე უარის თქმას, არამედ ადგილობრივ არჩევნებში მიღწეული წარმატებების მთლიანად ჟვანიასთვის გადაცემას. ზეწოლა, როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო, რომ მ. საკაშვილი იძულებულია, უარი თქვას არჩევნებში პირადად

მონაწილეობაზე, რათა პარტიული წარმატება და დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და საპარლამენტო არჩევნებში ასპარეზს ჟვანიას უთმობს (ცხადია, თუკი დემოკრატები და ნაციონალები ჯამურად საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებდნენ, საკაშვილი, რომელიც არ იქნებოდა პარლამენტარი, ბუნებრივად რჩებოდა შემდგომი საპარლამენტო პროცესების მილმა).

მართალია, ოპოზიციური ბლოკი, თუნდაც ორსუბიექტიანი — დემოკრატები და ნაციონალები — არ შედგა, მაგრამ ისინი მაინც თანამოაზრეებად განიხილებოდნენ მომავალ პარლამენტში და ამას აფიქსირებდნენ კიდეც, თუმცა, რომელი ძალა იქნებოდა წამყვანი, ამას არჩევნების შედეგები განსაზღვრავდა. პოლიტიკური პროცესების განვითარების სცენარი უკვე იკვეთება: თუ დემოკრატები და ნაციონალები ჯამში შეძლებდნენ 118 პარლამენტარის გაყვანას, მაშინ მომავალ პარლამენტში თავმჯდომარის ადგილს იკავებდა ნ. ბურჯანაძე, ზ. ჟვანია ხდებოდა სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ღებულობდა გარანტირებულ მხარდაჭერას დასავლეთიდან, — როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, — რითაც რეალურად გააკონტროლებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას და დე-ფაქტო იქცეოდა ქვეყნის პირველ პირად. დე—იურე ამ ფაქტის გაფორმება 2005 წლის აპრილში მოხდებოდა თუ მანამდე, ეს უკვე დეტალებია და მნიშვნელობა აღარ აქვს.

ამ სცენარის უთუო რეალიზებისათვის, გარდა ჯამური 118 ხმისა, ზ. ჟვანიას შიდა კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვებაც სჭირდებოდა. მას ნაციონალებზე თუნდაც ერთი დეპუტატით მეტი უნდა გაეყვანა, რომ პროცესი ზედმეტი გართულებების გარეშე გაგრძელებულიყო. ეს კარგად ესმოდა ზ. ჟვანიას და „ბურჯანაძე—დემოკრატები" აფორმებენ ბლოკს ტრადიციონალისტებთან, რომლებიც ზ. ჟვანიას გაპრეზიდენტების შემდგომ პარლამენტის თავმჯდომარის ან სახელმწიფო მინისტრის პორტფელს მიიღებდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული ყველა გამოკითხვით, რომლებსაც სხვადასხვა დამოუკიდებელი ექსპერტ-ჯგუფები ატარებდნენ და რომლის ტირაჟირება „რუსთავი—2"-ის საშუალებით ხდებოდა, პირველ პოზიციას სტაბილურად ინარჩუნებდა ბლოკი „ბურჯანაძე—დემოკრატები", შემდეგ მონაცვლეობდნენ ნაციონალები და ლეიბორისტები. ცხადია, ამგვარი გამოკითხვები და შემდგომი ტირაჟირება ემსახურებოდა ერთ მიზანს — ამომრჩევლის თვალში მთავარ ოპოზი-

ციურ ძალად ჩამოყალიბებულიყვნენ „ბურჯანაძე—დემოკრატები". ამ-ასვე ცდილობდა თითქმის მთელი „დემოკრატიული" მასმედია და არასამთავრობო სექტორი. „ნაციონალები" რეიტინგის შესანარჩუნებ-ლად მიმართავდნენ რადიკალურ, ლამის ავანტურისტულ აქციებს, როგორიც იყო ბოლნისის და შემდეგ ბათუმში ჩატარებული აქცია. ამ უკანასკნელმა, შეიძლება ითქვას, გარდამტეხი როლი ითამაშა წინასაარჩევნო პროცესში და ნაციონალები ოპოზიციის ლიდერებად ჩამოაყალიბა.

ლიდერის ცვლილების მიუხედავად, მთავარი და აუცილებელი პი-რობა, რომელიც განსაზღვრავდა, რამდენად მისაღები იქნებოდა ჩატ-არებული არჩევნები, მინიმუმ 118 მანდატის კონტროლი იყო. თუ 118 მანდატს ეს ორი ძალა გააკონტროლებდა, შემდგომი პროცესის რე-გულირება კულუარებში გადაინაცვლებდა, მაგრამ თუ ეს ვერ მოხ-ერხდებოდა, არჩევნები ყოველ მიზეზგარეშე უნდა ჩაშლილიყო და ამისათვის არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია საზოგადოე-ბრივ აზრს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აყალიბებდნენ. ასეთ შემთ-ხვევაში საპროტესტო ტალღის აგორება და მართვა ზურაბ ჟვანიას უნდა ეტვირთა; თუკი ზ. ჟვანია შეძლებდა მასობრივი საპროტესტო აქციის აგორებას და მის წარმატებით დასრულებას, ის ბუნებრივად ხდებოდა ოპოზიციის ლიდერი.

არჩევნების შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა ოპოზიციისთვის, ამიტომ დაიწყო მუშაობა სცენარის მეორე ვარიანტმა. „ბურჯანაძე—დემოკრატებმა" მოითხოვეს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა. არჩევნები, რა თქმა უნდა, გაყალბდა და გაყალბდა კატასტროფულ-ად, მაგრამ რომც არ გაყალბებულიყო, „ბურჯანაძე—დემოკრატები" მნიშვნელოვან წარმატებას მაინც ვერ მიაღწევდნენ, მაქსიმუმ 2-3 %-ით მეტი მიელოთ, ვიდრე მიიღეს, მაგრამ ამ ფაქტორს უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა; მათ მოუწოდეს ამომრჩეველს, დაეცვათ საკუთ-არი ხმები და ქუჩაში გამოსულიყვნენ, მთელი ძალით ამუშავდა მასმედია და არასამთავრობო სექტორი. კაცმა რომ თქვას, არ-ჩევნები და მისი შედეგები ყოველთვის შეიცავს დესტაბილიზაც-იის ელემენტს, — სწორედ ამ ელემენტის გამოყენება და გაძლ-იერება იყო საჭირო; არჩევნების შედეგებით უკმაყოფილონი იყვნენ ნაციონალებიც, ოღონდ ისინი რამდენიმე საარჩევნო ოლ-ქის შედეგების გაუქმებასა და გადასინჯვას მოითხოვდნენ, ისინი საპროტესტო აქციებში მხოლოდ მაშინ ჩაერთნენ, როდესაც ცხადი

გახდა, რომ ფარდის უკნიდან ავანსცენაზე გამოსული ზ. ჟვანია თავისი გუნდით ვერ შეძლებდა საპროტესტო აქციებისათვის მასობრივი ხასიათი მიეცა.

საინტერესოა, რატომ არ ჩაერთნენ ნაციონალები საპროტესტო აქციებში თავიდანვე, ხოლო ჩართვის შემდეგ რატომ შეცვალეს აქციის ხასიათი? ამ კითხვებზე პასუხის მრავალი ვერსია შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არის ერთი, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი:

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს ქართული პოლიტიკური სპექტრი განიხილავდა, როგორც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ეტაპს. პარლამენტი არის ის სტრატეგიული პუნქტი, რომლიდანაც საპრეზიდენტო სავარძლისათვის ბრძოლის წარმოება გაცილებით ეფექტიანად შეიძლება, თუ პარლამენტში აქტიური და ძლიერი საყრდენი ჯგუფი გეყოლება. ახლადარჩეული პარლამენტის ლეგიტიმაცია რომ მომხდარიყო, მაშინ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებით ნაციონალებს ეყოლებოდათ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მობილური ოპოზიციური ფრაქცია, თავად საკაშვილი რჩებოდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ; ეს პოსტი მას უკვე ჰქონდა აპრობირებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში — ასე რომ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ საკაშვილს შეეძლო ორმაგი ფრონტით ებრძოლა პრეზიდენტის სავარძლისათვის. რაც შეეხება ზ. ჟვანიას, ამ შემთხვევაში მისი პერსპექტივა საკმაოდ მცირერიცხოვანი ფრაქციის ლიდერობა იყო; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პარლამენტში მრავლად იქნებოდნენ ისეთი პარლამენტარები, რომელთაც სიტყვაც უჭრით, გონებაც, არც რისკს ერიდებიან და არც მოქკავშირული წარსულით არიან დამძიმებულნი, ზ. ჟვანიას საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა იმისათვის, რომ ოპოზიციურ პარლამენტში არსებული კონკურენციისათვის გაეძლო და რიგით უფერულ პარლამენტარად არ გადაქცეულიყო, ამიტომ, თუ ნაციონალები ჩაებმებოდნენ აქციებში, მათი მიზანი (საკაშვილის ინტერესი) უკვე საპრეზიდენტო სავარძლის მოპოვება იქნებოდა და არა რამდენიმე დეპუტატით თავისი ფრაქციის გაზრდა. სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა ლოზუნგი „საქართველო შევარდნაძის და აბაშიძის გარეშე", მათი სამიზნე პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ მათ აპრობირებული ჰქონდათ ლოზუნგი „საქართველო შევარდნაძისა და აბაშიძის გარეშე". თუმცა, მიუხედავად იმისა,

რომ საკაშვილისათვის აქციის „ასაგორებლად" ნაციონალური მოძრაობაც საკმარისი საყრდენი იყო და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების თუ ლიდერების მხარდაჭერას არ საჭიროებდა, მას მაინც მოუწია წასულიყო გარკვეულ კომპრომისზე — აქციის ორგანიზატორთა წრე ტრიუმვირატით შემოეფარგლა და არ მიეცა საშუალება პოლიტიკური ფიგურებისათვის (საკუთარი თუ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიდან) აქციის მიმდინარეობაში სრულფასოვანი მონაწილეობა მიეღოთ. როგორც ჩანს, საკაშვილი მოერიდა იმ დასავლურ ძალებთან კონფრონტაციას, რომლებიც ლამის ბოლო წუთამდე ე. შევარდნაძის მემკვიდრედ განიხილავდნენ ზ. ჟვანიას და არა მას, მაგრამ უდიდესი ღვაწლი მიუძღოდათ შექმნილი სიტუაციის მომზადებასა და ორგანიზებაში.

ნოემბრის მოვლენებმა საკაშვილს არა მარტო პრეზიდენტის საკარძელი მოუტანა, არამედ ნაციონალური მოძრაობის ლიდერობიდან საერთო-სახალხო ლიდერად აქცია. ის პარალელიც, რომელსაც მასა და ზ. გამსახურდიას შორის ავლებენ, სწორედ აქედან მოდის. ზ. გამსახურდიას საზოგადოება აღიქვამდა, როგორც ერის რუსული იმპერიისგან განმათავისუფლებელს, ხოლო მ. საკაშვილს იგივე საზოგადოება აღიქვამს, როგორც განმათავისუფლებელს შევარდნაძის რეჟიმისაგან.

ეს, ასე ვთქვათ, დაპირისპირების ერთი, ოპოზიციური ნაწილი, რომლის მოქმედებისა და მიმდინარე თუ სამომავლო გეგმების შესახებ საკმაოდ იყო ინფორმირებული საზოგადოება, მაგრამ რა ხდებოდა მეორე მხარეს, ხელისუფლებაში, მიიღო თუ არა გარანტია ე. შევარდნაძემ და თუ მიიღო, ვისგან და რის ფასად... ეს არის საკითხები, რომლებიც აქტუალური იყო ნოემბრის დღეებშიც, დღესაც და მისი აქტუალობა არ განისაზღვრება მხოლოდ ცნობისმოყვარეობით, რადგან ე. შევარდნაძე მსოფლიოსთვის ცნობილი პოლიტიკური ფიგურა იყო და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი მაინც პოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ.

მაშ ასე, იყო თუ არა ე. შევარდნაძე თანამონაწილე იმ პროცესებისა, რომლებიც ბოლო პერიოდში განვითარდა საქართველოში თუ მართლაც საკუთარი არაადეკვატური (როგორც ნოემბრის პერიოდში ოპოზიციის ლიდერები აღნიშნავდნენ) მოქმედების მსხვერპლი გახდა?

იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ხელისუფლებაში, ინფორმაცია იმდენად მწირი და წინააღმდეგობრივია, რომ ჩვენ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, კამათს

არ იწვევს ის ფაქტი, რომ ხელისუფლებიდან წასულ შევარდნაძეს უსაფრთხოების გარანტიები ნამდვილად სჭირდებოდა; კამათს შეიძლება სხვა რამ იწვევდეს, კერძოდ, შეეძლო თუ არა ე. შევარდნაძეს ხელისუფლებიდან უფრო ღირსეულად წასულიყო? ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რას მოითხოვდა მისგან დასავლეთი უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ. თუ ე. შევარდნაძისგან მხოლოდ ხელისუფლებაზე უარის თქმას მოითხოვდნენ, მას შეეძლო ეს ისე გაეკეთებინა, რომ ლამის მთელი მოსახლეობის აღფრთოვანება გამოენვია. თუ მისგან არა მხოლოდ ხელისუფლებაზე უარის თქმას, არამედ ხელისუფლებაში კონკრეტული პოლიტიკური ძალის მოყვანასაც მოითხოვდნენ, მეტიც, არა მხოლოდ პერსონალურად უნდა ეთქვა უარი ხელისუფლებაზე და კონკრეტული პოლიტიკური ძალისათვის გადაებარებინა იგი, არამედ პოლიტიკური ასპარეზისათვის უნდა ჩამოეცილებინა საკუთარი პოლიტიკური და სახელისუფლებო გარემოცვა, მაშინ?

თუ დავუშვებთ, რომ შევარდნაძეს სწორედ ეს ფუნქცია ეკისრა, მაშინ მისი ყველა ქმედება, მათ შორის სენაკის ძროხების მონახულება და აბაშიძესთან ვიზიტი, სრულიად ლოგიკურია. მისი მოღვაწეობა ვერ იქნებოდა პენსიაზე გასული პრეზიდენტისათვის მშვიდად ყოფნის გარანტი; ისიც ცხადია, რომ საქართველოში არსებული ვერც ერთი პოლიტიკური ძალა თუ ლიდერი ვერ მისცემდა ამგვარ გარანტიას, ხოლო აზერბაიჯანული სცენარის საქართველოში გათამაშება რომ შეუძლებელი იყო, ამის გაგება არ გაუჭირდებოდა, როგორი არაადექვატურიც უნდა ყოფილიყო, ამიტომ გარანტიები მას სხვაგან, საზღვარგარეთ, კერძოდ კი დასავლეთში უნდა ეძებნა. მან, რა თქმა უნდა, იცოდა ირანის შაჰის, ფილიპინების პრეზიდენტ მარკოსისა და პინოჩეტის ისტორიები, ამიტომ მათი მხრიდან გაცემული გარანტიების სანდოობა ეჭვს არ იწვევდა.

რადგან ინფორმაციის ნაკლებობას განვიცდით, ჩვენი ვარაუდის გასამყარებლად ინდუქციის მეთოდი გამოვიყენოთ და დავუშვათ, რომ ე. შევარდნაძე ამ პროცესების თანამონაწილე იყო; თუ მოვლენათა შემდგომი განვითარება ერთიან ლოგიკურ ჯაჭვს შექმნის, მაშინ ჩვენი ვარაუდი რეალურ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ე. შევარდნაძეს რომ გარანტია სჭირდებოდა, გასაგებია და ვფიქრობ, დავას არ იწვევს, მაგრამ სჭირდებოდა თუ არა დასავლეთს ე. შევარდნაძე?

რა თქმა უნდა, სჭირდებოდა! თუ შევარდნაძე ჩაერთვებოდა ამ

პოლიტიკურ სპექტაკლში, ეს ნიშნავდა მიმდინარე პროცესებზე სრულ კონტროლს, რაც თითქმის მთლიანად გამორიცხავდა რაიმე გაუგებრობას, მინიმუმამდე დაჰყავდა პროვოცირების ალბათობა და, რაც მთავარია, ეს იქნებოდა საფუძველი ხელისუფლების უმტკივნეულოდ ჩანაცვლებისა, რაც, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებშიც შედიოდა. გარდა ამისა, მხოლოდ შევარდნაძეს შეეძლო მორალურად გაენადგურებინა და პოლიტიკური ასპარეზიდან მოეშორებინა ის ოდიოზური ფიგურები და თვითდაჯერებული ბრიყვები, რომლებიც მრავლად იყვნენ სახელისუფლებო ბლოკში და რომელთა ნაკლებობას ქართული პოლიტიკური სპექტრი ზოგადად არასოდეს განიცდიდა. ამგვარად ხდებოდა სამოქმედო ასპარეზის გასუფთავება და უახლოეს მომავალში გამორიცხავდა ახლადმოსული ხელისუფლებისადმი მკვეთრი პოლიტიკური (ვთქვათ, ყოფილი სახელისუფლებო ან რომელიმე სხვა ძალის მხრიდან) დაპირისპირების შესაძლებლობას.

როდესაც მოქკავშირში განხეთქილება მოხდა და ე. შევარდნაძემ უარი თქვა პარტიის ლიდერობაზე, ეს სრულიად ლოგიკური და სწორი გადაწყვეტილება იყო. ბუნებრივია, მას გაცილებით მეტად აძლევდა ხელს ნეიტრალურ პოზიციაში დალოდებოდა მოვლენების განვითარებას. აშკარად ჩანდა ისიც, რომ არსებული ვითარების გათვალისწინებით და პოლიტიკურ ძალთა მკვეთრი დაპირისპირების ფონზე პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ნეიტრალური პოზიციიდან გაცილებით უკეთ შეძლებდნენ პროცესების მართვას, ვიდრე მაშინ, როცა ის ერთ-ერთი მხარე იქნებოდა. ოღონდ, შეძლებდნენ მართვას და არა კონტროლს, თუმცა ამგვარი მართვა საშუალებას მისცემდა ასატანი, ასე ვთქვათ „რბილი" გაყალბების პირობებში შეექმნათ საპარლამენტო უმრავლესობა მათთვის მეტ-ნაკლებად მისაღები პოლიტიკური ძალებისა და მაჟორიტარების ხარჯზე, — ამგვარი გამოცდილება უკვე არსებობდა და წარმატებით იქნა გამოყენებული 1992 წლის არჩევნებში, ოღონდ მაშინ არ იდგა შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლის საკითხი, იმ პერიოდში შევარდნაძეს სჭირდებოდა ხელისუფლების შენარჩუნების გარანტია და არა უსაფრთხოება; ამგვარი გარანტიის მიღება პოლიტიკური პროცესების მართვითაც შეიძლება, როცა უსაფრთხოების გარანტიის მისაღებად აუცილებელია მიმდინარე პროცესების უშუალო კონტროლი — საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩაერიო და სასურველი მიმართულებით წარმართო პროცესები. მით უმეტეს, თუ დავუშვებთ, რომ

შევარდნაძის ფუნქციას არა მხოლოდ ხელისუფლების გადაცემა, არამედ „საკუთარი“ გუნდის ჩაძირვაც წარმოადგენდა; პრინციპში, სახელისუფლებო პოლიტიკური ძალის „ჩაძირვის“ გარეშე, ცხადია, ოპოზიციისათვის ხელისუფლების უმტკივნეულოდ გადაცემა ვერც მოხერხდებოდა.

აი, ამიტომ შევარდნაძემ არა თუ არ გამოიყენა 1992 წლის გამოცდილება, არამედ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს გამოცდილება არ გამოეყენებინათ სახელისუფლებო ბლოკიდან სხვებს, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის საკმაოდ დიდი გამოცდილებაც ჰქონდათ და არც გაყალბებაზე იტყოდნენ უარს.

განახლებული მოქკავშირის თავმჯდომარედ სახელმწიფო მინისტრის დანიშვნა იყო ღია განაცხადი იმისა, რომ მოქკავშირი კვლავ რჩება სახელისუფლებო პარტიად და მისი რეალური ხელმძღვანელი პრეზიდენტია. საოცარია, რომ განახლებული პარტიის საზოგადოებისთვის წარდგენაში თავმჯდომარეზე მეტად მასმედიაში ფიგურირებდნენ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების ის პირები, რომელთა მიმართ საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საყოველთაოდ იყო ცნობილი. ამავე ნიშნით წარიმართა ამომრჩეველთა სიების (ვინ გააყალბა ამომრჩეველთა სიები, დღემდე უცნობია. რეალურად ისე ჩანს, რომ სიების გაყალბება ორივე მხარის ინტერესში შედიოდა; ხელისუფლებას შეეძლო არაზუსტი სიები არჩევნების გაყალბებისათვის გამოეყენებინა; ოპოზიციას, იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგები მისთვის არასასურველი იქნებოდა, არაზუსტი საარჩევნო სიები არჩევნების ჩაშლის საბაბად გამოადგებოდა, რაც მოხდა კიდეც; ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, ოპოზიციამ კი არჩევნები ჩაშალა!) და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ბეიკერისეული ვარიანტის ქართული ტრანსკრიფციის საპარლამენტო თუ საჯარო განხილვაც.

საწყის ეტაპზე, მამალაძესთან მკვეთრი დაპირისპირების მიუხედავად, როგორც კი ა. ჯორბენაძემ მოახერხა მასთან ურთიერთობის დარეგულირება, მოქკავშირს შეუერთდნენ სოციალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. მათი შემომატებით მოქკავშირის არც იმიჯი შეცვლილა და არც გავლენა, ეს თავიდანვე ნათელი იყო, მაშ რისთვის იყო საჭირო სოციალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების შემოერთება? იქნებ შევარდნაძემ უარი ვერ უთხრა თავის ძველ თანამებრძოლებს ან იქნებ იმედი ჰქონდა, რომ ვ. რჩეულიშვილი და ი.

სარიშვილი თავიანთი ამბიციებით დისონანსს შეიტანდნენ უკვე ჩამოყალიბებული პარტიის მმართველ ბირთვში? ალბათ უფრო მეორე, შემდგომი პროცესებიც ამ მოსაზრებას ადასტურებს, მაგრამ ვ. რჩეულიშვილსა და ი. სარიშვილს ამჯერად საკმაოდ მოკრძალებული მიზნები ჰქონდათ — ისინი ცდილობდნენ პარლამენტში მოხვედრით აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას, ამასთანავე შეეძლოთ საარჩევნო ტექნოლოგიების იმდაგვარად გამოყენება, რომ 15%-იანი წარმატების შემთხვევაშიც კი მაჟორიტარების ხარჯზე პარლამენტში ყველაზე მრავალრიცხოვან ფრაქციად ჩამოყალიბებულიყვნენ, რაც იმთავითვე გამორიცხავდა ზ. ჟვანიასა და ნ. ბურჯანაძის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შესაძლებლობას. სწორედ ამის დაშვება არ შეიძლებოდა და ეს რომ არ მომხდარიყო, შევარდნაძე თავისი თანაპარტიელებისთვის საკმაოდ მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებს — საარჩევნო ბლოკში შეჰყავს თ. ნადარეიშვილი და ქრისტიან-დემოკრატები ვ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, და თანაც არა უბრალოდ შეჰყავს, არამედ ბლოკის პირველ ნომრად ვ. ლორთქიფანიძეს ასახელებს. ამ გადაწყვეტილებით სახელისუფლებო ბლოკი, ერთის მხრივ, იძენს პრორუსულ ელფერს (ოპოზიცია და მასმედია მაშინვე იწყებენ საუბარს პრეზიდენტის საგარეო ორიენტაციის შეცვლის თაობაზე) და, მეორეს მხრივ, რაც მთავარია, ბლოკში მყარდება სამხელისუფლებიანობა — ვ. ლორთქიფანიძე, ა. ჯორბენაძე, ლ. მამალაძე; და ეს ხდება მაშინ, როცა ურთიერთობათა დასარეგულირებლად სახელისუფლებო სამეულს არანაირი დრო აღარ რჩება! თითოეული მათგანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მომხრე გაიყვანოს პარტიული სიით და ამისათვის არანაირ გაყალბებას, როგორი ტლანქი და უხეშიც უნდა იყოს, არ მოერიდება. ეგ კი არა, იწყება მოკავშირეთა ძებნა სხვა პარტიებში; ასე რომ, 1992 წლის არჩევნების გამოცდილების გამოყენება შეუძლებელია, ხოლო არჩევნების გაყალბება გარდაუვალი და, შესაბამისად, სახელისუფლებო ბლოკი განწირულია.

როგორც კი არჩევნების შედეგების წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება დაიწყო, ცხადი გახდა, რომ „ბურჯანაძე-დემოკრატების" მაქსიმალური შედეგი 7%-იანი ბარიერის დაძლევა იქნებოდა, ამიტომ ზ. ჟვანია სასწრაფოდ იწყებს საპროტესტო აქციის ორგანიზებას, მას მხარს უჭერს მასმედია და არასამთავრობო სექტორი; გარკვეული დროის შემდეგ აქციაში ერთვება „ნაციონალური მოძრაობა" და აშ-

კარა ხდება, რომ აქცია აგორდება, პრეზიდენტი კი ისე იქცევა, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერია მოსალოდნელი და ძირითადად უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან პირდაპირი თუ სატელეფონო კონსულტაციებით არის დაკავებული; შევარდნაძე ნოემბრის შუა რიცხვებში პარლამენტის წინ გამართულ გრანდიოზულ მიტინგს სენაკში ძროხების მონახულებითა და ბათუმში ვოიაჟით პასუხობს, რაც საზოგადოების აღშფოთებასა და გაოგნებას იწვევს და იწყება საუბარი პრეზიდენტის არაადექვატურობასა და არაქმედუნარიანობაზე; იწყება საზოგადოებრივი აზრის დამუშავება ქვეყნის შიგნით და გარეთ, რასაც შემდგომში ნ. ბურჯანაძე გამოიყენებს ანუ მზადდება პრეზიდენტის გადაყენების იდეოლოგიური საფუძველი (როდესაც ნ. ბურჯანაძემ ძალაუფლება იკისრა, პირველივე განცხადებაში სწორედ პრეზიდენტის არაქმედუნარიანობაზე ალაპარაკდა), მაგრამ პრეზიდენტს უფრო მნიშვნელოვანი მისია აკისრია, ვიდრე სენაკში ძროხების მონახულებაა: მან უნდა შეძლოს ასლან აბაშიძისა და აღორძინების ჩათრევა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, ასლან აბაშიძე უნდა გახდეს მისი და მისი ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი. ეს, რა თქმა უნდა, ვერ იხსნის შევარდნაძის ხელისუფლებას, მას არცა აქვს ამის იმედი, მიზანი სხვაა — საქართველოში არ უნდა დარჩეს თუნდაც ფორმალურად ნეიტრალური პოლიტიკური ძალა (აბაშიძის რეჟიმის სტაბილურობას მოსკოვის მხარდაჭერა და თბილისთან პარტნიორობა განაპირობებდა, თუმცა ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ თბილისთან პარტნიორული ურთიერთობა საზოგადოებაში თბილისთან კონფლიქტად წარმოეჩინათ). აბაშიძე ცდუნებას ვერ უძლებს — ის თანხმდება შევარდნაძის დესპანობას ერევანში, ბაქოსა და მოსკოვში, ხოლო პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციის მიერ გათავისუფლებულ ადგილს ბათუმიდან ჩამოყვანილი აბაშიძის მომხრეები იკავებენ.

წრედი, რომ იტყვიან, შეკრულია, დარჩა დეტალები, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი. ცესკომ შეაჯამა და დაამტკიცა არჩევნების შედეგები, ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა კანონის მოთხოვნით 22 ნოემბერს უნდა გაიმართოს; ოპოზიციამ ცესკო-ს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა და 22 ნოემბერს დღის ორი საათისათვის დანიშნა საპროტესტო აქცია თავისუფლების მოედანზე.

ოპოზიციის მონოდება მოსახლეობისადმი მასმედიის საშუალებებით ფართოდ იქნა რეკლამირებული და ტირაჟირებული და ამის შესახებ, ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტიც ინფორმირებულ-

ია. ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანური ლოგიკით სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, რა თქმა უნდა, ჯობია პარლამენტის სხდომა დილის 10, უკიდურეს შემთხვევაში, 12 საათისთვის მაინც დაინიშნოს, მაგრამ „არაადექვატური" პრეზიდენტი პარლამენტის სხდომას რატომღაც დღის ოთხი საათისათვის ნიშნავს, ანუ იმ დროისათვის, როცა თავისუფლების მოედანზე მოსვლას მოასწრებს ყველა, საქართველოს ყველაზე შორეული კუთხიდანაც კი, თუ ამის სურვილი გააჩნია და ოთხი საათისათვის მომიტინგეთა მაქსიმალური რაოდენობა იქნება! პრეზიდენტი ან მართლაც ძალიან „არაადექვატურია", ან ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აიძულოს მომიტინგენი შტურმით აიღონ პარლამენტი, თუ კვორუმი შედგება და სხდომა გაიხსნება. კვორუმი შეიკრიბა და, შესაბამისად, შტურმიც განხორციელდა! პარლამენტის შენობიდან გამოძევებული შევარდნაძე ბათუმიდან ჩამოყვანილ მომიტინგეთა წინაშე მოკლე სიტყვით გამოდის და ისეთი სისწრაფით ტოვებს მომიტინგეებს, რომ მათ შორის ორთოდოქს კამიკაძესაც არ გაუჩნდებოდა სურვილი, წინააღმდეგობა გაეწია თავისუფლების მოედნიდან წამოსული ოპოზიციური მასისთვის. კრწანისში მობრუნებული შევარდნაძე საგანგებო მდგომარეობის შემოღებით იმუქრება, თუმცა გაუგებარია, რა ძალებზე დაყრდნობით შეიძლება საგანგებო მდგომარეობის შემოღება და განხორციელება, — ცხადია, ქართველი ძალოვანი სტრუქტურები ამ მისიას არ შეასრულებენ (როგორი ცუდი წარმოდგენაც უნდა გვქონდეს ქართულ პოლიციაზე, ერთი ფაქტია, მას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იარაღი არასდროს გამოუყენებია) და აბაშიძის მოსკოვური ვოიაჟების ფონზე საზოგადოებაში ჩნდება რუსული აჩრდილი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი სასწრაფოდ ჩამოდის თბილისში და მიტინგზე მისული ახმეტასთან თავის კავშირებსა და რუსული სამხედრო ძალების ნეიტრალიტეტზე ლაპარაკობს, შემდეგ კი წარმატებით შუამავლობს კრწანისში პრეზიდენტისა და ტრიუმვირატის შეხვედრას და ბათუმში მიემგზავრება. ე. შევარდნაძე გადადგომის შესახებ განცხადებას აკეთებს (როგორც ჩანს, მოსკოვი მისთვის და მისი თაობისათვის ყოველთვის „იმ" მოსკოვად დარჩება) და მიმდინარე პროცესებისადმი სრულიად ადექვატური ხდება.

2001 წლის ნოემბრიდან გადადგომამდე ე. შევარდნაძის მოქმედების სრულიად ლოგიკური ჯაჭვი საკმარის საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ საქართველოში განხორციელებულ პოლიტიკურ

სპექტაკლში გადამდგარი პრეზიდენტი თანაბარუფლებიანი მონაწილე იყო, თუ ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა არა. დასავლეთის და, კერძოდ, ამერიკის მონაწილეობა ამავე სპექტაკლში ეჭვს არც ადრე იწვევდა, მაგრამ ახლა ექს-პრეზიდენტმა კლინტონმა დავოსის შეხვედრაზე ლამის ოფიციალურად დაადასტურა და არც სახელმწიფო მდივანს დაუფარავს ამერიკის განსაკუთრებული ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ამცირებს იმ ადამიანთა ღვაწლს და თავგანწირვას, უბრალო მონაწილეებიდან დაწყებული, ლიდერების ჩათვლით, რომელთა აქტიურობისა და თავდადების გარეშე ნოემბრის მოვლენების წარმატებით დასრულება შეუძლებელი იქნებოდა.

და კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: საქართველო-რუსეთის ბოლო ორასწლოვანი ურთიერთობის მანძილზე 2003 წლის ნოემბრის მოვლენები იყო პირველი და ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც რუსეთი არ შეეცადა საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, უფრო პირიქით, — ივანოვის ჩამოსვლამ მთლიანად განმუხტა საზოგადოებაში არსებული ფსიქოლოგიური დაძაბულობა და დააჩქარა კვანძის გახსნა. იმის ფიქრი, რომ რუსეთს საკუთარი შიდა პრობლემები აქვს ან იმდენად დაუძლურდა, რომ პროცესებში ჩარევა ვერ შეძლო, ვფიქრობ, არარეალურია. რუსეთის მე-5 კოლონას საქართველოში ნამდვილად ექნება იმის ძალა, კრიზისულ სიტუაციაში არევ-დარევა და ქაოსი მაინც გამოიწვიოს, თუ პროცესების წარმართვას ვერ შეძლებს. იქნებ რუსეთი ფუნქციას იცვლის და საქართველოში და მთლიანად დსთ-ს სივრცეში საკუთარი გავლენის შენარჩუნებას ეკონომიკური ბერკეტებით აპირებს, ისევე, როგორც ეს მიღებულია დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში (საქართველოში „რაო-ეი-ეს-ისა" და „გაზპრომის" შემოსვლა). ღმერთმა ჰქნას, ასე იყოს! მაშინ ტერიტორიული მთლიანობისა და რუსეთთან ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა არც თუ ისე შორეული მომავლის საქმეა.

ან იქნებ რუსეთმა ამ ეტაპზე ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მისი ქმედება, უფრო სწორად, უმოქმედობა, პოლიტიკური მანევრია ახალი დესტაბილიზაციის მოსაწყობად? ვინ იცის! ყოველ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პრობლემის გადაწყვეტა სხვა ქვეყნების ინტერესებს უკავშირდება, ხელისუფლება ვალდებულია ერთნაირი სერიოზულობით განიხილოს და გააანალიზოს ყველა შესაძლებელი თუ შეუძლებელი ვარიანტი მოვლენათა შემდგომი განვითარებისა,

განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ საქმე რუსეთსა და რუსეთის ინტერესებს ეხება.

ცვლის თუ არა რუსეთი პოლიტიკურ ორიენტირებს და ცდილობს თუ არა ახალი ფუნქციის შეძენას დსთ-ს სივრცეში, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, პრეზიდენტის შეჩერება ჩოლოქთან და საპასუხოდ ცენტრის მიერ მიღებული ნაჩქარევი და ემოციური გადაწყვეტილებები ერთი შეხედვით ძალიან წააგავს იმას, რაც თავის დროზე უკვე მოხდა, როდესაც ეროვნული მოძრაობის ერთ ნაწილს ცხინვალის მისადგომებთან გზა გადაუღობეს და ქალაქში არ შეუშვეს! თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ ცენტრის მიერ განხორციელებულმა საკმაოდ მიზანმიმართულმა და გონივრულმა პოლიტიკამ, აგრეთვე რუსეთის აშკარად პოზიტიურმა პოზიციამ, რაც კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია ქართულ-რუსული ურთიერთობებისა, შესაძლებელი გახადა აბაშიძის რეჟიმის უმტკივნეულოდ შეცვლა.

ალბათ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ცენტრს სრული მორალური და ზნეობრივი უფლება აქვს ნებისმიერი გზით, უკიდურეს შემთხვევაში, თუ სხვა გამოსავალი არ დარჩა, სამხედრო ძალის გამოყენებითაც, აღადგინოს საქართველოს. იურისდიქცია რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე; მაგრამ, თუკი ხელისუფლება ძალის გამოყენებას გადაწყვეტს, მას უნდა ჰქონდეს სრული, 100%-იანი გარანტია იმისა, რომ სამხედრო ოპერაცია წარმატებით დასრულდება. თუ ასეთი გარანტია არ იქნება, მაშინ ცენტრი ვალდებულია თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისგან და შესაფერისად მოემზადოს, რამდენად დიდი დროც უნდა დაჭირდეს ამისათვის, რადგან წარუმატებელი სამხედრო ოპერაცია უმართავ პოლიტიკურ პროცესებს გამოიწვევს მთელ საქართველოში და ხელისუფლების დამხობით დასრულდება.

როგორც აღვნიშნე, მიუხედავად იმისა, რას მოიმოქმედებს ახალი ხელისუფლება, თავად ის ფაქტი, რომ შევარდნაძე და მისი გუნდი უმტკივნეულოდ ჩამოშორდა ქვეყნის მართვის სადავეებს, უკვე დადებითი მოვლენაა და წესიერება მოითხოვს, მადლობა ვუთხრათ ყველას, ვინც პირდაპირ თუ ირიბად, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად დახმარება გაგვიწია და შესაძლებელი გახადა მძიმე საზოგადოებრივი კატაკლიზმების გარეშე გადაგვეჭრა ეს პრობლემა; ვერც იმაში ვხედავ დიდ ტრაგედიას, რომ მათ არა მარტო ე. შევარდნაძე და მისი გუნდი ჩამოაშორეს ხელისუფლებას, არამედ, რბილად რომ ვთქვათ, გარკვეულ პოლიტიკურ ძალასა და

პოლიტიკურ ლიდერებს გაუწიეს „ლობირება“ და შესაძლებლობა მისცეს მართვის საკომანდო პუნქტები დაეკავებინათ, რაც სრულიად ლოგიკური, გამართლებული, მისაღებია იმ შემთხვევაში, თუკი პასუხისმგებლობას იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, ხელისუფლებაში მოსულ ძალებთან ერთად, გაინაწილებენ ისინიც, ვინც უზრუნველყო. მათი მოსვლა ხელისუფლებაში

პასუხისმგებლობაზე საუბრისას, ალბათ, დასაზუსტებელია, თუ რას ვგულისხმობთ: ქართული საზოგადოებისთვის ე. შევარდნაძისა და მისი გუნდის ხელისუფლებიდან ჩამოშორება თვითმიზანი არ ყოფილა, ის ამას განიხილავდა, როგორც ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის აღდგენისა და და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების აუცილებელ პირობას. დასავლურ ორიანტაციაშიც უპირველესად ქვეყნის შიგნით სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას გულისხმობს და არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება.

რევოლუციისშემდგომი ხუთთვიანი პერიოდი ნაკლებ საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ ახალი ხელისუფლების რეალურ და არა დეკლარირებულ პოლიტიკურ ორიენტირებსა და ტენდენციებზე, თუმცა სრულიად საკმარისია წარმოვაჩინოთ ის არცთუ ისე სასურველი სიმპტომები, რაც, შესაძლოა, შემდგომში პოლიტიკურ ტენდენციად ჩამოყალიბდეს და არანაკლები დილემის წინაშე დაგვაყენოს, ვიდრე 2003 წლის ნოემბერში ვიყავით.

ამ სიმპტომებს საზოგადოების ფართო ფენები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ, რაც სრულიად ბუნებრივია, მაგრამ გაუგებარია, როდესაც პოლიტიკური ელიტა და განსაკუთრებით ის არასამთავრობო სექტორი, რომელიც ნოემბრის დღეებში ხმალშემართული იბრძოდა დემოკრატიული პრინციპების დასაცავად, ამჯერად მხოლოდ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით კმაყოფილდება. იგივე შეიძლება ითქვას იმ საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ფონდებზე, რომლებიც საქართველოში ფუნქციონირებენ და რომელთა წვლილიც ნოემბრის მოვლენებში საკმარისად დიდია.

საკონსტიტუციო შესწორებები, საარჩევნო კოდექსი და ძალოვანთა მიერ ჩატარებული ოპერაციები ის სიმპტომებია, რომლებიც ნამდვილად იძლევა შეშფოთების საბაბს.

საქართველოს არც ერთ წინამორბედ ხელისუფლებას არ ჰქონია უფრო უკეთესი პოლიტიკური და უფრო მძიმე სოციალური გარემო, ვიდრე დღევანდელს.

ვფიქრობ, ხელისუფლებას უნდა გამოეყენებინა პოლიტიკურად კე-

თილგანწყობილი გარემო და დაეწყო რეალური დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება. თუ კონსტიტუციურ ცვლილებებზე მიდგებოდა საქმე, ეს ცვლილებებიც ამ მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო. სამწუხაროდ, ამჯერადაც მოხდა ის, რაც არაერთხელ, როდესაც ხელისუფლებაში მოსული ყოველი ახალი ძალა ცდილობდა კონსტიტუციური ცვლილებები საკუთარ თავზე მოერგო და საკუთარი უფლებები გაეფართოებინა. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით მივიღეთ უუფლებო პრემიერი და პარლამენტი და ყოვლისშემძლე პრეზიდენტი. სხვა საკითხია, რამდენად იყო უფლებამოსილი ძველი პარლამენტი, გაეტარებინა საკონსტიტუციო ცვლილებები, მაგრამ ამგვარი ცვლილებების გამართლება იმით, რომ ვიღაცას პრემიერობა უნდოდა და ამაზე წინასწარი შეთანხმება არსებობდა, ღიმილის მომგვრელია. არა მგონია, ზ. ჟვანიას ამგვარი უფლებამოსილების მქონე პრემიერობა ეოცნებებოდა (საერთოდ, გულწრფელად რომ ვთქვათ, ზ. ჟვანია თანაბრად უნდა ინანილებდეს პასუხისმგებლობას ყოფილ პრეზიდენტთან ერთად, როგორც არჩევნების გაყალბების ორგანიზატორი 1995-99 წლებში და პოლიტიკური კორუფციის იდეოლოგი); უფრო რეალურია ვივარაუდოთ, რომ ვიღაცა ფიქრობს, პრემიერისა და პარლამენტის დათხოვნის მექანიზმი მანევრირების საშუალებას მისცემს პრეზიდენტს მოსალოდნელი პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისი ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით ისე წარმართოს, რომ თავად ხელშეუხებელი დარჩეს, ანუ პრემიერი და პარლამენტი განტევების ვაცად აქციოს, რაც, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ დიდი გულუბრყვილობაა. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ამ ცვლილებებით ჩვენი კონსტიტუცია რუსული კონსტიტუციის ერთ-ერთ ნაირსახეობად იქცა. თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია „დავიმშვიდოთ", რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილება კონსტიტუციური გზით ჯერ არ მომხდარა და თუ აუცილებელი გახდა, იმავე მეთოდებით განხორციელდება, როგორც დღემდე ხორციელდებოდა.

საერთოდ, თუ ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტა შეეცდება ზერელედ მაინც გაიაზროს სიღრმე და მასშტაბურობა იმ კრიზისისა, რომელმაც ქვეყანა მოიცვა, იძულებული. იქნება აღიაროს — პოლიტიკური ძალა თუ ლიდერი, რომელიც რეალურად დაიწყებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას, რაც ჭეშმარიტი დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების გარეშე შეუძლებელია, მორიგ არჩევნებში დამარცხებისთვის იქნება განწირული. ამ მოსაზრებას ად-

ასტურებს ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება, — გამონაკლისი მხოლოდ ჩეხეთი და ჰაველია, — ყველა სხვა ქვეყანაში პოლიტიკური ძალა, რომელმაც კრიზისი დაძლია და დემოკრატიული რეფორმები გაატარა, მორიგ არჩევნებში დამარცხდა და ოპოზიციაში აღმოჩნდა.

დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, აცნობიერებს ამ საფრთხეს და ძალიან უჭირს მასთან შეგუება; სხვაგვარად, როგორ შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ, მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალ-დემოკრატების მიერ სადეპუტატო მანდატების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება ეჭვს არ იწვევდა, ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად არც 7%-იანი ბარიერის 5%-მდე დასაწევად, არც ამომრჩეველთა სიების ნორმალურად შესადგენად და არც საარჩევნო კომისიებში უმრავლესობის დასათმობად. სახელისუფლებო ბერკეტებიც ისევე იქნა გამოყენებული, როგორც ადრე ხდებოდა და თუ არჩევნებმა შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, ეს არა იმიტომ, რომ დარღვევები არ ყოფილა, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკურად გაკოტრებულ ოპოზიციას მართლაც არ ჰქონდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

მ. სააკაშვილს ჰქონდა უნიკალური შანსი დაეკომპლექტებინა არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება, არამედ საქართველოს პარლამენტიც, მაგრამ მან ქვეყნისათვის გამოსადეგ პარლამენტს საკუთარი პარლამენტი ამჯობინა. მას, როგორც ჩანს, არ უნდოდა პარლამენტში საწყის ეტაპზევე ჩამოყალიბებულიყო მკვეთრი ოპოზიციური დაჯგუფება, თუმცა ამ პროცესის თავიდან აცილება შეუძლებელია, პარლამენტში ძალიან მალე გაჩნდება ოპოზიციური ჯგუფები, ხოლო თუ ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილებას გავიხსენებთ, ხელისუფლებისთვის გაცილებით სახიფათოა ოპოზიციურ ჯგუფებად უმრავლესობის დაშლა, ვიდრე იმთავითვე არსებული, თუნდაც რადიკალური ოპოზიცია.

მართალია, 2003 წლის ნოემბრის საპროტესტო მანიფესტაციები არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ იყო მიმართული და დემოკრატიულობისა და კანონიერების აღდგენის ლოზუნგით წარიმართა, მაგრამ მოსახლეობაში არსებული საპროტესტო განწყობილების რეალური მიზეზი მაინც უკიდურესად მძიმე სოციალური გარემოა, ამიტომ საზოგადოების ფართო ფენები ხელისუფლებისაგან სოციალური სამართლიანობის აღდგენასა და კორუმპირებული ჩინოვნიკების დასჯას

მოითხოვენ და ნაკლებად აინტერესებთ ის სამართლებრივი ნორმები, რომლითაც ეს ოპერაციები ხორციელდება.

სოციალური სამართლიანობის აღდგენისა და კორუმპირებული მოხელეების დასჯის წინააღმდეგი არც შეიძლება ვინმე იყოს, ოღონდ ეგაა, კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლა კანონის დარღვევით, მით უფრო, თუ ეს ხელისუფლებისაგან მოდის, იმ შედეგს არ მოუტანს არც ქვეყანას და არც ხელისუფლებას, რომელსაც მოსახლეობა ელოდება.

ჩვენი საზოგადოების საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს ახსოვთ, რომ თავის დროზე 1972 წელს აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ხელისუფლებაში სწორედ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის მოტივით მოვიდა და საბჭოთა რეპრესიული სისტემა მთელი ძალით აამუშავა, მაგრამ შედეგად მივიღეთ ის, რომ ძველ, ვ. მჟავანაძისდროინდელ ბიუროკრატიულ აპარატს ე. შევარდნაძის ბიუროკრატიული აპარატი ჩაენაცვლა, გაიზარდა ე.წ. „სტავკები", ნეგატიური მოვლენები კი ნეგატიურ მოვლენებად დარჩა!

თუკი სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული ღონისძიებები არ მოექცევა კანონიერების ფარგლებში და არ იქნება მთლიანად გამჭვირვალე დაპატიმრებიდან სასამართლო პროცესამდე, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ახლაც იგივე განმეორდეს, — ე. შევარდნაძის ბიუროკრატიულ აპარატს ახალი, მ. სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების ბიუროკრატიული აპარატი ჩაენაცვლოს, ბიზნეს-სფეროები გადანაწილდეს, კორუფცია კი კორუფციად დარჩეს გაზრდილი „სტავკებით". მხოლოდ სასამართლოზე და საზოგადოებისთვის აბსოლუტურად გამჭვირვალედ უნდა ხდებოდეს იმის დადგენა, თუ რა რაოდენობის გამოსასყიდი თანხა (სხვას ვერაფერს დაარქმევ!) უნდა გადაიხადოს ამა თუ იმ ჩინოვნიკმა თუ ბიზნესმენმა — მხოლოდ ამგვარი გზებით არის შესაძლებელი და შედეგის მომტანი კანონიერების აღდგენა და კორუფციასთან რეალური ბრძოლა.

მინდა ვირწმუნო, რომ ის სახიფათო სიმპტომები, რაზეც ზემოთ ვწერდი, მაინც უფრო რევოლუციურ—ემოციური ფონით იყო გამოწვეული და მას შემდეგ, რაც ახალ პარლამენტი მუშაობას შეუდგა, ისინი არც ტენდენციის და არც ხელისუფლების პოლიტიკური ორიენტირის სახეს არ მიიღებენ.

2004 წელი, 25-26-27 მაისი, გაზეთი „24 საათი"

„... ვინც ერეკლეს რუსი უქო!“

ამბობენ, ამ სტრიქონების ავტორი თავადი გარსევან ჭავჭავაძეაო. იმასაც ამბობენ, როდესაც რუსეთიდან დაბრუნებულ ერეკლეს ელჩს ჰკითხეს, მაინც რა ქვეყანაა ეს რუსეთიო, თავისი შთაბეჭდილებები თავადს ლექსად ჩამოუყალიბებია და საკმაოდ ემოციურად და უხამსად მოუხსენიებია ისინი, „ვინც ერეკლეს რუსი უქო“.

ორნახევარი საუკუნე გვაშორებს ამ სტრიქონებს, აქედან რუსებთან თანაზიარი ცხოვრების ორასწლიანი პერიოდი. ამ ხნის მანძილზე საქართველოში არ ყოფილა თაობა, რომლის წარმომადგენლებიც არ დაპირისპირებოდნენ რუსულ იმპერიას. თითქოს ყველაფერი ვნახეთ, გავიგეთ და გამოვცადეთ. საკუთარ თავზე ვიწვნიეთ ერთმორწმუნე ქვეყნის „მეგობრობისა და ძმობის“ ყველა „სიკეთე“; მიუხედავად ამისა, რუსეთისა და რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის ჩვენეული შეფასება, გნებავთ გააზრება, დიდად არ განსხვავდება თავადი გ. ჭავჭავაძის ემოციური და პოეტური შეფასებისაგან.

ნაცვლად იმისა, რომ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ობიექტურად შეგვეფასებინა რუსეთ–საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები, გაგვეაზრებინა ის ტაქტიკური სვლები, რომლებსაც რუსეთი მიმართავს, გვეწარმოებინა ღია და გამჭვირვალე პოლიტიკა და დიპლომატია, ჩვენ ყველაფერს პირიქით ვაკეთებდით, ვცდლობდით, პრობლემები კულუარული გზით მოგვეგვარებინა, მაშინაც კი, როცა რუსეთის ფაქტორი იმდენად აშკარა იყო, რომ მისი დამალვა ვერ ხერხდებოდა, როგორც, მაგალითად, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტების შემთხვევაში. ჩვენ მაინც ვერ ვბედავდით, თუ რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო არ გვინდოდა ამ კონფლიქტების რეალური ინსპირატორის პირდაპირი მხილება და მას „მესამე ძალად“ მოვიხსენიებდით. თუ რომელიმე ჩვენგანი, ისევ ემოციურობის გამო, სრულიად სამართლიანად, მკვეთრ და მკვახე განცხადებებს გააკეთებდა, მასვე ვამუნათებდით, „ნუ აღიზიანებო!“ იქამდეც კი მივედით, რომ ჯერ ორი რუსეთის არსებობა მოვიგონეთ, შემდეგ კი გაცხარებით ვუმტკიცებდით ერთმანეთს, რუსეთს დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა არ გააჩნია, ვერ გარკვეულა და ვერ ხვდება, თუ რა კარგი და ხელსაყრელია მისთვის

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობაო!

საწყალი რუსეთი, შეგეცოდება პირდაპირ, ისეთი „დაბნეული" და „შოკირებულია!".

თურმე ნუ იტყვი და, ერი, რომელიც ხუთი საუკუნეა იმპერიას აშენებს და რომელმაც აზიური და ევროპული პოლიტიკური კულტურის ორგანული შერწყმით სრულიად ახალი, განსხვავებული რუსული პოლიტიკური კულტურა შექმნა, ჩვენგან საჭიროებს დახმარებას, რათა გაერკვეს, რაა უმჯობესი მისთვის და რა არა. ჩვენგან, ვისი პოლიტიკური კულტურა და ანალიზი ემოციების დონეს არც გასცილებია და ვერც სცილდება!

არადა, პოლიტიკური დოქტრინა, — იმპერიის სამხრეთით გაფართოება, — რომელიც ახალი მიწების შემოერთებასთან ერთად იქ მცხოვრები აბორიგენი მოსახლეობის რუსიფიცირებასაც გულისხმობდა, რუსეთს მანამ ჰქონდა შემუშავებული, ვიდრე საქართველოსთან გეორგიევსკის ტრაქტატს ხელს მოაწერდა.

ნიშანდობლივია, რომ რუსულ ინტელიგენციას და პოლიტიკურ წრეებს, ჯერ მეფის რუსეთის და მერე კომუნისტურ ეპოქაშიც, ამ პოლიტიკური დოქტრინის გადასინჯვა და რევიზია არასდროს მოუხდენიათ, უფრო პირიქით: გასული საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დროს, დასავლეთის ფრონტზე წარუმატებელი სამხედრო ოპერაციების მიუხედავად, სამხრეთის ფრონტზე რუსული არმიის წინსვლა მხოლოდ რევოლუციამ შეაჩერა. ცნობილია ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, სტალინი დაჟინებით მოითხოვდა მოკავშირეებისაგან, თურქეთი ფაშისტურ გერმანიასთან ალიანსში მყოფ ქვეყნად გამოეცხადებინათ, რაც რეალურად ნიშნავდა იმას, რომ თურქეთის მიმართ მოკავშირეებს იგივე ღონისძიებები უნდა გაეტარებინათ, რასაც იტალიისა და იაპონიის მიმართ განახორციელებდნენ. ეს საშუალებას მისცემდა რუსულ საბჭოთა არმიას თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები ეწარმოებინა. მაშინ სტალინმა მოკავშირეების დაყოლიება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა თავი შეეკავებინა, თუმცა ქვეყნის შიგნით პროპაგანდისტული სამზადისი უკვე დაწყებული იყო.

ოთხმოციან წლებში უკვე ბრეჟნევის ხელისუფლება იწყებს საომარ მოქმედებებს ავღანეთში. ახლა ირკვევა, რომ საომარი მოქმედებების

დასაწყებად ორი მიმართულება — ავღანეთი და ირანი განიხილებოდა, მაგრამ მიიჩნიეს, რომ იმ პერიოდისათვის ავღანეთის მიმართულება უფრო პერსპექტიული და მომგებიანი იყო.

არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განუცდია ამ დოქტრინას რაიმე კარდინალური ცვლილება, უბრალოდ, ისევე, როგორც 1917 წლის შემდეგ, ამჟამადაც პირველი რიგის ამოცანა იმპერიის ძველ, საბჭოთა კავშირის საზღვრებში აღდგენაა. ამ პრობლემაზე, ანუ რუსული იმპერიის ძველ, საბჭოთა კავშირის საზღვრებში შენარჩუნებაზე მუშაობა და ფიქრი, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, რუსულმა იმპერიულმა გონმა საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დაშლამდე, 1989-90 წლებში მას შემდეგ დაიწყო, რაც 1989 წლის 9 აპრილის თბილისის და 1990 წელს ვილნიუს-ბაქოს მოვლენებმა ცხადყო, რომ იმპერიის შენარჩუნება „შეზღუდული რეპრესიებით" შეუძლებელი იყო, ხოლო მასობრივ რეპრესიებს, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყოლოდა, რადგან დანამდვილებით არავინ იცოდა, შეძლებდა თუ არა სახელმწიფო რეპრესიული აპარატი ფართომასშტაბიანი, მასობრივი რეპრესიების მართვას და კონტროლს. ადვილი შესაძლებელი იყო, ფართომასშტაბიან რეპრესიებს მასობრივი არეულობები მთელ ქვეყანაში გამოეწვია და სამოქალაქო ომში გადაზრდილიყო, რაც უეჭველად ხელისუფლების დამხობით დასრულდებოდა, — მ. გორბაჩოვის ხელისუფლებით ხომ უკმაყოფილო იყო არა მხოლოდ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში, ასევე მეტროპოლიაში, არამედ საშუალო სახელმწიფო ბიუროკრატიული რგოლი და, რაც ყველაზე მთავარია, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი.

სწორედ ამიტომ თქვა რუსულმა იმპერიულმა გონმა უარი ფართომასშტაბიან რეპრესიებზე და, როგორც ჩანს, მოქმედების უფრო ხანგრძლივი და თანამედროვეობას მორგებული სტრატეგია შეიმუშავა.

სტრატეგიული ამოცანა რადგან უცვლელი დარჩა, ალბათ საინტერესო იქნება იმ ტაქტიკური სვლების თუნდაც ზოგადი ანალიზი, რომლის მეშვეობითაც რუსეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა საბჭოთა კავშირი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, ხოლო ამჟამად ცდილობს რუსული იმპერია იმავე ფარგლებში აღადგინოს.

ბალტიისპირეთში, უკრაინასა და კავკასიაში განმათავისუფლებელი მოძრაობა „გლასნოსტისა" და „პერესტროიკის" მიერ განსაზღვრულ

ჩარჩოებს გასცდა და იმპერიისათვის არასასურველი მიმართულება მიიღო. მის გასანეიტრალებლად ცენტრმა სამი ძირითადი მიმართულების შემცველი ტაქტიკა შეიმუშავა: პირველი. ეროვნული მოძრაობის შიგნიდან გახლეჩა და ურთიერთდაპირისპირება; მეორე. ეთნოკონფლიქტების გაღვივება და ამ კონფლიქტებში განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩათრევა და მესამე. ინტერფრონტების შექმნა, სადაც ძირითადად ეთნიკური რუსები გაერთიანდებოდნენ და ადგილებზე დაუპირისპირდებოდნენ ეროვნულ მოძრაობას.

ამ გეგმის რეალიზება უნდა მოეხდინა სუკ-ს (კგბ) პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატისა და მეხუთე კოლონის, იგივე კგბ-ს აგენტურის გამოყენებით.

ინტერფრონტების შექმნაზე, რომლებიც, როგორც ჩანს, ძირითადად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისათვის იყო გამიზნული და ამიტომ ჩვენთან მისი შექმნის რეალური მცდელობაც კი არ ყოფილა, მალევე ითქვა უარი. ამ იდეამ, უპირველეს ყოვლისა, რუსულენოვან მოსახლეობაში ვერ ჰპოვა მხარდაჭერა. ეროვნული მოძრაობის შიგნით ურთიერთდაპირისპირებებსა და ეთნოკონფლიქტებს რაც შეეხება, ფაქტია, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა ამ გამოცდას გაუძლეს — არ ვიცი, სუკ-მა და მეხუთე კოლონამ უბრალოდ ცუდად იმუშავეს, თუ მათში პატრიოტულმა სულმა იმძლავრა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ბალტიისპირეთში პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი, პარტიული ელიტის ჩათვლით, გაცილებით ეროვნული და პატრიოტული აღმოჩნდა, ვიდრე ზოგადად კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში.

ბალტიისპირეთისაგან განსხვავებით, კავკასიაში კრემლმა სრული მასშტაბით მოახერხა თავისი ტაქტიკური ჩანაფიქრის რეალიზება — ეროვნული მოძრაობის შიგნით დაძაბულობის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ ურთიერთშეურაცხყოფა და მძაფრი დაპირისპირება ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა; გაღვივდა ეთნოკონფლიქტები — ყარაბახი, შიდა ქართლი, აფხაზეთი — და მათში ჩართული აღმოჩნდა განმათავისუფლებელი მოძრაობა. მიუხედავად ამისა, ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ იმდენად ძლიერი იყო, რომ ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კრემლი მიხვდა, რომ ამ პროცესის შეჩერებას ვერც ეთნოკონფლიქტებით შეძლებდა და ვერც ურთიერთდაპირისპირებით, ამიტომ ახალი ტაქტიკური მანევრი

განახორციელა — მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ-ბიუროკრატიულ აპარატს, რომელიც კრემლის საყრდენს წარმოადგენდა, უფლება მიეცა თავადვე მოეხდინა დამოუკიდებლობის დეკლარირება. შედეგად, 1990 წლის ზაფხულში მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესმა საბჭოებმა, პარტიულ-ბიუროკრატიულ ელიტასთან ერთად, ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს დამოუკიდებლობის დეკლარაციების მიღება — საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში დამოუკიდებლობის დეკლარირების ნამდვილი აღლუმი გაიმართა. სიტუაცია იმდენად არაორდინალური იყო, რომ ზოგან კომიკური ელფერიც შეიძინა, — მაგალითად, შუა აზიის რესპუბლიკებში, სადაც არავითარი განმათავისუფლებელი მოძრაობა არ არსებობდა, მოსახლეობამ ტელესაინფორმაციო საშუალებებით შეიტყო, რომ ისინი უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ და არა საბჭოთა კავშირისა!

ამ ტაქტიკური მანევრით კრემლი ცდილობდა დაერწმუნებინა დასავლეთი, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ყველგან ერთნაირი იყო და დამოუკიდებლობას აცხადებდა არა მხოლოდ ლიტვა, არამედ ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაც. ამდენად, ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება თითქოს საბჭოთა კავშირიდან გასვლის კონკრეტულ ფაქტს კი არ ადასტურებდა, არამედ ერთიანი პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობას, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის დეკლარირება მხოლოდ პირველ ეტაპად უნდა აღქმულიყო, მეორე ეტაპი კი მოსკოვის მიერ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, ან უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების შეთავაზება იქნებოდა.

ცხადია, თუ მოსკოვი მოახერხებდა და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას გააფორმებდა, თუნდაც განსხვავებული უფლებამოსილებით, მაშინ კრემლს სრული უფლება ექნებოდა ელაპარაკა საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს სახელით.

ბუნებრივია, ახალ კავშირს ლეგიტიმურობის გაცილებით მაღალი ხარისხიც ექნებოდა, რადგან ფორმალურად ის იქმნებოდა ღია სამხედრო აგრესიის გარეშე, მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, დასავლეთი მზად იყო ეცნო საბჭოთა კავშირი,

როგორც ერთიანი სახელმწიფო და ამის შესახებ განაცხადა კიდეც მამა ბუშმა კიევში ვიზიტის დროს, რითაც მ. გორბაჩოვსა და მის გუნდს მოქმედების სრული თავისუფლება მისცა.

მართალია, კრემლმა თავისი გეგმის რეალიზება დაიწყო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ეს ტაქტიკური მანევრი ერთსულოვანი მხარდაჭერით სარგებლობდა უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში. ნამდვილად არსებობდნენ ძალები, რომლებიც „განდგომილი" რესპუბლიკების შემოერთებას ისევ სამხედრო აგრესიით შეეცდებოდნენ. გარდა ამისა, აუცილებელად იქნებოდა სულ ცოტა კიდევ ერთი ვარიანტი მაინც იმ შემთხვევისათვის, თუკი გორბაჩოვის მიერ შემუშავებული გეგმა ან სამხედრო აგრესია არ გაამართლებდა.

მ. გორბაჩოვისეული ტაქტიკური სქემა პირველად საბჭოთა კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებისას მოისინჯა. კრემლს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა იმის ილუზია, რომ „განდგომილი" რესპუბლიკების მოსახლეობა ამ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა და ამას მიზნად არც ისახავდა. ამ შემთხვევაში მისთვის მთავარი იყო, საარჩევნო უბნები გახსნილიყო საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე „განდგომილი" რესპუბლიკების ჩათვლით; ისევ და ისევ უნდა შექმნილიყო იმის ილუზია, რომ არჩევნები მთელი ქვეყნის (საბჭოთა კავშირის) მასშტაბით ტარდებოდა, ანუ, საბჭოთა კავშირი თითქოს კვლავ ერთიან პოლიტიკურ სივრცედ რჩებოდა.

საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ სწორად აუღო ალღო მოსკოვის ჩანაფიქრს და საპრეზიდენტო არჩევნების ნაცვლად საერთო-სახალხო რეფერენდუმი დანიშნა დამოუკიდებლობის მოთხოვნით. სამწუხაროდ, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ზ. გამსახურდიამ და „მრგვალმა მაგიდამ" არა მხოლოდ ზუსტი და ადეკვატური პასუხი გასცეს მოსკოვიდან წამოსულ ინიციატივას, არამედ შეძლეს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისა და მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება. შედეგად, რეფერენდუმი ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ჩათვლით, და ამას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მაშინ, ასევე დღესაც (ეს ის პერიოდია, როცა ბალტიისპირეთისა და საქართველოს პოლიტიკური გადაწყვეტილებები თითქმის იდენტურია და მთლიანადაა ამოვარდნილი იმ პოლიტიკური პროცესებიდან, რომელთა

განხორციელებასაც მოსკოვი ცდილობს. შემდგომში, ეკონომიკურ ბლოკადასა და მოსკოვის აგვისტოს პუტჩთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულმა არასწორმა გადაწყვეტილებებმა თანდათან ჩამოგვაშორა ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რასაც დასავლეთმა დინების საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა უწოდა და რამაც მკვეთრი დაპირისპირება გამოიწვია ქვეყნის შიგნით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ამით ისარგებლა რუსეთმა და მეხუთე კოლონის დახმარებით საქართველო კვლავ მოსკოვის პოლიტიკურ არეალში მოექცა).

მოსკოვი მიხვდა, რომ კულუარულმა დიპლომატიამ, მუქარამ და შანტაჟმა სასურველი შედეგები ვერ გამოიღო და უფრო აქტიურ და ღია მოქმედებაზე გადავიდა — ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით შეეცადა „განდგომილ" რესპუბლიკათა დასჯას. მან ფაქტიურად ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა ბალტიისპირეთს, რაც უთუოდ საყურადღებო საკითხია, თუკი დღევანდელ რუსულ პოლიტიკასთან გავავლებთ პარალელს, მაგრამ დასავლეთის მხრიდან მძაფრი რეაქციის შემდეგ, იძულებული გახდა უკან დაეხია (სხვათა შორის, სწორედ ამ დროს საქართველოს ხელისუფლება იქით უცხადებს ბლოკადას რუსეთს!).

ამ მოვლენების შემდეგ ცხადი გახდა, რომ მ. გორბაჩოვი და მისი გუნდი ვერანაირი ფორმით ვეღარ შეძლებდა საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებას, რამაც ბიძგი მისცა 1991 წლის აგვისტოს პუტჩს!

აგვისტოს პუტჩმა, ერთის მხრივ, აჩვენა, თუ რაოდენ უსუსურები იყვნენ არა მხოლოდ პუტჩის ორგანიზატორები, არამედ მართვის სახელმწიფო ვერტიკალი და საბჭოთა რეპრესიული აპარატი; ხოლო მეორეს მხრივ, დაასრულა ბ. ელცინის, როგორც ახალი, დემოკრატიული ტიპის ლიდერის ჩამოყალიბების პროცესი, რაც რუსულმა პოლიტიკურმა გონმა ყრილობაზე მისი სკანდალური გამოსვლის შემდგომ წამოიწყო.

მართალია, მ. გორბაჩოვმა ხელისუფლება შეინარჩუნა, მაგრამ ყველასათვის ნათელი იყო, რომ რეალურ ძალაუფლებას უკვე ბ. ელცინი ფლობდა. სწორედ მას უნდა ეტვირთა იმ მისიის აღსრულება, რასაც მ. გორბაჩოვმა და მისმა გუნდმა თავი ვერ გაართვეს.

ბ. ელცინი თითქოს ყველასთვის მოულოდნელ გადაწყვეტილებას

ილებს — რუსეთი გამოდის საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და იმავდროულად ფორმდება ბელოვეჟის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით რუსეთის იმპერია ამთავრებს არსებობას „საბჭოთა კავშირის" სახელწოდებით და საფუძველს უყრის იმპერიის ახალი, „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ)" სახით არსებობას.

რუსულმა პოლიტიკურმა გონმა გააცნობიერა, რომ რუსეთს ურთულესი შიდა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა ელოდა, მას კი ძალა არ შესწევდა ერთდროულად შიდა პრობლემებიც მოეგვარებინა და თან ქმედითი იმპერიული სტრუქტურების ჩამოყალიბებაზეც ეზრუნა. ამდენად, მისთვის მისაღები იყო ყოფილი რესპუბლიკების გაერთიანება ნებისმიერი ფორმით და სტატუსით, რადგან ეჭვს არ იწვევდა, რომ ამ გაერთიანებაში დომინანტის ფუნქციას სწორედ რუსული სახელმწიფო შეასრულებდა და არა რომელიმე სხვა მოკავშირე რესპუბლიკა.

დსთ-ს შექმნით რუსეთი ცდილობდა არა მხოლოდ ჩაეხშო ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეესუსტებინა მაინც ის ცენტრიდანული ტენდენციები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებში გაჩნდა, არამედ შეენარჩუნებინა ყოფილი საბჭოთა კავშირი, როგორც ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცე თავისი ძირითადი მახასიათებლებით — ლიბერალური ღირებულებების დეფიციტით, სუსტი, განუვითარებელი ეკონომიკით, მძიმე სოციალური გარემოთი და საბჭოური მენტალიტეტით. მხოლოდ ამ მახასიათებელთა კომპლექსი მისცემდა საშუალებას რუსეთს, შემდგომში ქმედითი ზეგავლენა მოეხდინა დსთ-ში გაერთიანებულ ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, რეალური ბარიერი შეექმნა სხვა ქვეყნების ამ სივრცეში თავისუფლად შელწევისათვის და, ამასთანავე, მნიშვნელოვანი დაბრკოლება იქნებოდა დსთ-ს ქვეყნებისათვის, თუკი ისინი სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირებას მოისურვებდნენ.

უნდა ითქვას, რომ რუსეთმა შეძლო ამ ამოცანის შესრულება. ამიტომ, როცა ქართველი პოლიტიკოსები დსთ-სთან მიმართებაში დროდადრო აცხადებენ, თითქოს „დსთ მკვდრადშობილი ორგანიზაციაა და იქ დარჩენას თუ იქიდან გამოსვლას დიდი მნიშვნელობა არა

აქვსო", ანდა „დსთ-ს ტრიბუნა შეგვიძლია ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთო" და სხვა და სხვა, მსგავსი განცხადებები, რბილად რომ ვთქვათ, ან პოლიტიკური გულუბრყვილობაა, ან საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მორიგი მცდელობა.

თუ დსთ მართლაც ასეთი არაფრისმომცემი ორგანიზაციაა, მაშინ გაუგებარია, რაში სჭირდებოდა და სჭირდება რუსეთს მსგავსი გაერთიანების არსებობა და რატომ ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მასში საქართველოს გაწევრიანებას? ხომ ფაქტია, რომ ე. შევარდნაძემ ხელისუფლება საქართველოს დსთ-ში შეყვანის ხარჯზე შეინარჩუნა?

ის არგუმენტი, თითქოს კრემლის მესვეურებს დსთ-ს არსებობა რუსული იმპერიალისტური წრეების დასამშვიდებლად და მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად სჭირდებათ, ღიმილის მომგვრელია. თუ გვინდა, ერთხელ კიდევ მოვიტყუოთ თავი და კვლავაც ე.წ. ორ რუსეთზე ვილაპარაკოთ, არავინ გვიშლის, მაგრამ თუკი გვსურს, ერთხელ მაინც გავუსწოროთ სინამდვილეს თვალი, უნდა ვაღიაროთ, რომ არა მარტო იმპერიალისტური წრეები, არამედ მთელი რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტა და ზოგადად რუსული საზოგადოება დსთ-ში შემავალ ქვეყნებს რუსეთის განუყოფელ ნაწილად და ქვეშევრდომად თვლიდა და თვლის. მათთვის „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)" ისეთივე შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია, როგორიც იყო „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური" საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნში.

სამწუხაროდ, დსთ-ში შემავალ ქვეყნებზე რუსული გავლენის პრიორიტეტს არაოფიციალურ დონეზე აღიარებს დასავლეთიც, იგივე აშშ, და რაც ყველაზე მთავარია, მსგავსი განცდა ასაზრდოებს რუსულ მეხუთე კოლონას, სეპარატისტულ რეჟიმებს და საზოგადოების პრორუსულად განწყობილ ნაწილს.

კონფლიქტები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ავტორიტარული მმართველობა ის ბერკეტებია, რომელთა მეშვეობითაც რუსეთი ახერხებს გავლენა შეინარჩუნოს დსთ-ში შემავალ ქვეყნებზე.

კონფლიქტები საშუალებას აძლევს რუსეთს ამ რეგიონებში იყოლიოს შეზღუდული სამხედრო კონტინგენტი, რომლის მთავარი ამოცანაა არა კონფლიქტების მოგვარება ან გაყინვა, არამედ მათი რეგულირება

და, ასე ვთქვათ, „დულილის ტემპერატურაზე" შენარჩუნება, რათა საჭიროების შემთხვევაში, დროის მცირე მონაკვეთში იქნეს შესაძლებელი მათი სრულმასშტაბიანი ესკალაცია. გარდა ამისა, რეგულირებადი კონფლიქტური მდგომარეობით რუსული სამხედრო კონტინგენტი, რეალურად, ფარულ აგრესიას აწარმოებს იმ სუვერენული სახელმწიფოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც -მიმდინარეობს კონფლიქტი.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გარემო ნოყიერ ნიადაგს ქმნის მეხუთე კოლონის შესაქმნელად. მეხუთე კოლონის შექმნა სულაც არ გულისხმობს მხოლოდ ფულის გადაცემას ხელიდან ხელში, ისევე, როგორც არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტული დავალების ან ფუნქციის შესრულებას (კონკრეტულ დავალებას აგენტები, ასე ვთქვათ, „შპიონები" ასრულებენ და მეხუთე კოლონას მხოლოდ გარკვეულ სიტუაციაში უერთდებიან). მისი ძირითადი ფუნქცია საზოგადოებრივი აზრის გარკვეული მიმართულებით ფორმირებაა; ამიტომ ნ ა მ ყ ვ ა ნ როლს მეხუთე კოლონაში „გავლენისა" და „ინტერესთა" ჯგუფები ასრულებენ. ისინი სრულიად გულწრფელნი არიან თავიანთ ქმედებებსა და ქცევებში, რადგან მათთვის არავის დაუვალებია ასე და ამგვარად მოიქეცითო. მათ გულწრფელობას ასაზრდოებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რადგან მან გააჩინა „საბჭოთა კავშირის" ნოსტალგია. გარდა ამისა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სოციალური და ბიზნეს-ინტერესები უშუალოდ უკავშირდება რუსეთს და მათ, ბუნებრივია, ხელს არ აძლევთ რუსეთთან ურთიერთობის გართულება. არსებობს ადამიანთა კიდევ ერთი, რაოდენობრივად მცირე კატეგორია, რომელიც რუსეთს ისევე მიიჩნევს სამშობლოდ, როგორც საქართველოს. ადამიანთა ეს ჯგუფები ქმნიან მეხუთე კოლონას და, რაც ყველაზე სამწუხაროა, გულწრფელად სჯერათ, რომ რუსეთთან ერთად ჩვენ შევძლებთ ჩვენი პრობლემებიც მოვაგვაროთ (ეკონომიკური თუ ტერიტორიული) და თან დამოუკიდებლობაც შევინარჩუნოთ.

ამდენად, ეთნოკონფლიქტები და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გარემო ის ბერკეტებია, რომელთა საშუალებითაც რუსეთი აქტიურად მონაწილეობს დსთ-ში შემავალი ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მინიმალური მიზანი, რასაც რუსეთი დსთ-ში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობით ისახავდა და ისახავს,

არის ის, რომ არ დაუშვას თანამეგობრობის ქვეყნების სათავეში ისეთი პოლიტიკური ძალის მოსვლა, რომელიც დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და, ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიზაციას დაიწყებს. ბალტიისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალი ქვეყნების მაგალითზე მან მშვენივრად დაინახა, თუ რას ნიშნავს რეალური დემოკრატიზაცია; მაქსიმალური მიზანი დსთ-ს ქვეყნებში ლუკაშენკოს ტიპის ავტორიტარული მმართველობის დამკვიდრებაა.

ამიტომ, როდესაც მავანი და მავანი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაში ხედავს, ის, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებს, რომ რუსეთი, რა თქმა უნდა, ყველანაირი საშუალებით ცდილობს დსთ-ს ქვეყნებს საჯაროდ დეკლარირებული პრორუსული, ავტორიტარული რეჟიმები და ლიდერები მართავდნენ, მაგრამ როდესაც ამას ვერ ახერხებს, თანახმაა, პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად ისეთ პოლიტიკურ ძალებს დაუჭიროს მხარი, რომელთაც ავტორიტარიზმისკენ აქვთ მიდრეკილება. ნებისმიერი ორიენტაციის დემოკრატიული ძალა მისთვის კატეგორიულადაა მიულებელი (ისე, კაცმა რომ თქვას, დემოკრატიული ძალის პრორუსულობა ხომ თავისთავად აბსურდია!).

ჩვენს „რუსეთუმეებს" ისიც უნდა შევახსენოთ, რომ ამ თორმეტიოდე წლის წინ, როდესაც არც ენერგოშემცველების ტრანზიტზე იყო ლაპარაკი, არც ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებზე, არც ნატოსა და ევროკავშირზე, არც რუსული ბაზების გაყვანაზე, როდესაც ქვეყანაში არ იყო არც გაზი, არც ელექტროენერგია და მოსახლეობას საათობით უწევდა პურის რიგში დგომა, როდესაც დსთ-შიც შევედით და რუსულ სამხედრო კონტინგენტს სამშვიდობოების სტატუსიც მივანიჭეთ, როდესაც აბაშიძეც აქ იყო, გიორგაძეც, ნადიბაიძეც, კვირაიაც და სხვა მრავალი მათთაგანიც, როდესაც შევარდნაძეც და პარლამენტიც, რომლის უმრავლესობასაც ყოფილი პარტელიტის წარმომადგენლები შეადგენდნენ, ხელისუფლების შესანარჩუნებლად ნებისმიერ ხელშეკრულებაზე მოაწერდნენ ხელს და როდესაც მოსახლეობაში აშკარად იგრძნობოდა პრორუსული განწყობილება, რუსეთმა კონფლიქტების მოგვარებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ნაცვლად, სამანეთო სივრციდან გამოგვაძევა! იქნებ დროა დავფიქრდეთ,

რის მიღწევას ცდილობდა რუსეთი მაშინ, ან რის მიღწევას ცდილობს დღეს?

დსთ რუსეთისათვის შუალედური გაერთიანებაა. მისი მეშვეობით რუსეთმა შეძლო შეენარჩუნებინა ყოფილი საბჭოთა კავშირი (ბალტიისპირეთის გამოკლებით), როგორც ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცე. რუსულმა პოლიტიკურმა გონმა მშვენივრად იცის, რომ ამ ფორმით დსთ-ს ხანგრძლივი დროით შენარჩუნება შეუძლებელია: ის ან რეალურ თანამეგობრობად უნდა ჩამოყალიბდეს, ან დაიშალოს, ანდა ფაქტიურად ერთ სახელმწიფო სტრუქტურად გარდაიქმნას.

დღეს რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურები გაცილებით უფრო ძლიერი, ორგანიზებული და ქმედითუნარიანია, ვიდრე ბ. ელცინის, ან თუნდაც მ. გორბაჩოვის პერიოდში. ვ. პუტინმა და მისმა გუნდმა შეძლო ის, რაც ვერ მოახერხა მ. გორბაჩოვმა — თავისუფალი მედია „გლასნოსტის" ფარგლებში მოაქცია, ხოლო ეკონომიკა „პერესტროიკას" დაუქვემდებარა და მის სტრატეგიულ მიმართულებებზე სახელმწიფო მონოპოლია აღადგინა.

ასეთ ვითარებაში დსთ-ს რეალურ თანამეგობრობად ჩამოყალიბების შანსი ნულის ტოლია. რუსეთი ამაზე მაშინაც კი არ წავიდა, როცა ფედერაციის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, მომავალი საკმაოდ ბუნდოვანი იყო, ეკონომიკურადაც უჭირდა და სახელმწიფო სტრუქტურებიც უაღრესად მოუქნელად და გაუმართავად მუშაობდნენ. მითუმეტეს, ის ამას არ იზამს დღეს, როდესაც რუსული სახელმწიფო მანქანა გაცილებით გამართულად და სტაბილურად მუშაობს.

რუსეთი შეტევისთვის ემზადება და მისი პირველი სამიზნე, რა თქმა უნდა, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებია. ამასთანავე, ის ცდილობს დემოკრატიულობის იმიჯი შეინარჩუნოს და მსოფლიოს ისეთივე მონსტრად არ მოევლინოს (ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე), როგორიც საბჭოთა კავშირი იყო; ამიტომ, მიზნის მიღწევას, გარეგნულად მაინც, დღევანდელი მსოფლიოსათვის მეტ-ნაკლებად მისაღები და გასაგები ფორმებითა და მექანიზმებით შეეცდება.

გამორიცხული არც ისაა, რომ თუკი დსთ-დან გადასვლას ერთი ან რამდენიმე ქვეყანა მოინდომებს, ანდა რუსეთი ვეღარ შეძლებს პროცესების მისთვის სასურველი მიმართულებით წარმართვას, თავადვე

დატოვოს დსთ, როგორც თავის დროზე სსრკ-ს გამოეყო, და შუა აზიის, ბელორუსიის და სომხეთის რესპუბლიკებთან ერთად ახალი გაერთიანება შექმნას.

შეუძლებელია იმის ზუსტი პროგნოზირება, როდის და როგორ მოხდება დსთ-ს ტრანსფორმირება; მაგრამ თუ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს გავითვალისწინებთ, ეს არცთუ შორეულ მომავალში უნდა განხორციელდეს, ხოლო თუკი უახლოეს წარსულსაც გავიხსენებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთისათვის დსთ-ს ტრანსფორმირების ის მოდელია ყველაზე მისაღები, რომელსაც საფუძვლად აკადემიკოს სახაროვის კონსტიტუციური იდეოლოგია დაედება და რომელიც ავტონომიური წარმონაქმნებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სტატუსის გათანაბრებას გულისხმობს.

სახაროვს ამ კონსტიტუციური იდეოლოგიით სურდა საბჭოთა კავშირის რღვევა შეეჩერებინა, მაგრამ რუსული პოლიტიკური გონი მიხვდა, რომ კონსტიტუციური მანიპულირება საბჭოთა კავშირს ვერ იხსნიდა; პროცესი უკვე გამოსული იყო საკონსტიტუციო ჩარჩოებიდან და ამგვარ მოუმზადებელ ექსპერიმენტებს შეიძლებოდა საპირისპირო შედეგი მოჰყოლოდა — ანუ ვერც საბჭოთა კავშირის დაშლა შეეჩერებინათ და რუსეთის ფედერაციის არსებობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო, ამიტომაც გადაჭრით უარყვეს სახაროვის ინიციატივა, თუმცა რაც თავის დროზე იმპერიის რღვევის შესაჩერებლად ვერ გამოდგებოდა, შესაძლოა, საუცხოო საფუძველი აღმოჩნდეს ახალი იმპერიის შესაქმნელად.

რუსეთის აგრესიულად გააქტიურება მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების გაძლიერებით არ არის გამოწვეული. მისი პროვოცირება განაპირობა გარეგანმა ფაქტორებმაც. კერძოდ, ამერიკის პრეზიდენტის ინიციატივამ დემოკრატიის აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ საფუძვლიანი შეშფოთება გამოიწვია შუა აზიის ქვეყნებში და მათ მხარდაჭერისა და მფარველობისათვის მოსკოვს მიაშურეს. გარდა ამისა, გერმანია—რუსეთის ერთობლივი პროექტი ბალტიის ზღვაზე გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, კრემლმა მოლოტოვ—რიბენტროპის თანამედროვე პაქტად აღიქვა და ილუზია გაუჩნდა, რომ არა მხოლოდ ბალტიისპირეთის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც კვლავ შეიძლება საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს

და თუ ადრე რკინის ფარდით ყოფდა ევროპას, ახლა იგივეს გაკეთება გაზის მილით სცადოს.

თავისთავად ის, რომ რუსეთს საკუთარი გავლენის გაძლიერება და გაფართოება სურს, არც საძრახისია და არც მიუღებელი. ნებისმიერი ქვეყანა, თუ ის მართლაც სახელმწიფოდაა ჩამოყალიბებული, ცდილობს და უნდა ცდილობდეს კიდეც გავლენის არეალის გაფართოებას. საკითხი სხვაგვარად დგას — რა ფორმებით და მეთოდებით ცდილობს ესა თუ ის ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი ამ გავლენის მოპოვებას და გაფართოებას.

განვლილი თხუთმეტწლიანი პერიოდის ზოგადი ანალიზით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რა მიზნები ამოძრავებს რეალურად რუსეთს და რა გზებითა და მეთოდებით ცდილობს მათ განხორციელებას, რაც თავისთავად საინტერესო და მნიშვნელოვანია, მაგრამ გაცილებით დიდი, ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება იმის გააზრებას, თუ როგორ და რას მოიმოქმედებს იგი მომავალში.

ის, რომ რუსეთ—გერმანიის გაზსადენის მშენებლობამ სრულიად საფუძვლიანი შეშფოთება გამოიწვია ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ისიც, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში რუსეთს არ გადაუდგამს არცერთი ნაბიჯი, რომელიც მისდამი ნდობის აღდგენის საფუძვლად გამოდგებოდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ, როდესაც საქმე რუსეთს და მის ინტერესებს ეხება, საჭიროა ძალიან ფრთხილი, მაგრამ გონივრული და პრინციპული მოქმედება, რაც უპირველესად ქვეყნის შიგნით იმ ეგრეთ წოდებული „საყრდენების" დემონტაჟს გულისხმობს, რომელთა გამოყენებაც ჩვენს არაკეთილმოსურნეს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად შეუძლია.

რასაკვირველია, „საყრდენები" არ არის მხოლოდ არსებული თუ პოტენციური კონფლიქტური რეგიონები ან სამხედრო ბაზები. გაცილებით მყარი და სახიფათო ის „საყრდენებია", რომლებიც არსებობდნენ და არსებობენ როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში.

ხელისუფლებას პირველ რიგში ამ „საყრდენების" მოშლაზე უნდა ეზრუნა; ეს იქნებოდა რეალური რეფორმა და არა ის, რასაც რეფორმის იარლიყით სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში ახორციელებს და რასაც შედეგად მხოლოდ დაპირისპირება, ქაოსი და ანარქია მოაქვს.

ჩვენმა საზოგადოებამ და ხელისუფლებამ, თუკი მას ამის უნარი გააჩნია, ბოლოს და ბოლოს უნდა გააცნობიეროს, რომ ეროვნული კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია იმ პრობლემების დაძლევა, რაც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაშე დგას. საფრთხე, რომელიც ჩვენ გვემუქრება, გაცილებით მრავალმხრივი და მასშტაბურია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

პოზიტიური როლი, რაც რუსეთმა თბილისისა და ბათუმის მოვლენებში ნებსით თუ უნებლიეთ ითამაშა, გამოწვეული იყო არა სტრატეგიული მიზნის ცვლილებით, არამედ ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებულ ტაქტიკურ გეგმაში კორექტივების შეტანით, მასში ახალი პრიორიტეტების ჩამოყალიბებით და აქცენტების გადანაცვლებით. ტაქტიკურ გეგმაში ცვლილებების აუცილებლობას განაპირობებდა საქართველოში შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობა და ასევე რუსეთის სურვილი, მიზნის მისაღწევად აქცენტი თანამედროვე მსოფლიოსთვის მისაღებ და გასაგებ მექანიზმებზე გაეკეთებინა, მეორე პლანზე გადაეტანა ძველი, ტრადიციული იმპერიული მეთოდები.

ვფიქრობ, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება, როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო, სხვადასხვა დოზით, მაგრამ ყოველთვის განიცდიდა სხვა სახელმწიფოთა გავლენას (სხვათა შორის, როდესაც მეხუთე კოლონაზეა საუბარი, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მეხუთე კოლონის ძირითადი არსი ხელისუფლების „ჩამოგდება" კი არა, უფრო მეტად ხელისუფლებაში სოლიდური კვოტების და მართვის რეალური ბერკეტების მოპოვებაა!); ეს გავლენა ჩვენს სინამდვილეში თითქმის ყოველთვის პერსონიფიცირებულ ხასიათს ატარებდა, თუმცა ეს იყო აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილი, რომელიც წყლის ზედაპირზე, ანუ ხელისუფლებაში ჩანდა. მეორე და გაცილებით მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც პირველის ხილვადობას უზრუნველყოფდა, ძირითადად შეუმჩნეველი რჩებოდა, როგორც მუდმივი ბაზა იმ შემთხვევისათვის, როცა პოლიტიკური, ტაქტიკური თუ სხვა მოტივებიდან გამომდინარე, გარდაუვალი ხდებოდა ხილვადი პერსონიფიცირებული ნაწილის ახალი პერსონებით ჩანაცვლება.

აისბერგის სწორედ ეს პერსონიფიცირებული ნაწილი არის ერთგვარი ორიენტირი, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა

წარმოადგენს ჩვენში სხვათა ინტერესის საგანს.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ უმთავრესი პრობლემა საერთაშორისო აღიარების მიღწევა იყო. ეს კარგად ესმოდა ზ. გამსახურდიას ხელისუფლებასაც (ვისაც იმდროინდელი ე.წ. საინფორმაციო მიტინგები ახსოვს მთავრობის სასახლესთან, უთუოდ დამეთანხმება) და საბჭოთა კავშირის იმჟამინდელ ხელმძღვანელობასაც, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობას არ ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ცხადია, ამ სიტუაციაში საერთაშორისო საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ტვირთი საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა ეზიდა. მით უფრო საოცარია, თუმცა ფაქტია, რომ სწორედ საგარეო საქმეთა მინისტრად და, იმავდროულად, ვიცე–პრემიერად ინიშნება ადამიანი (მ. ომანიძე), რომელსაც არც დიპლომატიური საქმიანობის გამოცდილება აქვს, არც ფართო საზოგადოება იცნობს და არც ეროვნული მოძრაობის, თუნდაც „მრგვალი მაგიდის" აქტიური წევრი ყოფილა და მიაჩნია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ძირითადი მიმართულება რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან ურთიერთობის დამყარებაა(!).

აფხაზეთის ომი დამთავრდა, საქართველო დსთ-ს წევრი გახდა, რუსეთის ჯარმა სამშვიდობო ფუნქცია იტვირთა და ჰორიზონტზე ამერიკის სტრატეგიული ინტერესები რომ გამოიკვეთა, რუსეთისთვის აუცილებელი გახდა ქართული ძალოვანი სტრუქტურების კონტროლი. სწორედ მაშინ დაინიშნენ მინისტრებად ნადიბაიძე, გიორგაძე და კვირაია.

დღეს, როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა ძველ იმპერიულ მეთოდებთან ერთად თანამედროვე ცივილიზებული მეთოდებიც გამოიყენოს და მთავარი მიმართულება ქვეყნის ეკონომიკა გახდა, ეკონომიკის მინისტრად მოგვევლინა კ. ბენდუქიძე, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დოქტრინა ერთ ფრაზაში ჩამოაყალიბა: თურმე „ყველაფრის გაყიდვა შეიძლება, სინდისის გარდა!" — ალბათ სამშობლოსიც, თუკი, რა თქმა უნდა, სამშობლო გაგაჩნია!

მაინც რატომ გააკეთა რუსეთმა აქცენტი ეკონომიკურ ბერკეტებზე და როგორ აპირებს მათ გამოყენებას?

სხვადასხვა მიზეზთა გამო, რუსეთმა დათმო სტრატეგიული პოზიციები საქართველოში და შეეგუა ამ სივრცეში ამერიკის სტრატეგიულ

არსებობას, თუმცა შეინარჩუნა კონტროლი სომხეთსა და კონფლიქტურ რეგიონებში. შეიქმნა ერთგვარი სტრატეგიული ბალანსი, მაგრამ ეს ბალანსი განპირობებული არ არის სამხედრო ტექნიკის ან ცოცხალი ძალების თანაფარდობით, მას მრავალი საზოგადოებრივ–პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და რელიგიურ–კულტურული ფაქტორი განსაზღვრავს და ამდენად, ძალიან მყიფეა. ამიტომაა, რომ არა თუ რაიმე მოქმედება, არამედ ნებისმიერი მცვეთრი განცხადებაც კი, მყისიერ რეაქციას იწვევს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დონეზე.

ცხადია, ამგვარი მდგომარეობის შენარჩუნება დროის ხანგრძლივ პერიოდში, მასში მონაწილე მხარეების რეალური და გულწრფელი სურვილის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია. ნებისმიერმა შემთხვევითმა მოვლენამ პროცესები შესაძლოა სრულიად გაუთვალისწინებელი მიმართულებით წარმართოს, ამიტომ ორივე მხარე ცდილობს ფრთხილად, მაგრამ მეთოდურად, სტრატეგიული ბალანსი თავის სასარგებლოდ შეცვალოს.

რუსეთი რომ რეალურად, და არა მხოლოდ სიტყვიერად, აღიარებდეს საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, მას ყველაზე ქმედითი ბერკეტები გააჩნია არსებული ბალანსის თავის სასარგებლოდ შესაცვლელად. ამ შემთხვევაში ჩვენთვისაც მომგებიანი იქნებოდა მასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა სამხედრო-სტრატეგიულ თუ გეოპოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებში, მაგრამ რუსეთის მიზანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის ფარგლებში რუსული იმპერიის აღდგენაა და თუკი ვერ მოხერხდა იმპერიის ფარგლებში საქართველოს შენარჩუნება, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ურთიერთობას ურჩევნია საქართველო, უკიდურეს შემთხვევაში კი სამაჩაბლოც დათმოს, მაგრამ აფხაზეთი შეინარჩუნოს, როგორც რუსეთის ტერიტორიული ერთეული და რადგანაც რუსეთისთვის მიუღებელია კავკასიაში არსებული სტრატეგიულ-პოლიტიკური ბალანსის მისთვის სასარგებლოდ შეცვლა საქართველოს დამოუკიდებლობასთან შეგუებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხარჯზე, ის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ცდილობს, პირველ რიგში, უზრუნველყოს არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნება და შემდგომ თანდათან გაზარდოს თავისი უპირატესობა.

ცხადია, რომ თუ საქართველოს ეკონომიკამ სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება, რაც უმუშევრობის შემცირებასა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას გამოიწვევს, ის მიზიდულობის ცენტრი გახდება არა მხოლოდ სამაჩაბლოსა და აფხაზეთისათვის, არამედ მთელი კავკასიისათვის, რაც, ბუნებრივია, შეამცირებს რუსული სახელმწიფოს გავლენას ამ რეგიონში. აქედან გამომდინარე, რუსეთის ინტერესებში სულაც არ შედის ქართული ეკონომიკის უკონტროლო განვითარება, ხოლო იმისთვის, რომ ეკონომიკური განვითარების რეგულირება შეძლო, აუცილებელია, ფლობდე საწარმოო სიმძლავრეებს და აკონტროლებდე ენერგოშემცველებს.

ჩვენდა სამწუხაროდ და ჩვენივე ხელისუფლების ხელშეწყობით, რუსული სახელმწიფო კაპიტალი თანდათან ეპატრონება მსხვილ სამრეწველო და ენერგეტიკულ ობიექტებს, რასაც შედეგად, უკეთეს შემთხვევაში, ქართული ეკონომიკის რუსულ ეკონომიკაში ინტეგრირება მოჰყვება; უარეს შემთხვევაში კი, თუ პოლიტიკური მიზნებისთვის გახდა საჭირო, სრული გაჩანაგება (ისე, ძალიან საინტერესოა, როგორ აპირებს ჩვენი ხელისუფლება რუსულ ეკონომიკაში ინტეგრირებული ქართული ეკონომიკის ევროკავშირში „ინტეგრირებას"?).

გარდა ამისა, ეკონომიკური ბერკეტებით ძალიან ადვილია მოსახლეობაში სოციალური უკმაყოფილების გამოწვევა. თეორიულ მსჯელობებს რომ თავი დავანებოთ, სულ ახლახანს, 2006 წლის იანვარში, როდესაც საქართველოში გაზის მოწოდება შეწყდა, ავარიულად გამოირთო მეცხრე ენერგობლოკიც, რომელიც ასევე რუსული „რაოეესის" საკუთრებაა და მიუხედავად ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცებისა, თბოსადგურს გაზი მიეწოდებაო, მისი ექსპლოატაციაში გაშვება მაინც საეჭვოდ გაჭიანურდა!

არათუ რუსული სახელმწიფო კომპანიები, არამედ მართლა თავისუფალი და დამოუკიდებელი უცხოური კომპანიებიც კი იძულებულნი არიან დაემორჩილონ სახელმწიფო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ამიტომ ის არგუმენტი, რომ ბიზნეს-ინტერესებიდან გამომდინარე, რუსული კომპანიები ქართულ ეკონომიკას ააღორძინებენ, ღიმილის მომგვრელია. ეს საწარმოები იმუშავებენ იმდენად და იმ რეჟიმში, რამდენადაც რუსული პოლიტიკური მიზნებისათვის იქნება საჭირო და აუცილებელი.

არა მგონია, ხელისუფლებაში ვინმე იმდენად გულუბრყვილო იყოს, ვერ ხვდებოდეს, რომ „თბილგაზის" ყაზახური კომპანიისათვის მიყიდვა რეალურად მისი „გაზპრომისათვის" გადაცემას ნიშნავს. აცნობიერებს კი ხელისუფლება, რა მოხდება, თუ „თელასის" მსგავსად „თბილგაზიც" რუსების ხელში აღმოჩნდება და მას პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენებენ? ხომ არ გადაიქცევა თბილისი სიბნელისა და გამყინვარების ქალაქად, როგორც ეს იანვრის ბოლოს მოხდა?

ქვეყანაში არის ობიექტები, რომლებსაც ეკონომიკურის გარდა უაღრესად დიდი სტრატეგიული, პოლიტიკური და სოციალური დატვირთვა აქვთ და მათი გასხვისება მხოლოდ კომერციული მიზანშეწონილობის მიხედვით დაუშვებელია — სულერთია, რუსეთი მოინდომებს მათ შესყიდვას, თუ ჩვენი მეგობარი ქვეყნების რომელიმე ბიზნეს-ჯგუფი. ეს კარგად ესმოდა კანონმდებელს და კონსტიტუციაში იმ ობიექტების სპეციალური ჩამონათვალიც გაკეთდა, რომლებიც ეკონომიკურთან ერთად სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომ მიკუთვნა ისინი უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განმგებლობას.

ამ ჩამონათვალს ის ობიექტებიც უნდა დაემატოს, რომლებიც მოცემულ მომენტში დიდი სოციალური დატვირთვის მატარებლები არიან (მაგალითად, მსხვილი ქალაქების წყალმომარაგება, საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენები, ენერგოგენერაციის ობიექტები და გადაცემის ქსელი, დისტრიბუცია და ა.შ.), ხოლო თუ ხელისუფლება, მნიშვნელობა არა აქვს დღევანდელი თუ მომავალი, ვერ ახორციელებს ამ ობიექტების ეფექტიან მენეჯმენტს, შესაბამისი საკადრო რესურსის დეფიციტისა და ამ რესურსის მოძიების უუნარობის გამო, გამოსავალი ობიექტების პრივატიზებაში კი არ უნდა ეძებოს, არამედ თავად უნდა გადადგეს და ადგილი სხვას დაუთმოს.

ნაცვლად ამისა, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები ჟამიდან ჟამზე მაგისტრალური გაზსადენის გასხვისებასაც კი დასაშვებად თვლიან და რომ არა ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნა, ალბათ კარგა ხნის გასხვისებულიც ექნებოდათ. თუ ხელისუფლება თავად ვერ ხვდება ამ მაგისტრალური გაზსადენის მნიშვნელობას, იმან ხომ მაინც უნდა დააფიქროს, რატომ არის ამერიკა მისი გასხვისების კატეგორიულად წინააღმდეგი? ყველასთვის

გასაგებია, რომ რუსეთისთვის ამ გაზსადენს გააჩნია როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობა, მაგრამ ისიც ხომ დღესავით ნათელია, რომ უშუალოდ ამერიკისთვის ამ გაზსადენს არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური სარგებელი არ მოაქვს, მაშ, რაშია საქმე?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთ-ამერიკას შორის არსებულ სტრატეგიულ ბალანსს მრავალი ფაქტორი განაპირობებს და ამდენად, იგი უაღრესად მყიფეა, ამიტომ ორივე მხარე ცდილობს, თანაფარდობა ან თავის სასარგებლოდ შეცვალოს, ან, მინიმუმ, შეინარჩუნოს. გარკვეული სტაბილურობა ამ დაპირისპირებაში შეიძლება შემოიტანოს მესამე ძალამ. ასეთი ძალაა ევროპა, თუკი მას ამ არეალისადმი ინტერესი გაუჩნდება. ევროპა, განსაკუთრებით დასავლეთი, ზედმეტად პრაგმატული და ნაკლებად ამბიციურია, მას ამ რეგიონში პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები თითქმის არ ამოძრავებს, მისი ინტერესების საგანი შეიძლება იყოს ეკონომიკა, კერძოდ კი შუა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსები, უფრო ზუსტად – გაზი. თუ ევროპა დაინახავს, რომ საქართველო შეიძლება გახდეს ალტერნატიული ენერგოდერეფანი, რომლის გავლითაც ამ ენერგორესურსებს მიიღებს, მაშინ მას ინტერესებიც გაუჩნდება. დასავლეთ ევროპას გააჩნია ალტერნატიული სისტემები, აღმოსავლეთ ევროპას, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს კი ალტერნატიული სისტემები, ფაქტიურად, არა აქვთ. ამიტომ ისინი სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული ახალი მარშრუტების მოძიებით. თუ საქართველო გაუძლებს რუსეთის დაწოლას, შეინარჩუნებს მაგისტრალურ გაზსადენს და კომუნიკაციებს, მაშინ ის არა მხოლოდ საიმედო ალტერნატივა იქნება ევროპისათვის, არამედ ეკონომიკურად მომგებიან პროექტსაც შესთავაზებს. ის, რომ ამ პროექტის განხორციელება რეალურია და ევროპის ქვეყნები, ბოლო დროს, უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ჩვენი რეგიონისადმი, ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია. ისიც ნათელია, რომ ამ პროექტის რეალიზაციის შემდეგ საქართველოს ენერგო-უსაფრთხოება გაცილებით სტაბილური იქნება და ეკონომიკურადაც უფრო მომგებიანი, ვიდრე მაგისტრალური გაზსადენის თუნდაც 300 მილიონ დოლარად გაყიდვა. ბუნებრივია, შესაძლებელია სამმხრივი თანამშრომლობა საქართველოს, რუსეთსა

და ევროპას შორის და ის მომგებიანი იქნება სამივე მხარისათვის, მაგრამ რუსეთს ამგვარი თანამშრომლობა არ სურს, მას მაგისტრალური გაზსადენი სჭირდება არა იმდენად ეკონომიკური თვალსაზრისით, რამდენადაც იმისათვის, რომ საქართველომ, როგორც ენერგოდერეფანმა, გნებავთ, ალტერნატიულმა მარშრუტმა, ევროპისთვის მნიშვნელობა, ფუნქცია დაკარგოს. ეს ესმის რუსეთს, ამერიკას, ევროპას, — ყველას, გარდა საქართველოს მთავრობისა!

და რადგან ენერგოდერეფანზე და, ზოგადად, ენერგო-უსაფრთხოებაზე ვლაპარაკობთ, უნდა ითქვას, რომ კატეგორიულად დაუშვებელია ენერგოობიექტების, პირველ რიგში, ენერგოგენერაციის, პრივატიზება, რადგან ეს არის ქმედითი მექანიზმი ეკონომიკური რეგულაციისა. სულო ცოდვილო და, ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, იმ სრულიად ბუნებრივი ანტირუსული კამპანიით, რასაც ხელისუფლება აწარმოებს, ხომ არ ხდება საზოგადოებრივი აზრის სხვა მიმართულებით წარმართვა და ხომ არ გამოიყენებენ ამ კამპანიას ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული ძალები ჰიდროელექტროსადგურების იმავე რუსეთისათვის უმტკივნეულოდ და ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე გადასაცემად?

როდესაც საუბარი არათუ არსებულ ჰიდროელექტროსადგურებზე, არამედ ახალი სიმძლავრეების მშენებლობაზეა და სრულიად გასაგები და ობიექტური მიზეზების გამო ინვესტორების მოძიებაა საჭირო, ხელისუფლება უნდა შეეცადოს, რომ საკონტროლო პაკეტი არ აღმოჩნდეს ერთი რომელიმე ინვესტორის ხელში. განსაკუთრებით, როდესაც ლაპარაკი ეხება ისეთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობას, როგორიც „ხუდონჰესია".

„ხუდონჰესი" არ არის მხოლოდ ენერგოობიექტი, თავისი მდებარეობიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, მან, შესაძლოა, სრულიად უნიკალური პოლიტიკური დატვირთვა შეიძინოს და კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისთვის იქნას გამოყენებული. ცხადია, „ხუდონჰესისადმი" გამოჩენილი ინტერესი ორგანულად უკავშირდება აფხაზურ კონფლიქტს და თითოეული მხარე (ქართული, აფხაზური და რუსული) შეეცდება ეს მშენებლობა თავისი მიზნების მისაღწევად გამოიყენოს.

რუსეთის მიდგომა სამაჩაბლოსა და აფხაზეთისადმი განსხვავებულია,

ქართული საზოგადოებისათვის ეს სიახლეს არ წარმოადგენს. რუსეთმა შეიძლება დათმოს სამაჩაბლო, მაგრამ ყველა ღონეს იხმარს შეინარჩუნოს აფხაზეთი, თუმცა არა როგორც აფხაზური ტერიტორია, არამედ როგორც რუსეთის ფედერაციის ნაწილი. ამ მიზნის მისაღწევად, ერთის მხრივ, რუსეთი თანდათან და მეთოდურად აწარმოებს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შემზადებას და ნებისმიერი პრეცედენტის (იგივე კოსოვოს) განვრცობას აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, მეორეს მხრივ, ცდილობს თავად აფხაზეთში დემოგრაფიული ბალანსის შეცვლას. პირველი ეტაპი იყო ქართველთა გენოციდი, მეორე ეტაპი არის აფხაზეთში რუსების ჩასახლება, რადგან რუსეთს აფხაზეთი თავისთვის, აფხაზების გარეშე სჭირდება, და არა აფხაზებისთვის (რეალურად, რუსული ისტებლიშმენტისათვის ქართველი, აფხაზი, ოსი და ა.შ. დიდად არასოდეს განსხვავდებოდა ერთმანეთისგან); მაგრამ რუსეთი ცდილობს ეს პროცესი უმტკივნეულოდ, ისე განახორციელოს, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში პროტესტი და უკმაყოფილება არ გამოიწვიოს, ამიტომ ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ისეთ მასშტაბურ მშენებლობებს, როგორიც „ხუდონჰესია", ამ მიზნისათვის გამოიყენებს. სულ ახლო წარსულში რუსეთი სწორედ მასშტაბურ მშენებლობებს იყენებდა არარუსულ რეგიონებში რუსული კოლონიების შესაქმნელად მარტივი არგუმენტაციით — კვალიფიციური მუშახელისა და სპეციალისტების ნაკლებობა — ამიტომ, როდესაც „ხუდონჰესზე", რკინიგზის აღდგენაზე და ამ პროექტებში რუსეთის მონაწილეობაზეა საუბარი, ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გააცნობიეროს ეს პრობლემა. ამ შემთხვევაში ჩვენი და აფხაზების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და ეს თანხვედრა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა არ დავუშვათ აფხაზეთის რუსიფიცირება ან ინტერნაციონალიზაცია.

ქართულ-რუსული ურთიერთობები, თუნდაც პროპაგანდისტულ დონეზე, ისეთ ფაზაში შევიდა, რომ პროცესები შესაძლოა ნებისმიერი მიმართულებით განვითარდეს. საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ თეორიულადაც კი არ დაუშვას სამხედრო დაპირისპირება და მზად იყოს ნებისმიერი პროვოკაციისათვის — ისიც კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს რუსებმა, ცალმხრივი გადაწყვეტილებით, თავადვე გაიყვანონ სამაჩაბლოდან სამშვიდობო ძალები, რაც, რეალურად, იმას ნიშნავს,

რომ რუსები სამშვიდობო ფორმას გაიხდიან და ე.წ. ოსური შეიარაღებული ძალების ფორმით დარჩებიან კონფლიქტის ზონაში.

ჩვენ უნდა დავტოვოთ დსთ და რუსულმა სამშვიდობო ძალებმაც უნდა დატოვონ კონფლიქტის რეგიონები, ოღონდ ეს უნდა გავაკეთოთ მაშინ, როდესაც ამისათვის მზად ვიქნებით. ამ ეტაპზე, არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად, ამ პროცესებისათვის მზად არ ვართ, ხოლო თუ სამხედრო თვალსაზრისით იმდენად გავძლიერდით, რომ შეგვიძლია რუსების თუნდაც შეზღუდული სამხედრო კონტინგენტი დავამარცხოთ, რაშიც პირადად მე ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, მაშინ ხელისუფლებამ ამის შესახებ ღიად უნდა განაცხადოს.

ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ დრო ჩვენ სასარგებლოდ მუშაობს. კონფლიქტურ რეგიონებში, ყოფით დონეზე, ურთიერთ-დაპირისპირება შედარებით სტაბილურ ფაზაში გადავიდა და, ამასთანავე, აფხაზებსა და ოსებში თანდათან მატულობს რუსეთისაგან იმედგაცრუება. გარდა ამისა, ევროპაში გაჩნდა და თანდათან იზრდება ინტერესი კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ. ხელისუფლების ვალია, ხელი შეუწყოს ამ ინტერესის გაძლიერებას და მის ცხოვრებაში გატარებას. ეს ინტერესი, რომელიც საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს რუსეთში, შესაძლოა შენელდეს, ან სულაც გაქრეს, თუ საქართველო შიდა სამხედრო კონფლიქტებში ჩათრეული აღმოჩნდება.

თუ ჩვენ შევძლებთ და თავიდან ავიცილებთ სამხედრო ესკალაციას კონფლიქტურ რეგიონებში, ამასთანავე წერტილს დავუსვამთ რუსეთის მიერ საქართველოს ეკონომიკურ ანექსიას, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ რუსეთი აუცილებლად გააააქტიურებს თურქი-მესხების რეპატრიაციის საკითხს და ამაში ევროსაბჭოს გამოიყენებს; რუსეთში მცხოვრებ და მომუშავე საქართველოს მოქალაქეებს აიძულებს სამშობლოში დაბრუნებას სოციალური დაძაბულობის შესაქმნელად; გამოიყენებს იმ არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას, რაც ხელისუფლების მიერ გადადგმულ ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებს მოჰყვა (საკონსტიტუციო შესწორებები, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი, საარჩევნო კოდექსი და ა.შ.) და ამ ფონზე შეეცდება კიდევ ერთი სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიოს.

თუ საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკური სპექტრი და სამოქალაქო საზოგადოება ქვეყნის აღმშენებლობაზე, მის მომავალსა

და ინტერესებზე ფიქრობს, მათ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნონ იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებზეც ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი მეგობრები კარგა ხანია გვიკიჟინებენ და რომელთაც მოჰყვება რეალური დემოკრატიული პროცესების განვითარება, ეს კი ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი გახდება. ამით საშუალება მოგვეცემა, მოვახდინოთ მთელი ჩვენი რესურსების კონსოლიდაცია, ხოლო თუ ამას ლიბერალური ეკონომიკური კანონმდებლობა და ეკონომიკის ინვესტირებაც დაემატება, ეს ხელს შეუწყობს ნაციონალური ბურჟუაზიის ჩამოყალიბებასა და ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მოგვცემს საშუალებას, მოვწყდეთ რუსულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეს, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა და, ბოლოს და ბოლოს, რეალურად დამოუკიდებელ ქვეყნად ვიქცეთ.

2006 წ. 7-8-9-10 თებერვალი, გაზეთი „რეზონანსი“

სარჩევი

ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები 5-285

ჩალით დახურული ქვეყანა 286-300

ამერიკული მარკეტინგი, რუსული დიპლომატია და

ქართული ყვავილოვანი რევოლუცია 301-327

„....ვინც ერეკლეს რუსი უქო!“ 328-351